

14  
969



# მეოთხედი

114



1969

# გნეოთოგო

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის  
და საზოგადოებრივ-კულტურული მუშაკთა

წელიწადი 45-ე

№ 9

სექტემბერი, 1969 წ.

საპარტოვლოს საბავთა მწარმოების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

გურამ გვიშვილი — დიპლომი. მოთხრობა	3
შალვა ფორხიძე — ლექსები	66
ლადო მკალაშვილი — უაბახი. რომანი. წიგნი მეორე. ვაგრძელება	70
მიხეილ მგლიშიანი — ლექსები	88
ბაბი ბაქაძე — მუზარადი ამოსული ყვავილი. რომანი. ვაგრძელება	90
ზაურ ბოლქვაძე — ლექსები	99
თენგიზ კაკუხაძე — ლექსები	100
ოვანეს თუმანიანი — ლექსები. თარგმანი სტეფანე მხარგრძელისა	102

### 100 ვ. ი. ლენინი 100

პარლან შანიძე — ლენინური პროვინული პროგრამა და პარტოვლი ხალხის განვითარებისთვის მისი როლი	104
---	-----

### კრიტიკა და კულტივისტიკა

ილია ტაბაღაძე — კოლონიათა სახალხო რესურსების პროვინული აღმას-წყობი	109
სოლომონ დიმიტრაშვილი — რევან ინტენციების „საღამო ხანის ჩანა-წიკები“	113
ს. ურბანაძე — ოვანეს თუმანიანი და თბილისის უნივერსიტეტი	118
პრ. შანიძე — შთაბეჭდილებათა გამაქლივებელი კომპოზიციების დაფი-ლირებისათვის	122
მიხეილ შანგულა — გილაგვირისა და ამირანიანის უკეთილმოების საკითხ-ისათვის	129



საპარტოვლოს კა მენტალური კომიტეტის გამომცემლობა

რეზაუ ჯაფარიძე — ალამიანის მორჩილი ზღვა. დასასრული . . . . .	143
ივ. არჯვანიძე — ორი ჭარბული გავშვის თავბადასავალი . . . . .	137
ალექსანდრე სიგუა — იონა მუხნარგია . . . . .	138
<b>წიგნების მიმოხილვა</b>	
შალვა რაღიანი — სავირო ნაწრომი . . . . .	189
ზონდო არველაძე — მხოლოდ რეალიზა . . . . .	191



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, შ. ლებანიძე, ბ. ელენტი, ა. ხულაყაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ტილაძე, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნორედაქტორი რ. ჩაკვიტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბილეთონები: რედაქტორის — 98-55-11, პ/მგ. მდივნის — 98-55-15, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 9/VII-69 წ. ხელმოწერილი დასაბეჭდად 1/IX-69 წ. ანაწყობის ზომა 7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირბითი ნაბეჭდი ფურცელი 16.8.

№ 02322. ტირაჟი 10.500. შეკვ. № 2078.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.



# დ ე ვ ნ ი ლ ი

## მ ო თ ხ რ ო ბ ა

1

ზაფხულის უკანასკნელი თვე იწურება, ჯერ კიდევ ცხელა. მომთაბარე თუშები უკვე ემზადებიან ბარში გასამგზავრებლად. შუაგულ მინდორში, ვერტმფრენის დასაჯდომ ადგილას, ერთმანეთზე დაყრილი, ტყავის მსხვილი თასმებით შეკრული საპალნეები და გუდებში გახვეული ყველი ბარში გაგზავნას ელოდება. ორი დღეა არ ჩანს ვერტმფრენი და რაღაცაზე გაუთავებლად დაობენ მზეზე დაყრილ ბარგის ირგვლივ შეგროვილი თუში კაცები. მინდვრის ბოლოს მობალახე ცხენები გაფანტულან. ვრძელი, ერთსართულიანი ქვის შენობის ჩრდილში თავი შეუფარებიათ ვერტმფრენის მომლოდინე თუშის ქალებს. თავიანთი ბაღლებით გარშემორტყმულთ, წინდის ქსოვასა და საუბარში ვაჭყავთ დრო. ზოგი მათგანი ქვაზე ან ყუთზე ზის, ზოგი წამომდგარა და კედელს ზურგით მიჰყრდნობია. მათგან ცოტა მოშორებით, ამავე შენობის ჩრდილში მიწაზე ზის მუშნი ყიფიანი და შესფოთებულია საპაერო გზა რომ დაიკეტა, მაგრამ ნაღრძობი მარჯვენა მხრის ტკივილი ზოგჯერ ისე აწუხებს, რომ ყველაფერი ავიწყდება. მას ავიწყდება, რაც ჩაიდინა გუშინ, ავიწყდება, რაც შეიძლება მის საქციელს მოჰყ-

ვეს, თუ დროზე არ მოუსვა აქედან და ახსოვს მხოლოდ ყველაფრის შთანთქმელი ტკივილი, რომელიც ხანდახან ისე წვავს, ისე წიწკნის, რომ ყველა სხვა შეგრძნებას აქრობს, თითქოს ბასრნისკარტა ფრინველი დაუნდობლად კორტნის სხეულს, წიწკნის, ნაქუწ-ნაქუწ აგლეჯს ხორცს, ძველი, ხმარებისგან გაცრეცილი ბუკლეს პიჯაკის უბეში ჩაუღვია მტკივანი ხელი, ვიწრო, გახუნებულ, ლურჯ შარვალზე ტალახმემხმარი ჩექმები აცვია, სწორი, ქერა თმა შუბლზე ჩამოჰყრია, მზეზე დამწვარი, ჩავარდნილი ლაწკები წვერს დაუფარავს და მისი ლურჯი თვალები მიმქრალი მზერიით გასცქერიან სიერცეს. ზის მუშნი ყიფიანი მიწაზე — სხეული გრძობს პიჯაკის მარჯვენა გულისჯიბეში ჩადებული დატენილი რევოლვერის მძიმე შეხებას და ნაღვლიანად ეცილება საკუთარ ბედზე. ყველაფერი უცნაური მას უნდა შეემთხვას. გუშინდელი დღეც აგონდება, ამდენი მოულოდნელი სადარდებელი და საზრუნავი რომ გაუჩინა, მაგრამ მაინც არ ნანობს თავის საქციელს. ზის მუშნი დაღლილი, ტკივილებისაგან ვაბრუებული, გათანგული და ზოგჯერ, როცა მხრის ტეხვა ოდნავ გაუყუჩდება, უფროს: რა კარგი იქნებოდა თუში

გყოფილიყავი, თუშის ქალი მყოლოდა ცოლად, მქონოდა პატარა ქოხი, პატარა ცხვრის ფარა; არსად არ წავეიდოდი აქედან...

თაფლო გურამიშვილი კი სწორედ ამ დროს გამოდის ფინური ქოხიდან. ის თელაველი ვეტერწალია. აქ გამოგზავნილია ცხოველებში გავრცელებულ თურქულის საწინააღმდეგო მკურნალობის ჩასატარებლად. მამამისი, ერთ დროს, განთქმული მოქიდავე და ცხენოსანი იყო მთელ კახეთში. მისი ბიძაშვილებიც კარგი ვაჟაკები დადგნენ. ამიტომ თაფლოს ყველა იცნობს, ყველა პატივს სცემს. მაღალი, ლამაზი ტანი აქვს. ამობურცული მკერდი, ვიწრო წელი და მკვრივი, ჭიშიანი ფეხები. ძალიან უხდება შავი კაბა. ფეხზე სადიაცო ჩითები აცვია და ქრელი თუშური წინდები. თუშური წინდების შიგნით, ჩვეულებრივი, მაღალყელიანი, შავი, თხელი წინდები, თავი თუშის ქალივით წაუკრავს, მხოლოდ შუბლთან მოუჩანს შავი, პრიალა თმა. მაღლა აზიდული მრგვალი წარბები აქვს და ოდნავ კეხიანი, მიმინოსებური ცხვირი. ძალზე წააგავს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ჩისტაკობიან ქართველ ქალებს, რომელთა სურათები ისტორიის სახელმძღვანელოებში და ზოგიერთი ეთნოგრაფიული ხასიათის შრომებშია დაბეჭდილი.

ქოხიდან გამოსული თაფლო ხედავს, რომ ამავე ქოხში თავისი ცოლ-შვილით მცხოვრები ახალგაზრდა მეტყევე გიო, ცხენს უნაგირს ადგამს.

— საით მიემგზავრები, გიო? — დაბალი ხმით ეკითხება თაფლო. თითქმის ბოხი ხმა აქვს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მის გარეგნობას შეგნის ასეთი ხმა.

გიო შორს, ალაზან ვალმა, — ხევში ჩავარდნილი მდინარე ამ ადგილიდან არ ჩანს, — ფერდობზე შეფენილი ფიჭვნარის შუაგულში სვეტად ამომავალი ბოლისკენ იშვერს ხელს. ამ ბოლს, უკვე მეოთხე დღეა ხედავს თაფლო, მაგ-

რამ აზრადაც არ მოსვლია გაეგრ რაშია საქმე.

— ტყეში ხანძარია, უხსნის ვიო.

— როგორ გაჩნდა? — ისე ეკითხება თაფლო, თითქოს მართლა აინტერესებს.

— მეხი ჩამოვარდა, — ეუბნება გიო. შემდეგ უმატებს, ერთი კვირაა ვაქრობთ მაგრამ ვერაფერს გავხდითო.

— იმ სიმაღლეზე წყალს როგორ ზიდავთ?

— წყალს კი არა ვზიდავთ, ტყესა ვკაფავთ და ნაცეცხლარს მიწას ვაყრით, მაგრამ ბიჭები ცოტანი ვართ და ვერ მოვერით.

— რათა, კაცები არა ხართ, ძალა არა გაქვთ?

— ცოტანი ვართ.

— ლამაზი ბიჭები თუ არიან იქა?

გიოს ეცინება.

— შენ რაში გეკითხება?

— რატომ? ლამაზი ბიჭების დანახვა სასიამოვნოა.

— ეგ რომ შენმა საქმრომ გაგიგოს...

— თავშიც ქვა უხლია, — ეღიმება თაფლოს, — იმას ვინ ეკითხება?... თუ უფრო კარგი ბიჭი შემხვდა...

გიომ იცის თაფლოს მზიარული, თამამი ხასიათი და ეცინება. თაფლოც მეტად კმაყოფილია.

თაფლო მოდის დაბლა. გრძელი, ერთსართულიანი შენობის იქეთ, ბრეზენტის დიდ კარავში ვეტერინარული პუნქტია მოთავსებული. სწორედ იქეთ მიემართება თაფლო. ის გვერდს ჩაუვლის ვერტმფრენის მომლოდინე ხალხს. მკაცრი სახით მოდის, ღირსეულად, საქმიანი გამომეტყველებით. თუმცა სინამდვილეში მზიარულ გუნებაზეა, როგორც ყოველთვის, ხუმრობის და ლაზღანდრობის ხასიათზეა, მაგრამ ამას ვერასოდეს ვერ შეამჩნევ ისე უქიარავს ხოლმე თავი. შენობის ჩრდილში წამოჩადარ თუ მიწოლილ მუშნის დიანახავს. კიდევ უფრო მაღლა აზიდავს წარბებს, მერე თითქოს ყურადღებას არ აქცევს ისე

ჩაივლის, მაგრამ მაინც ამას სოვრდება ეს სახე.

მუშნიც ხედავს თაფლოს, გულგრილ მზერას გააყოლებს ცოტაზე. მერე შუბლშეკმუხნული პირდაპირ, მთების ზემოთ გაშლილ ცას მიაჩერდება. არავითარი ცვლილება ცაზე. ის ისევ ისეთია, როგორც დიდიდან იყო, მოწმენდილი და ლურჯი, ალაგ-ალაგ თეთრი ღრუბლებით დატვიფრული. თითქოს გაიყინა დრო, თითქოს არაფერი არ იცვლება. ისევ აწუხებს მუშნის ტკივილი. როგორ უნდა მის სხეულს ზრუნვა, მოფერება: აუტანლად უნდა ქალის თბილი, მოალერსე ხელების შეხება; ნახი, ალერსიანი, სათუთი თითების შეგრძნება, მაგრამ დაღლილ გონებას ეს სურვილი ვერ გაუცნობიერებია და მუშნიმ არც კი იცის თუ რა ესია მოვნა წელან და მერე ისიც კი ავიწყდება, რომ წელან რაღაც ესია მოვნა, რაღაცამ ერთი წამით დააეიწყა ტკივილი.

## 2

შუბის წვერზე მდგარი მზე გადაიხარა და აგრილდა. მზეში ყოფნა უფრო სასიამოვნო გახდა, ვიდრე ჩრდილში ჯდომა. იმ დღესაც არ გამოჩნდა ვერტმფრენი. ხალხი დაიშალა. ბალოანი ქალები სოფლისკენ წავიდნენ ღამის გასათევად. აქ ყველას ჰყავდა ნათესავი ან ნაცნობი. მამაკაცები მუდამ ზარგთან რჩებოდნენ, ნაბადში გახვეულებს ღია ცის ქვეშ ეძინათ ხოლმე.

მუშნი ყოფიანი გაქირვებით წამოდგა. პირი გამშრებული და თავიც უბრალოდა. გაბრუებულმა, ბარბაცით გაიარა რამოდენიმე ნაბიჯი. არ ეგონა თუ ასე დასუსტდებოდა. მზეში გამოსულმა უნუგემო, უხალისო მზერა მოავლო მიდამოს. არაფერი არ ახარებდა. ყოველი მხრივ ცივი, მღუშარე მთები იდგნენ და სატუსაღოსავით ვიწრო, გამოუვალი ეჩვენა სივრცე. შემდეგ წყაროსაკენ გაუდგა გზას. ტრიალ მინდორზე მიდიოდა, ზღაზვნით, ნელი ნაბიჯებით, მხრებ-

ში მოხრილი, — მტკივანი ხელი ისევ პიჯაკის უბეში ედო. დაუნდობელმა ბასრმა ტკივილმა აზრანებზე ჩაქუსო. ყოველი ნაბიჯის გადადგმა აუტანელ ტანჯვას ჰგვრიდა, თითქოს დენი უვლიდა მხარში. წინ, წყაროდან მომავალი თუშის გოგონა შენიშნა, რომელსაც მხარზე მრგვალმუცლიანი, წყლით ავსებული თუნგი შეედგა და ნელა მოყვებოდა ბილიქს. როცა გაუსწორდა, გოგონას გაწითლებულ სახეს მოჰქრა თვალი. გოგონამ თამამად გაუყარა თვალი თვალში და ჩაიარა. მაინცდამაინც დაღლილი არა ჩანდა, მაგრამ რამოდენიმე ნაბიჯის შემდეგ უკან რომ გაიხედა, მუშნიმ დაინახა: გოგონას თუნგი მიწაზე დაედგა და დოინჯემოყრილი, წელში გამართული იდგა. „შინ მივა და დაისვენებს“ — გაფიქრა მუშნიმ და შეშურდა მისი.

სევდა შემოაწვა. სანამ წყაროსთან ჩაივლიდა გრძნობდა ამ სევდას თუ მწუხარებას. თითქოს ფეხდაფეხ მოსდევდა უსულო ცხოველივით ან უსხეულო სულივით. წყაროსთან ჩასულს კი ეს განწყობა გაეფანტა. უხერხულად ჩაიჩოქა, მუხლებით დაღვა სველ ქვებზე, ხის ღარს ტუჩები მიადო და ხარბად დაეწაფა ცივ წყალს. გამშრალი, დაწრეტილი სხეული ნამით გაიყვინთა. გამოფხიზლდა. წამოდგა, მარცხენა ხელი დაისველა და სახეზე მოისვა. შუბლზე ჩამოყრილი თმა სველი თითებით უკან გადაივარცხნა. ეამა სიგრილე, მაგრამ ცოტა ხნის მერე შეაქრყოლა. საშინლად დაღლილი იყო, გადახურებული და შეიძლება ამიტომაც შესცივდა. იცის ხოლმე ასე. თითქმის მთელი დღე მორბოდა და უხურდა სხეული, ახლა კი, როცა ოფლი კარგა ხანია შეაშრა, სითბო მოუნდა. ზემოთ აიარა ფერდობი, მზის გულზე, ქვაზე ჩამოჯდა. მზე ნელა ჩაივლიდა. მუშნი სივრცეს მისჩერებოდა და არაფერზე არ ფიქრობდა.

მის წინ ხევი იყო. ხევის აქეთ ბუნქებით შეფენილი ფერდობი მოჩანდა. იქედან რაღაც გაურკვეველი ხმები მო-

ისმოდა. ვილაყეები ერთმანეთს ეძახდნენ, მაგრამ არაინ ჩანდა. მუშნი მიხვდა, საღამო ემს ქოლოს საკრეფად გამოსული ბავშვები ქლურტულბდნენ ბუჩქნარში. ესმოდა მათი სიცილი, ძახილი, მამაკაცის ბოზი ხმაც ისმოდა ზოგჯერ ამ ჟრიაშულში. სიცილი, კისკისი და ძახილი არა სწყდებოდა. უღარდელი გოგო-ბიჭები დარბოდნენ საღაც იქ, ქოლოს ბუჩქებს შორის და მუშნის გული წყდებოდა, რომ ვერ ხედავდა მათ.

— პაპა! პაპი! — მკაფიოდ გაისმა მერე ბჭშვის ხმა.

ეტყობა ეს სულ პატარა იყო, თანატოლებს ჩამორჩენილი. ალბათ ეშინოდა მარტო დარჩენილს და ამიტომ წარა-მარა გაიძახოდა დედას მოწყვეტილი ბატკანივით:

— პაპა! პაპი!

მამაკაცის ბოზი ხმა შორიდან პასუხობდა. საშველად მოდიოდა პაპა მარტოკა დარჩენილი ბალისკენ და უსაზღვრო სიყვარულით განიშკვალა მუშნი იმ უჩინარი ბავშვის მიმართ, მთელი არსებით უხაროდა მისი ბედნიერება.

— პაპა! — მოუთმენლად იძახდა ისევ ბავშვი და მუშნის გული მოუთმენელი სითბოთი ეესებოდა იმის გამო, რომ სულ მალე იპოვნიდა პაპა მოკლევადიან გოგონას, ან ფეხშიშველა ბიჭუნას, მიუალურსებდა, წაიყვანდა შინ, არ-მოაკლებდა ზრუნვას და ყურადღებას. კეთილად შეშურდა ის სიხარული, რომელიც ამ ბავშვს უნდა განეცადა სულ მალე, როცა დაინახავდა მხსნელად მოვლენილ პაპას. ალბათ ჯერ კიდევ მხნეს და ძლიერს, რომლის იმედი ჰქონდა, მის სიყვარულში იოტისოდენა ეჭვიც არ ეპარებოდა, მის მზრუნველობას უღარდელად, უშფოთველად შეაფარებდა თავს. უცნაურად აუჩუყდა გული, თითქოს მგრძნობიარე, უსუსურ ბავშვად იქცა; ცრემლები მოადგა თვალებზე. უხაროდა, რომ ის, თავის ტოლებს ჩამორჩენილი ბალდი, ასე ბედნიერი იყო, თუმცა ალბათ ვერც გრძნობდა თავის

ბედნიერებას და გული წყდებოდა, რომ არასოდეს არ განუცდია ასეთი ჭამ-თვითონ. მოუნდა ჰყოლოდა სპაპა/ან/ცინმე მახლობელი. ადრე არც კი შეუმჩნევია იმისი არსებობა საკუთარ თავში, რაც ახლა ასე ცხადად იგრძნო, ცრემლი სახეზე ჩამოუცურდა და იმ წამსვე გამოერკვა, იმ წამსვე ჩაკვდა სულში, სხეულის სიღრმიდან წამოსული სითბო, გადმოღერას რომ აპირებდა. გაუთავისუფლებელი სევდა კვლავ ბოლმად იქცა და ბავშვების ეს ტკბილი ხმები, რომელიც თანდათან ჰრებოდა სივრცეში, საღაც შორს მიდიოდა და იფანტებოდა გულუბრყვილო ოცნებასავით, აღარაფერს ეუბნებოდა, აღარავითარ სურვილებს არ უღვიძებდა. განაბული იჯდა და მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ გრილოდა.

მზე კიდევ უფრო გადახრილიყო და ფერღობზე ჩრდილი იწვა. მაგრამ იმდენად მიწებებოდა საკუთარ განწყობას, რომ ეს კარგა ხანს არ შეუმჩნევია, როცა შეამჩნია, წამოდგა და მალა, მინდვრისკენ გაემართა.

ქვის გრძელი შენობის ერთ კუთხეში სასადილო იყო. სასადილოს კარებთან ვილაც კაცები იდგნენ. მუშნის ახლა მოავონდა, რომ მთელი დღე არაფერი ეჭამა. მაინცდამაინც არც შიოდა, ჭამა არც კი გახსენებია, სანამ სასადილოს წინ მდგარი კაცები არ შენიშნა, მაგრამ იცოდა, რომ უსმელ-უჭმელი კიდევ უფრო დაჰკარგავდა ძალ-ღონეს და უხალისოდ გაემართა შენობისკენ. სანამ სასადილოში შევიდოდა, ქვის კიბეებზე მდგარმა დაინახა, როგორ მოახტა ახალგაზრდა, ლამაზი თუში ფიცხ, ლეგნა ულაყს და მინდვრის ბოლოსკენ გააქუნა. შეშურდა მისი და კარგა ხანს გასცქეროდა. ხედავდა როგორ ათამაშებდა მხედარი მეღნისფერ ბედაურს, ხან მიუშვებდა თავის ნებაზე, ხან კიდევ ერთბაშად დაუჭერდა თავს, ყალყზე შეაყენებდა. მერე ისევ მიუშვებდა ქვების იშტაზე მოსულს და მთელი ტანით უკან გადაზნექილი ისევ დააოკებდა ხოლმე.

ეტყობოდა უცხო ცხენი იყო და მხედარი ცდიდა მას.

როცა სასადილოში შევიდა, ისევ იმ მხედარზე ფიქრობდა, უფრო სწორად, მისი სახე ედგა თვალწინ. კარგი ცხენოსნები ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ მუშნიზე, ალბათ იმიტომ, რომ თვითონ ვერ იყო რიგიანი მხედარი. რიგიანი მხედარი რომ ყოფილიყო არც გადმოვარდებოდა გუშინ ცხენიდან. მერე ოთახის ერთ კუთხეში, მაგიდასთან მჯდარი მოჭეიფეები შეამჩნია და არ ესიამოვნა. მარტოობა უნდოდა, არა ჰქონდა უცხოთა საუბრის მოსმენის თავი. ყოველგვარი ხმაური ღლიდა და აწუხებდა. ჩია ტანის, ულამაზო დახლიდარს, რომელიც მუშნის აზრით თუში არ უნდა ყოფილიყო, საკმელი მოსთხოვა. მან ცივი ხინჯალი შესთავაზა.

— ტაფაზე შეეწვავ და კარგი იქნება, — უთხრა დახლიდარმა.

— შენ თუში არ უნდა იყო, — უთხრა მუშნიმ. მისთვის სულერთი იყო რას მოუტანდნენ.

— რათა? თუში ვარ, ალვანში სახლკარი მაქვს.

დახლის წინ, მაგიდასთან დაჯდა. კედელთან კახური ღვინით სავსე დაბეჭდილი ბოთლები ყუთებში ეწყო. სწორედ ამ ღვინოს სვამდნენ კუთხეში მსხდარი მოჭეიფეები.

მაგიდასთან მჯდარი მუშნი ღდა კარებს გასცქეროდა, ხედავდა ცარიელ მინდორს. უკვე ბინდებოდა. გარედან ხმაშალალი ლაპარაკი ისმოდა, მაგრამ მუშნი ყურს არ უგდებდა და ამიტომ არ ესმოდა რაზე ლაპარაკობდნენ. მას ესმოდა მხოლოდ ხმა და არა ცალკეული სიტყვები. ახლა მხოლოდ თვალეზით აღიქვამდა სამყაროს, რადგან არაფრის მოსმენა არ შეეძლო. უფრო სწორად, მოსმენა შეეძლო თავისდაუნებურად, მაგრამ არ შეეძლო აზრის გამოტანა მოსმენილიდან, რადგან ყურადღებას ვერ ძაბავდა. მუშნის ესმოდა როგორ ლაპარაკობდნენ ვილაყეები რაღაცაზე, გარეთ. მან დაინახა როგორ ჰოპენა ცხენი უკან იმ თუშმა, წელან რომ შური აღუძრა გულში, მერე დაინახა როგორ შემოვიდა ის სასადილოში, ცალ ხელში მათრახი ეჭირა, გულგაღებლი, გადმოშვებული ხალათი ეცვა, ზედ ქამარი ჰქონდა შემორტყმული, ფეხებზე კობტა ჩექმები ამოეწკიბა. მოკლე, ლამაზი უღვაში და შავი, ხუჭუჭა თმა უშშვენებდა სახეს. პირდაპირ თვალეზში მიაჩერდა მუშნის, მერე მოჭეიფეებს რაღაც უთხრა და მათკენ გაემართა. იმათაც რაღაც უპასუხეს, მაგრამ მუშნის არაფერი ესმოდა, არ ჰქონდა იმისი თავი, რომ ყური დაეგდო რას ლაპარაკობდნენ. მხოლოდ ამ კაცების სახის გამომეტყველებაზე ხედებოდა, რომ საუბარი მხიარული იყო.

ამასობაში გაფიცებული ხინჯალი მოუტანეს და წინ დაუდგეს. მუშნი უაზროდ დასცქეროდა თეფშს; ეზარებოდა ქამა, თუმცა ძალიან შიოდა. მარცხენა ხელით აიღო ხინჯალი და ამ დროს იგრძნო, რომ ეძახდნენ. საკუთარ თავში, თუ განწყობაში ჩაძირულს ხმა არც კი გაუგონია, უცნაური ინტუიციის წყალობით მიხვდა, რომ მას მიმართავდნენ, საფრთხის მოლოდინით დამფრთხალი ნადირივით ერთ წამში დაიძაბა, გამოფხიზლდა იმ რულიდან, რომელიც დაუფლებოდა და სწრაფად ასწია თავი. ახალგაზრდა თუში ფეხზე წამომდგარიყო და ხმამალა ეუბნებოდა:

— მარტო კაცი ქამაშიაც ბრალია; მობრძანდი, ყმაწვილო, ჩვენთან, დაგვეწვიე.

ნამალადვე ღიმილი გამოესახა მუშნის ტუჩებზე. ნელა წამოდგა და მოპირდაპირე მაგიდისკენ გაემართა. უარის თქმა ეუბნებოდა, პატივის თავიც არა ჰქონდა, თორემ მარტო ყოფნა ყველაფერს ერჩინა. ახლოს მისულმა თავაზიანად დაუკრა თავი უცნობებს და სკამიც დაუდგეს. მუშნი უსიტყვოდ დაჯდა.

— თქვენი სახელი? — ჰკითხა ახალგაზრდა ლამაზმა თუშმა, რომელმაც



სუფრასთან მოიბატონა და რომელიც იმთავითვე მოეწონა.

— მუშნი.

— მუშნი? — გაიმეორა ლამაზმა თუშმა და რაღაც უცნაური ეჭვი გამოეხატა სახეზე. — ქართველი ბრძანდები?

— დიახ!

— ასეთი სახელი ვერ არ მსმენია.

— აფხაზური-სახელია.

ეს განმარტება ახალგაზრდა თუშმა საესებით საკმარისად მიიჩნია.

— მე კვირია მქვია, — თქვა მან.

ამასობაში ერთმა ჰალარაშერეულმა სუფრის წვერმა, რომელსაც სხევებისა-

გან განსხვავებით თავზე თუშური ქუდი ეხურა და ხელებზე, ბეჭებზე და საერთოდ ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ძალიან ძლიერი აგებულებისა უნდა ყოფილიყო, ჩაის ჭიქა აუვსო და წინ დაუდგა.

— დაილოცე, ძმისწულო! — ბოხი ხმით მიმართა და რატომღაც მუშნიმ გაიფიქრა, რომ ის ძალზე კეთილი კაცი იქნებოდა.

მუშნიმ დალოცა სუყველა და ერთბაშად გადაჯრა. მერე შეამჩნია, რომ ყველანი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ, რადგან მარცხენა ხელით ჰამდა, ჭიქაც მარცხენა ხელით ასწია, მაგრამ არავის არაფერი უკითხავს. მუშნის ჰკითხეს, პირველად ხარ თუშეთშიო? და მუშნიმაც უბასუხა, რომ პირველად იყო. მეორე ჭიქით მუშნის სადღეგრძელო დალიეს, მაგრამ ისევ არავის უკითხავს თუ ვინ იყო, რა კაცი, ან რატომ იყო აქ ჩამოსული. მუშნის მოეჩვენა, თითქოს ამ ხალხმა ყველაფერი იცოდა მის შესახებ.

მესამე ჭიქას როცა სვამდნენ მუშნის თავბრუ დაეხვა, თვალებიც აემღვრა, ისე გამოეთიშა სინამდვილეს თითქოს აქ, მაკიდასთან არც კი იჯდა, მაგრამ ერთბაშად ატეხილმა ქრამულმა გამოაფხიზლა და დაინახა, რომ სასადილოში ვიღაც ლამაზი ქალიშვილი შემოსულიყო და მოჭედიფებს თავზე წამოდგომოდა.

— მოდი, თაფლო, დაჭექი! — ენატრებოდა კვირია, მაგრამ ქალე უარობდა.

— ღვინოს არა სვამ! — ამბობდა ეცხ, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ დაჯდებოდა, იმდენად უშუალოდ გრძნობდა თავს ამ მამაკაცების საზოგადოებაში.

— მამაშენის შვილი ღვინოს არა სვამდეს, სირცხვილია! — როხროხებდა ჰალარა გოლიათი. ის ფეხზე წამომდგარიყო — უზარმაზარი, ვეებერთელა, მართლაც გოლიათს ჰგავდა. ნიჩბისოდენა ხელებს მოუხეშავად იქნევდა. „რამოდენა დათვია“, — გაიფიქრა მუშნიმ უცნაური სიყვარულით.

— თქვენ ცოტათი ვერ ჩაიწვეით? — თითქმის გამომწვევად, ზედმეტად თამამად უთხრა მუშნის თაფლომ და ზემოდან დააცქერდა.

მუშნი კვირიასაკენ ჩაიწია, თაფლომ სკამი დაიდგა და მუშნის გვერდით დაჯდა. სასადილოში უკვე ბნელოდა, დახლიდარმა სანთელი აანთო. თაფლომ საესე ჭიქა აიღო.

— ღმერთი შეგეწიოთ, — მოკლედ თქვა მან და ვაჟკაცურად, სულმოუთქმელად დაცალა.

— შენს ქალობას გაუმარჯოს! — აღტაცებით წამოიძახა გოლიათმა, რომელიც ისევ დაჯდა.

თაფლომ ლუკმა დააყოლა ღვინოს და თქვა:

— ამ ახალგაზრდას ვერ გამაცნობთ? — და ისევ პირდაპირ თვალეშში შეხედა მუშნის.

მუშნი ნახევარი ტანით მიბრუნდა მისკენ, თავისი სახელი უთხრა და მარცხენა ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— ჰაა, თვალში ხომ არ მოგივიდა ჩვენი სტუმარი? — ჩაიხარხარა გოლიათმა.

უცებ თაფლოს გულიანი სიცილი წასკდა, მუშნის ეგონა, რომ გოლიათის ხუმრობაზე გაეცინა, მაგრამ მერე თაფლომ შუბლი შეკრა, პაერში გაწვდილ ხელზე დახედა და მკაცრად უთხრა:

— თქვენში ზრდილობაზე ზერელედ არიან?

ერთბაშად მუშნი ვერც კი მიხვდა რას ეუბნებოდნენ, რამ გაანაწყენა ეს ქალოშვილი. ის ხედავდა, რომ ყველას ელაიებოდა, მაგრამ თან ინტერესით შემოსტკეროდნენ. მერე მუშნი მიხვდა.

— ბოდიშს ვიხდი, მარჯვენა ხელი ნაღრძობი მაქვს.

— ახ, ნაღრძობი გაქვთ? მაშინ გეპატიებათ, — რბილი დაცინვით უთხრა თაფლომ, ისევ გაეცინა და თვითონაც მარცხენა ხელი ჩამოართვა: — რა დავგემართათ?

მუშნი გრძნობდა, ქალი ხუმრობის გუნებაზე იყო, მაგრამ გრძნობდა იმასაც, რომ ეს კითხვა სხვებსაც აინტერესებდათ და ამიტომ მამაკაცებს მიმართა:

— გუშინ ცხენიდან გადმოვვარდი და ვიღრძე...

— თუ ცხენზე ჯდომა არ შეგეძლოთ, არც უნდა დამჯდარიყავით, — ისევ უკბინა თაფლომ, მაგრამ მუშნის არ სწყენია. ამ დროს კვირიამაც დაუყვირა თაფლოს და გააწყვეტინა:

— აბა, გეყოფა ტიკტიკი!

— შენ ვინ გეკითხება?

— მკლავი ამოვარდნილი გაქვს? —

შეეკითხა კვირია მუშნის და მხარზე ფრთხილად დაადო ხელი. მას ყურადღება აღარ მიუქცევია ქალისთვის.

— არა, უპასუხა მუშნიმ, — მაგრამ ძალიან გასიებულია და მტეხს. მგონი სიცხტე მომცა.

მუშნის ის ტკივილი მოაგონდა, რომელიც განიცადა ცხენიდან გადმოვარდნისას და თვალები მოხუტა.

— ხვალ დიდუდაჩემთან წავიყვან. მაგის მალამო მთელ თუშეთში განთქმულია. ერთბაშად მოგარჩენს.

კვირიას სიტყვები სხვებმაც დაადასტურეს. მუშნიმ მადლობა გადაუხადა.

მერე კიდევ თითო ჭიქა დალიეს. უცნაური სიმძიმე ტყვიასავით ჩაედვარა მუშნის სხეულში. თვალების ვახელა უნდოდა, მაგრამ ვერ ახელდა. უნდოდა ბოდიში მოეხადა, წამომდგარიყო და გასულიყო გარეთ, სუფთა ჰაერზე, მაგ-

რამ ენას ვერ აბრუნებდი. იჭდა სკამზე და საღაღაც შიგნით ყველაფერი ტრიალებდა, აღმა-დაღმა ქანაობდა. მერე წინააღმდეგობის უნარიც და სურვილიც დაეკარგა. ყველაფერი გაქრა, როგორც საგნები ქრებიან ხოლმე ერთბაშად წამოსულ ბურუსში.

3

მუშნიმ მაგიდაზე დადო თავი და მკვდარივით დაეძინა. მას არ გაუგია როგორ წამოიწყო სიმღერა ქალარა ვოლიათმა, სახელად ვოთამ.

„ჰაიდა ვოთა, ვოთაო,

როდისღა მახვალ გონთაო?!“

მუშნის არ გაუგია, როგორ დასცილდა თაფლო: კაცო ნუ ხმაურობთ, ეს ყმაწვილი არ გააღვიძოთო. არ გაუგია, როგორ წამოიშალნენ, ბოლოს და ბოლოს, მოქიფიფები, რადგან დილით ყველას საქმე ელოდა. არ გაუგია, როგორ შეიყვანეს ვიწრო, ბინძურ საკუქნაოში და დააწვინეს კედელთან მღვარ მონჯღრეულ ტახტზე. ირგვლივ კი თაროებსა და იატაკზე ჭუჭყიანი სპილენძის ქვაბები და გაურეცხავი ჭურჭელი ეყარა. კედელზე რაღაც ძველმანები ეკიდა. მუშნის არ ესმოდა რას ლაპარაკობდნენ კაცები, როცა დასტკეროდნენ მას, ტახტზე მიკუნტულს, რაღაცნაირად უმწეოს, ამ უმწეობით შესაბრალისს. არც ის გაუგია, კაცების გასელის შემდეგ, როგორ ფრთხილად, — ხელი რომ არ სტკენოდა, — ვახადა თაფლომ პიჯაკი და ზემოდან დააფარა. მაგრამ მაინც ეტკინა ხელი და წამოიკენესა, რაღაც თქვა, დაელაპარაკა თაფლოს, იცნო კიდევ ერთი წამით, მაგრამ იმავე წამს მიავიწყდა, მინებდა ძილს, ჩაეფლო მის ბანჯით გაედღნთილ ბურანში.

მუშნის არ გაუგია, როგორ გავიდნენ გარეთ ყველანი, გაიკეტეს კარები და დიდი ბოქლომი დაადეს კარებს. ის დარჩა მარტო ვიწრო, ბნელ ოთახში. გარეთ კი ვარსკვლავებით მოქედილი ცა დასტკეროდა ქვეყანას. ხანჯლის გაეღვება-

საერთო სწყდებოდა ზესკნელს ზოგჯერ რომელიმე ცთომილი და ქრებოდა უკუნში უმაღლე. ბნელი მთების ცივ დუმილში ისმოდა მინდორზე გაფანტული ცხენების ფრუტუნნი, მაგრამ მუშნის არ ესმოდა არაფერი. ოთხ კედელში მომწყვდეული, თავისი ბედის სალტეებით შეებოჩილი, იწვა მარტო. მარტობა იყო მისი ხვედრი საერთოდ და მარტო იყო ახლაც. მარტობას თავისი დალი დაემჩნია მის სახეზე. ოცდასამი-ოცდაათი წლის ქაბუკს ცხოვრებაში გამობრძმედილი კაცის ნირშეუცვლელი, მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა უკვე. მაგრამ თანდაყოლილი სიხალისე თუ ახალგაზრდული უდარდებლობა ზშირად ურბილებდა ბედის სიმკაცრით გამოწვეულ ფხიზელ სიმტკიცეს და ზოგჯერ, შორეული სიყრმის ბურუსიდან უკუნობილი გულუბრყვილო იმედიანობა ხდებოდა მისი ნიშანთვისება.

ახლა მას ეძინა. თაფლო ესიზმრებოდა. თითქოს ხელიხელჩაკიდებულნი, სადღაც უკიდევანო მინდორზე მიაბიჯებდნენ ნელ-ნელა. თაფლოს ხელიდან უზარმაზარი სითბო გადმოდიოდა მის სულში. წარმოუდგენლად უყვარდა თაფლო და გრძნობდა როგორ უყვარდა თაფლოსაც. მინდორი კი არ თავდებოდა და მუშნის თავისუფლება ამ მინდორით უსასრულოდ გრძელდებოდა. მუშნის ეძინა და ბედნიერი იყო. ეტყობა, დაღლილი სხეული და სული სიზმრის სამყაროში ეძებდა და პოულობდა იმ ზრუნვასა და სითბოს, რომელიც ცხადში აკლდა.

## 4

როცა გამოეღვიძა გათენებული იყო. სარკმლიდან შემოსული სინათლე ანათებდა ირგვლივ უწესრიგოდ მიმობნეულ ჯამ-ჭურჭელს. ოთახში ფსუტის სუნი იდგა. ამ სუნით და ჭუჭუიანი ჭურჭლის მიხედვით მიხვდა სადაც იმყოფებოდა. მუშნის არ ახსოვდა როდის და როგორ შემოვიდა აქ, ვინ შემოაიყვანა

და ამიტომ შერცხვა საკუთარი თავის. შერცხვა, რომ გრძნობის დაკარგვამდე დამთვრალა, თუმცა ბევრი არ დაფლევია. ასეთი დათრობა იმის შედეგი იყო, რომ წინა ღამე უძილოდ გაატარა ზის ქვეშ მჯდარმა, კინალამ გაიყინა. ახლა ჩუმად იწვა ტახტზე და რცხვენოდა. მაგრამ როცა სირცხვილის გრძნობამ ასე თუ ისე გზაუარა, მიხვდა, სხეულს დაესვენა. თავს უკეთ გრძნობდა. იფიქრა, იქნებ მზრის ტყვილიც გამიჭრაო? ხელის აწევა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. ისეე შემოუტია ტყვილიმა, არ დაანება. ფეხები გაქიმა და ჭუჭუიან ჭერს მიაჩერდა. ბუზები გულის გამაწვრილებლად, ნერვების მომშლელად ბზფოდნენ. მეორე ოთახიდან მამაკაცის ხმა ისმოდა. იცნო იმ უშნო, უღაზათო დახლიდარის ხმა და კიდევ ერთხელ შერცხვა. ახლა, როცა გარეთ გავიდოდა, ის დახლიდარი ალბათ აგდებულად, ამრეზილად შემოხედავდა, გუშინ კი ამას ვერ ვაბედავდა.

მაგრამ რა ექნა? რაც იყო—იყო! ტახტიდან წამოდგა. უცბად წუხანდელი სიზმარი მოაგონდა. მოაგონდა როგორ უყვარდა ძილში თაფლო, როგორ უყვარდა თაფლოსაც. რა ტკბილი იყო ის შეგრძნება! მაგრამ ახლა, ცხადში, როცა გათენდა და სინამდვილემ გაფანტა, გაქრო ძილის სამყარო, ისე დაწყდა გული, თითქოს რაღაც დაჰკარგა. მიხვდა, თაფლო არ იყო იმ სიამოვნების, იმ სიტკბოს მიზეზი, რომელიც მოულოდნელად განიცადა. ეს სინაზე თვითონ მასში იყო, თვითონ მუშნისში, მის არსებაში მოქცეული და სიზმარში წასულმა თაფლოს მისცა, თაფლოს მიაკუთვნა, სხვა არსებისგან წარმოქნილად წარმოიდგინა. ამიტომაც მიიღო უდიდესი სიამოვნება. სინამდვილე კი სხვაგვარი იყო. ცხადში თაფლო არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი, როგორც მას მუშნი შეიგრძნობდა ძილში.

მუშნიმ პიჯაკი აიღო და მოიხურა, მაგრამ სანამ სახელოში მკლავს გაუყრიდა, პიჯაკი რაღაც მსუბუქი ეჩვენა. ჯი-

ბებებზე მოისვა ხელი და აღმოაჩინა, რევოლვერი აღარ იყო. ეს ამბავი გაუკვირდა, იფიქრა ხომ არ გადმომივარდაო. ტახტის ქვეშ შეიხედა, რაღაც ჭიანჭები გამოათრია და ძებნა დაუწყო, მაგრამ ვერ იპოვა. სრულებით არ ახსოვდა ვინ ვახადა პიჯაკი და დაფარა ზემოდან. ცუდ ხასიათზე დადგა. კიდევ უფრო გაბრაზდა საკუთარ თავზე. ძლიერ ეწყინა რევოლვერის დაკარგვა და გუშინდელი ქეიფის მოგონება ერთი-ორად უფრო უსიამოვნო ვახდა.

კარები გამოაღო და იმ ოთახში შევიდა, სადაც წუხელის სემდნენ. სასადილოს კარებიც ღია იყო და მზით განათებული, ცერიაანი მინდორი მოჩანდა. ის მაგიდა, წუხელ რომ უსხდნენ, ჯერ კიდევ არ აელაგებინათ, დახლიდარი სადაც გასულიყო. მუშნი გარეთ გამოვიდა და კიბებზე დახლიდარს შეეჩხვა. მას საქმიანი კაცის სახე ჰქონდა. ერთმანეთს მიესალმნენ. მუშნის დანახვავზე დახლიდარს არც კი გაჰღივებია. ოღონდ ისევ სერიოზული კაცის სახით და მეგობრული კილოთი ჰკითხა, როგორ გეძინაო? მუშნიმ უპასუხა კარგადო. პიჯაკი მარცხენა ხელზე ჰქონდა გადაკიდებული და ცოტა სციოდა. დილის სუსხი ჯერ კიდევ არ განელებულიყო. მუშნიმ ჰკითხა დახლიდარს რამე ხომ არ გიპოვინაო. ის ოთახში შევიდა და მუშნიც შეჰყვა.

— რა უნდა მეპოვნა?

— რა ვიცი?.. ხომ არაფერი გიპოვინა ამ დილით... ან წუხელ?

— დაჰკარგე რამე?

— ჰო,

— ფული?

— არა, სხვა რაღაც.

დახლიდარმა იატაკი მიათვალ-მოათვალა.

— აბა რა ვიცი? არაფერი არ მინახავს.

მუშნი თვალეში უყურებდა დახლიდარს. მას კარტუზიანი ქუდი ეხურა, სახეზე წვერი ამოსვლოდა. ეშმაკურად თვალეში ჰქონდა, მაგრამ მუშნი გრძნობდა,

რომ ამჯერად მართალს ამბობდა. დახლიდარი საკუჭნაოში შევიდა, სადაც მუშნის ეძინა და იქაურბაძე მიათვალ-მოათვალა.

— საბუთებია?

— ჰო, არი რაღაც...

— იქნებ იმ ბიჭებმა იპოვეს, იმათ უნდა ჰკითხო.

— სადა ენახავ იმათ?

— რა ვიცი, აბა? — ჩაფიქრდა დახლიდარი, — კვირია და გოთა ამ დილით ცხვარში წავიდნენ...

მუშნის მოაგონდა, რომ კვირია დიდდელასთან წაყვანას დაპირდა და რომ გაიგო ცხვარში წასულიყო, უსიამოვნო ექვემა გაჰკრა გულში. ის კი არ უფიქრია, რომ მაინცდამაინც იმან ამოუღო რევოლვერი, მაგრამ შენაპირები რომ დავიწყნია, არ მოეწონა. „რაღას მპირდებოდა, კაცს ველარ უნდა ენლო?“ — ფიქრობდა მუშნი და ბუნდოვანი ექვეები იბყრობდა.

— კარგი, რაც არი — არი! — თქვა მან.

— იქნებ სხვაგან დაჰკარგე და არ გახსოვს. წუხელის მაგრა დათვერი, — რაღაც თანაგრძნობის მსგავსი ღიმილით უთხრა დახლიდარმა.

იმ წუთამდე, სანამ მაგიდასთან ჩამოეძინებოდა, ყველაფერი ნათლად ახსოვდა. ამაზე ლაპარაკი აღარ ღირდა.

მუშნი გარეთ გამოვიდა. მზე კარგა მაღლა ამოსულიყო. ბალახზე ნამი ბრწყინავდა. ქვის შენობასთან ისევ მოგროვილიყვნენ ბალღიანი დედაკაცები. მინდვრის შუაგულში, ბარგთან შეკრებილი კაცები ისევ ხმაურობდნენ. ცა მოწმენდილიყო, ღრუბლის ფთილაც არსად ჩანდა. „დღეს მაინც იქნება ფრინა“, — ემაყოფილებით გაიფიქრა მუშნიმ. მზემ კარგ ხასიათზე დააყენა. ხალხს შეერია, იქნებ ვინმე გუშინდელი ნაცნობი შემხედვესო. იმედი ჰქონდა, რომ რევოლვერის ამბავსაც გაიგებდა და იმასაც თუ ვინ შეიყვანა საკუჭნაოში, მაგრამ თან რცხვენოდა თავისი სიმთვრალის დაჯარავის შეხვედრა არ უნდოდა.

თერთად შედგებოდა ფიცრულთან, სადაც ვერტმფრენის ბილეთებს ჰყიდდნენ, მფრინავის ქუდიანი კაცი, — ფეხზე თუ-შური ჩითები ეცვა, — აქაური აეროდრომის უფროსი დანახა და ხმამაღლა ჰკითხა, ფრენა თუ იქნებაო. მან უბასუხა: აუცილებლად იქნებაო. მუშნის შე-შურდა, რომ ამ კაცისთვის სულერთი იყო იქნებოდა ფრენა თუ არა, რადგან თვითონ არსად არ ეჩქარებოდა.

წყაროსკენ გაემართა, ნელა ჩავიდა ხევში. იქ არავინ დახვდა. ვილაცის წყალობით შემსუბუქებული პიჯაკი ქვაზე დადო და მარცხენა ხელით პირი დაიბანა. ცივი წყლით დაიბილა მკერდი. სიგრილისგან ტანზე დაბუბრებულა, მაგრამ ენერჯია და ხალისი მოემატა. კიდევ ერთხელ სცადა მტკივანი ხელის ამოძრაება, მაგრამ ვერ შესძლო.

როდესაც უკან დაბრუნდა, ერთსართულიან ქვის გრძელ სახლთან, ხალხში თავლოს მოჰკრა თვალი. წუხანდელი სიზმრის განწყობილება ერთბაშად გაცოცხლდა და ისე ააღელვა ამ ქალის დანახვამ, თითქოს ის, რაც სიზმარში განიცადა, სინამდვილე იყო. თავლო ვილაც კაცს ელაპარაკებოდა, რომელიც ზურგით იდგა მუშნისკენ. მუშნის შერცხვა. ისევე გუშინდელი საღამო მოაგონდა და დროის ის მონაკვეთი, რომელიც გამჭრალიყო მისი ცნობიერებიდან, გულზე სატანჯველივით დააწვა. ეს ქალი უცქერდა ალბათ მამინ, როცა გონება დაბინდული ჰქონდა და დღეს არც კი იცის რას ამბობდა, როგორ იქცეოდა, ისიც კი არ ახსოვს, როგორ აღმოჩნდა საკუქნაოში. ამის გაფიქრებაზე ძალიან შერცხვა. გადაწყვიტა თავლოს არიდებოდა, თუმცა თავლოსაგან შეიძლებოდა იმის გაგება, თუ როგორ დამთავრდა გუშინდელი საღამო; იქნებ რევოლვერზეც გაეგო რამე, მაგრამ არ ღირდა. ოღონდ დროზე გაესწრო აქედან და რევოლვერი აღარ ედარდებოდა. შემობრუნდა, ის იყო გაიფიქრა უკანიდან შემოვუვლი ამ შენობას და მინდვრის ბოლოში დაეჯდები, რათა ამ ქალმა არ

დამინახოსო, რომ ძახილი შემოესმა:

— მუშნი!

მუშნი

თავლოს ხმა იყო. უსიამოვნესობით თავლო ეძახდა. ეტყობა ქალმაც შენიშნა, თუმცა არ შეუშინებია. მუშნი შემობრუნდა და უცებ ის კაცი იცნო, ვისაც თავლო ელაპარაკებოდა. მუშნის თანამშრომელი იყო, ექსპედიციის ახალგაზრდა გეოლოგი, სულ რამდენიმე წლით უფროსი მუშნიზე, რომელსაც სახელად ლადო ერქვა. ჩემი, წყნარი კაცი იყო, მუშნის გაუხარდა მისი დანახვა, მაგრამ თან გულმა უგრძნო, რაკ ის აქ იყო, მისგან სასიამოვნო ამბავს ვერ გაიგებდა. როცა მიუახლოვდა, ლადო ისეთი ტრაგიკული, გაოგნებული სახით მიესალმა, რომ კინაღამ გაეცინა, თუმცა საბოლოოდ დარწმუნდა, საქმე ცუდად იყო. მაგრამ პირველად ის გაიფიქრა, ნეტავ საიდან იცნობსო თავლოს. ლადო ისეთი მორიდებული კაცი იყო საერთოდ, რომ უცნობ ქალს არავითარ შემთხვევაში არ გამოელაპარაკებოდა. ეტყობა ადრევე იცნობდა თავლოს, რადგან ყოველწელიწადს აქ ჩამოდიოდა; ალბათ არც თავლო იყო თუ შეთში პირველად.

მუშნის არ უყვარდა, როცა მოულოდნელობისაგან ისე დაიბნევიან, ისე გამოლენჩდებიან, რომ საკუთარი თავის კონტროლს კარგავენ. ლადო გამოყვეყნებული სახით, პირდაღებული შესცქეროდა მუშნის და სრულებით არ მორიდებია უცხო ქალიშვილს ისე დაუწყო ლაპარაკი:

— მუშნი, შენი საქმე ცუდად არის. ერთი საათის წინ ბარში რადიოგრამა გავაგზავნე, უფროსმა გამომიშვა, შეატყობინეო. ბარში აეროდრომზე მილიცია გელოდება. შეიძლება აქაც გამოაგზავნონ მილიციელები ვერტმფრენით. რომ მკოდნოდა ჯერ კიდევ აქა ხარ, არ ვაგზავნიდი. რატომ არ წახვედი?

— ფრენა არ იყო, — გაბრაზებით უთხრა მუშნიმ. ყოველივე ის, რაც ლადომ შეატყობინა მოულოდნელი არ იყო მისთვის. მან რატომღაც წინასწარ

იცოდა, რომ ზუსტად ასე მოხდებოდა და აი, აუხდა კიდევ წინათგრძნობა. მუშნიმ თავლოს შეხედა. მიხედა, ეს ქალიშვილი ყურდაცქვეტილი უსმენდა მათ, თუმცა ისეთი სახე მიიღო, თითქოს სრულებით არ აინტერესებდა ეს საუბარი.

ლადომ შეამჩნია, რომ მუშნი გაბრაზდა და ეს როგორც ჩანს, რადიოგრაფის გავზავნით გამოწვეულ უკმაყოფილებას მიაწერა და არა იმას, რომ მუშნის აღიზიანებდა მისი უადგილო ყბედობა უცხო ქალიშვილის თანდასწრებით, რომელსაც სულ არ იყო საჭირო სცოდნოდა თუ რა შეემთხვა მუშნის.

— ჩემი ბრალი არ არის, — თავის მართლება დაიწყო ლადომ, — რომ მცოდნოდა აქა ხარ, არ გავაზავნიდი. ეკ, შენ რა გითხარი, მე უკვე წასული მეგონე.

მუშნის გაცეცხა. რასაკვირველია, ის ლადოს დამნაშავედ არ თვლიდა.

— ახლა რას იზამ? — ჰკითხა ლადომ.

— არაფერს, — მშვიდად უპასუხა მუშნიმ და ისევ თავლოს შეხედა. დაფარული ინტერესი ღიმილად გამოკრთოდა ქალიშვილის სახეზე, მაგრამ მაინც ცდილობდა გულგრილი, უყურადღებო ადამიანის ნიღაბი შეენარჩუნებინა.

— რომ დაგიჭირონ? — ჰკითხა ლადომ.

პირველად შეიგრძნო, რომ ის, რაზედაც ფიქრობდა უკანასკნელი ორი დღე, ის, რასაც დანამდვილებით ელოდა, რეალობად შეიძლება გადაქცეულიყო დღესვე და ცოტა არ იყოს დაიბნა, რადგან გადარჩენის იმედს გულის სიღრმეში მაინც ატარებდა და ვინაიდან ვერავითარ გამოსავალს ვერ ხედავდა ახლა, ამ თემაზე საუბარი არ ესიამოვნა. მუშნის ხმა არ ამოუღია.

— რას იზამ მუშნი?

მან არ იცოდა რას იზამდა და ამიტომ არც ახლა უპასუხა. დრო იყო საჭირო, რომ რამე მოეფიქრებინა.

— კაცმარომ თქვას, ვერაფერს ვერ

გზამენ, შენ მართალი იყავი. მაგრამ მაინც, რევოლუერის სროლა არ ვაპატიებენ.

— აუცილებლად ეგრე იქნება.

— თუმცა ჭრილობა ძალზე მსუბუქია...

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა.

— რას იზამ?

— ხელი რომ არ მტკიოდეს რამეს მოვიფიქრებდი... ახლა ფიქრის თავი არა მაქვს.

— სხვათაშორის მე თქვენ გელოდებით, — უთხრა ამ დროს თავლომ, — კვირიამ დამავალა, რომ დიდდამისთან მიგიყვანოთ. აღარ გახსოვთ?

თავლო მკაცრი ხმით ლაპარაკობდა, ახალგაზრდა მასწავლებლებს რომ ახასიათებთ ზოგჯერ. ამ ქალს, რომელსაც ეტყობოდა ბუნებით მზიარული, ლობიერი ხასიათისა უნდა ყოფილიყო, ერთი შეხედვით მიუკარებელი, მკაცრი იერი ჰქონდა. მუშნის არ სიამოვნებდა, რომ მთელ ამ საუბარს ყურს უგდებდა თავლო, მაგრამ ხომ ვერ ეტყოდა წადი აქედანო?

— მახსოვს, — თქვა მან.

— თუ გინდათ წამოდი, მე ახლა სწორედ იმათსა მივდივარ.

მუშნის ესიამოვნა, რომ რაღაც საქმე გაუჩნდა, რომ სადღაც იყო წასასვლელი. შეუცნობლად უნდოდა დრო მალე გასულიყო. როდესაც მინდორზე გვერდით მიყვებოდა ქალს, იმაზე ფიქრობდა თუ როგორ დაედწია თავი ამ მდგომარეობიდან. მაგრამ ვერავითარ გამოსავალს ვერ ხედავდა. მას სიამოვნებდა, რომ ლადომ არ თვლიდა დამნაშავედ, თუმცა ეს მუშნის მდგომარეობას სრულებით არ ცვლიდა. მუშნიმ არ იცოდა რა მოემოქმედნა. ლადოს იმედი, რომ ვერაფერს ვერ უზამდნენ, არ ამხნევებდა, თუმცა სიამოვნებდა. ახლა მისთვის, ცხადია, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იქნებოდა თუ არა ფრენა, სულ რაღაც ხუთი წუთის წინ ყი ამაზე მნიშვნელოვნად არაფერი მიაჩნდა. ეს გზა მისთვის უკვე დაკეტილი იყო, უცბად

შეიცვალა ყველაფერი. მაინც კარგი იყო, რომ თავლოს მიყვებოდა სადღაც და გადიოდა დრო, რომლის განმავლობაში ნიადაგგამოცლილი კაცივით უმწეო იყო. არავითარი გადაწყვეტილება არ მოსდიოდა თავში. ისეთ მდგომარეობაში იყო, როცა სხვისი რჩევა ძალზე სჭირდება კაცს, მაგრამ მრჩეველი არავინ ჰყავდა. როგორც ყოველთვის ახლაც მართო იყო. გარინდული მოდიოდა, მაგრამ სინამდვილეში არაფერზე არ ფიქრობდა. მას არც კი შეუქმნევია, ვეტერინარულ პუნქტთან, როგორ გაჩერდა თავლო და ვილაცხვებთ საუბარი გაუმართა. მუშინი მექანიკურად გააგრძელა გზა და მხოლოდ კარგა დიდი მანძილის შემდეგ დაიცადა. ამ ხნის განმავლობაში ცხოველივით შეიგრძნობდა, რომ რაღაც უნდა ელონა, მაგრამ რა? — არ იცოდა. „რაღაც უნდა ელონო“, — ეს იყო მისი შეგრძნება. ფიქრი, კონკრეტული აზრი არ მოსდიოდა.

თავლო დაეწია.

— თქვენში ქალების პატივისცემა არ იციან? — უკმაყოფილოდ იკითხა მან.

— იციან.

— მაშ რას გარბიხარ, ვერ დაიციდი? მუშინი ბოლიში მოიხადა.

მერე ბილიკი ტყეში შევიდა. გზა ხევში ჩადიოდა, საიდანაც მდინარის ხმაური ისმოდა. მუშინი უკან მიყვებოდა თავლოს და თანდათან მოსწონდა ეს ქალიშვილი, რომელიც ქურციკივით მიხტოდა. ქვებზე და დიდი, გამოცდილი ქალივით მკაცრად, თამამად ლაპარაკობდა. ისევ შავი კაბა და ლამაზი, კრელი ჩითები ეცვა. რაც უფრო დიდხანს უყურებდა ამ ქალიშვილს, მით უფრო იზყრობდა ის ყურადღებას და ინტერესს, და ახალ გარემოში შემოსული მუშინი თავისთვის შეუმჩნევლად სცილდებოდა წელანდელ საზრუნავს და თანდათან წუხანდელი სიზმრის განწყობა ეუფლებოდა, ცოცხლდებოდა ის გრძობა, რომელსაც განიცდიდა ძილში თავლოს მიმართ.

კარგა ხანს ჩუმად მიდიოდნენ ღორ-

ლიან ბილიკზე. როცა ცოტაზე გაიფიქრეს, თავლომ დაუცადა და ჰკითხა:

— გახსოვს გუშინდელი საღამო?

— გახსოვს, — უპასუხა მუშინი, თუმცა, რა თქმა უნდა, სრულებით არაფერი ახსოვდა.

ქალმა დაფარა სახეზე მომდგარი ღიმილი, მაგრამ მუშინის ეს არ გამოპარვია.

— ყველას ასე სწრაფად უხსნი სიყვარულს?

„წუხელ, ნეტა, რას ვამბობდი?“ — გაიფიქრა მუშინი შეშფოთებით, მაგრამ ქალის ეშმაკურმა გამომეტყველებამ დაამშვიდა.

— მე სიყვარულს იმას ვუხსნი, ვინც ამის ღირსია, — თქვა მან და ქალს მარცხენა ხელი მხრებზე მოხვია.

ქალმა ხელი ჰკრა და ჯერღზე გახტა.

— აბა ქვეიანად იყავი, შენ ვინა გონივარ? — დაუყვირა მან, — ეგეთები არ იყოს, თორემ...

— თორემ რა?.. — გაეღიმა მუშინის.

— ძმობილო, მე საქმრო მყავს, — თქვა თავლომ და ვერ მოახერხა თავის შეკავება, მაინც გაეღიმა.

ქალის ღიმილმა მუშინი უფრო გაათამამა. ნაბიჯი წინ გადადგა, სახეზე აშკარად გამოეხატა საკუთარ თავში დარწმუნებული კაცის ღიმილი, მაგრამ თავლომ ისევ შემოუტია.

— ისეთს მოგდებ, ჩემო ძმაო, რომ შეიძლება შეორე ხელიც იღრძო.

მიუხედავად ამისა, ქალს მაინც ეცივნებოდა, და შემდეგ, როცა ქვემოთკენ მიდიოდნენ — თავლო წინ, მუშინი კი უკან, — ხანდახან ამოხედავდა და ჩუმად, თავისთვის ჩაიციენებდა ზოლზე.

მაგრამ ახლა მუშინის აღარ აინტერესებდა ეს ქალიშვილი. წუხანდელი სიზმრის განწყობა ისევ დაერღვა და წაუხდა გუნება. სინამდვილე სულ სხვაგვარი იყო. მიჰყვება უცნობ ქალიშვილს სადღაც, უცნობ სოფელში, არც კი იცის ვისთან მიდის, როცა დაბრუნდება დაიჭერენ, თუ აქ არ დაიჭირეს და, ვთქვათ, მოახერხა გაპარვა, სულერთია, ბარში

როცა ჩავა იქ დაიჭერენ. ხაფანგში გაბმული ნადირივითაა და კიდევ ქალებთან ლაზლანდარობის ხასიათზეა. იცნობდეს მაინც ამ ქალიშვილს წესიერად, ან იმ კვირიას მაინც იცნობდეს! სად დაკარგა რევოლვერი? არავინ არაფერს ეუბნება, თვითონაც ვერაფერს კითხულობს! საოცარ იდიოტად მიიჩნდა თავი, ეგონა, რომ გუნებაში თავლოც დასცინოდა. თანაც როგორ სტკიოდა მხარი? ამ თავდაღმართში სიარული აუტანელი იყო. „ხელს მოვიჩინე და წავალ, გამოვცხადდები სადაც ჭერ არს, აბა სად გავიქვე? — გაიფიქრა მან, — მაგრამ რო ჩამსვან?...“

აღრიალებულ მდინარესთან შეჩერდნენ, ხიდზე უნდა გადაევიდნენ და მერე აღმართს შესდგომოდნენ ტყეში. აღმართი საკმაოდ გრძელი ჩანდა.

თაფლომ დასვენება მოისურვა. ერთმანეთის პირისპირ, ქვებზე დასხდნენ. მდინარე გაცოფებული მორბოდა, მაგრამ მიუხედავად ხმაურისა მაინც სასიამოვნო იყო აქ ჯდომა.

— გტყვია ხელი? — ჰკითხა თაფლომ.

— ჰო, — უგუნებოდ უპასუხა მუშინი.

ქალი რატომღაც სახეს არიდებდა მუშინის და გაღმა ნაპირისაკენ იხედებოდა, თუმცა იქ მაინცდამაინც საინტერესო არაფერი ჩანდა ასწლოვანი ფიჭვების გარდა. შემდეგ თაფლომ უთხრა:

— გახსოვს, როგორ შეგიყვანეთ საკუქნაოში მე და კვირიამ წუხელის? ძლივს შეგათრიეთ. დალევა არ შეგძლებია, ძმობილო. მე ქალი ვარ და შენზე მეტი დავლოე.

— შენ და კვირიამ? — იკითხა მუშინი.

— ჰო!

— ჰო, მახსოვს!

— გახსოვს რას მეუბნებოდით კვირიას წასვლის მერე? — ქალის თვალებში უცნაურმა, ეშმაკურმა ნაპერწყლებმა იელვა.

— როგორ არ მახსოვს, სიყვარულს გიხსნიდი.

— გეტყობა დიდი მამამაღლი ვინმე ხარ! — გაიღიმა თაფლომ.

„არც შენა ხარ ნაკლები, — გაუფიქრე მუშინი, — აბა რატომ ცდილობ ისევ ამ თემაზე ჩამოავდო საუბარი?“

— რა ვქნა, უცბად შემიყვარდი, — თქვა მუშინი.

— აბა ისევ არ დაიწყო, თორემ...

— მე რა უნდა დავიწყო, შენ იწყებ...

— მე ვიწყებ? — წარბები შეჰკრა თაფლომ და სერიოზულად გაბრაზდა, — შენ ხომ არ აფრენ?

ქალის გაბრაზებულმა, მკვახე ხმამ უნებურად მუშინიც გააბრაზა. თან დაკარგული რევოლვერი მოაგონდა.

— აბა, რას დაგიჩემებია გახსოვს, გახსოვს... თუ გინდა სიმართლე არაფერიც არ მახსოვს, — წამოიძახა მან.

თაფლომ უცნაური საყვედურით შეხედა ვაჟს...

— ეგრეც ვიცოდი, რომ არაფერი არ გახსოვდა, — თითქმის წყენით და დაცინებით თქვა მან, — იმიტომაც გეკოტხებოდი.

5

როცა ხანმოკლე დასვენების შემდეგ აღმართს შეუდგნენ, მუშინი ისევ ჩამორჩა ქალს. თაფლო თითქმის მირბოდა ბილიკზე, მუშინისკი სწრაფად სიარული არ შეეძლო.

მუშინი უკვე იცოდა, რომ თაფლო კვირიას ახლადშერთული მეუღლის შექრუნას სკოლის ამხანაგი იყო. ამ ზაფხულს ხშირად აკითხავდა თავის მეგობარს და დღესაც უფრო ამ მიზეზის გამო გახდა მუშინის უნებლიე მეგზური. სწორედ ამიტომ არ ღირდა ამ ქალზე ფიქრი, თუმცა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ თაფლოსავით არავინ მოსწონებია. შეიძლება ეს წუხანდელი სიზმრის ბრალიც იყო. სიზმარიც ხომ ჩვენი ცხოვრებაა — განწყობილების გამომწვევი და ფიქრის აღმძვრელი? და თუ სიზმარი მალე ქრება და იფანტება დავიწყების ბურუსში, განა ასევე არ ჰქარ-



გავს მნიშვნელობას რეალური წარსული, რომლისგან ზოგჯერ მოგონებაც კი არა რჩება? რით განსხვავდება მოგონება სიზმრისაგან? არაფრით. ზოგიერთი სიზმარი კოუფრო მეტად აღელვებს სულს, ვიდრე რომელიმე თავსგარდახდენილი, ოდესღაც ნამდვილი ფაქტი. ამიტომ სიზმარიც სულის ცხოვრებაა, შეიძლება მხოლოდ ასტრალური, მაგრამ მიანიც ჩვენს არსში მოქცეული.

სიზმარივით აგონდებოდა ახლა მუშნის რუსეთში გატარებულ დრო. სამი წელი ვაატარა იქ, სამხედრო სამსახურში. სამხედრო ნაწილი პატარა, ქალაქში იდგა, დიდი მდინარის პირას. მუშნი შოფრად მუშაობდა, იქ შეისწავლა ეს ხელობა. მუშნის მოსწონდა პატარა ქალაქი და დიდი მდინარე. უცბად შეეთვისა აქაურობას, აქაურ ხალხსაც. კვირაობით, როცა სამსახურისაგან თავისუფალი იყო, კლუბში დადიოდა ცეკვებზე. იდგა ხოლმე კედელთან და სიამოვნებით უყურებდა ლამაზ, ახალგაზრდა ქერა გოგონებს, რომლებიც დაუღალავად ტრიალებდნენ დარბაზში აკორდეონის მუსიკის ტაქტს აყოლილნი. ცეკვების დამთავრების შემდეგ, სიმღერით მიდიოდნენ შინისკენ ქერა ქალიშვილები და დიდხანს ისმოდა მათი ვნების აღმძვრელი ხმა უსაზღვროდ გაშლილ სივრცეში. მუშნის სწყუროდა მათთან ყოფნა, აღიზიანებდა მათი თეძოების რხევა, ხარბად შესცქეროდა ხოლმე მოუუუუნე, ცისფერ თვალებს, მაგრამ თავილობდა უმიზეზოდ გამოლაპარაკებას და ჩუმად იდგა კედელთან, სანამ მისი ამხანაგები იწყებდნენ ხოლმე ამ გოგონებს საცეკვაოდ. მუშნის სიამოვნებდა მათი ცქერა, მათი კრიალა ხმის მოსმენა. ერთხელ, როცა ცეკვები მთავრდებოდა, დარბაზში გამოაცხადეს:

— Дамы приглашают кавалеров!

ნაცნობმა გოგონებმა მიიწვიეს თავიანთი თავყანისმცემლები. მუშნი მართოდ დარჩა. ამ დროს მოუახლოვდა ერთი მშვენიერი, ქერა ქალიშვილი და თავი დაუკრა. მუშნიმ ცეკვა არ იცოდა. გარ-

და ამისა, ყოველთვის ეცინებოდა თავისი ამხანაგების ცეკვას რომ უყურებდა: მძიმე ჩექმებში, ისინი ყველაზე მოლუბნავად დაბაჯბაჯებდნენ.

— მე არ ვცეკვავ! — თქვა მუშნიმ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ცეკვა არ ვიცი.

— ეგ არაფერია, მე გასწავლით.

— ძნელია.

— პირიქით, სულ არ არის ძნელი,

თუკი სურვილი გაქვთ.

მუშნი გაყვა ქალიშვილს და იმ საღამოს სახლამდე მიაცილა. მას ერქვა ტანია. ქმარს ერთი წლის წინ გასცილებოდა. ორი წლის გოგონა ჰყავდა, რომელიც ფაბრიკაში მუშაობდა. მისი თეთრი ქოხი ქალაქის განაპირას, მდინარის პირას იდგა. მთელი ორი თვე აცილებდა მუშნი ტანიას სახლამდე და ერთხელ მთელი ღამით დარჩა იქ. ამის შემდეგ ცეკვებზე სიარული შეწყვიტა. ახლა, როცა თავისუფალი დრო ჰქონდა ამ ქოხში მოდიოდა და დიდხანს იჯდა ხოლმე ტანიასთან. თანდათან შეეჩვია. ვერც კი იგრძნო ისე, ტანიას ნახვა მოთხოვნილებად გადაექცა. ზოგჯერ, როცა დიდი ხნით ვერ ნახავდა, აუტანლად ენატრებოდა და გაბრუნებული ფიქრობდა იმ დღეზე, როცა ისევ ნახავდა. მერე ჯარიდან გაათავისუფლეს, სამსახურის ვადა მოიხადა. დეკემბერი იყო, ციოდა, სად წასულიყო? გამზრდელი პაპიდა დიდი ხანია მძუცვდა, ვის მისდგომოდა კარზე? ან ვის გაუხარდებოდა მისი ნახვა? სად მიეჩქარებოდა? სამშობლოში მხოლოდ ცარიელი ოთახი ელოდა და პაპიდას ნივთები: საკერავი მანქანა, ძველებური ბუფეტი, მეტი არაფერი... არავითარი აზრი არა ჰქონდა უკან დაბრუნებას. მუშნი ტანიასთან დარჩა. გაზაფხულამდე ერთად იცხოვრეს. მუშნი შოფრად მოეწყო ამ პატარა ქალაქის ერთერთ საწარმოში. როგორ უხაროდა საიმუშაოს მერე შინ მოსვლა, ტანიასთან, თბილ ოთახში. ზამთრის უსაზღვროდ გაშლილ სივრცეში მოსჩანდა შორეული, დათოვლილი ტე-

რიკონები, და მიუხედავად იმისა, რომ ეს ლანდშაფტი უცხო იყო მისთვის, მაინც უყვარდა აქაურობა. არ აკლდა სითბო, ყურადღება, ზრუნვა, რასაც ასე მოკლებული იყო მთელი ცხოვრების მანძილზე. პირველად იგრძნო თავი მშვიდად, მყარად. მაგრამ როცა გაზაფხული დადგა, როცა გატყდა სუსხი და სითბომ გააღლო ჰაერი, სევდამ შეიპყრო. გულიდან ვერ იცილებდა უცნაურ დარდს, უცნაურ მოწყენილობას. რაღაცა ეძახდა უკან, თავისი წარსულისაკენ. ზოგჯერ დიდხანს იდგა ვეებერთელა მდინარესთან, რომელსაც დაემტვრია ყინულის ჯავშანი და სევდით გასცქეროდა სამზრეთისკენ მიმავალ გემებს. მეოთხე წელია არ ყოფილა სამშობლოში და უცნაურად მოენატრა ქართულად ლაპარაკი.

— დარჩი, მუშნი, — ტირილით ეხვეწებოდა ტანია, — შე და შენ ერთმანეთს მშვენიერად შევეწყობით, — მაგრამ მუშნის აღარ შეეძლო დარჩენა.

სამშობლოში დაბრუნების წინ იმედებით აივსო. დარწმუნებული იყო, რომ საქმეს კარგად მოაგვარებდა და ტანიასაც ჩამოიყვანდა; თუ არა და, თუ არ გაუმართლებდა, ბოლოს და ბოლოს ისევ უკან დაბრუნდებოდა.

— შენ აღარ დაბრუნდები, — ტირილით ეუბნებოდა ტანია.

— დავბრუნდები, — ამშვიდებდა მუშნი.

მაგრამ ამა, უკვე ორი წელი გავიდა და ვერც დაბრუნდა, საქმეც ვერ ააწყო. ახლა უფრო ტყბილად აგონდებოდა ტანია, მაგრამ სულ უფრო და უფრო იშვიათად ფიქრობდა იმაზე, სიზმარს დაემსგავსა განცდილი. უკვე აღარ ჯეროდა, რომ ყველაფერი ისევ ისე იყო, რომ ტანია ერთგულად უცდიდა. საკმაოდ დიდხანს დრო გავიდა, ყველაფერი გაქრა. იმაზეც კი დაიწყო ფიქრი, რაღა მაინც-დამაინც შეილიანი ქალი შევიერთო, ქალიშვილები ცოტანი არიანო? ერთხანს უნდოდა კიდევ დაბრუნება, მაგრამ საკუთარ სურვილებს და გრძნობებს წინ

აღუდგა, ახალმა ცხოვრებამ ჩაიხრია და გაქრა ძველი. ახლა აღარც უღირდა უკან დაბრუნება. უკვე აღარც ჰგონებდა ქალის ერთგულება, თუმცა პირველ ხანებში ხშირად იღებდა ტანიასაგან ხვეწნისა და მუდარის წერილებს. მაგრამ უკვე გვიან იყო. რომელი ახალგაზრდა ქალი დაგელოდება ორ წელიწადს? ცხოვრება ხანმოკლეა, დრო ისედაც სწრაფად გადის. ყველა ცდილობს, რომ რაც შეიძლება მეტი სიამოვნება წაგლიჯოს ცხოვრებას, სხვა არაფერი არა სწამს ხალხს. სიყვარულიც უცნაური რამეა. არავის არ უყვარხარ უმიზეზოდ, მხოლოდ შენი საკუთარი არსებობის გამო. თუ ვინმეს უყვარხარ — უყვარხარ მხოლოდ იმიტომ, რომ შენგან რაიმე სიამოვნებას ან სარგებელს მოელის. რატომ უნდა ყვარებოდა ტანიას მუშნი? რატომ უნდა ყოფილიყო მისი ერთგული? სიზმარივით გაქრა ყველაფერი.

ისევ აირია მუშნის ცხოვრება. პირველ ხანებში შოფრად მუშაობდა, მაგრამ ეს სამსახური სრულებით არ აინტერესებდა და ამიტომ მალე შიატოვა. ბავშვობიდანვე უყვარდა წიგნების კითხვა, სწავლის დიდი სურვილი ჰქონდა. მერე როგორღაც გეოლოგიურ პარტიის ში მოეწყო საქმუშაოდ, მაგრამ აი, ამ სამი დღის წინ პარტიის უფროსთან ჩხუბი მოუვიდა, რეკოლვერი ესროლა და ფეხში დასჭრა. ახლა აღმათ დააბატმირებენ. ეს იყო დღეს მისთვის სინამდვილე. ყოველივე დანარჩენი სიზმარს ჰგავდა. დროზე რომ გაესწრო აქედან, შეიძლება რამე მოეხერხებინა, მაგრამ ვერ მოასწრო და ახლა რა იღონოს? ახლა გინდა წადი და მხარი მოიჩრინე, გინდ დარჩი აეროდრომთან და მილიციას დაელოდე. არავითარი გამოსავალი არა ჩანს ჯერჯერობით.

ამასობაში აღმართი მოთავდა. მუშნი ტყიდან მინდორზე გამოვიდა და მოშორებით, ლოდზე ჩამომჯდარი თაფლო დაინახა. უფრო შორს, გზად მიმავალ გოგო-ბიჭებს ხეების ჩრდილში შეეფა-

10568

რებიანთ თავი. ისინი მუშნისა და თაფლოს უყურებდნენ, თან გოგონები წინდებს ქსოვდნენ. ველის ბოლოს ტიტველი მთა მოჩანდა, მის გვერდით უფრო დაბალი ტყიანი გორაკი იდგა.

— ძალიან ნელა მოსეირნობ, ძმობილო! — დაუძახა თაფლომ მისკენ მამავალ მუშნის.

მუშნიმ პიჯაკი თაფლოს პირდაპირ, მიწაზე დააგდო და ზედ დაწვა. ქვემოდან შეხედა ვეებერთელა ლოდზე შესკუპულ ქალს, დაღლილმა, გაოფლილმა. თვალი თვალში გაუყარა, მერე თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა. თაფლომ მოკლე კაბა მუხლებზე ჩამოიწია, აწრიალდა, უფრო მოხერხებულად დაჯდა.

— ხელი მტკივა, დობილო, არ შემოძლია შენსავით კუნტტუში, — უთხრა მუშნიმ. ნატყენი ხელი ახლა ხალათის უბეში ეღო.

თაფლოს გაეღიმა. მან თმა გაისწორა. სახე წამოწითლებოდა სიარულისაგან.

— ერთი ეს მითხარი, თუ საიდუმლო არ არის, ვის ესროლე რევოლვერი?

მუშნიმ ისევ შეხედა ქალს. თვალბეში მიაჩერდა ცოტა ხანს. სახეზე გულგრილობა გამოეხატა. მერე წყნარად უთხრა:

— თუ ძალიან გაინტერესებს გეტყვი.

— ჰო, მითხარი...

— ერთ ძალიან ცუდ კაცს ვესროლე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მოხუცებულ ადამიანს ხელი შემოკრა.

— ის მოხუცი შენი რა არის?

— არაფერი!

— მერე შენ ვინა გრჯიდა, ვერ დაეტყე შენს ქერქში?

— ჰეე, რა კარგად ლაპარაკობ? — თქვა მუშნიმ.

— რა იყო?

— გეტყობა რაცა ხარ.

— რა ვარ? — ჰკითხა თაფლომ ყოველგვარი წყენის გარეშე. ის მოღიმა-რი სახით უყურებდა მუშნის, თითქოს

დაიმორცხვა კიდევ, ჩანდა მართლა პინტერესებდა მისი აზრი.

— არა ჩანხარ წმინდა სული.

— რატომ გგონია? — სრულებით სერიოზულად ჰკითხა თაფლომ, მაგრამ მუშნიმ აღარ უპასუხა.

ცოტა ხანს დუმდნენ.

— ახლა რა უნდა ჰქნა? — ჰკითხა ისევ თაფლომ.

— არაფერი.

— დაგიპერენ!

— დამიპიროს!

— ძალიან გინდა ციხეში ჯდომა?

— რატომაც არა?! ჯერ არა ვმჯდარ-ვარ, ხომ უნდა ვნახო როგორია?

— შენ საერთოდ შეგიძლია სერიოზულად ლაპარაკი? კი არ გეხუმრები, სერიოზულად გეკითხები.

— რატომაც არ შემიძლია, გინდა სიყვარულზე გელაპარაკო? — გაეცინა მუშნის, რადგან დარწმუნებული იყო, ქალებს ყველაზე უფრო სერიოზულ ამბად ეს საკითხი მიაჩნდათ ცხოვრებაში, თვითონ კი ფიქრობდა, რომ ქალისა და მამაკაცის სიყვარული ყველაზე არასერიოზული, არამყარი და ზერელე დამოკიდებულება იყო ადამიანებს შორის. ისეთ ურთიერთობას, რომელიც ფიზიკურ სიამოვნებაზე დამყარებული, მუშნის აზრით, სიყვარული არ ეთქმოდა.

— მე ხუმრობის გარეშე გეკითხები, რა უნდა ჰქნა?

უცებ მუშნიმ სიცილი შეწყვიტა და დაღლილი კაცის ხმითა სთქვა:

— აბა რას მეკითხები, შენთვის სულერთი არ არის?

— რატომ არის სულერთი? შეცოდები.

— მაგას სჯობია შენი საქმრო შეგეცოდოს, შენისთანა ცოლი რომ ეყოლებოდა, — ისევ გაეცინა მუშნიმ და იმდენად დაღლილი იყო ამ უნაყოფო საუბრით, რომ სცადა ხუმრობის გუნებაზე დამდგარიყო. ამ ქალიშვილთან ამ თემაზე საუბარს არავითარი აზრი არა ჰქონდა.

— ვითომ ცუდი ცოლი ვიქნები? —

თქვა თავლომ კეკლუცი წყენო. —  
თუ ვგრე ფიჭობ, ძალიან ცდები.

— რა ვიცი, — გაიღმა მუშნიმ, —  
დასაპერად რომ არა მქონდეს საქმე...

— რას იზამდი?

— მოგიტაცებდი.

თავლომ წარბები ასწია და ისე შე-  
ხედა, თითქოს რაღაც უცნაურობა, რა-  
ღაც არაბუნებრივი იდგა მის წინაშე.  
მერე ლოდიდან ჩამოხტა და წინ წა-  
ვიდა.

— აღქე, გეყოფა გორაობა, — შო-  
რიდან დაიძახა მან.

6

გრძელ, მოქმანცველ გზაზე სიარუ-  
ლისაგან ღვინო სრულებით გამოხელ-  
და. მუშნის დილიდან ლუქმა არ ჩაედო  
პირში და ისე მოშვიდა, რომ მხრის და-  
უსრულებელი ტკივილიც კი, რომელ-  
საც ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ  
ნებისყოფის დაძაბვით იტანდა, მია-  
ვიწყდა. მიავიწყდა ის უსიამოვნებანიც  
რაც ელოდა, როცა კვირიასაგან დაბ-  
რუნდებოდა. ვერ იყო გუნებაზე, რო-  
დესაც თავლომ კვირიას ოჯახში მიიყ-  
ვანა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც  
ძალიან მოეწონა კვირიას დიდება, ოთხ-  
მოც წელს მიღწეული თუმის ქალი.

დიდებას აღუზრდია ადრე დაობლე-  
ბული კვირია. კვირიას მამა ზევეში მო-  
ხვედრილა და დაღუპულა, დედა კი  
ციებ-ცხელებას უმსხვერპლია, როცა  
კვირია რვა წლისა ყოფილა. და აი, ეს  
ერთადერთი ობოლი შვილიშვილი შერ-  
ნა კვირიას დიდებას, მთელი ენერჯია  
მის აღზრდას მოანდომა. ზაფხულობით  
მთაში ამოჰყავდა ბიჭი, ზამთარს სხვე-  
ბივით ალვანში ატარებდნენ. სხვა ად-  
გილები არც უნახავს კვირიას დიდებას  
და არც არაფრით დაინტერესებულა  
არასოდეს თავისი ოჯახის გარდა. თუმ-  
ცა ამ ხუთიოდე წლის უკან, როცა კვი-  
რია უკვე დაგაჟაკდა და გადატანილი  
დარდის სიმძაფრეც მიჭრა, მინელდა  
მოხუცი ქალის არსებაში, როცა ჯაფა  
მოაკლდა, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედ იყო,

ახალი ცხოვრების სულისკვეთებამ შე-  
აღწია მისი სულის მიყრუებულ ტვერ-  
შიც და მატარებლის ნახვამ მოიხურვა.  
ბოლო დროს ხშირად ესმოდა საუბარი  
მანქანებზე, თვითმფრინავებზე, მატა-  
რებლებზე. არცერთში არ მჯდარა არა-  
სოდეს, ახლაც კი, ასე მოხუცებული,  
თავისი წინაპრებივით ცხენით ამოდო-  
და მთათუშეთში, მაგრამ მანქანა ალ-  
ვანში ენახა, თვითმფრინავი ომალოში  
და აი, ამ ღრმა სიბერის ეამს გადაწყვი-  
ტა მატარებელიც გაეგო რა იყო. ზაფ-  
ხულის ერთ მშვენიერ დღეს შეკახმა  
ცხენი და თელავში გაემგზავრა. სალა-  
მო ეამს ჩასულა თელავში და უკითხავს  
მატარებელი სად უნდა ენახო. მიუს-  
წავლებიათ სადაც უნდა ენახა. მივიდა  
სადგურში, მაგრამ მატარებელს ვეღარ  
მიუსწრო, სულ ცოტა ხნის წასული და-  
ხვდა. საშინლად ეწყინა, რომ ამოდენა  
გზა უქმად გამოიარა, ოჯახის საქმესაც  
მოწყდა. დილაღე დაიცადე, მატარებე-  
ლი ხვალ დილით ჩამოვაო, უთხრეს  
თურმე, მაგრამ იმდენად გაბრაზებული  
ყოფილა მატარებელზე თუ საკუთარ  
თავზე — არაფერ იცის — არ მოუსურვე-  
ბია დარჩენა. იმავე ღამეს დაბრუნდა  
უკან, მატარებლის უნახავად და, თავ-  
ლოს სიტყვით, ამის შემდეგ არც აღა-  
რასოდეს აღძვრია მატარებლის ნახ-  
ვის სურვილი. ახალგაზრდები კი დღემ-  
დე დასცინოდნენ, მაგრამ კვირიას დი-  
დებას ეს სულაც არ ეწაღებოდა.

მარჯვე, ძლიერი დედაბერი იყო. ძვე-  
ლებურად ეცვა; გრძელი, შავი კაზა,  
თავზე მანდილი. მკერდზე თუშური მძი-  
ვები ეკიდა და თითბრის ჯვარი. სიბი-  
ქვით ნაგები ორსართულიანი სახლის  
ქვემო ოთახში შეიყვანა მუშნი და წილს  
ზემოთ ტანსაცმელი გახადა. ოთახში  
გრილოდა, ბნელოდა კიდევ, იატაკი მი-  
წისა იყო და რაღაცის სასიამოვნო სუ-  
ნი იდგა. კედელზე თუშური ფარდაგი  
ეკიდა, გრძელ მავიდაზე დარეცხილი და  
დასუფთავებული ქურბელი ეწყო. მუშ-  
ნი ხის სკამზე იჯდა, თავი მოებრუნებო-  
და და დასცქეროდა თავის გასიებულ

მხარს, სანამ დედაბერი წამალს ამზადებდა. მას სიამოვნებდა, რომ თავლო თავზე ადგა. მართალია, ეს შემთხვევით მოხდა, მაგრამ მუშნის მაინც სიამოვნებდა, თითქოს ეს ქალი ზრუნავდა მასზე, არ იყო შორებული, თუმცა საღდაც, კახეთში საქმრო ჰყავდა, ვინ იცის, იქნებ მუშნიზე ბევრად კარგი ბიჭი? მაგრამ ახლა, ასე შიშველი რომ იქნა ვიღაც უცნობ ჭაბუკის საცოლესთან — უხაროდა, სავსებით უაზრო, გულუბრყვილო უპირატესობას გრძნობდა უხილავი მეტოქის მიმართ და ახლობლად მიაჩნდა თავლო.

კვირიას მეუღლე შუქრუნა შინ არ იყო, ის ნათესავთან წასულიყო ამ დღით, მეზობელ სოფელში.

დედაბერი წამალს ამზადებდა და თან ყვებოდა თუ რამდენი ვინმე მოურჩენია მის მალამოს. კვირიას დიდება სრულიად არ ჰგავდა მუშნის აღმზრდელ პაპიდას, მუდამ ავადმყოფ, სუსტ, დაუძლურებულ ქალს, მაგრამ მუშნის მაინც მოაგონდა ახლა იგი. რაღაც იყო მათ შორის საერთო, რაღაც ენით უთქმელი, მაგრამ სრულიად ცხადი. შეიძლება ეს იყო ასაკი, რომელიც ყველას, — სულ სხვადასხვა ბედის და სხვადასხვა ბუნების ხალხს, — თავის ნიშანს ასევამს და ამ ნიშნის ქვეშ აერთიანებს, შეიძლება ის ზრუნვა, რომელსაც ახლა მუშნის მიმართ იჩენდნენ, მაგრამ, ასეა თუ ისე, ნათლად წარმოუდგა პაპიდა, მისი პატარა ოთახი, სადაც საკერავი მანქანის განუწყვეტელ ხმაურში მუშნიმ უსიხარულო ბავშვობა გაატარა. მხოლოდ პაპიდას თვლიდა მუშნი თავისიანად, ის იყო ერთადერთი მახლობელი ადამიანი, დანარჩენები მისთვის არ არსებობდნენ. ახლა პაპიდაც აღარ ჰყავდა მუშნის, მუშნიმ ოთახი მოათავლიერა და სევდა მოერია. გული დაწყდა, რომ ხშირად აწავრებდა პაპიდას, არ უგონებდა, რადგან ბავშვური, ყმაწვილური საზრუნავით გართულს მისთვის არ ეცალა. კიდევ უფრო მტკივნეულად მოაგონდა მისი პატარა ოთახი, რომელიც ჭარიდან

დაბრუნების შემდეგ სხვა, უფრო პატარა ოთახზე გადაცვალა და ცოტა ფული აიღო. აქ, ამ ახალ ოთახში, პაპიდას სრულებით ვეღარ გრძნობდა, თითქოს გადაავიწყდა, აქ არაფერი აგონებდა ამ საყვარელი მოხუცებულის სახეს. პაპიდა ყოველთვის უკმაყოფილო იყო მუშნის საქციელით, სწავლით, უძველთვის წუწუნებდა თავისი ჭანჭრთელობის გამო, ისე აწუხებდა მუშნის, რომ ზოგჯერ ეგონა არ მიყვარს პაპიდაო, მაგრამ ის იყო ერთადერთი მახლობელი ადამიანი მისთვის ამ ქვეყნად და რატომღაც მუშნიმ მხოლოდ ამ წუთში იგრძნო ეს მწვავედ, ამდენი ხნის მერე. გული ეტყინა. ინანა, რომ გაყიდა პაპიდას ნივთები და ძველი ავეჯი. მართალია, მაშინ ძალიან ესაჭიროებოდა ფული, მაგრამ რა იქნებოდა ერთი ნივთი მაინც შეენახა? როგორ მოუვიდა ასეთი რამ, როგორ ვერ გაითვალისწინა, რომ ოდესმე მწარედ ინანებდა იმ ნივთების გაყიდვას? რამდენ მოგონებას გვიტოვებენ ნივთები ადამიანებაზე. აცოცხლებენ მათ, გვეხმარებიან დავიწყებულის წარმოდგენაში. ხელს უწყობენ იმის აღდგენას, რაც ოდესღაც ესოდენ ნათელი იყო, იმ გრძნობების გაღვივებას, რომელიც უკვე წაიშალა, მიქრა. მაშინ ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ამაზე არ უფიქროია, მაგრამ ახლა მუშნის გული დაწყდა. არც პაპიდას ქმრის გადიდებული სურათი იყო დასააკარგი, თუმცა ეს კაცი არასოდეს თვალით არ ენახა, მაგრამ მუშნი ხომ მის გვარს ატარებდა? ის სურათი პაპიდას საწოლთან ეკიდა მუდამ, რამდენჯერ დაღიჭრებულა მუშნი მის ბედზე! რკინიგზელი ყოფილა და ერთხელ, მუშნის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, სამუშაოზე პალტო მაზუთით გასერია. სწორედ ამ დროს ღიანდაგზე ნავთის ცისტერნების შემადგენლობა მდგარა. ის ამჭერალა ცისტერნაზე, გაუღია სახურავი, შემდეგ რკინის ვიწრო კიბით ჩასულა შიგ, რომ ნავთით მოეშორებინა მასუთის ლაქა და თავბრუდახვევია, ცუდად გამხდარა თუ

ხუფი დახურულა უცაბედად, დაღუბულა იქ... სულ იმას ფიქრობდა მუშნი, სად მიძვრებოდა ის ცხონებული, შინ ვერ მოიშორებდა იმ ლაქასო? მაგრამ ვინ იცის, ვინ სად მიჰყავს ბედს, ვის რა დროს აიტანს წერა?..

ყოველივე ეს ერთ წამში გაცოცხლდა მუშნის არსებაში. მოგონებები უცებ ამოძრავდა, სადღაც უკან წაიყვანა მუშნი და ერთბაშად დაუბრუნა დიდი ხნის მივიწყებულ ბავშვობას. ბავშვობის სურნელი ისე ცხადად იგრძნო, თითქოს მოსწყდა აწმყოს. ამავე დროს მუშნი უზურგო სკამზე იჯდა (რასაკვირველია, არა იქ, სადაც მისი ფიქრები ტრიალებდნენ), კვირიას დიდედა მხარზე მალამოს უსვამდა. მალამო წებოსავით ეკეროდა სხეულს. ღია კარებიდან მოჩანდა მზით განათებული უცხო სოფელი, ის-მოდა მწერების გამბმული ზუზუნი. ცუდია უთვისტომობა, გაიფიქრა მუშნიმ.

— მშობლები გყავს? — შეეკითხა თაფლოს, რომელიც წინ ედგა, სულ ახლოს და ხელში რაღაც ნაჭრები ეჭირა, რომლითაც მხარი უნდა აეხვია მუშნისათვის, როცა დიდედა მალამოს დადებას მორჩებოდა.

თაფლოს ძალიან გაუკვირდა მუშნის შეკითხვა.

— რატომ შეკითხები? — თქვა მან.

— ისე შეგეკითხე.

თაფლომ მხრები ასწია.

— ჰო, მყავს, რა იყო?

— არაფერი.

— შენ გყავს?

— არ ვიცი... — მერე მუშნი ამბობს:

— არა.

თაფლოს გულიანად ეციინება ასეთ გაურკვეველ პასუხზე, თავს მიაბრუნებს და პირზე იფარებს ხელს. მერე სიცილს იკაეებს და ხმაშალა ეკითხება, გაბრაზებულივით:

— გყავს თუ არა?

— არა, — თქვა მუშნიმ.

— რა განხუბებით, შვილო, ჩხუბს მერმეც მოესწრებით, — თქვა დიდედამ. მან მალამოს წასმა მოათავა და წელში გას-

წორდა. წამლით გასვრილ ხელებს ჩერით იწმენდა და კეთილი ღიმილით შესცქეროდა ახალგაზრდებს.

— მოვესწრებით რა, ამასთან კი არ უნდა გავატარო ჩემი ცხოვრება?

— რათა, არ არის ურიგო ბიჭი, რას უწუნებ?

მუშნიმ იგრძნო, რომ დიდედა მათ დანიშნულებად ან შეყვარებულებად თვლიდა და რატომღაც ესიამოვნა. ამ სიამოვნებისგან გაელიმა.

— თუ კარგია თავისთვის იყოს, — თაფლომ გვერდზე გაიხედა.

დიდედა გარეთ გავიდა. თაფლომ შეხვევა დაიწყო.

ოთახს ვიწრო სარკმლები ჰქონდა და თითქმის ბნელოდა. ისე ახლოს ედგა თაფლო, ისე სასიამოვნო იყო მისი სხეულის ჯანსაღი სურნელი, რომ მუშნიმ უეცრად თავი მოაბრუნა და შიშველ მკლავზე აკოცა. იმავე წამს სილა ტყაცანით მოხვდა სახეში.

რა მოგვიოდა, შე კაი ქალო? — წამოიძახა მუშნიმ და მარცხენა ხელი სახეზე მოისვა. მაგრამ თავისი საქციელით მაინც კმაყოფილი იყო და ელიმებოდა. როდესაც თაფლომ მკაცრად უთხრა, ჰკვიანად იყავიო და თან შეხვევა განაგრძო, სიხარულმა აიტანა ერთიანად. საოცრად ახლობლად და ძვირფასად მოეჩვენა ეს ქალიშვილი. ის უკვე მორჩა შეხვევას, მაგრამ რატომღაც არ გადიოდა ოთახიდან, უცნაური დაუქინებით შესცქეროდა სკამიდან წამომდგარ მუშნის, უყურებდა, როგორ ჩაიცივა მან ხალათი, ქალს არც კი მორიდებია ისე ჩაიტანა ცალი ხელით ხალათის კალთები შარვალში, მერე მოისხა პიჯაკი, გასწორდა და ღიმილით ჰკითხა:

— მართლა გყავს საქმრო?

— რა შენი საქმეა?

მუშნიმ ნაბიჯი გადადგა თაფლოსკენ.

— ისე, მინდა ვიცოდე.

თაფლომ უკან დაიხია.

— შენ თავს მოუარე!

ეს სიტყვები დაცინვით იყო ნათქვამი. მუშნი შეიყოყმანდა, მაგრამ ის გადაწყ-

ვეტილებს სკამიდან წამოდგომისას რომ მიიღო, მაინც არ შეუცვლია, უცბად ხელი შემოხვია ქალიშვილს წელზე და თავისკენ მიიზიდა, მაგრამ თავლო იმ წამსვე გაუსხლტა, კარებისაკენ გაბტა, ქურდულად გაიხედა გარეთ და აღელვებულმა, ჩურჩულით უთხრა.

— ხომ არ გაგიყდი, გინდა დიდედამ დაგვინახოს?

უცნაური, უხილავი სიმი გაიბა მათ შორის და როცა თავლო გარეთ გავიდა ისეთი სახით, ვითომ არაფერი მომხდარაო, გამარჯვებული კაცის შეგრძნება საბოლოოდ დაეუფლა მუშნის. ის გრძნობდა, რომ თავლო მოულოდნელად მის მოკავშირედ იქცა, რაღაც გაჩნდა მათ შორის საერთო, რაღაც ისეთი, რაც მხოლოდ ამ ორმა იცოდა და უცნობი მეტოქე, თავლოს საკმარო, რომელიც ვერაფრით ვერ წარმოედგინა, დამარცხებულად მიაჩნდა. ეს აამაყებდა მუშნის. ამ შეგრძნებამ სიმტკიცე შემატა და გარეთ გამოსულს, თავლოს გვერდით ხის გრძელ სკამზე ჩამომჯდარს ყველაფერი კარგად ეჩვენებოდა. ახლა დარწმუნებული იყო, რომ მისი საქმე მოგვარდებოდა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაიჭერდნენ. ამ დილით, ლადოსთან საუბრის შემდეგ, ერთი პირობა გადაწყვიტა ხელს მოვიჩინე და მივალ, გამოვცხადდები მილიციას, რაც იქნება იქნებაო, მაგრამ ახლა სისულელედ მოეჩვენა ეს აზრი. ახლა ამას ვერ შესძლებდა, ვერ შეეგუებოდა. ნადიროვით მოუხდა თავისუფლება. მოუხდა მოწმენდილი ცისა და ცისფერი მთების ცქერა დაუსრულებლივ, დიდხანს, დიდხანს. მოუხდა თავლოსთან ერთად სიარული იმ ვიწრო ბილიკებზე, რომლებიც შემოხვეოდნენ მალეიდან ჩამოქანებულ მწვანე ფერდობებს, სოფლის ირგვლივ, რაღაც გაციხროვნდა და სულ სხვაგვარად ამეტყველდა მის სულში. ყველაფერი ნათელი და იოლი გახდა უცებ, ყოველგვარი საზრუნავი მიავიწყდა, სიხარულით და იმედით იყო სავსე და მეტი არაფერი არ ახსოვდა. ხვალინდელი დღე თვი-

თონ იზრუნებს თავის თავზე, ფაქრობდა ის.

არქონული  
ბიზნესი

7

იმ საღამოს კვირიას დიდდამ აივანზე გაუშალა პურმარლი. არაყი და ლუდი ბლომად სვა, მოხარმულ ხორცსაც მიეძალა. მხარი აღარ სტკიოდა, აღარ სტეხდა, ახლა ცეცხლმოდებულივით უხურდა, მაგრამ არაყმა ეს შეგრძნებაც სულ მალე გაუქრო. მასპინძლობას თავლო უწევდა, რადგან დიდედა სადღაც წასულიყო. მუშნი ჩუმად ჰამდა და მოკლე სადღეგრძელოებს ამბობდა.

მზეს კი, თითქოს ეზარებოდა ჩასვლა; რაღაც მწუხარედ ბინდდებოდა მთებში. უცნაურად სასიამოვნო, თბილი სევდა დაეუფლა მუშნის სულს. მას გული წყდებოდა, რომ ქრებოდა ეს დღე, რათა აღარასოდეს აღარ განმეორებულიყო. ამავე დროს სიამოვნებდა, რომ იყო ამ ქვეყნად, არსებობდა, თავლოსთან ერთად იჭდა აივანზე, აღიქვამდა გარემოს, განიცდიდა მიღებული დღის მწუხრს. მიავიწყდა თავისი მარტოობა და უთვისტომობა. დადგა წუთი, როცა კეთილი გახდა მის მიმართაც ბედი, რომლისგანაც გერი შვილივით დევნილი იყო მუდამ სიხარულის და ბედნიერების ოჯახიდან. ახლა მუშნი თავისუფლად შეუერთდა ბუნებას, მასთან ერთად დაიწყა სუნთქვა, თითქოს დაიჯერა, ირწმუნა დაურღვეველი, უხილავი ჰარმონიის არსებობა. ბუნება იყო დედა ყველაში და თვითონ მუშნი მის კანონიერ შვილად გრძნობდა თავს. ყველაფერი სამართლიანად ხდებოდა, ყოველივე სწორი გზით მიემართებოდა. შორეული წინაპრების ინსტინქტმა გაიღვიძა მისი ყოფიერების ფესვებში, რამოდენინე წუთის განმავლობაში მოსწყდა მისტიურ კარმას, რომლის არსებობაზე წარმოდგენა არა ჰქონდა და იმის ორგანულ ნაწილად ქცეული, რასაც ხედავდა და შეიგრძნობდა, მაინც დამოუკიდებლად და თავისუფლად გაიჭრა სადღაც, ყო-

ველგვარ საზღვრებს და ზღუდეებს მიღ-  
მა. ისეთი განწყობა დაეუფლა, თითქოს  
გაუქრა აზროვნება და მხოლოდ შეგრძ-  
ნებებით, თავისუფალი წარმოსახვით და  
საკუთარი ფანტაზიის წყალობით დაუ-  
კავშირდა ცხოვრებას. [ თითქოს სამყა-  
როს იღუმალი კარნახი ესმოდა, რომე-  
ლიც ასწავლიდა ტეშმარიტების შეცნო-  
ბას. რამოდენიმე წუთი გარინდული იჯ-  
და ნირვანაში წასულივით. მაგრამ მაინც  
სხვა პერიოდის, სხვა ეპოქის შველი იყო  
და ცოტა ხნის მერე კვლავ გაორდა მის  
სულში რაღაც, დაიშალა, დაირღვა ეს  
წუთიერი მთლიანობა და ისევ დაუბ-  
რუნდა განსჯის უნარი. წინააღმდეგობე-  
ბი და ეჭვები ისევ აღიმართნენ წინ.  
რამდენი რამ უშლიდა ხელს, რამდენი  
დაბრკოლება ჰქონდა დასაძლევია, რომ  
შეენარჩუნებინა ეს სილადე? ხვალ დი-  
ლით შეიძლება დაეჭირათ აეროდრომ-  
ზე თუ იქაურობას არ განერიდებოდა.  
სადაც, ქვეყნად არსებობდა ვიღაც კა-  
ცი, რომელსაც არ იცნობდა, არასოდეს  
უნახავს, არაფერი დაუშავებია მისთვის,  
მაგრამ მაინც წუხილი და დარდი მოჰ-  
ქონდა, რადგან თავლოს საქმროდ ითვ-  
ლებოდა. თვითონ თავლოც ხომ უცხო  
იყო? მხოლოდ სიზმარში იყო მისი,  
მაგრამ ის სიზმარი ხომ უკვე გაჰქ-  
რა? ვინ იცის ახლა ვიზე ან რაზე ფიქ-  
რობდა თავლო?

მუშნი აიენის მოაჯირს დაყრდნობილი  
გაცქეროდა სოფელს. სიბი ქვეით ნაგე-  
ბი, ყავრით დახურული სახლები მიჭ-  
რით იდგნენ ერთმანეთთან. მუშნი ხე-  
დავდა თავსაფრიალ ღედაკაცებს, რომ-  
ლებიც ერთად შეგრავილიყვნენ ერთი  
გრძელი სახლის კედელთან და წინდის  
ქსოვით და მასლაათით ირობდნენ  
თავს. ორღობეებიდან მუშნის ბავშვე-  
ბის მხიარული ხმები ესმოდა.. უკვე  
წასვლის დრო იყო, მაგრამ მუშნის წა-  
მოდგომა ეზარებოდა. სად წასულიყო?  
სად ევლო მარტოდ-მარტო ამ უცხო  
მხარეში? თავლო ამალამ აქ რჩებოდა,  
უნდოდა დილით ენახა შუქრუნა. რა  
თქმა უნდა, უცხო იყო თავლო. ირო-

ნით აგონდებოდა თავისი წელანდელი  
გულუბრყვილო სიხარული და რმედია-  
ნობა. მარტობის სევდა ისევ შემოაწვა  
გულზე და თითქოს ამისგან თავის დაღ-  
წევა უნდაო, წამოდგა.

- ეჰ, — თქვა მან, — წავედი.
- სად წახვალ? — ჰკითხა თავლომ.
- მუშნიმ ცალი მხარი ასწია, მას არც  
კი უფიქრია იმაზე, თუ სად წასულიყო.
- რას იზამ, გამოცხადდები მილი-  
ციამი?
- ვნახოთ, მოვიფიქრებ.
- რომ გამორბოდი, რას ფიქრობდი?
- ვიფიქრე რუსეთში გავემგზავრები-  
მეთქი. იქ ნაცნობები მყავდა ერთ დროს,  
როცა ჯარში ვიყავი.
- მუშნიმ შეამჩნია, რომ გულწრფელად  
ელაპარაკებოდა ამ ქალიშვილს, უკვე  
ენდობოდა, იმას ეუბნებოდა, რაც  
მართლა აწუხებდა და აფიქრებდა. სწო-  
რედ ის უთხრა, რაც ჯერ არც კი ჰქონდა  
გადაწყვეტილი და მხოლოდ მაშინ გაი-  
აზრა, მხოლოდ მაშინ გაიფიქრა შეგნე-  
ბულად ამაზე, როცა სიტყვებით წარმო-  
სთქვა, თუ წამოსცდა. მუშნის გაუკვირ-  
და.
- რა გინდა რუსეთში, იქნებ არ გი-  
კერენ?
- რას არ დამიკერენ!
- გაქცევა უარესი არ არის?
- აბა რა ექნა! ციხეში ჯდომა მე  
ვერც გამომასწორებს და ჰკუთასაც ვერ  
მასწავლის. რაცა ვარ, ესა ვარ. ვერ  
გამოვიცვლები. დამნაშავედ რომ  
ვგრძნობდე თავს სხვა საქმეა, მაგრამ...
- მაშ, მართალი ხარ?
- აბა, როგორ გითხრა? ვისთვის  
მართალი ვარ, ვისთვის არა ვარ მართა-  
ლი...
- მუშნი აიენის სვეტს მიეყრდნო.  
ეზარებოდა წასვლა. რაღაცას ელოდა.  
კიდევ უნდოდა ლაპარაკი.
- ამალამ სად გაათევე? — ჰკითხა  
თავლომ.
- რამეს მოვიფიქრებ.
- თუ გინდა ჩემ ოთახში გაათეე,  
გასაღებს მოგცემ.



— აბა შენი ოთახი?

— ფინურ ქოხშია. როგორც კი შეხვალ — მარცხნივ, იქ არაეინ შემოვა, ვერაინ გიპოვის.

მუშნი უსიტყვოდ დათანხმდა. გასაღები გამოართვა და ჯიბეში ჩაიღო. მერე ნელი ნაზიჯით კარებიცკენ გაემართა. სანამ საფეხურებს ჩაივლიდა, შეჩერდა და შემობრუნდა.

— თუ ველარ გნახე, გასაღებს კარებში დაეტოვებ, — უთხრა თავლოს. მისი ხმა გულგრილად, ცივად ქლერდა.

— რატომ ველარ მნახავ?

— აბა, რა ვიცი?... ყველაფერი შეიძლება მოხდეს... გზა რომ ვიცოდე ფეხით ჩავიდოდი აქედან კახეთში, მაგრამ გზა რომ არ ვიცი?... — თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა.

— რაო, მეგზურად ხომ არ გინდივარ? — დაცინვით ჰკითხა თავლომ და როცა მუშნის გაკვირვებული სახე დაინახა, ეშმაკური ღიმილით განაგრძო: — ხომ გაგიგონია, მადა კამაში მოდისო.

მუშნის გაეცინა. მერე თავი გააქნია და საფეხურები ჩაიარა, უკვე ჭვემით ჩასულმა თავლოს მხიარულად ამოსძახა:

— შენ მართლა ძალიან კარგი გოგო ხარ, ნამდვილად მოგიტაცებდი, საქმე ასე რომ არა მჭონდეს.

ცოტა ხანს კიდევ ეცინებოდა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ სრულებით არ იყო მხიარულ გუნებაზე. შეიძლება მართლაც ველარასოდეს ენახა თავლო და აშკარად გრძნობდა, გული წყდებოდა. მერე გაბრაზდა საკუთარ თავზე: რატომ უთმობდა ამდენ ყურადღებას უცხო ქალიშვილს, რა აზრი ჰქონდა ამას? თავლოს ხომ სულაც არ დანანებია მუშნისთან განშორება! კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა დანანებოდა? ვინ იყო მისთვის მუშნი?

მუშნი მიდიოდა იმ ბილიკზე, რომელიც თავლოსთან ერთად ამოიარა ამ დილით. ის არ ფიქრობდა იმაზე, თუ სად მიდიოდა, არც იმაზე, რა ელოდა,

თუკი დაიქვრდნენ. ის ფიქრობდა მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ შეიძლება ველარასოდეს ენახა თავლო და ველარასოდეს ენახა თავლო.

## 8

აგვისტოში თუშები ჭვავის თესვას იწყებენ. მაგრამ საყანედ ვარჯისი მიწა იქ ერთობ მცირეა და ამიტომ თუშის მეურნეობაში მთავარი ადგილი ცხვარს უჭირავს. გაზაფხულის ბოლოს საზამთრო სამოგრებიდან ბრუნდება ცხვარი მთათუშეთის იალაღებზე და მთელ ზაფხულს, სექტემბრის შუა რიცხვებამდე აქ ატარებს. ვისაც თვითმფრინავით უფრენია თელავიდან ომალომდე, უეჭველად დაინახავდა ხევეებით დასერილ ფერდობებზე ურიცხვ თეთრ წინწყლებს, ამ თებურდამხვევი სიმაღლიდან მწვანეზე მიმოპნეულ უძრავ კენჭებს რომ ჰგვანან ხოლმე. მიუვალ კლდეებზე შეფენილი ცხვრის ფარაა ეს წინწყლები.

ღამამობით ასევე თეთრად იწინწყლებოდა თუშეთის ცა.

ზის მეცხვარე ცეცხლის პირას, წამოუსხამს ნაბადი და გასცქერის სივრცეს. ღუმელში ჩაფლულან ნისლიანი მთაგრეხილები. არავითარი ჩქამი არ სწვდება მეცხვარის მახვილსმენას, მხოლოდ უხმო ნიავი ეთამაშება ალს. სიმშვიდე და ძილი ისე დასადგურებულა სამყაროში, რომ ძნელი წარმოსადგენია ვინმე სადმე მიდიოდეს ახლა, რაიმე საქმით იყოს გართული, რაიმე ვნებით შეპყრობილი. ზის მეცხვარე თავის ნაცად ბასარასთან და ბროლიასთან ერთად ღამის წყვილში, და ეთვლიმება.

სწორედ ამ დროს, სადღაც, იალადის ჭვემით ცხენების რემაა გაფანტული ტყის პირას. შუალამეა, და უცებ, უკან სიბნელეში ისმის ცხენის ფლოჭვების დგრიალი. უმაღვე ეღვიძება დადართან მიწოლილ ახალგაზრდა მწყემსს და ფეხზე წამომდგარს ესმის სულ უფრო

და უფრო შორს მიმავალი ხმა ფლოქ-  
ვებისა. ჰაბუკი მწყემსი იმწამსვე ხედ-  
ბა რაშიც არი საქმე: ქურდებმა ცხენე-  
ბი გაიტაცეს. დაუფიქრებლად მოახტე-  
ბა თავის საყვარელ სამი წლის ულაცს  
ყარაჩოს და მიაჭენებს ბილიკზე. უი-  
რადო, პერანგისამარა, თავის პირველ-  
სავე ვნებას თუ ვნებად ქცეულ მოვა-  
ლეობის გრძნობას აყოლილი, ხეებს  
შორის მოციმციმე თეთრ მოჩვენებას  
ჰგავს შავ ულაცზე ამხედრებული. არა-  
ფერზე არ ფიქრობს, გარდა იმისა, რომ  
რაც შეიძლება მალე დაეწიოს გამტა-  
ცებლებს. მაგრამ გამტაცებლებიც  
ელოდებიან მდედარს და აჰა, მიწიდან  
წამოიშართება ორი შავი აჩრდილი და  
ლაგამში ჩააფრინდებიან ქენებით გა-  
შმაგებულ ულაცს. ჰაბუკი მწყემსის  
მათრახი წივის ჰაერში და ძირს დაშვე-  
ბული იკლავება ამ აჩრდილების  
სხეულებზე, მაგრამ ამ დროს გრუხუ-  
ნებს თოფი და ულაცის ფილტვეში  
გასული ტყვია სადღაც ვარდება, იკარ-  
გება უკვალოდ. განწირულად ჰიხვიანებს  
ყალყზე შემდგარი ბედაური, გამწა-  
რებით ღრიალებს. ჰაბუკი მწყემსი,  
მაგრამ კიდევ ერთხელ გაისმის თოფის  
ჰახანი და ჰაბუკის ერთბაშად წელში  
გაწყვეტილი შემართება იცლება, იჭრი-  
ტება, უცებ უმიზნო ხდება. ფაფარს  
ჩაბლაუჭებულ თოფნაკრავ მწყემსს  
ცნობიერება ებინდება და მისი ბედი  
ერთგულ, გონიერ პირუტყვზეა ახლა  
მინდობილი, სისხლისაგან იცლებიან  
ადამიანი და ცხოველი, მაგრამ ყარაჩოს  
ჭერ კიდევ შესწევს ძალა, რომ ბინამდე  
მიიყვანოს ნებადაკარგული პატრონი.  
მიჰქრის ის უკან ისეთივე გამალებით,  
როგორც მიჰქროდა წინ, სულ ცოტა  
ხნის წინათ, მხედრის ნებას მიყოლილი  
და მხოლოდ შემოგებებულ მწყემსებ-  
თან ჩერდება; მძიმედ სუნთქავს და  
სევდიანი თვალებით გასცქერის ია-  
ლალს. მერე კი, როცა დაჭრილი, გასის-  
ხლიანებული ჰაბუკი ძირს ჩამოჰყავთ  
და სადღაც მიარბენინებენ, მუხლებზე  
ეცემა და უკანასკნელი ამოსუნთქვის

წამსაც ღიად რჩება ჰკვიანი, სევდიანი  
თვალები.

ეროვნული  
მემორიალი

9

იმ ღამეს მუშნი ფეხაკრფით შეიპა-  
რა თავლოს ოთახში. ბნელ ტალანში  
მდგარს, სანამ კარებს გააღებდა, ესმო-  
და საკუთარი გულის ბაგაბუგი. მერე  
კი, როცა ოთახში შევიდა, მოეჩვენა,  
რომ ეს იყო რაღაც უფრო მეტი, ვიდრე  
ჩვეულებრივ ოთახში შესვლა. აქ დამ-  
დგარი სურნელი თავლოს სხეულის  
სურნელებას ავონებდა და აბრუებდა.  
სიცარიელეში მარტო დარჩენილი ისე  
ნათლად გრძნობდა თავლოს, თითქოს  
ახლაც, ამ წუთში, აქ იმყოფებოდა ის,  
სადღაც, ოთახის რომელიღაც კუნჭულ-  
ში დამალული. შემდეგ კი, როცა თვალი  
სიბნელეს შეეჩვია და მუშნიმ გააჩნია  
საგნები, — დასაკეცი ლოგინი, კედელ-  
ზე ჩამოკიდებული კაბები, პატარა მა-  
გიდაზე დაწყობილი ჯამ-ქურჭელი, —  
უფრო ცხადად შეიგრძნო თავლოს აქ  
ყოფნა და ისეთი განწყობა დაეუფლა,  
თითქოს რაღაც უცნაური სასწაულის  
წყალობით ელოდა კიდევ მის გამოცხა-  
ლებას, შინაგანის გამოტანას ვარეთ,  
ნიეთიერში და აუტანლად სურდა ასე  
მომხდარიყო. ბნელი ქოხის დუმილში  
ყურს უგდებდა ყოველ გაფანუნებას,  
მას ესმოდა თავლოს ხმის ეღერა საკუ-  
თარი სულის სიღრმეში და მზად იყო  
პასუხი გაეცა ამ ძახილისათვის, რომე-  
ლიც იზიდავდა თავისკენ, მაგრამ სინამ-  
დვილეში არ არსებობდა. მთელ მის  
არსებას იპყრობდა რაღაც საოცრად  
ნაზი, მუდმივად ქალური, ფაქიზი,  
ფრთხილი და მოალერსე შეგრძნება,  
შემოსული მის სულში სადღაც გარე-  
დან, სადღაც შორიდან, მისი ვნებების  
და განცდების უცნაურად შემარბილე-  
ბელი. პირქვე იწვა ლოგინზე, ლოყა  
ბალიშზე ედო და ისე თვალნათლივ,  
ცხადად და ამავე დროს მტანჯველად  
გრძნობდა ქალის სხეულს, — რომე-  
ლიც შორს იყო მისგან ამ წუთში,

მიუწვდომელ სურვილივით, — თითქოს ახლა თაფლოს ეხებოდა. მარტო ის აზრი, რომ ამ ბალიშზე თაფლოსაც ედო თავი, ფიქრებს უშფოთებდა, ფანტაზიას უღვივებდა. დიდხანს ბორგავდა აფორიაქებული, აწეწილი, მაგრამ დაღლილ სხეულს ბოლოს მაინც მოერია რული.

ახალი ჩაძინებული იყო, როცა მოტორის ხმაურმა ისევ გამოათხიზლა. ლოგინზე წამოჯდა და დაინახა: გათენებულიყო. ფანჯარაში ლილისფერი, ნისლიანი მთები მოჩანდა. მოტორის გუგუნის გარკვევით ისმოდა, სადღაც შორს. ეს ხმა თვეზე მეტია არ სმენია და ახლა, როცა ისევ გაიგონა, მოაგონდა, რომ იმ ქედების მიღმა, რომელიც ფანჯრიდან მოჩანდა, არსებობდა დიდი და ვრცელი ქვეყანა, თვითონ კი მთებში ისე იყო მომწყვდეული, როგორც ყოველი არსება თავისი დანიშნულების ჩარჩოებში. ერთი წუთით სიხარული იგრძნო, თუმცა ვერტმფრენის ჩამოსვლას არ შეეძლო ამჟამად სიხარული მოეტანა მისთვის. ლოგინიდან წამოდგა და შუა ოთახში გაჩერდა. მზით განათებული ოთახი ჩვეულებრივი და უბრალო მოეჩვენა უცებ. ირგვლივ გაფანტული ნივთები, — თაფლოს კაბები, ჩემოდნები, დასაკეცი ლოგინი, — ყოველდღიური, უბრალო და ნათელი გახდა ერთბაშად და დაჰკარგა ის მეორე მნიშვნელობა, რომელსაც თავისდაუნებურად, რაღაც უცნაური, მისი ყოველდღიური ცხოვრების რიტმიდან ამოვარდნილი მოულოდნელი განწყობის წყალობით ანიჭებდა მათ წუხელ, ოთახში აღღვებული გულისცემით, ფხაკაყრფით შემოსული მუშნი. წუხელის ყოველივე სხვაგვარად ეჩვენებოდა, სხვაგვარი იყო თვითონაც. ახლა კი გაქრა ის ტრანსი იყო თუ ბურანი. დღის სინათლემ და მოტორის გუგუნმა საესებით გამოათხიზლა.

მუშნი ფანჯარასთან მივიდა და შორს, ჰაერში შავი წერტილი დაინახა, რომელიც თანდათან იზრდებოდა, უცნაურ

ფრინველს ემსგავსებოდა, სულ უფრო ახლოვდებოდა, მერე აუწერელი ხმაურით გადაუფრინა თავზე ტყუილმა და ხევებს, კამარა შეკრა და მინდორზე დაემგვა. დაჯდომისას საშინელი მტვერი დააყენა ვერტმფრენმა, კიდევ უფრო უმატა ხმაურს, — მინდორზე გაფანტული ცხენები დაფრთხნენ და გაიქცნენ, — და უცებ მიჩუმდა. მოტორი ჩაქრა და სრული სიჩუმე ჩამოვარდა, მთების ერთფეროვანი, მუდმივი სიჩუმე. მუშნის პირველმა, გაუაზრებელმა სიხარულმა გადაუარა. იცოდა ვერტმფრენში ვერ ჩაჯდებოდა და ვერ გაემგზავრებოდა აქედან. მუშნი გულგრილად, ყოველგვარი ფიქრისა და განწყობის გარეშე, უყურებდა როგორ გადმოდიოდა ვერტმფრენიდან ხალხი. პირველად თავიანთი კაბინიდან მფრინავები გადმოვიდნენ. ჩვეულებრივი საზაფხულო ტანსაცმელი ეცვათ, სრულებით არ ჰგავდნენ მფრინავებს. ერთერთმა, ყველაზე მაღალმა, ვერტმფრენის კარი გააღო და ახლა თუში კაცები გამოჩნდნენ ჭრელი ხურჯინებით და ტომარებით. მერე ორი მილიციელი გადმოვიდა და ხალხს შეერია.

მილიციელების დანახვამ მუშნი შეაკრთო, გულისცემა აუჩქარდა. მისი მზერა მაგნიტივით მიიზიდა ლურჯმა მუნდირებმა. მილიციელებიდან ერთი წოწოლა იყო, მეორე — დაბალი, მსხვილი. ფანჯარასთან მდგარი მუშნი თვალს არ აშორებდა მათ და გრძნობდა განსაცდელის მოახლოებას. რაღაცას, ამის მსგავსს ისედაც ელოდა, მაგრამ ელოდა უფრო გვიან და არა უცებ, არა ასე ადრე, ასე ერთბაშად. მილიციელები ვილაციეებს გამოეღაპარაკნენ და მერე სასადილოსაკენ გაემართნენ. სასადილოს კიბეებზე ვერტმფრენის საცქერად გამოსული დახლიდარი იდგა. მილიციელები დახლიდარს მიესალმნენ, საუბარი გაუბეს. მუშნი აქედან ყველაფერს მშვენივრად ხედავდა. მან დაინახა როგორ შევიდნენ მილიციელები დახლიდართან ერთად სასადილოში.

„ახლა რა ვქნა?“ — გაიფიქრა მუშ-  
ნიმ. ის უკვე ველარ ამჩნევდა ვერტ-  
მფრენის ირგვლივ შეჭვრუფულ ხალხს.  
მან მშვენიერად იცოდა რატომ ჩამო-  
ვიდნენ ეს მილიციელები. უნდოდა გაქ-  
ცეულიყო სადღაც, არიდებოდა მოსა-  
ლოდნელ საფრთხეს, მაგრამ მეორეს  
მხრივ ის საშიშროება, რომელიც აერო-  
დრომთან ელოდა, ანდამატივით იზი-  
დავდა.

ანგარიშმიუცემლად ჩაიკცა პიჯაკი და  
ოთახიდან გარეთ გამოვიდა. გასაღები  
კარებში დატოვა, როგორც შეპირდა  
თაფლოს. ხელის ტკივილი დაავიწყდა.  
„სწორი ყოფილა კვირია, — გაიფიქრა,  
— მგონი მართლაც მომიხდა მალაშო“.  
მუშნიმ ძირს დაცემულ მინდორს გადა-  
ხედა. გაცრეცილი ნისლი ზემოდან დაჰ-  
ფენოდა ხევებს, მინდორზე კი მოჭირბ-  
ლული ბალახი ბრწყინავდა.

საბალნე მოკიდებული ცხენები აღ-  
მართს მიუყვებოდნენ. მუშნი შესცქე-  
როდა ნელი ნაბიჯით მომავალ მდუმარე  
კაცებს. იქნებ წაჰყვეს მათ? იქ მალა  
სოფლებია. იქნებ ასწავლონ ბარისკენ  
მიმავალი გზა და მარტოკამ მოახერხოს  
ამ მთებიდან გასვლა?! მაგრამ მუშნი  
გრძნობდა, რომ რატომღაც არ უნდოდა  
აქედან წასვლა, ემნელებოდა, რაღაცა  
იზიდავდა, იჭერდა, არ უშვებდა აქედან.  
უცებ თაფლოს სახე წარმოუდგა თვალ-  
წინ და მიხვდა, სანამ ეს სახე წარმოუდ-  
გებოდა, მანამდე ფიქრობდა თაფლოზე,  
არც კი იცოდა ისე ფიქრობდა და ისევე  
გაბრაზდა საკუთარ თავზე, რომ დღე-  
ჩაეც ვერ დააღწია თავი ამ ქალზე ფიქრს,  
რომელიც ნელ-ნელა, ნელ-ნელა ით-  
რევდა თავისკენ და ნამდვილ საფიქ-  
რალს, ნამდვილ საქმეს ავიწყებდა.  
„თაფლო რა შუაშია? — გაბრაზებით  
გაიფიქრა, თითქოს თავს იმართლებდა  
ფხიზელი შეგნების წინაშე, — უბრა-  
ლოდ, არავითარი აზრი არა აქვს სხვა-  
დასხვა სოფლებში ხეტიალს. მარტოკა,  
სულერთია, ვერ გვაფლწევ აქედან, სხვა  
გზა უნდა ვეძებო“. მილიციელების ნახ-  
ვაც მოუენდა, როგორც ბოროტმოქმედს

იზიდავს ხოლმე თავისი დანაშაულის  
ადგილი.

ნელა დაეშვა მინდვრისკენ, მიწის არ-  
სების რომელიღაც ნაწილი პირიქით,  
საწინააღმდეგო მიმართულებით წასვ-  
ლას ურჩევდა, მაგრამ მეორე ნაწილი  
არ ემორჩილებოდა ამ რჩევას, რომე-  
ლიც, მუშნიმ არც კი იცოდა რა იყო,  
ფხიზელი გონების კარნახი შიში, თუ  
სხვა რამ. მინდვრის შუაგულში ფრთა-  
მოტეხილი უშნო ფრინველივით იჭდა  
ვერტმფრენი. მინდვრის ბოლოში კი  
ფერდობზე, ვიღაც თუში სათიბში ცელს  
იქნევდა. სუსხიანი დილა იყო. ფერდობ-  
ზე ცხენები ბალახს ძოვდნენ. მუშნი  
სრულებით არ ფიქრობდა იმაზე თუ რას  
ელოდა, რატომ უნდოდა ბარიდან ამო-  
სული მილიციელების ნახვა. რატომღაც  
ეგონა, რომ ეს აუცილებელი იყო, ჭიუ-  
ტად მიაჩნდა, რომ მათ უნახავად აქედან  
წასვლა არ შეიძლებოდა. მაგრამ ამავე  
დროს ეს შეხვედრა, რომლისკენაც მიის-  
წრაფოდა, აფრთხობდა. მიუხედავად  
ამისა მაინც მიდიოდა ქვემოთ, თითქოს  
საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, თით-  
ქოს საკუთარი სურვილით...

როდესაც შინდორზე ჩავიდა და  
ბარჯთან, ვერტმფრენის ირგვლივ შე-  
ჭვრუფულ ხალხს მოავლო თვალი, გააე-  
ვირვა მათმა სიმშვიდემ, რადგან სხვა  
დროს, ვერტმფრენის ჩამოსვლისას აქ  
დიდი გამოტოცხლება სუფევდა ხოლმე.  
მაგრამ მუშნის ახლა ამისათვის არ მიუ-  
ქცევია განსაკუთრებული ყურადღება.  
განმარტობებით იღვა, ჩაფიქრებული,  
დაღლილი სახით და შესცქეროდა იმ  
ქედებს, რომლის თავზე გადაიფრენდა  
ვერტმფრენი სულ მალე და ჩავიდო-  
და დიდ, ფართო ველზე, საიდანაც გზა  
ხსნილი იყო ყოველის მხრივ.

ამასობაში კი ხალხი ზანტად ადიოდა  
ვერტმფრენში, ძირს დარჩენილები  
ჩვრუფ-ჩვრუფად შეგროვილიყვნენ და ხმა-  
დაბლა საუბრობდნენ. მუშნი ნელა გაე-  
მართა სასადილოსკენ და სწორედ ამ  
დროს მილიციელებიც გამოჩნდნენ. ისი-  
ნი სასადილოს კარებიდან გამოვიდნენ

და კიბეებზე დადგნენ, თან რაღაცას ეუბნებოდნენ ოთახში დარჩენილ დახლიდარს. მუშნი სწრაფად შემობრუნდა, ელდანაკრავივით და გაჩერდა. თითქოს გაიყინა ადგილზე. მერე ნელა, ძალიან ნელა გადადგა რამოდენიმე ნაბიჯი და დაძაბულად ელოდა როდის დაუძახებდნენ, მაგრამ არავინ არ ეძახდა. მას ესმოდა მილიციელების ხმები, ბოხი ხმა ალბათ, დაბალს, ჩაფსკენილს ეკუთვნოდა, ესმოდა დახლიდარის წვრილი ნაცნობი ხმაც და სულ უფრო უჭირდა მოწყვეტოდა ამ ხმებს, ამ ადგილს, უჭირდა ფეხის გადადგმა, პირიქით, მოუნდა ახლოს მისვლა, რომ გაეგო რაზე იყო საუბარი. ნახევარი ტანით შემობრუნდა და თვალი სასადილოს კიბეებისკენ გააპარა, ფრთხილად, შეუმჩნეველად, მაგრამ იქ აღარავინ იდგა. მუშნი მთლიანად შემობრუნდა ისეთი ზანტი მოძრაობით, თითქოს უსაქმო კაცი იყო, რომელიც, სწორედ ამ უსაქმურობის გამო, ერთ ადგილს ტყეპნიდა და დაინახა: მილიციელები ბილიკს ქვემოთ მიუყვებოდნენ. ჩქარი ნაბიჯით მიუყვებოდნენ იმ ბილიკს, რომელიც თაფლოსთან ერთად გაიარა თვითონ, გუშინ დილით. სიმძიმე მოეხსნა გულიდან, მაგრამ ამავე დროს გააკვირვა ამ ამბავმა. ყველაფერი ისევე გაურკვეველი გახდა. მუშნი დარწმუნებული იყო, რომ მილიციელები მის დასაქერად ჩამოვიდნენ. მაშ რატომ გაემართნენ ქვემოთ, სად წავიდნენ, რატომ არ დაიცადეს აქვე აეროდრომზე და გაფრენის წინ არ შეამოწმეს ვერტმფრენში ჩამსხდარი ხალხი? იქნებ გაიგეს, რომ მუშნი გუშინ კვირიას სოფელში იყო და ახლაც იქ ჰკონიათ? იქნებ ისარგებლოს ამ შემთხვევით და ჩაჯდეს ვერტმფრენში, მაგრამ ლაღომ ხომ გააფრთხილა, ბარშიც გელოდებიან აეროდრომზე? მუშნი სულ დაიბნა, ვერაფერი ვერ გაეგო. რაღაც იმედის გაცრუების მსგავსიც იგრძნო. მილიციელებთან შეხვედრა არ აღმოჩნდა იმ შინაგანი დაძაბულობის ფასი, რომელსაც განიცდიდა მთელი ამ ხნის განმავლო-

ბაში, მაგრამ უკვე გადაუარა. უცნაური შვება იგრძნო, რაღაც, დროებითი შესვენება. მუშნიმ დაიცადა საწამ მთელი ციელები თვალს არ მიეფარნენ მინდვრის ბოლოში, და მერე სასადილოში შევიდა. დახლიდარი დახლთან ფუსფუსებდა. მუშნის მისალმებაზე მას არ უპასუხნია. მხოლოდ ცოტა ხნის მერე, როცა თავის საქმეს მორჩა, ჰკითხა:

— იპოვე, რაც დაქარგე?

— არა, — უპასუხა მუშნიმ და ძლივს მოაგონდა, რომ სამსახურებრივი რეველვერი დაქარგა.

მერე დახლიდარმა ჰკითხა:

— შენ მუშნი გქვიან?

— ჰო!

— ყიფიანი ხარ გვარად?

— ჰო!

— აი, ეგ მილიციელები შენ გეძებენ! — დახლიდარი თვლებში მიაჩერდა მუშნის საქმიანი, სერიოზული სახით, ხელში გრძელი, პრიალა დანა ეჭირა, — მკითხეს ხომ არ იცნობო, ხომ არ იცი რომელი არიო?

— მერე?

— მე ვუთხარი ეგეთს არ ვიცნობ-მეთქი! — მან დანა დაღო და ახლა მუშნისკენ მთელი ტანით შემობრუნდა.

— რა უნდოდათ? — ჰკითხა მუშნიმ.

— არ ვიცი, ეგ შენ უკეთ გეცოდინება, — უპასუხა დახლიდარმა.

მუშნიმ იგრძნო, რომ ამ კაფანდარა-კაცმა ყველაფერი იცოდა. მაღლიერების გრძნობით განიმსჭვალა მის მიმართ და ერთი წამით ასეთმა აზრმაც კი გაუელღვა, მოდი ერთი, რჩევას შევეკითხებო. მაგრამ იცოდა ამას ვერ შესძლებდა. რადგან მაინც უცხო იყო ის, მხოლოდ ერთი წამით გახდა მახლობელი და სანამ მუშნი ამაზე ფიქრობდა, ის ერთი წამიც გავიდა. თუმცა უფრო ახლობელიც რომ ყოფილიყო რა აზრი ჰქონდა გულის გადაშლას? ვის შეუძლია შენი დარდი გაიზიაროს, მთლიანად გაინაწილოს შენი ტკივილი?

— ქვემოთ საით წავიდნენ! — იკითხა მუშნიმ.

— შენ არ გაგიგია? — გაკვირვებით შეხედა დახლიდარმა და როცა მუშნის დაბნეული მზერა შეამჩნია, ისევ ისე პირქუშად განაგრძო: — წუხელის კვირია მოჰკლეს ყაჩაღებმა... ცხენები გაუტაცნიათ, ეგ დასდევნებია და მოუკლავთ. ჰოდა იქ წავიდნენ.

10

კვირიას სიკვდილი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მუშნი არ განიცდიდა არც სევდას, არც მწუხარებას, მხოლოდ უსაზღვრო გაოცებას შეეპყრო, მთლიანად დაემორჩილებინა მისი სული. ის ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა კვირიას სოფლისკენ მიმავალ ბილიკს და რაც უფრო უახლოვდებოდა სოფელს, მით უფრო იპყრობდა მღელვარება. ვერაფრით ვერ წარმოედგინა, რომ აღარ არსებობდა კვირია, სწორედ ის ახალგაზრდა კაცი, რომელთანაც გუშინწინ საღამოს ღვინოს სვამდა. მთელი გზა, სანამ აქეთ მოდიოდა, თვალწინ ედგა ის სურათი, როცა სასადილოს კიბეებზე მდგარმა, დაღლილმა და ტკივილით გათანგულმა, პირველად დაინახა შავ ცხენზე ამხედრებული კვირია, მთებით შემოზღუდულ ვრცელ მინდორში ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ისევ ისე გრძელდებოდა ცხოვრება, ისევ ურყევად არსებობდა გარე სამყარო, კვირია კი ვეღარ ხედავდა ვერც ამ მწვანე ფერღობებს, ორივე მხრიდან რომ მოემწყვდიათ ვიწრო ხევი და ხევის პირას გამავალი ბილიკი, რომელსაც მოყვებოდა ახლა მუშნი, — ვერც ამ თივის ზეინებს, მშვიდად რომ დაედგა ვილაცის მზრუნველ ხელს მოთიბულ მინდორში. დაუჯერებელი იყო, რომ კვირია ვერ ხედავდა, ვერ აღიქვამდა უსაზღვრო მიწის ზემოთ გადაჭიმულ ლურჯ, სუფთა ცას, რომლის დიდხანს ცქერა, ზოგჯერ იმასაც კი გაფიქრებინებს, რომ შენც მუდმივი ხარ და მარადისი. მუშნის ვერაფრით ვერ შეეგრძნო იმისი მნიშვნელობა რაც

მოხდა. გაკვირვება და გაოცება ახშობდა აზრებს, თითქოს გონება გამოეთიშა მის არსებას და ამიტომ უსაყრდენოდ, უბურჯოდ დარჩა მისი სული. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს არ შეიძლებოდა რამეს დამყარებოდა, რაიმეს იმედი ჰქონოდა, რადგან ყოფიერება ისე იყო აგებული, ყოველივე ისე ეჩვენებოდა, როგორც საფუძველმორყეული შენობა, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება ჩამოინგრეს და თავზე დაგეჰქცეს. მღელვარებას და გაოცებას შეეპყრო, თან ძალზე სწყინდა, რომ ველარასოდეს იხილავდა კვირიას, ალბათ, სიზმარივით გაქრებოდა მისი მეხსიერებიდან ეს კაცი, რომელიც სულ ერთხელ ნახა. მაგრამ ხომ შეიძლებოდა მომავალში საუკეთესო მეგობრები გამხდარიყვნენ! სადღაც, ქვეცნობიერის დაბურულ ტევრში, იქნებ იმისი იმედი ჰქონდა, რომ სწორედ კვირია უშველიდა, გამოიყვანდა იმ სავალალო მდგომარეობიდან, რომელშიაც ახლა იმყოფებოდა. მან ხომ ერთხელ გაუწოდა დახმარების ხელი? ახლა ეს უკვე შეუძლებელი იყო. დაიკარგა ეს იმედი. დაიკარგა იმის შესაძლებლობა, რომ ცხოვრებიდან იალაც ძალა მიეღო, ძალა თუ სითბო, რომელიც თავისთავად არსებობდა, მაგრამ თუკი ვითარება ხელს შეუწყობდა, ვინ იცის, იქნებ ოდესმე მისი წილიც გამხდარიყო? ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, იყო მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობა და არა კონკრეტული, რეალური სინამდვილე, მაგრამ მუშნი სხვაგვარად განიცდიდა ამას. ის ფიქრობდა: „რა ბედლი მაქვს?! ძლივს მომეწონა, შემეიყვარა კაცი, რომელსაც შეიძლება ძალზე შევთვისებოდი, მაგრამ მოკლეს!“ ახლა დარწმუნებული იყო, რომ ძალიან უყვარდა კვირია, თუმცა მის სიკვდილამდე ეს არ ჰქონდა გააზრებული.

მერე სოფელიც გამოჩნდა და შორიდან ქალების მოთქმა გაისმა. მუშნი ერთი წუთით შეჩერდა და თვალი გადაავლო სივრცეს. ყოველივე ისევ ისე გამოიყურებოდა, როგორც გუშინ. ავე,

განმარტოებული გორაკის წვერზე წამოსკუპული თეთრი საყდარი, გუშინაც რომ შეამჩნია, როცა თაფლოს მოყვებოდა ამ გზაზე, და მოეწონა. აგე, ფიქვნარით შეფენილი ფერდობი, სოფლის ბოლოს. სოფელიც ისევ ისეთია, როგორც ერთხელ ნახა. მზეც გუშინდელივით აქვრს. არაფერი არ შეცვლილა. მხოლოდ ქალების მოთქმა ემატება ამ სურათს. მუშნიმ სახიდან ოფლი მოიწმინდა და გზა განაგრძო. სოფლისკენ, უფრო სწორად, ჰაერში რომ ისმოდა იმ მოთქმისკენ მიმავალმა უცებ დაიჭერა კვირბას სიკვდილი და ამ შეგრძნებამ საკუთარი თავი დააეიწყა, — თავისი სადარდებელი და საზრუნავი, რომელიც ბოლო წუთამდე არ ტოვებდა, — და გულწრფელმა მწუხარებამ შეიპყრო. ყველაფერი წვრილმანად, უმნიშვნელოდ, უაზროდ მოეჩვენა, — ბუნების სილამაზეც, ბარიდან მილიციელების ამოსვლაც, ის განწყობა თუ გრძნობა თაფლოს მიმართ რომ გააჩნდა გუშინ...

ნაბიჯს აუჩქარა და სოფელში შევიდა. სოფელი თითქოს დაცარიელებულიყო, არავინ შეხვედრია ორღობეებში. მუშნი დაიძაბა. ყინულოვით ცივი მოთქმა ქრუანტელს ჰგვირდა. ძალზე უძძიმდა კვირიას ეზოში შესვლა. მან დაინახა კვირიას სახლთან შეგროვილი ხალხი და ისე აღიჭვა ეს ერთფეროვანი მასა, როგორც მკაცრი სინამდვილის კიდევ ერთი საბოლოო დადასტურება. ნელი ნაბიჯით გაემართა იქითკენ, უფრო მეტად აღელვებული და გაოცებული. და როცა ახლოს მივიდა, შუა ეზოში, ტახტზე დასვენებულ მიცვალებულს დახედა, მის ირგვლივ შემოგროვილ დედაკაცების ზურგს უკან მდგარი. მიცვალებულს სახე მიტკალივით გაფითრებოდა და იწვა გულგრილი, უუურადღებო ყველას მიმართ. არც მოთქმა ესმოდა, არც მის სხეულთან დახრილ ცრემლიან სახეებს ხედავდა. მკერდზე ალესილი ხანჯალი ეღო ჭრილობისაგან მკვდარს, მის თავთან, ტახტზე, გაპენტლი თეთრი მატყლი დაეფინათ, ჯამით ქვამარილი

დაედგათ და ბოთლით არაყი. მუშნი დასცქეროდა კვირიას და აოცებდა ეს უეცარი, დაუჭერებელი და მაინც ჩვეულებრივი, ადრე თუ გვიან აუცილებელი გარდაქმნა. მერე კვირიას დიდება მოძებნა თვალებით. დედაბერი გაქვავებული სახით მისჩერებოდა თავის ერთადერთ შვილიშვილს. მუშნის ტკივილისაგან გული შეეკუმშა და მიხედა, ეს ტკივილი დიდებას დანახვამ გამოიწვია და არა ახლა უკვე სრულებით უცხო კვირიას გაფითრებულმა სახემ. ცრემლები მოაწვა ყელში და თავი ასწია. სოფლის გადაღმა, მოტიტვლებული მწვანე მთის წვერზე, დიდი, თეთრი, მრგვალი ღრუბელი ტიტტივებდა ჰაერში. ცა კი უსაზღვროდ ლურჯი იყო „არაფერი არ არი მყარი, არაფერი არ არი საიმედო“, — გაიფიქრა მუშნი.

ქალები მოთქვამდნენ, მაშაყაყები ცალკე იდგნენ. უცებ მუშნი მიცვალებულის ირგვლივ შემოგროვილ დედაკაცებს შორის თაფლო შეინიშნა. მკაცრი, პირქუში სახით, გვერდით ამოდგომოდა ახალგაზრდა ქალს, რომელიც ცრემლად იღვრებოდა. ეს იყო, ალბათ, შუქრუნა და მუშნი დააკვირდა შუქრუნას, მაგრამ იმ წამსვე მოარიდა თვალი და ისევ თაფლოს მიაჩერდა. იმდენად გაუხარდა მისი დანახვა, იმდენად სურდა მასთან ყოფნა, რომ კინაღამ დაუძაბა. მაგრამ დროზე მოეგო გონს. თაფლოს ვარდა მუშნი აქ არავის იცნობდა და ალბათ ამიტომაც მიაჩნდა ის ძალზე მახლობლად. აუტანლად მოუნდა მოქიდიბოდა რაღაცას იმედინას, სიციოცხლის უნარიანს და ამ იმედად, ამ სასიცოცხლო აზრად, რატომღაც თაფლო მიიჩნია უცებ. მას უნდოდა თაფლოს დანახვებოდა და თვალს არ ამორებდა, მაგრამ როცა ქალმა ამოხედა, არავითარი ყურადღება, არავითარი სიბოზო არ შეუმჩნევია მის ცივად მოელვარე დიდრონ თვალეში და მუშნი გამოერკვა. წრეს გამოეყო და სახლის კედელთან ჩრდილში დადგა.

რას იფიქრებდა გუშინ, რომ დღეს

ისევ ამ ოჯახში მოხვდებოდა?! რა ბედნიერი იყო, თურმე, გუშინ კვირიას დიდედა?! მუშნის ისევ ეტყინა გული. ერთ წამში, ერთ თვალით დაუქერულ გაელვებაში, რაღაცას, შეუცნობელს ამ ცხოვრებაში შეუძლია ყველაფერი დაარღვიოს: შენი იმედი, სიყვარული, შინაგანი წონასწორობა და ვერასოდეს ვერ ამჩნევ, ვერ გრძნობ ამ წამის მოახლოებას, რომელიც მოულოდნელად გეჯახება ციდან მოწყვეტილი მეტეორივით — განგრევს, სრულებით მოუშაღებელს, გაოგნებულს, ამ მოუშაღებლობით უმწეოს და მერე ჩაივლის. — და ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ისევ ისე რჩება, თითქოს არაფერი არ იცვლება სამყაროში, მაგრამ ასეა ეს? გუშინაც ასეთივე მზიანი კაშკაშა დღე იყო, მაგრამ განა არ შეიცვალა, არ გარდაიქმნა მთელი სამყარო სულ ცოტათი მაინც ამ მოჩვენებითი უძრაობის ფარდის იქით? შეიცვალა, მაგრამ მაინც იგივე დარჩა. როგორც მდინარე არ ჰკარგავს თავის სახეს განუწყვეტელი დინებისაგან, ისეა ცხოვრებაც. მან იგრძნო კვირიას სიკვდილი. და ეს უეცარი წასვლა, ეს უეცარი ნახტომი სადღაც, საუცხოვეში, შემზარავი იყო.

ის იღვა მარტო სახლის კედელთან. ქალების მოთქმა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ყოველივე ამოვარდნილი იყო თავისი კალაპოტიდან და უზაროდ ტრიალებდა სივრცეში. ის იღვა მარტო, ყველასათვის უცხო, უთვისტომო. ის მზად იყო ახლავე გასწორებოდა კვირიას მკვლევებს, აღშფოთება ახრჩობდა. უყოყმანოდ მოუღებდა ბოლოს იმ ყაჩაღებს, რომლებმაც მოუსწრაფეს სიცოცხლე კვირიას, მაგრამ გრძნობდა, რომ უძლური იყო, უმწეო. ჯერ კიდევ სტიკოდა მხარი, მაგრამ მხრის ტკივილი რა მოსატანია? უბრალოდ მუშნი არ იცნობდა გარემოს, არც დამნაშავეებს, სად ექებნა ისინი? არ იცნობდა ის არც ამ ხალხის ყოფას, რომელიც ერთად შეგროვილიყო და დასტიროდნენ კვირიას. ყველანი ერთმანეთის მეზობლები, მე-

გობრები და ნათესავეები იყვნენ და მათი ნაწილი იყო კვირიაც. მუშნი აქ ყველასათვის უცხო იყო, მის დანაშაურობას და თანაგრძნობას არავინ ელოდა. არ, ამ მილიციელებმა, რომლებიც ბარიდან ამოვიდნენ ამ დილით და ახლა ეზოში ტრიალებენ, არც კი იციან, რომ თითქმის მათ გვერდით დგას წვეგრძობებული და მზემოკიდებული მუშნი, კაცი, რომელსაც ისინი ეძებენ. ვინ იცის, იქნებ ვინმე დიდოელი მწყემსი ჰგონიათ? მათ ერთხელ შემოხედეს კიდევ მუშნის და აათვალიერ-ჩაათვალიერეს, მაგრამ მუშნი ოდნავ არ აღელვებულა. კვირიას სიკვდილმა უცნაური სიმშვიდე მოუტანა. ყველაფერი უაზრო ფუსფუსად ეჩვენებოდა, ამოუბად. რა თქმა უნდა, სულაც არ უნდოდა ციხეში ჩაჯდომა, მაგრამ დაქერა ისე აღარ აფრთხობდა, იმ გაურკვეველ მდგომარეობას, რომელშიც ძალაუნებურად იმყოფებოდა. ბოლო მაინც მოეღებოდა, დამთავრდებოდა ეს დამძლეული მოლოდინი მომავლისა. ის ყურს უგდებდა მილიციელების საუბარს მამაკაცებთან. ესმოდა როგორ მსჯელობდნენ იმაზე, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ მკვლელები და როგორ შეეპყროთ ისინი.

— ჩვენ სხვა საქმეზე ვართ ჩამოსული აქა, მაგრამა... — ყური მოჰკრა მუშნიმ სქელი მილიციელის სიტყვებს და უნებურად გაეღიმა.

მას ესმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები და ფრაზები საერთო საუბრიდან.

— წუხელ დასდევნებიან ბიჭები, მაგრამ ჯერ არ დაბრუნებულან.

— ძნელია მთაში კაცის პოვნა...

— სად დაიმალებიან, ცხენებს მაინც ხომ ვიცნობთ?

— არა, კვალი არ დაიმალება, მაგრამა... — ეს იმავე სქელი მილიციელის ხმა იყო.

— ვიღაცას, კაცო, აქ გეოლოგების უფროსი დაუჭრია ფეხში. იმისთვის ჩამოვედით, ამ ამბავს ვინ ელოდა?.. — ეს მეორე მილიციელი იყო, ახმაბი, ჩოფურა.



— არც ჩვენ ველოდით...

— საწყალი ბიჭი, კაცო...

— აბა რა ბიჭი იყო...

მუშნი ხალხს შეერია, ყურს უგდებდა საუბარს. მას არავინ აქცევდა ყურადღებას, მისთვის არ ეცალათ. ყველანი კვირიას სიკვდილს დარდობდნენ და შურისძიების გრძნობით იყვნენ აღზნებულნი. მუშნი მილიციელების გვერდით დადგა, რომლებიც, რომ სცოდნოდნენ ვინ არი მუშნი, ერთბაშად სტაცებდნენ ხელს. თავისი, ასე თუ ისე, მაინც თავხედური საქციელი მუშნის უცნაურ გუნებაზე აყენებდა. უხაროდა, რომ მოიცილა საფრთხის შეგრძნება და ახლა თითქოს ეთამაშებოდა ბედს, აღარ გაურბოდა. ამიტომაც მიუახლოვდა მილიციელებს და ამოუდგა გვერდით. რასაკვირველია, სრულებით არ აპირებდა ამ მილიციელებთან თავისი ვინაობის გამოვლენას, მაგრამ თუ ისინი ამას მაინც ვაიკებდნენ, არ ედარდებოდა. სიკვდილთან შედარებით ყველაფერი უმნიშვნელო წვრილმანად ეჩვენებოდა. მარჯვენა ხელი პიჯაკის უბეში ჩადო, შუბლზე ჩამოყრილ თმას მარცხენა ხელით ისწორებდა ზოგჯერ და ყურადღებით შესცქეროდა მის ირგვლივ შეგროვილ უცხო ხალხში ზოგის სიბრაზით აღზნებულ, ზოგის კი წუხილით დადარდინებულ სახეს. მერე მან თვალი მოკრა თაფლოს. თაფლო, ეზოს განაბირას, ვიღაც ახალგაზრდა, მეტისმეტად მოხდენილ მამაკაცს ელაპარაკებოდა. ეს ახალგაზრდა თუში მუშნის არასოდეს არ ენახა.

«იქნებ ეს არი თაფლოს საქმრო? — გაიფიქრა მან. — ვინ იცის ვინ არი? ჩემისთანა ნაცნობი თაფლოს ალბათ ათასი ჰყავს».

მილიციელები კი ისევ ხვალინდელ გეგმებს აწყობდნენ.

— დღეს უკვე გვიანი არი. ხეალ დილით ჩვენ ორნი გავუდგებით გზასა, იალალებზე ავალთ. ის კაცი მაინც ვერსად წაგვივა...

მუშნი ირიბად შეხედა ამის მოქმელ მილიციელს და დაცინევით გაეღღმაჟა.

«ენახოთ, თუ ვერ წაგივსდნენ ჩინიანად, ბრაზით გაიფიქრა. რალაცა ეწყინა, მაგრამ რა იყო ამ წყენის მიზეზი ვერ გაერკვია. წრეს გამოეყო, ხალხს ზურგი შეაქცია და სახლის უკან გაემართა. ბუნდოვანი წყენა აწუხებდა, გულნატკენიც იყო, მაგრამ რაზე? არ იცოდა და არც უფიქრდებოდა. სახლის უკან გასულმა წიწვნარით დაფარული ხეობა და ხევში ჩავარდნილი აქაფებული, თეთრი მდინარე დაინახა. მდინარის მოძრაობა გაფიქრებინებდა, რომ ცოცხალი არსება მიიკვლევდა სადღაც გზას. დიდებული იყო ეს ჩაბურჭული ხეობა, მაგრამ ბუნების სილამაზეს მუშნიზე ახლა შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მან სახლის კედელთან კუნძუზე ჩამოქდარი გოთა შენიშნა და იმას მიაჩერდა. გოთა თავშიშველი იყო, მოწყენილი, მდუმარე. ერთბაშად მუშნის მოუნდა მისულიყო ამ კაცთან და გამოლაპარაკებოდა, თითქოს ის შესაძლებლობა, რომელიც კვირიას სიკვდილმა გააქრო, მთლიანად არ იყო გამქრალი, სხვაგვარად შეიძლებოდა განხორციელებულიყო, მაგრამ ვინ იცის, ახსოვდა გოთას მუშნი? მიუხედავად ამისა მაინც გაემართა მისკენ და მიესალმა. შინაგანი ალღო არწმუნებდა, რომ ეს ვეებერთელა კაცი ძალზე კეთილი და გულუბრყვილო უნდა ყოფილიყო. დათვივით მობუხული იჭდა და მისალმებისას ისე დაბღვერილმა დაუქნია მუშნის თავი, თითქოს მართლაც მიაშიტი ბავშვივით ხაზს უსვამდა თავის მწუხარებას. მუშნი მიხედა, რამ გოთამ იმწამსვე იცნო, შეიძლება ესია მოვინა კიდევ მისი აქ ნახვა. დაუფარავი სიმპათიით და თანაგრძნობით შესცქეროდა მუშნი ამ დათვივით კაცის ვეებერთელა სხეულს, გაბუტული ბავშვივით მოღუშულ სახეს, განიერ ბეჭებს, უზარმაზარ ტორებს, მუხლებზე რომ დაელაგებინა უმოქმედო. რალაცა იყო ამ კაცში ისეთი, რაც გიზიდავდა და საშუალებას გაძლევდა უბრალოდ, უშუალოდ

დაგეჰირა მასთან თავი. მუშნი გრძნობდა ამას, როცა გოთას წინ ჩაცუცქდა და კვირიას ამბავი გამოჰკითხა.

გოთა ისე ესაუბრებოდა, როგორც მახლობელს, როგორც კარგ ნაცნობს. მოკლედ უამბო, რაც მოხდა. ეს ყველაფერი მუშნიმ უკვე მოისმინა, ხალხში რომ ტრიალებდა, მაგრამ მაინც ყურადღებით უსმენდა. უსმენდა და ენანებოდა, რომ კვირიამ არ იცოდა, როგორ წუხნდნენ მის სიკვდილს. ისე ჩავიდა საფლავში, რომ ვერ გაიგო როგორ შეაყვარა მუშნის თავი მხოლოდ ერთი შეხვედრით.

— კარგი ვაჟკაცი მოკვდა, — სინანულით თქვა მუშნიმ, როცა გოთა თხრობას მორჩა.

— მაშ! ძმადნაფიცები ვიყავით, — თქვა გოთამ და ამოიხვნეშა.

მერე ორივე ხელი თავზე შემოიწყო და დაუმატა — მე ჩამაკვდა ხელში...

იმ დროს, როცა კვირია ცხენების გამტაცებლებს დასდევნებია, გოთაც იქ ყოფილა:

— გვიან გავიგეთ ეს ამბავი, ვერ მოვასწარიით მიშველება.

— სად წავლენ, მაგრამ კვირიას რაღას უშველის, — თქვა მუშნიმ, — ბარიდან მილიციელები ჩამოვიდნენ, ხვალ დილით მკვლელებს დავედევნებითო...

— ერთი მავათი... — ხელი გაიჭნია გოთამ, — დილით მე თვითონ წავალ იმათ საქებრად და სანამ არ ვიპოვი...

ეზოდან ისევ გაისმა მოთქმა, ყრუანტელის აღმძვრელი, უნუგეშო, უპასუხო... მუშნიმ გამომცდელი მზერა მიაპყრო გოთას.

— მარტო წახვალ? — ჰკითხა მერე.

— მაშ!

და უეცრად, რაღაცამ ელვასავით გაუარა თავში და სანამ მუშნი ბოლომდე გაიზრებდა რა სურდა, წარმოსთქვა კიდევ:

— თუ გინდა... თუ ხელს არ შეგიშლი... მეც წამოვალ შენთან ერთად.

გოთამ თავი ასწია, შორიდან, ისეთნაირად შეხედა მუშნის, როგორც ფო-

ტოგრაფები უყურებენ ხოლმე <sup>ზოგჯერ</sup> თავიანთ კლიენტებს, სურათის გადაღების წინ და:

— წამოდი! — ერთბაშად გადაწყვიტა.

— სად შევხვდეთ ერთმანეთს? — სწრაფად შეეკითხა მუშნი.

— სადაც გინდა.

— მაშინ აეროდრომზე დაგელოდები, გამთენიისას.

— კარგი! — თქვა გოთამ და უცებ შუბლში იტყია ხელი: — შენი სახელი დამავიწყდა, ყმაწვილო!

— მუშნი! — გაეღიმა მუშნის.

როდესაც პირველმა შეშფოთებამ, პირველმა გაოგნებამ გაიარა, ყველანი ასე თუ ისე დაწყნარდნენ და როგორი ძნელიც არ უნდა ყოფილიყო ამის შეგუება, მაინც შეურიგდნენ მომხდარ ფაქტს — კვირიას სიკვდილს. კვირია უკვე მკვდარი იყო. ახლა საჭირო იყო მომავალზე ფიქრი, რადგან ასეთ დროს საზრუნავი არასოდეს არ ილევია ხოლმე. ჰირისუფლები, — კვირიას დიდება და მეუღლე, — დედაკაცებმა დასასვენებლად სახლში შეიყვანეს. მამაკაცებს — ნათესავენს, მეგობრებს, მეზობლებს, — დაკრძალვის თადარიგი უნდა დაეჭირათ. გოთას დაუძახეს კაცებმა და სადღაც წაიყვანეს. ბარიდან ამოსული მილიციელები ერთერთი მეზობლის ოჯახში ერთნახად არაყს სვამდნენ. ნამუადღევს, ხალხი შეთხელდა ეზოში. მუშნი ისევ მარტო დარჩა. და ვინაიდან მარტო დარჩენილი მეტისმეტად უმიზნოდ და უცხოდ გრძნობდა თავს, აქედან წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ სად წასულიყო ჯერ არ იცოდა, რადგან არავითარი საქმე და მიზანი არა ჰქონდა ხვალინდელ დილამდე, ხვალ კი გოთას უნდა გაჰყოლოდა მთაში მდევრად.

მუშნი კენძზე იჯდა სახლის უკან და სრულებით არ ფიქრობდა ხვალინდელ ღღეზე. არც კი იცოდა რა უნდა გაეკე-

თებინა, უბრალოდ იცოდა: უნდა წასულიყო საღვთისმშობლისადმი. შინაგანი აფორიაქება არ აძლევდა საშუალებას რაიმეზე შეეჩერებინა ფიქრი; ფიქრებს თავს ვერ უყრდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრები, დანაწევრებული, დაქუცმაცებული სახეები თუ ჩვენებები ყოველგვარი კავშირის გარეშე დახტოდნენ მის გონებაში, ცვლიდნენ ერთმანეთს და თითქმის ვერ ამჩნევდა მოსაღამოებას, ვერ ამჩნევდა როგორ იხრებოდა მზე და ქედების გრძელი ჩრდილები მოცოცავდნენ მწვანე კორღზე, ჭერ კიდევ მზეში მოქცეული წიწვიანი ტყისკენ. როცა მუშნი წამოღება, ჩრდილი უკვე ტყის პირას იწვია. შუადღეზე, გოთასთან ერთად შესმული ერთი ყანწი არაყი გამოუხეღდა და პირი გაშრობოდა. გადაწყვიტა აეროდრომზე წასულიყო და თავის ნაც-ნობ დახლიდართან რამე შეესვა. ამის იქეთ მისი ფიქრები არ წასულა. და როცა ეზოდან გამოდიოდა, გაუპარსავი, მზემოკიდებული, მარჯვენა ხელი ისევ პიჯაკის უბეში ეღო, თუმცა იმდენად აღარ სტკიოდა, თავლოს შეეჩება.

— აქ რას უდგებარ? — ჰკითხა თავლომ.

ასეთმა შეკითხვამ მუშნი, ცოტა არ იყოს, დააბნია და გაკვირვებით შეხედა ქალს.

— მილიციელები დაინახე? — ჰკითხა ისევ თავლომ.

— ჰო, — უპასუხა მუშნიმ.

— მერე?

— რა მერე?

— არ იცი, რომ ეგენი შენს დასაქურად არიან ჩამოსული, გვერდით რომ ამოსდგომიხარ კაი ძმაკაცივით? წელან იკითხეს ეგ ბიჭი ვინ არიო, მაგრამ შენ ბედზე არავინ არ გიცნობდა, რომ გაიგონ, რას ფიქრობ?

ამაზე მუშნი მართლაც არ დაფიქრებულა და ესიაშოვნა, თან გაუყვირდა, რომ თავლოს ასეთი ფიქრები აწუხებდა თურმე.

— კარგი, წავალ, — თქვა მან მორჩილად და ეზოდან გამოსული ორღობეებს

შეჰყვა. თავლომ მოაკილებდა. სოფლის ბოლომდე ჩუმად იარეს, ხოლო რაღდესაც ორღობე მოთავდა, თავლომ შეჩერდა.

— ახლა რას იზამ?

— ნუ გეშინია, მე არა მიშავს, — ღიმილით თქვა მუშნიმ, — ეს ამბავი რომ არ მომხდარიყო, დღეს ვეღარ მნახავდი, მაგრამ...

— ეჰ, — ამოიოხრა თავლომ, — არაფერი არ არი ეს ცხოვრება.

მწუხარებას უფრო გაუმშვენიერებინა ქალის სახე. ასეთ თავლოს მუშნი პირველად ზედავდა. იდგა მის წინ, გულთბილი ღიმილით შესცქეროდა სახეში, გაკვირვებული და კმაყოფილი თავისი აღმოჩენით. თავლოს განწყობა ძალზე ნაცნობი იყო და ეს უფრო აახლოვებდა ამ ქალთან. აუტანლად მოსწონდა დღეს თავლომ. მისი შავი თვალები, მალა აზიდული მრგვალი წარბები, ვენებიანი, პატარა ტუჩები და ხმა, — ძლიერი, მტკიცე, მაგრამ უაღრესად ქალური, ზედმიწევნით ალერსიანი და თბილი. ძალზე მახლობლად, თავისიანად მიანდა ის, დაივიწყა ყოველივე, რაც ზელს უშლიდა ასეთ დამოკიდებულებას და გული წყდებოდა, რომ არაფერი აკავშირებდა ამ ქალთან მტკიცე და მყარი, ადრე თუ გვიან უნდა დაშორებოდა და შეიძლება ვერასოდეს ვეღარ ენახა.

— ის ბიჭი, დღეს რომ ელაპარაკებოდი, შენი რა არის? — წამოსცდა მუშნის, მაგრამ რაყი წამოსცდა აღარ ინანა.

— ვინ ბიჭი? — წარბები შეკრა თავლომ და როდესაც მუშნიმ აუწერა, მოკლედ უპასუხა: — არაფერი.

მერე სოფლიდან ვიღაც ახალგაზრდა ცხენოსანმა ჩამოიარა, მუშნის თავიზიანად მიესალმა და თავლოს ჰკითხა აქეთ ხომ არ მოდიხარო? თავლომ უპასუხა არაო და ცხენოსანმა გზა განაგრძო იმ ბილიკზე, რომელიც ორად ჰყოფდა ხევისკენ დამრეცილ მინდორს. მინდვრის ბოლოში, ერთმანეთის გასწვრივ ბოსლები იდგა. იმ ბოსლების იქეთ გადიო-

და აეროდრომისკენ მიმავალი გზა. ვონების თვალთ მუშნი მიჰყვა ამ გზას, დაინახა გრძელი, ერთსართულიანი შენობა დიდ მინდორზე და მოაგონდა როგორ გაიძნო თავლო.

— საწყალი კვირია! — თქვა მან.

თავლომ თავი დააქნია.

— არაფერი არ არი ეს ცხოვრება... —

ისე ჩაილაპარაკა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა, — რამდენ რამეს უწევს ანგარიშს, რამდენ რამეს ითმენ, იკლებ, ნეტა იცოდე მაინც რისთვის, ვისთვის? ერთ მშვენიერ დღეს ისე გაქრები, თითქოს არც გიცოცხლია არასოდეს...

მუშნი ჩუმად უსმენდა. კარგა ხანს იღვნენ ერთმანეთის პირდაპირ თავჩაღუნულები, ირგვლივ სიჩუმე იყო. ისინი ხმას არ იღებდნენ და შეიძლება გრძნობდნენ კიდევ იმ შინაგანი რიტმის ფეთქვას საკუთარ სულში, რომელიც აერთიანებდა, ერთმანეთისკენ იზიდავდა მათ და არ დაირღვეოდა, რამდენ ხანსაც არ უნდა მდგარიყვნენ ჩუმად, ხმისამოუღებლად, მაგრამ რატომღაც უგონათ, რომ საჭირო იყო რაღაცის თქმა. ალბათ ამიტომაც დაარღვია მუშნიმ სიჩუმე.

— შენ კვირიასთან... — მუშნი შეყოყმანდა, — ისევ იქ დაბრუნდები? — სოფლისკენ გაიხედა.

— ჰო, შენ?

— აგე, იმ გორაკზე ავალ, საყდართან. ცოტას დაეისვენებ, ხვალ დილით რაღაც საქმე მაქვს.

თავლოს არ უკითხავს რა საქმე ჰქონდა.

— კარგი. იქ დამელოდე. ცოტა მოგვიანებით მეც ამოვალ, — მშვიდად თქვა მან.

მერე წავიდა.

მუშნი იდგა და დიდხანს გასცქეროდა სოფლისკენ მიმავალ თავლოს. მან იცოდა, რომ ის კვირიას ოჯახში მიდიოდა, მაგრამ მუშნის არაფერი არ ახსოვდა თავლოს დანაპირებს გარდა. ის ბედნიერი იყო. ბედნიერ ადამიანს კი არ შეუძლია სხვისი უბედურება შეიგრძ-

ნოს, ისევე, როგორც უბედურებაში მყოფს. მხოლოდ მას, ვისაც უკვე გადაუტანია უბედურება, გააჩნია თანაგრძნობის უნარი.

12

წარმართი თუშები, რომლებიც ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ თავიანთი ხატებისა, ეტყობა არაერთარ ყურადღებას არ აქცევდნენ ამ პატარა საყდარს. საყდარი არც ისე დიდი ხნის წინათ იყო ნაგები, მაგრამ ჰერი უკვე ჩამოქცეულიყო, კარებიც მოეგლიჯათ, იატაკზე დაგებული სიბიჭვის ფილაქნები აქა-იქ აეყარათ და მიწას ბალახი და გვიშრა მორეოდა. მაგრამ მაინც საოცრად სასიამოვნო იყო აქ ყოფნა. საიდანღაც, მთის გრილი ნიავი უბერავდა და მთელ ბექობზე მწვანე ბალახი ბობინებდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ეს საყდარი დასასვენებლად აეშენებინათ შემთხვევითი მგზავრისთვის ამ მშვენიერ ადგილზე, გზიდან ცოტა მოშორებით, და არა სალოცავად. მუშნიმ ირგვლივ შემოუარა საყდარს და დაათვალიერა დაფხაჭნილი, ალაგ-ალაგ გამურული თეთრი კედლები. მერე მიწაზე დაჯდა. საყდრის კედელს ზურგით მიყრდნობილი, გრძელ ქედებით შემოზღუდულ სივრცეს გასცქეროდა. მზე უკვე ჩასულიყო და მუქი მწვანე მთები ისე დუმდნენ ირგვლივ, ისეთი უძრავი იყო ყოველივე, რასაც თვალი წვდებოდა, თითქოს ბუნება რაღაც საიდუმლოებას ინახავდა გულში, არ უნდოდა გაემხილა და ამ საიდუმლოების მფლობელი თვითონაც გაუცხოვებულიყო. ხეობის ბოლოს, მუდმივი თოვლით დაფარული, ყინულოვანი მწვერვალი მოჩანდა, ძლევამოსილად აღმართული გამჭვირვალე ჰაერში.

„მაინც ყველაფერი მყარია, არაფერი არ იცვლება“ — გაიფიქრა მუშნიმ. ის კმაყოფილი იყო თავისი ბედისა, მაგრამ უკვირდა ადამიანის ცვალებადობა, რომელიც თავისთავად მაინც მუდმივი,

უცვლელი თვისება იყო, ადამის დროიდან მომავალი. ამ დილით, როდესაც კვირიას სიკვდილი შეიტყო, ყველაფერი უაზროდ ეჩვენებოდა, მაგრამ ახლა, როცა თავლოს ელოდა, ცხოვრებას ისევ დაუბრუნდა აზრი. უკვე უჭირდა იმის აღიარება, რომ სიცოცხლე უაზრობაა, თუმცა კვირიას სიკვდილი მართლაც უაზრობა იყო. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ამაში იყო რაღაც აზრი, რომელიც მუშინიმ არ იცოდა.

როცა აკვირდები ბუნებას — ყველაფერი კანონზომიერია. ნივთიერებებს აქვთ თავიანთი კანონზომიერი თვისებები. მათი შეერთება იწვევს კანონზომიერ შედეგებს. პლანეტათა და გალაქტიკათა მოძრაობა გარკვეულ წესს, კანონზომიერებას ემორჩილება. თვითონ ადამიანის ფიზიკური სხეული ზუსტად და კანონზომიერად არის აგებული. მხოლოდ ადამიანის ბედი, მისი ცხოვრება, ის რაც მას შეემთხვევა ხოლმე ზოგჯერ, იწვევს იმის შეგრძნებას, რომ სამყარო უსამართლოდაა მოწყობილი და ქაოსია ყოველივე. რამდენ ბოროტ კაცს შერჩენია თავისი ცოდვები და დაუსჯელად ჩასულა სამარეში, მაშინ როდესაც კიდევ უფრო მეტ ყოველმხრივ კეთილ, მართალ და პატიოსან ადამიანს დაუმსახურებელ ტანჯვაში, სამაგიეროს გადაუხდელად აღმოხდენია სული?! საიდან მოდის ეს უსამართლობა? — გაიფიქრა მუშინიმ, — ჩვენი არცოდნიდან? უმიზეზოდ ხომ არაფერი არ ხდება სამყაროში, ყველაფერს აქვს თავისი გამომწვევი მიზეზი და ეტყობა ეს უსამართლობაც რაღაც მიზეზის, — რომელსაც ჩვენ ვერ ვწვდებით, — კანონზომიერი, სამართლიანი შედეგია. მაგრამ როგორ გინდა შეიგრძნო და აღიქვა ეს?

აი, ზიხარ კაცი და შესცქერი დაბინდულ ცას. ცაზე უკვე ციმციმებენ მკრთალი ვარსკვლავები. გასცქერი შენ წინ გადაქიმულ მიწას, უსაზღვროდ ვრცელს და მყარს. როგორ გინდა გაიგო რა ხდება ამის იქეთ?

სადაც ტრიალებს მიზეზობრიობის

ბორბალი და როგორც ჯაჭვში ერთი რგოლი მოსდევს მეორეს, ასევე ერთი მოვლენა — იწვევს მეორეს. ყველაფერი მიყვებით, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი შეიძლება აიხსნას, მაგრამ იმდენად შორს მიდის მიზეზების ეს გრძელი ჯაჭვი ჩვენი უცოდინარობის, აგრეთვე დროისა და სივრცის უსასრულო სიღრმეში, რომ იკარგება თვალთახედვიდან და აღარ ვიცით რა მოსდევს რას! და ვინაიდან ვერ ვწვდებით პირველ მიზეზს, წარმოშობს ყველა დანარჩენი მიზეზისა, ყოველივე საიდუმლოდ და გამოცანად რჩება.

ეს შთაბეჭდილება არ მოისპობა მაშინაც, თუ დავუშვებთ, რომ არსებობს სულის იმიერი ცხოვრება, სადაც ყველაფერი წონასწორდება. მაგრამ რა ხდება იქ არაეინ იცის და ჩვენ ყველას, სანამ ადამიანები ვართ, გვინდა ყოველივე გაიკვეს აქ, ამ მიწაზე, რომელსაც ვხედავთ და ვეხებით. ჩვენს დაუკმაყოფილებელ ვნებებს, შურისძიების წყურვილს ვერ კლავს იმის აბსტრაქტული შეგნება, რომ იქ მიეზღვება ყველას თავისი.

უეცრად მუშინიმ იგრძნო რა მარტო იყო, რა საოცრად მარტო იყო დარჩენილი. სულ უფრო დაბნელდა და ვარსკვლავები უფრო აკაშკაშდნენ. და იმდენად მძიმე იყო ამ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის დაწოლა ზემოდან, რომ თითქმის ფიზიკურად გრძნობდა ამას თავის მხრებზე, თავის ბეჭებზე. წარმოუდგენლად შეეშინდა გაქრობის, არყოფნის. ხეობის ბოლოს კი თეთრი სიცივიტ აელვარდა ყინულოვანი მწვერვალზე ცის შავ ფონზე, როგორც სიმბოლო არარობის და მარადისობის. რა შეიკვლება მუშინი რომ მოკვდეს? ვინ გაიგებს მის სიკვდილს, ვის გულში დატოვებს კვალს? მას ხომ არაეინ ჰყავს ამ უზარმაზარ მიწაზე, სადაც ამდენი ხალხი ცხოვრობს. ვინ იცის, ეს მარტობა იქნებ ჯერ კიდევ მის დაბადებამდე იყო განპირობებული?

სიბრაზემ შეიპყრო და მოუნდა შე-

მოეგლიჯა ტანზე ეს შემბორკავი ჯაქ-  
ვები და განთავისუფლებულიყო, გაქ-  
ლეულიყო, განრიდებოდა საკუთარ  
ბედს, — შეიძლება წინასწარ განპირო-  
ბებულს, — რომელსაც ვერ ურიგდებოდა.  
მოუნდა ყველაფერი შეეცვალა, ახალ  
კალაპოტში გადაეგდო თავისი ცხოვრების  
დინება. მოუნდა ხელი მოეჭიდა ვილაცი-  
სთვის, ვინც მასთან ერთად იქნებოდა  
ამ ბნელ ღამით, პირქუშად აღმართულ  
მთებს შორის, ვარსკვლავებით მოქედ-  
ილ ცის ქვეშ, როგორც იმედი, როგორც  
ნუგეში განწირულისა და სწორედ ამ  
ღროს, მან დაინახა საყდრისკენ მომავალი  
ბნელი ლანდი და მოუღედნელი მღელვარებისგან  
გული შეეკუმშა.

თაფლო გაუბედავად მოაბიჯებდა აღ-  
მართზე. მუშნი წამოდგა. აღლეებისა-  
გან სუნთქვა შეეკროდა. უკვირდა ეს  
მოულოდნელი სისუსტე, რომელმაც  
მთლიანად დაიპყრო. ამზომამდე არა-  
სოდეს დაუკარგავს სიმშვიდე, საკუთარ  
ვნებებს არასოდეს მიჰყოლია ასეთი  
თავაწყვეტით და როდესაც თაფლო ახ-  
ლოს მოვიდა, სიტყვის თქმა ვერ მო-  
ხერხა, მუშნიმ ჩაახველა.

— რა იყო, ხომ არ გაცივდი?

თაფლოს ხმა ირონიულად ეღერდა,  
როგორც მაშინ, როცა პირველად გაიც-  
ნო, როგორც გუშინ, როცა კვირიას  
ოჯახში მიდიოდნენ. ამ ჩვეულებრივმა,  
ირონიით ნათქვამმა სიტყვებმა დაკარ-  
გული სიმხნევე დაუბრუნა და ამავე  
ღროს გული დასწყდა, რომ რაღაც გან-  
საკუთრებით ამაღლებულს, აქამდე უჩ-  
ვეულოს ემშვიდობებოდა საკუთარ  
სულში. „არაფერი არ არი მყარი, სი-  
მელი“, — გაიფიქრა მან.

— რა სულელი ვარ?! ამ შუალამზე  
აქ რამ ამოვიყვანა, — თქვა თაფლომ, —  
რას იფიქრებენ აქ რომ დაინახონ?!

— ვინ უნდა დაგინახოს?

— მე რა ვიცი?!

— თუ არ გსიამოვნებს, წავიდეთ  
აქედან, — წყენით თქვა მუშნიმ.

— ჰო, წავიდეთ!

გორაკიდან ჩამოვიდნენ და მთლიანი  
ღელის ლუმბრი გაიატეს. უდასრულო  
ნდორში ბილიკს დაადგნენ. სადღაც,  
შორს დარჩენილ სოფელში, კრაქების  
შუქი ცივად ციმციმებდა აქა-იქ. იქ,  
იმ სახლებსა და მძლავრ აღმართულ,  
ძველებურ ციხე-კოშკებს შორის, რო-  
მელთა სილუეტები მთლიანად წაეშა-  
ლა ამჟამად წყვდიადს. რომელიღაც  
ეზოში, ტახტზე იწვა კვირია, ვარს-  
კვლავებით მოქედილ ცის ქვეშ. აქ,  
კი, გაშლილ ველზე, მოთბული თივის  
სუნი მოჰქონდა საიდანღაც ნიავს. თი-  
თქმის ციოდა უკვე, თუმცა ჯერ კი-  
დეც ზაფხული იდგა. აგვისტო იწურე-  
ბოდა. ორიოდე კვირაში სახამართო სა-  
ჯოვრებისკენ დაიძვრებოდა თუშეთის  
ცხვარი და სრულებით დაცარიელდებოდა  
მთელი ეს მიდამო, რომელიც  
ისედაც უკაცრიელი ჩანდა ამ ბნელ  
ღამით. მართლაც საოცარი სიბნელე  
იყო, მხოლოდ დაკლანქილ ბილიკის  
თეთრ ზოლს თუ გააჩრევდა მიწაზე  
აღამიანის თვალი. ისინი ხმის ამოუღე-  
ბლივ მიდიოდნენ, მიუყვებოდნენ ბი-  
ლიკს კორომის გასწვრივ, სადაც ფილ-  
ტებმა ფიქვების დამატორბელი სურ-  
ნელი შეისუნთქეს და მერე ტყეც მო-  
თავდა. ვირისჩლიქას ბუჩქებს მთლი-  
ანად დაეფარათ ერთი ციციქა მიწა  
გზიდან — მღუმარე ხევის პირამდე.  
კარგა ხნის შემდეგ მიტოვებული ბო-  
სლები მოჩვენებებივით წარმოიმარ-  
თნენ წყვდიადიდან და საქონლის სუნ-  
მა, ნებვის და თივის თბილმა სუნმა  
აღამიანის სიახლოვე აგრძნობინა მათ  
ღამის სუსტში.

თაფლო სწრაფად მიდიოდა. ის ზო-  
გჯერ ჩერდებოდა და სულგანაბული  
ყურს უგდებდა სიჩუმეს. მას რაღაც  
ხმები ესმოდა. მას ეჩვენებოდა, რომ  
უკან, ვილაციები უჩინარი მღევრები-  
ვით მოყვებოდნენ ბილიკს. მაგრამ  
მთების ყრუ ღუმლის არაფერი არღვე-  
ვდა და თაფლო იძულებული ხდებო-  
და სწრაფი ნაბიჯით დაწეოდა წინ წა-  
სულ მუშნის.

მუშნი უკან მოუხედავად მიდიოდა და ათას რაღაცაზე ფიქრობდა. ცოტათი ნაწყენი და იმედგაცრუებული იყო, მაგრამ ისიც არ შეიძლება, რომ ხორცშესხმულ ქალს მოსთხოვო შენი საკუთარი იდეალის თვისებები. ბნელოდა. მთების წაშლილი კონტურები უქცხოს ზდიდა გარემოს. თითქოს საგნები გადაადგილებულიყვნენ ირგვლივ და ის, რაც ასე შუქსავსე და ამოხსნილ საიდუმლოსავით ნათელი იყო დღისით, — ბუნდოვანი, ხიფათის შემცველი და იდუმალი ჩანდა. მაგრამ როდესაც კანკრობში ჩაეფლო, მუშნის მოაგონდა, რომ აქ წყარო ვადიოდა სადღაც. ბილიკიდან ვადაუხვია, ალაღბედზე! მიაკვლია ფშანს და შუბლი გაიგრილა. თაფლო სადღაც სიბნელეში უცდიდა. უკან დაბრუნებულმა მუშნიმ ვერც კი დაინახა ის, სანამ ზედ არ მიადგა. ისევ გარინდული, სულგანაბული იდგა თაფლო, თითქოს რაღაც მოულოდნელის მოლოდინში დაძაბულიყო. როცა მუშნი მიუახლოვდა თაფლომ თქვა: უკან ვილაცეები მოდიანო.

— მერე იარონ, შენ რას გიშლიან?

— მეშინია!

— არ გრცხვენია, რის გეშინია? — გაიციანა მუშნიმ.

— რატომ უნდა მრცხვენოდეს, მე ქალი ვარ, — ამყავდ განაცხადა თაფლომ.

მუშნიმ ყური მიუგდო სიჩუმეს და მართლაც მოეჩვენა, რომ რაღაცა ფაჩუნობდა, თუ ყრუდ დუღუნებდა სადღაც, ბნელით მოსილ მინდორში, რომელიც ისე წაშლილიყო და ჩაფლულიყო წყვილაღში, როგორც დავიწყებული სიზმარი.

მერე გზა განაგრძეს. გრძელი ვაკე გაიარეს და ტყეს მიუახლოვდნენ. ტყე ფერღობზე იყო და აქედან აღრიალულ მდინარემდე, ხეობის ძირში, თავდაღმართზე უნდა ევლიოთ. მდინარის ხმა ამ სიმაღლეზე ჯერ ვერ სწვდებოდა სმენას. ერთმანეთში გადახლართული ხეების ჩრდილი მთლიანად

შთქაედა ბილიკს, წინ თითქმის არაფერი ჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ღრმა, უძირკო ორმოში ეშვებოდნენ. ფრთხილად დაადგნენ გზას თავდაღმართში. ცოტა ხნის მერე, მუშნიმ წელზე შემოიხვია თაფლოს ხელი. თაფლოს ხმა არ ამოუღია; მუშნი გრძნობდა, რომ დამრეც, ოღროჩოლორო ბილიკზე სიარული თაფლოს მაინცდამაინც არ უქირდა, მაგრამ ხელს მაინც არ უშვებდა. ქალი მთლიანად მინდობოდა. მისი ილღიების, მისი წელის შეგრძნება დენივით უვლიდა და არაფერი არ ესმოდა, აღარაფერზე არ ფიქრობდა. კარგ ხანს იარეს ასე, მაგრამ მერე, როცა შუაგულ ტყეში შევიდნენ, უცნაურმა გაბრუნებამ გადაუარა. მუშნი შეჩერდა, ახლოს მიიზიდა ქალი და კისერში აკოცა.

— მოიცა! — წამოიძახა თაფლომ და ვაჟის მკლავებში გარინდულმა ისევ მიუგდო ყური რაღაცას თუ ვილაცას, უჩინარს, უხილავს, მაგრამ მაინც ტყის სიბნელეში ავბედითი ლანდივით არსებულს, — არ გესმის? — ჩურჩულით თქვა მან.

სანამ მუშნი გაიფიქრებდა, რომ ეს ჩვეულებრივი, ბუნებრივი კეკლუცობა იყო, არ ესიაშოვნა ქალის ფიქრები სხვაგან რომ დაქროდნენ ახლა, მაგრამ ამ დროს მართლაც გაიგონა ცხენის ფრუტუნის მსგავსი სუსტი ბგერა, სადღაც შორს, ბნელ, დაბურულ ტყეში, სადაც ვარსკვლავების ციმციმიც კი ვერ აღწევდა, და ყური ცქვიტა, მაგრამ სანამ ხმაური განმეორდებოდა, დაივიწყა მისი არსებობა, კიდევ უფრო მიიზიდა ქალი ცალი ხელით და საყოცნელად გაიწია. შემდეგ კი, ძლიერმა დარტყამ მტკივან მხარში — შეაჯანჯლარა, ტკივილმა, თითქოს წვეტიანი ესარი ჩაესოო სხეულში, სიმწრის ოფლი დაასხა და აღგზნება ჩააქრო.

— ოხ, — ამოიკვნესა მუშნიმ და წელში მოიღუნა. ინსტინქტურად მარცხენა ხელი მარჯვენა მხარზე მიიჭირა და გაირინდა. მას რცხვენოდა თავისი მა-

რცხის, სირცხვილი ტკივილზე არანაკლებ აწუხებდა. მერე კი, სანამ ტკივილი საბოლოოდ დაუამდებოდა, კვლავ გაიგონა ახლა უფრო ახლოდან რაღაც ხმები ტყეში. „რა უნდა იყოს?“ — უსიამოვნოდ გაიფიქრა და ინანა მართო რომ არ იყო. მართო რომ ყოფილიყო ყურადღებას არ მიაქცევდა არაფერს, ახლა კი, ქალის დაძაბული განწყობა მასაც გადაედო.

— რა იყო, გეტყვინა? — ჰკითხა თავლომ და მის თავთან დაიხარა. საკუთარ სახეზე გრძობდა მუშნი ქალის სუნთქვას, თითქმის ეხებოდა ქალის სახეს. მაგრამ მუშნი წელში გასწორდა.

— მამატიე, — უთხრა თავლომ.

— არა უშვას...

— არ მიყვარს ღამით სიარული, — თქვა თავლომ, თითქოს თავს იმართლებსო.

ტყის ღუმელში საკუთარ გულისცემას ვაიგონებდა კაცი. არც დამფრთხალი ნადირის გაშლივინება გვიმრებში, არც ღამეული ფრინველის ჩხავილი. წიწვოანი ტყის დამატრობელი სურნელი, მიწის ცივ სუნთქვაში არეული გარს შემოხვევოდა მათ, მართო დარჩენილთ ღამის წიაღში და ახლა მუშნის აღარც ჯეროდა, რომ ვინმეს ავსულოს გარდა, მართლაც შეეძლო ჩამოეცლო ამ ბილიკზე. თითქოს ღამემ თავისი დაფარული შესაძლებლობები გადაშალა და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო რაღაც დაუჩერებელის, სიბნელის ფარდიდან გამოსული არა შიწიერის არამქვეყნიურის გამოცხადება. და უცბად მუშნიმ გაიფიქრა, რომ კვირია მკედარი იყო და მისი სული, თუკი ის არსებობდა, საღდაც ამ ადგილებში დაბორილობდა.

— უკან ვილაცეები მოგვდევენ, — ჩურჩულით თქვა ამ დროს თავლომ.

— სისულელეა. — არც ისე მტკიცედ შეეკამათა მუშნი.

— არ გესმის ხმები?

ყური მიუგდო და უცნაური ხმები მართლაც ვარკვევით გაიგონა. თით-

ქოს ცხენის ფლოქვების ხმა იყო, თუ ვილაცეები ხარხარებდნენ? თუ სიბნელე ხმებსაც აუფერულებდა? მერე! გაიგებდი რა იყო, მაგრამ რაღაცა თუ ვილაცა, მართლაც იყო საღდაც მიმალული. სტანჯველი შეგრძნება გაურკვევლობისა ფხიზელი მოსაზრების უნარს ახშობდა.

— მოდი დაეიცადოთ, — თქვა მუშნიმ, — იქნებ მგზავრები არიან.

— ხომ არ გაგიყდი, გავასწროთ! — წამოიძახა თავლომ და წინ გასწია.

ერთმანეთს ხელი ხელში ჩაქიდეს და უფრო სწრაფად დაეშენენ დაღმართში. ისე ჩქარა მიდიოდნენ, თითქოს მართლაც გაურბოდნენ ვილაცას, თითქოს ვილაც, ბოროტი სული, გამალეზით მოსდევდა მათ, ავბედითი მდევარივით, ბუჩქებს და ხეებს ეფარებოდა და შორიდან უთვალთვალებდა. ერთობ უსიამოვნო შეგრძნება იყო და კარგა ხანს მირბოდნენ დაღმართში, მხოლოდ ხრეშის ხრაშუნი ისმოდა ფეხქვეშ. მერე მუშნიმ ნაბიჯი შეანელა.

— კიდევ რომ მოგვდევენ, შენ რისა გეშინია?

— რა ვიცი?

— სისულელეა. ამ შუალამეზე ვინ უნდა იყოს აქ?

— რა ვიცი, ფეხდაფეხ კი მოგვდევენ, ბედისწერასავით.

— ბედისწერა კი არ მოგვდევენ, წინასწარ გვისაფრდებოდა.

— თან გვისაფრდებოდა, თან უკან მოგვდევენ და იქეთ მიგვერეკება, საღდაც ჩასაფრებულა.

— ასეა თუ ისეა, შენი ბედისა უნდა ეწამდეს. მოდი ნელა ვიაროთ...

— ბედი რომ მაგ რწმენაზე იყოლს დამოკიდებული კარგია, — თქვა თავლომ.

მუშნის ისევ კვირია მოაგონდა და ამ ბნელ ღამეში მიცვალბულზე ფიქრი არ ესიამოვნა. მერე ჩუმად მიდიოდნენ. თანდათან მდინარის ხმაურმაც ზოატანა და ის ხმები, ფეხდაფეხ რომ მოსდევდა მათ მთელ გზაზე, გაქრა. იქ-



ნებ სულაც არ არსებობდა და დღემო-  
ლით გამოწვეული ხმაურის მოჩვენე-  
ბითი შეგრძნება იყო? მდინარის შხუი-  
ლი კი თანდათან ძლიერდებოდა და  
რაც უფრო ქვემოთ ეშვებოდნენ, ნეს-  
ტით იელინთებოდა ჰაერი. სიცივისა-  
გან კანზე აებურძგლა ორთავეს. ბოლოს  
უკანასკნელი მოსახვევიც გაიარეს და  
ტყეში დაკლანილი ბილიკი გათავდა.  
ყურთა სმენა მიჰქონდა მდინარის  
ღმუილს. ახლა ის კარგად ჩანდა ხეებს  
შორის, ქვებზე მოხტუნავე, ცივი, თე-  
ორი. რიყებზე გავიდნენ და მაღალი  
კლდის ნაპირს მიყვნენ საცალფეხო  
ხიდისაკენ. ამ კლდის თავზე წვეტიანი  
ნაძვები იდგა, რომელიც ვაღმა ნაპი-  
რიდან ჩანდა ხოლმე. ხიდი რომ გადა-  
იარეს მუშნიმ თავლოს დასვენება შე-  
სთავაზა, მაგრამ თავლომ კატეგორი-  
ულად იუარა, ოღონდ დროზე გავა-  
სწროთ აქედან და არაფერი არ მინდაო.

— კი მაგრამ რისი გეშინია? — კი-  
დევ ერთხელ შეეკითხა მუშნი.

პირველად გაიფიქრა, ჩემთან მარ-  
ტო დარჩენისა ხომ არ ეშინიაო. რაც  
არ უნდა იყოს, შუალამზე, უცხო მა-  
მაკაცთან ტყეში ყოფნა ქალისთვის  
საჩოთირო საქმეა. იქნებ იმიტომ მოი-  
გონა მოგვდევნო, რომ ამისკენ გადა-  
ეტანა ყურადღება და სწრაფად გამო-  
ველო ეს ბნელი გზა. მაგრამ რაღაც  
ხმა თვითონაც ხომ მოესმა?

— შენ ჩემი ხომ არ გეშინია? —  
ფრთხილად შეეკითხა მუშნი.

— შენი? — გაუჟვირდა თავლოს, —  
შენი რატომ უნდა მეშინოდეს?

— მაშ, რას გარბიხარ, არ დაიღალე?  
მოდრი ცოტა დავისვენოთ...

— ვერ გაიგე, რომ ვილაციები მო-  
გვლევენ?

— კარგი ერთი! ვინ მოგვლევს აბა?  
— მუშნი აღარ იყო დარწმუნებული,  
რომ ნამდვილად გაიგონა ის იდუმალი  
ხმები. იქნებ მოეჩვენა? ეს შესაძლე-  
ბლობა და აქედან გამომდინარე უსა-  
ფუძელო დამაბულობა, აღიზიანებდა.

— მე რა ვიცი ვინ მოგვლევს? რომ  
ვიცოდე კი არ შემოშინდებოდა, — გა-

ბრაზებით წამოიძახა თავლომ და მუ-  
შნი მიხვდა, რომ ამ ქალის გადაწყვე-  
ნება შეუძლებელი იყო.

მდინარის პირას ქალა გაიარეს და  
შეუსვენებლივ აპყენენ აღმართს, ღორ-  
ლიანი ბილიკით. ამის შემდეგ ხმა აღარ  
ამოუღიათ, მდინარის შხუილი კი თან-  
დათან სუსტდებოდა, იკარგებოდა.  
ტყით დაბურული ხეობის ძირში რჩე-  
ბოდა და როცა უკანასკნელი ფერდო-  
ბიკ აიარეს და გორაკებს შორის თვალ-  
უწყედნელი ნაცნობი მინდორი გადაი-  
შალა, სრული სიჩუმე ჩამოვარდა, მხო-  
ლოდ ჰრიჭინობელა ჰრიჭინებდა სად-  
ღაც.

მუშნი კმაყოფილი იყო, რომ ისევ აქ  
მოვიდა. სიამოვნებით გადაავლო თვა-  
ლი ბნელში ჩაფლულ, მაგრამ მაინც  
ნაცნობ მიდამოს. აქ უფრო მშვიდად  
გრძნობდა თავს. ხვალ დილით, სწორედ  
აქ უნდა შეხვედროდა გოთას. ისეთი  
გრძნობა გაუჩნდა, როგორც შინდამბრუ-  
ნებულ კაცს, თუმცა ჭერ კიდევ არ იც-  
ოდა სად ვაათევდა ღამეს, მაგრამ ძალ-  
ზე ნაცნობი იყო ეს სახლები, თვითონ  
ეს ვრცელი ველიც, რომლის შუაგულ-  
ში ვერტმფრენის წასაღებად მომზადე-  
ბული ბარგი ეყარა, ერთსართულიანი  
გრძელი შენობაც, სადაც ერთხელ უკ-  
ვე ვაათია ღამე. მუშნიმ იცოდა სად იყო  
წყარო, დაახლოებით იცოდა სად იდგა  
მიტოვებული ციხე-კოშკი. მან იცოდა,  
როგორ გამოიყურებოდა დღისით სივრ-  
ცე, იმ ციხე-კოშკის იქეთ. მუშნი კმა-  
ყოფილი მოაბიჯებდა მინდორზე, თავ-  
ლოს გვერდით.

სასადილოს რომ ჩაუარეს, დახლი-  
დარს შეეჩხენენ.

— ა, მუშნი? — იცნო დახლიდარმა.

ეს შეხვედრაც ესიამოვნა მუშნის.  
დახლიდარი, როგორც ჩანს, სოფლიდან  
მოდიოდა და სასადილოში აპირებდა  
შესვლას, მაგრამ სწორედ იმ წუთს,  
როცა მისკენ მომავალი ლანდები შე-  
ნიშნა, ზედ კიბეებთან შეჩერდა და და-  
იკადა.

— საიდან მოდიხართ? — იკითხა მან.  
უკვე თავლოც იცნო. თან უსიამოვნო

დაეინებოთ შესცქეროდა ორივეს სახეში, შეიძლება უფრო სიბნელის გამო.

მუშნიმ თავით ანიშნა კვირიას სოფლისკენ.

— ეპ, საწყალი კვირია, — ჩაილაპარაკა დახლიდარმა და ისევ მიაჩერდა მუშნის, თითქოს ელოდა, რომ მუშნი რალაცას ეტყოდა და ამას უცდიდა, მაგრამ მუშნის ხმა არ ამოუღია. მცირე დუმილის შემდეგ დახლიდარმა ღამე ნებისა უსურვა მათ და კიბეებზე ავიდა.

მერე კი ამ შენობასაც გასცდნენ, სიბნელეში გზიდან გადაუხვიეს და ცოტა ხანს ცკრიან ბაღასში იარეს. მოულოდნელად მიაღვნენ ფინურ ქოხს და შეჩერდნენ. წუხანდელი ღამე სიამოვნებით მოაგონდა მუშნის. მას გული დაწყდა, რომ გზა დამთავრდა, მაგრამ ვინ იცის იქნებ ასე სჯობდა?

— გასაღები კარებშია! — უთხრა თათლოს.

თათლო უკვე კიბეებზე იდგა.

— შემოდი ცოტა ხნით! — შეიპატიჟა თათლომ.

14

მთვრალი მილიციელები სასადილოს კარებს მიაღვნენ და ბრახუნი ასტეხეს. ამ დროს სასადილო ყოველთვის დაკეტილი იყო. დახლიდარი სოფელში ათევედა ხოლმე ღამეს ერთ თავის ნათესავთან და ასე გვიანამდე არასოდეს არ რჩებოდა აქ. მაგრამ იმ საღამოს, დახლიდარის ნათესავს ერთი ძროხა კლდიდან გადმოვარდნოდა და ფეხი მოეტეხა. ძროხა დაკლეს, სასადილოში მოიტანეს და ახლა სამზარეულოს უკანა კარებთან, შენობის მეორე მხარეს, დახლიდარი, მზარეული და ძროხის პატრონი ჭრაქის შუქზე ატყავებდნენ. ამ ფაციფუცში იყვნენ, როცა კარების ბრახუნი მოისმა.

უკმაყოფილო დახლიდარმა ვასისხლიანებული გრძელი დანა დადო და სასადილოში შევიდა. მან კარებს ურდული გამოაძრო და ბნელ ოთახში მთვრალ მილიციელები მოულოდნე-

ლად მოვარდნილი ქარივით შემოიჭრნენ.

— რას ჩაგიჭრია სინათლე? — დაიგრუხუნა ერთმა.

— ლეინო! — მეორემ და დახლიდარს მხარზე ისე დაპკრა, კინალამ წააქცია. უღროთ სტუმრების მოსვლისაგან და აგრეთვე ამ მეგობრული დარტყმისაგან, სისხლი ყელში მოაწევა დახლიდარს, მაგრამ ტუჩებზე პროფესიული ღმილი გამოესახა და თავაზიანად შემოიპატიჟა ისინი.

— დაბრძანდით, ლეინო იქნება. — განაცხადა მან და დახლს უკან, თაროზე ჩამოდგმული ლამპა აანთო. სანამ დახლიდარი ყუთიდან ბოთლებს ამოიღებდა, მილიციელებმა სიმღერა წამოიწყეს.

— „თვალი მიჭირავს შენზედა, როგორც მიმინოს მწყერზედა“, — დაიწყო ახმახმა, გულგაღვლილმა მილიციელმა, რომელსაც ხელები ქორის ფრთებივით გაეშალა ჰაერში და მთელი ტანით ისე ტორტმანობდა, თითქოს ირაოს აყეთებდა.

— „ნეტავი გამაგებინა, შენ რასა ფიქრობ ჩემზედა!“ — აიტაცა ბოხი ხმით მეორემ, სქელი, შავი უღვაში რომ ჰქონდა, დახლიდარს მიაჩერდა და თვალი ჩაუკრა.

— „ჩემზედა, ჩემზედა, შენ რასა ფიქრობ ჩემზედა!“ — განაგრძეს ორივემ ერთად.

„ოხ, თქვენი დედა ვატირე, რა დროს მოეთირეთ?!“ — კინალამ წამოსცდა დახლიდარს რასაც ფიქრობდა, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ გაუღიმა სტუმრებს. ის მაგიდაზე ბოთლებს და ცარიელ ჭიქებს აწყობდა, მილიციელები კი ფეხზე იდგნენ ოთახის შუაგულში, სიმღერის ექსტაზში შესულნი.

კარგა ხანს იმღერეს. დახლიდარი უსაქმოდ იდგა და გასატყავებელ ძროხაზე ფიქრობდა. როცა სიმღერა მობეზრდათ, დახლიდარმა სკამები დაუდგა ორთავეს და უთხრა:

— მაგრა გიქვიფიათ, ჩემმა შვიმ...  
— მაშ, დავლიეთ, მეტი რა შეგვრჩება?!

— რა ჰქენით, ის ბიჭი თუ იპოვეთ? — ყოველშემთხვევისათვის იყითხა დახლიდარმა, თუმცა სწორედ წელან შეხვდა მუშნის.

— ვინა?

— ვის დასაქვრადაც ჩამოხვედით!

უცებ სქელმა, დაბალმა მილიციელმა ცხოველოვით დაიღრიალა და მაგიდას მთელი ძალით დაჰკრა ხელი. თვალეში სისხლი მოსწოლოდა სიბრაზისა და ღვიწხისაგან და ისეთი ზიზღით, გაცოფებით უთამაშებდა ქვედა ყბა, რომ დახლიდარს შიშისაგან ენა პირში ჩაუფარდა და ღმერთს მადლობა შესწირა, ამ წუთში მუშნი აქ რომ არ იყო.

ერთი წამით სასადილოში სრული სიჩუმე ჩამოვარდა და სანამ მილიციელი ხელმეორედ აღრიალდებოდა, ოთახში, რომ იტყვიან, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. მაგრამ მილიციელი თითქმის იმეგ წამს აღრიალდა, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ კაცი ამ ღუმელს აღიქვამდა.

— დაეიქვრ და... — მან კბილები დააკრაქუნა, — ჩემი ხელით დაეხბრჩობ... — ხელები მთელი ძალით მოუქიჩა ერთმანეთს, თითქოს ხელში რაღაც მაგარი საგანი ეჭირა და ფშვნიდა, თან დახლიდარს შესტკეროდა. — აი ასე... დაეხბრჩობ, მოვეკლავ...

— სად წაგვივა, ერთი იმისი... — გვერი დაუკრა ამხანაგმა, რომელსაც ეტყობოდა მზიარულ გუნებზე იყო და სრულებით არ ფიქრობდა არავითარ მკვლევლობაზე, უბრალოდ მოულოდნელად გაცოფებული მეგობრის დამშვიდება უნდოდა.

— შენა გგონია დაეიქვრ? — გააწყვეტინა პირველმა და ისევ დახლიდარს მიანიჭრდა, დამანქული, გაბოროტებული სახით, შუბლზე ოფლმაც დაასხა, — არა! ეგ არ გამოვია მე მაგას ვასწავლი სროლა როგორ უნდა.

— სროლა ჩვენა გვეითხოს, მეტი რა ვიცი! — ჩაურთო ამხანაგ უდარდელი, ზალისიანი ხმით, ეტყობოდა ისევ სიმღერის წამოწყებას აპირებდა.

— უფროს გეოლოგს ესროლა! — ისეთი გაცოცხებით და აღშფოთებით გაი-

ძახოდა სქელი, რომ აშკარა იყო ამანზე უფრო პატივისაცემი და მაღალმნიშვნელოვანი პოსტი არ ეგულებოდა ქვეყნად, — სროლა იცი, როგორ უნდა?

ბუდიდან რევოლვერი ამოიღო, პაერში შემართა და ბლანტად შებრუნდა სიბნელისკენ, თითქოს სადღაც იქ, კუთხეში, აჩრდილივით მიმალული მუშნი იდგა.

— გამოეთრიე აქეთ! — მიმართა მან სიბნელეს, უფრო სწორად, დაუსრებლად მიმართა მუშნის, რომელიც არასოდეს არ ენახა და ვინ იცის როგორი სახით ჰყავდა წარმოდგენილი ახლა, თავისი წარმოსახვით, მის პირისპირ მდგარს.

— შუბლს გაგვიხვრიტავ, შეღწიარაკო! — დაიღრიალა საშინლად, რამოდენიმე ნაბიჯი ბნელ კუთხისკენ გადადგა, წინ, და უცებ ჩახმახს თითო გამოკრა.

სროლის ხმამ გააყრუა სივრცე.

დენთის სუნმა ნესტოები აუწვია შიშნაწამ დახლიდარს.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეგრე, — თქვა სინათლისაკენ შემობრუნებულმა მილიციელმა და რევოლვერი ძირს დაუშვა, — ეხლა ღვიწხ დაასხი.

როგორც ჩანს, სროლის ხმამ დაამშვიდა, დაუტყბო ვნებები.

## 15

თაფლო და მუშნი ჩუმად შევიდნენ ბნელ ოთახში, კარი მიხურეს. დიად დარჩენილი ფანჯრიდან ნიავე შემოდიოდა და ფანჯარაზე ჩამოფარებულ ფარდას აფრიალებდა. ოთახში ახლა სასიამოვნო სურნელი იდგა და მუშნი ისეთივე მღელვარებამ შეიპყრო, როგორც წუხელის, როცა მარტო შემოიპარა აქ, უჩუმრად, ფეხაკრეფით. ახლა კი თაფლოს ახლდა და ქალის პირისპირ დარჩენილს, ოთახის სიფრიფანა ოთხ კედელში მოქცეულს, სადაც დაცული იყო ღამის გაურკვევლობისა და უჩინარი დენისაგან, გული მაინც გამალებით უცემდა. მუშნი ღელავდა, თუმცა მთელი გზა, როცა მარტოდმარტო მოდიოდა თაფლოსთან

ერთად დაბურულ ტყეში და ბნელ მინდორზე, ასეთი რამ არ განუტყია. სიბნელეს შეჩვეული თვალი კი უკვე არჩევდა ნაცნობ საგნებს. მუშნი ხედავდა კედელთან მიდგმულ საწოლს, სადაც წუხელ დამე ვაათია. ეს თავლოს ლოგინი იყო, თავლო იძინებდა ამ საწოლში, წუხელ თვითონ რომ იწვა და შეიძლება ამიტომ თავლო უფრო მახლობელი ხდებოდა, თითქოს რაღაც ჰქონდათ ზიარი. თავბრუდამხვევი ერთნატილი ტანში უვლიდა, მერე კი, როცა თავლომ მავიდაზე დადგმული ლამპა აანთო და კარებთან ატუხულ მუშნის სიცილით უთხრა: დაქევი, რასა დგებარო, ცოტათი დამშვიდდა.

კედელთან მდგარი პატარა კარადიდან თავლომ არყიანი ბოთლი გამოიტანა. მუშნი სკამზე იჯდა და უყურებდა როგორ შლიდა თავლო სუფრას. ის უხმაუროდ დადიოდა, თითქოს დაცურავდა იატაკზე. ლამფის მკრთალ შუქში უფრო ლამაზი ჩანდა. მუშნის სიამოვნებდა აქ ყოფნა. არაფერზე არ ფიქრობდა: არც კვირიანზე, არც ხვალისდღე დღეზე, არც შილიციელებზე. მთელი არსებით მინდობოდა იმ წუთს, რომელიც იღვა და უხაროდა თავლო სუფრას რომ უშლიდა.

როდესაც თავლომ მავიდაზე არაყი, ყველი, წინილი, ორი თევში და ქიქა დადგა, ოთახიდან გავიდა. მუშნიმ გაიგონა კაკუნი ბნელ ტალანში, შემდეგ თავლოს ზმა: „შეიძლება?“ შემდეგ კარის ჰრიალი, საბასუხო ხმები მამაკაცისა და ქალის, და ისევ სიჩუმე. და უეცრად, ამ გაუბზარავ სიჩუმეში მუშნის სმენას მისწვდა შორეული გასროლა. უფრო სწორად მან იგრძნო სროლის ზმა, რომელიც უჩინარი მათრახის გატყაულებას ჰგავდა დამის ბინდში და ამაფორიაქებელ მოგონებასავით შემოიჭრა მისი სულის ამ წუთიერ სიმშვიდეში. მუშნი სკამიდან წამოდგა და გარეთ გასვლა დააპირა, მაგრამ აღარ გავიდა გარეთ. ფანჯარა გამოიხილა და ჩაბნელებულ სივრცეს მიახედა. არაფერი არ ჩანდა საღდაც, მინდურის ბოლოს, რომელიც გორაკის

თხემზე, ცეცხლის ალი პრიალებდა. იქ ალბათ, შეცხვარებები ათევედნენ ღამეს. არაფერი არ ისმოდა. მიინახე: მინდგობიდან ჰრიალი მოხლოდა. მუშნი გასცქეროდა სივრცეს და ფიქრობდა, მართლა გაიგონა სროლა თუ მოეჩვენა? იქნებ ის მდგომარეობა, რომელიც იყოფება, სრულებით შეუმჩნეველად ისე უძაბავს ნერვებს, სმენას და შეგარძნებას. რომ დამფრთხალი ნადირივით ყოველ წუთს სროლა და დევნა ელანდება?

ცოტა ხნის მერე, ტალანში კვლავ გაისმა კარის ჰრიალი და თავლო ოთახში დაბრუნდა. მუშნი ისევ ღია ფანჯარასთან იდგა.

— რა იყო, ჰერი არა გყოფნის? — ჰკითხა თავლომ; პური და ზედ დაწყობილი ხაშლამა მავიდაზე დადო.

— სროლის ზმა გაევიგონე, — უპასუხა მუშნიმ.

— მართლა? — შეკრთა თავლო. ფანჯარასთან მივიდა და რაფას დაეყრდნო. ორივენი სივრცეს მისჩერებოდნენ, ერთმანეთის გვერდით მდგარნი. ლუსკუმ ღამეს ყველა საგანი შეეწოვა, წაეშალა, გაქრო და ამ უქუნეთიდან ცნობიერებას მხოლოდ ჰრიალების სუსტი, მღორე, მოკლე ნახტომებით მომდინარი ზმა სწვდებოდა. მუშნიმ მხარზე ხელი მოხვია თავლოს. თავლომ ხელი გააშვებინა და ფანჯარას მოშორდა.

— მართლა ისროლეს, თუ იტყუები?

— როდის მომიტყუებობხარ?

— რა ვიცი, შენი არაფერი მჭერა.

— რატომ?

ამ დროს ტალანში ვიღაც ახმაურდა, გაისმა მამაკაცის მიძიმე ჩექმების ბრახუნი ხის იატაკზე.

— გიო, შენა ხარ? — გასძახა თავლომ ოთახიდან.

— ჰო, — გაისმა პასუხი და იმავე წუთს კარი გაიღო და ოთახში ახალგაზრდა, შავგვრემანი თუმი შემოვიდა. მუშნის დანახვაზე ის ოდნავ შეცბუნდა, მაგრამ თავაზიანად მიესალმა.

— გაიცანი, — უთხრა თავლომ, — ეს

ჩემი ბიძაშვილის ამხანაგია, აქ ექსპედიციას ჩამოყვა.

მუშნიმ პიჯაკის უბიდან მარჯვენა ხელი ამოიღო და გიოს გაუწოდა. გიოს ხელის მოჭერამ გვარიანი ტყვილი მოჭვევარა, მაგრამ მოახერხა ამის დაფარვა და კმაყოფილი დარჩა. ეტყობა ურჩებოდა სატყვიარი, ამ აზრმა გაახარა და თან კვირიას ოჯახი მოაგონა. კვირიას მოგონებამ გაუტრიალა ის თბილი, კმაყოფილი სიმშვიდის შეგრძნება, რომელსაც წელან განიცდიდა და ახლა, კვირიას მოგონებისას უკვე შეუფერებლად შეუთავსებლად ეჩვენებოდა.

— დაჯექი, გიო, დაგვეწვიე, — თაფლომ სკამი დაუდგა გიოს.

— არა, ცხენს უნდა მივხედო.

— წელან სროლის ხმა ხომ არ გაგიგონია?

— ჰო, რაღაც მომესმა, მაგრამ...

— ვინ ისროლა?

— აბა რა ვიცი?! ამ ბოლო დროს ცახშირდა ჩვენში სროლა...

— ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— აქ ერთი მეცხვარე ბიჭი მოჰყვას წუხელის... — თქვა მერე გიომ და მუშნის მიაჩერდა.

— მე ვიცნობდი კვირიას, — უთხრა მუშნიმ.

ისევე სიჩუმე.

— დაჯექი გიო.

— არა, ცხენს მივხედავ და ბარემ გავიგებ რა სროლა იყო. აეროდრომთან ჩავალ, იქ ხალხი იქნება.

გიომ მუშნის თავი დაუკრა და ოთახიდან იგვიდა.

თაფლო მაგიდას მიუჯდა და მუშნიც მიიპატოცა. ჩუმად ისხდნენ და სახელდახელო ვაჭაშამს შეეპოკოდნენ. მერე თაფლომ ბოთლს საცობი მოხადა მუშნის უთხრა დაასხიო. მუშნიმ მარჯვენა ხელით სცადა ბოთლის აღება, მაგრამ მხარი ეტყინა და ბოთლი მარცხენაში გადაიტანა.

— კიდევ გტყავა ხელი? — ჰკითხა თაფლომ.

— იმდენად აღარ!

კიჭები უკვე სავსე იყო. თაფლომ თბისი კიჭა აიღო.

— მოდი დავლიოთ!

— ეს საწყალი კვირიას შესანდობარი იყოს! — თქვა მუშნიმ.

ერთბაშად გადაკრეს. კახური არაყი იყო, სასიამოვნო, მაგარი. ძარღვებში ცეცხლივით გაიარა სითხემ. ამ ბოლო დროს მუშნი ცუდად ჰამდა ხოლმე, შემთხვევიდან — შემთხვევამდე და ამიტომ უცხად გრძნობდა სასმელის ძალას. არაყს ცოტა საჰმელი მიაყოლეს.

— ეჰ, საწყალი შუქრუნა, როგორ მეცოდება. — თქვა მერე თაფლომ.

მუშნის თვალწინ წარმოუდგა კვირიას დიდება, მისი გაქვავებული სახე, როცა ის შუა ეზოში ტახტზე დასვენებულ კვირიას დასცქეროდა.

— როგორ უყვარდათ ერთმანეთი! — თქვა თაფლომ.

— შუქრუნას რა უშავს, კვლავ შეიყვარებს ვინმეს. — უთხრა მუშნიმ.

— არა გრცხვენია, რას ამბობ?! — მამ რა, საფლავში ხომ არ ჩაყვება?

— ძალიან ცუდი წარმოდგენისა ყოფილხარ ქალებზე!

— რატომ? ბუნება თავისას შვება. მე პირადად, ყველაზე უფრო კვირიას დიდება მეცოდება.

— თვითონ კვირია?

— კვირია აღარ არი! ამერიიდან ყოველივე მის გარეშე ხდება, მისთვის ყველაფერი სულერთია.

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, თან იმას ფიქრობდა: მართლაც, რაღა მნიშვნელობა ჰქონდა კვირიასათვის იმ ამბავს, რომ ხვალ გოთას უნდა გაჰყოლოდა მთაში, დაუწყებდნენ ძებნას მკვლელებს, შეიძლება შეეპყრათ კიდევ და შური ეძიათ, მაგრამ კვირიას ეს რაღას უშველიდა? ვინ დაუბრუნებდა მას სიცოცხლეს? მხოლოდ საკუთარ ვნებებს მოიკლავდნენ ცოცხლად დარჩენილები. ეს იყო და ეს.

— შენი აზრით, ერთგულება არ არსებობს? — ჰკითხა თაფლომ.

— რატომაც არ არსებობს, — თქვა

მუშნიმ და უსიამოვნო ეჭვმა გაპკრა გულში. იქნებ ახლა, როდესაც ერთგულებაზე ლაპარაკობდა, თავლო თავის საჭმროზე ფიქრობდა?

— რა ვიცი, შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს ქალს არ შეუძლია ერთგული იყოს.

— რატომაც არ შეუძლია?! მაგრამ დრო ყველა იარას აშუშებს. შეიძლება შუქრუნას არასოდეს არ დაეიწყდეს კვირია, მაგრამ ის იმდენად ახალგაზრდაა, რომ ისევე მოსწყურდება სიყვარული და, თუ ვითარებამ ხელი შეუწყო, შეიყვარებს კიდევ ვინმეს.

— სიყვარული არა ყოფილა და ეგ არი!

— რა არი სიყვარული?

— როგორ თუ რა არი? სიყვარული... სიყვარულია! — წამოიძახა თავლომ.

— ჰო, ეგრეა, — გაელიმა მუშნის, — მაგრამ მე მგონი, ნამდვილი სიყვარული საკუთარი თავის დაეიწყებაა უფრო. როგორ გგონია, ადვილია საკუთარი თავის დაეიწყება, ან ახლა ბევრსა იქვს ამის უნარი?

— ეგრე რომ მიყვით...

— არა ღირს, რა თქმა უნდა, — გააწყვეტინა მუშნიმ. მერე ჭიჭებში არაყი დაასხა, — მოდი შენ გაგიმარჯოს, თავლო!

თავლომ კეკლუცად, კმაყოფილებით შეხედა მუშნის და სრულებით არ გაიკვირვა ეს სადღეგრძელო. სადღაც, გულის სიღრმეში, მუშნი ელოდა კიდევ, რომ თავლო გაიპრანჭებოდა, იტყოდა: რა საჭიროა ჩემი სადღეგრძელოს დაღევაო, მაგრამ მუშნი მაინც თავისას გაიტანდა და ამით ხაზს გაუსვამდა თავლოსადმი პატივისცემას, მაგრამ თავლომ ღირსეულად, უბრალოდ მიიღო ეს სადღეგრძელო და თავის ჭიქას ხელი მოჰკიდა.

— გაგიმარჯოს თავლო! — უთხრა მუშნიმ და სახეში შეაცქერდა ღიმილით, — ბედნიერად იყავი. შეიძლება ვეღარც კი შეგხვდეთ ცხოვრებაში, მაგრამ იმედი მაქვს, არასოდეს დამავიწყდება.

— მაგ იმედს ნუ დაჰკარგავ! — ჩაიცინა თავლომ.

— ასეა თუ ისე, მთელი გულჩინა და სულთ ვადღეგრძელებ!

— შენც კარგად იყავი! — ჭიქა მიუჭახუნა თავლომ და ამ დროს მისი თვალები ისეთი სითბოთი შესცქეროდნენ მუშნის, ისეთი დაუფარავი, სრული გულწრფელობით, რომ მუშნას მოულოდნელ სიამოვნებისაგან გული შეუქანდა და მღელვარება რომ დაეფარა, ჭიქა სწრაფად მიიღო ტუჩებთან.

არაყმა კიდევ უფრო გაათბო. მთვრალი არ იყო, რა თქმა უნდა, არც გაბრუებული. უბრალოდ დასცხა. საყინძე გაიხსნა და გადაიღელა. სადღაც, შორიდან ოთახში შემოაღწია გაურკვეველმა ბუბუნმა. ხმაური მინდვრიდან მოდიოდა და უახლოვდებოდა ქოხს. მერე ის ბუნდოვანი ხმაური თანდათანობით გარკვეული გახდა: მინდორში ვიღაც მამაკაცები რალაცაზე ხმამალა ლაპარაკობდნენ და იგინებოდნენ. შემკრთალი თავლო სკამიდან წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გაინაბა. ისე დაძაბული იდგა, როგორც ტყეში, როცა ეჩვევნებოდა ვილაყები მოგვლევენო. ამასობაში ტალანში ვილაყებმა შემოაბოტეს ღრიანცელით, ყაყანიო, კედლებს აწყდებოდნენ, ბრახუნობდნენ. ისმოდა გიოს ხმა, რომელიც უცნობებს ცარიელი ოთახისკენ ებატიებოდა. ქოხში სულ სამი ოთახი იყო, აქედან ერთი გიოს ეკირა ცოლ-შვილით, მეორე თავლოს, მესამეში კი არავინ იდგა.

— ნეტავ ვინ არიან? — თქვა ჩუმიად თავლომ.

ისმოდა როგორ შევიდნენ ცარიელ ოთახში მთვრალები და იქ განაგრძობდნენ ხმამალა ლაპარაკს თუ მუქარას. ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებიდან აზრის გამოტანა ჭირდა. კარგა ხნის მერე (მთელი ამ ხნის განმავლობაში მუშნი ჩუმიად იჯდა), სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ტალანში ისევე გაისმა გიოს ნაბიჯების ხმა. თავლომ კარი მოაღო და გიოს დაუძახა. გიო კარებს მოადგა.

— ვინ მოიყვანე? — ფრთხილად ჰკითხა თავლომ.

— მილიციელები არიან ბარიდან, — უთხრა გიომ, — დამთვრალან და რევოლვერიც მაგათ უსროლიათ სასადილოში.

— მერე აქ რა უნდათ? — შიშნარევი ხმით წამოიძახა თავლომ.

— ღამეს გაათევენ და დილით წაეღვენ. კვირიას მკვლელები უნდა იპოვონ. ახლაც იქედან მოდიან. მაგრამ გადაუყურებეთ.

— დაიძინეს?

— ჰო, უკვე იძინებენ.

— რა ვიცი, გული კი გამიხეთქეს.

გიომ ჩაიკინა, ღამე ნებისა უსურვა თავლოს და თავის ოთახში შევიდა.

თავლომ კარი გადაარაზა და მაგიდასთან დაჯდა.

— გაიგე? — შეეკითხა მუშნის.

მუშნიმ თავი დაუქნია.

— აკი ვამბობდი, ვიღაცეები მოგვდევენ-მეთქი, — თქვა თავლომ.

— შენ გგონია ეგენი მოგვყვებოდნენ ტყეში?

— მაშ ვინ უნდა ყოფილიყვნენ?

— იქნებ არაეინ არ იყო?

— ნამდვილად ეგენი იყვნენ, გულმა მიგრძნო. იმიტომაც მეშინოდა... — თავლომ მკერდზე მიიღო ხელი. — ახლაც მეშინია.

— რისი გეშინია? — გაიღიმა მუშნიმ, — ზომ ხედავ გამობრუეულნი ყრიან ოთახში.

— რომ გაიგონ შენი აქ ყოფნა?

— საიდან გაიგებენ?

— რა ვიცი, დახლიდარამაც გენახა ერთად, გიომაც...

— კიდევ რომ გაიგონ, თუნდაც ამ წუთში, მაინც ვერ დამიჭერენ, ისეთი მთვრალეები არიან, — თქვა მუშნიმ, — დილით კი, სანამ ეგენი გამოფხიზლებიან, მე უკვე აქ აღარ ვიქნები.

— მაშ სად იქნები? — თითქოს გაუკვირდაო, წარბები შეკრა თავლომ.

— გოთას მიყვები მთაში მღვერად, კვირიას მკვლელები უნდა ვიპოვოთ...

— ძალიან არ გამოადგები? — გაი-

კინა თავლომ, — ცხენი შენ არა გყავს, იარაღი შენ არა გაქვს...

მუშნი შესცქეროდა თავლოს შემოქურთკული ღიმილით გამობილ ბაგეებს. ისევ მოაგონდა დაკარგული რევოლვერი და გული დაწყდა. ახლა მართლა გამოადგებოდა იარაღი, მაგრამ დაკარგულზე ფიქრიც არა ღირდა.

— არა უშავს, გოთა მიშოვის, — თქვა მუშნიმ.

მთელ ქოხში ყრუ სიჩუმე იდგა. ზანტად, ზოზინით, ვადიოდა უხილავი დრო. მკრთალად ბეუტავდა ღამის შუქი და მუშნი მარტო წრუტავდა არაყს, რადგან თავლომ თქვა: დაეთვერი. მეტი აღარ შემიძლიათ. გათენებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. იქნებ თავლოს მოსვენება უნდა? ფიქრობდა მუშნი, მაგრამ არც ისეთი მორიდებულთა, რომ ვერ მითხრას, ასევენიდა თვითონვე. მას ძალზე სიამოვნებდა აქ ყოფნა და ჯერ არ აპირებდა წასვლას. იმის გაფიქრებაც კი არ უნდოდა, რომ ადრე თუ გვიან, მაინც უნდა წამომდგარიყო და გასულიყო გარეთ. ცივ ღამეში.

მერე თავლომ ჩემოდნიდან ტრანზისტორი ამოიღო, საწოლზე ჩამოჯდა, ფეხები მოკეცა, შალი გადაიფარა და რადიო ჩართო. უსიამოვნო ხრიალი შეაწყდა კედლებს, შემდეგ ნაზი, მელოდური ჯაზი გაისმა. ჩუმად უსმენდნენ მუსიკას და რატომღაც ფიქრი სწყდებოდა ამ უკაცრიელ, ღამის სუსხში მთვლემარე მთავორებს და სინაალით აქაბჭახებულ, ვრცელ, ფართო დარბაზებში ტრიალებდა, სადაც უცხო ხალხი, სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე, სხვა ენებებით შეპყრობილი, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, სადაც ზოგან ღამე იყო, ზოგან კიდევ დღე, — თავისებურად ატარებდა იმ დროს, რომლის რვა-ღამე თვითონაც იყვნენ მოქცეულნი აქ, ფინური ქოხის ოთხ კედელში, თავლო და მუშნი. მერე თავლომ ტრანზისტორი გამოართო.

— დაეიდალე, — თქვა მან.

მუშნი წამოდგა, არაყი დაისხა და

გადაკრა კიდევ წასასვლელად მოეშა-  
და.

— მიდიხარ? — ჰკითხა თავლომ.

— სიმაართლე ვითხრა, ძალიან მეზა-  
რება წასვლა.

— მაშინ, ცოტა ხანს დარჩი, —  
უთხრა თავლომ.

— არ გეძინება?

— არა. მოყვეი რამე.

ხმადაბლა ლაპარაკობდნენ.

მუშნი საწოლთან მივიდა და ფეხებ-  
თან ჩამოუჯდა თავლოს. თავლო ზურ-  
ვით კედელს მისწოლოდა, იდაყვი ბა-  
ლიშზე დაედო და დაყრდნობოდა.

— რა უნდა მოგიყვე? — ჩუმიად  
თქვა მუშნიმ. ქალის სიახლოვე თაე-  
ბრუს ახვევდა, აზრები გაუქრა, ყველა-  
ფერი ერთ ვნებად შეიკრა მის სულში,  
გაერთიანდა და გაურკვეველი მოლო-  
დინი ტანჯავასვით არ ასვენებდა, აწუ-  
ხებდა.

— მიამბე, ვინა ხარ, სადა ცხოვრობ,  
როგორ ცხოვრობ...

მაგიდაზე დადგმულმა ლამპამ ხრჩო-  
ლვა დაიწყო და ოთახში ხრაწის სენი  
დადგა. მერე სინათლე ჩაქრა და გარე-  
დან ერთბაშად შემოჭრილმა უკუნმა  
სივრცე აავსო.

— ნავთი გამოილია, — ჩუმიად თქვა  
თავლომ.

ფანჯარას გამოვალბ! — თქვა მუშ-  
ნიმ შეცვლილი ხმით.

ხელების ფათურით ფრთხილად მი-  
ვიდა ფანჯარასთან და გამოალო. აღ-  
მოდებული სახე გრილ ჰაერს შეუშვირა  
და ცოტა ხნის მერე ისევ შემობრუნდა.  
ფრთხილად გასწია თავლოსაკენ. საკუ-  
თარი გულის ბაგაბუგი საესებით გარ-  
კვევით, მკაფიოდ ესმოდა. სკამს დაე-  
ჯახა და ააბრაახუნა.

— აქეთ, მოდი! — გაიგონა სიბნელი-  
დან თავლოს ჩურჩული.

ურუანტელმა დაუარა მთელ ტანში.  
ხელები და მუხლები აუცახცახდა და  
ალარაფერი არ ახსოვდა ამ ქვეყნად:  
რომ სადღაც ვილაც მოკლეს, ვილაცე-  
ბი გლოვობდნენ. ვილაცას ვილაც სძულ-  
და, ვილაცეები ვილაცას სდევნიდნენ,

ვილაც უსახლკაროდ იყო დარჩენილი,  
ვილაცეები სინათლით აკახებდნენ  
ქალებიან დარბაზში, მუსრკას უხმენ-  
დნენ, ცეკვავდნენ და ღვიზოს სკამდნენ,  
ვილაცას კი სწორედ ამ დროს შოდა და  
ლუკმა პურზე ფიქრობდა... როდესაც  
ხელმეორედ მივიდა თავლოს საწოლ-  
თან და ჩამოჯდა, სუნთქვა აღარ შეეძ-  
ლო. მერე გონება დაებინდა, თითქოს  
ამოპკლიჯეს დროსა და სივრცეს, თით-  
ქოს მოსწყდა მიწას. ერთბაშად მოეხ-  
ვია ქალს და მხოლოდ ქალის სურნე-  
ლოვან სხეულს გრძნობდა, ცხელ ბა-  
გეებს, მილულულ თვალებს და ისე  
უნდოდა ვასცდენოდა საკუთარ თავს,  
შეერთებოდა, შერწყმოდა რაღაცას  
უცნობს. საიდუმლოს, თითქოს მიადწია  
მიულწვევლ ბედნიერებას და ამ დაუო-  
კებელ სურათებაში გაუქრა საკუთარი  
„მეს“ შეგრძნება და რაღაცა, — მისდა-  
უნებურად, მისსავე არსში, — წარუ-  
მართავად მიედინებოდა თავის ნებაზე.  
ის გრძნობდა, რომ რაღაც მიადეს-ვა-  
ლელილ მკერდზე, რაღაც ცივი და სი-  
ძულვილივით უხეში მოებჯინა გულთან,  
მიხვდა კიდევ, რომ ეს იყო რევოლ-  
ვერის ლულა, დაბინდულ ცნობიერებას  
მისწვდა კიდევ ქალის უცნაურად შე-  
ცვლილი ხმა: „იცოდე, გესვრი“, მაგ-  
რამ მისთვის ახლა ყველაფერი სულერ-  
თი იყო.

— მესროლე, მაგის რჯულიც არ  
იყოს!... — წამოიძახა მუშნიმ.

16

ღამე კი ისე გრძელდებოდა, რო-  
გორც საყვარელი მელოდია. უხმოდ  
მღეროდა ყოველივე. ცაზე მოტივტივე,  
სრიალა ღრუბლები ნაზი სიმღერები-  
ვით იშლებოდნენ და იფანტებდნენ  
სივრცეში. ტყბილი ბგერებივით ქრე-  
ბოდნენ და ისევ კიაფობდნენ ვარსკვლა-  
ვები შორეული გალაქტიკების ანსამბლ-  
ში. სიო ელამუნებოდა ხეთა სიმებს და  
ფერდობზე, ერთმანეთის გასწვრივ ჩა-  
მწყრივებული სახლები, სამყაროს ამ  
უხმო მუსიკის მოჯადოებული მსმენე-  
ლებივით გატრუნილიყვნენ.



ფინური ქოხიც ჩვეულებრივად იდგა ლამის ბინდში, მაგრამ მუშნისათვის, ამჟამად, ეს იყო ყველაზე საყვარელი, ყველაზე არაჩვეულებრივი სახლი მთელ დედამიწის ზურგზე. მუშნის თაფლოს მკლავზე ედო თავი და ჩემად ჩურჩულებდა:

— რა ტკბილი, ხარ, რა საოცრად ტკბილი ხარ... შენისთანა ქალი არ არსებობს ქვეყანაზე.

— რა სულელი ვარ, — ჩურჩულებდა თაფლოც და ეალერსებოდა მუშნის, — ვინა ხარ, ლოგინში რომ შემომიწევი, გიციობ მიცნობ?

— მე თვითონ არ ვიცი ვინა ვარ, მაგრამ ახლა არც მინდა ვიცოდე.

— როგორ თუ არ იცი?..

— ჰო, არ ვიცი, სულ პატარა მივეტოვებივარ მშობლებს. მერე ერთი მოხუცი ქალი მზრდიდა, რომელსაც პაპიდას ვეძახდი. მშობლებზე არაფერი არ ვიცი, ვინ არიან, როგორები არიან, ცოცხლები არიან თუ მკვდრები. არ ვიცი ვისი შვილი ვარ, იქნება დებიცა მყავს, ძმებიც, არაფერი არ ვიცი. სულ მარტო ვიყავი ყოველთვის, მაგრამ ახლა ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულება. აუტანლად მიყვარხარ, შენ ისეთი ტკბილი ხარ, როგორც სიცოცხლე...

— არა უშავს, გაგივლის, დაგავიწყდები.

— არასდროს არ დამავიწყდები, ყოველთვის მეყვარები. მითხარი, მართლა გყავს საქმრო?

— მყავდა, ახლა აღარა მყავს.

— მითხარი, გიყვარდა?

— არ ვიცი, შეიძლება მიყვარდა, ახლა აღარ მიყვარს.

— მითხარი, რატომ მომპარე რევოლვერი?

— იმიტომ, რომ იმ დღეს, დუქანში, მთვრალს პიჯაკს რომ ვხდიდი. ხელში მომხვდა და ვიფიქრე მთვრალ კაცს იარაღი რათ უნდა-მეთქი.

— მერე გუშინ, შენი ოთახის გასაღები რომ მომეცი, რატომ არ დამიბრუნე?

— ვიცოდი, კიდევ განასვლი!

— გინდოდა ჩემი ნახვა?

— არ ვიცი, შეიძლება მინდოდა. რატომ არ უნდა მდომოდეს?

— მითხარი, გიყვარვარ?

— არ ვიცი, შეიძლება მიყვარხარ!

— მითხარი, ჩემი იქნები?

— შენ არა ვარ ახლა?!

— არა, სულ მუდამ.

— სულ მუდამ? არ ვიცი...

— რატომ არ იცი? მე ისე მიყვარხარ, უშენოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია.

— იცი რა, თუ გინდა წამიყვანე.

— სად წაგიყვანო?

— სადაც გინდა.

— კარგი წაგიყვან.

— სად წამიყვან?

— არ ვიცი... სადმე.

— ეჰ, შენ არაფერი არ იცი.

— რა იყო, რაზე მოიწყინე?

— ისე.

— ხომ ხელავ რა მდგომარეობაში ვარ, მაგრამ რაღაცას ვილონებ.

— კარგი.

— ბედი არასდროს არ მწყალობდა, მაგრამ მაინც მწამდა ჩემი ბედის. რატომ არ მცემ ხმას?

— თენდება.

— ჰო, თენდება, უნდა წავიდე.

— ნუ წახვალ.

— გოთა მელოდება.

— გელოდოს რა!

— არა, არ შეიძლება. სიტყვა-სიტყვა.

— კარგი წადი!

— შენ ისეთი ტკბილი ხარ, ისეთი ნაზი, შენ თვითონაც არ იცი. შენისთანა ქალი არ არსებობს ამ ქვეყანაზე.

— რამდენია ჩემზე კარგი?!

— ჩემთვის არავინ არი. საკუთარ თავზე უფრო მიყვარხარ.

— არა უშავს, გაგივლის, დაგავიწყდები.

— როგორ შეიძლება შენი დავიწყება?

— ეჰ...

— გათენდა, უნდა წავიდე.

- ნუ წახვალ. დარჩი ჩემთან.
- არ შეიძლება, გოთა რას იტყვის?
- რაც უნდა თქვას, მე რას დავუ-  
ებებ?
- მალე დავბრუნდები.
- კარგი, როგორც გინდა. მანდ  
კუთხეში ტყაპუჭია, წაილე, დაგვირ-  
დება.
- მითხარი, დამელოდები?
- არ ვიცი, ვნახოთ...
- როცა დავბრუნდები, ყველაფე-  
რი კარგად იქნება. მე ისე მწამს ჩემი  
ბედის...

17

როცა მზის წითელი უზარმაზარი  
ღისკო ნელა ამოცურდა მტრედისფერ  
ცაზე, ასცდა მთებისგან დატეხილ ჰო-  
რიზონტის ხაზს და თანდათან გაეზარდა-  
რებულ ფოლადისფერად აღვივდა, მე-  
რე დაპატარავდა, მაგრამ ისე ადულდა  
და ამბრკვევიალდა, რომ კაცი თვალს  
ვერ გაუსწორებდა, — ღამით ჩამოწო-  
ლილი თეთრი ნისლი შეისრუტა მიწამ,  
მოჭირბულ მინდორს მკვეთრად და-  
აჩნდა მთების ჩრდილი და მზეში მო-  
ქცეული ბალახიანი ფერღობი, რომე-  
ლსაც ფეხით მიუყვებოდნენ მუშნი და  
გოთა, სარკის მოკრიალებულ ზედა-  
პირისებრ ალაპლაპდა. სოფელი აღარ  
ჩანდა, მდინარემ საღდაც, სხვა ხეობა-  
ში შეუხვია და ყურთასმენას მხო-  
ლოდ როჭოების წივილი სწვდებოდა.  
დილის ქანსალი სუსხი ამხნევებდა  
ჩქარი სიარულით გახურებულ მუშნის.  
ის უკან მიყვებოდა გოთას უზარმაზარ,  
გრძელ ფერღობზე. ტანზე თავლოს  
ტყაპუჭი ეცვა, გულის ჭიბეში რვეო-  
ლვერი ედო და ამ დილააზდიან სო-  
ცრად მხნედ, მზიარულად გრძნობდა  
თავს, მთელი ღამის უძინარი.

მიუყვებოდა მუშნი ბილიც და თვალ-  
წინ თავლო ედგა. დასცქეროდა ყვავი-  
ლებით დაჭარგულ მდელოს თავდახ-  
რილი და თავლოს ღიმილით გაბადრულ  
სახეს ხედავდა. გუნდ-გუნდად მფრინა-  
ვი როჭოები წიოდნენ საღდაც, დიციან  
წარაფებში და თავლოს საალერსო

სიტყვები, მისი ტკბილი ჩურჩული ეს-  
მოდა. მოგონებებში ჩაფლულს თავის-  
თის, ჩუმად ელიმებოდა, ერთობ უკმა-  
ყოფილი იყო, რომ საღდაც უცნობ  
მთებში ბილიცზე მიაბიჯებდა და სრუ-  
ლებით დაეწიყვებოდა სად მიჰყავდა ამ  
გზას. ისე მშვენიერი იყო ყოველივე  
ირველივე, ისე თვალწარმტაცი, ნაზი  
ჩანდა გარემო, თითქოს ქალის სულ-  
დგმა ჩაედგა ბუნებას.

ფერღობზე მიმავალი მუშნი ახლა  
სხვა კაცი იყო: თავისუფალი, ბედნიე-  
რი, ლალი. სად გაჰქრა მისი უთქმელი  
წუხილი, გაურკვეველობა, ეჭვი, ყოყმა-  
ნი? ახლა ცხოვრება მშვენიერი და  
სანდო ჩანდა. მიდიოდა მუშნი და თით-  
ქმის შეუცნობლად მალღიერი იყო  
განგებისა, ზუსტად ერთსა და იმავე  
მდგომარეობაში არასოდეს რომ არ  
ამყოფებს ხოლმე კაცის სულს. ის  
გრძნობდა, რომ ადამიანის ცხოვრება  
მულღივი ცვალებადობაა, სხვადასხვა  
ვითარებებში განუწყვეტელი ცვლა ერთ  
არსში თავმოყრილი და ამიტომ ის,  
რაც გუშინ მოხდა, რაც ერთხელ უკვე  
შეგემთხვა, იწვევს დღევანდელ მდგო-  
მარეობას, აწინდელ განწყობას და  
თავის მხრივ, ყოველივე დღევანოე-  
ლი — წინაპირობაა აწ მოსახდენისა.

ახლა მუშნის მხოლოდ ერთი აზრი  
უტრიალებდა თავში. „რალაც უნდა  
ვილონო... თავლომ მითხრა საღაც გინ-  
და წამოგყვებიო... მთიდან რომ დავ-  
ბრუნდები, რალაც უნდა ვილონო“...  
მას არ ჰქონდა ნათლად წარმოდგენი-  
ლი ის ახალი, უცნობი, ბედნიერებას  
რომ ჰპირდებოდა და ელოდა წინ. მაგ-  
რამ წუხანდელს მერე განახლებული  
და იმედიანი გახდა მისი ცხოვრება და  
ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ამ ქვეყ-  
ნად ყველაზე მთავარი, ყველაზე მნიშ-  
ვნელოვანი რამ იყო თავლო, სხვა  
ყველაფერი, რაც ხდებოდა, რაც მას  
ეხებოდა, ამისგან თანასწერივად, ამის-  
გან შეუხებლად მიედინებოდა თავისთ-  
ვის საღდაც, ბურუსში, რომელსაც ვერ  
სწვდებოდა ფიქრი. ასეთი განწყობით  
მოყვებოდა გოთას მუშნი.

ისინი დიდხანს მიდიოდნენ მაღლა, მზე კი სულ უფრო და უფრო აჭერდა. შუაღამე იქნებოდა იალალს რომ მიადგო. ცხენების რემა გაფანტულიყო ირგვლივ. ჭიშინი, ნებიერი ცხენები ბალახს ძოვდნენ, ზოგიერთები კი გატრუნულიყვნენ, თავი ერთმანეთისათვის მიედოთ. გოთასა და მუშნის დანახვაზე, ბინასთან მსხდარი მწყემსები წამოიშალნენ, მღუმარედ შემოეგებნენ ახალმოსულებს, აღმაცერი მზერა ესროლეს მუშნის.

— ჩვენი ბიჭია, — აუხსნა გოთამ.

შემდეგ ყველანი დასხდნენ და კვირიას მკვლელობაზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ის ბიჭები, რომელნიც ყაჩაღებს დადევნებოდნენ, უკვე დაბრუნებულიყვნენ დალილი-დაჭანცულნი, მაგრამ ვერავითარი კვალი ვერ ებოვათ. შურისძიების წყურვილი თვალბში ეტყობოდა თვითოეულ მათგანს, ხარბად უსმენდნენ სოფლიდან ამოსულ გოთას და უყოყმანო მზადყოფნა გამოსახვოდათ სახეზე. მათი შემხედვარე მუშნი საოცარ ენერჯიას გრძნობდა სხეულში, მოქმედების მოუთმენელ სურვილს და თვითონვე უკვირდა რისგან იყო ეს გამოწვეული, რადგან გულის სიღრმეში სწამდა, იმ ყაჩაღების შეპყრობა და დასჯა არაფერს არ მოუტანდა კვირიას. ეს ერთგვარი უმიზნობაც იყო, ბედის შემობრუნების თუ წონასწორობის აღდგენის გულბრყვილო ცდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მზად იყო დაუფიქრებლად გაეკეთებინა ის, რასაც ეტყოდნენ, რასაც დაველებდნენ, რადგან სხვანაირად მართლაც არ შეიძლებოდა და გარდა ამისა, ამით გამოსავალს მოუძებნიდა მის შიგნით დაგროვილი ერთბაშად მიზღვაგებულ ძალას, რომელსაც კვირიას სიკვდილით გამოწვეული ბოღმა ერთვოდა. მას უყვარდა კვირია, გულწრფელად აწუხებდა მისი დაღუბვა, მაგრამ ის დაფარული, ჩუმი ხალისი თუ მზადყოფნა, რომელსაც განიცდიდა ახლა და დაუყოვნებლივ მოქმედებისაკენ უბიძგებდა, მხოლოდ მწუხარებით და აღშფო-

თებით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული და თვითონვე გრძნობდა ამას. და როცა ამას გრძნობდა, რატომღაც თაფლოსაკენ მიუბრუნდებოდა და თაფლოსაკენ უნდა ვიღონო, ამ საქმეს რომ მოეჩვენებოდა, რადგან უნდა ვიღონო. უნდა წავიყვანო თაფლო.

შეიარაღებული მწყემსები გვეგებს აწუხებდნენ. ისევ უნდა გაეგრძელებინათ დევნა და თათბირობდნენ იმაზე, თუ ვინ რომელ ხეობას გამოყოლოდა, რომელ ქედს შესდგამოდა, რომ გზა მოეჭრათ. როცა მოითათბირეს, შეთანხმდნენ, წასასვლელად მზადებას შეუდგნენ.

— ეს ყმაწვილი ჩემთან წამოვა, — თქვა გოთამ და მუშნის გადახედა.

ზნა არავის ამოუღია. არც არავის უკითხავს ვინ იყო მუშნი, რატომ იყო აქ. თითქმის ისედაც ყველაფერი იცოდნენ, მერე რამოდენიმე კაცი ცხენებს დაედევნა, დაიჭირეს და ბინასთან მოიყვანეს. მიწაზე უნაგირები, ალირები, მოსართავეები ეყარა. სანამ მწყემსები ცხენებს შეკამყვდნენ, მუშნი სიამოვნებით ფიქრობდა მომავალ მგზავრობაზე. მან არ იცოდა საით წავიდოდნენ, რომელ გზას დაადგებოდნენ, მაგრამ ეს ერთგვარად სასიამოვნოც იყო. სოფლებით ანგარიშს არ უწევდა იმ გარემოებას, რომ მისი მომავალი მგზავრობა მძიმე იქნებოდა. საფრთხესთან დაკავშირებულნი, სამიშარი, იჭდა და გასცქეროდა იალალზე გაფანტულ ცხენებს და ირგვლივ მოფუსფუსე მწყემსებს. ერთი ახალგაზრდა მწყემსი, რომელიც მინდორის განაპირას იდგა მანამდე, დანარჩენებთან მოვიდა და თქვა, ქვემოდან ვილაც ცხენოსნები მოდიანო. მართლაც, ცოტახნის შერე, მინდორზე ჯერ ერთი, მერე მეორე ცხენოსანი გამოჩნდა, მუშნი შორიდანვე იცნო ისინი: ბარიდან ამოსული მილიციელები იყვნენ. შავ ცხენებზე ისხდნენ და სწრაფად უახლოვდებოდნენ მწყემსებს. „რა ყველგან მომდევნა?“ — გაიფიქრა უსიამოვნოდ.

მუშნი მიწაზე იჭდა. პიჯაჯზე თაფლოს ტყაბუქი ეცემა, თუმცა ცხელოდა. ტყაბუქის, პიჯაჯის და ხალათის ყველა დი-

ლი ჩახსნილი ჰქონდა და გაღებლი, მზემოკიდებულ მკერდი მოუჩანდა. მუხლზე ჩამოდებულ მტკივან ხელში გაზეთის ქალაღში გახვეული თუთუნი ეჭირა და გაშლილ ლაჭებს შორის მტვერში იბურჭყებოდა. მას არც კი შეუხედაია მოახლოებულ მილიციელებისათვის (შეიძლება იმიტომაც, რომ მათი ყურადღება არ მიექცია), კეფა მოიფხანა და სახეზეც შემოისვა ხელი. წვერი საგრძნობლად ამოსვლოდა. „ნეტა ერთი სარკეში ჩამახედა! როგორ მოვეწონე თაფლოს ასეთი უწნო, გაუპარსავი, დაუვარცხნელი?“ მუშნის გაელიმა. წარმოიდგინა, წვერს რომ გაიპარსავდა და უკეთ გამოეწყობოდა, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ქალზე. მაგრამ საჭიროა, მანამდე ამ მილიციელებს დაუსხლტეს, თუმცა არა მარტო ამათ. კვალდაკვალ მოსდევენ მეორე დღეა, მაგრამ ჭერ არ იციან ვინ არი მუშნი. ოღონდ დროზე დაბრუნდეს აქედან და მერე საღმე წაიყვანს თაფლოს, თავს უშველის. „რალაც უნდა ვიღონო“, — გაიფიქრა ისევ.

მილიციელები ცხენებიდან ჩამოხტნენ და მიესალმნენ ფეხზე წამომდგარ მწყემსებს. აქეთური-იქითური რომ მოიკითხეს, სქელულვაშა, დაბალმა მილიციელმა დიმილით თქვა:

— რა ყველანი შეიარაღებულხართ, ციხეს ხომ არ ეცემით?

— მაშ რა გეგონა? — გამომწვევად უპასუხა გოთამ.

სქელმა მილიციელმა გოთას შეხედა, მაგრამ თვალი თვალში ვერ გაუსწორა.

— გოთა, ვიცი რასაც აპირებთ! მაგრამ გაფრთხილებ, თუ იმ ხალხს წააწყდებით საღმე, ცოცხალი უნდა ჩაგვაბაროთ, თორემ პასუხს აგებთ.

მწყემსები მღუმარედ შესცქეროდნენ მილიციელებს. გოთასაც არ ამოუღია ხმა. დუმილი გაგრძელდა.

— მე ჩემი მითქვამს, დანარჩენი თქვენ იცით, — ცოტა ხნის მერე თქვა სქელმა მილიციელმა და ახლა სხვებს გადახედა. ის მთლიანად ოფლში ცუ-

რავდა. სახე გაწითლებოდა, გაღებულ კისერს ჭუჭყიანი ცხვირსახოცით იმენდა.

მუშნი წამოდგა და გაეცალა ჭაფუძს. მინდვრის ბოლოში, ხრამის პირას ვიღა და მთებს გადახედა. აქედანაც მთები მოჩანდა. საითაც არ გაიხედავდი, ყოველ მხრივ ზეობებით ზურგდასერილი ქედები გეცემოდა თვალში. რა არის იმ ქედების, იმ მთების მიღმა? ისევ მთებია, ზოგი უფრო დაბალი, ზოგი მაღალი. მერე ზღვასავით მოლივლივე ლურჯი დაბლობია სადღაც. იქ უნდა ვაღწიოს მუშნიმ. იქ სულ სხვაგვარია ცხოვრება, არა ასეთი მყუდრო, ჩაკეტილი, თითქმის გამოუვალი. მაგრამ არ გინდა აქედან გასვლა? ფიქრობდა მუშნი და შესცქეროდა უკიდევანო სივრცეს. სად უნდა გაიქცე, როგორ უნდა გაიკვლიო ამ მთებში გზა? ვერსად ვერ გაიქცევი, თითქმის დაკეტილია ყველა გზა, მხოლოდ საკუთარი ბედის იმედი თუ გიშველის. საკუთარი ბედისა წუხანდელს მერე მტკიცედ სწამდა. სჯეროდა რალაც მოხდებოდა თვით მუშნის მოქმედებისაგან დამოუკიდებლად. რალაც ხელსაყრელი უნდა მოხდეს, ვითარება უნდა აეწყოს ისე, რომ მუშნის ხელი მოუმართოს. რა თქმა უნდა თვითონაც უნდა იღონოს რამე. რა იღონოს? — ეს არ ჰქონდა ნათლად წარმოდგენილი, მაგრამ ამის ცოდნა ახლა არ იყო აუცილებელი. მთავარია იმედი და ნდობა, ფიქრობდა ის. ნდობა იმ უცნობი ვარსკვლავისა, რომელზედაც ხარ გაჩენილი.

დიღხანს იღვა მუშნი განმარტოებით, გაურკვეველი ფიქრებით აღსავსე, მინდვრის განაპირას. თვალწინ გადაშლილი, გრანდიოზული სივრცის ჩაუღწეველმა უსაზღვროებამ ისევ მოკვარა მოულოდნელი სევდა. „რა ხანმოკლეა კაცის ცხოვრება, რა მცირეა აღამიანი ამ დიოქმის მარადიულ მთებთან შედარებით?! მხოლოდ სიყვარულს შეუძლია დაგავიწყოს ეს“, — გაიფიქრა მან.

როცა უკან დაბრუნდა, მილიციელები

წასული დახვდნენ. მწყემსებს ცხენები უკვე შეეკაზმათ.

— აი, ამ აბრაშზე შენ შეჯდები, — უთხრა გოთამ და შეკაზმულ თეთრ ცხენს გავაზე ხელი დაჰკრა. ცხენმა კული გაიქნია და უკანა ფეხი მიწას დაჰკრა.

— მილიციელები სად არიან? — შეეკითხა მუშნი გოთას და ცხენს ხელი შეტბლზე მოუთათუნა.

— წავედნენ.

— რომ სკოდნოდათ ვინა ვარ, არსად არ წავედოდნენ, — გაიცინა მუშნიმ.

— რათა?

— იმ წუთში დამიჭერდნენ!

— შენა? — გაუკვირდა გოთას.

— ჰო!

— რათა?

— რათა და მე აქ ერთი კაცი ფეხში დავჭერი...

— შენა? — კიდევ უფრო გაუკვირდა გოთას.

— ჰო, — თქვა მუშნიმ — გეოლოგიურ პარტიაში ვმუშაობდი. ჩვენი უფროსი ცბიერი, მამაძალი ვინმე იყო. ფულში გვატყუებდა ხოლმე. ერთი ხანშესული, პატიოსანი მუშა გვახლდა თან, ის აუხირდა. მეც ავდექი და გამოვესარჩლე. ეს არ მოეწონა და სახეში მღეწა. ის ჰალარა კაცი გამომესარჩლა, იმასაც სცეცხლა. ველარ მოვითმინე და გვარიანად ვცემე. ადგა და თოფით გამომედევნა, მაშინ დავაძრე რევოლვერი და შივ ფეხში დავუჭირე.

— ბიჭოს!

— ეგ მილიციელები ჩემ დასაჭერად არიან ჩამოსული, სპეციალურად გამოუგზავნიან. იქაც მელოდებიან თურმე, აეროდრომზე. კვირიას ამბავი რომ არ გამეგო, გუშინ აქედან გაპარვას ვაპირებდი, მაგრამ...

— კაცი არა ყოფილა, როგორ გიჩივლა, — წამოიძახა გოთამ, — დასჭერი, ხომ არ მოგიკლავს? თუ ბიჭია თვითონ გაგისწორდეს.

მუშნის გაეცინა:

— რომ მომეკლა რაღას მიჩივლებდა, ეგრე ეხლა ვინა მსჯელობს?!

— მაშ!... თუკი მტყუნენი იყო?

— მტყუნანი კი იყო, მაგრამ... მტყუნანს და მართალს ვინ დაგიდევს, გოთა, მართალი ის არი, ვისაც ძალა აქვს.

— არც ეგრეა საქმე, გული ტყუილად გაგიტენია, — გაბრაზდა გოთა, — გასაქცევი რა გპირს? შენ ადგილზე მე თვითონ გამოცხადდებოდი სადაც საქირაო.

— რომ დავეჭირეთ? იმ კაცის გულისთვის ციხეში ჩაჯდომა არ მინდა, — თქვა მუშნიმ და ისევ თაფლო მოაგონდა, — ახლა კი ისე მაქვს საქმე, რომ ჩემი მილიციაში გამოცხადება არაფრით აღარ შეიძლება.

— კარგი. ამ საქმეს მოვრჩეთ და მერე რამე მოვიფიქროთ, — თქვა გოთამ.

შემდეგ შეჯდა თავის მუხლმაგარ ზერდავზე, თოფი მხარზე გადაიკიდა, მეორე თოფი თეთრ ცხენზე ამხედრებულ მუშნის ვადააწოდა, იალღზე დარჩენილ მწყემსებს ვადასძახა წავედიო და ცხენს ქუსლი ჰკრა.

## 18

მეხუთე დღე მიილია უნაყოფო დევნაში. ძანჯაყი ამინდი დადგა. ხან მზე გამოანათებდა, უფრო ხშირად კი დილიდანვე თინჯლავდა ხოლმე. შუადღეზე თქეში მოდიოდა, მერე წვიმა შეწყდებოდა და ისე აირეოდა ნისლი, რომ ირგვლივ აღარაფერი ჩანდა. ლეგა ღრუბლები ვადაეკრა ზეცას. სექტემბერმა არია ტაროსი მთაში და თუშეთის ცხვარი ნელ-ნელა დაიძრა ბარისკენ. ცარიელდებოდა ნესტით გაჟღენთილი ფერდობები. გრძელ წარაფებში ღვარი მოთხრიშინებდა, შარშანდელი ნახუავეებით ჩაბერგილ ხეობებში აღვრეული მდინარე დაუნდობლად ასკდებოდა პიტალოს.

მეხუთე დღეა უნაგირზე იჯდა მუშნი. მეხუთე დღეა მხარდამხარ მიყვებოდა გოთას ციცაბო ბილიცებზე, თავდალ-



სასვლელებთან, ჩასაფრებულნი, ორი ხეობის ზღვარზე და ყურთასმენას, სწვდებოდა შორეული ჩანჩქერების განმარტობებული ჩხრიალი. ისინი კი გამუდმებით ელოდნენ ვიღაცის გამოჩენას ამ უკაცრიელ მთებში, შუბლშეკრულ ცის ქვეშ. მაგრამ ვაღიოდა დრო და არავინ ჩანდა. „მიწამ პირი უყო თუ სად გაქრენ?“ — ივინებოდა ვოთა, მუშნის კი ვერ ვეგრავია იზიდავდა თუ არა ეს ავბედითი, საბედისწერო შეხედვრა? ერთის მხრივ იზიდავდა, რა თქმა უნდა, რადგან კვირიას კონკრეტული მკვლელები დასჯის ღირსი იყვნენ უეჭველად, მაგრამ მეორე მხრივ — მისი სიბრაზე, აღშფოთება, რომელმაც მთაში წამოიყვანა ცხელ გულზე, ზოგადი იყო, არა რომელიმე კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ მიმართული, არამედ იმ გაუგებრობის მიმართ, რომელსაც ცხოვრება ჰქმნის ხშირად, ცხოვრების დასჯა, მისი ნიშანთვისების შეცვლა კი არ შეიძლებოდა. ამიტომ მუშნის ეს დაუსრულებელი დევნა ზოგჯერ უაზრობად ეჩვენებოდა. ის ფიქრობდა ხოლმე თავლოზე და მის გულისწყრომას უფრო ზოგადი სევდის ელფერი დაქრავდა, რომელიც არ გაძლევს საშუალებას მთლიანად მიიღო და შეიყვარო ცხოვრება, რომელშიც ამდენი სიკეთეა.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, უყოყმანოდ ეთანხმებოდა ვოთას ყველაფერში და მიუხედავად იმისა, რომ დღითიდღე უფრო ენატრებოდა თავლო, სრულებითაც არ აპირებდა უკან დაბრუნებას მანამ, სანამ ამას, თვითონ ვოთა არ გადაწყვეტდა, სანამ უკანასკნელი შესაძლებლობა არ ამოიწურებოდა ყაჩაღების შეპყრობისა.

— მაინც, სად უნდა გამქრალიყვნენ? — ეკითხებოდა ვოთას.

— ერთადერთი გზა, საიდანაც შესაძლებლდნენ ამ მთებიდან გაპარვას, ეს არი სოფელზე გავლით. მაგრამ ნაქურდალი ცხენებით სოფელზე გავლას როგორ გაბედავდნენ?

— რა იცი? ზოგჯერ სწორედ ისა ხდება ხოლმე, რაც ყველაზე უფრო დაუჭერებელია.

— მაშინ ჩვენ მაგათ ამ მიდამოში ვეღარ ვიპოვით.

— მაშ, უნდა შერჩეთ კვირიას მკვლელობა?

— თუ სადმე სამართალია, არ უნდა შერჩეთ. მაგრამ... სამართალი... აბა, რა გითხრა, რაც არ ვიცი?...

მერე ისევ ცვლიდნენ ერთმანეთს მომქანცველი, თვალშეუდგამი აღმართები და ციცაბო, უფსკრულისკენ დაქანებული ღრანტეები.

ბოლოს მეხუთე დღეც მიიწურა და დადგა მეექვსე, მას შემდეგ, რაც მუშნი და ვოთა სოფლიდან წამოვიდნენ. კვირია უკვე მიწის მიაბარეს, მაგრამ ისინი არ დასწრებიან დაკრძალვას. სურსათი გამოელიათ, დაუსრულებელი რბოლისგან ქანცი გაუწყდათ და დაბრუნება აუცილებელი შეიქნა. და აი, ვოთამ გადაწყვიტა უკან დაბრუნება. სხვა გზა არ იყო.

იმ დღით, ცამ ღრუბლები გადაიყარა. ამოციმციმდა მზე, გადმოისროლა თავისი ფაქიზი სხივები და სიყვარულით შემოეხვია შორეული მთების წვერებს. მაგრამ ვიწრო ხეობაში, რიყეზე, სადაც ღელის შუთილი ყურთასმენას ახშობდა, ისე ბნელოდა და ციოდა, როგორც ციხის საკანში. მუშნი და ვოთა ცხენებს შეასხდნენ და ნელი ნაბიჯით აუყვანენ ღარტაფს მაღლა. დაძაბულობა გაუქრათ, აღარც მიდამოს აკვირდებოდნენ გულიხეურით, დაღლილ ცხენებს სადავეები მიუშვეს და ჩუმად ისხდნენ უნაგირებზე, ერთმანეთის გვერდივერდ მიმავალნი. ცხენებმა იცოდნენ გზა, გრძობდნენ მომავალ დასვენებას, ვინ იცის, იქნებ თავიანთი გონების თვალთ ხედავდნენ კიდეც ყუათიან იალალს, ნებიერად მიშვებულ თანამომქმეებს — და ხალისით მიაბიჯებდნენ. უკან დაბრუნება ახარებდა მუშნისაც. ის გრძობდა, რომ ვოთა ვერ

იყო ხასიათზე. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა ბოლომდე მიეყვანათ საქმე, რომელსაც ამდენი ღრო და ძალა შეალოეს, მაგრამ რა იყო ეს მარცხი იმ სიხარულთან შედარებით, რომელიც ელოდა? საწყალ კვირიას აღარაფერი უშველიდა. ყოველთვის სჯობს თუნდაც სულ მცირე, უმნიშვნელო ვარჯა მოახმარო სიცოცხლეს, ვიდრე სიკვდილზე, წასულზე, მკვდარზე და არარსებულზე უნაყოფოდ დახარჯო შენი ძალის და ფიქრის უმეტესი ნაწილი. თავისი ვარაუდით, მუშნის აქედან დაბრუნების შემდეგ ბედნიერება ელოდა და ამიტომ ძნელი იყო მისი გამტყუნება იმ სიხარულის გამო, რომელსაც განიცდიდა მძიმე, მკაცრი ძეხვის დასასრულთან დაკავშირებით. ეს არ იყო კვირიას ღალატი. რაც შეეძლო გააკეთა. მაგრამ ისიც, რაც გააკეთა უფრო ცოცხლად დარჩენილთა ღირსების საქმე იყო და არა უკვალოდ წასული სიცოცხლის მობრუნება. მუშნის ესმოდა, რომ ასე მსჯელობაც არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, ის არ დაინდობდა კვირიას მკვლელებს, სადმე რომ შესვედროდნენ, მაგრამ ზოგჯერ მაინც ფიქრობდა იმაზე, თუ ვინ იყვნენ ისინი. იქნებ მათაც ჰყავდათ მოხუცი დედედა ან გულის სატრფო? იქნებ მხოლოდ ბრმა იარაღს წარმოადგენდნენ ბედისწყირის გამოუცნობ ტრიალში, მხოლოდ უმნიშვნელო, უაზრო რგოლს უცნობი, შემთხვევითი, მიზეზების ვრცელ ჯაჭვში?

დინჯად მიყვებოდნენ ცხენები ვიწრო ღარტაფს, ჩუმად ისხდნენ მუშნი და გოთა უნაგირებზე, თავიანთ ფიქრებში წასულნი. ხევში ჭერ კიდევ ციოდა, მზეს ისევ გადაეკრა ღრუბელი. მაგრამ მუშნის ტანს თავლოს ტყაბუკი უთბობდა, გულს კი თავლოს სახე, როგორც შორეული იმედი და ნატვრა.

როდესაც იმდენად მალა ავიდნენ, რომ დეღე ნაყადულად გადაიქცა, მისი ვუგუნ-ღრიალი კი მისუსტებულ, მოჩულებულ ჩქრიალად, მოპირდაპირე

ქედზე, რომელიც უღელტეხილისკენ წელში იზნიჭებოდა და ოთხი მხრივ იტოტებოდა, ცხენოსნები შეამჩნიეს. ორი ცხენოსანი მთის წვერზე გადმოზდგარიყო და შორიდან უთვალთვალბდა მათ. გოთა და მუშნი ქვემოდან შესცქეროდნენ ცხენოსნებს, მაგრამ მხედრებმა ცხენები მიაბრუნეს და ქედს მიეფარნენ. ვინ იყვნენ ისინი, მოჩვენებებით რომ გაქრნენ უცებ? ირგვლივ ისევ სიჩუმე და სიციარილე იყო. არავითარი ხმა, არავითარი არსება. გოთამ და მუშნიმ ცხენები უღელტეხილისკენ დასძრეს მიხვეულ-მოხვეულ ბილიკით და ყოველშემთხვევისათვის თოფები მოიმარჯვეს. მუშნიმ გულისჭიბიდან რევოლვერი ამოიღო და დატენა. ნაკადულის ჩხრიალი კი სულ მიწყდა და სადღაც, წარაფში, რომელიღაც ფრინველი აწივლდა. ცოტა ხნის მერე, ცხენოსნები ისევ გამოჩნდნენ, ესლა უფრო ახლოს უღელტეხილთან, მაგრამ ჭერ კიდევ იმდენად შორს, რომ შეუიარაღებელი თვალთ მუქ სილუეტებს ჰგავდნენ, ვერც სახეებს გაარჩევდა, ვერც ცხენების ფერს. გოთამ დურბინდი მოიმარჯვა, მაგრამ ცხენოსნები ისევ გატრიალდნენ და თვალს მიეფარნენ. ირგვლივ მდუმარე მთები იდგნენ და საიდან გამოჩნდებოდნენ ისინი არ იცოდნენ. მაგრამ გადასასვლელს ისე მიაღწიეს, რომ არ გამოჩენილან.

— ვინ იყვნენ ნეტავ? — იკითხა მუშნიმ, როცა უღელტეხილზე ავიდნენ და ქედის მეორე მხარეს ჩაფენილი ფერდობები დაინახეს.

— უნდა გავიგოთ, — თქვა გოთამ და თავისი ზერდაგი იქითკენ დასძრა, საიდანაც უცნობი ცხენოსნები უთვალთვალბდნენ წელან მათ.

ქედზე ცხენები ჩორთით გარეკეს. ცხენის ფლოკვები გულისცემასავით დგრიალებდნენ მიწაზე, ყურებში ქარი წიოდა, მიწაზე გართხმული დეკის თუჩქები სწრაფად გარბოდნენ უკან, და საქმის მოულოდნელი შემოტრიალებით თავბრუდახვეული, აღგზნებუ-



ლი მუშნი კვალდაკვალ მიყვებოდა გოთას. წელში ისე მოხრილიყო, თითქმის სახეში სცემდა თავისი თეთრონის ვრძელი ფაფარი, უხანგებში ფეხები გაემარებინა, მარცხენა ხელით ეჭირა დამოკლებული სადავე, მარჯვენა, მტკივანი ხელი წელზე შემოედო, ვრძელი თმა ქარს უკან გადაეყარა, სახე ოქროსფერი წვერით ჰქონდა დაფარული, ლურჯი თვალები მოლოდინით უციმციმებდა და უფრო ავებდითად ამხედრებულ ახალგაზრდა ბერს ჰგავდა, ვიდრე თოფ-იარაღით აღჭურვილ საერო კაცს, რომელსაც სიცოცხლის სიყვარულით ჰქონდა აღვსილი ვული, მერე წინ, მოკლე მთის ფერდა აღმართა და გაოფლილმა ცხენებმა სვლა შეანელეს. ფერდობი რომ აიარეს ვრცლად გადაშლილ სივრცეს გადახედეს. წინ ისევ გორაკები იდგნენ. ტალღებივით დატეხილი. კვლავ დაღმართში ვააქენეს ცხენები და შემდეგ ისევ გორაკს შეუდგნენ. ნელი სვლით ავიდნენ გორაკის წვერზე და უცნობი ცხენოსნები დაინახეს. აგე, შორს, ზემოთ, ჰედის ამალგებაზე იდგნენ ისინი უძრავი ქანდაკებებივით. თუ მტრები იყვნენ, აქედან ტყვია ვერც მიწვდებოდა. გოთამ დურბინი ამოიღო და მანამ უყურა, სანამ უცნობმა მხედრებმა შავი ცხენები არ დასძრეს და აქეთ, გადასასვლელისკენ არ გამოემართნენ. გორაკიდან რომ დაეშენენ, წინ აღმართულმა ბორცვმა დაფარა ისინი.

— 33, — ჩაახველა გოთამ და დურბინი შეინახა.

მუშნი ჩუმად იყო.

— ისევ ის მილიციელები არიან, — თქვა გოთამ.

— რა უნდათ, რას გვითვალთვლებენ?! — ნერვიულად წამოიძახა მუშნი.

— რა ვიცი?

— იქნებ ვაივს ვინა ვარ?

— ჩემთან თითს ვერ ვახლებენ.

— რას მიტრიალებენ ირგვლივ ბედისწერასავით, — კბილებში გამოკრა მუშნი, ხმა ცივად დაუწვრილდა, მუ-

შლი შეეკრა, თვალებში ყინულმა გამოეკონა.

გოთამ ცხენი უკან შეატრიალა და უნაგირზე ვადმოიხარა.

— მუშნი! — შორიდან შესძახა თავისი ომახიანი ხმით, — შენ კარგი ემაწვილი ხარ. დარჩი ჩემთან იალაღზე. ერთ კვირაში რემას ბარისკენ დაეძრავ. ისე ჩაგიყვან კახეთში, ცივ ნიავს არ მოგაკარებ... მერე შენ იცი და შენმა ბიჭობამ, საითაც გინდა წადი, ვხა ჩსნილი გაქვს.

— გმადლობთ, გოთა! — თქვა მუშნი, — მაგრამ აუცილებლად უნდა ჩავიდე სოფელში.

— რათ გინდა ბიჭო, მოეშვი მაგ საქმეს!

— არა გოთა! ისეთი საქმე მაქვს, რომ აუცილებლად უნდა დავბრუნდე სოფელში, სხვანაირად არ შეიძლება.

ისინი ნელა ირწეოდნენ უნაგირებზე. ნებაზე მიშვებული ცხენები დინჯად მიაბიჯებდნენ. მზე ზოგჯერ გამოანათებდა დახლეჩილი ღრუბლებიდან, ზოგჯერ ისევ შეიკვრებოდა ცა. ირგვლივ სიჩუმე და სიმარტოვე იყო. ღრუბლის ქულები ცხვრის ფარასავით იწვნენ ფერდობებზე, მაღალ მწვერვალებს ნისლის მანდილი შემოეხვიათ.

— შენი საქმე, შენ იცი, — თქვა გოთამ, — თუ რამე დაგკირდეს, როცა გინდა მიმსახურე.

ვერტმფრენის დასაჯდომ მინდორზე ისევ ბარგი ეყარა. გრძელ, ერთსართულიან შენობასთან ისევ ხალხი შეგროვილიყო. მუშნის ეამა ნაცნობი სოფლის დანახვა. ერთი კვირაა უნაგირიდან არ ჩამოსულა და ახლა ბარბაცით, მთვრალივით მოდიოდა შუა მინდორში. მშვენიერი, მზიანი დღე იდგა, შორს ლურჯი მთები მოჩანდა, მაგრამ შემოდგომის სუნთქვა უკვე იგრძნობოდა მთაში. მინდვრის ნიავი ვალეღი, სიარულისგან გახურებულ მკერდს სასიამოვნოდ უფრილებდა. ტალახიანი ჩექმები ეცვა, ხალათი ამოჩეჩოდა და

ბიჭაქის ღილები ბოლომდე ჩაეხსნა. თაფლოს ტყაბუჭი ილიაში ამოედო. მოდიოდა და უსაზღვროდ უხაროდა, რომ ისევ აქ იყო.

აგე, მწვანედ შეღებილი ფინური ქონი! გული აუფგერდა როცა დაინახა. რომელი სასახლე შეედრება მას? ეს იყო მისი ხელთუქმნელი ბროლის კოშკი, ქეშმარიტებად ქვეული ზღაპარი.

სოფლის განაპირას ცხერის ფარა მოჩანდა. სექტემბერია, უკვე დაიძრა ცხვარი ბარისკენ. ბედნიერი მგზავრობა, მშვენიერო ნერბებო და ყოჩებო, ბედნიერად ჩაგეწიოთ ატეხილ ქალებში!

რა მშვენიერად გამოიყურებიან თუშის ქალები, შენობის ჩრდილში წინდის ქსოვით რომ ერთობენ თავს?! რა შესანიშნავად მოქარგული ჩითები აცვიათ, როგორ უხდება თავსაფრები მზისგან ფერმოსულ სახეებს! მალე გამოჩნდება ვერტმფრენი, რომელიც ზღაპრული ფასკუნჯივით აგიტაცებთ კველას და მშვიდად დაბრუნდებით უქვენს საზამთრო ბინებში მთელი ზაფხულის ნაშრომნი, ნაჭირნახულებნი. ზოგიერთები კი ცხენებს შეაჯდებით და დაადგებით მამა-ბაბათა მიერ გავალულ გზას.

აგე, კათანდარა დახლიდარიც! თავისი სასადილოს კიბეებზე აღის, ვიღაცას რაღაცას ეუბნება, მერე ოთახში შედის, უჩინარდება. შესანიშნავი აღმომიანი, გულკეთილი, ერთგული! მუშნის მძმავით უყვარს ის და ახლა რცხვენია, რომ არც კი იცის იმ კარგი ცაცის სახელი; ერთხელაც არ უკითხავს რა ჰქვია, ერთხელაც არ დაინტერესებულა. იმდენად იყო მხოლოდ საყუთარი თავით გართული, რომ სხვებს ვეღარ ამჩნევდა. ბედი კი ისე წყალობდა, რომ მის ირგვლივ არაჩვეულებრივი ხალხი შეიკრიბა, მაგრამ მარტობით თვალდაბინდული ვერ ამჩნევდა ბედის სიკეთეს. ახლა აუხილა თვალები. არასოდეს არ დაავიწყდება გოთა, არც ეს დახლიდარი, თუნდაც ის ვიო, თაფლოს მეზობელი.

თაფლო?! მუშნის სიყვარულით გაეღიმა. როგორ შეეძლო უკმაყოფილო ყოფილიყო ბედისა? რა ეკრესტი ყოფილა თურმე, რა სულმოკლე? ახლა სცხვენია, რომ ბედს უჩიოდა. თურმე, რა ენით უთქმელ ბედნიერებას უშხადებდა განგება და ვერც კი გრძნობდა ამას, წვრილმანი ვნებების ჭაობში ჩაფლული. მაგრამ უკვე ამოვიდა ამ ჭაობიდან. ისეთი რამ განიცადა, რომ ამალდა, გარდაიქმნა, განთავისუფლდა და ახლა ცის კამარას ეთამაშება.

მან გადმოჭრა მინდორი, მიუახლოვდა შენობას. შორიდანვე შეამჩნია, ბრეზენტის ღიდი კარავი, სადაც ვეტერინარული პუნქტი იყო. აეღოთ, მაგრამ ყურადღება არ მოუქცევია ამისთვის. თვითღარწმუნებული მოაბიჯებდა, დაღლილ-დაქანცული, მშიერ-მწყურვალი, მაგრამ მშვიდი, დაწყნარებული, შინაგანად მოსვენებული. სასადილოს კიბეებზე ნელა ავიდა და მინდორს გადახედა. ბარგთან შეგროვილმა კაცებმა მზერა ესროლეს. მუშნი კიბეებზე იდგა. სწორედ აქედან, ამ კიბეებიდან დაინახა პირველად კვირია ამ ათიოდე დღის წინ. მაშინაც დაღლილი და დაქანცული იყო. მკლავის ტკივილი საშინლად აწუხებდა და არაფრის იმედი არა ჰქონდა, არაფრის ხალისი. მაგრამ რამდენი რამ შეიცვალა ამ ათ დღეში?! კვირია უკვე აღარ არის. მუშნი კი ისევ ამ კიბეებზე დგას, ისევ დაღლილი და დაქანცულია, ცოტათი მხარიც სტკივა, მაგრამ ახლა იმედი უთბობს სულს, უსაზღვროდ უყვარს სიცოცხლე, თუმცა მისი მეგობარი კვირია ვერაგულად მოჰკლეს და მუშნიმ ვერ შესძლო სისხლის აღება. როგორ ტრიალებს ცხოვრება, როგორ იცვლება ყოველივე! მრავალსახიანია რაღაცა, ერთი. ვის შეუძლია თქვას, რომ ცხოვრება ტკბილია ან მწარე? იგი ტკბილიც არის და მწარეც ერთდროულად. ზოგისთვის იგი მართლაც ტკბილია, ზოგისთვის მწარე და სხვადასხვა მომენტში ესეც იცვლება.

ერთი მეორეში გადადის. მაგრამ მაინც არაფერია აქვს უფლება თავისი შეგრძნება ცხოვრებისა განაზოგადოს. დანარჩენებს მოახვიოს თავს. ყველაფერი იმით არის განპირობებული თუ როდის დაიბადე, სად დაიბადე, რომელ ქვეყანაში, რა პირობებში მოხვდი, რა შეგემთხვა შენი ცხოვრების გზაზე. რამდენ ხალხს უცხოვრია ამ ქვეყანად, კიდევ რამდენი იცხოვრებს და მთელი ამ ხალხისთვის, წასულ-დაიწყოებულათთვის და ჯერ მოუსვლელათათვის ცხოვრება ნიშანთვისებაა, თავისი კეთილი და ბოროტი გამოვლინებებით, ნიშანთვისება კი არ შეიძლება იყოს არც მწაბე, არც ტყვილი, არც ბედნიერი, არც უბედური. ნიშანთვისება გულგრილია, ობიექტური, ნეიტრალური — თავისი თავიდან გამომდინარე სხვის მიმართ, გრძნობებზე და განსჯაზე მაღლა მდგარი, როგორც ყველა სამყაროსეული კანონი, როგორც სიკვდილი და დაბადება... იქუნი გასცქეროდა მინდორს, აგონლებოდა კვირია, შინაგანი მზერით ხედავდა მას და გრძნობდა, ამ წუთში მაინც ბედნიერი იყო.

მერე სასადილოში შევიდა. დახლიდარის გარდა იქ არავინ დახვდა. დახლიდარს მუშნის დანახვა გაუკვირდა.

— შენ კიდევ აქა ხარ?

მერე უთხრა, ხმა მოვიდა, თითქოს ცოტას ახლი მთაშიო! მუშნიმ უპასუხა, რომ ეს სიმაართლე იყო და დახლიდარს საპონი და სამართებელი მოსთხოვა. როცა დახლიდარმა მოუტანა რაც სურდა, მუშნიმ ჰკითხა:

— ბრეზენტის კარავი რათ აღნგრევიათ?

— დამთარდა მუშაობა. ცხარი უკვე ეშვება ბარში, — უპასუხა დახლიდარმა.

მუშნიმ გამოართვა წვერის საპარსი მოწყობილობა, ტყაპუკი კედელზე ჩამოკიდა და ღიმილით ჰკითხა:

— კაცო შენ რა გქვია?

— თედო!

— თედო?! კარგი სახელია. შენ თუში არ უნდა იყო.

— რათა? თუში ვარ, გვიტყობს ერთხელ.

— მითხარი? აღარ მახსოვს, — გეღიმა მუშნის. მერე ისევ ჰკითხა: — თედო, საქმელი გაქვს რაიმე?

— იქნება, მოვიშაადებ!

მუშნი სასადილოდან გამოვიდა და წყაროსკენ გაემართა. ჩაუარა იმ ადგილს, სადაც ერთი კვირის წინ კარავი იდგა. მოკლე პალოები ისევ ჩარკობილი იყო ოთხკუთხედად მოტიტულელებულ მიწაზე. რამდენჯერ მდგარა აქ თავლო, ამ ადგილზე! უცებ ისე ძლიერ მოენატრა თავლო, რომ საოცარმა მოუთმენლობამ შეიპყრო. მოუნდა ახლავე მობრუნებულიყო და ასულიყო ფინურ ქოხში. რატომღაც წარმოედგინა, რომ თავლო თავის ოთახში ელოდა მუშნის, სადაც უკანასკნელად დატოვა, და სწორედ იქ ნახავდა ისევ. მაგრამ არ ღირდა ასე გაბუროძვენილი და გაუპარსავი წარსდგომოდა თავლოს. მაინც ქალია, არ შეიძლება არ ესამოვნოს სუფთად გაპარსულს და კოხტად დავარცხნილს რომ დაინახავს.

სწრაფად ჩაირბინა წყაროსთან. ირგვლივ არავინ იყო. ხეებით დაფარულ ხევში ჩავიდა. ტანსაცმელი გაიხადა, ჩექმები გარეცხა, გააკრიალა. წყლით გასწმინდა შარვალი და პიჯაკი. გარეცხა ხალათიც, მაგრა ვაწურა და მზეზე გაფინა. მერე აიღო საპონი და დიდხანს იბანდა ცივი წყლით ტანს. როცა ბანაობას მორჩა, შარვალი და ჩექმები ჩაიკვა, წელს ზემოთ ტიტველი მიწაზე დაჯდა, სარკის ნატეხი ქვაზე დადო და პარსევას შეუდგა. ზურგი მთლიანად თეთრი ჰქონდა, მაგრამ მკერდი, კისერი და სახე საოცრად გაშავებოდა, დასწვოდა მზეზე. ბანაობის შემდეგ სხეულში სიგრილეს გრძნობდა და როცა პარსევას მორჩა, როცა ზედმიწევნით გაიკრიალა სამართებლისგან დასვენებული სახე, მეტისმეტად კმაყოფილი დარჩა. პირზე წყალი შეისხა, ხალათი

და პიჯაკი სწრაფად გადაიცივა და სწრაფი ნაბიჯით დაბრუნდა სასადილოში.

— ბიჭოს, როგორ გალამაზებულხარ, კაცი ვეღარ გიცნობს, — გაუკვირდა დახლიდარს.

მუშნის სიამოვნებით გაელღიმა. ოთახში, ერთ-ერთ მაგიდასთან ახლა ორი კაცი ჟღა და ღვინოს სვამდნენ. მუშნიმ დაუბრუნა დახლიდარს საპარსი მოწყობილობა და მადლობა გადაუხადა. მერე კედლიდან ტყაპუკი ჩამოიღო, მოიხურა და გარეთ გავიდა.

— სად მიდიხარ, სადელი არ გინდა? — გასძახა დახლიდარმა.

მუშნი კიბეებზე შეჩერდა.

— რაღაც აღარ მშობია, — თქვა მან.

დახლიდარი გარეთ გამოყვა.

— ახალი ყაურმა მაქვს....

მაგრამ მუშნი უყურადღებოდ უსმენდა დახლიდარს და დაფანტული ნიურა სივრცეში გაურბოდა.

— კვირია როდის დაკრძალეს? — იკითხა მან.

— ოთხი დღეა უკვე!

— ვერ დავესწარიტ... — ჩაილაპარაკა მუშნიმ, მერე ირგვლივ გაიხედვამოიხედა, — მაშ ეს კარავიც აიღეს...

— ჰო, აიღეს...

— რათა?

— აქი გითხარი, მორჩა მუშაობა, ცხვარი ბარში მიდის. ეგენი რიღას მაქნისები იყვნენ, გუშინწინ ყველანი ბარში გაემგზავრნენ, ვერტმფრენით.

— ყველანი წავიდნენ? — დაბნეულად იკითხა მუშნიმ და რამოდენიმე საფეხური ნელა ჩაიარა. ახლა ტანმორჩილი დახლიდარი ზემოდან დასცქეროდა მას.

— მაშ, წავიდნენ... სად მიდიხარ, კაცო, გეჭამა ყაურმა, ახალი ჩობან ყაურმა მაქვს, თითებს ჩაიკვნეტ...

— ყაურმა?... — თქვა მუშნიმ და წეჩერდა, — ჰო, კარგი... — მერე: — თაფლოც ხომ არ წასულა?

— თაფლოც წავიდა, მაშ! აქ რას დაუდგებოდა?! გაგიკეთო ყაურმა?

თითქოს ცნობიერება დაებინდა, თი-

თქოს ნებისყოფა წაერთვა, ბრძმასთვის აიარა კიბეები, შევიდა ამ სულის შემხუთველ ოთახში უცბად მოშვებულ, მოქანცული, დაბნეული და მხოლოდ მაშინ მოვიდა აზრზე, როცა მიხვდა, რომ მაგიდასთან იჯდა. და ისე მწარედ ტკიოდა გულში რაღაცა, რომ დანარჩენი შეგარძნებები გაუქრა, თუმცა მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ყველა კუნთი სტკიოდა, სხეულის ყველა ნაწილი, თითქოს ამდენხანს ტკივილები სადღაც იყვნენ მიმაღლლნი, მოკუნტულნი, გაყრილნი შეგარძნებებიდან. მაგრამ იმედის ნაპერწკალს ჯერ კიდევ არ ჰქარავდა და ქვეშეცნეულად თუ სავსებით შეუცნობლად კიდევ ელოდა რაღაცას.

დახლიდარმა ყაურმა მოუტანა და მუშნიმ ღვინო მოსთხოვა. ერთი ჩაის ჰიქა სულმოუთქმელად დაცალა და დახლიდარს სთხოვა ცოტა ხანს დამჯდარიყო. თედო დაჯდა მუშნის გვერდით. მუშნი სვამდა და საქმელს პირს არ აკარებდა. მას არაფრით არ ჯეროდა რაც უთბრეს, ვერ ეგუებოდა ამ ამბავს, მაგრამ უცხო კაცთან კიდევ ერთხელ თაფლოს ხსენება ერიდებოდა. დახლიდარი კი თაფლოზე არაფერს ამბობდა, რადგან ამ წუთში სრულებით არ ახსოვდა ის. მას წარმოდგენა არა ჰქონდა რაზე ფიქრობდა და რა აწუხებდა მუშნის. სასადილოში ვილაკეები შემოდიოდნენ და გადიოდნენ და მუშნი ყველას ღვინით უმასპინძლდებოდა. მუშნი სვამდა, მაგრამ სასმელი არ ეკიდებოდა.

გარეთ კი ბინდდებოდა, მზე ნელა ჩადიოდა მთების იქეთ. სასადილოდან სიმღერა ისმოდა:

„თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ,  
ბევრით ვჯობივარ კახსაო“.

მუშნი მღეროდა. მაგიდები შეეერთებინათ და ახლა ყველა, ვინც სასადილოში იყო, მუშნისთან ერთად სვამდა.

— ვთხოვთ დამიხსოვროთ: მე ვახლავართ მუშნი ყიფიანი! — გაიძახოდა მუშნი. აღარ მალავდა თავის ვინაობას, აღარაფრის აღარ ეშინოდა, ხე-

ლებს იქნედა, — ღვინო, ღვინო! — ყვიროდა ხანგამოშვებით, აღზნებულად წარმოსთქვამდა სრულებით გაუგებარ სადღეგრძელოებს სიყვარულზე და მეგობრობაზე, ბედის სიმბლ-თლზე და დინჯი მამაკაცები თავშეკ-ვებული ღიმილით შესცქეროდნენ უცნაურად გამხიარებულ უცნობ ახალგაზრდას.

— თუ ქეფია, ქეფი იყოს! თედო, ღვინო! — ისმოდა მუშნის ჩახლეჩილი ხმა.

ბოლოს სულ დაბნელდა და ყველანი წამოიშალნენ. როცა ყველანი გაიკრიფნენ ოთახიდან, მუშნიმ იგრძნო, რომ სავსებით ფხიზელი იყო. ვერ შეინარუხუნა ის აღზნება, რომელიც ავიწყებდა გულისტკივილს სუფრასთან მჯდარს. უაზროდ გაიცინა და ბელი ჩაიქნია.

— თედო, რამდენია ჩემზე?

დახლიდარმა უანგარიშა. მუშნიმ ჯიბიდან ამოყარა რაც ფული ჰქონდა, მაგრამ მაინც არ იყო. ახლა ვერტმფრენით მგზავრობა კიდევ რომ შეელოს, მაინც ვერ გაფრინდება, რადგან ბილეთის ფულიც კი აღარა აქვს. რევოლვერი ამოიღო და გაუწოდა შიშისაგან და გაკვირვებისაგან თვალებდაჭყეტულ დახლიდარს.

— აილე იმაში, რაც დამაკლდა.

დახლიდარმა შევებით ამოისუნთქა.

— არ მინდა, მუშნი, ჩვენ შორის ეგეთები არ მოდის...

— აილე ნუ გერიდება, რა თავში ვინლი...

— თუ ეგრეა, — დახლიდარმა ფრთხილად გამოართვა იარაღი, შეათვალიერა, გრძელი დახლის უჭრა გამოსწია და შიგ ჩადო, — შენგან სამახსოვროდ შექნება...

მაგრამ მუშნის მაინც ეწყინა, რომ რევოლვერი გამოართვეს. რაღაც მოაწვა ყელში. უფრო ფხიზელი და უფრო ცივი გახდა უცებ.

— თედო, თაფლოს ხომ არაფერი დაუბარებია? — მკაცრი ხმით ჰკითხა. უკვე აღარ უყვარდა ეს კაცი. არც ისე

კარგი კაცი იყო ეს დახლიდარა. "მეტ-ყომა ჩამოვევარდი ციდან და ქაობში ვეფლობი" — გაიფიქრა მუშნი.

— რა უნდა დაებარებინა?

— არაფერი, ისე...

— არ ვიცი, — მხრები აინეჩა დახლიდარმა, — ჩემთვის არაფერი უთქვამს.

იმედის ნატამალი, ამდენ ხანს რომ გულში ინახავდა, გაქრა.

და აი, მუშნი მინდორში დგას. საით წაიღებს? სულერთია საითაც წავა, ოღონდ ხალხს ვანერიდოს. საოცრად აღიწიანებს ადამიანის ხმა. შუა მინდორში ვადის. ღამის თალხი ბინდი აწევს იწიას. პირველი ვარსკვლავები იწყებენ ციმციმს ჯერ კიდევ ნათელ ცაზე. მაგრამ ყოველივეს დაუქარგავს თავისი მიშვიდველობა. თაფლო აღარ არის აქ! მუშნისათვის უცხოა ყოველივე და სულ მარტოა მუშნი ამ უცხო ადგილას. რა უნდა აქ? თაფლო სადღაც იმ მთების მიღმაა, უცნობ ადგილას. როგორ შეეძლოს ასეთი მკაცრი ყოფილიყო, ასეთი დაუნდობელი, ვერაგი? სიბრტე კი უფრო და უფრო ითალხება, დაბნელდა. დასაძინებლად მოემზადა ბუნება. მაგრამ ბუნება აღარ ანარებს მუშნის. ბუნებაც ქალია თავისი მოქნილობით, ცბიერებით, ცვალებადობით, სიმკაცრით და სიმშვენიერით. ბუნებაც ვერაგია! მაგრამ ჩვენ ვიფიწყებთ ამას, რადგან პირველი შევდვით მშვენიერია და გვიყვარს, ის კი რაც გვიყვარს, ვინც გვიყვარს იღვალად წარმოგვიდგენია. რა არი იღვალა? ფიქრობს მუშნი. ღმერთმა იცის რა არი! იქნებ თვითონ ღმერთია იღვალა, მაგრამ ღმერთი არა ჩანს არსად, უფროდაა ყოველივე მიტოვებული.

მაინც როგორ წაიღია ისე, რომ ერთი სიტყვაც კი არ დაიბარა? ეცინება მუშნის, იმდენად უაზრო და გაუგებარია, რაც მოხდა. მერე სადღაც მიდის. არც კი იცის სად მიდის, სად მიახივებს. წელამდე ეფლობა გაუვალ შქერში, ფეხები ებლანდება, ბრუნდება უკან და ისევ სადღაც მიდის. უცებ

მემანჩევს, რომ ფინურ ქოხთან მოსულა. კარებში ვიო დგას და ვილაც ახალგაზრდა ბავშვიან ქალს ესაუბრება. მუშნი თავაზიანად ესაღმება მათ.

— თქვენ თაფლოსთან მოხვედით?  
— ეკითხება ვიო.

— დიახ! — მშვიდად პასუხობს მუშნი.

— თაფლო გუშინწინ ბარში ვაემგზავრა.

— შეიძლება მის ოთახში შესვლა?

— რატომაც არა, ოთახი თავისუფალია.

ვიო წინ მიუძღვის მუშნის და ოთახის კარებს აღებს.

— თუ ღამის გათევა გასურთ, ნაბაღს გამოვიტანო, — მორიდებულად იღობება ვიო, — მეტი არაფერი მაქვს.

— ნუ შეწუხდებით. ცოტას დავისვენებ და მერე ისევ უნდა დავბრუნდე.

— სად?

— სად? — კითხულობს მუშნი, — ექსპედიციაში. მე აქ ექსპედიციაში ვარ. სულ ყოველთვის ექსპედიციაში ვარ. მუდმივი ადგილი არა მაქვს.

— აა! ისევ იღიბება ვიო, — კარგია ალბათ ექსპედიცია...

— არა უშავს.

— მე კი მეტყვევებ ვმუშაობ. სპეციალობით მეტყვევებ ვარ.

— ეგვეც კარგია, — ამბობს მუშნი და ოთახში იხედება, — მართლა, თაფლოს ხომ არაფერი დაუბარებია ჩემთვის?

— არა, არაფერი.

ახლა კი საბოლოოდ ქრება იმედი, სამუდამოდ, მთლიანად.

შემდეგ მუშნი ოთახში შედის. მარტოა ოთახში და ისევე ბნელა, როგორც იმ ღამეს, როცა უკანასკნელად იყო აქ. მაგრამ ახლა ცარიელია ოთახი, სრულებით ცარიელი. ფანჯრები ღიაა და ნიავეი თავისუფლად ნავარდობს ოთხ კედელში. სრული სიჩუმეა, არავითარი ხმა არ ისმის. მუშნი ტყაბუქს იატაკზე ფენს, კედელთან და პირქვე წეება ზედ. უხმოდ ქეითინებს სულში რაღაცა, ტირილი უნდა, მაგ-

რამ ვერ ტირის. და ისე ტყევა სული, რომ იკმუხნება, სახეზე იფარებს ხელებს. მარტო დარჩენილს ვარ რცხვენია საკუთარი სისუსტის. მგრძნობს: ძირს ეშვება ცის სიმაღლიდან, მაგრამ ქაობში აღარ ჩადის. სადღაც შუაშია — მოტივტივე, სივრცეში გაპნეული სულივით.

მერე ხედავს უღრან ტყეს. უღრან ტყეში ძველისძველი ტაძარი დგას და იისფერი სინათლეა. მუშნი უახლოვდება ტაძარს, კარები ღიაა. ჩივილის კბეებს და შედის შიგ. სიცარიელეა, არავინ არ ჩანს. იატაკზე ქვეები ყრია. მუშნი დგას ჩამონგრეულ სვეტებს შორის. ერთ ადგილზე ვიწრო გასასვლელი სადღაც სიბნელეში მიდის. იმ ლაბირინთში მოჩანს დიდი, შავი ქვაბი. ქვაბში რაღაც იხარშება. მუშნი მარტოა ამ ყრუ ტაძარში და რატომღაც საშინელ შიშს აუტანია. უნდა გაასწროს აქედან სანამ იმ ვიწრო და ბნელი ხერელიდან ვილაც თმაგაშლილი, შიშველი ქალი გამოვარდებოდეს. მუშნი გრძნობს, ელოდება ამ ქალის გამოქენას, მაგრამ ადგილიდან ფეხს ვერ იცვლის. საშინელების მოლოდინს გაუშეშებია, მთლად წართმევია ნებისყოფა. ტაძრის ღია კარიდან კი მოჩანს ტყე, იქ ისევ იისფერია სივრცე, ტყის სივრცეში შავი ქვაბი დგას, როგორც ტალანში. მუშნი ხედავს: ვილაცის ხელი ქვაბის სახურავს სწვდება, ტანი არა ჩანს კარებში, ჩანს მხოლოდ ხელი, ხელი იღებს სარქველს და ისევ დებს. მერე ქრება. უცებ კარებში ნახევარი ტანით გამოჩნდება თმაგაშლილი, წვერებიანი, ანაფორიანი ბერი და უთვალთვალებს მუშნის. მაგრამ უცაბედვე ისკუპებს ქურღივით უკან და იმალება, თითქოს ეშინია მუშნიმ არ შეამჩნოს. საზარელ, აუწერელ შიშს აუტანია მუშნი, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვრება. და ამ დროს, როგორც უცარი ყვირილი, მთელი ტანით შემოიჭრება, შემოიშართება ბერი კარებში და სვავივით დასცქერის მუშნის ზემოდან. მუშნი ცნობს მას. ეს თვითონ მუშნია

თმაგაშლილი, წვერმოშვებული, ოდონდ ტყაბუჭის ნაცვლად ანაფორა აცვია. საოცრად ეშინია საკუთარი ორეულის და ზარდაცემული, მთელი ძალით, არადადამიანურად ღრიალებს. ღრიალებს და ეღვიძება.

ვილაც ანჯღრევს. მუშნი ბუნდოვანად გრძნობს, სადაც იყო. ნელა ბრუნდება აქ. აგონდება სადაც არი. უცებ კედლისკენ შებრუნდება მოკუნტული, ძახეში მომწყვდეული ნადირივით და კბიბზე მოისვამს ხელს, მაგრამ რევოლვერი აღარა აქვს. ვილაც ორი კაცია ოთახში. ერთი თავზე ადგას აჩრდილივით, მეორე მის სხეულთან დახრილა და ანჯღრევს.

— რა გაყვირებს კაცო, გაიღვიძე... მე ვარ.

მუშნის ეცნობა ხმა.

— რომელი ხარ? — ჯერ კიდევ შემკრთალი კითხულობს მუშნი.

— შე ვარ თედო, ადე, კაცო, გაიღვიძე!

მუშნი თანდათან მშვიდდება.

— რა იყო?

— ადე, ჩქარა, გაიქეცი!

— რაშია საქმე?

— მილიციელები დაბრუნდნენ და გაიგეს, რომ აქა ხარ.

— საიდან გაიგეს?

— ჰმ, რა დროს ეგ არი! ადე, კაცო...

— თედო ფეხზე მდგარს ახედავს.

მუშნიც ახედავს და გიოს ცნობს.

— მერე? — უაზროდ კითხულობს მუშნი.

— რა მერე? სადაცაა მოვლენ, ილიეს გამოვასწარი. აქ რომ მნახონ მეც დამიჭერენ. ადე, გაიქეცი...

— სად გაიქეცი?

— რა ვიცი, კაცო, წადი აქედან, დაიმალე...

— სად, სად წავიდე, სად დავიმალო, — მთელი ხმით ღრიალებს მუშნი.

მაგრამ იმ ღამეს, როცა მილიციელები თაფლოს ოთახში შევიდნენ, იქ არაინ დახვდათ.

მუშნიმ გაპარვაზე უარი განაცხადა და თედოს და გიოს წასვლის შემდეგ, ჯერ კიდევ იატაკზე გაფენილ სველანურზე იწვა. იწვა ფხზნული, რატომღაც მაინც ყურდაცქვეტილი და ელოდა მოსახდენს. „რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს“, — ფიქრობდა ის და განპრევას არ აპირებდა. მაგრამ ტალანში ჩექმების ბრახუნი როცა შემოესმა, როცა დადგა წუთი, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში დევნილი ნადირივით გაუბროდა — ერთბაშად წამოხტა, ანგარიშმიუცემლად, ინსტინქტურად გადახტა ფანჯრიდან და გაიქცა.

მეორე დილით, მალლა მთაში, ბინასთან მსხდარმა შეჯოგებმა იალალისკენ ნომავალი კაცი შენიშნეს. მათ იცნეს მუშნი და ნაბაღზე მიწოლილი გოთა გააღვიძეს. გოთა წამოჭდა, თვალები მოიფენიტა და შიშველი ფეხები გაჩახხა.

— შენა ხარ? — მშვიდად ჰკითხა მან მუშნის.

— ჰო, მოვედი, — უბასუხა მუშნიმ.

— მოავგარე შენი საქმე?

— მოვაგვარე.

— ამას პური ეშვიება, მოუტანეთ რამე! — გაძახა გოთამ ახალგაზრდა მწყემსებს.

და დარჩა მუშნი მეჯოგებთან.

ახლაც თეთრ აბრაშზე იჯდა, როცა ვორც მაშინ როცა გოთასთან ერთად ეძებდა კვირიას მეველებს. ტანზე კვლავ ტყაბუჭი ეცვია. მაგრამ ცდილობდა თაფლოზე არ ეფიქრა. ცდილობდა დაევიწყებინა ამ ქალის სახე, როგორც სიზმარში ნანახს და განცდილს ივიწყებს კაცი. და მართლაც, კოველივე განვლილი, განა სიზმარს უფრო არა ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს? გულისტკივილს აღარა გრძნობდა მუშნი, მოულოდნელად დაშვიდდა, დაისვენა. ის არაფერზე არ ფიქრობდა. რემა ბარისკენ ეშვებოდა. მშვენიერი ამინდი იდგა მთაში და მუშნის სიამოვნებდა აქრელებული ტყეების ცქერა. მწვანე წიწვებს შორის, გაყვიისფერებულებიყვენ, გაყვიითლებუ-

ლიყვნენ ფოთლოვანი ხეები. ბურქებსაც შემოსცვენოდათ სამოსი. ასკილის ნაყოფი სისხლის წვეთივით ეკიდა ტოტზე. შემოდგომის კრიალა, კაშყაშა ცა კარგი დარის იმედს იძლეოდა. ნაკადულები მზიარულად მოჩუხჩუხებდნენ, ცხვრის ფარები ბარისკენ თელავდნენ ბილიკებს და რალაც საოცრად ქალურნი, საოცრად ნატიფი და ფაქიზი იყო შემოდგომის ბუნებაში. მუშნი გრძნობდა, როგორ ეხვეწებოდა სული ამ ღერთაცვალებაში. თითქოს უფრო მგრძნობიარე გახდა, უფრო გამგებნიანი, თითქოს უფრო ღრმად ჩასწვდა რალაცას. ახლა, თუკი თავლოს სახე გაუღვებდა თვალწინ აღარ იმორებდა მას, სიყვარულით, სითბოთი და გულისტივილით მიაპყრობდა შინაგან მზერას, არაფერში არ თვლიდა თავლოს დამნაშავედ. იმაში, რაც მოხდა, თავლოს ბრალი არ ედო. უბრალოდ მუშნის ბედი იყო ასე აწყობილი. მაგრამ ახლა არც ბედს უჩიოდა. საესეებით მშვიდად შეურიგდა თავისი ყოფის თავისებურებას. მან უკვე შეიგნო, რომ ცხოვრებისაგან არ შეიძლება მოითხოვო სრული ბედნიერება. ასეთი რამ არ ხდება. ბედნიერება და მწუხარება განუყოფელია, როგორც არ არსებობს შუქი ჩრდილის გარეშე. მუშნი მადლიერი იყო თავლოსი, ცოტა ხნით რომ შემოიტანა ბედნიერების შუქი მისი სულის იმჟამინდელ ბინდში. ამ მცირედითაც უსაზღვროდ მადლობელი იყო, რადგან იმ შუქის კვალი სამუდამოდ დარჩა მის სულში და აღარაფერს შეეძლო ამ კვლის წაშლა. არავითარი საყვედური, არავითარი უკმაყოფილება არავის მიმართ. აღამინა უნდა ისწავლოს მცირედი დაკმაყოფილება, ფიქრობდა მუშნი. რაცა ხარ, ეგა ხარ და აქედან უნდა უყურო ცხოვრებას, აქედან უნდა ჩაება სიცოცხლის ფერხულში. ის რაც გავაჩინია სულში, რასაც წარმოადგენ ამჟამად, შენი არსია და არა ხარისხი. ამიტომ წუწუნი უაზრობაა, სუსტების ხვედრია, სინამდვილე კი — ეს არის აუ-

ხდენელი ოცნებები, დაკარგული, გამკრალი შესაძლებლობები, მუდმივი, ზოგჯერ გაუცნობიერებელი, ჩახშული სევდა იმის მიმართ, რაც შესაძლებელი იყო, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ სამწუხაროდ არ მოხდა. მუშნის ესმოდა ეს და ფხიზლად შესცქეროდა სინამდვილეს, თვალს თვალში უსწორებდა.

მას აღარ უნდოდა ვაქცევა, როცა ერთ ნისლიან დღეს მათგან მომავალი ცხენოსანი მილიციელები დაინახეს მწყემსებმა. მილიციელები აღმართს მიუყვებოდნენ, შავ ცხენებზე ამხედრებულნი. ეკვი არ იყო, გაიგეს მუშნის აქ ყოფნა. საიდან გაიგეს? — უკვირდა გოთას, როცა სხვებთან ერთად დასცქეროდა მათ, კლდის პირზე გასული, მაგრამ მუშნისათვის არ იყო მოულოდნელი მათი გამოჩენა. მათ კარგა ხანია დაკარგეს რეალური სახე მუშნის შეგრძნებაში და ბედისწერის სიმბოლოებად გადაიქცნენ.

— სანამ ცოცხალი ვარ, არ დავანებებ შენ თავს, — თქვა გოთამ.

— არა ღირს, გოთა. — თქვა მუშნი.

მან გადაწყვიტა დაემთავრებინა ბედთან თამაში. მოსახდენი, აღრე თუ გვიან, უნდა მოხდეს. ის ზემოდან დასცქეროდა შავ ცხენებზე ამხედრებულ მღვერებს, რომლებიც თანდათან ახლოვდებოდნენ, უკვე შეიძლებოდა მათი მკაცრი სახეების გარჩევა, და არც გაუგონია გოთას ხმა:

— თავისი თეთრონი შეუქაზმეთ, სწრაფად!

ცივი დილა იყო, წვიმას აპირებდა. სქელი ჭანდი მორეოდა სიერცეს. მინდვრისკენ მომავალ ცხენოსნებს ზოგჯერ ფარავდა ფარდსავით მოძრავი ნისლი, ზოგჯერ ისევ გამოჩნდებოდნენ ისინი. და მიინც, თუშვია მუშნი გრძნობდა, რომ აღრე თუ გვიან უნდა დამთავრებულყოფიყო ეს თამაში, არ უნდოდა დამორჩილება. და ამიტომ, როცა შექაზმული თეთრონი მოკვდარეს, არაფერი უკითხავს, უცბად შეხტა უნა-



ჯირზე. თვალი გადაავლო იალალს, დაქსაქსულ რემას. შეხედა ერთგულ მეჯოგეებს, შეხედა გოთას მოღუშულ სახეს და იგრძნო: ძალზე უმძიმდა ამ ხალხთან, ამ გარემოსთან, ამ მთებთან, თავისი ცხოვრების ამ წუთთან განშორება. მაგრამ იმისთვის, რომ განშორება ასატანი ყოფილიყო, აუცილებელი იყო გაქცევა, კიდევ ერთი ცდა ბედისწერის რკალის გარღვევისა. ხმაამოუღებლად იჭდა უნავიჯირზე, გოთას ლავაშში ჩაევლო ხელი ცხენისთვის და მინდორის ბოლოსკენ მიჰყავდა, მდევრები კი თანდათან ახლოვდებოდნენ.

— მუშნი! აი, ამ ბილიკს დაადექი სულ მარჯვნივ იარე. საღამო ხანს ჩახვალ ბარში, აპარეკას აბანოებთან. იქ ვისაც გინდა დაუტოვე ეს ცხენი და უთხარი გოთასია-თქო. მოუვლიან და დამახვედრებენ. აბა, ბედნიერად იყავი!

გოთამ მათრახი შემოკრა ცხენს და როცა ქვებზე ანასხლექმა ნალებმა გაიწკრიალეს, მუშნიმ უკანასკნელად მოიხედა უკან და დაინახა: მინდორზე უკვე ამოსულიყვნენ შავ ცხენებზე ამხედრებული მდევრები.

და აი, მიჰქრის თეთრონი თავდაღმართში, კლდიან ბილიკებზე. ირგვლივ ბურუსია, ჯანდი ირევა და ნისლივით თეთრი ცხენი ისე შედის ნისლში, როგორც მისი ნაწილი. მიჰქრის, თელავს ბილიკს, არაფერი ჩანს და მუშნიმ აღარც კი იცის საით მიდის, საით მიჰყავს თეთრონს, რომელიც მის ბედისწერად ქცეულა ახლა, დადევნებულ, შავ ცხენებზე ამხედრებულ აჩრდილებივით. როცა ზეგანზე ჩაივაცებენ უკან იხედება. აგე, მოჩანან მდევრები. გამალებით მოჰქრიან ისინიც, შედიან ნისლში, იმალებიან, შემდეგ ისევ მოჩანან. ჯერ მხოლოდ მოძრავ წერტილებს გვანან, ჩამორჩენილნი, „არა, ვერ დამეწევით, — კმაყოფილებით ფიქრობს მუშნი, — თქვენ დაღლილები ხართ, რას დაეწევი ჩემ დასვენებულ აბრას?!“ სადავეს მარჯვნივ ექაჩება მტკივანი ხელით. „მარჯვნივ,

მარჯვნივ“ — ფიქრობს მუშნი და აღარც ხელის ტკივილი ახსოვს, აღარც არაფერი. ფლოქვების მონოტონური ღვრიანი სიხალისეს მატებს. ბუჩქებში მკერდით შევარდება ცხენი და შტოების შრიალი ზღვის ტალღების დგაფუნს აგონებს. ბუჩქნარიდან გამოსული ისევ მარჯვნივ ეწევა ლავაშს და ახლა აღმართზე მითხარაივობენ. მდევრები კვლავ გამოჩნდებიან გორაკის ძირში. „ბედისწერის აჩრდილებს გვანან, — ფიქრობს მუშნი, — მაგრამ სულერთია გავექცევი“. წინ ვრცელი ფართო ზეგანია ხევებით შემოზღუდული, სადაც შორს ნისლში აკურებული მთა გამოჩნდება ერთი წუთით. ურიცხვი, წვრილ-წვრილი ბილიკები კვეთენ ერთმანეთს და სცილებიან წუთისოფლის გზებივით. მაგრამ მუშნიმ იცის, რომ მარჯვნივ, სულ მარჯვნივ უნდა იაროს. ექაჩება სადავეს, ცხენი უჩრბობს, არ ემორჩილება, ცრუტუნობს. მუშნი შემოსცხებს მათრახს და თავის ნებაზე მიმართავს. უხალისოდ ნებდება ბედაური, ხრამის პირზე მიაგდება. ქვემოთ ნისლია, არაფერი ჩანს. ისევ შემოაბრუნებს, შუა იინდორისკენ მიაჭენებს. აგე, გამოჩნდნენ მდევრებიც, ჯერ არ ეტყობათ დაღლა. მერე ნისლი იკვრება, ქრებიან საგნები, ქრება სივრცის შეგრძნება. ერთმანეთში გადახლართულან ბილიკები. რომელია მარჯვენა, რომელი მარცხენა? საით წავიდეს, რომელი ბილიკი აირჩიოს? მგონი აერია გზა?! დროდადრო უკან იხედება. ნისლის თეთრი ფარდაა უკან და ამ რძისმსგავსი ნისლიდან ზღვიდან უცრად გამოსული უჩრხულელებივით გამოცურდებიან ხოლმე მდევრები და მოსდევნ ისევ, ისევ მიაჭენებს მუშნი თავის თეთრონს, მაგრამ აღარ იცის საით მიემართება. სადავეს მიუშვებს, კისერზე გელს მოუტყაპუნებს თავის ნაცად, უკანასკნელ შეგობარს და ჩააბარებს საკუთარ ბედს. ახლა ყველაფერი ცხენის ალღოზეა დამოკიდებული და ცხოველიც გრძნობს თავისუფლებას,

ხალისიანად ჰიხენებს და ქარზე უსწრაფეს მიჰქრის სადღაც. მაგრამ მუშნიმ აღარ იცის სად მიჰქრის ასე თავდაფიწყებით. ის აღარც ფიქრობს ამაზე. უკვე დაეკარგა გეზი, საბოლოოდ გაქრა სივრცის შეგრძნება და დროც წაიშალა.

მან არ იცოდა რამდენ ხანს მიაჰქენებდა თავის ერთგულ აბრას. სრულებით ვერ გრძნობდა დროის სვლას. ნისლიან ერთფეროვნებაში ვერ გაიგებდი დღე იყო თუ საღამო ხანი. გაოფლილი ფერდებიდან ცხენს ორთქლი ასდიოდა. მუშნი მოშვებული იჭდა უნაგირზე და ვერც კი შეამჩნია მოკლე ფერდობზე ბუჩქნარი რომ ჩაჰრეს და პატარა ტაფობზე გავიდნენ. ირგვლივ მთების უბეებიდან მორღვეული ლოდები ეყარა და სრული სიჩუმე იდგა. წელი ნაბიჯით მიდიოდა წინ დაღლილი ცხენი და ნისლის ფარდა სულ უკან, უკან იხევდა. მუშნიმ არ იცოდა რა გამოჩნდებოდა ამ ფარდის იქეთ. მოკმუნხული ცა მღუმარედ დასცქეროდა ქვეყანას. ნიავე უბერავდა და ციოდა. წვიმის სუნი იდგა ჰაერში. ფრუტუნით, უხალისოდ მიაბიჯებდა

ცხენი. ტაფობზე ნისლი იწმინდებოდა. უეცრად ხახადალებულ უფსკრულს წაადგნენ. ცხენი შეჩერდა. მიწას წიხლი დაჰკრა, მერე კისერი წაიგრძელა და ბალახს წიწყნა დაუწყო. მუშნი უხანგებზე აიწია და ცხენის თავს ზეზემთ, სიციხიელისკენ გადაიხედა. ნაპრალი ღრმა იყო, უძირო, არ ჩანდა მისი მეორე ნაპირი. მერე მუშნიმ უკან გაიხედა. იქაც არავინ ჩანდა. მაგრამ მან იცოდა, მთელი არსებით გრძნობდა, რომ მღვერები ფეხდაფეხ მოსდევდნენ. ცხენიდან ჩამოვიდა და უფსკრულის პირას გაჩერდა, დოინჯშემოყრილი. ის მშვიდად ელოდა მღვერებს. თამაში დამთავრდა. ამ უფსკრულის პირას მოიყვანა ბედმა. ერთი ნაბიჯის იქეთ ბურუსი ჰნთქაფდა სივრცეს და ამ ბურუსში თითქოს ყველაფერი გამქრალიყო, საგნებიც, შეგრძნებებიც, ვნებებიც, მეხსიერებაც. მუშნის მოეჩვენა, რომ დედამიწიდან სადღაც უცნობ, უსასრულო, თეთრ სივრცეში გაჭრილ უზარმაზარ ფანჯარასთან იდგა. „სად უნდა გაიქცე? ვერსად ვერ გაიქცევი!“ — გაიფიქრა მან.



## შალვა შორჩხიძე

### შენს სახელს ვარქმევ გზაზე გაზაფხულს

სადღაც დმუოდნენ ზარები მწუხრის,  
შენს თვალწინ ნეფა რომ გადალახეს,  
სახეში სცემდათ ბალტიის სუსხი,  
ბურუსში თვლემდა ზამთრის სასახლე.

მერე იწვოდნენ ღრუბლები ზანტი,  
ცეცხლი აფრქვევდა ფერებს არნახულს,  
ხალხს აღვიძებდა აფრორას ზალპი,  
შენ ხორცს ასხამდი მიზანს დასახულს.

ყინვა სიმკაცრეს შენს მკერდზე სცდიდა,  
ქუჩებში ქარი წიბოდა მწარე...  
ტყვია და თოვლი ცვიოდა ციდან,  
შენ გაზაფხული მოგყავდა მწვანე!

შეიგრძენეს სუნთქვა ახალი ქვეყნის,  
ძარღვებში სისხლი ჩქეფდა მღუღარე.  
ვამბოზ უბრალოდ და არა კვეხნით —  
ურჩხულებს გვამზე გადაუარეს!

და მერე სისხლი წარეცხა ქამმა,  
თითქო ასი მზე ამინთეს ცაში,

ნასალდათარი მოვიდა მამა  
და შენი ნათლით გამათბეს ბავშვი.

დედას გულს დარდი გადაეყარა,  
სულს არ უმღერევდა ქარი კაპასი,  
შენ გადიდებდა ჩემი ქვეყანა  
და მალღებოდნენ მთები კავკასის.

ჩემი სამშობლო შენ გამიცოცხლე,  
შენ დამიბრუნე დიდი წარსული,  
კვლავ გამარჯვების გზა დამილოცე,  
ვარ შენს დროშაზე თავდაცულული.

და ჩემი პონტოს ღრმა წიაღიდან,  
ვუშურ მომავალს ამაყი მშერით,  
მზეები გულზე ნათელს მალვრიან,  
მზეები შენი დროშების ფერი.

შენი გონების მაღლი ვიწამე,  
შენთვის ვაგროვებ ფერებს არნახულს.  
ამიერიდან დედამიწაზე,  
ღვინს, შენ სახელს ვარქმევ გაზაფხულს!..

### ი კ რ თ ა

გზა იყო ვიწრო და ოკრო-ბოკრო,  
წინ გვიზიდავდა თეთრი იკორთა,  
ავედით, თითქო აკლდამის ორმო  
სანთლების შუქით ამოიყორა.

ძირს გაშლილიყო სოფელი ფლაგი,  
ვეცქერდით ქვის ჯვრებს კეთილად  
დაბრძნით.  
დაკლულ კურატის მოჭრილი თავით,  
თვალს მიეფარა ქურუმი ტაძრის.

მოენახეთ მყისვე კარის გამღები,  
თაყი დაგდევით სამსხვერპლო ნიშთან,  
სდუმდნენ მაღალი საყდრის თაღები,  
ჟამი მაცხოვრის ნაკვალევს შლიდა.

კედელთან ვნახეთ საძმო სამარე  
და დაგვესუსხა ტანი ჭინჭრითა.  
მერე მათ ბედზე ღვინო დავღვარეთ  
და თითქო ბოდმით სუნთქვა გვიჭირდა...

იწვოდა ლერწის და ფიჩხის კონა,  
და ავარდნილმა კოცონმა ცაში  
შინდის ფერებით მთლად დაგვიმონა,  
გვაჭრიალებდა დილამდე ტანში.

ეზოში იდგა საკმეფლის სუნი  
და ნათლის მეტი არა იყო რა,  
მთვარის წვეთებით ტანდასისხლული,  
თვალწინ ორბივით გვიკვდა იკორთა.

ვათვედით ღამეს ღვინის ამტანნი,  
ქარები ხევეს ჩასდევდნენ ხენეშით,

და როგორც ქრისტეს თეთრი ბატკანი,  
ჩვენ ტაძრის ლანდი გვეჭირა ხელში.

ვამცვრევდით ღვინოს ნაკურთხ სამარხებს,  
და გარს ვუსხედით კოცონს მუხლმობრით,  
საძმო საფლავის სწყვეტდნენ არტახებს  
და მოფოფხავდნენ ლანდები ოხვრით.

მოაცილებდათ ტაძრიდან ხატი,  
ღვთისმშობლის ლურჯი თვალების დარი,  
და შევიცანით საომარ რახტით  
წალუა, ბიძინა და ელიზბარი.

შემოგვეცქეროდნენ ამაყ ქართველებს  
და გმობდნენ წარსულ ჟამთა სიავეს,  
მერე ლანდები ჩვენებრ გამოვლდნენ  
და ერთად ვსვამდით სოფლის სიამეს.

გვიან კოცონზე თბებოდა ზოგი,  
ზოგმა მკერდს ყანწიც გადაიგორა,  
და მთვარე, როგორც წითელი მორგვი,  
დილამდე ყელზე ება იკორთას.

## კეკეზს ზაპარში

აქ სინათლეა, ჰეკატე, შენი,  
აქ სიწმინდეა უმანკო სულთა.  
აქ ყვავილობდნენ ვენახის ხენი  
და ფერიები მღეროდნენ მუდამ...

აქ ქარი ყურძნის მარცვლებს ფანტავდა,  
აქ აიგეტი ვაზის წვეს სვამდა,  
აქ ბალახებზე ისხდნენ ნატვრადა  
და აღიოდნენ ლოცვები ცადა.

აქ მუხლმოყრილი იჯდა მედეა  
და უკოცნიდა იაზონ ფერხთა...  
იდგა ნათელში ქალაქი ეა  
და გუმბათები თითქო ცას ხედა...

აქ გადიარეს გუგუნით ქართა,  
აქ ოდისევესი თერებოდა ღვინით...

აქ უღეწიათ ძველკოლხურ სპათა  
სპარს-აქვეელთა ჯარები ჟინით!

აქ აჭილევსი მიწას სისხლავდა  
თურმე ტროაში დაჭრილი ქუსლით,  
შენს წინ ქართველთა ხმობდა მისხადა,  
რატომ დაუზრე სიცოცხლე სუსხით?!

აქ კოლხურ ვაზზე ამყნეს ელინთა  
უტეხი ნება, სული პირქუში.  
აქ კოლხურ სისხლით ერთ მზედ შენივთდა  
სიბრძნე და პონტოს ფერები ლუში...

აქ სიწმინდეა უმანკო სულთა,  
აქ დამზრალ ძვალთა სიცივე დადის...  
აქ ყვავილები მოჰქონდათ მუდამ  
და აღიოდნენ ლოცვები ცამდი!..

# შ ა ს ი ა ნ ე



ფასიანე ქართველთა ადგილობრივი ლეთაუბა უოფილა. „ფაზისში რომ შეღებარ, შარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთ ფასიანესი“.

გეოგრაფოსი არიანე

შენ გეძახოდნენ აქ ფასიანეს,  
მზე იყავი თუ სახება ვაზის?  
ჟამი შენ ხსოვნას ვერ ანიავებს,  
პონტოს კარიდან გასცქერი ფაზისს.

წვანან სფინქსები ქალაქის კართან,  
პირდაღებული დიდი სფინქსები...  
ჩამოვეკიდე შენს რძისფერ კალთას  
და უშორესი ლვევდების ხილვით ვივსებდი.

შენი სახელი შერჩენია ულურჯეს ფაზისს,  
ცოცხლობ ზღაპრებში და კოლხურ ცას  
თავს ვერ ანებებ...  
უნაზეს მხარზე მზე ოქროსფერ ჩიტივით  
გაზის,  
ქართველთ ავედრებ პირქუშ ლეთაუბებს!

დასაბამს აქეთ დგახარ ფაზისთან,  
და ჩემს ხსოვნაში ჰქრები, ინთები...

ჩემს სულს ნათელი შენი სახის მზესთან  
აზიდავს,  
გაცოცხლებულან ძველი მითები.

გადაიარეს კენტავრებმა შორს კილიკია,  
ქართველთა ტომებს ველარ იტვეს მცირე  
აზია,  
ჩემი ქვეყანა ულურჯესი მთის ბილიკია,  
სხეული მისი მწიფე ვაზია.

და გკრფ ლეგენდებს, ვით ყურძნის  
მარცვლებს,  
პონტოს წიაღში მომავლის მძუძე!..  
შენ ბალახებზე მზის სხივებს ამცვრევ,  
და ასდის კვამლი ლურჯად კოლხურ  
ქოხების ფუძეს.

შენ გეძახოდნენ აქ ფასიანეს,  
მზე იყავი თუ ფოთოლი ვაზის!  
ჟამი შენს ხსოვნას ვერ ანიავებს,  
შენი სახება თავს დანათის მწესსავით  
ფაზისს...

# შ ე რ უ ღ ი

მარკა და სიმონ ჩიქოვანების ხსოვნა

გეგონა, გულზე დაგაყარეს ფოთლები  
თრიმლის,  
თურმე ყოფილა ფერფლი მვეულის,  
დამდნარა, როგორც დეკემბრის რთვილი,  
საფლავში მაინც ერთ მზედ შედუღდით.

ნურც სიყვარული გეცოტავება,  
ნურც სითბო მისი სუსტი სხეულის.  
სულში ფრთხილად მისი ხატება,  
საყდრის ჩიტივით გამომწყვდელი.

ნურც მისი ფერფლი გეცოტავება,  
დაუბნევიათ დედის საფლავზეც,  
ამოვა თეთრი შინდის რტოებად,  
თქვენს ხსოვნას უფრო გაალამაზებს.

მეუღლეს შენსას არ აქვს საფლავი,  
თავს მისი სული გადგია ძველად...  
ლექი ბლავის თუ საღვთო საკლავი,  
შენთვის ოდიშში მიაბეს ძელქვას!..

დრო იყო, ჩიტებს იჭერდი ტყეში  
და უხილავის ელოდი ხილვას,  
ველურ ყვავილებს იღებდი ხელში  
და აწურავდი სტრიქონებს ფრთხილად.

გულზე გეხატა სიტყვა წაღმართი,  
და შესცქეროდი ზედაზნის ღრუბლებს,  
ეფიცხებოდი მზეს წარმართივით,  
და სულში მინდვრის ფერები დუღდნენ.

ხან მუხლს იყრიდი ატენის ნიშთან,  
შებუტბუტებდი პატარა ტანას,

მიაცილებდი მაცხოვარს მშვიდად,  
საყდრიდან სანთლის გამოსატანად

გეზულითხედავ

მერე ლექსებში იწვოდი თვითონ,  
შენ, როგორც სანთლის მაღალი ღერო,  
ათამაშებდი ნედლ სტრიქონებს, ვით  
მწვანე ხვითოს,  
დაუნანებლად როგორ გიმღერო!..

მიაქვს მინდვრებში მეუღლის ფერფლი,  
ასკილის ტოტზე ასხლეტილ ნიავს,  
გათავდა... ბედის დამდგარა ეტლი,  
და შენ ღვთისმშობლის უზოში გძინავს...



## ყ ა ბ ა ს ი

კ მ ა ნ ი

წიგნი მორბი

თავი მეთხუთსე

### I

კუპრაქა დახლს ასუფთავებდა, რევაზი რომ შევიდა. თოფი წინ ჰქონდა თასმით კისერზე ჩამოკიდებული ვეება წაბლისფერი ბალნის გროვის ქვეშ, წელში მოხრილიყო. ახლოს მივიდა, ბალნის გროვა დახლზე დააგდო და მოკლედ უთხრა.

— შშია. — წავიდა და კედლის ძირში ცარიელ მაგიდასთან დაჯდა.

კუპრაქამ მზარეთულს დაუძახა და თვითონ დახლქვევიდან არყის ბოთლი გამოიღო.

— რაუდენ, მწვადი გაქვს? — ჰკითხა მზარეთულს, როცა ის სამზარეთულოდან გამოვიდა.

— ზაკაზია.

— არა უშავს. ეგ იმ მაგიდასთან მიიტანე და საზაკაზედ სხვა ააგე. მერე მოდი და ეს ხორცი გაიტანე.

— დათვია?

— მაშ მე ხომ არ ვიქნები, ვერ ატყობ? მაშო, გესმის, მაშო! პური, მწვანილი და ყველი მიიტანე იმ მაგიდას-

თან. დაიცა, აჰა, ეს ბოთლიც გააყოლე.

იჭდა რევაზი, ჰქიქას ჰქიქაზე იმხობდა პირში და თან პურ-მწვანილს აყოლებდა ზედ.

— რაუდენამ თავისი ხელით შამფურიანად მოუტანა მწვადი და ჩასპანდურად მიართვა.

— მთელი ფეშხვია? სად გადაეყარე? კარგია, ბებერი არა ჩანს. ჯერ ეს იყოს და დანარჩენიც მალე იქნება. კაი ბულაშა მაქ, მოვიტანო? ჩაქაფული არ ვინდა? წყეული ნადირია, მადლობა ღმერთს, მშვიდობით ვადარჩენილხარ.

რევაზს ხმა არ გაუცია, ქალადის ნაკრით ვაწმინდა შამფურის წვერი და არყიან ჰქიქაში ჩაყო. ცხელმა რკინამ შიშხინი დაიწყო, ჰქიქას კვამლი ავირდა. მერე შამფურის ტარსა და წვერს აქეთ-იქიდან ჩასქიდა ორივე ხელი და ეგრევე დაუწყო მწვადს ძიძგნა. ხარბად ჰამდა, ხმაურით. როგორც კი რკინამდე დავიდოდა, ტუჩს მადლა სწევდა, ცხელ შამფურს არიდებდა. სამაგიეროდ ხშირად წკარუნობდა ზედ მოხვედრილი მინანქარი. კბილები თეთრი ჰქონდა, მაგარი.

— წავალ, დავაჩქარებ.

რევანს არც ახლა გაუცია ხმა.

რაყდენა შეიშვეშნა და წავიდა.

ყოველი ჭიქის შემდეგ სასმელი უფრო ტკბებოდა. დაღლილ სხეულში თბილად, სასიამოვნოდ იტოტებოდა და შემდეგ კიდურებში გამაბრუებლად იშლებოდა.

ხელმეორედ მიუტანეს პურიცა და ყველიც მწვადიც შეიწვა. და სვამდა რევანში. ჭამდა და სვამდა.

უცებ ყური ცქვიტა და გაინაბა. სწორედ ახლა ჩაესმა, აქიხვინებულმა გარმონმა როგორ დაუწია ხმას და აგუგუნიებული დოლიც კვალდაკვალ მიჰყვებოდა. იქნებ ყურადღება არ მიექცია, ხმადაბლა რომ არ აწკმუტუნებულობდა გარმონი და დოლი ნელი ტუტუნით არ გაჰყროდა სუფრას. თავი აიღო და თვალი გააყოლა კედელ-კედელ როგორ მიიზარებოდა ვიღაც ზორზოზა. მიიზარებოდა და თან დოლზე ჩუმად, ფრთხილად ატაკუნებდა თითებს.

რევანს გაუკვირდა. ეს არც ცეკვას გავდა, არც რომელიმე თამაშს. უცქირა, უცქირა და უცებ იცნო, იცნო და მიხვდა, რისთვისაც მიიზარებოდა სასადილოდან.

— მოდი აქ! — უთხრა რევანმა.

მედოლე თითქოს ვერ ამჩნევდა, არ შემდგარა.

— შენ გეუბნებიან, მოდი აქ!

უცებ ყველა მაგიდაზე შეწყდა ლაპარაკი და მოლოდინით გაისუსა.

მესამე მიზატიყებამ კართან მიუსწრო მედოლეს. კაცის მკეჭარე ხმაზე უფრო თოფის ჩახმახის სუსტმა, ძლივს გასაგონმა ტაკუნმა იმოქმედა. შემობრუნდა და შიშისაგან გაფართოებული თვალებით საბრალოდ გამოიხედა.

— მოდი აქ, რომ გეუბნებიან!

მედოლე ფრთხილად მოდიოდა. ხელები ძირს ჩამოეშვა. დოლი კინაღამ იატაკზე მოსთრევდა. მოდიოდა და მონუსხულობით მისჩერებოდა თვალებში.

რევანმა თოფი ისევ გვერდზე დაიდო და თქვა:

— დაჯექი!

მედოლემ დოლი თოფთან დადო და დაჯდა.

— მანდ ნუ დებ.

მედოლემ აჩქარებით მოიხადა ბოლიში, აიღო დოლი და ფეხებშუა ჩაიდო.

რევანმა ანიშნა და მომტანმა ერთი ჭიქა კიდევ მოიტანა. დაასხა და მედოლეს მიუწია.

— დალიე.

— არა ვსვამ.

— დალიე.

— ჩემმა შვიმ, არა ვსვამ.

— დალიე, რომ გეუბნებიან.

— ღმერთმანი, ჩემ სიცოცხლეში არ დამილეენია.

— მაშ ეხლა დალიე.

— აბა, როგორ დავლიო, ჩემ სიცოცხლეში არ დამილეენია არაყი. ექიმმა თქო..

— მაშ არ დალევ?

მედოლემ ჩუმად, შეფარვით გადახედა მაგიდაზე დადებულ ვეება ხელს, რომელიც თანდათან იკუმშებოდა, და ჭიქას მისწვდა. ისევ არყით სიკვდილი არჩია.

პირველ ჭიქაზევე გამოუყვყვიჩდა სახე. ხოლო მეორესა და მესამეზე ისევ დაეწმინდა.

რევანმა მწვადი მიუწია. დაცლილი ბოთლი გაატანა მიმტანს და ახალი მოითხოვა.

ცოტა ხნის შემდეგ მედოლეს თვალები აემღვრა, შიგ უცნაური მზიარულება ჩაუდგა და სახე მოსუფლო გაუხდა.

— აბა, ახლა მითხარ, რა გრჯიდა ამ წინებზე, გზა რომ შემოკარი და აქედან გარეთ არ მიშვებდი?

— შევცდი, ეშმაკმა შამაცდინა. ეშმაკმა კი არა, ხატილეწიამ. მეგონა, დალიე და ფული არ გადაიხადე.

— შენი ხელობა დოლის ბაგუნია. კუპრაქამ მაგის გარდა სხვა რამეც დაგავალა?

— არ დაუვალეზია. — გამოტყდა მედოლე.



— მაშ იმოდენა ხალხში რად გადა-  
მიდექი წინ?

— აჲ ვითხარი, ეშმაკმა მაცდინა-  
მეთქი? ეშმაკმა კი არა, ხატილეწიამ.

— ვთქვათ, ეშმაკი იყო.

— ხატილეწია იყო.

— სულ ერთია, ეშმაკი და ხატილე-  
წია რამ გაყო? შენ რატომ მკარი ხელი  
იმ ხალხში?

— ეს სუ იმ წაწყმენდილ ხატილე-  
წიას ბრალი იყო, მე არაფერ შუაში  
ვარ.

— განა ხატილეწიამ მკრა ხელი და  
დახლთან მიმავდო?

— ის იყო. ეშმაკივით შემიჩნდა. მი-  
დიო, მეუბნება, ეგრე იცის ხოლმე, და-  
ლევს და ფულს არ იხდის ხოლმეო.

— მერე, რა შენი საქმე იყო, მე დაე-  
ლევდი თუ არა? ან დავლევდი და გა-  
დავიხდიდი თუ არ გადავიხდიდი? იყო  
შენი საქმე?

— არა, არ იყო. იმან შამაცდინა.  
ერთხელაც ეგრე მიყო ჭეილობაში.  
მეც გივი ვარ, — შემოიკრა შუბლზე  
ხელი, — რატო არ მამაგონდა მაშინდე-  
ლი? ართანაში ვართ და გახურებული  
ჭიდაობაა. მაშინ ახალი მოსული ვიყავ  
ფშაველში და დღეობაზე წამოფედი.  
დოლი არ ვიცოდი მაშინ. გახურებული  
ჭიდაობაა და ერთი დაბალი, თოქმა ბი-  
ჭი დადის წრეში, მოჭიდავეს ითხოვს  
და კაციშვილი ახლო არ ეკარება. სად  
იყო, სად არა, ამამიდგა გვერდში ე ხა-  
ტილეწია და მეუბნება. — ანდე ეგ ბი-  
ჭი ყვარლელია. ერთი დაბდური რამ  
არი-ნეტა ჭიდაობა მაინც იცოდეს. გა-  
დმოვა ეგრე და დადის, ცოდვით ხელს  
არაფინ ისერის მაგაზე. როცა ჭიდაობა  
არ შეუძლიან, რაღას ეჩრება? ნეტა ერ-  
თი კაცი გამოჩნდეს, რო ჭკვა ასწავლო-  
სო.

— ვინა, მაგას? ერთი მე გამიშვით-  
მეთქი.

— ჭეილი ვიყავი, ახალგაზრდა. ას  
კილოსა და ორ გირვანქას ვიწონიდი.  
დავიკალთავე და გადავხტი. ერთი დაბა-  
ლი, ბაჭაჯღანა რაღაცა იყო. ჭერ ახ-  
ლოსაც არ ვიყავ მისული, რო დამავლო

ხელი და გამკრა. რო დამავლო ხელი და  
გამკრა, წრის იქით გადამხვდომა დავე-  
ცი პირქვე და მივცურაჲ. კიდევ კარგი,  
მეზობლის სახლი დამხვდა და იმან და-  
მიჭირა, თორემ სანიორემდის ჩავიდო-  
დი ცურვით. ცოტახანს ვიწეკი ეგრე.  
მემრე წამოვდექი, მაგრამ ველარაფერ-  
სა ვხედავ. ვამბობ; რა მამივიდა. მო-  
ვისვი შუბლზე ხელი და ძლივს მივხე-  
დი: თურმე წაქცევისას მთელი შუბლი  
გადამტყავებია წარბებამდის და თვა-  
ლებზე ის ტყავი მათარია. აი, ნახე, ახ-  
ლაც მეტყობა.

რევაზმა შეხედა შუბლზე და არა-  
ფერი თქვა.

— თურმე ის ბიჭი მთელი ალაზნის  
გამოდმა განთქმული მოჭიდავეა და კა-  
ცი ხელის წავლებას ვერ უხედავს. აბა,  
მე რა ვიცოდი?

— ეგ კბილები მაშინდელია?

— არა, იმდღევანდელი.

— ჩემია?

— შენია. — მორიდებით დაეთანხმა.

— ცოლ-შვილი გყავს?

— მყავს.

— მუშაობ სადმე?

— მე სუ ვმუშაობ. სადაც მამხვდე-  
ბა, სუ ყველგანა ვმუშაობ.

კიდევ დაისხეს და დალიეს.

— მე მაგის ბრაზა-ბრუხზე არ გეკით-  
ხები.

— აბა, იგრე სად ვიმუშავებ, წერა-  
კითხვა ძლივს ვიცი.

— არც სხვები არიან პროფესორები.  
კოლმეურნეობაში საშენო სამუშაოც  
მოიძებნება. როგორც ვატყობ, არც ახ-  
ლა უნდა იყო ას კილოზე ნაცლები. იქ-  
ნება მეტიც. შენი ჭანი ბევრს შემუშ-  
რდება.

მედოლემ აღარ იცოდა რა უბასუხნა  
და უმწეოდ გაიღრიჭა.

— ფულს ბევრს შოულობ?

— აბა, საიდან ვიშოვნი, ხუთ-ხუთი  
ბალლი შინ მელოდება პირდღებულო.

— კბილების ჩასმას არ აპირებ?

— როგორ არა, მაგრამ ჭერ სამაგი-  
სო ფული სადა მაქ.

— უნდა ჩაისხა მწვადს საზიზღრად

ქამ, გვერდულად, ძაღლივით. როცა ჩა-  
ისხამ, მერე აღარავის ჩამოაღებინო.

— მაშინაც ეშმაკმა შამაცდინა.

— ეშმაკმა კი არა, ხატილეწიამ.

— სულ ერთია ეშმაკი და ხატილე-  
წია.

— სულ ერთია. ამას იქით კი დაიხ-  
სომე: სხვის საქმეში არასოდეს არ ჩაე-  
რიო. ვინ იცის, კაცი რა ხასიათზეა.  
ზოგს თავიც კი აქვს მოძულებული. —  
წამოდგა, თოფი აიღო და დახლთან მი-  
ვიდა.

— ამდენს რატომ სვამ? — დახლზე  
გადმოეყუდა კუპრაჭა, — ისიც არაყს.  
წვერსაც არ იპარსავ. ვაჟაკი ხარ,  
წვერში კი ჰალარა გამოგერია ამ ერთ  
თვეში. პარტიიდან ვინ არ გაურიც-  
ხავთ? მე მთელი ჩემი სიცოცხლე უპარ-  
ტიო ვარ.

— მელუქნეებიდან მხოლოდ შენ ლა-  
პარაკობდი ცოტას, ახლა შენც ცის-  
წავლია.

— დღეს შევლევამ გიკითხა, თუ კი-  
დეც მნახა, რა ვუთხრა?

— არაფერი, კაკოსთან ინადიროს. იმ  
ორფეხა ნავაგს იცნობ?

— ვიცნობ.

— მაგას ჰკუასთან ერთად კბილებიც  
აკლია. მხოლოდ მეორეა ჩემი მიზეზით.  
რამდენიც დასჭირდეს ჩასასმელად, ფუ-  
ლი იმდენი მიეცი. მერე მე და შენ ფავს-  
წორდებით.

2

კარგა ხანია უკან დარჩა იაღლუქის  
კრიატ ნისლში გახვეული მთები და  
ფერდობებზე შეფენილი, ზამთრისაგან  
გაბეზრებული ფარები. მიწას ჯერ რუ-  
ხი, შემდეგ კი ციებიანის ავადმყოფუ-  
რი სიყვითლე მოერია. ლანდშაფტი  
თანდათან გლუ გახდა. გზის გასწვრივ  
ალაგ-ალაგ თვალმისაწიერამდე მოჩან-  
და მარილის თეთრი, დაკლაკნილი არ-  
შია. მლაშობი და ბიცი, მცენარეულო-  
ბით ღარიბი ნიადაგი ბატონდებოდა აღ-  
ნოსავლეთით. ნახევრად უდაბნო, პირ-

ქეში და ერთფეროვანი პეიზაჟით გა-  
დატვირთული, უნდილად, უნიათოდ მი-  
ლოლაგდა მანქანის გასწვრივ. კასპიიდან  
წამოსული ქარზე იხრებოდა გადამხმა-  
რი ძიძო და ურო-ბალახა. აღრე კო-  
რომებად შემოხვედრილი ავშანი ახლა  
უკვე მთელ ველს მოსდებოდა.

ნაბაღში გახვეულ, ცალი მხრით  
კაბინის ქარზე მიწოლილ მდუმარე შავ-  
ლეგოს ეჩვენებოდა, რომ ახლა მისი  
სულიც ასევე ცივი, ერთფეროვანი და  
უღიმიამო იყო.

წუხელ ლექსო მოვიდა და გარეთ  
გაიხმო. ერთ ადგილს იტყებნებოდა,  
წრიალებდა, რალაცას იღებებოდა. მე-  
რე გვერდზე გაიხედა და თქვა:

— გუშინწინ ჩვენი აგრონომი წა-  
ვიყვანე შირვანში.

— რუსუდანი? რა უნდოდა რუსუ-  
დანს შირვანში?

— მაგათი მაქსიმე ჩვენ ცხვარშია...  
ყოველ ზამთარს ჩადის ხოლმე... გაუ-  
რეცხავს, დაუეკრებს... ყოველთვის წი-  
ნასწარ ვიცოდი, როცა მიდიოდა... გაემ-  
ზადებოდა: ხაჭაპურები, ინდაური, ღვი-  
ნო. გუშინწინ დილით შემეფეთა. ეგ-  
რე ინსპექტორს არ დავეუფეთებივარ.  
აღამიანის ფერი არ ეღო. დანა პირს  
არ უხსნიდა. „შირვანში მივდივარ“—მე-  
თქი. არაფერი უთქვამს. კაბინაში ჩაჯ-  
და. ვანჯას იქით პურის საჭმელად გა-  
ვაჩერე. არც გადმოსულა, არც პირში  
ნაწილი ჩაუშვია. ჩუმად მოეკარ თვა-  
ლი: თავი კაბინას მიახალა და იგრე ამო-  
იოხრა, იმისი საცოდაობით ნაწლაგები  
დამებრაჯა... შენ გახსენებდა. უკან გა-  
მობრუნებისას დამიბარა, რო დავბრმა-  
ვებულ-დაეკრებულეყავ...

ლექსოს ნახევარიც არ ჰქონდა ნათ-  
ქვამი, რომ შავლეგო ყველაფერს მიხე-  
და.

— ფრმა მიმანიშნე, როგორ ვიპოვი.

— ძნელი საპოვნია, იქ ვერაფრით  
ვერ გაიგნებ გზას... დილით ისევ მივდი-  
ვარ.

— უჩემოდ არ წახვალ. შინ დაგელო-  
დები. რა დროს მოხვალ?

— ქერის ტომრებს დაეუღებთ და

მორჩა. ოღონდ შაშვიანთ საბა მოდის. კაბინაში ადგილი იოხტურ.

— საბას იქ რა უნდა?

— გამგეობის წევრია... „ინფორმაცია“ ჰქონია: ნაბია ზოგიერთ ცხვარს აღრე აღოლებს და მერე მონაგებ ბატონებს საერთო ჯამში არ უჩვენებსო. გინდა თუ არა, უნდა წაიდეო. თავმჯდომარემ უარი უთხრა, მაგრამ გაცოფდა: „დამნაშავეებს ხელს აფარებთო“, ბევრმა წევრმა მხარი დაუჭირა. მერე ძია ნიკოშაც ხელი ჩაიქნია...

— თუ მე წამოვალ, საბა საჭირო აღარ იქნება. ბერიკაცს მე მოველაპარაკებო.

— ჩემთვის სულ ერთია.

— თბილისზე გავივლით.

— საინგილოზე უფრო მოკლეა.

— თბილისზე გავივლით. შინ დაგვლოდები...

და... გაძარცული დღე. გაძარცული გარემო. გაძარცული... სული...

იმითი გულდამშვიდება, რომ ყველაფერი განვითარებადის, ყოველგვარი აღმავალის გზა ზიგზაგურია, აბსურდი იყო. ხოლო ის, რაც მოხდა, გაუთვალისწინებელი, გვეგმაზომიერებას მოკლებული და საერთო გეზიდან ამოვარდნილი. ზოგჯერ მტკიცუნულად გრძნობდა: იმ ღამის ამბავი მისი ცხოვრების ბორბალში ზედმეტ სილად შეიჭრა და ძლიერ მჭიდროდა... აღამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე უშვებს შეცდომებს, მერე თავს იტყუებს, რომ შეცდომებზე იზრდება. განგებას რომ მისთვის ამ ქვეყნად ყოფნის ცოტა უფრო მეტი დრო მიეცა, მიხვდებოდა, აღამიანივით იზრდება თავად შეცდომები. შეცდომების ზრდასთან ერთად იზრდება აღამიანიც. ხოლო სანამ იზრდება, მანამდე სტოდაეს კიდევ. ისევე, როგორც წონა და მოცულობა, ცოდვაც ამგვარად ნაწილდება ყველას კისერზე. არავინ არის დაზღვეული და მხოლოდ დოზები სწყვეტენ ყველაფერს... გაახსენდა პირველი შეხვედრა და ისიც, ხანჯლიან ქისტს რომ გადაარჩინა.

მერე როგორ მიდიოდნენ ყელამდე სიტკბოებით სავსე მოკლე დღეებში... და გრძელი ღამეები...

მერე...

მერე დამცირება, საზოგადოებრივი დამცირება.

ამდენი ხნის ნალოლიავეები იმელების გაცრუება.

ძვირად ნაპოვნი, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ძლივს მოსული ბედნიერების უცებ დაკარგვა.

ღამაზე პერსპექტივაში დანახული მომავლის დანგრევა.

რა საშინელი დაცინვა იყო სიმრუშის ლორწითა და სიბილწით შეგინებული საკუთარი საწოლის ხილვა. იმ უწმინდესი საწოლისა, რომელიც მხოლოდ ცოლ-ქმრულ სარეცელად უნდა ქცეულიყო... რა გასამტყუნარია, თუ იმ დილის ამაზრუნეი სინამდვილით ზარდაცემული სოფელს გაერია?

სამუდამო დაკარგვაზე ფიქრაც არ უნდოდა. გული საამისოდ არას ამცნობდა გულისა ყოველთვის სჯეროდა. შიში სიცოცხლეში ერთხელ განიცადა. ომში, პირველად რომ მოხვდა ხელჩართულ ბრძოლაში. ბრძოლა სასტიკი იყო და კარგა ზანს გაგრძელდა. როდესაც ყველა გერმანელი დაეცა, მხოლოდ მაშინ შეხედეს ერთმანეთს გამარჯვებულებმა. შეხედეს ერთმანეთს და შეძრწუნდნენ: არააღამიანურად დაღრეჯილი სახეები, ნადირივით დაკრეპილი კბილები, ბოროტი გამოხედვა, დაკრუნხულ თითებში ჩაბლუჭული თოფები და სისხლში გავლებული ზიშტები ახალ მსხვერპლს ემებდა. შედრკნენ, გაშეშდნენ და მერე გამყინავი შიშით დაიხიეს ერთმანეთისგან. ეს იყო და ეს. მას შემდეგ შიში აღარ უგრძენია. ყოველთვის სჯეროდა თავისი ძალისა, იმედი კი არასოდეს არა სტოვებდა.

არ დაუცინია ვინმეს უმწეობისათვის და არც როდისმე განუხრახავს ვინმეს შეურაცხყოფა.

მშვენიერებას თავყანსა სცემდა, მაგრამ არ იყო დედათა სქესის უგუნური მოტრფიალე.

მაგრამ რაც მოხდა, მაინც ცოდვა იყო. ცოდვა, რომლის გამოც სინდისის ქეჩენას არც თუ მაინცა და მაინც დიდად განიცდიან.

რა უბიძგებს ამ დროს ადამიანს? ნუთუ ნასესხები გრძნობებით ვადიან ფონს?

ადამიანის სიცოცხლის დანიშნულება თავისი არსის სამშეოზე გამოტანაა. მისი სულიერი სიმდიდრისა და გონებრივი ძალების დაუნანებელი ხარჯვა მოყვასის საკეთილდღეოდ. კერძო მფლანგველობა დაუშვებელია, დაუშვებელია, რადგან „მემ“ უკვე საკმაოდ გაიტეხა სახელი ჩვენს საზოგადოებაში. მხოლოდ ფარისევლები ახერხებენ ყოველგვარი შემთხვევის დროს განუსჯელად იქადაგონ მაღალი მორალი და ამით დაფარონ თავიანთი სულიერი სიღატაკე. ისინი იმ მსახიობებს გვანან, რომელნიც კულისებში ცხოვრობენ ნამდვილი ცხოვრებით, აუდიტორიას კი მის პირუკუ ანარეკლს უჩვენებენ და რაოდენი ცინიზმია ყველაფერ ამაში..

უცებ მიხვდა: რასაც ნამდვილად განიცდიდა, საკუთარ თავსაც არ უშხელდა. გრძნობდა: რაც მოხდა, გულის სიღრმეში არ ნანობდა. მხოლოდ აწუხებდა, რომ ამან სხვა გრძნობა, სხვა უფრო დიდი და მაღალი გრძნობა შებღალა.

გუშინ რუსუდანის სახლში შეიარა და იქ კვლავ მარტო ფლორა დაუხვდა. ქალი თითქოს გამხდარიყო, გაფერმკრთალებულიყო. დახვეწილ ნაკვთებიან სახეზე მწუხარებას თავისი დამლა დაესვა. შეკრთა უეცრად კარის ვალებზე. დამფრთხალი მზერა შემოსულს მიაპყრო და ტახტზე მუხლებით წამოჯდა. კარებში შეჩერებულ ბიჭს თავისი დიდი, ნიამორის თვალებით უცქეროდა და უნდოდა მის მზერაში ბედი და უბედობა ამოეკითხა. იქ მისი ნახვის სიხარულიც იყო, შიშიც და ნდობაც. ვალეძებული სიყვარულის სევდა, მისი უცარი დაკარგვით გამოწვეული განწირულება, ათასი კითხვა, მორჩილება და სიმძიმედილი შეიცნობოდა იქ მთელი მისი

მიამიტი სული გამოსჭვივოდა. მისი სხეული თითქოს თრთოდა იმ დიდ ხელებს ნონატრებულში.

არაფერი უკითხავს, უთქმელად მიხვდა ყველაფერს. ნელა გამობრუნდა უკან და კარიც ნელა გამოიხურა.

როდესაც კიბეზე ჩამოდიოდა, მთელი ტანით იგრძნო, მარტოდ მთენილო როგორ ეძახდა უხმოდ თავისთან.

ქალი უბედური იყო, ძლიერ უბედური და სასიამოვნო მოგონებად დარჩენოდა თამაშ-თამაშით უნებურად ჩადენილი ცოდვა. მისთვის ყველაფერი ის, რაც მოხდა, ბიწიერების მიღმა იღვა და კანონიერების ხარისხში იყო აყვანილი სიყვარულის სახელით.

და, როდესაც საკუთარ სულში ღრმად ჩაიხედა, ვერაფერი იპოვა სიძულვილის მსგავსი ამ ქალისადმი. არც მიზეზად თვლიდა და არც მის შედეგად მიიჩნდა ახლანდელი მდგომარეობა. ნუთუ რაღაც არის, რომელიც ზოგჯერ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო სულ სხვაგვარად წარმართავს ცხოვრებაში აღებულ გეზს? რა ბოჭავს ამ დროს ჩვენს ნებისყოფას? მუდამ სჯეროდა: ყოველი კაცი საკუთარ ბედს საკუთარი თავითვე დაატარებს. ახლა კი, ახლა...

— ამ ქალაქს ჰაჭი-ყაბულს ეძახიან... შირვანის შაჰს ხარკი დაადო თამარ მეფემ, მაგრამ შაჰმა გადახდაზე უარი თქვა და მუქარაც კი შემოუთვალა. მაშინ თამარ-მეფე დიდად გაწყრა და ლაშქარს მოუხმო. სასტიკ ბრძოლაში მიუღწეა სატახტო და გაქცეულს უკან დაედევნა. ამ ადგილს წამოეწია. მაშინ შაჰმა დაიხოჭა და შესძახა:

„ჰაჭი ყაბულო!“ — შაჰს ჰაჭი ერქვა.

შველეგომ შოფერი შეათვალღერა. წუხანდელი ურვა სულ გაჰქრობოდა. ლექსოს უღრუბლო სახეზე უდარდელი გული და კმაყოფილი ღიმილი მოჩანდა. მერე მოახლოებულ ქალაქს გახედა.

— მომწვიდა, კაცო, პური არა ვჭამოთ?

— აბა, აქ რას შეგვამო, შევიდეთ ქალაქში.

— დიდი მადლობა, განა კაკაანთ რძალი ვარ ჩაი ვსვა.

— რათა ჩაი, ფითიც ექნებათ.

— ცხერის ხორცს არა ვჭამ.

— რატომ?

— რა ვიცი, არა ვჭამ, ბაღლობიდანვე არ მიყვარდა. აი, აქა ჯობია. ჩემი დაწყველილი თავის ამბავი რომ ვიცოდი, ერთი ქათამი გავაგორე და ყველიც გამოვავალე.

ლექსომ მანქანა გზის პირას გააჩერა და კაბინიდან სანოვავიანი ჩანთა გადმოიტანა.

გზის ორივე მხარეს ორმაგად დარგული აკაციები მიუყვებოდა. ხეები ჩიტის ბუდეებს დაეხუნძლა. არასოდეს არ ენახა შევლევს ერთ ხეზე ამდენი ბუდე.

— აქ კარგი რესტორნები მხოლოდ დიდ ქალაქებშია. სხვა დანარჩენებში ჩაი-ხანებია. შემოვლენ თათრები, დასხდებიან და მერე ცხელ წყალს იმდენს დალევენ, გვეგონება მუცელში სარეცხი აქვთო.

პურობა მალე მოათავეს და ისევ გზას გაუდგნენ.

შორს, მარჯვნივ, ნაცრისფერ ფონზე, ახლა უკვე იისფერი მთები მოჩანდა. გასცდნენ ამასაც და ისევ უკიდევანო ველი დაიწყო.

გზა-გზა შემოხვედრილ სოფლებს შემოხიზნული ხეები ზეაპყრობილ, შიშველ ტოტებს უნიათოდ არხვედნენ გამთოშავ ქარზე.

დროდადრო, საღდაც 'მისაკარგავში და ზოგჯერ გზისპირადაც, ცაში აწვდილი ნავთის კოშკურები გამოჩნდებოდა. საყანე ხნულებში გაჯგამულებს სიცოცხლის ნიშატი და რაღაც ცვლილება შეჭკონდათ ამ გასუდრულ, მოსაწყენ ერთფეროვნებაში.

შველევომ ნაბადი ისევ მჭიდროდ ამოიჭუჭუნა და კვლავ სავარძლის ზურგს მიესვენა.

...ადამიანი ჩანასახშივეა შებოკილი. როგორც კი გასცდება დედის საშოს და ჰიპლარს მიჰკრიათ, იწყებენ ლტოლვა თავისუფლებისაკენ. მაგრამ მზად არის არტახები. ტირის, ყვირის, იბრძვის ამ არტახების გასაგლეჯად, და, რაკი უმოკლეს დროში გაივლის მკაცრი რეგლამენტით შეზღუდულ გზას, გზას, რომლის გავლასაც მისმა უპირველესმა წინაპარმა რამდენიმე ასიათასი წელი მოანდომა, და, როდესაც ტვინის დიდ ჰემისფეროებში გაჩნდება აზროვნების ნასახი, ჩვენ მას კვლავ ვაბამთ ზნეობის ჰიპლარით. მერე საურმეზე გაყვანილი ცხენივით ნელნელა ვუგრძელებთ თოქს. მანამდე ვუგრძელებთ, სანამ საბოსტენ ნაკვეთს, ანდა ხეხილის ნარგავებს მისწვდებოდეს. მერე კი... მიეცი ადამიანს სრული თავისუფლება და ის მაშინვე უგუნურებას ჩაიდენს. ოდითგანვე იცოდა ეს და ამიტომაც თავადვე შექმნა კანონები ნება-სურვილების დასამუხრუჭებლად... ზანდაზან მცირეც საკმარისია, რომ დალუპვის ზღურბლზე აღმოჩნდეს. მოვლენები, რომლებიც ზოგჯერ ზედაპირული გვეჩვენება, ხშირად სიღრმეში ნაღმს დაატარებენ. ერთი გაუთვალისწინებელი ნაბიჯი და... ალბათ ამიტომ, ცოტა რამ ჰყოფნის ადამიანს, თავი ბედნიერად იგრძნოს.. და უბედურადაც... უბედურება კი ის სასინჯი ქვაა, რომელიც ყველაზე მეტად გვეხმარება ჩვენში მიჩქმალული ადამიანის გამოსავლინებლად. ჩვენი გონება ჩვენივე კომპასია და ვაი მას, ვისაც ეს კომპასი სწორედ მისი უკიდურესი საჭიროების ეამს მოეშლება... ფლორა მართალია... შემთხვევებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული...

ფლორა.

ინფუზორიიდან მოკიდებული — გათავებული ლურჯი ვეშაპით, ყველა იბრძვის თავისი ადგილის დასაკავებლად იმ საზოგადოებაში, რომელიც მისთვის შექმნა დედა-ბუნებამ. ჭავახეთის ზეგანზე, თაფარავანთან ტყე იყო ოდესღაც. მერე დიდხანს ებრძოდა ბლონდა-ბალახა და ძალოვანი მუხა ერთმანეთს. დ:

მოხდა წარმოუდგენელი: ბალახმა და-  
 ჯაბნა მუხა და თანდათან გააძევა იგი იმ  
 ტყიდან. ხეების ირგვლივ და მათ ქვეშ  
 ისე მჭიდროდ ზღარათავდა თავის თი-  
 თებს ერთმანეთში, მოწყვეტილი რკო  
 მიწამდე ვერ აღწევდა. ამ ბალახის  
 ყლორტ-ფოთოლზე დაცემული ქარსა  
 და მზეზე იფიტებოდა, სასიცოცხლო ძა-  
 ლა დაცლილი... მაშასადამე: რაც ერ-  
 თისთვის სიბოროტეა, მეორისთვის სა-  
 სიკეთოა. ამ ორი საწყისის ერთობლიო-  
 ბამ შექმნა თავად საზოგადოება. და  
 რაც დროდადრო მასში ხდება, ესეც  
 კანონზომიერია... ყოველ გენიას, ბო-  
 როტს თუ კეთილს, კაცობრიობა ან წინ  
 მიჰყავდა, ან უკან სწევდა თითო ნაბი-  
 ჯით. დაცემის ხანებს კვლავ მოსდევ-  
 და აღორძინება. ყოველი კაცი საზო-  
 ვადოებისთვის რამეს იმ ძალით ქმნიდა,  
 რა დოზითაც შემოქმედმა მისცა შეძ-  
 ლება... მაგრამ, რატომ არ მესმის იმ აღ-  
 ამიანებისა, რომლებიც ცდილობენ  
 ქმნან ის, რის უნარიც დამბადებელს არ  
 მიუძღია. იქნებ არც არის საჭირო დიდ  
 მექანიზმში პატარა, შეუმჩნეველი ხრახ-  
 ნების არსებობის გახსენება? მაგრამ  
 აღამიანის პატივმოყვარეობა ის მაჯ-  
 ლაჯუნაა, რომელიც მრავალთა ჩლუნგ  
 გონებას ათეული წლების მანძილზე  
 დასწოლია და აწამებს... ის კაცი.. ოცი  
 წლის მანძილზე საკანდიდატო დისერ-  
 ტაციაზე მუშაობდა საჯარო სამკითხ-  
 ველოში მოვიდა ერთხელ და სრულიად  
 საიდუმლოდ გამანდო, რომ ვაჟა-ფშავე-  
 ლას „ჩხიკვთა ქორწილში“ კოლექტი-  
 ვიზმის სული აღმოაჩინა საზოგადოებ-  
 რიც საწყისებზე...

ვაჟა-ფშაველა!

ზოგიერთები რა იოლად შეებდავენ  
 ხოლმე გენიოსებს!

შური და პატივმოყვარეობა!

შური და პატივმოყვარეობა!

აი, ალუდა ქეთელაური!

ვერ გამოგია რატომ ჰგონიათ, რომ  
 თქმსა და პიროვნებას შორის კონფ-  
 ლიქტი მტრისთვის მარჯვენის მოჭრა-  
 არმოჭრის ტრადიციის დარღვევაზე  
 იყოს წარმოშობილი? ანდა მისი თემი-

დან მოკვეთა, თითქოს მხოლოდ ქრის-  
 ტიანული მორალის უარყოფიდან მო-  
 დიოდეს? მთელი პოემის კოლიზიაში  
 უდიდეს როლს თამაშობს ადამიანური  
 შური. დღემდე არავის არ მიუტყვევია  
 ამისთვის ყურადღება. დასაბამიდან შუ-  
 რი ბევრ სიმაბლეს აღენიებს აღა-  
 მიანებს. შური იყო პირველი მიზეზი,  
 როდესაც ალუდას სიცრუე და ქალა-  
 ჩუნობა უკეიფინეს ახალ-უზღებმა. მათ  
 იციან, რომ ალუდა დავლათიანია. იცი-  
 ან, რომ ბევრ ქისტს მაპურა მარჯვენა.  
 არც ის დაეიწყინათ, რომ საფიხვნოს  
 თავში ჯდება ხოლმე და სიტყვაც გზიანი  
 მაუდის. ნუთუ იმას ვერა ხვდებიან. მუ-  
 ცაღს რომ გამოაქცეოდა, მისი ძმის  
 ხელს თან ვერ მოიტანდა? ძალიან კარ-  
 ვად იციან და ამიტომ ტყვერებიან ჯავ-  
 რითა. ოდითგანვე იყო: ქონდრის კა-  
 ცები გოლიათს სახემდე თუ ვერ მისწვ-  
 დებოდნენ, ცდილობდნენ მური წვივებ-  
 ზე მაინც წაესვათ. რატომ მართო შუ-  
 ბით თორმეტი ქისტის მაქლაგი მინ-  
 დია არ იზიარებს დანარჩენთა აზრს?  
 იმიტომ, რომ თავადაც დიდი ვაჟკაცი,  
 მეტი თუ არა, ალუდას ტოლი მაინც.  
 მინდია დაუმტკიცა მათ, რომ ალუდამ  
 მართალი თქვა.

ამან უფრო გააღიზიანა მეშურენნი!

ალუდა აშკარად ხედავს, როგორ  
 წყრებიან ხევსურნი, როგორ ტყვერ-  
 ბიან ჯავრითა, მაგრამ მათ არა აქვთ  
 რამე ხელჩასაჭიდი მიზეზი მისთვის შა-  
 რის მოსაღებად. ალუდამ, ამ უდიდესმა  
 პუმაისტმა, რომელმაც „ვეფხვისა და  
 მოყმის“ მთქმელზე ადრე თქვა: „ჩვენ  
 ვიტყვი, მართო ჩვენა ვართ, მართო  
 ჩვენ გვზრდიან დედანიო...“ აი, სწო-  
 რედ ამ ალუდამ, საკმარისია კიდევ უფ-  
 რო დიდი ვაჟკაცობა ჩაიდინოს, თავისი  
 ვაჟკაცი მტრის სულის მოსახსენებლად  
 თავისივე ხელით დაკლას კურატი ხატ-  
 ში, რომ კიდევ უფრო გაცოფდნენ მე-  
 შურენნი. ახლა უკვე აქვთ მიზეზი იმ  
 მუხის მოჭრისა, რომლის ჩრდილშიაც  
 თავად ძლივს დაღოდავენ. და, რამდენა-  
 დაც მათზე დიდია, იმდენად უფრო  
 ადვილად სწირავენ მოსაკვეთად და გან-

სადევნად. აქ ამას ზედ ემატება კიდევ უფრო მდაბალი, სიხარბე, რადგან კონფისკაციამწინი მისი ქონება სათემოდ განაწილდება.

ამ უსამართლო, უმკაცრეს განაჩენს მხოლოდ მისი თანატოლი და ჯუფთი — მინდია არ იზიარებს. და, ნიშნად იმისა, რომ ამჟამად თემის წინაშე თავადაც უძლურია, გულხელს დაიკრებს. ხოლო მოკვეთილისადმი თანაგრძნობას თვალზე მომდგარი ცრემლით გამოხატავს.

ასე რომ, ალუდას თემისაგან მოკვეთის ნამდვილი მიზეზი ქრისტიანული მორალის საბურველშია გახვეული.

და უცებ მიხვდა: მის თავში ახლა ქალისი იყო.

„ნუთუ დამქანცველი ერთფეროვნება, გზა და სიმართლვე შობს ხოლმე ამას?

... ალუდას ამბავი და შური რაღამ გამახსენა? მაგრამ უმიზეზოდ ქვეყანაზე არარა ხდება: ჩვენი ვონება ჩვენს ცნობიერებას ჩვენგანვე შეუმიჩნევლად, ყოველგვარ მდგომარეობაში უბიძგებს იმ მხრით იმუშაოს, რაც ჩვენ გვაწუხებს. და, ზოგჯერ, ჯერ კიდევ ამოუხსნელი მიზეზების გამო, უდიდესი პრობლემები სიზმრებში გადაუწყვეტიათ...

მინც რამ გამახსენა ეს შური? ნუთუ რამე მაქვს ვინმესგან შესასური? ზაქრო? არა! აქ სხვა ამბავია... ძია ნიკო? რაო? ძია ნიკო? ოჰო! აქ კი ღირს დაფიქრება. მე მასთან არაფერი მაქვს გასაყოფი, მაგრამ მინც მწამს ინტუიციისა ტყუილად არ ამოტივტივდებოდა ეს კაცი ცნობიერებაში. აბა, მივყვით და ჩაულრმავდეთ! — ძია ნიკო... ძია ნიკო... ძია ნიკო... აჰ, რევაზი! აი, სად გამოყოფა. მგონი, ახლა ვხვდები ყველაფერს. ფერმიდან დავბრუნდები თუ არა, თეიმურაზს ვინახულებ და ამ პატარა სიბინძურეს ბოლოს მოვუღებ რევაზიც ისევ სანახავი მყავს. აღარავითარი ქარაგმები, პირდაპირ მოეთხოვ ნამდვილი ვაჟკაცის მოვალეობას. რამდენიმე დღეა მივატოვე ჩემი ბიჭებიც. პირველად მოხდა ჩემს ცხოვრებაში, რომ დავიბენი. ნუთუ მართლა და-

ვიბენი? შავლეგ, შავლეგ! ეგენი არ იყოს! კირსა შიგან გამაგრება... ეს რა კირია? ვნახავ რუსუდანი... და... შავლეგებს თავისი კალაპოტი მიეცემა. რუსუდანი, ჩემი კარგი რუსუდანი...“

— შაა-ბაში! მორჩა, ჩვენ ამალამ ბინაში ვეღარ მივალთ.

შავლეგომ ლექსოს მიხვდა და ვერაფერს მიხვდა.

— აბა, ვახედო, როგორ ჩამობნელდა.

შავლეგომ ახლდა შენიშნა, რომ დაღამებულიყო. გზის გარდა აღარაფერი მოჩანდა ირგვლივ. მხოლოდ მარჯვნივ ლივლივებდა წყლის თვალწვედენი ზედაპირი შიგ არეკლილ სინათლეებზე.

— მანდ ტბა არი, ხელოვნური ტბა. მტკარია დაჯუბებული.

— რატომ ვერ მივალთ, კიდევ ძალიან შორია?

— საკმაოდ.

— სინათლეები ხომ გივარგა?

— სინათლეები კარგი მაქვს.

— მაშ რა გაფიქრებს? თუ დაიღალე. მე შეგენაცვლები.

ლექსოს ჩაელიმა.

— მაშ რა გაფიქრებს? თუ დაიღალე, მოვხუჭო და საჭესაც არ მოვშორდე.

— არაფერი მესმის.

— აქაურობა ხელის გულივით შიშველი და თვალწვედენი ტრამალია. დღისითაც კი ძნელია ფერმის მიგნება. ღამე გზა აგვერევა და, ვინ იცის, სად გაგვითავდება ბენზინი, ან საბურავი სად გვიღალატებს. ამ ზამთარში, მგლები ხომ არა ვართ, გარეთ ვათითო?

შავლეგო დიდხანს იჯდა ჩუმად.

— სალიანში ხომ აქვთ სასტუმრო?

— დიდი ვერაფერი შვილია.

— ღამეს ხომ გაგვათევიენებენ?

— გაუხარდებით კიდევც.

— მაშ რა განადგულებს?

— არაფერი, მოშშვიდა და მინდა ამალამ ზუთხი ვჭამო.

— ამალამ ზუთხს სად იშოვი?

— ეგ ბიჭმა იცის.

როდესაც ქალაქს კარგა მანძილით გასცდნენ, შავლეგომ მაშინ იკითხა:

— ეს რა ქალაქი გავიარეთ?

— სალიანი იყო.

— შენ რა, გადაწყვეტე ღამე ტრამალში გაათხო?

— ტრამალში რათა? ცოტა ხანიც და ყარა-იულდუზში შევალთ. სოფელია. კამეჩების მეურნეობა აქვთ. იმისი დირექტორი ჩემი და მაქსიმეს კარგი ყონალია. გაუხარდება. დაუდი ჰქვია, მაგრამ ჩვენ დავითას ვეძახით. სუფთა ლოგინებში მაინც დავიძინებთ. თანაც ზუთხი უნდა გაქვამო. შენი არ ვიცი და, მე ძალიან მოშვივდა. დილით — ახალმოწველილი კამეჩის ცხელი რძე, იგეთი მაწონი აქვთ, ხანჯლით თუ გაჭრი. ზედაც ზუთხი და საზანი! ამალამ უნდა ვიქეიფოთ. ის კი... ფერმაში რამდენიმე დღე მაინც დარჩება.

როდესაც ყარა-იულდუზში შევიდნენ, კარგახნის დაღამებული იყო.

ლექსო მართალი გამოდგა. მასპინძელს ნამდვილად გაუხარდა სტუმრების მისვლა. ყონალი დიდი ამბით მოიკითხა და შინ შეუძღვა.

— მანქანისა ნუ გენალვლებათ, ძაღლები მყავს კარგი და ჩემი შიშით აქ ფეხს ვინ მოდგამს.

დასაწოლად გამზადებული დიასახლისი დააფაცურა.

ცოტა ხანიც და მუქი, სურნელოვანი ჩაი უკვე ორთქლავდა თლილ ტანწერწერტა ტიქებში.

— დავით, შენ ხომ იცი, მე და ჩაი ვერა კრიგდებით ერთმანეთში. ცოტა ხანს გამომყე ვარეთ, ძაღლებმა არ მიკბინონ.

როდესაც უკან შემობრუნდნენ, დაუდს აშკარა სიხარულით მოჰქონდა სამლიტრიანი ბოთლით ჰაქის არაყი.

ლექსოს ილიაში ტიკი ეჭირა.

— მწყემსებისაა?

— არა, კაცო, მწყემსებისას ხელს როგორ დავაკარებ?

— მაშ საიდან გამოატყვრინე?

— მალა მედო, ქერის ტომრებთან. უამისოდ დავითასთან როგორ მოვებდავდი?

იმ ღამეს კარგად მოუღზინეს.

დაუდი კარგი მოსაუბრე გამოდგა. ბაქოს ვეტერინარული ინსტიტუტი დაემთავრებინა და განათლებულმა ბიჭი ჩანდა. მალალო, შავგვრემანი, ლამაზი, ტიპური კავკასიელი იყო. პოეზია ჰყვარებოდა. რუსთაველი და ნიჟამი ღმერთზე მალა დასვა, სამედ ვერლუნი და ლეონიძე გაიხსენა, მერე მოდგა, ცალი ყვა ხელისგულზე დაიდო და ბაიათი დააკაენა.

დილით ლექსოს რომ გავლვიდა, შავლეგო უკვე პირდაბანილიც იყო.

— ეგრე ადრე რამ წამოგავლო?

— დროა წასვლისა.

— დაუდს ძალიან მოეწონე. წუხელვე გამომიტყდა: დღეიდან ჩემი ყონალიაო. მინდა პატივი გვცე და სანადიროდ წავეყვანოო. ნუ გეშინიან, ფერმა იქ დაგვდება.

— ადუ, ადუ, ლოგინში ნუ ნებვირობ კაკაანთ რძალივით. ნადირობისთვის არა მცალია.

— მაინც იქით უნდა გავიაროთ. ნაკრძალზე თუ გაგვატარეს, მოკლუნეც გადავალთ.

უკვე გათენებული იყო, მინდორში რომ გავიდნენ.

გზა ნახნავებზე მიდიოდა.

დაუდი მწარედ ოხრავდა და მოქუშული ათვალეირებდა ხნულუმს ორივე მხარეს.

— ერთი წვიმა, მხოლოდ ერთი წვიმა უნდა, და ეს ხრიოკი ჭეჭილის ზღვად იქცევა.

მერე გაჩუმდებოდა და კვლავ ნაღვლიანად ავლებდა თვალს ნაცრისფერ კირნარეც მიწას.

— გვალვაა. ამგვარი გვალვა არ მახსოვს. არც თოვლი მოდის. მხოლოდ მლაშე ქარი უბერავს კასპიიდან და კიდევ უფრო ფიტავს ნიადაგს.

ისევ იყუჩებდა მცირე ხანს.

— ეს სულ ჩვენი მიწებია. ბევრი მიწები გვაქვს. მაგრამ წვიმა არ მოდის. წვიმა რომ მოვიდეს, აქ აღებული მოსავალი ორ-სამ წელიწადს გვეყვოდა.

ლექსო დანაღვლიანდა მერე შავლეგოს მიუბრუნდა.



— ძალიან მინდა წვიმა მოვიდეს. იცო  
რა ბიჭია? აი, ჯივარია! ჩვენ ავეტი-  
ლახდება, შეიძლება გზაზე ჩავრჩეთ  
სადმე, მაგრამ ძალიან მინდა იწვიოს.  
მენანება, ნამდვილი ვაჟკაცია. შარ-  
შანწინ თივა დაგვაკლდა, ცხვარი დაე-  
ცა, შიმშილით მიწას ლოკავდა. ამან  
გამოგვიყვანა გაზაფხულამდე. დოლიც  
ამან გადაგვატანინა. მარტო ქერი ტო-  
ნანახევარი მოგვცა. ძალიან მინდა იწვი-  
ოს.

ახლად აბიბინებული ჯეჯილები და-  
იწყო.

შავლეგომ კაბინის კარზე მინა მთლად  
ჩამოსწია და თავი გარეთ გაყო.

ცაში ურიცხვი ფრინველი ირეოდა  
გუნდ-გუნდად. გარეულმა ბატებმა ყი-  
ყინით გადაუფრინეს და იქვე, მოშორე-  
ბით, ჯეჯილში დაეშენენ. უმალ გადა-  
შვდა იქაურობა. მერე ხაზზე გამოსუ-  
ლი ბიონერებივით გამწვრივდნენ და  
ფრთხილი თვალი მანქანას მოავლეს.

— გავაჩერო?

— გააჩერე. ახლო ვეღარ მივალთ,  
ფრთხილი ფრინველია. აგერ, ხედავთ,  
აქეთ რომ გამობაჯბაჯდნენ, დიდტანია-  
ნები — ყარაულები გამოჰყვეს. ძალიან  
ფრთხილი ფრინველია.

— ნეტა გეყო წამომელო, აქედან მი-  
ვუწვიდე. — შავლეგოს სულში მონადი-  
რემ გაიღვიძა.

— მე თითონაც დამავიწყდა. მოეშვი,  
არაფერია. მალე მივალთ. სამ ნაბიჯზე  
აგაკრეფინებ კაშკალ-დაშებსა და ბატ-  
იხვებს.

შორს ორიოდე ხე და იქვე ჩადგმული  
სახლი გამოჩნდა. მერე ღრმა თხრილი  
და შიგ მიშვებული წყალი. მერე კვლავ  
წყალი და წყალში გადაშხმარი შარშან-  
დელი ლელი. ერთადერთ მისასვლელს  
შლაგბაუმი კეტავდა.

დაუდმა მანქანა გააჩერებინა და ძირს  
ჩამოვიდა.

— თუ დირექტორი მანდ არის, ვთხოვ  
ნაქრძალზე გადაგატაროთ, ფერმაში მო-  
კლეზე გადახვალთ.

მანქანის ხმაზე სახლიდან ორი ახალ-  
გაზრდა გამოვიდა.

დაუდი შუა ეზოში შეხვდა. მერე/ გა-  
ხარებული მობრუნდა.

— შემოდით, დირექტორი ბაქოში  
ყოფილა წასული. ესენი ჩვენი ბიჭები  
არიან.

ახზარუნდა ჯაჭვი და ზედ დაკიდებუ-  
ლი მძიმე კლიტე.

შლაგბაუმი დაამთქნარა.

მანქანა ეზოში შევიდა.

წყალი და ლელი.

წყალი და ლელი.

ერთურთში შერეული და ცალ-ცალკე  
მდგარი. აქა-იქ მოჩანდა მიწის პაწა-  
წკინტელა ნაგლეჯები.

ლიმანები, გაუთავებელი ლიმანები  
გადაშლილიყო ირგვლივ. ერთადერთი  
გზა მიუყვებოდა შუაზე.

ყარაულებმა თავადაც თოფები გა-  
მოიტანეს.

თითქოს მთელი დედამიწის ფრინ-  
ველს აქ მოუყრია თავი გამოსაზამთრებ-  
ლადო. ჰაერი დამძიმებულიყო მათი  
ფრთების შხულით. ასიათასები და მი-  
ლიონები რიალებდნენ ცაში:

რიგი წყალზე ჯდებოდა.

რიგი წყლიდან დგებოდა.

რიგი მეჩჩეჩებზე ლაგდებოდა.

რიგი წყლისპირა ლელიანს არჩევდა  
დასაშვებად.

იდგა ფრთების გაუთავებელი ფართ-  
ხენი.

ყივილი.

ჭყივილი.

ყიყინი.

ყიპყიპი.

სისინი.

და

წყლის ბუღას ყრუ ბლუილი.

როგორც კი ადამიანს დალანდავდნენ,  
ემშაყი რუხი ბატები მაშინვე შორს გას-  
ცურავდნენ.

მხოლოდ თეთრშუბლანი და წითელ-  
ჩიჩახვები ყურყურმალობდნენ ახლოს.  
მაგრამ ისინიც უფრთხოვდნენ თოფის  
სასროლ მანძილს.

ცალ-ცალკე გუნდებად დადიოდნენ

წითელი იხვი, იხვინჯა და ბოლოსადვი-  
სა.

რამდენიმე ერთად და თითო-თითოდ  
სერავდა წყალს გარეული იხვი და ნი-  
ჩაბნისკარტა.

ვარხვი და იგედი გზის პირს არ ეკარე-  
ბოდა.

მხოლოდ აქა-იქ მიუყუყულიყუნენ დი-  
დი არხის გადაღმა ცალ ფეხზე შემდგა-  
რი ლამაზი სულთნის-ქათმები.

ღრუბლისფერი მელოტა და კაშკალ-  
დამები უფრო გულადები, ანდა სულე-  
ლები ჩანდნენ — მონადირეების დანახ-  
ვაზე ლელიანს მიაშურებდნენ, მაგრამ  
მაინც ხდებოდნენ თოფის წერად.

მხოლოდ პატარა, თავხედი ყვინთიე-  
ბი დასრიალებდნენ იქვე, ცხვირწინ-  
როგორც კი მიშვერილ ლულას დაღან-  
დავდნენ, მაშინვე ჩაყვინთავდნენ და  
მერე სადღაც, დასაკარგავში ამოყოფდ-  
ნენ თავს.

— რად გინდა, მაინც არ იქმება, თევ-  
ზის გემო აქვს, — ეუბნებოდა დაუდი  
ლექსოს და თავად თითო გასროლაზე  
თითო და ხან ორ კაშკალ-დაშს კლავ-  
და.

როცა გაიმინდვრეს, სავათების მცი-  
რე გუნდი წამოუფრინდათ ესროლეს  
სამთა და ორი ცალი ჩამოაგდეს.

ავშნით დაფარული მინდორი დაიწ-  
ყო. მხოლოდ ბალახი და კაცის სიმალლე  
ბუჩქა-ხეები ხვდებოდათ. ხის ძირებს  
აქა-იქ ახალი ნაჩიჩქნი ეტყობოდა.

— ეს რა არის, დაუდ?

— გარეული ღორების ნათხარია.

— მივაგნებთ?

— დღისით ვერა, სადმე ლელიანში  
ეყრებიან.

ფეხქვეშ ნიყარები ხრამუნობდა. მთე-  
ლი მინდორი სხვადასხვა ფერისა და  
სხვადასხვა ზომის ნიყარებით იყო მო-  
ფენილი. აქ ზღვას უკან დაეხია და ნია-  
დაგის გასამრავალფეროვნებლად და  
სახსოვრად ეს დაეტოვებინა.

ყარაულებმა ადგილი შეარჩიეს, ჭუ-  
ჯა ხეები დაამტვრიეს და ცეცხლი და-  
ანთეს. მერე ნანადირევი გაბდღუნეს და  
შამფურები დათალეს...

მერე დიღხანს ემშვიდობებოდნენ  
ნასვამნი.

— ამაღამაც თუ დარჩებოდა, ვალო-  
აპ, გარეულ ღორს მოგაკლევინებდი.

— დიდი მადლობა ყველაფრისთვის,  
დაუდ, ვერ დავრჩები.

— მაშ იცოდე, არ დამივიწყო.

— არ დავივიწყებ.

— იქიდანაც გამომარეთ, თევზს გა-  
გატანთ შინ.

— ვეცდები გამოგიარო.

— ეს ბიჭები ამბობენ, თუ ჩვენც გა-  
მოგვივლის, წინასწარ დაეუხოცავთ წა-  
საღებად ბატ-იხვებსო.

— მაგათაც დიდი მადლობა უთხარი,  
შეიძლება ვერ გამოვუარო.

— ჩვენ მუდამ ძმები ვიყავით.

— ვიყავით.

— ერთად ვებრძოდით შაპ-აბასს.

— მართალია.

— ნიკოლოზიც ერთად ჩამოვაგდეთ.

— ეგვეც მართალია.

— მერე ფაშისტებს ვუუქავდით ერ-  
თად.

— რაც მართალია, მართალია.

— ერთ ასეულში ვიყავით მე და გი-  
ვი ჭანტურია. მგელივით ბიჭი იყო. ხან-  
დახან თუ გამიხსენებს ხოლმე.

— შენც უნდა მიაკითხო.

— ველარ მოვახერხე, გადამიყოლა ამ  
კამეჩმა.

— ნახვამდის. კიდევ დიდი მადლობა,  
დაუდ. ჭალისპირშიაც გვეწვიე.

— ჭალისპირში ბევრი ყონალი მყავს.  
მაქსიმეს ჩემგან დიდი მოკითხვა.

— ვეტყვი.

— უთხარი, ნუ დამივიწყა.

— ვეტყვი.

— აზერბაიჯანლები და გურჯები  
სულ ძმები ვიყავით.

— ვიყავით.

— ახლაც ძმები ვართ.

— ახლაც ვართ.

— ალაშმა მშვიდობით გატაროთ.

— ღმერთმა თქვენც გაგიმარჯოთ.

ლექსომ თხრილი გადალახა, აღმართთ  
ათავა და გზაზე გავიდა.

— ეს რა გზაა?

— ნაკრძალისაა  
 — ესეც ნაკრძალისაა?  
 — აქ უამრავი გზაა. დიდი ნაკრძალია. მარტო ხმელეთი ორმოცი ათასი ჰექტარი უჭირავს.  
 — ძალიან დიდი ნაკრძალი ყოფილა.  
 — ძალიან დიდი.  
 — რამდენ ხანს ეყოფათ ეგ ფრინველი მაგ ყარაულებს?  
 — რაო?  
 — რამდენ ხანში გაყლტენ-მეთქი ეგ ყარაულები იმ ფრინველს?  
 — მანდ უამრავი ყარაულია, შენ რომლებზე ამბობ?  
 — საბას იცნობ?  
 — შაშვიანთ საბას?  
 — არა, სულხან-საბას.  
 — რომელია სულხანაანთ საბა?  
 — იმ საბას აქვს ერთი არაკი: ბატონი თავის მარანში ჩაუა და ნახავს, მარნის ყარაულს ქვეყრის პირზე ჭამი უდგას.  
 „ეგ რა ჭამიო?“  
 „ამ ჭამით ყოველ აქ შემოსვლაზე ღვინოს ვსევამო.“  
 ბატონმა იფიქრა:  
 „ჩემი მარანი ამას დაუღუპიაო“. და ამ ყარაულს ყარაულად სხვა კაცი დაუნიშნა.  
 ლექსომ ჩაიხიბოთხითა.  
 — ჰვეიანი კაცი ყოფილა. ამათაც ეგრე უნდათ, არა?  
 — შენ გგონია არაკი დამთავრდა?  
 — მაროგორ?  
 — ის ბატონი ერთხელ კიდევ ჩავიდო მარანში და ნახა: იმ შემარნის ჭამის გვერდით სხვა ჭამი იდგა.  
 იკითხა:  
 „ეს რაღა ჭამიო?“  
 „ეგ, ბატონო, მე რომ ყარაული დამინიშნეთ, იმისიაო“.  
 ლექსომ ისეთი გადაიხარხარა, საკე გაუმრუდდა. ნახნავში შევარდნილმა მანქანამ ხმელ გორახებს ხრამა-ხრუში აუყენა.  
 ლექსომ მანქანა ისევ გზაზე გამოიყვანა და სიცილის კვალი სულ წაირეცხა.  
 — ძალიან მინდა იწვიმოს, შავლევ.

ნახე, როგორ არის მიწა გაფიტვილი და ილუპება საწყალი დავითა, იცი რა ბიჭია?

დაღამდა და ფერმანში მივიდნენ. მანქანის ხმაზე მწყემსები გარეთ გამოშლილიყვნენ.

შავლევო კაბინიდან გადმოვიდა. სათითაოდ მოათვალიერა და მოიკითხა მანქანის ფარებით დაბრმავებული მეცხვარეები.

პატრონებისაგან დატუქსული ძაღლები ყრუ ღრენით წაყვიდნენ და ბოლმინად მიწვედნენ ლელით დაბურულ ფარებთან და კორაკანთან.

ფერმის გამგემ საქმიანად ჩაიხედა ძარაში და მანქანის დაცლა ბრძანა.

შავლევომ ნაბადი ილღიაში ამოიჩარა და ბინაში შევიდა. ბუხარში ცეცხლი ენთო. საკიდელზე ქვაბი ეკიდა. ქვაბში ვახშამი ჩუხჩუხებდა. ბუხარის თავზე შემოდგმული ლამფა მკრთალ სინათლეს ფენდა ფეხებით მიწაში ჩაზრდილ მაგიდასა და სკამლოგინებს.

შავლევომ ლამპას ხელი სტაცა და ფეხის კვრით შეაღო მეთრე ოთახის კარი. მაშინვე წაკის, შრატისა და ცხვრის ტყავის მძაფრი სუნი ეცა ცხვირში. კუნჭულები მოჩხრიკა, დერგებსა და კასრებს უკან შეიხედა, მეცხვარული ხარა-ხურა მიყარ-მოყარა და უკან გამობრუნდა.

გარეთ გამოსულმა ფერმის გამგე მოძებნა და გვერდზე გაიყვანა.

— სად არი რუსულდანი?  
 ნაბიას არც კითხვა გაჰკვირებია, არც ბიჭის ხმაში შეპარული ბზარი. მცირე ხანს დუმდა.

— დღეს წაყვიდა შინ.  
 — დღეს? შინ? მაქსიმე სადღაა?  
 — მაქსიმემ გააცილა აქედან ნეფტეპალამდე კარგა მანძილია. იქიდან მანქანები დადის. საღამოს მატარებელს ჩაუსწრებდნენ. რაღაც ვერ იყო გოგორიგზე. წინათ უფრო მეტ ხანსა რჩებოდა.

შავლევო ჩუმად იდგა. მერე ილღიაში შერჩენილი ნაბადი ნაბიას მიაგლო და მანქანისკენ გასწია.

ტომრებს პირდაპირ გლეჯდა ძარადან. სირბილით შეჰქონდა და ბინაში ჰყრიდა.

მწყემსები გააოცა ბიჭის სიბეჭითემ.

ნაბია მიუახლოვდა და მკლავზე ხელი მოჰკიდა.

— თავს რაზე იკლავ?

შავლეგომ ფრთხილად გააშვებინა.

— სჯობია ეგენიც ააჩქარო, ამაღამვე მივდივარ.

— ყური მიგდე, შეილო...

— არა მცალიან, ძია ნაბი. ამაღამვე წავალ, მოტორი რომ გზაზედაც გასკდეს.

— ამაღამ ვერ წახვალ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ აქ დღისითაც კი ქირს გზის გაგნება. ხომ ნახე, გზა არსად არი. დაცემული, თვალუწყვდენი მინდორია. რამდენი ხანია არ უწყვიმნია, მანქანის ნავალიც კი არ ეტყობა.

— სულერთია, წავალ.

— როგორ წახვალ, ბაღლი დაღლილია. გუშინწინაც აქ იყო. ეს მეორე გზობას აკეთებს დაუსვენებლად. დაეძინება, და ან საღმე გაიხირებით და ან გადაიჩეხებით.

— არაფერია. ეგ ამ ტრამალებს გაივლის გზამდე და მერე იძინოს, რამდენიც უნდა. მანქანას მე წავიყვან.

— რა ძალა ვადგა დიღამდე, შეილო? ის გოგო საღსალამათია და შინ წავიდა. სხვა არა იყოს რა, მანქანა რომ გაგიფუჭდეს საღმე, კოლმეურნეობას ხელი შეეშლება.

შავლეგომ ტომარა ტომრების გროვას მიუმატა და ხელები გაიბღერტა.

— როდის აქეთია, რაც კოლმეურნეობის ქონებაზე ეგრე ზრუნავ, ძია ნაბი?

ბებერი მეცხვარის თვალებმა სიბნელეში გაიღვია. მერე გრძელბეწვიანი ქული წარბებქვევით ჩამოიფხატა, ის ელვა ჩააქრო და ხელში შერჩენილი ნაბადი ბიჭს მძიმედ მიაწოდა.

ზაქრომ როგორც კი გიბღერტა და გვერდზე გადმობრუნდა, სჯამზე ჩამოხვდარი ქეთო დაინახა. ცოტა ხანს უცქირა, მერე, როცა მთლად გამოიფხიზლა, უსაყვედურა:

— ისეე მყარაულობ?

— დიდი ხანი არ არის, რაც მოვედი.

— კარგი სიზმარი ვნახე.

— ვიცი.

— შენ საიდან იცი?

— ვიცი. ძილში ისე ტკბილად იღიმებოდი, ისეთი ალერსით ამბობდი იმ ქალის სახელს...

ზაქრო შეკრთა.

— ვინ ქალის სახელს?

— შენ თვითონ იცი, ვისზედაც ვამბობ.

— არ ვიცი ვისზე ამბობ.

— მე ნუ მიმალავ, ყველაფერი ვიცი.

— რა მაქვს შენთან დასამალი?

— მიმალავ. მაგრამ მე მაინც ყველაფერი ვიცი. ვიცნობ კიდევაც. იმას ვინ არ იცნობს.

ზაქრომ წამოიწია.

— ფრთხილად. ჭერ კიდევ დაგვირდება სიფრთხილე. რას შექამ ამ დილით?

— ჭერ არაფერი მინდა.

— როგორ თუ არ ვინდა? ხომ იცი, რამდენი სისხლი დაკარგე. აღდგენა უნდა. ქათამი და პიტნაში გადაზეული ახალი ყველა მოგიტანე. კისელი და რძე ტუმბოში შევედგი. დაგაბანინო?

— ჭერ დამაცა... ლამაზი სიზმარი იყო. ტყეში ქოხი იღვა. აქვე ღელე ჩაუღიოდა. ბუსნოზე ვიჭეჩი ღელის პირას. ახლოს ზღმარტლი მწიფდა. მარტო ზელის გაწვდენი გინდოდა და ნაყოფი პირში ჩაგადნებოდა... მაგრამ ის მოვიდა და კალთით წითელი ვაშლები მომიტანა. დიდი, ლამაზი ვაშლები იყო. ჩემს გვერდით ჩამოჯდა და მაწვდიდა სათითაოდ. ზღმარტლს ხელი ვუშვი და იმათ წავეტანე. საშინელი გემო ჰქონდა, მაყალოზე მწკლარტე. კბილებს

მპირიდა, მაგრამ მაინც ვკამდი. ვკამდი, რადგან იმისი მოწვედილი შხამიც ჩემთვის თათლი და შაქარი იყო... მერე ვადიხხარხარა, წამოხტა და გაიქცა- წამოვხტი, მინდოდა გამოვდგომოდი, მაგრამ იმ ვაშლს კბილზე მტრად მუხლი მოეჭრა.

— კიდევ იმიტომ არ გესიამოვნა გავლევება.

— ნეტავ დაგეცადებინა, დავიჭერდი თუ ვერა.

— ძაგაზე ბევრს ნუ ფიქრობ.

— შენც ხომ ბევრს ფიქრობ?

— მე ერთი ბეჩაფი, საცოდავი გოგო ვარ, უნდა ვიფიქრო.

— იმაზე ნუ ფიქრობ. ის შენი ღირსი არ არის. ამ დღეებში რაღაც დაღონებული შეჩვენები, ხომ არ დაუჭერიათ?

— არ დაუჭერიათ.

— ღმერთმა ნურც დააჭერინოთ. ავდგები და მე თვითონ ვიპოვი. სად წამივია, მიწას ხომ არ ვეკარდება?

ქეთომ თავი ჩააკიდა და წამოზრდილ მუცელზე თეთრი ხალათი გაისწორა.

ზაქრომ ექთნის ფუნჩულა ხელი აიღო. დიდი, ძვლადქცეული თითებით მოეფერა.

— ახლა უკვე სისხლითაც დაძმანი ვართ. ახლა უკვე ჩემს ძარღვებში შენი სისხლი დის. ახლა აღარც ბეჩაფი ხარ და აღარც საცოდავი. ახლა მე ვიძიებ შენს სისხლსაცა და ჩემსასაც.

შეშინებულმა ქალმა თავი ასწია.

— ზაქრო, შენი ჭირიმე, ზაქრო, ნულარ გამაგონებ სისხლსა და შურისძიებას. ის ისეთი თავზეხელაღებულია, ისეთი საზიზღარი... შენი ჭირიმე, ზაქრო, შენ გენაცვალოს ქეთო, რა დროს მაგაზე ფიქრია?

— კაცმა ვერა მიყო რა, მაგან წამაქცია. ბაკურაძემ ვერა მიყო რა, მაგან წამაქცია... აი, ქოფაი-ოღლი! მაგას შევარჩენ?

— ზაქრო, ექიმმა ხომ თქვა, მღელვარება არ შეიძლებაო? დამშვიდდი, დაწყნარდი. ძილშიაც კი ეგ ვაგონდება. ჯერ არ გამოჯანმრთელებულხარ, რა დროს სამაგიეროს მიზღვია? შენ არა

გინდა რა, შენ ჭკვიანად იყავ. მამაჩემს ვერსად წაუვა. მე არ მამატი, იმას დაინდობს? ხანჯლით გამოშიდგა, მეზობლებმა დამშალეს. ძლივს გამოვერიდე. მაშინ ვაფრთხილება მინდოდა მაგისი, იმის თქმა მინდოდა, მამაჩემს მორიდებოდა რამენიარად. არ ინდობა? ახლა იწვინოს. შენ ჭკვიანად იყავ, ჩემო დიდგულა ძმაო, ჩემო გამხდარო ძმაო... ექვსი წლისა მოგვიკვდა, ბანაობისას დაიხრჩო, ფეხით ჩინჩხილში გაკედილიყო ჩაყვინთვისას. იმასაც ზაქრო ერქვა შენსავით დიდი გამოვიდოდა, შენსავით ღონიერი. შენსავით ალალი.

ქალის ქერა. აბრეშუმისით რბილი თმა სახემდე მისწვდა და ზაქრო მიხვდა, რომ ექთანს ტიროდა.

თვითონაც გული ამოუჯდა და კბილი კბილს დააჭირა.

— კარგი, ნულარ იტირებ, ღმერთმა შენს მტერს მისცეს სატირალი. სახლი დიდი მაქვს, ორივე დავეტყვი. მერე უკეთეს ბიჭს ვაგატან. ეგეთ კარგ დას, ეგეთ ლამაზს ვინ დამიწუნებს? ოღონდ ბავშვს არა აუტეხო რა. ერთი ქართველი არ დაგვაკლო. რა იცი, იქნებ მაგის მამასავითა და ჩემსავით ბედოვლათი არ გამოვიდეს? შეშორდები? სულ მე ვაგაზრდი. შინ ხმის გამცემი მეყოლება. ვასწავლი. შენსავით მეყვარება. ოღონდ გულიდან ამოილე მაგის მოცილება. მპირდები?

ქეთომ თავი ასწია. ცრემლი შეიმშრალა და ბიჭის სინაზეზე ოღნავ გაელდმა.

— განა შენ შეგიძლია ბავშვს მოუარო?

— მოუვლი... არაფერს დავაკლებ მპირდები?

— ოღონდ... შენც თუ სამაგიეროს შეშორდები.

— მითხარი და წინასწარ შესრულებულად ჩათვალე.

— ვალერიანს აბატიე. — ჩუმად, ყოყმანით წაილაპარაკა ქალმა და ავადმყოფს ვედრებით შეხედა.

ზაქროს გამხდარი სახე გადაუვითორდა. ღვაწვებზე ერთმანეთს რამდენიმე-

ჭერ დაუთმეს ადგილი წითელ-ყვითელ-მა ფერებმა. მერე წარბი შეიკრა, იდაყვზე წამოიწია და ბრაზით ჩაიხრიალა:

— სულ ერთია, მოვკლავ!

ქეთოს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გარედან ხმაურმა მოაღწია და მათი პალატისაკენ გადმოინაცვლა. გაუფრთხილებლად, უხიაგად ისმოდა ფეხის ხმა, არეული და მოუზომავი.

წუთიც და, ოთახი გაივსო ვირგლა ბიჭებით. დამარდვულო, ძლიერი კისრები, ოდნავ დაქანებული, ღონიერი მხრები, განიერი მკერდები და ჩადგმული ტანი სიჭანსალეზე, ძალასა და სილადეზე დადებდა უსიტყვოდ.

— აბა, დაიჩოქე, დაიჩოქე, შენი. უყურე ამ მათხოვარს! დაიჩოქე-მეთქი, გეუბნები! — მისწვდა ერთ-ერთი იმას, ვინც გათანგული შემოიყვანეს, მოსწია მხრებში, მოწურა, მერე დააწვა ზედ, მუხლებში მოამტვრია და თავი საწოლამდე დაახრეინა. — ახლა ილოცე... აბა, ზაქრო, როგორ ხარ, როგორ გადაიტანე ეს ზამთარი, როგორ ხასიათზე ხარ ახლა. თბილისში გავიგე პირველად. გადავირიე, გავგვიდი კაცი, შენ გენაცვალოს შენი გუჯუ. რას დაუშვავსებია ეს დევივით ვაჟკაცი ამ ოჩო-კოჩს! ერთი თქვი, ერთი დაამტქნარე, ერთი ხმა ამოიღე და აქვე გამოვჭრი შენს თვალწინ კისერს.

სანამ ავადმყოფი კოცნა-ალერსით არ გაასავათეს, მანამდე არ მოეშენენ. მერე გადგნენ განზე და ცალი ხელით დონიჯი შემოიდგეს.

— აბა, გვითხარი ახლა, რა ვუყოთ ამ გლახას. მილიციაში არ წავიყვანეთ. რად გვინდა მილიცია, გამოამწყვდევენ ორიოდ წელს და მერე გაუშვებენ ისევ საშლიგინოდ. ა კვალი და ა დათვი! კანონიც ვიცით და სამართალიც...

ზაქრომ ახლად შეათვალეირა ზუგდიდელი გუჯუ ალანია, ჩაბინაანელი ზაისურაძე და ჩიკვილაძე, ახმეტელი ქიბროწყემილი და ერთიც უცნობი.

ოდნავ განზე გამდგარიყო მთელი ამ საქმის მოთავე ბაკურაძე და თვალს არ აცილებდა ჩოქზე დაცემულს.

ქეთო შიშით აღევნებდა თვალს ზაქროს სახეზე ფერთა თამაშს. სულიერი და ფიზიკური ტკივილები როგორ უცვლიდა წარამარა გამომეტყველებას.

მოჭიდავემ როგორც იყო დაიოკა თავი, წამოიწია და წამოჯდა.

— ბალიში ჩამიღე ზურგში და ამომიქუქენე.

— ზაქრო, შენი ჭირიმე, ზაქრო, ხომ იცი, რომ ჭერ არ შეიძლება წამოჯდომა.

— რასაც გეუბნები, შენ ის გააკეთე. ამან მე დაწოლილი არ უნდა მნახოს. ეი, ბიჭებო, ვერ გავაცანით, ეს ჩემი დაა.

— ეემ! ცოტა ადრე გვეტყოდი, შე კაცი, ეგ შე ექთანის მეგონა. დიდი ბოდიში, ქალბატონო, გუჯუ ალანია გახლავართ.

— რას გვიმალავდი ბიჭო, თუ ეგეთი კარგი და გყავდა?

— ალბათ გასათხოვრად არ ემეტებოდა.

— ქეთო, მადი, სკამები მოიტანე. ზოგი აქ ჩამოჯექით, ბიჭებო, საწოლზე.

— აჰ, როგორ გეკადრება, ბატონო, სად გვცალია დასაჯდომად, ნუ აწუხებ ტყუილა ამ პატიოსან ადამიანს. ნუ წახვალთ, ქალბატონო, აგერ დადგებით იატაკზე.

ოთახი პატარა იყო, მორიგე ექიმისთვის გამოყოფილი. მაგრამ ზაქროს, როგორც მათ საყვარელ სპორტსმენს, პატივი სცეს და დაუთმეს. უფრო უკეთ, თავისთან დააწვინეს, რათა ყოველთვის თვალწინ ჰყოლოდათ.

— ეგრე. ერთი აქეთ დადგი. ეგრე-დასხედით, ბიჭებო. ეს ის ქალია, ვისი გულისთვისაც ტარიანად შემტენა დანა მუცელში.

— დი-დუ! — მომკალით ვინცლანამ! ეგ რა მითხარი, კაცი? რამ შეგაყვარათ, პატივცემულო, ეს გლახის ქირი, ქვეყანაზე კაცი დელია? რავა ეკადრებოდა, გოლუაფირო, ზაქროს დაიას მაგი?

ქეთომ სახეზე ხელები აიფარა.  
— მოეშვი, გუჯუ, ცოდვია. მაგას ახლა თავისი დარდი ეყოფა.

— კი ბატონო, კი ბატონო, მოშობილი ვარ. აბა, ბიჭებო, თქვენც დასხედით. აგერ მაგიდა, ყველა დაეტევით. ზაქროს დაია ჩემი დაიაა, რაფა დაეაჩავკრიებ ვინმეს.

— აბა, ერთი აახედეთ და მაგისი სიფათი დამანახვეთ.

— ე, ვერრანს! გამოფხიზლდი, ვაიგე რა გითხრეს? სანამ დოკა-ქიზიყელი ცოცხალია, ჩემი ძმაცაცს ძმაცაცს ვერავინ აწყენებს. აიღე ეგ თავია თუ დარღუბლის კიდობანი. — უცნობმა ხუთივე თითი უხეშად ჩაავლო ქოჩორში და თავი ძალად ააწყენია.

— რაფა ყაზანლიყის ვარდივით ჩაუქინდრია, ამ მათხოვარს! ეიწიე, შენზე ცუდი დასანახავები ვართ თუ? ასე, ასე, გამეხედე კარგად თვალეებში, ხვალაც კი ვერ გენახავ. დღეს უნდა მოვათაოთ შენი საქმე და მერე ჩვენ დავკვებით შენს მაგიერ ციხეში.

ვალერიანი ჩადენილი დანაშაულის შეგნებას თუ პასუხისმგებლობის შიშს კიდევ უფრო გაეხმო. თვალი ვერ გაემართა ავადმყოფისთვის. გაუპარსავი და ბოღმით გატენილი, ჭიუტად დუმდა. ამასწინათ მან ფრიალ საიდუმლოდ გაიხმო ქეთო პალატიდან... ხმა ჩავარდნოდა, თვალეებს ქურდივით აცეცებდა, სთხოვდა: ზაქროსთან შემარიგეო. სიკვდილამდე ყმობას ჰპირდებოდა...

ქეთო ისე გამობრუნდა უკან, პასუხი არ უღირსებია.

ზაქროს ნერვიულობამ ძალა წაართვა ხელეებზე დაეჭინა, თავი უკან გადაუვარდა და თვალეები დახუჭა.

— თქვენი ჭირიმე, თუ ჩემი ძმები ხართ, მოაცილეთ აქედან. აღარ შეუძლია, ჯერ ისევ სუსტად არის. გაიყვანეთ აქედან.

— კი გვეყვანთ, დაია, გვეყვანთ, აბა, არაა? როგორც კი სამართალს გაუჩინო, იმ წუთს გვეყვანთ. რას იტყვი, ზაქრო, ჩავებაროთ მილიციას თუ აქვე აუგოთ ანდერძი?

ზაქრომ თვალი გაახილა და მეგობრები მოათვალიერა. მერე დამნაშავეს შეხედა.

— მე ნურაფერს მკითხავთ. მთავარი დამნაშავე ჩემთან კი არა, ამ გოგოსთან არის. რა ეშმაკად მინდა მაგისი ციხეში ჯდომა? არა, გაუშვით. ავადგები და... მე თითონ მოვუვლი. ვასწავლი, როგორ უნდა დანასთან ხუმრობა. ცოცხალ-ცოცხალს ამოვართმევ გულღვიძლს. მე ნურაფერს მკითხავთ, ჩემი საქმისა მე ვიცი. ამას შეეკითხეთ, ვის წინაშეც წაისვა პირზე მურო.

— უპ, მე შენი! აბა თუ ერთხელ იტყვის, მაპატიეო, — მივარდა მისურაძე, ბეჭეტში წიხლი ჩასცა და თავი საწოლზე დაარტყმევინა.

— მოკალ მაგისი! — მაგიდიდან ისკუბა ქიზიყელმა.

ქეთომ თავი ასწია, ხელის ერთი მოსმით მოიწმინდა ცრემლი, წამით შეყოყმანდა, მერე გაბედულად წამოხტა, გაქანდა და ვალერიანს გადაეფარა.

— ნუ მოკლავთ! მე მაპატიეთ. მე დამითმეთ. ზაქრო, ჩემო ძმოს! მე მაპატიეთ! მე დამითმეთ!

ბიჭები შედრკნენ, უკან დაიხიეს. ერთმანეთს ჩუმად გადახედეს და მერე თავგანწირულ ქალს მიაშტერდნენ.

ზაქრომ მათი დაბნეული მზერა დაიჭირა, თვითონაც პირი იბრუნა და ლოგინზე დაეცა.

ყველაზე ადრე ისევ გუჯუ მოვიდა გონს.

— ახლა ყველაფერი გასაგებია. ძალიან კარგი, ბატონო. ყველაფერი გასაგებია.

— დამაცათ... მომხედე ვალერიან, მომხედე-მეთქი, შენ გეუბნები! ეგრე. მე მიცნობ?... მიცნობ-მეთქი? — გეკითხები.

— გიცნობ. — ყელს ხრიალით ძლივს ამოაცილა დაჩოქილმა და კვლავ თვალი აარიდა.

— მართლა მიცნობ? შენ გეკითხები, მართლა მიცნობ?... ხმა ამოიღე ყველა კითხვაზე, თორემ ციხის კედლებიც ვერ გიშველის. განა რამდენ ხანს დამწყვდევენ, როდისმე ხომ გამოხვალ გარეთ?

— გიცნობ-მეთქი, ხომ ვთქვი.

— რომ ცცნობოდი, დანას იგრე მატაყებდი, არ გადაგრჩენილიყავ... ამ ქალს თუ იცნობ?

— ძალიან კარგად.

— გათხოვილია?

— არა.

— გარყვნილია?

— არა.

— როდისმე ვინმესთან გავლილი გინახავს?

— არა.

— ცუდად დალაპარაკებული გინახავს?

— არა.

— ბავშვი შენია თუ არა?

ვალერიანი ერთხანს შეეყოყმანდა.

— ჩემია, — თქვა მერე.

— ცოლი გყავს?

— არა.

— საცოლუ?

— არა.

— გიყვარს სხვა ვინმე?

— არა.

— მაშ რად უთხარი უარი ცოლობაზე?

ვალერიანი იატაკზე ჩაჯდა.

— დადექ მუხლებზე! — შენ, გეტყობა, დომკა-ჭიზიყელს ვერ იცნობ. ჯერ კითხვა არ დამთავრებულა... ეგრე, ვერან! ფარსაგად იყავ!

— მაშ რად უთხარი უარი ცოლობაზე?

უეცრად ვალერიანმა ვეება თავი ასწია და დაიბღაველა:

— კარგი, ზაქრო! რაღას მაწამებ? ან მამკალით და გამათავებთ, ან არადა რაღას მაჩოქებ? მივქარე და ვქამე! არ უნდა მეთქვა უარი. არც შენთვის უნდა გამეცა ხმა... დამავლე ხელი და გამკარი. გავმწარდი და უცბათ ვერა გავიგე რა. მეც არ ვიცი, როგორ მოხდა. მივქარე და ვქამე. მეტი რაღა ვქნა? აი, ამა, რაც გინდა მიყავით, განა ღირსი არა ვარ! თუ გინდა მამკალით, მაგრამ რაღას მაჩოქებ? — ვალერიანს დიდდი ლაშები გადმოუბრუნდა, და პატარა, ვიწროდ ჩადგმული თვალებიდან მსხვილი ცრემლები გადმოსცვივდა.

ზაქროს თვალები დაეხუჭა და ღუმელა-მხოლოდ გაფითრებულ სახე მეტყველებდა განუწყვეტელ სინთეზურ ბრძოლაზე.

ღუმდნენ ბიჭებიც.

მხოლოდ ქალი შეტყუვრებდა მუდართით ყველას და მერე ვედრების თვალი ზაქროს მიაპყრო. ფრთხილად გაიწოდა ხელი, ფრთხილადვე მოუსვა შუბლზე, და მის ყურთან დაიხარა.

— ზაქრო, ჩემო კარგო ძმაო, ჩემო დიდგულა ძმაო, აპატიე. ძალიანა გთხოვ, აპატიე. მე გთხოვ, ქეთო გთხოვ, შენი და გთხოვს, აპატიე.

— კარგი! მეტი აღარ შემიძლიან! ამის მეტი აღარ შემიძლიან... აბა, წამოშვი. ეგრე. ბალიშიც ისევე მოიტა. საბანიც... ვალერიან... მისმენ, ვალერიან?

— გისმენ, ზაქრო.

— იცი, რომ იმ დღიდან ჩემი დაა ეს გოგო?

— ვიცი, ზაქრო, მე ყველაფერი ვიცი.

— დღეიდან შენი ცოლი იქნება. ნამდვილი და კანონიერი.

— იყოს, ზაქრო, უარს არ ვამბობ.

— სიკვდილამდის გეყვარება.

— მეყვარება; ზაქრო.

— არც როდის აწყენინებ.

— არ ვაწყენინებ.

— შენ ჩემი სიძე იქნები.

— ვიქნები.

— მე შენი ცოლის-ძმა.

— ეგრე იყოს, ზაქრო.

— ახლა ააყენეთ და დამეკარგოს აქედან.

— კი ვიცოდი, ასე დამთავრდებოდა ეს. ბოვშისი გული გაქვს, ნამდვილი ბოვშისი.

— ზაქრო, გადმობრუნდი ზაქრო, შენ გენაცვალოს შენი და ქეთო. თუ აპატიე, ბარემ ბოლომდე აპატიე. შეურიგდი, ზაქრო.

მოჭიდავე ერთ ხანს გაყუჩებული იყო. მერე გადმობრუნდა, ვალერიანის კითხვით, მუდართითა და მოლოდინით დაღარაჯებულ, საცოდავად გამოშხირალ თვალებს წააწყდა და ოდნავ გაიღიმა.



## საზრუნალო ნაღირობა

იმ მოედანზე, სად ახსენებენ გმირებს,  
ფხიზლად დაეზვებრავ სართულებიან  
მაღლობს.  
ჩაგისაფრდები ჯოგს ჩამორჩენილ ირემს  
სადმე ტაქსების გაჩერებასთან ახლოს.

სადარბაზო ხერელს ან ალაყაფის მღვიმეს  
შვეფფარები სულგანაბული კაცი.  
ქუსლის კაკუნზე შორით შვეციწობ ირემს  
და მოთმინებით მოახლოვებას გაცლი.

დაგინახავ და ზედ სამიზნეზე დაგსვამ,  
ჩემი ქუბილი შესძრავს ზესკენელს და  
ქვესკენელს!  
მერე ლულაში სწრაფად გამოცვლი ვაზნას  
და საფარიდან ნელა წამოვალ შენსკენ.

ხელში აგიყვან ნანადირევს და ნადავლს,  
დავაცქერდები შენს გაფითრებულ სახეს...  
მერე პროსპექტის აბობოქრებულ ასფალტს  
გადავცურავ და შვეფფარები სახლებს.

## უპანასქნელი ბრძოლა

ზღვა დამშრალია... ჰაერი ბოლავს...  
მიწა ზანზარებს და იღუნება...  
უთანასწორო თავდება ბრძოლა —  
თანდათან უკან იხევს ბუნება!

ხახვამშრალი ხრიალებს ხევი,  
კენესის წიაღი ნაგვემ-ნაცემი  
და ზეზეურად კვდებიან ხენი —  
ბუნების ჩუმი ჯარისკაცები!



გარბის ბუნება, სტოვებს ბრძოლის ველს,  
რომელიც ახლა — ცეცხლის კალოა.  
შთამომავლობა ვეღარ მოისმენს  
იაღონის და შაშვის გალობას.

გაპქრენ უკვალოდ, როგორც მირაჯი:  
შელები, ირმები, ნიამორები  
და უკანასკნელ ვეფხვს, ტაიგაში,  
ყელზე ჰკიდია თითბრის ნომერი!

## ს უ ღ ი

სხეულის ეტლში გამომწყვდეული,  
ვერ გამოდიხარ, საბრალოვ, გარეთ.  
დაქრის ამქვეყნად შენი სხეული,  
შემოგატარა მრავალი მხარე,  
გადაგატარა ბევრი საზღვარი  
და მაინც — ერთხელ ვერ გაიხარე,  
რადგან სხეულში გამომწყვდეული,  
ვერ გამოდიხარ, საბრალოვ, გარეთ...

\* \* \*

დრო — დასასრულის მოლოდინია,  
სივრცე — მანძილი დასასრულამდე...  
იმ ბნელ ფინიშთან ბოლოს კი მივალ,  
მაგრამ რა მალე დადგა შუადღე?!

აგერ საღამოც მიახლოვდება.  
გულს ფიქრი აწევს მძიმე ლოდივით:  
ნუთუ ესაა კაცის ცხოვრება —  
მხოლოდ მანძილი და მოლოდინი?!



## მუხარაღი ამოსული ყვავილი

ა რ მ ა ნ ი

„რატომ? — შევეკითხე თავს. — იქნებ ოჯახში გამომცხვარი თბილი პური რომ შენატრებოდა, უცარი ბედნიერება ამან მომანიჭა? იქნებ ეს ოჯახური პური მაიასთან ერთად რომ გავტრეხე, ეს მივინჩე უსაზღვრო ბედნიერებად? როცა მშვიდობიანობის დროს შინაურ გემრიელ პურს შევემცავით, ეს ჩვეულებრივ ამაბად გვეჩვენება და ამდენად არც აღვიქვამთ ბედნიერებად, აქ კი... ნამდვილად ყველაფერი არაჩვეულებრივია და თბილი პურიც სჭვია არის... თურმე რა ცოტა რამ მყოფნის ადამიანს ბედნიერებისათვის — თბილი პურის ერთი ლუკმა, ჩვენ კი...“

ადამიანი ამ ბედნიერებას თოფით რატომ უნდა ეტებდეს, ან თოფით რატომ უნდა იცადოს? ბუნებამ ხომ ეს ბედნიერება ყველას თანაბრად დაგვიწესა? ვიღაცა რატომ არ სჯერდება თავის წილხვედრ თბილი პურის ერთ ლუკმას? რატომ უნდა ჩემი კეთილდღეობა თვითონ შეგამოს, მე კი სულ მშვიერი დამტოვოს?\*

ამ თითქოსდა მარტივად აღმოჩენილმა კეშმარტებამ, უკუღმართ ადამიანთა გაუმადლობის მიჩვენებულმა კეშმარტებამ უცებ შეშვარა. იმ ადამიანთა მიმართ სიტულები ყველაზე საშინლად ახლა ვიგრძენი. ისინი ხომ თავიანთი გულსევაობით ადამიანთა მთელ ცხოვრებას აუკუღმართებენ! იმ წამში ყველა გერმანელი სეპატრაციო მოხატულ, პირდაღებულ ურჩხულად მომეჩვენა... ურჩხულად, რომელიც ამდენ ბედნიერებას ყლაპავს ხარბად და თვითონ მიიწინებს არ არის ბედნიერი... არც არასოდეს იქნება, რამეთუ, ვინც სჭვას ბედნიერებას არაჰმეცს და უსპობს, ვერასოდეს ვერ გახდება ბედნიერი... ის ცოცხა არ მოასვენებს და წამებით ამოართ-

მეც სულს... ცოცხა-მადლის სასწორო ღმერთს კი არა, დრო-ვამს უკირავს, ის უსწორებს ყველას ანგარიშს...“

— შენ ვაიხარე, დედილო, ეს რა გემრიელი პურის გამოცხობა გცოდნია?

— ათასი ჰირი ჰიტლერს, ზოგი — სჭვასაც! ჩემი გამომცხვარი პური ომამდე უნდა გენახა, შეილო. ეს ისეთი ველარ არის: მარილი რომ გვაყლია, ცრემლს ვურევთ ცოშში.

— ეგ დედის ცრემლია, პურს არ გააუგებურებს. — შენიშნა მაიამ. — დედილო, შენ რატომ არ ჰამ?

— მე ისიც მყოფნის, ჩემ სახლში ადამიანებს რომ ეხედავ. მიხარია, ღმერთმანი, თქვენ მიირთვიეთ, მიირთვიეთ! მე ავაღმყოფს დაეხედავ!

ზედ ჩვენ სახლთან გულმეშვარაჲი კივილი გაისმა:

— პილ ჰიტლერ! გაუმარჯოს სტალინს! სიკვდილი ყველას! ბრბრბრ!

თბილი პურის ლუკმა პირში გამეყინა.

— თავი მოუტევეს ჰიტლერს და სჭვასაც! ეპ, რამდენი ვინმეა გასართობავი! — მეორე ოთახიდან შემობრუნდა ნადია. — ხომ არის ბევრი გასართობავი? — მიინცდამინც მე მომადგა.

— ბევრი, ძალიან ბევრი!

მაიამ ფანჯარაში გაიხედა და შემობრუნდა:

— საცოდავი! თოვლში ფეხშიშველა დარბის?!

მეც ვაეიხედე. თქვენსმეტე წლის გოგო კი არა, ჭაღარამეზგავილილი ქალია, შემოძენძილი კაბა აცვია, ასკინილათი გარბი-გამორბის, თითქოს კლასობანას თამაშობს.

— შინ რომ შემოვიყვანოთ არ შეიძლება, დედილო?

— არ შედის არავისთან. ერთხელ დავიპირე, ძალით მინდოდა შემომეყვანა, კინაღამ თვალები ამომაწრა: ომი რომ არის, შენი ბრალიც არისო, შენ გამაბედნიერეო. ამის ღირსი ვარ? — შენ არა, დედილო, მაგრამ... ეპ, აღამინებო... იქნებ მართლაც ყველა დამინაწვე, ომი რომ არის? — კედელს მივეყუდღე და ჩაეფქრდი.

ნადიამ შემომხედა, უკან დაიხია და ისევ შემომხედა.

— გავიორდები, შეილო, და თანდათან სხვანაირი მიჩვენებო. ამ წუთში იესო-ქრისტეს ჰგავებარ... კი, კი... დედის სული ნუ წამიწყდება ჰგავებარ!

— ზომ ვთქვიო... — ვალიკომ ჩემად, მაგრამ გულმოსულად ჩაილაპარაკა.

— რა იყო, ვალიკო, გეწონა რამე? — არაფერი, კაცო, არაფერი... შენ არაფერი!

— თანჯარასთან მიდგა და სადღაც გაიხედა. მეორე ოთახში შვლიკომ წამოიძახა:

— ცეცხლი ჩააქრეთ, ცეცხლი! წყალი ჩქარა! მიაა და ნადია ავადმყოფისკენ გაიქნენ, შეეგუებო.

თბილი პური გააცვდა.

შეადღე იქნებოდა ვადასული, თივაზე მწოლარე ვალიკო ფეთინავით წამოეარდა.

— მივდივარ. წამოწყვიტე?

— საღ?

— სანადიროდ.

— სოფლის დასახვერადა?

— მარტო დაზეურვა რა ჩემი ფეხებია?! გგონია წუხელ გეტყვინე? საწყობები უნდა ავადფიქო. ხოში მაქვს, რაღაც ისეთი ამბავი დავატრიალო, სხვა რომ ვერ მოახერხებ. სანამ ამ ენის არ მოვიკლავ, რაზმში არ დავბრუნდები.

— შენ ყოველთვის რაღაცის ტინი გპირს. ჯერ არც საწყობები გეგულევა სადმე, არც ასაფეთქებელი მასალა ვაქვს...

— ყველაფერს ვიშოვი. თუ ფხას გამოიჩენ, მტრის ზურგში ბრძოლა უფრო ადვილია, არავინ გელოდება და მოწინააღმდეგეს ახნევ... წამოწყვიტე?

— მე და მიაა ჯერ რაზმში უნდა დავბრუნდეთ.

— ლაჩარი ხარ! — მშვიდი თავდაცვრებით მითხრა ვალიკომ და ზურგი შემოაქცია.

— არ ვიცო. აღამინებო ზოგჯერ ჩვენ თავს კონტროლის ვერ ვუწევთ. ჯერ რაზმში დავბრუნდები და მერე ვნახოთ. ქარისკაცისთვის საგმირო საქმეს რა გამოიღვეს... გმირობას არ ეძებენ...

— იქნებ გემინია, ვალიკომ ცალკე არ გამოტყოს და ანდერძი არ ამიგოსო?

— არა. დედის სულს გეფიცები, ეს მკვი გულში წამითაც არ გამოივლია. შენ არც ისეთი სულელი ხარ, მე ახლა ტყვია მესროლო, რა ხეირს ნახავ! ერთ-ორ კილომეტრზე გამოგვიბი. შენს წინ ვივლი. თუ უკან მოვიხედო, შეუბღწი დამახალ ტყვია.

— ბარემ ბოლომდე გამომევი, თუ ვეცაცობის დამტკიცება გინდა! — რატომღაც თვლები აგზნებულად შემომანათა ვალიკომ.

— მე აფეთქებისა ბევრი არაფერი გამეგება, მესანგრე არა ვარ, არც მხვერავი. ტყვილად მატომ წავიავო თავი? ჩემ ჩადებულ ნაღმზევე აფეთქდე? შენც თუ არ წახვალ, კარგს იზამ... ჯერ რაზმში დავბრუნდეთ.

— აქამდე ვერ გიცნობარ. მე ჩემი სიტყვის პატრონი ვარ, რასაც ვიტყვი, ავასრულებ კიდევ.

— თავნება ბავშვით იტყვი, ერთი რაღაც რომ არ აქსრულეს და მეორეს მიახტა გამწარებელი: ესეც თუ არ ავისრულე, თავს მოვიკლავო. გავიწყდება, რომ ფარაფა გაცეცია და შენი თავი მარტო შენ აღარ გეკუთვნის.

— კეთილი, არ გაძალებ, მარტო წავალ... შენ ქალის კალთას გამოები და ეგ გეყოფა.

კიდევ კარგი, მიაა ავადმყოფს უვლიდა და ჩვენი საუბარი არ ესმოდა.

ვალიკოს სიტყვა მეშწარა, ანზლად მაინც არაფერი მითქვამს, ყველას არ უნდა აპყვე და შენი სიმართლე არ უნდა უმტკიცო, ზოგი მაინც ვერ გაიგებს.

— ვალიკო, დაფიქრდი, ბიჭო! ნუ წახვალ! ვალიკომ ხელი ჩამიქნია. ბარგი აიკიდა, ატრომატი ლაზადა-კარვისქვეშ შემალა, პარაბელუმი ქამარში გაიხარა.

თანჯარის რაფაზე ბინოკლი შევნიშნე. გრჩე-ბამეთქი, შევახსენე.

— რა ჯანდაბად მინდა, თვალი კატასავით მივრის, დასანახავს ისედაც დავინახავ, შენთვის მიჩვენია.

— გმადლობ! — განაწყენებით მივეუბე მე. — აგერ კიდევ თქვს ჩექმები და კაბა, ამას ვილას უტოვებ?

— კაბა დიასახლისის მიეცი, თექურები — ვისაც გინდა. ამ თქვენს მათარას კი წაივლებ, იქნებ ყუმბარადაც გამოამადგეს. წავედი.

— მთას... მთას მაინც არ დავმშვიდობები, ბიჭო?

— ჩემს მაგვირად აყოცე.

— ვერ შეგისრულებ, ზოგ რამეში მეც შენსავით ჭიუტი ვარ ხოლმე, ჯერ თვითონაც არ მიკოცნია, შენი კოცნა როგორ მივეტრანო, შე უნამუსო! — ხელი მოკიდე. — ვალიკო... დაბრუნდი, ვალიკო!

ჩემი ხელი უსიტყველდ მოიშორა და კარისკენ გასწია.

კიბეზე ნადია შემოხედა, წყალი მოჰქონდა.

— მიღობარ, შვილო? ღმერთო, რა დროს წასვლა?! შეზინდებამდე მაინც მოიცადე.

— ტყე-ტყე გაივლი, აჭაურობას დაეთეთვლიერებ, ღამით არაფერია ჩანს.

— ფრთხილად იარე, წუბაკებმა არ დაგინახონ. იმ შაბათს სწორედ ტყის ბილიცზე დაინახეს ერთი და იქვე ჩამოახრჩვეს. ჰიროა ირგვლოვ, დიდი ჰირო!

— ყველას ვერ ჩამოახრჩობენ, დედილო! — ვალიკომ ნადის ხელი მოხვია. — იქ შალის კაბა დაგიტოვე!

— მე სხვისი კაბა რად მინდა, შვილო?

— აბა, გადაადგე, მე სულ არ მჭირდება.

— ჰო, კარგი, იმ საყოფად გოგოს ჩაეცმევე.

— ნახვამდის, დედილო!

ნადიმ პირჭვარი გადააწერა და ტუჩები შეარხია. რაკი თავქვედა ბიჭმა თავისი არ დაიშალა, დავეწვი და წინ გავეშეხი.

სოფელს ტყე მისდევდა, ტყეს — ბილიკი.

ბილიცზე შივანიჭებდი და ავტომატის ლულა ლაბადაკარავდიან ოდნე მჭონდა გამოყოფილი. მზე არ ჩანდა, ფეხქვეშ თოვლი ხრამუნობდა.

დღე გზაზე მოხეტიალე ორიოდე გერმანელი შეენამუნეთ, ეს იყო და ეგ.

სოფელს ისე ვავტოლდით, უკან ერთხელაც არ შევბრუნებულვარ. წინ ვიუბრებოდი და ვალიკოს ფეხის ხმას ვუგდებდი ყურს. ეს ხმა ერთნაირად მომდევდა. პატარა ხეთთან შევიჩერდი.

— ახლა უნდა დაებრუნდე.

— ვერაინ დავიშლის.

— ვალიკო, შენც თუ დაბრუნდები, ვაქაკობა არ წაგერთმევია... კიდევ დაფიქრდი, ბიჭო!

— ვერა, დაგმტკიცებთ, რომ მარტოც შემიძლია რალაიცის გაკეთება. იქნებ ასეც სჯობდეს... როცა შენი თავის მეტი არავინ ვაბარია, ბორკილი არ გადავს.

— არც გმირობის სახელის მოხიარე ვაგვს, არა?

— შეიძლება. ასე თუ ისე, ჩემს ამბავს ვაიგებთ. ვალიკო იაშვილი ისე არ წახდებია...

— ვალიკო!.. ჩემკენ შემოვებრუნე და მუდართით მივაჩერდი.

— ბოლოში, თუ რამე გაწყენინეთ! — უცებ ჩემქმის ყელდან სალამური ამოიღო და გამომიწოდა. — გამომართვი! შენ ჩემზე უკეთ უკარავ... — თავისი ხელით ჩამიღო ჩემქმის ყელში. — ნახვამდის!

— ნახვამდის! — ხელი მაგრად ჩამოვართვი და გადავეხვიე. — ფრთხილად იარე, ბიჭო!

22 ივლისს ზემოხსენებულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მანიფესტი, სადაც ჩამოყალიბებული იყო მომავალი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა და განვითარების პრინციპები. ეს პრინციპები ემთხვეოდა კრიაოვა რადა ნაროდოვას პროგრამას. მანიფესტში ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა პოლონეთის განთავისუფლებისათვის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გამარჯვებას.

მანიფესტი მოეწოდებდა პოლონელ ხალხს ხელი შეეწყო და მხარი დაეჭირა საბჭოთა არმიის მოქმედებისათვის, ამასთანავე, თვითონაც მიეღო აქტიური მონაწილეობა ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ებრძოლა დასავლეთში პოლონეთის ისტორიული მიწების დაბრუნებისათვის. რაც შეეხება პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრებს, აქ საკითხი შემდეგი პრინციპით უნდა გადაწყვეტილიყო: პოლონეთი ბიწები — პოლონეთს, უკრაინის მიწები —

უკრაინას, ბელორუსიის მიწები — ბელორუსიას, ლიტვის მიწები — ლიტვას.

მმართველობის სახე — სახალხო დემოკრატია, რომლის დამყარებასაც გულისხმობდა 22 ივლისის მანიფესტი, პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი ფორმა იყო.

ივლისის მანიფესტით პოლონელი ხალხის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, ქვეყნის ერთგული ეკონომიკისა და კულტურის სოციალისტური გარდაქმნების ეპოქა.

ამ ისტორიული დოკუმენტის — მანიფესტის გამოქვეყნების დღე — 22 ივლისი ითვლება პოლონეთის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს დაბადების დღედ. ამ თარიღს ყოველწლიურად აღნიშნავს პოლონელი ხალხი, როგორც პოლონეთის აღორძინების დღეს.

პოლონელმა ხალხმა ამ 25 წლის განმავლობაში უდიდესი წარმატებები მოიპოვა ცხოვრების ყველა დარგში. სრულიად შეიცვალა ქვეყნის სახე. პოლონეთი ერთ-ერთი, ყოველმხრივ განვითარებული სახალხო მეურნეობის და ინდუსტრიული ქვეყანა გახდა ევროპაში. თუ კაპიტალისტურ პოლონეთში მრეწველობის მხოლოდ ცალკეული ცენტრები იყო (ლოდზია, ლოძი, ვარშავა და სხვ.), დღევანდელ პოლონეთში მასობრივად გვხვდება მრეწველობის მსხვილი ცენტრები.

პოლონეთის ახალი სწრაფი განვითარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სოციალისტური წყობილების არსებობის ვითარებაში. საქმე ის იყო, რომ კაპიტალისტურ პოლონეთში ეკონომიური განვითარების დონე მეტად დაბალი გახლდათ. იმაშინდელი პოლონეთის ეკონომიკაზე ამჟამად სჭარბობდა სოფლის მეურნეობა, სადაც დაკავებული იყო აქტიური მოსახლეობის

70 პროცენტი, მრეწველობიდან განვითარებულ იყო ქვანახშირის მოპოვება, საფეიქრო, ხის-დამუშავებული და, ნაწილობრივ, კვების მრეწველობა. განსაკუთრებით სუსტად იყო განვითარებული მანქანათმშენებლობის მრეწველობა, კაბიტალისტური პოლონეთისათვის დამახასიათებელი იყო უმუშევრობა. უმუშევრთა რიცხვი ყოველთვის, საშუალოდ, ასეულ ათასობით დაითვლებოდა.

ამას დაემატა ომის პერიოდი — პიტლერელთა თითქმის ექვსწლიანი ოკუპაცია, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოლონეთში, სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მეტი, მატერიალური ღირებულების ვაგონები ძალა დაკარგა: ექვსი მილიონი კაცი მოკლულის სახით, ე. ი. ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 20 პროცენტი, 600 ათასმა კაცმა დაკარგა შრომის უნარიანობა. განსაკუთრებით დიდი იყო დანაკარგი მრეწველობაში და ტრანსპორტზე. დიდი რაოდენობით შეშინდა სპეციალისტთა რიცხვი. მაგალითად, თუ ომამდელ პოლონეთში 13 ათასი ინჟინერი იყო, 1945 წელს მათი რიცხვი მხოლოდ 7 ათასს შეადგენდა.

ყოველივე ამის შედეგად პოლონეთი მეტად დასუსტებული იყო ომის შემდეგ, მაგრამ ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული აღორძინებისა და განვითარებისათვის ვადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა 1945 წელს პოლონეთში სახალხო ხელისუფლების გამარჯვებას, რასაც მოჰყვა წარმოების ძირითად საშუალებათა ნაციონალიზაცია — პოლონეთი დადგა იბრებული გარდაქმნების გზას.

პოლონეთის სახალხო ხელისუფლებამ უპირველესად, ზელო მოჰკიდა ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარებას და შეიმუშავა სახალხო მეურნეობის აღდგენის სამწლიანი გეგმა (1947-1949 წლებისათვის). გეგმა ვადამდე შესრულდა. მსხვილი და საშუალო მრეწველობის სავრთო პროდუქციამ 1949 წელს 77 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს.

ასევე წარმატებით შესრულდა მომდევნო — სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის ექვსწლიანი (1950-1955) და ხუთწლიანი გეგმები (1955-1960).

მზრავდნენ, ომისშემდგომ პერიოდში პოლონეთში ხალხმა აღადგინა თავისი დანგრეული სახალხო მეურნეობა, და უდიდესი წარმატებები მიაღწია სოციალიზმის მშენებლობის გზაზე.

ეკონომიური განვითარება ისე სწრაფად წაივდა ომისშემდგომ პოლონეთში, რომ განვლილი 25 წლის განმავლობაში კაბიტალდამაბრუნებამ შეადგინა დაახლოებით 2.000 მილიარდი (ორი ბილიონი) ზლოტი. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს უზარმაზარი თანხა, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს. პოლონეთში აგებული ე. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი,

რომელიც ყოველწლიურად 5 მილიონ ტონა ფოლადს იძლევა, დაახლოებით 30 მილიარდი ზლოტი დაჟდა; მსხვილი ენერგეტიკული კომბინატი ტურნოვოში — 15 მილიარდ ზლოტი (ერთ მილიარდ ზლოტად შეიძლება აგებულ იქნას ქალაქი 25 ათასი საცხოვრებელი ოთახით).

სახალხო პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული განვითარებისათვის ასევე ვადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ამ განვითარების გზათა მიმართულების სწორ არჩევას. სახალხო პოლონეთში, როგორც ენობილია, აირჩია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზა. საგულსხმოა ის ფაქტი, რომ განვლილი 25 წლის განმავლობაში ყველა ასიგნებათა 40% ანუ 800 მილიარდი ზლოტი მიეცა მრეწველობაში კაბიტალდამაბრუნებას. სახალხო მეურნეობის წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფის მიზნით მთავარი ყურადღება ექცეოდა ლითონამომშენებელი და მანქანათმშენებლობის მრეწველობის განვითარებას.

სახალხო პოლონეთში სრულად ახალი ენობა შეიქმნა. დაიწყო ეროვნული აღორძინება ქვეყანაში გაქრა უმუშევრობა, მოძველესადმი უიმედობა. ყველას გაეხსნა გზა, ვისაც სწავლა და მუშაობა სურდა. ყოველივე ამას კოლმასაღური შედეგები მოჰყვა. დღეს პოლონეთში 150 ათასი ინჟინერი მუშაობს.

სახალხო პოლონეთში განხორციელდა ღონისძიებები ქვანახშირის ამოღების შექანიზაციის დარგში, რეკონსტრუირებული იქნა ძველი შახტები, გრძელდება ახალი შახტების მშენებლობა. ომის შემდეგ პოლონეთში ეკრძოდა, რიზნიკის რაიონში აღმოაჩინეს ქვანახშირის ახალი საბადოები, რამაც პოლონეთის ქვანახშირის მარაგი 85 მილიარდ ტონამდე გაზარდა. ამგვარად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა ისეთი ქვეყანაა, რომელსაც მსოფლიოში ქვანახშირის ყველაზე მეტი მარაგი მოეპოვება.

დიდი ყურადღება ექცევა მურა ნახშირის ამოღებას. ომამდელ პოლონეთში მურა ნახშირით თითქმის არ ამოჰქონდათ, 1962 წელს კი ამოღებულ იქნა 11,1 მილიონი ტონა. ტურნოვოვსა და კონინის რაიონში აგებულ ელექტროსადგურებში, რომლებიც მურა ნახშირით მუშაობენ, თავიანთი ძლიერებით მესამე ადგილი ეუიარავეს მსოფლიოში.

ამ ათიოდე წლის წინათ პოლონეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში (ლიუბაჰევის რაიონი) აღმოჩენილ იქნა ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი მარაგი. მისი ამოღება თანდათანობით იზრდება. 1962 წელს მან 821 მილ. კუბ.მეტრი შეადგინა. ბუნებრივი გაზს იყენებენ ქიმიურ მრეწველობაში. ბუნებრივი გაზი, აგრეთვე, მურა ნახშირი, ნავთობი და ჰიდროენერჯია, როგორც საბოთბი, შესვლას ქვანახშირს, ვინაიდან ამ

უქანასწენელს უმთავრესად იყენებენ შიმე მრეწველობაში და ექსპორტისათვის.

პოლონეთის არა აქვს ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგი, იგი მას ძირითადად უცხოეთიდან შემოაქვს.

1959 წლის მარტში პოლონეთის გავრთიანებული მეშათა პარტიის ყრილობამ დასაბა ახალი ღონისძიებები პოლონეთის სოციალისტური ვხით განვითარების საქმეში, ყრილობამ მიიღო მრეწველობის განვითარების ახალი პროგრამა. პარტიის ყრილობის მიერ დასახული ამოცანები წარმატებით შესრულდა პოლონელმა ხალხმა, რის შედეგადაც პოლონეთი კიდევ უფრო გაძლიერდა ეკონომიურად. ევროპის ქვეყნებთან შედარებით პოლონეთს ამჟამად უველაზე ახალგაზრდა სამრეწველო საწარმოები აქვს. ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის თითქმის ნახევარს ის საწარმოები იძლევიან, რომლებიც აგებულია, გაფართოებულია ან რეკონსტრუირებულია 1950 წლის შემდეგ.

პოლონეთის შინაგანი აღორძინებისა და ეკონომიური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გარეგან ფაქტორებსაც. სახალხო პოლონეთი გარემომოტრეპულია მჭერი სოციალისტური ქვეყნებით. ამ ქვეყნებთან, ევროპულ, საბჭოთა კავშირთან შეგობრულმა თანამშრომლობამ უდიდესი როლი შეასრულა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარებაში.

მართალია, ომისშემდგომი პოლონეთი თავის ეკონომიური განვითარებაში ძირითადად საკუთარ ეკონომიურ რესურსებს ეყრდნობა, მაგრამ მანქანებისა და ტექნიკური მოწყობილობას კონკრეტულ საშუალებათა, ტექნოლოგიისა და საწარმოო გამოცდილებათა დარგში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტურ ქვეყნებთან უწყაარო თანამშრომლობას.

შავალთაღ, მარტო საბჭოთა კავშირის დახმარებით ომისშემდგომ პოლონეთში აგებულ იქნა ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი, ქიმიური კომბინატი ოსვენციმში, ატომქარხნები ვარშავაში და ლუბლინში, ალუმინის ქარხანა სკაიენში და ბევრი სხვა. სამაგროდ, საბჭოთა კავშირს პოლონეთიდან შემოჰქონდა ქვანახშირი, მეტალურგიული ნაწარმი, მანქანები, მოწყობილობა და სხვ.

საერთოდ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს შექმნას, ეს გავრთიანება იძლევა როგორც საქონლის გატანის, ისე შემოტანის საშუალებას.

1968 წელს სახალხო პოლონეთში მრეწველობის საერთო პროდუქციამ 12-ჯერ მეტი შეადგინა 1938 წელთან შედარებით და 18-ჯერ მეტი — 1946 წელთან შედარებით.

1960-1968 წლებში პოლონეთის მრეწველობაში პროდუქციის გამოშვება თითქმის 11%-ით იზრდებოდა. მრეწველობის განვითარების უფ-

რო სწრაფი ტემპი მხოლოდ ბელგარტში, რუმინეთსა და იაპონიაში იყო.

ტერიტორიის მიხედვით პოლონეთის მსოფლიოში 61-ე ადგილი უჭირავს, ე. ი. მას მსოფლიო ტერიტორიის მხოლოდ 0,2% უკავია, მოსახლეობის მიხედვით კი — მსოფლიოში მე-19 ადგილი, ე. ი. მსოფლიო მოსახლეობის 0,9%, მაშინ, როდესაც სამრეწველო პროდუქციის გამოშვებაში პოლონეთს მე-10 ან მე-11 ადგილი უჭირავს და მასზე მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 2,2,5% მოდის.

პოლონეთის მრეწველობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის განვითარებას. 1964 წელს მანქანათმშენებლობის მრეწველობაში, რომელიც იძლევა ქვეყნის მთელი მრეწველობის პროდუქციის 23%-ს, მუშაობდა 875 ათასი კაცი. თუ საერთოდ მთელი სამრეწველო პროდუქცია, ომამდელ პერიოდთან შედარებით, დღევანდელ პოლონეთში 13-ჯერ გაიზარდა, მანქანათმშენებლობის პროდუქცია 36-40-ჯერ გაიზარდა. მანქანათმშენებლობის პროდუქცია მარტო პოლონეთის სახალხო შეერნობას კი არ ამარაგებს, არამედ უცხოეთშიც გადის. პოლონეთთან გააქვს, მაგალითად, ვაგონები, ოთქმელები, ლოკომოტივები, ელმაქინები და სხვ.

უქანასწენელ პერიოდში სწრაფი ტემპით განვითარდა ქიმიური მრეწველობის ობიექტების აგება, რაც აუცილებელია ვადამუშავებელ მრეწველობის განვითარებისათვის. ამისთან დაკავშირებით იზრდება ძირითადი ქიმიური პროდუქტების — სოდის, გოგირდმყავას, ქლორის, კარბიტის, აზოტის ნაერთთა, ფენოლის და სხვ. წარმოება.

აღდგენილ იქნა და თანამედროვე ძლიერ ქიმიურ კომბინატებად იქცა ქარხნები ოსვენციმში, კენჭევიში, რაიკეში და გოუევიში. ვარა ამისა, აგებულია ახალი საწარმოები: ვიხოში — გოგირდმყავას ქარხანა, იანკოევი — სოდის ქარხანა, ელენია გურაში — ხელოვნური ბოქსოს კომბინატი, ტერბომინში — ფარმაცევტული ქარხანა და სხვ.

პოლონეთში, რომელსაც ქიმიური მრეწველობის ძველი ტრადიციები აქვს, განსაკუთრებით განვითარებულია არაორგანული და ოქსქიმიური წარმოება. მაგალითად, გოგირდმყავას წარმოებამ 1938 წელს 189 ათასი ტ. შეადგინა, ხოლო 1962 წელს — 852 ათასი ტ., ანუ გოგირდმყავას მსოფლიო წარმოების 1,5%. ამ დარგში პოლონეთმა მსოფლიოში მე-14 ადგილი დაიკავა.

სახალხო პოლონეთმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა დახელოვნებლობის, ელექტროტექნიკის, სამრეწველო ავტომატიკის, ელექტრო ტექნიკური მრეწველობის განვითარების დარგში.

გვთმშენებლობის მრეწველობა ახალი დარგია პოლონეთში, 1948 წელს დაიწყო პირველი



შორსმავალი გემის მშენებლობა. ტვირთსაზიდი გემების მშენებლობაში ამჟამად პოლონეთს მსოფლიოში მე-10 ადგილი უჭირავს, ხოლო თევზსაჭერი გემების მშენებლობაში — პირველი ადგილი. მნიშვნელოვნად განვითარდა საზღვაო გემების მშენებლობა გდანსკში, ვლინიაში, შჩეცინში. აქ საზღვაო სავაჭრო გემებს უმთავრესად ექსპორტისათვის უშვებენ.

ომის შემდგომ განვითარდა საავტომობილო მშენებლობა. ამ დარგში მას დიდი დახმარება აღმოუჩინა საბჭოთა კავშირმა. პირველად გამოვიდა „მე-20 ვარშავა“ — ცნობილი საბჭოთა „ობიედის“ ტიპის მსუბუქი მანქანა. ამჟამად კი პოლონეთი უშვებს თანამედროვე მსუბუქ მანქანას „ფიატ 125“-ს, რომელიც გამოდის ცნობილი იტალიელი ფირმის „ფიატის“ საფაბრიკოში. მალე პოლონეთი წელიწადში 80 ათას მანქანას გამოუშვებს.

სახალხო პოლონეთში ვითარდება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების წარმოება, ტრაქტორების გამოშვება. ამჟამად პოლონეთის სოფლის მეურნეობას 200 ათასზე მეტი ტრაქტორი აქვს. პოლონეთს უცხოეთში გააქვს ტრაქტორები.

ვითარდება საავიაციო მრეწველობა. პირველი საავიაციო ქარხნები აქ 1922-1927 წლებში შეიქმნა. ეს იყო კერძო საწარმოები, შექმნილი იტალიისა და საფრანგეთის დახმარებით. შემდგომში ყველა ეს კერძო საავიაციო ქარხანა სახელმწიფოში შეიყვია. 1939 წლისათვის პოლონეთში არსებობდა ორი დიდი საავიაციო სახელმწიფო ქარხანა: ერთი — ვარშავასთან ახლოს, მეორე — ქ. მელცეში.

ომისა და ოკუპაციის პერიოდში პიტლერელმა დამპყრობლებმა გაანადგურეს პოლონეთის საავიაციო მრეწველობა. ფაქტიურად იგი ხელახლა განვითარდა ომის შემდეგ. ამ დარგშიც საბჭოთა კავშირმა დიდი დახმარება აღმოუჩინა პოლონეთს.

ამჟამად პოლონეთის საავიაციო მრეწველობას თავისი პროდუქციის დიდი ნაწილი უცხოეთში გააქვს. აქ შეიძლება დეფინსიონალური კომპლექსი, საღებავების, შაქრის, ბეტონის, ცემენტის, ხის-დამმუშავებელი და სხვა ქარხნების კომპლექსური მოწყობილობა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა აქტიურად მონაწილეობს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობაში, მათ შორის, უპირველესად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში.

ამჟამად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 80-ზე მეტ სახელმწიფოსთან, ხოლო სავაჭრო ურთიერთობა — 150 სახელმწიფოსთან.

1967 წელს პოლონეთის სავაჭრო ვაჭრობის ბრუნვამ 20,7 მილიარდი ზლოტი შეადგინა. პოლონეთის სავაჭრო ვაჭრობის მთელი ბრუნვის დაახლოებით 64% სოციალისტურ ქვეყნებზე მოდის, მათ შორის 34% — საბჭოთა კავშირზე.

ფართოვდება პოლონეთის სპეციალისტთა ტექნიკური დახმარება სხვა ქვეყნებისადმი. 1962 წელს უცხოეთის ქვეყნებში 500-ზე მეტი პოლონელი სპეციალისტი მუშაობდა, მათ შორის, 300 სპეციალისტი — აფრიკის ქვეყნებში. ამჟამად პოლონელი ექსპერტები მსოფლიოს 15 ქვეყანაში მუშაობენ, სადაც ისინი მონაწილეობენ ასაკები ობიექტების პროექტების, დოკუმენტაციებისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენაში, საინჟინერო საქმეების ორგანიზაციაში, საზღვაო ნავსადგურებს მშენებლობაში, სამთო საქმეებისათვის და სხვა სამუშაოებში.

სულ უფრო ფართოვდება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ყველა სფეროში. ხანგრძლივი და დიდი ხნის ისტორია აქვს პოლონელი და ქართველი ხალხების ურთიერთობას. იგი თავის საფუძვლებს იღებს მე-15 საუკუნიდან. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით გაფართოვდა პოლონეთში სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ.

1959 წლის სექტემბერში პოლონეთში ჩატარდა ქართული კულტურის კვირეული. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კულტურისა და მეცნიერების მუშაეთა დელეგაციამ (80 კაცის შემადგენლობით).

წლეულს იენისში განხორციელდა ქ. ლოდის დიდი თეატრისა და თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივების პირველი ურთიერთ გაცნობა. ქართველმა მუსიკებელმა გულთბილად მიიღო პოლონელი სტუმრები, ხოლო პოლონელმა მუსიკებელმა — ქართული სცენის ოსტატები.

გზა, რომელიც პოლონელმა ხალხმა აირჩია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომლითაც მიიღო აი უკვე 25 წელია, არის გზა მშვიდობისა, ყველა ხალხთან მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და ქვეყნის შემდგომი განვითარებისა. ვუსურვოთ პოლონელ ხალხს წარმატებები მის მიერ არჩეულ გზაზე.



## რეპაზი ივანოვიჩის „საღამო ხანის ჩანაწერები“

„კაცი უგუნებოდ იყო. სერზე ავიდა, ფაჩხის დიდი კონა შეკრა, ჩამოათრია, მაინც უგუნებოდ იყო. თობი აიღო, ციდაზე ამოსული კარტოფილი გათხანა, მაინც უგუნებოდ იყო. სოფელ-ქვეყანაში გავიდა, სხვა კაცებში ჩაქდა... მაინც უგუნებოდ იყო...“

ყოველი ღონე იხმარა, რომ გულში უნებურად ჩასახლებული კვეშანი მოეშორებინა, მაგრამ ვერაფერს გაბდა, ვერ მიაგნო უგუნობის წამალს. ბოლოს ადგა, სანადირო ტანსაცმელი გადაიცვია, კედლიდან თოფი ჩამოაღო და ტყეში წავიდა. მთელს ერთი აფთარი, ლეკვითა დედა, მთორე ზეადი აფთარი მოულოდნელად დაესხა თავს, ბეჭი ჩამოაბღღენა, მაგრამ ისიც მოკლა.

იმავე საღამოს კაცი სოფლის მოედანზე იჯდა, ირგვლივ სხვა კაცებისა და ბიჭების ბრბო ეხვია და ჰყვებოდა თავის თევჯალასავალს, თვითონაც კმაყოფილი იყო და სხვებიც კმაყოფილებით უსმენდნენ“.

ამ პატარა ამბავში ერთი შეხედვით არაფერი მომხდარა მნიშვნელოვანი, თვითონ ავტორიც არსად არ მიგვიანიშნებს იმ ჩანაწერზე, დედა-აზრად რომ ჩაატანა მოთხრობას, მაგრამ რაოდენი ფსიქოლოგიური თუ ცხოვრებისეული სიმართლე ეკონებს იქიდან. ამ პატარა მოთხრობაში საოცრად ზუსტად მივხვებული შტრიხებით გამოიკვეთა მარადიული სიბრძნე ადამიანური ყოფიერებისა, აქ ისმის გამომავალი იმ დიდი ძვრებისა, დასაბამიდან რომ ახლენდა ადამიანი, იმ მოწოდებისა, გამჩენმა რომ დააკისრა ადამის ძეს.

ადამიანი სასწაულმოქმედი, იგი ნიადაგ ამხედრებულია თვით ბუნებისა და მისი მყარი კანონების მიმართაც კი. უკმაყოფილოა მიღწეულით, ვერ ეგუება მოთხოვნას, მისი მოწოდება ბრძოლა და შემოქმედებაა, ერთფეროვანი, ურისყო და დუჩე ცხოვრება მის ენერჯის აჩლუნგებს და აფანგებს.

ამ მოთხრობის გმირი ჩვეულებრივია, ყოველდღიურმა ცხოვრებამ თითქოს მოაღუნა, მის სულში ჩასახლდა სევდა და თვითონვე არ იცის, სად იღებს ეს სევდა სათავეს, არ იცის, რომ მის ადამიანურ სისხლში აღზევდა ის ენერჯია, ის შემოქმედებითი ძალა, რომელიც ბიოლოგიური შემოქმედებით მიიღო მან, რომელიც მისი გენებია დამუხტული. ყოველივე ამან სულში სევდად გამოიყონა და იგი თითქოს ბრმა ინსტინქტით ეძებს და კიდევ პოულობს ხსნის გზას.

მან ჩაიღინა რაღაც ისეთი, რამაც სხვა ადამიანებისგან გამოარჩია, ერთი საფეხტურით მათზე მაღლა აიწაყვლა. ამავე დროს დათრგუნა ბოროტი და მარადიული წყურვილიც მოიკლა. იმ წუთიდან იგი გამხიარულა, კმაყოფილება იგრძნო, განიმუხტა სევდისაგან და მისი მხიარულება სხვა ადამიანებმაც გაიზიარეს.

დიდი ცოფვა იქნება, რომ ეს ამბავი პირდაპირი და ვიწრო მნიშვნელობით გავევსოთ. აფთარის მოკლა მწერლის მიერ სიმბოლურადაა გააზრებული.

ამ პატარა მოთხრობის გმირი უბრალო გლეხ-კაცია, იგი არც ინეინერია, რომ ახალი სოციალიზმი აწუნებოდა და იქნებოდა თავი ერთფეროვანი, მიუღწეველი ცხოვრებისაგან და არც შემოქმედი (ამ სიტყვის ვიწრო გაგებით), რომ მნიშვნელოვანი დიდი ტილოს შექმნით მოეკლა შემოქმედებითი წყურვილი.

მწერალმა ამ უბრალო მავალითი მიგვიანიშნა, რომ ადამიანი მუდამ დაუტყობელი მამიებელია, იგი თავის მავიერდაც და თანამომამთა მავიერდაც ქმნის რაღაც ისეთს, რაც დედამიწის სხვა არსებებისგან განასხვავებს მას. იგი რწმუნდება თავის ადამიანურ ძალაში და მასთან ერთად ამ რწმენას აძლევს სხვა ადამიანებსაც, მის ირგვლივ რომ არიან.

ამ ციკლის ყველა მოთხრობა თითქმის ერთ

კალიბზეა მოტრილი, ყველა იმბავს მეტად უბრალოდ და სადაოდ ჰყვება მწერალი, თითქოს მართლაც საღამო ხანს, მოკლეობისას, ეღაცა უყვება იმ იმბებს, მის მუხსიერებას რომ შემოუნახავსო. ეს ერთი შეხედვით თითქოს აიოლებს მწერლის საქმეს, თითქოს მის წინაშე არ დგას ხატვის, გმირთა ხასიათების გამოყვეთის სიმძლე, დროის და მოქმედების დეტალურად აღწერის პრობლემა, მაგრამ ამა დააკვირდით რა დისამბსიერებლად აღწერს მწერალი უოველ საგანს, რა ზედშესახებად. თვალწინ ვიდგათ ზურგზე აფთარმოკიდებული კაცი, შარვლის უბეს წითლად რომ უღებავს ნანადირევის სისხლი. თვალწინ ვიდგათ ქვრთუქში აფუთფუთებულ აფთრის ლეკვები და მოშაკედავი ხვადი აფთარი, ტყვიანაკრავი, მთახლოვებულ სიკვდილით გამწარებელი ბლახს რომ გლუფს.

არც „კაცში“ და არც ამ ციკლის სხვა მოთხრობებში მწერალი თავის თავს არავითარი გაანალიზების ნებას არ აძლევს; საგნებს ხატავს ისეთებს, როგორებიც არიან, მოვლენას გადმოგვცემს ისე, როგორც ნამდვილად მოხდა, იგი გვიჩვენებს ცხოვრების ერთერთ მხარეს და მყოფელებს გაანალიზების უფლებას უტოვებს.

მოთხრობების ამ ციკლში უსათუოდ გამოირჩევა „სიკვდილი ბარბალე ბაღიანისა“. ამ სიმკვეთლიან მოთხრობაში ადამიანის ცხოვრების მთელი რომანია ჩატეული. მეტად ძეგნი შტრიხებით მწერალმა დახატა არამარტო გმირი და მთელი მისი ცხოვრების ტანჯული გზა, არამედ საკმაოდ რთული ეპოქაც, თავისი მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენებით.

ამა დააკვირდით, რა უბრალოდ იწყება მოთხრობა, თითქოს საყარეულარით ოქმს კოხულობდეთ.

„დაიბადა სოფელ არაშენდამი, აპრილის გაკრიბებულ დღეს. მამამისს რომ უთხრეს, ქალი გეყოლაო, ბარი მიწაში ჩატყავა, დაძინდით თუშური ქუდი მოიხადა, ოფლიან შუბლზე გასივ, ისევ დაიხურა და ბარე განავარძო. გაჩქებულმა ბარა საღამომდე. მაგრამ არც საღამოს უნახავს, არც მეორე დღიანს. მეხუთე გოგო იყო, მეხუთე სადარდელი და სალოლიავებელი...“

ამ სამიოდე სტრიქონით უცვლ ნათელი წარმოდგენა გვქმნება მყოფელებს მთელ ეპოქაზე, ამ ეპოქის პირამისა და მის დატყეოქახზე.

ღმერთის გაჩენილ ღმერთი დაარჩეწო, ასე თუ ისე ეს მეხუთე გოგოც გაიზარდა, „თითხმეტი წლისას პირველად უყიდეს წითელი ჩუსტები და წითელწინწილებიანი ცისფერი ჩითის კაბა, პირველად იცეკვა დღეობაში, მარიამობა დღეს, საქონლისაგან გადაჰოვილ მინდორზე. პირველად გაიგონა ხანდაზმული დედაყავები-საგან: აი, დაიწვი, დაიწვიო!“

და აგერ, ბარბალე ბაღიანის თქვენს წინაშეა მთელი თავისი გარეგნობით. თქვენ იგი სულ ახლახან გაიციანთ, მაგრამ ჩემი მწიფებელი კი აღარ არის, არამედ რბივინაღმრთის სასათია, ტანოური სახე და ცოცხალი, ზორცმესხმული ადამიანი! მას ვეღარ დაიფიქვებთ. „აი დაიწვი, დაიწვიო!“ უძახიან დედაყავები და თქვენც იქა ხართ. ხედავთ მას ხელგამილის, ახლადფეთქებულს, წვივსაყვს, მრავალი საცოლად ვეყავის თვალი რომ ხარბად მისტერებია. მისი სადღეობო ცეკვა თითქოს სიმწიფეში შესული სხეულის ზეიშია.

და ამა, მალე მოვიდნენ სხვაგნებურები და ბარბალეს ნებართვას არც დალოდებიათ, ისე მათხოვეს ვიღაც ჩაბურჯავებულ მწევებს. ბარბალეს არ უფრძენია სიუვარულის ნეტარება, მეხუთე გოგო კი არ გაათხოვეს, თითქოს გადაადგეს ოჯახიდან, მისი დღეები უსიხარულოდ მიდის. მისი მენახიერ ქმარი „ბინდისას მოვიდოდა, თავჩაღუნული შექამდა, რასაც ბარბალე დაუდგამდა, მერე დააწვეწდა და დათვივით ბუნბილა, კამეჩივით დააფიქვინავდა. თვითონ ბარბალე ცივი ერთანტელისა და შიშის მეტს არაფერს ვრძნობდა. გაშტერებული თვალებით აყურებოდა სადღაც მალა, სიმძლეში, და სულ ელოდა, ელოდა, რომ რაღაცა მოხდებოდა“.

რამდენიმე სტრიქონით აგტორი შესანიშნავად ხატავს დახვეწებულ, დასაღუბავად გაწიწრულ ეპოქას, რომლის მსხვერპლიც ბარბალე გახლავთ. მალე ბარბალეს ქმარი ეღაცე თათარმა მოუტლა და ის იყო, ამ ზამთარს ბოლშევიკებზე მოვიდნენ. „სოფელში გამოჩნდა ტანხელი, ცოცხალი სახის ბიჭი, კომუტრადის მდივანი“.

ახალმა ეპოქამ სიოცხლე და სიხარული მოტრანა ბარბალესაც. მან კომუტრადის მდივანს დაუტყვიწირა თავისი ბედი და მამინ გაიგო ცხოვრების სიტყბი, დაეწაფა სიუვარულის შარბათს. ქმარი არტელის თავმჯდომარედ აირჩიეს, ერთად შრომობდნენ, აწენებდნენ ახალ ცხოვრებას, ზრდიდნენ შეილებს, ტბილად, სხარხრებით მიედინებოდა ცხოვრება, მაგრამ მუხთალი სოფელი... რამდენიმე წლის შემდეგ მოვიდნენ ფორმიანი კაცები და ბარბალეს სამუდამოდ წაართვეს სარეცლის მოზარე, უღლის გამწევი, სულზე უტყებეს ადამიანი. ეკრა მაინც არ გააიცი, ცხოვრების ქარაშხალს მხედ შეებდა, ორივე უღელი თვითონ გასწია, დაზარადა შეილები, ასწავლა, დაბინავა, თვითონ მარტოღმარტო დაარჩა სახლში და მაინც ეკრის არ აციებს, როგორც ხვესი ქეტიკრის ისე ბეჩითად ებლაუჭება ცხოვრებას. და აი ეს უღბლო პატარა ქალი, უღბლოდვე ამთავრებს თავის ცხოვრებას.

რა შესანიშნავად, რა უბრალოდ და სადად

ხატავს მწერალი მისი სიცოცხლის ბოლო წუთებს.

„წამოვიდოდა გულმოკლული: ჩემი ბიჭის მკვლელები დეგადგეთ თქვენაო. ამოუჯდებოდა გული, იტირებდა. მერე ისევ უოხადად იყო, მტრის თვალების დასათხრელად. მტრის თვალებს დასათხრელადევი აიღო ერთხელ ხალხი და პაკალზე თვითონ გავიდა. მე დაბებურტყავ და მტრის არ გაეხარებო. ორჯერ არ ჰქონდა მოკრეწული ის ხალხი და წინ წავარდა. რამეს მოეგებიდებო, გაუელვა, მაგრამ ევრაჟერის მისწვდა. იგრძნო ილუბებოდა. მიიწე ხმა არ ამოუღია. მიწაზე დაეცემულმა ერთი ეს შესძლო, მუხლებზე ეახა გადაიფარა. კიდევ კარგი, რომ ვილაკამ შემთხვევით მოკრა თვალი. გეგონებოდა, მყუდროზე მიწოილია და ისე მისძინებოდა.“

შვილებმა მეორე დღეს ძლივს გაიგეს მისი ამბავი. დიდი პატივით დაეკრძალეს. სახლს მიიმე კლბებში დაადეს. ერთ კვირაში ქარმა ეზო ჩაალაბულით აავსოა“.

ამთავრებთ მოთხრობას და გულზე ლოდივით გაწყებთ სევედ, სულხორციანად გძრავთ მოთხრობის ვიროის უსიხარულო ცხოვრება. ამ პატარა დედაკაცმა, დაბადებითვე რომ ეწეინათ მისი ამ ქვეყნად მოსელა, სიტყობზე მეტი სიმწარე შესევა, შრომასა და ჯადაში გალია წუთისოფელი, უცნურად დამთავრდა მისი ცხოვრება და მისი ეზო-უყრე ჩალაბულით აავსო. რა უბრალო და ამავე დროს რეალური მოთხრობის ფინალი. „მიწაზე დაეცემულმა ერთი ეს შესძლო, მუხლებზე ეახა გადაიფარა“... „გეგონებოდა, მყუდროზე მიწოილია და ისე მისძინებოდა“.

არ შეიძლება არ ვგაოცოთ ბელეტრისტიკის საოცარმა სიმკვიდრემ. შეიხვევლს აღეღებებს, ხოლო თვითონ საკვირველი გულგრილობით ჰყვება ამბავს. არც თვალი, არც გული არ უჩქარდება, არსად არ ცვლის ინტონაციას, არც მაშინ, როცა სეველიან მოტივებზე გადადის; არც მაშინ, როცა სასწორზე სიკვდილ-სიცოცხლეს. მწერალს ისე უძირავს თავი, თითქოს უხილავი სამყაროდან უტყერს არამიწერიის თვალი ადამიანთა მიწას და გულმშვიდად ზედება ადამიანთა თაგზე დატეხილ ტრაგედიას თუ ზიფასს, სიტყობს თუ სიხარულს, რამეთუ მისი მარადიული თვალი რიცხვეულია და შეგუებულა აველაფერს, რაც დედამიწაზე ხდება ადამიანთა შორის და იცის, რომ ეს ყველაფერი სამყაროში არაფერს ცელის, სამყაროსთვის იგი არაფერს წარმოადგენს.

მეტად ორიგინალური მოთხრობაა „ჭარგვალი“. მწერალს ოსტატურად გამოუყენებია მოხუცი ქალის მოგონება ეგნატე ნინოშვილზე. მოხუცი ქალის ეს ჩანაწერი ცხადად დადაბებს ეგნატეს ცხოვრების მთელ სიღრმეებზე. კონტრასტობთ მას და გვიკვირთ, სადამდე უნდა მი-

ვიდეს კულტურული ვერი, რაკეროიონი უნდა დაუშვას, რომ ესოდენი დამცირება და სიღატაკე მიუზღდას კაცს, რომელიც უამრავს წაყვლს უზევებს.

„... მიწა ხელები გაეშალო, მიგაწყდინო სხეებს და ეს ტყივლით ელექტროდენივით გადაეცე მათაც... შგანია, ამით ნაწილობრივ მაინც მოეხილთ სასველს, რაიც გვეკუთვნის დიდი, პატროსანი ადამიანების წამებული სულების წინაშე თუნდაც შემთხვევით გამოჩენილი გულგრილობის გამო“. ამას მოსდევს მოხუცი ქალის ჩანაწერი. თავდება ეს ჩანაწერი და ეტორი უბრალოდ, თითქოს სხვათამოროის შეგვახსენებს:

„ეგნატე ნინოშვილი ოცდათოთხმეტი წლის გარდაიცვალა ფილტვების ტუბერკულოზით. სოფელში კუბოსთვის ფიცრები ვერ იშოვეს, მთლიანი მორი ამოგულეს, შიგ ჩაასვენეს და ისე დამარხეს. მის კალამს გეტუნის: „პალაის-ტომის ტბა“, „ჯაყვი გურიაში“, „გოგია უმშილი“, „ქრისტინე“ „სიმონა“, „პარტახი“, „ჩეგენი ქვეყნის რაინდი“ და სხვა მოთხრობები“.

ეპაც არ ამბუერებს მწერალი თავის სათქმელს, არ აანალიზებს, იგი აღნიშნავს საგალოლო ფაქტს და ეს ფაქტი გაფრთხილებასავით ისმის, გაფიქრებს და გაფხიზლებს, გიბიჭებს, რომ ესოდენი უღმერთობა აღარ განმეორდეს.

ცხოვრებისეული სიმართლითა და აქტუალობით გამოირჩევა გვერდნაბევერიანი მოთხრობა „ქობიჩეცხასი“. დიახ, აქტუალობით, ნე შეგვაშინებს ეს სიტყვა. აქტუალურია ყველა ის ნაწარმოები, დროულად რომ გამოეხმეორება, დროულად რომ მიანიშნებს საზოგადოების რაიმე მანკიერებასა თუ დაფებით მოგლეზაზე. მწერალს საბოქმედო ასპარეზი ერთი საუკუნის იქით გადაუწვია, მაგრამ როგორ ოსტატურად უკავშირებს იგი დღევანდლობას. ხალხმა, ამ საოცარმა და პირუთენელმა მსაჯულმა, არ აბატია იასონს ის არაკაცური საქციელი, სიტუება მოქვენლობად რომ არ კმარა მის გამოსახებლად. არ შეიწყნარა, იქვე გამოუტანა განაინენი, და ეს განაინენი, ეს სასჯელი შეილთაშვილამდე გაყვა მას.

„...და ის დღე იყო და ის დღე, იასონს ხომ შერჩა მეტსახელად ქობიჩეცხა. ეს სახელი ჰქვიით მის შვილებს, შვილშვილებს და შვილშვილშვილებსაც. არის ქობიჩეცხაანთ შლიკო, ქობიჩეცხაანთ მობა, ქობიჩეცხაანთ ვანუა, ქობიჩეცხაანთ ტრისტანა, ქობიჩეცხაანთ სპარტაკა, ქობიჩეცხაანთ ანეტა, ქეთუა, პეპელა, იზოლდა და ვინ მოთელის, კიდევ ვინ აღარა.“

დიახ, არიან დღესაც ბევრნი, არა იასონის სოსხლის შემკვიდრენი, არამედ სულის შემკვიდრენი, არიან იზოლდები და სპარტაკები, მლიჭენელობის დიდოსტატები, სულით წმობილუნნი და საზოგადოების მლიღები.

მწერალი უღვარძლოდ, სიძულვილის გარეშე, დასკანის მათ, არც აქ ავლენს რაიმე ტანდენციას, მაგრამ გრძნობთ, რომ მას კარგად ესმის ისეთი აზიანების არარობა, ესმის და მშვიდდოდ, მსუბუქი იუმორით ჰყვება მათ ამავეს. იქნებ სწორედ ასეთი იუმორითა და გულგრილი ტონით უფრო აღწევს მიზანს?

„...ბაღში მილი გასკდა. განთავსუფლებული წყალ გაზარებულ მადრეგანად ავარდა ცაში, უნდოდა წახლდეთ მაღლა, ძალიან მაღლა, მაგრამ ძალა არ ეყო, წვეთებად დაიშალა და ნიათ-გამოცლილი დაენარცხა მიწას. მიწამ ზერება დაუწყვო, მაგრამ წვეთები არ დანებდნენ, გაჯორდნენ, გამოჯორდნენ, შეერთდნენ, ქვესმორის გაჯერნენ, თავდაღმართი იპოვეს და დაეშვენენ. ეს უკვე წვეთები კი არა, პატარა ნაყადელი იყო. ჩაირბინა მწვანინაი ფერბაღი, ორთი რომ დაბეჯდა, ჩაეიდა იმ ორშიში, აქეთ ეცა, იქით ეცა, გასასვლელი ვერ იპოვა; მაშინ დატრიალდა ადგილზე, მოკრიფა ჩალაბულა, მოტივტივეა, დაიბრიალა მწყობრად, მოყოლებით: ბტრიალა, ბტრიალა, გაბვერდა, გაიბერა, ორმო გაავსო, გადასცდა და ისევ თავქვე დაეშვა. მირბის, მიწუბჩუხებს. შეძერა სჭელ, ჩაბნელებულ მაყვლიანში. მავლიანი თაედიდი, ფიქრია გოჭილებით იყო საესე. ამ ტომის გოჭილები აი, უკვე შესამე ათასწლეული მიდის, სხედან, შუბლი ერთმანეთში ჩა. ხლართულ თითებზე აქეთ დაყრდნობილი, რაღაცას ფიქრობენ, ფიქრობენ და არაეის კი არ ეუბნებებიან, რას ფიქრობენ. ვილაეამ დაიძახა, — პარიქა წყალი მოვიდა, თავს უშველეით, — წამოცივიდნენ, ეცენენ მაყვლის ძირებს, ჩამოეკიდნენ ზედ და აბლა იქ განაგრძეს ფიქრო: ჰვიდოამ თაედაეიყა, ოდნაე ქანათბენ და დროს არ კარგაენ — ფიქრობენ, ფიქრობენ...“

მთელი ეს ნაწყვეტი უმშვენიერესია ნახატი. მხატვრის მახვილ თვალს არ გამოჩენილა უმნიშვნელო დეტალაც კი, საოცარი სიეხადით დაეციეენა თაელწინ, ვაეცოცხლა ის შთაბეჭდილება, ოდესღაც რომ შეურხეეია ჩენი გულის სიძებო და მერე მესხიერების ფსიქერზე დამარბულა. ამ ნაწყვეტის თითქმის ყოველი სიტყვა სიამოვნებას გვაძებებს თავისი სისადელი, სიუესტიო, ხატოეანებით. მარტო ის რად დირს, გოჭილებს რომ აღწერს:

„ამ ტომის გოჭილები აი, უკვე შესამე ათასწლეული მიდის, სხედან, შუბლი ერთმანეთში ჩა. ხლართულ თითებზე აქეთ დაყრდნობილი, რაღაცას ფიქრობენ, ფიქრობენ და არაეის კი არ ეუბნებებიან რას ფიქრობენ.“

ესადად ზედაე ყოველ საგანს როგორ ეფერება მწერალი, ყოველ საგანში ამჩნევს პოეტურ სიამაზეს, სიამოვნებით ხატაეს მას და ამ სიამოვნებას მკითხველსაც გადასცემს.

საერთოდ ბუნებაში გვხვდება მოვლენები, რომლებიც თავისთავადაა პოეზია, თანაც დიდი და სელისდამატებოელი მოეზია. ეისთვისაც გამ-

ჩენს მოუმაღლება მგრძნობიარე სული და გული, მხოლოდ ის ამჩნევს, ის კითხულობს ბუნებისაგან შექმნილ ამ დაუწყერტელ პარეზისს, მთელი სხეულით აწოეს მას და მტერს სხეებს უზიარებს ამ მაღლესებულ სიამოვნებას. აინშტაინმა შესანიშნავად თქვა: დანახვისა და გავების სიხარული ბუნებში ყველაზე შესანიშნავი ნიჭიაო.“

მხატვრულიდან ხომ მოგვარათ თვალი, პატარა, სიმშვენიეში ჩაფლულ, მყუდრო სოფელს პატარა მდინარე ჩამოედის, იმ მდინარეში უმაწილები დგანან, ხოლო მოშორებით ვილაე ლამაზი ქალი კიდან წყალს იღებს. ეს სურათი ილბათ ბერესაც დაუნახავს, მაგრამ მისი სილამაზე ნიჭითესებულმა პოეტმა შენიშნა, შეატებო და ასეთივე ლამაზ ლექსად აქციო.

მხატვრულიდან მოეყარი თვალი:  
მუბლამდე წყალში ბიჭები იღვიენ...  
არაფრის გამო  
ვით ვავიხარე —  
თუ არ ვინახავს ვერ წარმოიდგენ.  
მხატვრულიდან მოეყარი თვალი,  
მუბლამდე წყალში ბიჭები დგანან,  
კიდან წყალს იღებს ვილაეა ქალი —  
რა ლამაზია ჩენი ქვეყანა.

ძალზე აბლოს, ძალზე ზედმიწევნით უნდა იცნობდე ბუნებას, მიწას. უნდა გრძნობდე, უნდა მოსმენილი გქონდეს ლამის მყუდროებაში როგორ ტყავუმობენ ვაშლის კვირტები გაყეეებისას, როგორ გატყავუმენდება ხოლმე ხე სიეხეში, როცა ტანს იფართოებს, მთელი სული უნდა იყო შეტყყებო ბუნებასთან, ორივე ფეხით მუარად უნდა იდგე მიწაზე და ამავე დროს მომადლებული უნდა გქონდეს დიდი მგრძნობიარება, მგზნებარე გული და მახვილი თვალი, რათა ეს იგრძნო და ტილოზე გადმოიტანო. შენიშნო გოჭილების ეს უენაფერი პოზა, სასიამოვნო დიდიღს რომ იწვევს. \*

„განთავსუფლებული წყალი“ ისეთი მოთხრობაა, რომელშიც ყველაზე მეტად იგრძნობა დიდი ლირიზმი და საღებავის სენი. ამ თითქმის უმნიშვნელო თემამ ნიჭიერი ბელეტრისტის ხელში თავისი ფორმა მიიღო და მიზანდასახულობაც გაუქმდა.

ესე როგორც სხვა მოთხრობები, ესეც იგავია, შეიძლება უფრო რთული იგავი. წყალი, ცოტახნით რომ მოიპოეა თავისუფლება, რომ აიწყეიტა ბორიელები, მაშინვე ნაყადელად გადაიქცა, ამოძრავდა, ვახახარა და ეს სიხარული სხეასაც მიანიჭა. მერე მოვიდა ვილაე ოსტატი, გახეთქილი მილა გაამთელა, წყალი ისევ ჩაეტრა, ისევ დაატესლა.

„ფერდობზე მიმავალი ნაყადელი ცოტა ხანს კიდევ ფეოქავდა გადაჭრილი ძარღვივით, მერე დაწერილდა. დაწერილდა და გაქრა. გაჩერდა მობრბალი. თავილი, ფიქრია გოჭილები უკვე მაყვლიანში შემალულიყვნენ...“

და გაქრა დროებითი სიხარული, განთავისუფლებულმა წყალმა რომ გამოიწვია.

რამდენი შეიძლება კიდევ ილაპარაკო ამ ციკლის დამარჩენ მოთხრობებზეც: „ნეკერხლის წითელი ფთათლი“, „პატარა პოეტის გზა“, „დათია და ვოგია“, „ლეგო“, „შეშის ნამსხვრევი“, „ცამეტი წლის ბიჭი“ და „ვანო“. თითოეული მათგანი დიდი ღირებუთა და ოსტატობით გვხიბლავს. მაგრამ ეფექტობთ, განხილული მოთხრობებიც საკმარისია. ჩამოთვლილი მოთხრობებიდან თითქმის ყველს აქვს ერთი მნიშვნელოვანი ღირსება — დაწერილია დიდი პოეტურობითა და ოსტატობით. მაგრამ ყველა მოთხრობა ერთნაირად მაინც ვერ გაიზომება, მათ მეტ-ნაკლებად ახასიათებთ აზრის სიღრმე და გამძლეობა. ამ მხრივ შეიძლებაოცა ცალკე გამოყოფილიყო „სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა“, „კაცი“, „ჩარგვალე“, „პატარა პოეტის გზა“, „ქობირეცხასი“ და „ვანო“.

რ. ინანიშვილის „სალამო ხანის ჩანაწერებმა“ გამოქვეყნებისთანავე ლიტერატურულ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთმა ნაწილმა მოწონებებს ნიშნად თუ ორივე ხელი ასწია, მეორე ნაწილს გააჩნია პრეტენზია ამ მოთხრობების მიმართ. ისინი ამბობენ, რომ ეს

მოთხრობები დაწერილია საუკეთესო რასტრში მიერ. მაგრამ ეს თემები არ არის პროზის პრობლემა, რომ აქ მოთხრობილი ამბები მოკლებულია მასშტაბურობას. შესაძლოა, ეს პრეტენზია ზოგიერთი, მხოლოდ ზოგიერთი მოთხრობის მიმართ სამართლიანი იყოს, მაგრამ ვინ აუკრძალა მწერალს—ავტორს „ციხფერი გორგალისა“, „ვილაყას ავტობუსზე აგვიანდება“ არ იყოს ზოგჯერ პოეტი და ლირიკოსი?

რევაზ ინანიშვილის შემოქმედებისათვის ხომ ეს მოთხრობები, ასე ეთქვათ, „სალამო ხანის ჩანაწერები“, ძირითადი ღერძი არაა. ეს მისი ბილიკია და არა შარავნა. ეს რომ ასე არ იყოს, მწერალმა რომ ეს ბილიკი შარავნად გაიხადოს მომავალში, მის შემოქმედებით პოეტურობას ძირს დასწევდა. არა, რევაზ ინანიშვილს ელის და აუცილებლად უნდა ელოდეს უფრო ფართო ტილო, ამ მოთხრობების აზრი და იდეა მან ერთ მსწარმოებში უნდა განტოტოს, უფრო დიდი ბადე უნდა ისროლოს და ამ ბადეს ორგულთან ერთად უნდა ამოკვეცს ეს ლამაზი კალმახები— „კაცი“, „ბარბალე ბადიაური“ თუ „ჩარგვალე“. მაშინ მის შემოქმედებაში უფრო მეტად იბრწყინებს ამ პატარა მოთხრობების ციკლი „სალამო ხანის ჩანაწერები“.



ს. ჯორჯენაძე

## ოვანეს თუმანიანი და თბილისის უნივერსიტეტი

ოვანეს თუმანიანი ქართველთა საყვარელი მწერალია. ვერ ნახავთ ქართველ მოსწავლეს, რომ არ აცრემლებულიყოს გიჟორის ბედით, არ ეხაროს გულადი ნახარას თავგადასავალით და არ აღტაცებულყოს ანუშის უმანკო სიყვარულით. ამას, ჩასაკვირველია, ხელი შეუწყო აოსებ გრიშაშვილის თარგმანებმა. მისი თარგმანები, ივანე ვოპროტოვის სწორი სიტყვით, „თარგმანი ეს არ არის, იგივე ორიგინალია, როდესაც ჰქოთხლობთ გრიშაშვილის თარგმანს, თქვენს წინაშეა მხოლოდ ოვანეს თუმანიანი—ქართულად მომღერალი და დარწმუნებული ხართ, რომ აქ არავითარი თარგმანი არ არის, თვითონ ოვანეს თუმანიანი სწერს ამას ქართულად“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ღედნისა და თარგმანის ეს აღქვანტრობა მარტოოდენ გრიშაშვილის პოეტურმა ნიჭმა როდი განსაზღვრა. მთავარი ის არის, რომ ოვანეს თუმანიანი სომეხი ხალხის გულის მესაიდუმლეა, მისი ზრახვების მართალი გამომხატველი. სომეხი და ქართველი ხალხები კი ყველაზე უფრო ახლობენ, ძმან არიან. ამიტომაც ახლოა ქართველის გულთან სომეხეთის ამ დიდი ლირიკოსის შემკვიდრობა.

საქართველომ გულმართლად შეიყვარა ოვანეს თუმანიანი, მისაც ერთგული და ნაზი სიყვარული ჰქონდა საქართველოსი. ეს მარტო მხატვრული ნაწერებით როდი პოულობს უტყუარ დადასტურებას.

შეგხებოთ მხოლოდ ერთ ფაქტს, რომელიც ადასტურებს რა გულმხურვალედ უყვარდა ოვანეს თუმანიანს საქართველო.

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ივანე ჭავჭავაძელმა ფართო ორგანიზატორული მოღვაწეობა გაშალა თბილისის ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებისათვის. შოთინისტურად განწყობილი დროებითი მთავრობა ამას წინ აღუდგა.

ივანე ჭავჭავაძელი არ შეუშინდა წამოწვებულ სექსის ჩაშლის საფრთხეს და ქართული უნივერსიტეტის გახსნის ბრძოლის ველი თვით ხალხში გადაიტანა. 1917 წლის შემოდგომიდან ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის იდეა ხალხს დაეუფლა.

საქართველოს გარეთ მცხოვრები ქართველებიც არ იშურებდნენ შემოწირულებებს ამ საშვილიშვილო საქმისათვის, მაგრამ მარტო ქართველებს როდი გვრიდა სიხარულსა და სიამაყეს ეროვნული უნივერსიტეტის გახსნა. ამ ფაქტის მოახლოებით ხარობდა ჩვენი ყველა მოკეთე და მეგობარი. ყველაზე ადრე და ყველაზე გულმართლად ეს სიყვარული მაშინ გამოხატა დიდმა სომეხმა მწერალმა და ქართველი ხალხის კუთმარტმა მეგობარმა ოვანეს თუმანიანმა, როცა ქართული უნივერსიტეტის გახსნის მოთვარე სიძნელე ვერ კიდევ წინ იყო, როცა საბოლოოდ არ იყო ცნობილი, შესძლებდა თუ არა პატრიოტ მეცნიერთა მცირე რაზმი ქართული უნივერსიტეტის გახსნას. ეს კიდევ მეტად ზრდის ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებისადმი ოვანეს თუმანიანის პრინციპული დამოკიდებულების მნიშვნელობას.

1917 წლის 25 ოქტომბერს ოვანეს თუმანიანმა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებას 100 მანეთი (ოქროთი) შემოსწირა და საზოგადოების აქტიური წევრის გ. ნ. დიასამიძის სახელზე გამოგზავნა უაღრესად გულთბილი წერილი:

„ძვირფასო გრიგოლ ნიკოლოზის ძე, მარტოოდენ მეცნიერებას, ლიტერატურას და ხელოვნებას შეუძლია ამოავსოს ის უფსკრული, როცა აცალკევებს ხალხებს და მხოლოდ მათ შეუძლიათ შექმნან მომავალი უკეთესი ცხოვრება და ნამდვილი ადამიანი.“

თქვენთვის გასაკებაა ამიტომაც ჩემი სიხარული, როცა გავიგე ქართული უნივერსიტეტის გახსნის შესახებ.

მე აღტაცებით წარმოვიდგენ ხალხიან და კეთილშობილ ქართველს, რომელიც მშობლიურ ენაზე იღებს უმაღლეს განათლებას.

როდის ივნება ის, რომ მიუვალაშვებით კავკასიის სხვა ხალხებისათვისაც უმაღლესი სკოლის გახსნას, რათა შეცნიერებინა და ხელოვნების ნიადაგზე ერთმანეთს შევხედეთ და დავაყვაროთ ურთიერთთავება და პატივისცემა.

გთხოვთ თქვენ, ძვირფასო გრიგოლ ნიკოლოზის ძე, მიიღოთ და სადაც ჭერ არს გადასცეთ ჩემი მზრვალე მოლოცვა ამ მოკლენის გამო, აგრეთვე ჩემი მოკრძალებული წვლილი, რომელიც შეიძლება ერთი აფური გახდეს აუვაების ვზაზე მდგარი ქართული კულტურის დიდი შენობისა.

თქვენი ღრმად პატივისცემული თქვენი ოვანეს თუმანიანი\*.

ოვანეს თუმანიანს უსაზღვროდ ახარებს ქართული უნივერსიტეტის შექმნა. თბილისში — იმ დროის კავკასიის ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრში — ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა ეროვნული უნივერსიტეტის შექმნას, არაფერი რომ არ ვთქვათ ურწმუნოებზე, რომელთაც ეროვნული უნივერსიტეტი მეცნიერ-რომანტიკოსთა უდღეურ წამოწყებად ესახებოდათ, შოვანიტურ ძალებს არ სურდათ თბილისში ეროვნული უნივერსიტეტი. მათ ემხრობოდა სომხური ბულტოკრატიაც. ეს ძალები კავკასიაში ერთადერთი უნივერსიტეტის მომხრენი იყვნენ, ისიც მარტოდენ რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტისა. ამას მეცნიერების უნივერსალიზმის საჭიროებით ასაბუთებდნენ და ამით ვითომც ეროვნულ კარჩაკეტილობას უპაყოფდნენ. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ კავკასიის რომელიმე ხალხს ცალკე, ეროვნული უნივერსიტეტი ჰქონოდა.

ოვანეს თუმანიანი გაემიჯნა ამ რეაქციულ და შოვინისტურ ძალებს და აქტიურად, დაუფარავად და უყოყმანოდ დაუჭირა მხარი თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. ეს მხარდაჭერა მერტად დროული იყო და ამიტომაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი.

ქართულთა მიერ უნივერსიტეტის შექმნას, ოვანეს თუმანიანის აზრით, უნდა დაეწაბებინა ამიერკავკასიის სხვა ხალხებისათვის უმაღლესი სკოლის ჩამოყალიბება. მისი აზრით, მოჰმისა და კეთილი შეზობლის ეს მავალთი გააცხების საფუძველი, მეცნიერულ-კულტურული სეპარატიზმის დამუდამებელი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ — მისაბამი. თქვენი შეიძლება არ აღენიშნოთ, რომ ოვანეს თუმანიანი ურყევად და სწორად აღსაქმნა სომეხ-ქართველთა მეგობრობისა და კეთილშობილობის დიდ ძალას.

1917 წლის 24 ნოემბერს ვაზეთ „რესპუბლიკაში“ ოვანეს თუმანიანი სიყვარულით წერდა: „თვლი რომ ვადავლოთ მეზობლობის ურთიერთობას დღემამინე, — თქვენ არ შევიძლიათ

არ დადასტუროთ, რომ ქართველები არიან საუკეთესონი როგორც მეზობლები“. შიშვე ხალხის უსაზღვრო სიყვარულს შეეძლო იმავე წირილში ეთქმინებინა ოვანეს თუმანიანისათვის, „აღტაცებით ვადასტურებ, რომ ქართველი არასდროს არ ეცემოდა სულით და კავკასიის ხალხთა შორის ყოველთვის იყო პირველი, როგორც მოქალაქე თავის პოლიტიკურ მოთხოვნებში და საზოგადოებრივ ბრძოლაში“. იგი საქართველოს კავკასიის საფრანგეთს უწოდებდა და აღტაცებული იყო ქართველთა რევოლუციური ბრძოლების ტრადიციებით.

დღეს არც ისე ადვილი წარმოსადგენია რამდენად დიდად ფასებული იყო 1917 წელს ოვანეს თუმანიანის პოზიცია, რომელიც შესანიშნავად ჰერებდა ქართული ეროვნული უნივერსიტეტის შექმნის კეთილმოყოფელ გავლენას კავკასიის სხვა ხალხებისათვის უმაღლესი სკოლის ჩამოსაყალიბებლად, უპირველესად კი სომხური უნივერსიტეტის გასახსნელად.

ქართული უნივერსიტეტის დაარსებას ოვანეს თუმანიანი მარტო თავის სახელით როდი მიესალმებოდა. ეს სომხური უნივერსიტეტის დაარსების უშუალო ინიციატორის მისაღწება იყო.

1917 წლის 31 მაისს თბილისში ოვანეს თუმანიანის მეთავეობით შედგა კიდევ ჰაიკობაანთა ამხანაგობის დამფუძნებელი კრება, რომელიც სომხური უნივერსიტეტის შექმნის კონკრეტულ გეგმას სახავდა (დაწერილებით იხ. ა. ინჯიკიანი, ოვანეს თუმანიანი და სომხური უნივერსიტეტი, „ერევნის უნივერსიტეტის მოამბე“, 1967 № 2, გვ. 185-197).

ოვანეს თუმანიანისათვის ნათელი იყო, რა სიძნელეები უნდა გადაეღებინა ქართული უნივერსიტეტის დამზარებ საზოგადოებას მიზნის მიღწევისათვის. ამიტომაც ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლები განსაკუთრებულად აფასებენ ოვანეს თუმანიანის მხარდაჭერას.

ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელმა საზოგადოებამ ოვანეს თუმანიანის მოქმედებაში მარტო დიდი მწერლის სიყვარული და მხარდაჭერა კი არ აღინაზნა, არამედ სწორად აღნიშნა, რომ მწერლის პირით მთელი სომხეთი მიესალმებოდა ქართულ ხალხს.

1917 წლის 7 ნოემბერს ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოება კ. აფხაზის ხელმოწერით უპასუხებდა ოვანეს თუმანიანს: „მოწყალეო ხელმწიფე, ბატონო

ოვანეს თადეოზის ძე,

ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობამ მისთვის დიდი ზნეობრივი კმაყოფილებით მოისმინა თქვენი წერილი, გამოგზავნილი გრიგოლ ნიკოლოზის ძე დიასამიძისადმი, ქართული უნივერსიტეტის დაარსების თაობაზე.

თქვენს ღრმად მგაძნობიარე სიტყვებში, როგორც თავის საშობილოს საუკეთესო შვილისა



და მისი ფიქრების და გრძნობების ნიჭიერად გამოხატველისა, ჩვენ ეჭვადეთ აღერსსა და მისალმებას მთელი სომეხი ხალხისა, რომელიც ათასი წლებია კეთილშეზოღიერად ცხოვრობდა ქართული ხალხის გვერდით და ჰქონდა მასთან შედმივი ურთიერთმოქმედება კულტურულა განვითარებისა და სულიერი აღორძინების ნადავზე.

თქვენმა მისალმებამ ჩვენ განგვაცდელდევინა მშვენიერი გრძნობები და ჩვენ არ შეგვიძლია არ გაემიეროთ თქვენი ღრმად ჩამაფიქრებელი სიტყვები: „მართოდენ მეცნიერებას, ლიტერატურას და ხელოვნებას შეუძლია ამოაგოს ის უფსრული, რაიც აცალკევებს ხალხებს და მხოლოდ მათ შეუძლიათ შექმნან მომავალი უცეთესი ცხოვრება და ნამდვილი ადამიანი“.

მიიღეთ გულწრფელი მადლობა საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოების გამკეთობის მთელი შემადგენლობისა და პირადად ჩემი, თქვენნი მგრძნობიარე მოლოცვისა და ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ შემოწირულებისათვის. კ. აფხაზი“.

ოვანეს თუმანიანი არ ღალატობდა რწმენა და ინტუიცია, როცა გულით ესალმებოდა ქართული უნივერსიტეტის შექმნას. მხოლოდ ხუთი წელი იცოცლა მან თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ. ეს წლებიც აღსატურებდა მისი ღრმა რწმენის შეუმცდარობას.

ქართულ უნივერსიტეტს, ივანე ჯავახიშვილის საჯარო განცხადებით, არასდროს არ ჰქონია პრეტენზია ან წადილი გადაქცეულიყო მთელი კავკასიის უნივერსიტეტად, მაგრამ მის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად განისაზღვრა მოქმედი ხალხების კულტურისა და ისტორიის შესწავლა, ურომლისოდან შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს ისტორიის შესწავლა. რასაკვირველია, უპირველესად ეს სომხების მდიდარ საისტორიო მწერლობას ეხებოდა, როგორც ისტორიკოსთა სიმრავლის მხრივ, ისე ცნობათა სიუფითაც. უნივერსიტეტის დამაარსებელს — ივანე ჯავახიშვილს ვველაზე მეტად ღრმად ჰქონდა შეგნებული ამ უმდიდრესი საისტორიო მწერლობის მნიშვნელობა საზოგადოდ, და კერძოდ, საქართველოს ისტორიისათვის.

ივანე ჯავახიშვილის სიტყვებითვე, იგი ჯერ სტუდენტობიდან, ხოლო შემდგომ ამპირანტიბიდან პარალელურად აწარმოებდა კვლევას ქართული და სომხური საისტორიო მწერლობისა. „სომხური საისტორიო მწერლობის თავისთავადი და საქართველოს ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო.“

თბილისის უნივერსიტეტი დაარსების პირველი დღიდანვე არმენოლოგიური კვლევის ერთ-ერთ ენტრად იქცა.

პირველი სასწავლო ცხრილითვე გათვალისწინებული იყო და ყოველკვირეულად უნივერსიტეტის დაარსების პირველსავე სემესტრში აკა-

კი შინაძე ვითხულობდა ძველსომხურს — გრძნობას. სწორედ მისი მოძღვრებით, შემდგომ ცნობილმა რამდენიმე მეცნიერმაც შეისწავლა ძველი სომხური. 1918 წელს მს. კონსტანტინევიერსიტეტის პროფესორთა საბჭომ სომხურ საისტორიო მწერლობაში მუშაობისათვის დატოვა ნ. მარსის ნიჭიერი მოცაქე დ. ყიფშიძე, რომელიც, სამწუხაროდ, ერთ წლის შემდეგ სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. სომხური საისტორიო მწერლობის პირველი სალექციო ტურსი თვითონ ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა.

ახლად შეხადგმულ ქართულ უნივერსიტეტში დიდი ადგილი დაიკავა სომხეთის ისტორიისა და კულტურის კვლევამ. სწორედ მოწოდებულ იქნა მისი ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „ყოველ განათლებულ ქართველს ჰმართებს თავისი მებრძული მოძმე ერის, სომეხთა მრავალტანჯული, მაგრამ მეტად საინტერესო თავგადასავალი ცოდვის ამისათვის კი უპირველესად იმ წყაროების ცოდნა საჭირო, რომელთა მიხედვითაც სომხეთის ისტორიის აღდგენა შესაძლებელი“.

ივანე ჯავახიშვილი მოქმედებოდა ადასტურებდ: პატივისცემას და სიყვარულს სომეხი ხალხისა და მისი ძველი კულტურისადმი. როცა სომხეთის პატრიოტულმა ძალებმა გადაწყვიტეს თბილისიდან გაეტანათ ენთოგრაფიული საზოგადოების ძეგრფისი სომხური კოლექციები და მასალა, ზოგიერთმა ქართველმა მოინდომა ამ კოლექციების დაპატრონება. ივანე ჯავახიშვილი, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენელი, სასტიკად ილაშქრებს მოძმე ერის ინტერესის შელახვის წინააღმდეგ, ყოველმხრივ ასაბუთებს სომეხი ხალხის უფლებას, მიიღოს თავისი ენოგრაფიული სიმდიდრე და კიდევ ახერხებს ამის განხორციელებას. ამგვარი დამტკბე კიდევ უფრო ახლოებდა ამ ორ მოძმე ხალხს და, ეჭვი არ არის, სიხარულით ავსებდა ოვანეს თუმანიანის გულსაც.

თბილისის უნივერსიტეტი დიდი სიხარულით ეგებაოდა სომეხი ხალხის ყოველ წარმატებას. საქართველოში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას გუმბრის (ახლანდელი ლენინაქანის) უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. განეთა „სახალხო საქმე“ 1920 წლის 13 იანვარს წერდა, რომ 25 იანვარს საზეიმოდ გაიხსნება სომხური სახელმწიფო უნივერსიტეტი. იმავე გაზეთის 14 ივნისის ნომერში ვკითხულობთ: „გუშინ შუაღლის პირველ საათზე რედაქციას ესტუმრა სომხეთის სახელგანანი პოეტი ოვანეს თუმანიანი. რედაქციის წევრებმა მადლობა გადაუხადეს პატივცემულ სტუმარს და უსურვეს სომხეთს ყოველივე სიკეთე“.

1920 წლის 22 ივნისის რეპტორმა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის გამკეთობას მოახსენა, რომ 25 იანვარს გუმბრში ეწყობოდა სომხური უნივერსიტეტის სიბარძისმეტყველების ფაქულტეტის გახსნა. გამგეობამ სთხოვა პროფ.

ა. შანიძეს მისალოცი დეპეშის ტექსტის დაწერა. 24 იანვარს პროფესორთა საბჭომ მოიწონა დეპეშის ტექსტი და იგი, წიგნებთან ერთად, გაუგზავნა სომხეთის უნივერსიტეტს. ამით როდრი ამოიწურა ქართველთა სიხარული პირველი სომხური უნივერსიტეტის გახსნის გამო. ვახუთ „სახალხო საქმეში“ 1920 წლის 25 იანვარს აქაი შანიძემ გამოაქვეყნა შესანიშნავი წერილი „სალამი სომხურ უნივერსიტეტს“ სტატიასში გადმოცემულია ის სიხარული, რაც მომშე ერის უნივერსიტეტის გახსნას მოჰყვა. „დღეს გუმბარში, — წერს აქაი შანიძე, — იხსნება ახალი ტიპის პირველი სომხური უნივერსიტეტი და ამიერიდან ფართო სარბიელი ეძლევა სომხური აზროვნების განვითარების საქმეს და მტკიცე საფუძველი ეყრება სამეცნიერო მუშაობის გაჩაღებას და სომხური მეცნიერების აყვავებას.

დასაწყისში მხოლოდ სიბრძნისმეტყველების (ისტორია-ფილოლოგიის) ფაკულტეტის შექმნა სავსებით სწორია, — აღნიშნავდა აქაი შანიძე, — ბევრი სიმწევე შეხედება ახალფეხადგმულ უნივერსიტეტს, მაგრამ საქმის სიყვარულით და ენერგიული შრომით უნივერსიტეტის მეთაურნი, რომელთა შორის ბევრი განთქმული პირია, თანდათანობით დააღვივენ ყოველგვარ დაბრკოლებას. შიმში პირობებში უხდება სომხურ უნივერსიტეტს ცხოვრების დაწყება. მაგრამ დაწმუნებული ვართ, რომ უნივერსიტეტის ინიციატორები შესძლებენ თავდადებული მეცადინეობითა და დაუღალავი მუშაობით ჩი-

ნებულად გაუძღვენ დიდ საშვილიშვილო საქმეს და ბრწყინვალედ დაავიწროვებენ იგი.

უცხო ქვეყნებში გაფანტული უნივერსიტეტის მუშაკებიც, რასაკვირველია, მალე შემოიკრიბება ეროვნული მეცნიერების ტაძარში და ყველანი ერთად გასწევენ შიმშეს, მაგრამ მეტად საპატიო უღელს, რომელსაც მათ აცისრებს ისტორია და მოვლეობის გრძნობა სამშობლოსადმი.

ჩვენი მეზობლების კულტურის ზემოქმედებას ვულო უზომო სიხარულით არის აღვისილი და ეამბობთ:

გაუმარჯოს სომხური განათლების კერას გაუმარჯოს სომხურ უნივერსიტეტს!“

მართალია, შემდგომ ამ უნივერსიტეტის არსებობა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ თავისთავად ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება იმას, რომ აღნიშნოთ უნივერსიტეტის პროფესორის პირველი კოლეგიის ძირითადი ნაწილის უსაზღვრო პატრიოტიზმი და მეცნიერებისათვის თავდადება.

აქაი შანიძის სიტყვები მთელი ქართველი ხალხის სულისკვეთებასა და მისწრაფებას გამოხატავდა.

ჩერ კიდევ ოჯანეს თუმანიანის სიცოცხლეშივე მომშე უნივერსიტეტები აქტიურად იღვწოდნენ ხალხთა შორის განხეთქილების აღმოსაფხვრელად. ამჟამად თბილისისა და ერევნის უნივერსიტეტები ყოველმხრივ აძლიერებენ ორი ხალხის ძმობას. ისინი ყოველ მხრივ სწავლობენ ხალხთა მეგობრობის ნამდვილი შოშილერის — ოჯანეს თუმანიანის მდიდარ მემკვიდრეობას.



## შთაბეჭდილებათა გამაძლიერებელი ანუ ინტენსიური კომპოზიტების (Composita intensiva) დაჭერილობისათვის\*

წარსულში სადავო სალიტერატურო ფორმების მოსაწესრიგებლად დაწყებული კვლევები ჩვენს დროში დასასრულს უახლოვდება. „ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის“ დიდი და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ერთიან დამწერლობას და, მართლწერის მხრივ, მრავალგვარობა საგრძნობლად შემცირდა, რასაც ცხადყოფს 1968 წელს, ვ. თოფურიას რედაქტორობით გამოცემული ვრცელი „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც 1941, 1947 და 1949 წლებში გამოქვეყნებულ „ორთოგრაფიული ლექსიკონების“ საგრძნობლად შევსებულ შინაარსს წარმოადგენს. მაგრამ ბევრი რამ რჩება კიდევ სადავო სალიტერატურო ენის ფორმებს შორის, მაგ., ზოგი რთული სიტყვის, კომპოზიტის დაწერილობა, რის შესახებაც „ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ავტორნი ვ. თოფურია და ი. გიგინეიშვილი წერდნენ: „ლექსიკონში შეიმღებება აღმოჩნდეს სადავო საკითხებიც, განსაკუთრებით რთული სიტყვების მართლწერასთან დაკავშირებით“ (იხ. 1949 წ., გვ. 4).

ჩემი ეს მცირე ნარკვევი „შთაბეჭდილებათა გამაძლიერებელი ანუ ინტენსიური კომპოზიტების“ (Composita intensiva) მართლწერისათვის“ იმავე მიზანს ემსახურება, რასაც „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ (1968 წ.) წინასიტყვაობი ერთ-ერთი ავტორი ი. გიგინეიშვილი ასე გამოხატავს: „შეინშენები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ ლექსიკონის გაუმჯობესებას და, მაშასადამე, ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისა და მონოლითურობის დაცვას, რასაც ეს წიგნი ემსახურება, მადლობით იქნება მიღებული“ (გვ. 007).

ზოგი რთული სიტყვის, კომპოზიტის დაწერილობა დღესაც დედას იწვევს, რაც ჩემი აზრით, გამოწვეულია უბირატესად როგორც ამ კომპოზიტების ბუნება-აგებულების სირთულით, ისე მათი დაწერილობის მკვიდრი მეცნიერული საფუძვლების უქონლობითაც. ჩვენ კომპოზიტების მართლწერის მეცნიერული საფუძვლები ასე გვაქვს წარმოდგენილი: 1) ყოველივე ენობრივი ფაქტის და, მაშასადამე, კომპოზიტების ბუნება-აგებულების, მათი დაწერილობის კვლევა-აწარმოი შინაარსისა და ფორმის ერთიანობას უნდა დაექვემდებაროს და 2) კომპოზიტების დაწერილობა უმთავრესად აზრობრივს, სემასიოლოგიურ მომენტს უნდა დაუკავშირდეს. ამ დებულებათა უგულუბელოყოფა კომპოზიტების მცდარ დაწერილობას იწვევს, რის საილუსტრაციოდაც გავიხსენოთ ი. ფერაძისა და ი. სიხარულიძის სახელმძღვანელო „ენის დაკვირვება“ (1927 წ.), სადაც ავტორნი ამბობენ, რომ „ენის ფაქტებს ფორმალური გრამატიკის თეორიისთვის დაუშვებთ“ (გვ. VII). და კომპოზიტებს ისინი მხოლოდ გარეგანი ნიშნების, ფორმის მიხედვით განიხილავენ, აზრობრივ მომენტს უგულუბელოყოფენ და მრავალწებთან კომპოზიტს (მთა-ბარს) და ერთ-ცნებთან (გულეთილს) შემდგენელ ნაწილებად (კომპონენტებად) ყოფენ და ორივე კომპონენტს ერთ სიტყვად (მთაბარი, გულეთილი) წერენ (გვ. 18), რაც შესაწყენარებელი არ არის. რომ კომპოზიტების დაწერილობისას მხოლოდ ფორმებს გვეყვება უზრაველობა და აზრობრივი მომენტი უგულუბელოყოფილია — ამას ცხადყოფს ვ. თოფურიას და ი. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ (1968 წ.) შემდგევი ადგილი: „დღევანდით იწერება ორ-და მერმინშენელობიანი კომპოზიტები, რომელთა შემდგენელ ფუძეთა შორის ივარაუდება და კავშირი: ოჭრო-ვერცხლი, საბ-

\* იხილეთა კამათის წესით.

ნის-საკვეთი, მიწერ-მოწერა, ლათინურ-ქართული, სამ-სამი, ჰრელ-ჰრელი, უბან-უბან, ქართლ-ქახეთ-იმერეთი\* (იხ. გვ. 015).

კომპოზიტები (კოქორ-ვერცხი, სახნის-საკვეთი, მიწერ-მოწერა, ლათინურ-ქართული, ქართლ-ქახეთ-იმერეთი\*) მრავალენობიანება და მათი შეახაზით დაწერაობა საფუძვლიანია. ბოლო კომპოზიტები (სამ-სამი, უბან-უბან, ჰრელ-ჰრელი\*) ერთენობიანი იტერატიული კომპოზიტებია და ამიტომ ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს.

ამვე „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ სინტაქსური ვაზრების მნიშვნელობა უაჩუფილია. აქ ერთენობიანად მიჩნეული და, მასთანავე, ერთ სიტყვად არის დაწერილი თმაგათებრებული (გვ. 434), ენაგრძელი (გვ. 398) და სხვ. მსგავსები, რაც მცდარია. თმაგათებრებული სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება ერთენობიანი კომპოზიტი იყოს და აბაკომპოზიტიც. კომპოზიტია ფრაზაში: ეს ადამიანი თმაგათებრებულია (შერქმევა), მაგრამ არაა კომპოზიტი წინადადებაში: ამ ადამიანს თმაგათებრებული აქვს. პირველ შემთხვევაში თმაგათებრებული, როგორც ერთენობიანი კომპოზიტი, ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს (თმაგათებრებული), ხოლო მეორეში — ორ სიტყვად (თმაგათებრებული). ისევე ითქმის ენაგრძელზე და სხვ. მსგავსებზე. მაგრამ „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ სწორადია დაწერილი წვერ-ვაპარსული (გვ. 959), თვალდაბუქული (გვ. 430) და მსგავსები. ესენი, როგორც ბრუნვაშეკვეცილი, ყოველ კონტექსტში ერთენობიანება არიან და ერთ სიტყვად უნდა ეწეროს. კომპოზიტების წარმოქმნის მხრივ „ასოსის მოკვეთას“ ჭერ კიდევ ანტონის სკოლა დიდ როლს აკეთებდა.

ქართულში კომპოზიტები ორგვარია: 1) ერთენობიანი და 2) მრავალენობიანი კომპოზიტები. ქართულში, ევროპული ენებისაგან განსხვავებით, ერთენობიანი კომპოზიტები მრავალგვარია, მაგ. შთაბეჭდილებათა გამამკობრებელი კომპოზიტები, მარამოვბელაფიქსიანი კომპოზიტები და სხვ.

ამ სტატიის ჩვენ შევეცდებით, შეძლებისამებრ, დაეახატოთ დაწერაობა შთაბეჭდილებათა გამამკობრებელი კომპოზიტებისა (Composita intensiva), რომლებიც სამი სახისაა: ა) ცნებადაქვემდებარებული ანუ სუბორდინატიული კომპოზიტები (Composita subordinativa), ბ) სინონიმიური კომპოზიტები (Composita synonymica) და გ) კომპონენტგაორკეცებული ანუ იტერატიული კომპოზიტები (Composita iterativa).

შთაბეჭდილებათა გამამკობრებელი კომპოზიტების ბუნება-აგებულება და დაწერაობა სათანადოდ რომ ვაიჩვენო, ერთენობიანი და

მრავალენობიანი კომპოზიტები ერთმანეთს შევადაროთ.

თუ სხვადასხვა სიტყვას, რომლებიც ერთმანეთთან რაიმე ნიშნით დაახლოებულია, შევაერთებთ, რთულ სიტყვას, კომპოზიტს მივიღებთ. როცა ამ რთულ სიტყვას, კომპოზიტის თითოეულ ნაწილს, კომპონენტს თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა და აზრი არ ეკარგება, მაშინ მრავალენობიანი კომპოზიტი გვექნება და შეახაზით, დეფინიციით უნდა ეწეროს (მაგ. მთა-ბარი, დედ-მამა და სხვ.). და თუ რთული სიტყვის, კომპოზიტის ნაწილები, კომპონენტები ერთად, თავისი შინაგანი აზრით, ერთ საგანს, ერთ ცნებას ხატავს, მაშინ ერთენობიანი კომპოზიტს მივიღებთ და უშეახაზოდ, ერთ სიტყვად უნდა ვაეფორმოთ (მაგ. ფეხბურთი, გულკეპილი და სხვ.).

შთაბეჭდილებათა გამამკობრებელს, ინტენსიურ კომპოზიტებს მიეკუთვნება ცნებადაქვემდებარებული ანუ სუბორდინატიული კომპოზიტები, რომელთაც, როგორც წესი, ყველა შეახაზით წერს. „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1968 წ.) ეს კომპოზიტები შეახაზითა წარმოდგენილია: „ხეტყე“ (გვ. 986), „თოფ-იარაღი“ (გვ. 435), „ვარდ-ყვავილები“ (გვ. 409) და სხვ. რაც მცდარია. ესენი და მსგავსნი, როგორც ერთენობიანი, ერთ სიტყვად უნდა ეწეროს და იმ რატიომ: მაგ. დედ-მამა მრავალენობიანი კომპოზიტია და შეახაზით უნდა დაიწეროს. ამ კომპოზიტის თითოეულ კომპონენტს (დედა, მამა) დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და აზრი არ ეკარგება. დედ-მამაში დედაც იფულისხმება და მამაც. მაგრამ ამის თქმა ხეტყეზე, თოფ-იარაღზე, ვარდ-ყვავილებზე და მსგავს კომპოზიტებზე არ შეიძლება, მართალია, მაგ., ხეტყე ხე და ტყეა, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად, მორფოლოგიურად. მაგრამ სულ სხვაა შინაგანი აზრით, სემასოლოგიურად ხეტყე. ამ კომპოზიტის კომპონენტებს ცალცალკე არავინ ვაფიქრებს და, მასთანავე, ამ კომპოზიტის კომპონენტების (ხე, ტყე) შეახაზით (ხეტყე) ან ორ სიტყვად (ხე ტყე) დაწერაობასა და მათზე ყურადღების შეწერებას არც თეორიული და არც პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს. აქ ერთ კომპონენტზე (ტყე) მეორისათვის (ხე) გვარს წარმოადგენს და უკანასკნელს, როგორც სახეს, შეიცავს, იქვემდებარებს. წინადადებაში ერთი შინაარსის მხრივ ძირითადია, აქტიურია, მეორე კი პასიურია და მხოლოდ აზრის, შთაბეჭდილების გამამკობრებელ როლს ასრულებს, მაგ. როცა იტყვიან: ბევრი ხეტყე მოზიდესო, ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი ხე (მასალა) მოზიდეს და არა: ბევრი ხე და ტყე. მასთანავე, თოფი-იარაღი, ვარდყვავილები, გულმკერდი და სხვ. სხვ. ცნებადაქვემდებარებული ანუ სუბორდინ-

ნატურული კომპოზიციები, როგორც ერთენებია-  
ნები, ერთ სიტყვად უნდა ვწეროთ.

ამავე სუბერდინატულ კომპოზიტებს უნდა  
მივაკეთოთ სახლკარი, რომელსაც თითქმის  
ყველა შეახაზითა წერს. შეახაზით წერენ „ჭა-  
რთული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“  
ავტორებიც: „სახლ-კარი“ (გვ. 681), რაც გაუ-  
მართლებელია. და-ძმაში დაც იგულისხმება და  
ძმაც. თითოეული კომპონენტი თავის მნიშვნე-  
ლობასა და აზრს ინარჩუნებს და, მაშასადამე,  
და-ძმაში, როგორც მრავალენობიან კომპოზი-  
ტში, შეახაზი გამართლებულია. მართალია,  
„სახლ-კარი“ „სახლი და კარი“, მაგრამ ეს  
მხოლოდ ფორმალურად. სულ სხვაა აზრობრი-  
ვად „სახლკარი“. მისი კომპონენტები (სახლი,  
კარი) თითქმის სინონიმებად გადაქცეულია და  
მათ ცალკეც არაფერ გაიფიქრებს, მაშასა-  
დამე, ამ კომპოზიტის კომპონენტების შეახაზ-  
ით შეერთება (სახლ-კარი) და მათზე უფროდღე-  
ბის შეჩერება ყოველნაირად გუგმართლებელია.  
სახლ-კარიშ მეორე კომპონენტი (კარი) განს-  
ხეავეებით სხვა სუბორდინატული კომპოზიტე-  
ბისაგან, არამირადიანი მნიშვნელობითაც იხმა-  
რება, მაგ., კარი წიგნში თავს, განყოფილებას ნი-  
შნავს; მაგრამ კარი სახლთან (სახლკარი) და კა-  
რი მიღამოსთან, ეზოსთან (კარ-მიღამო) მხოლოდ  
სახლის მნიშვნელობით იხმარება. მწერლო-  
ბაშიც ცნობილი ამბავია, რომ ნაწილი ხშირად  
გამოყენებულია მთელს ნაცვლად, მაგ. „პერი“  
სახლის მავანი—ჩემს „ჰერკულეს“ ვარ, ე. ი.  
ჩემს სახლში ვარო. „კარ-მიღამოში“, „კარდაკა-  
რში“, „კარისკაცში“, „კარისმწერლობაში“ და  
სხვ. ყველგან კარის ნაცვლად სახლი, სასახლე  
იგულისხმება. „კარ-მიღამო“ შემოკლებით კარი,  
ე. ი. სახლი და ახლომასლო მდებარე ადგილი,  
ვთრ არის. საზოგადოდ კარი ქართულში მეტად  
გავრცელებულია, ძველად კავკასიონის გადასა-  
სვლელებს „კარებს“ ეძახდნენ, მაგ. „არაგვის-  
კარი“ ანუ ოვსთაკარი (დარიალის ხეობა), „კა-  
რისციხე“ (ყარსი), „კლდეკარი“, „ბობლბსკა-  
რი“, „ხეკარი“, „ტაშისკარი“ და სხვ. მაგრამ  
სახლთან კარი (სახლკარი), როგორც ხეტყეში  
ტყე, პაპურია და მხოლოდ აზრის, შთაბეჭდი-  
ლების გამაძლიერებელ როლს ასრულებს. ამ  
აზრითაა ნახშიარი სახლკარი ჩვენი გენიოსი ნ.  
ბარათაშვილის „ბედი ქართლისაშიც“: „რომე-  
ლსა (ე. ი. შეფეს) სურს, რომ თავისი შვილი  
თვის სიციხულშიც დასახლდეს“ (იხ.  
1968 წ. გვ. 83). სახლკარიც, როგორც სუბორ-  
დინატული კომპოზიტი, ერთ სიტყვად უნდა  
ვწეროთ.

2) შთაბეჭდილებათა გამაძლიერებელს, ინტენ-  
სიურ კომპოზიტებს სინონიმური კომპოზი-  
ტების მიეკუთვნება. სინონიმური კომპოზი-  
ტებს შეახაზით წერენ. შეახაზით არის წარმოდ-  
გენილი ეს კომპოზიტები „ქართული ენის ორ-  
თოგრაფიულ ლექსიკონშიც“, მაგალითები: „ყო-

ფა-ცხოვრება“ (გვ. 778), „შალ-ლომე“ (გვ.  
918), „სვე-ბედი“ (გვ. 683), „დათ-წესები“ (გვ.  
10), „ქვეა-პიეზა“ (გვ. 467), „წინ-წინა-  
გვ. 417), „ახსნა-განმარტება“ (გვ. 822) და სხვ.

როგორც ცნობილია, ერთი სიტყვის ხშირად  
გამეორება უსამართლოა და სინონიმებიც (მნი-  
შვნელობით ერთმანეთს ემთხვევა, ან ერთმა-  
ნეთთან ძალიან ახლოსაა, ფორმით კი განსხვავ-  
დება) ენის დიდ სამაზუსტს უწყვეს. სინონიმები,  
ცალკე ნახშიარი, სტილს ალამაზებს, ხოლო სი-  
ნონიმური კომპოზიტებს სულ სხვა დანიშნე-  
ლება აქვს. ისინი მეტყველებაში მხოლოდ შთა-  
ბეჭდილებათა გამაძლიერებლებად იხმარებიან.  
სინონიმური კომპოზიტების კომპონენტები  
თითქმის ერთ საგანს, ერთ ცნებას გამოხატავენ  
და ერთი მათგანი, როგორც გამაძლ., მხოლოდ  
აზრის გამაძლიერებლად იხმარება. ესენი, რო-  
გორც ერთენებიანი კომპოზიტები, ერთ სი-  
ტყვად უნდა ვწეროთ. სინონიმური კომპო-  
ზიტების შეახაზით დაწერა, მაგ. ყოფა-ცხოვრ-  
ება და მის კომპონენტებზე (ყოფა-ცხოვრება)  
უფროდღეობის შეჩერება ყოველგვარი მონაზ-  
რებით გუგმართლებელია. მართალია, სინონი-  
მური კომპოზიტების კომპონენტებს შორის  
და კავშირი შეიძლება ვიხმაროთ, მაგ. სვე-ბედი,  
ე. ი. სვე და ბედი, და სხვ., მაგრამ ეს იქნებო-  
და აზრობრივ ტავტოლოგია და სტილისტიკა-  
რადაც გუგმართლებული — ეს ერთი, და მეო-  
რეც: სინონიმური კომპოზიტების კომპონენ-  
ტები და კავშირით არც მწერლობაში და არც  
ზეპირმეტყველებაში არ იხმარება. მაშასადამე,  
ყოფა-ცხოვრება, ყოფაქცევა, ძალღონე, სვებედი,  
ადაწესი, წინაგველუბა, წესკანონა, ღარიბლა-  
ტკი, ახსნა-განმარტება, კვლევები და სხვ.,  
როგორც ერთენებიანები, შთაბეჭდილებათა გა-  
მაძლიერებელი კომპოზიტები, ერთ სიტყვად  
უნდა ვწეროთ.

3) შთაბეჭდილებათა გამაძლიერებელს, ინტენ-  
სიურ კომპოზიტებს კომპონენტთა რეკურსული  
ანუ იტერატული კომპოზიტებიც მიეკუთვნება.

ამ კომპოზიტებს დღეს წერენ როგორც ერთ  
სიტყვად, ისე შეახაზითაც. „ქართული ენის  
ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც“ ბევრი იტერ-  
ატიული კომპოზიტი შეახაზით არის წარმოდ-  
გენილი; მაგალითები: „ერთ-ერთი“ (გვ. 401),  
„ორ-ორი“ (გვ. 614), „ახ-ახი“ (გვ. 57), „ღამ-  
ღამ-ღამა“ (გვ. 305), „სქვე-სქელი“ (გვ. 696),  
„შალ-შალე“ (გვ. 193), „ახალ-ახალი“ (გვ. 79),  
„დიდ-დიდი“ (გვ. 385), „მოკლე-მოკლე“ (542)  
და სხვ. ბევრიც ერთ სიტყვადაა დაწერილი, მაგ.  
„ქვეითქვეითი“ (გვ. 763), „ღაღღაღი“ (გვ. 768),  
„ჩიჩიჩი“ (გვ. 904), „ციციცი“ (გვ. 911),  
„აყალ-აყალი“ (გვ. 75), „ზაგაბეგი“ (გვ. 84),  
„ბრახახახი“ (გვ. 98) და სხვ.

ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში  
შეახაზითაა წარმოდგენილი: „აყალ-აყალი“

(გვ. 720), „ზავა-ზუგი“ (გვ. 247), „ბრახა-ბრუ-  
ხა“ (გვ. 1121) და სხვ. (იხ. 1950 წ., ტ. 1).

ს. იორდანიშვილის აზრით, კომპონენტგაორ-  
კეცებულ ანუ იტერატიულ კომპოზიციებში „მე-  
ორე ნაწილი (ციმციმი, ბუტბუტი, ზაფხაჟი, ჩიფ-  
ჩიფი, ზაფხაჟი, ჩიფჩიფა და სხვ.) მნიშვნელობ-  
ას მოკლებული მარცვლათა კრებელი და მათი  
დღეფიხით წერა იწვევს თვალ-გონების უაზ-  
რო მარცვლათა კომპლექსებზე გაუმართლებელ  
შეჩერებას, ამიტომ საჯალღებულად უნდა მი-  
ვიჩინოთ მათი ერთად, უდღეფიხოდ წერა“. ავ-  
რთვე ბებრეშმეცვილის გამოირებულ კომ-  
პოზიციებშიც (თქაფათქუფი, ბრახაბრუხი, აყა-  
ლმავალი და სხვ.), მისი აზრით, „ცალ-ცალ-  
კე აღებული, შემადგენელი ნაწილები უმეტეს  
შემოხვევაში ცნებაუხატველი ბებრათა კომპ-  
ლექსებია და მათი ერთად შერწყმა გვძლევს  
გარკვეულ ცნებას, ამიტომ ესენიც ერთად  
უნდა ვწეროთ, უდღეფიხოდ“ (იხ. მისი „ქართუ-  
ლი კომპოზიციების დაწერლობისათვის“, 1934  
წ., ნაკვეთი VII, გვ. 5-9).

ამავე საფუძვლით წარმოდგენილია იტერა-  
ტიული კომპოზიციების მართლწერა ვ. თოფუ-  
რას და ი. გიგნეიშვილის „ქართული ენის  
ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1968 წ.), „ერ-  
თად იწერება ერთმნიშვნელობიანი ფუძეგაორ-  
კეცებული კომპოზიციები, რომელთა შემადგე-  
ნელი ნაწილები მნიშვნელობას მოკლებული  
მარცვლებია (ბუტ., ზაფ., ძაგ., და მისთ.); ბუტ-  
ბუტი, კაშკაში, რახრახი, ძაგაჟი, ჩაქჩაქი, ჩიფ-  
ჩიფი და სხვ. აგრეთვე ა — სუფიქსადართული  
იგივე კომპოზიციები: ზაფხაჟა, კაშკაში, ლაქა-  
ქა და სხვ. ამ ტიპის სხვა კომპოზიციებიც, რომ-  
ელთა ფუძეში ხმოვანის ან თანხმოვნის შეცვ-  
ლა ხდება: კანტიკუნტად, ბაქბუქება, ბინდ-  
ბუნდი, ავანიავანი, ხათქბუთქი, არეზარე და  
სხვ.“ (იხ. გვ. 014).

იტერატიული კომპოზიციები, როგორც ერთ-  
ცნებაიანები, ერთსიტყვად უნდა დაიწეროს,  
მაგრამ არა იმ დებულეზების საფუძვლით, რომ-  
ელთაც ს. იორდანიშვილი და ხსენებული „ქარ-  
თული ენის ორთ. ლექსიკონის“ ავტორნი მყრ-  
დნობიან.

კომპონენტგაორკეცებული ანუ იტერატიული  
კომპოზიციები შეიძლება ძირითადად 3 ჯგუფში  
შოვათავსოთ: 1) და კავშირიანი (მაგ. თანდათან,  
ხანდახან, პირდაპირ, ცხენდაცხენ, ფხბაფხბ,  
წინდაწინ, კვალდაკვალ, მიანიდამიანიც და სხვ.);  
2) უკავშირობიანი (ორბორი, სამსამი, ასასი, ერთ-  
ერთი, ახალახალი, ციმციმი, დიდდიდი, ბუტბუ-  
ტი, ლელლელი, ზაფხაჟა, სკელსკელი, ლაქა-  
ქა, ჩიფჩიფა, რაყრაყი, ჩუხჩუხი, ჯაგჯაგი, ჩაქ-  
ჩაქი და სხვ.) და 3) ბებრეშმეცვილი იტერა-  
ტიული კომპოზიციები (მაგ. თქაფათქუფი,  
აყაღმავალი, არეზარე, ახლომახლო, ფაცა-  
ფუცი, ბრახაბრუხი, ბინდბანიდი, ლაწალწი,  
წამიწიწი, სხამასხუმი, აბღაბღა და სხვ.).

უკავშირო და ბებრეშმეცვილი იტერატიუ-  
ლი კომპოზიციები შეიძლება კიდევ აქ დავა-  
ჯუფოთ: ა) დისტრბუტიული ანუ დაყოფილი  
იტერატიული კომპოზიციები (მაგ. თორბი, სამ-  
სამი, ასასი და სხვ.), ბ) ხმადაქვითი იტერატი-  
ული კომპოზიციები (მაგ. ჩიფჩიფი, ბუტბუტი,  
ლელლელი, ქაჭკაყი, რაყრაყი, ვახვახი და სხვ.),  
ვ) სელამაქვითი და შერქმევითი იტერატიული  
კომპოზიციები (მაგ. ზაფხაჟი, ზაფხაჟა, ჯაგჯაგი,  
თქაფათქუფი, ლაქაქა და სხვ.); დ) ზედსარ-  
თავამეორებელი (მაგ. დიდდიდი, სკელსკელი,  
გრამგრამელი, მოკლემოკლე, პატარპატარა,  
და სხვ.) და სხვა იტერატიული კომპოზიციები.

საზოგადოდ კომპონენტგაორკეცებული ანუ  
იტერატიული კომპოზიციები ისე როგორც წინა-  
დადებაში სიტყვათა გამოკრება აზრს მეტს ძა-  
ლას ანიჭებს, შთაბეჭდილებას აძლიერებს. ეს  
კომპოზიციები განსაზღვრება სუბორდინატიული-  
სა და სინონიმბურთი კომპოზიციებისაგან იმით,  
რომ ამ უკანასკნელ კომპოზიტთა ერთერთი  
კომპონენტი აქტიურია, მეორე კი პასიურია და  
აზრას, შთაბეჭდილებას გამაძლიერებელ როლს  
ასრულებს. იტერატიულ კომპოზიციებში კი ორ-  
ივე კომპონენტი აქტიურია და ერთად, ერთ  
გარემოებას, ერთ ცნებას გამოხატავს და ამი-  
ტომაც ეს კომპოზიციებიც უშეიხაზოდ, ერთ-  
სიტყვად უნდა დაიწეროს.

როგორც წინათაც აღენიშნე, წინადადებაში  
ერთი სიტყვის ხშირად გამოკრება უსიამოვნოა  
და მით უფრო უსიამოვნო იქნებოდა კომპო-  
ნენტგაორკეცებული კომპოზიციების ხმაარება,  
მაგრამ ამ კომპოზიციებში კომპონენტთა გამე-  
ორება, როგორც ვამბობ, შთაბეჭდილებას აძ-  
ლიერებს და ამავე დროს, რაც მთავარია, ეს  
კომპონენტები ერთად ერთ გარემოებას, ერთ  
ცნებას ხატავს, წინააღმდეგ იტერატიული კო-  
მპოზიციები მნიშვნელობას დაკარგავენ და ეს გარ-  
კვეთილ ჩანს და კავშირიანი იტერატიული კომ-  
პოზიციებშიც, როგორცია, მაგ., თანდათან,  
ხანდახან, კვალდაკვალ „ცხენდაცხენ და სხვ.  
როგორც ცნობილია, თან თანდებულია და იგი  
თავის ფუნქციას (მდებარეობა) ასრულებს.  
მაგრამ იტერატიული კომპოზიტი თან და კავ-  
შირიანი გამოკრების შედეგად ახალ შინაარსს  
გამოსხატავს: თანდათან (განვითარება). ასეა  
კავშირი ხან, რომელიც თავის ფუნქციას (მი-  
ერთებელი) ასრულებს, მაგრამ იტერატიულ  
კომპოზიტი ხან და კავშირთან გამოკრებისას  
ახალ შინაარსს გვაძლევს: ხანდახან (დროგა-  
მოსწევით) და სხვ. და კავშირიანი იტერატი-  
ული კომპოზიციები თითქმის ყველა ზნისსარსს  
წარმოადგენს. ესენი და მსგავსნი, როგორც  
ერთცნებაიანები, ერთ სიტყვად უნდა ვწეროთ  
და არა შუახაზით, ვინაიდან და კავშირი თა-  
ვისთავად მკერთებელი კავშირია და კიდევ  
შუახაზის ხმაარება უაზროა (ს. გორგაძე).

„ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ (1968 წ.) ავტორნი კომპონირებენ მხოლოდ გარეგანი ნიშნების, ფორმის მიხედვით განიზილავენ, მათს აზრობრივს, სემანოლოგიურ მხარეს უგებებულყოფენ და რთულს ზმნის-ზედიანს იტერატიულ კომპონიტებს, როგორცაა, მაგალითად: „მალ-მალე“ (გვ. 439), „ჩქარ-ჩქარა“ (გვ. 906), „მალა-მალა“ (გვ. 498), „გვიან-გვიან“ (გვ. 284), „ნელ-ნელა“ (გვ. 603) და სხვებს შეახაზით წერენ, რაც მცდარია. ეს კომპონიტები, როგორც ერთტენიანები, ერთ სიტყვად უნდა ვწეროთ. ქართულში, როგორც წესი, შეახაზი იხმარება მხოლოდ მრავალსენიან კომპონიტებში (მაგ. ოქრო-ვერცხლი, ლათინურ-ქართული, მიწერ-მოწერა, ქართლ-კახეთი-იფრეთი და მსგავსებში), სადაც მათი თითოეული კომპონენტი თავის მნიშვნელობასა და აზრს არ კარგავს, მაგ. ოქრო-ვერცხლში ოქროც იგულისხმება და ვერცხლიც. და ამიტომ ეს სიტყვა შეახაზით უნდა დაიწეროს. მაგრამ, მაგ., გულკეთილი ერთსენიანი კომპონიტია და ერთ სიტყვად უნდა ვწეროთ, რადგან ერთ აზრს ხატავს, ორივე კომპონენტი (ცული, ცუთილი) ერთად ერთ გარემოებას, ერთ ცნებას აღნიშნავს. გულკეთილი არ არის: გული და ცუთილი, როგორც, მაგ., ოქრო-ვერცხლი (-ოქრო და ვერცხლი), არამედ გულკეთილი თავისი შინაგანი აზრით ერთ საგანს, ერთ ცნებას — რთულს ზედსართავ სახელს, რთულ თვისებას ხატავს. ასეა რთულ-ზმნისზედიანი იტერატიული კომპონიტი მალ-მალეც. „მალ-მალე“ არ არის: მალე და მალე, როგორც, მაგ., ოქრო-ვერცხლი (ოქრო და ვერცხლი). მალ-მალეს კომპონენტები (მალ-მალე) ერთმანეთზეა დამოკიდებული და ერთად „იტერატიულად“ გააზრებული ერთ ცნებას — მრავალსენის გამეორებულ ვითარებას — ხატავს. რომ ეს თვალსაჩინო ვახდეს, მოვათავსოთ იტერატიული კომპონიტი წინადადებაში, ექვთიან, მაგ.: ეანომ წერილი მალ-მალე, ე. ი. მალე და მალე მიიღო, უაზრობაა, არ იხმარება; მაგრამ: ვანო წერილს მალ-მალე იღებს. მაშასადამე, მალ-მალე, ჩქარ-ჩქარა, ნელ-ნელა და მსგ. რთულ-ზმნისზედიანი იტერატიული კომპონიტები, როგორც ერთსენიანები, ერთ სიტყვად უნდა ვწეროთ.

„ორთოგრაფიული ლექსიკონის“ (1968 წ.) 284-ე გვერდზე წარმოდგენილია ერთიდაიგივე იტერატიული კომპონიტი და კავშირითაც (გზა-დაგზა) და შეახაზითაც (გზა-გზა), რაც გაუპართლებელია. შეახაზი და კავშირის ექვივალენტს წარმოადგენს და იგი იხმარება მხოლოდ მრავალსენიან კომპონიტში, რომლის კომპონენტებიც მეტყველების ერთგვაროვან კატეგორიას მიეკუთვნება, მაგ. არსებითი სახელები (დღე-მამა), ზედსართავი სახელები (მალა-დაბალი) და მსგ. სხვები. იტერატიულ კომპონი-

ტებში შეახაზის გამოყენება უღველნიერად გამართლებელია.

როგორც ვამბობ, იტერატიული კომპონიტის ორივე კომპონენტი ერთად ცხლს, ერთ გარემოებას, ერთ ცნებას გამოხატავს და, როგორც ყოველი ერთი აზრის მექანი სახელი, ერთ სიტყვად, უშეახაზოდ უნდა ვწეროთ, მაგ. „ორ-ორი“ არ არის ორი და ორი მსგავსად მრავალსენიანი კომპონიტისა: დღე-მამა, ე. ი. დღეა და მამა, არამედ ორორი, სამსამი, ასასი და მსგავსად დისტრიბუტიული რიცხვითი სახალებია და ერთად ერთ ცნებას — განაწილებას, დაყოფას (გუფუფება) — გულისხმობს და ამიტომაც უშეახაზოდ, ერთ სიტყვად უნდა ვწეროთ (ორ-ორი, სამსამი, ასასი და სხვ. მსგავსნი).

რომ იტერატიულ კომპონიტში ორივე კომპონენტი ერთად გააზრებული ერთს ახალ გარემოებას, ერთს ახალ ცნებას გამოხატავს — ამას ცხადყოფენ იტერატიული კომპონიტი ერთერთი, ე. ი. ერთი მრავალთავანი. ეს ერთსენიანი იტერატიული კომპონიტია და ერთ სიტყვად, უშეახაზოდ უნდა დაიწეროს.

ურთიერთი, ერთერთი, ერთიერთი, ერთმანერთი — ესენი სინონიმები არიან და ერთის გაორცელებით და ფონეტიკური ცვლილებების შედეგად არიან მიღებულინი. ასეა ქართველურ ენებშიც, მაგ. მეგრულ-ქანურშიც: „ერთერთის აღსანიშნავად ქანურში ანთიარითიც, კართიკართიც. ათიქართიც (ერთმანერთი) იხმარება“ (ივ. ჯავახიშვილი). „წმიდა ამონიოს აღწერაში“ წერია: „... და ზოგნი ერთიერთისა ნუგეშინის სცემდეს“ (იხ. ქართული ენის ისტორიული პრესტამათია, 1949 წ., გვ. 213).

ერთიერთისაგან, სხვაგვარი გააზრებისა და ი ფლქსიის ამოვარდნის შედეგად, მივიღეთ ერთერთი, რაც ძველ მწერლობაში არ იხმარებოდა. ერთერთი აზრობრავად დაშორდა თავის ზემომსენებულ სინონიმებს და ერთ მრავალთავანს წინაგას.

გრამატიკოს-მცვლევარი თ. გორდანი ერთერთის შეახაზით წერს, რაც მცდარია: ერთი ორთავანის მაგიერ ერთყვით: ერთ-ერთი ანუ ერთი-და-ერთი (იხ. მისი ქართული გრამატიკა, 1889 წ., გვ. 115).

დღეს თითქმის „დაკანონდა“ მისი შეახაზი დაწერილობა. „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონში“ ავტორნი მას შეახაზით წერენ: „ერთ-ერთი“ (გვ. 401), რაც უგამართლებელია. ერთერთი, როგორც ერთსენიანი კომპონიტი, ერთ სიტყვად უნდა ვწეროთ. „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ ერთადერთს (ე. ი. მხოლოდ ერთს) ერთ სიტყვად წერენ: „ერთად-ერთი“ (გვ. 400). ვინც ერთადერთს ერთ სიტყვადა წერს, მან იმავე საფუძვლით ერთერთიც (ერთი მრავალთავანი) ერთ სიტყვად უნდა დაწეროს. ამავე „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ არცერთი ორ სიტყვადა წარმოდ-

გენილი: „არც ერთი“ (გვ. 56). არცერთი ც. ი. ერთიც არა) ერთი სიტყვად უნდა დაიწეროს (არცერთი). მაგრამ წინადადებაში დაბიძისბირებისას კი ორ სიტყვად უნდა გაფორმდეს, მაგ. ამ მკვლევართს არც ერთი და არც მეორე მოსაზრება საფუძვლიანი არ არის.

კომპონენტგორაკეცბული ანუ იტერატიული კომპოზიტები ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს, მაგრამ არა იმ არგუმენტაციებით, რომელთაც ხ. იორდანიშვილი და „ქართულ ენის ორთოგრაფიული ლექსიკონს“ ავტორნი გვათხოზბუნენ. წინააღმდეგ მათი მოსაზრებისა, იტერატიული კომპოზიტის არცერთი ნაწილი (კომპონენტი) და, მაშასადამე, მეორე ნაწილიც (მაგ. ბუტ-ბუტი, ჩიფ-ჩიფი და სხვ.) „მნიშვნელობას მოკლებული, უაზრო მარცვალთა კომპლექსი“ არ არის, ორივე ნაწილს, კომპონენტს მნიშვნელობა და აზრი აქვს. და არც შეიძლება სხვათირად იყოს, ვინაიდან „არ არსებობს არცერთი ენობრივი ფაქტი, რომელიც რასმე არ ნიშნავდეს და საზოგადოებრივ ცხოვრებას არ ეხმარებოდეს“.

აქ შემდეგიც უნდა აღინიშნოს: ტექნიკა-მეცნიერთების განვითარებასთან დაეჯშირებით, ზოგი სიტყვა და, მაშასადამე, ზოგი იტერატიული კომპოზიტიც დღეს მოქველებულია და აღარ იხმარება, მაგ.: ვითაეითა, თესლადათესლადი და სხვ. მათ ნაცვლად მწერლობაში ახლამ ჩნდება. ზოგ იტერატიულ კომპოზიტს ფორმა შეეცვალა, მაგ. ზედანზედა (ახლა: ზედინედ), ბინდბანდი (ახლა: ბინდბუნდი) და სხვ. ზოგს შინაარსიც შეეცვალა. მაგ. ხელდახელ, რაც ხელით შეგებას ნიშნავდა (იხ. „ვეფხისტყაოსანი“), ახლა კი ხელდახელ სწრაფად, მოუზნადებლად მოქმედებას გულისხმობს, და სხვ.

ს. იორდანიშვილი უგულვებელყოფს იტერატიული კომპოზიტების თავისებურებას (სპეციფიკას) და მათ ჩვეულებრივი კომპოზიტების მსგავსად განიხილავს. და ბუნებრივია, რომ იტერატიული კომპოზიტების (მაგ. ბუტბუტი, ბაჟბაჟი, თქაფათქუფი და სხვ.) მეორე ნაწილი, კომპონენტი (-ბუტი, -ბაჟა, -თქუფი და სხვ.) „ცნება-უხატველ და უაზრო მარცვალთა კომპლექსებად“ ეჩვენება. და ეს იმიტომ, რომ კომპონენტები—ბუტი,—ბაჟა,—თქუფი... მწერლობაში არ იხმარება. მაშინ როდესაც ჩვეულებრივი კომპოზიტების (დედ-მამა, ფეხ-ბურთი...) კომპონენტები ცალცალკე (დედა, მამა, ფეხი, ბურთი...) მწერლობაში იხმარება და თითოეული მათგანი ცნებას ხატავს. ავტორს იტერატიული კომპოზიტების კომპონენტები „იტერატიულად“, ე. ი. ერთად გაანრებული რომ განვიხილო (ბუტბუტი, ბაჟბაჟა, თქაფათქუფი...), მაშინ მათ „ცნებაუხატველ და უაზრო მარცვალთა კომპლექსებად“ არ მიიხნევიდა, რადგან იტერატიული კომპოზიტების კომპონენტები აუცილებელსა და შეუცვლელ ელემენტებს წარმოადგენს იმ მდგომარეობის,

ენების გამოსახატავად, რომელსაც მერყველება, სიარული თუ სხვ. ვითარება იწვევს.

მაგალითისათვის დავასახელოთ იტერატიული კომპოზიტი ბუტბუტი, რომელიც არაუმთავად განსხვავდება მრავალენობიანი კომპოზიტისაგან, როგორცია, მაგ., დედ-მამა. ამ კომპოზიტში თითოეული კომპონენტი (დედა, მამა) თავის დამოუკიდებელ აზრსა და მნიშვნელობას არ კარგავს. დედ-მამაში დედაც იგულისხმება და მამაც. ბუტბუტი, როგორც, მაგ., ფეხბურთი, ერთენობიანი კომპოზიტია და ერთ სიტყვად უნდა ვწეროთ. როგორც ფეხი და ბურთი არ არის ფეხბურთი, ისე ბუტი და ბუტი არ არის ბუტბუტი. ამიტომ ორივე შემთხვევაში საჭიროა ამ კომპონენტების ერთად გააზრება, რის შედეგადაც I შემთხვევაში მივიღებთ ერთენობიან კომპოზიტს—ფეხბურთს (თამაში), ხოლო II შემთხვევაში—ერთენობიან ბუტბუტს (მეტყველება), და სხვ. ასე ერთ სიტყვად, უშუაახზოდ უნდა ვწეროთ ლაღაქი, ლულული, ჩიფჩიფი, ლიქლიქი, ბაჟბაჟი, ჯაგაჯი, ლულაფი, ხარხარი, ციმციმი, მუჭამუჭი, დაფაფი და სხვ.

როგორც ბუტბუტი, ჩიფჩიფი, ბაჟბაჟი და სხვ. მსგავსნი, ისე ზედსართავგამორებული კომპოზიტებიც ერთ სიტყვად, უშუაახზოდ უნდა დაიწეროს. მაგრამ მათ თითქმის ყველა შუახზითა წერს. შუახზითაა წარმოდგენილი „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონში“: „დიდილი“ (გვ. 385), „ახალ-ახალი“ (გვ. 79), „მოკლე-მოკლე“ (გვ. 542), „სქელ-სქელი“ (გვ. 696), „თხელ-თხელი“ (გვ. 436) და სხვ.

ზედსართავგამორეცეცბული კომპოზიტებიც, მაგ., დიდილი, შავშავი, სქელსქელი, მოკლემოკლე, თხელთხელი და სხვ. მსგავსნი, როგორც ერთენციანი კომპოზიტები, ერთ სიტყვად უნდა ვწეროთ. შუახზით მათი დაწერილობა გავმართლებელია. შუახზით მხოლოდ მრავალენობიანი კომპოზიტები იწერება. იტერატიულ კომპოზიტში კი ერთი ცნებაა, მხოლოდ გამოორებული (დიდილი, დედა, და არა: ორი ან მეტი). და, მაშასადამე, დღევინის, შუახზის ხმარება გავმართლებელია. მრავალენობიან კომპოზიტში, მაგ., ცოლქმარში, თითოეული კომპონენტი დამოუკიდებლობას ინარჩუნებს, არ კარგავს. იტერატიულ კომპოზიტში, მაგ. დიდილიც ერთად გააზრებულ ახალ შინაარს, ახალ ერთ ენებას — მრავლობით რიცხვს (დიდლები) ხატავს და ამიტომაც უშუაახზოდ, ერთ სიტყვად უნდა ვწეროთ. ანე ერთ სიტყვად უნდა გაეფორმოთ შავშავი, მოკლემოკლე, მალღმალღი, სქელსქელი და მსგავსი ზედსართავგამორებული კომპოზიტები.

ენის მკვლევარი პ. მირიანაშვილი წერს: „ზოგჯერ მრავლობითი რიცხვის ნაცვლად გამოთქვით ერთი და იგივე სიტყვა ორჯერ, მხოლოდ პირველს ხან ორთავ სიტყვას შოაცილეთ დაბოლოება, მაგ. დიდ-დიდი, შავ-შავი...“ (იხ. მისი „გახსოვდეს მწერ-კითხვის დროს“, 1906 წ., გვ. 6).



3. მიორიანაშვილის მოსაზრება სწორია, როცა ის ზედსართავგამორებულ კომპონიტებს შეეხება, მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ პირველ კომპონენტს ჩამოცილდეს დაბოლოება, მაგ. მოკლმოკლე (მოკლეები), და სხვ. თუ მეორე კომპონენტს ჩამოვაშორებთ დაბოლოებას, მაშინ ზედსართავგამორებულ კომპონიტს ვერ მივიღებთ და, მაშასადამე, კომპონენტია გამეორებით შრავლობით რიცხვსაც ვერ გამოვხატავთ (მაგ. მაღალ და სხვ.).

ბგერებშეცვლილი იტერატიული კომპონიტების (მაგ. თქათაქუდი, ბრახაბრუხი, მტლამაპტლუში, ლაწაღწი, ტყაპატყუბი, ზრახაზრუხი, არუმპარე და მსგ. სხვები), წინადადება ს. იორდანიშვილის და „ქართული ენის ორთგვარადილი ლექსიკონის“ ავტორთა მოსაზრებისა, არცერთი კომპონენტი „ცნებაუხატველი ბგერათა კომპლექსები“ არ არის. და რომ ყოფილიყო, მაშინ მათი „ერთად შერწყმა“ სასწაულს ვერ მოახდენდა და გარკვეულ ცნებას ვერ მოგვემდინა ამ კომპონიტების კომპონენტობა ცნება-გამომხატველი ბგერათა კომპლექსებია და ამიტომ ერთად გააზრებული გარკვეულს ერთ გარემოებას, ერთ ცნებას ხატავს. ბგერებშეცვლილი იტერატიული კომპონიტების შეახაზით დაწერა, მაგ. თქუთა-თქუდის, ზრახა-ზრუხის, არე-პარეს, მტლამა-მტლუშის და მსგავსების ყოფილიაირად გაუმართლებელია. შრავალცნებიანი კომპონიტებში კომპონენტობა თავის დამოუკიდებელ აზრსა და მნიშვნელობას ინარჩუნებს, მაგ. ცოლქმარში ცოლიც იგულისხმება და ქმარიც. იტერატიული კომპონიტებში, მაგ., თქათაქუდიში კომპონენტები ერთმანეთზეა დამოკიდებული, ესენი (თქათა, თქუდი) დამოუკიდებლად, ცალცალკე არ იხმარებიან და თქათა შინაგანი აზრით თქუდს („თქუდი“ ფონეტიკური ცვლილებების შედეგად „თქათადანაა“ წარმოქმნილი) გულსხმობს და ერთად ახალ გარკვეულს ერთ გარემოებას, ერთ ცნებას — ცხენების ფეხის ხმას — ხატავს. ასეა ბგერებშეცვლილ იტერატიულ კომპონიტშიც, მაგ. მტლამაპტლუშიც. მტლამა ცალკე სრულად ვერ გამოხატავს უფულო სიყვარულს, როგორცერთად ორივე კომპონენტი: მტლამაპტლუში. ამერგებულ ორივე კომპონენტს ერთად ახალ ცნებას მიღამოს ხატავს და ამიტომაც ბგერებშეცვლილი იტერატიული კომპონიტებიც, როგორც ერთცნებიანები უშუააზროდ, ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს.

ს. იორდანიშვილი კომპონიტებში სუფიქსების მნიშვნელობას უგულვებელყოფს, როცა „დამომოს“ შეახაზით წერს (გვ. 22) და „ბაჭაბაჟა“, „ბუბტუტას“ და მსგ. სხვ. კომპონიტების მეორე კომპონენტებს „—ბაჟა“, „—ბუტა“ და სხვ. „უაზრო მარცვალთა კომპლექსებს“ უწოდებს.

როგორც დამომბა, ისე ბაჭაბაჟა (ბუბტუტა) მაწარმოებელაფესიანი ერთცნებიანი კომპონიტია და უშუააზროდ უნდა დაიწეროს. დამამა შრავალცნებიანი კომპონიტია და მასში უშუააზროდ გამართლებულია, რადგან დამამაში ორივე კომპონენტი (და, ძმა) თავის დამოუკიდებელ აზრსა და მნიშვნელობას არ კარგავს. მასში დაც იგულისხმება და ძმაც. სხვაგვარი გააზრების შედეგად ეს შრავალცნებიანი კომპონიტი ერთცნებიანად იქცა: მეორე კომპონენტი (ძმა) ფლექსია ა მოიკვეცა და დაერთო განყენებული მდგომარეობის აღმნიშვნელი სუფიქსი—ობ და მივიღეთ ერთცნებიანი კომპონიტი დამომბა. სხვაგვარმა გააზრებამ სხვა შინაარსი და ფორმა წარმოშვა და გრაფიკული გამოხატულებაც უნდა შეიცვალოს, ე. ი. დამომბა ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს, რადგან სუფიქსი —ობ ორივე კომპონენტს მიეკუთვნება.

ბაჭაბაჟი, როგორც ბუბტუტი, ერთცნებიანი კომპონიტია და ერთ სიტყვად უნდა გაფორმდეს. სხვაგვარი გააზრების შედეგად ბაჭაბაჟში მეორე კომპონენტს ი ფლექსია შევკვეცა და შერქმევის, მსგავსების თუ სხვ. აღმნიშვნელი სუფიქსი — ა დაერთო და მივიღეთ ახალი კომპონიტი ბაჭაბაჟა. მაშასადამე, კომპონენტობა—ბაჟა წინააღმდეგ ს. იორდანიშვილის მოსაზრებისა. „ცნებაუხატველი კომპონენტი“ როდია. ამ კომპონენტზე (ბაჟა) დართული სუფიქსი—ა ამ კომპონიტის (ბაჭაბაჟი) ორივე კომპონენტს მიეკუთვნება და შინაარსს ცელოს: ბაჭაბაჟი განსაკუთრებული სიარულია, ხოლო ბაჭაბაჟა ასეთ მოსიარულედ აღიანიშნე შერქმევა. მართალია, „ქართული ენის ორთგვარადილი ლექსიკონის“ ავტორნი „დამომბას“ (გვ. 375) სწორად (ერთ სიტყვად) წერენ, მაგრამ სხვა ადგილას—ობ სუფიქსის მნიშვნელობას უგულვებელყოფენ, როცა „ას-ასობით“ (გვ. 56) შეახაზით აფორმებენ. როგორც დავსაბუთეთ, ერთერთი, საშამი, ას-ასი და მსგ. სხვ. ერთცნებიანი დისტრიატიული კომპონიტებია და ერთ სიტყვად უნდა ვწეროთ. ას-ასი ორცნებიანი კომპონიტი რომ იყოს, მაშინაც, სხვაგვარი გააზრების და ობ სუფიქსის დართვის შედეგად, ერთცნებიანი კომპონიტი მივიღებდით (როგორც, მაგ., დამამა და დამომბა) და გაერთიანებულად უნდა დაგვეწერა.

ხემოთ მოყვანილი საბუთები, ვფიქრობთ, საკმარისია იმსათვის, რათა შთაბეჭდილებათა გამაძლიერებელი ანუ ინტენსიური კომპონიტები: 1) ცნებადამკვემდებარებული ანუ სუბორდინატიული კომპონიტები 2) სინონიმიური კომპონიტები და კომპონენტგაორკვეებული ანუ იტერატიული კომპონიტები როგორც ერთცნებიანები, ერთ სიტყვად ვწეროთ.



სხეულის ზატი ლეთაებრივი აქვს, რამეთუ სრულყო ლეთაებრივმა ღღამი.<sup>1</sup>

ამირანიც ხომ ღმერთისა და კაცის ნაშვირია, მისი ღვდა ლეთაება დალია, გილგამეშის ლეთაებრიობა, როგორც ჩანს, ღვდისაგან მომდინარეობს („ამამ თუ სრულყო ლეთაებრივმა ღვდამ“). „ამირანში“ პირდაპირ ვანასწავლურული არ არის რამდენი ნაწილია ღმერთი და რამდენი კაცი, მაგრამ აშკარად ჩანს ებოსში, რომ „ღმერთის წილი“, „ღვდის წილი“ სკარბობს მასში, დალის თვისებები დომინანტობენ მის გარეგნობასა და ხასიათში, „ღვდები ამირანს ყოველთვის ღვდისებულ ნიშნებით სცნობენ“ რადგან „ამირანის ნიშანდობლივ თვისებათა შორის ღვდის ნიშნულობათასიკარბე“ შეინიშნება. მასთანადავ, გილგამეში და ამირანი ორივე ღმერთ-კაცია, ორივეს ღვდაა ღმერთი და მამა კი კაცი — ადამიანი, ორივეში სკარბობს ღვდის-ღმერთის თვისებები. გილგამეშის ღვდა ნიშნუნა — ბრძენია, ყოვლისმცოდნეა, სიზმრის ამხნელი წინასწარმეტყველია:

ღვდა გილგამეშისა, ბრძენი ყოვლის მცოდნე, ბრძენი ნიშნუნა, ყოვლის მცოდნე<sup>2</sup>.

ის წინასწარმეტყველებს, გილგამეშის, თავისი შვილის, მომავალი ბრძოლებსა და მოვლენების შესახებ. ამირანის ღვდაც — დალიც ხომ წინასწარ ეუბნება სულელმძებს, თუ როგორი რანდი გაზრდება ამირანი, ეუბნება, რომ მას ქრისტე მონათლავს, ქვეყანაზე მისი მომრევი არაიენ იქნება...

გილგამეშს „სხეულის ზატი ლეთაებრივი აქვს“. იგი „...მოზვერივით დადის ქედმაღალი, უნაბლა ძვერება მისი აარადის“. ამირანიც გარეგნულად არა ჰგავს ჩვეულებრივ ადამიანს, მას საცრისოდენა თვალები აქვს და უჩვეულო ღონე, რომელიც აგრეთვე თვით ღვდის — დალის წინასწარი თქმით თვით ქრისტე-ღმერთის მიერ არის მინიჭებული. გილგამეშს ბატონობასთან საბატონლევლად ჰყავს თავისი მფარველი ლეთაება — შამაში.

წადი, გილგამეშ, გზამშეიდობისა.

შამაში ბოროტს ავაშორებს

ნაბიჯებს ბრძნულად წარგიმართავს<sup>3</sup>.

ან კიდევ:

ღმერთია, ძმობილო, ვისაც ჰყენ მიყავართ,

<sup>1</sup> გილგამეშის, „ნაკადული“ თბილისი, 1965 წ. კონაძის თარგმანი, გვ. 18. ციტირებული ადგილები შეკრებულია პროზაულ (მწყაროდ) თარგმანთან (იხ. გილგამეშის ეპოსი, თბილისი, აკადემიის გამოცემა, წ. კონაძისად თარგმანით).

<sup>2</sup> მის. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, გვ. 95.

<sup>3</sup> გილგამეშის, გვ. 24-25.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 40.

...ხარი რომ იხილე მცველი შამაში, გვირგვამსი ხელს გამოვიწყდის<sup>4</sup>. ამირანსაც ღმერთებში ჰყავს თავისი მფარველი, მისი ნათლია ქრისტე-ღმერთია, რომელმაც უდიდესი ღონე უბოძა ღვებთან, ბოროტებასთან ბრძოლაში.

გილგამეშისა და ამირანის პიროვნებაში, მათს რაინდულ ბიოგრაფიაში ერთი უაღრესად ნიშანდობლივი თვისებაა, რომელიც შეუძლებელია შემთხვევითი, დამოუკიდებელი იყოს. ტექსტში, ამ თვისებათა არსებობა ურთიერთგავლენით უნდა აიხსნას. ცნობილია, რომ გილგამეშისა და ამირანიც კეთილი ძალებია. გილგამეშს გადმოცემა მრავალ სამგობრო საქმეს მიაწერს; ურტქის მტრების წინააღმდეგ, ხეცო-ურ ცეცხლმტყვევლ ზარბთან და ურჩხელებთან ბრძოლებს, მარადიული სიცოცხლის ქვეყნისაკენ ლაშქრობას და სხვ. მაგრამ ამავე დროს მასში არის ისეთი ელემენტები, რომელთა არსებობა თავისი ხალხის, ურტქის მცხოვრებას შეეწეხების საფუძველად და ბოროტი რაინდისათვის არის დამახასიათებელი.

იგი მოზვერივით დადის ქედმაღალი

...ბუქის ხმით სამწყსო აფშეღდრებია

იღვმალ ღრტყინავეს ურტქის ვაეები<sup>5</sup>.

რადგან „ღღე და ღამ შამაგობს მისი სხეული“, შეწუხებული ურტქის მცხოვრებნი ვედრებით მიმართავენ „ზეციურ ღმერთებს“, რომ გილგამეში, მათი მფარველი მეფე მერტისმეტად აწუხებს მათ. „ზეციური ღმერთის“ ვისმენენ ურტქის მცხოვრებთა თხოვნის და გადასწყვეტენ შექმნან „შამაგაცი მძღვარი“, მისი ორეული, რომ მის „ბობოქარ გულს ადღვდეს იგი, შევბან ერთმანეთს“, რომ ურტქმა მოასვენოს<sup>6</sup> ამირანიანის უმრავლეს ვარიანტში, პირველხანებში, სანამ ღვებთან ბრძოლას დაიწყებდეს, იგი ხალხის შემაწუხებელია, ეს იმდენად ხაზგასმულია ეპოსში, რომ ზოგიერთ მკვლევარს (პროფ. ა. ხახანაშვილი, ი. ნუსინოვი) ეჩვენება ამირანის კეთილი ბუნება, იგი ბოროტების განმასახიერებელ გმირად მიაჩნია:

იგი „პატარაობითვე საშინელ ღონეს იჩენდა და ბოლოს ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ ყველამ შიშით დაუწყა ყურება; ნათლიამაც უტრადღება მიაქცა და რადგან მისი მომავალიც არასიამელო იყო, მოინდომა ხალხისათვის მისი მოშორება“. უფრო გარკვევით ამირანის ასეთ თვისებაზე სვანურ ვარიანტებშია აშკარად ნათქვამი: რომ ამირანსა და მის ძმებს „მთელი სოფელი მობურებაზე ჰყავდნენ მიმდგარი... სოფელს ძალიან მოეწყინა მათი ქვეყისაგან... ადა-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 41.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>3</sup> მის. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, გვ. 297.

(კახური ვარიანტი)

მინი კოლოს ოდენად არ მიიწინაოდა და თავის თავი კი ღმერთი ჰგონია... ყველა თავის ფეხქვეშა ჰყავთ... თავის თქმამდე არიან, ცუდის გარდა, კარგს არაფერს აკეთებენ“.<sup>1</sup>

ურქუმა გილგამეშის შემაწებელი „ბობოქარი გულსაგან“ რომ მოხსენოს, მას უნებდეს დაუპირისპირებენ. „ამირანში“ კი არის ასეთივე ღონისძიების ელემენტი: დედაბერი, რომელსაც ხირვა თავზე გადაშტერია ამირანმა, მას „თორმეტი მთის იქით“ გზავნის ბავშვადგენთან, რომელსაც მისი „ძმა“ ცამცემი ჰყავს და ბორკილი ტყვედ.

ამგვარად, როგორც ურქუის მცხოვრებნი, ისე ამირანის თანამემამულენი იძულებული ხდებიან, თავი იხსნან გილგამეშისა და ამირანის ბობოქარი, დაუდგრომელი მოქმედებებისაგან და მათ უპირისპირებენ ძალას, რომელიც გაანელებს მათს ჭარბ ენერჯიას. ამირანი, ისევე, როგორც გილგამეში, კეთილი საწყისის წარმომადგენელია და არა ბოროტისა, მაგრამ თუ ორივე შემთხვევაში, თითქმის ბოროტი საწყისების ელემენტებშია მოცემული, ეს მხოლოდ მხატვრული ხერხი უნდა იყოს, რათა ხაზი გაეხსნას მათს დეკამორულ, ბუშპერახულ ღონეს, დაუდგრომელ და ბობოქარ ბუნებას.

2. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამირანი პრომეთეს წინაპარია, ამირანი პირველადია. სახელგანთქმულ ბერძენ ტრაგიკოსს ესქილეს, კავკასიურმა ამირანმა ჩააგონა პრომეთეს სახე (ეს. მილერი, ავ. წერეთელი, ნ. მარი, პ. ინგოროსკი, ს. ყუბანიშვილი, მიხ. ჩიქოვანი და სხვ.), პრომეთესა და ამირანის ეპოსში ვხვდებით აზრობრივ, შინაარსობრივ და ეპიზოდურ ანალოგიებსა და პარალელს. „ზოგი საკითხი „პრომეთეში“ უფრო ვარკვევით და ვრცლად არის გადმოცემული, ვიდრე „ამირანში“. ჩანს, ესქილეს თქმულების უფრო აღრინდელი და ვრცელი ვარიანტი ჰქონდა ხელთ, ან, შეიძლება, იმაზე ვრცელი არც იყო, ვიდრე ამირანია“, მაგრამ დიდმა ტრაგიკოსმა არსებულ თქმულებამო ყრუდ და მოკლედ თქმული ამბავი განავრცო, ხორცი შეასხა და ვარკვეული აზრობრივი ვანეთარება მისცა. ამიტომ, როგორც ეპოსი, ისე ესქილეს ტრაგედია. შეიძლება გამოვიყენოთ დაუსრულებელი თუ განუტეკობი აზრებისა და დეფექტების შესაჯებად. თუ „ამირანს“ და „გილგამეში“ ვპოულობთ ურთიერთგავლენის მარკვერმულ ეპიზოდებსა და ფრაგმენტებს, შესაძლოა, ასეთი „პრომეთეში“ იყოს, რომლის ავტორს (ესქილეს) შესაძლოა ისეთი ვარიანტი მოესმინა, სადაც ესა თუ ის აზრი, ეპიზოდი უფრო ვრცლად იყო გადმოცემული, ვიდრე

დღემდის შემორჩენილ ამირანის ვარიანტებშია. ეფიქრობთ, ასეთ შემსვედრ ფრაგმენტად მივიჩნიოთ „გილგამეშის“ შემდგენელსა და მისადაც გილგამეშია დახასიათებულნი“.

რომელმან სიღრმეში იხილა სამყაროს კიდემდე, რომელმან ყოველივე შეიცნო, შთაბეჭდა, იდუმალბაზანი ვინც სრულად განჭვრიტა, მფლობელმა სიბრძნის და ყოველის შემეცნობა, საუნჯე იხილა, დაფარული გახსნა, მცნება მოიტანა წარღვევადელ დღეთა. შორი გზა განვლო, დამაშრალი დაბრუნდა, ქებაზე ამოკეთა ყოველივე განცდილი.<sup>2</sup>

არ შეიძლება აქ არ ვგახსენდეს სიტყვები, რომელსაც ესქილე ათქმევინებს თავის გმირს, პრომეთეს. თუ გილგამეშია „ყოველივე შეიცნო, შთაბეჭდა, იდუმალბაზანი... სრულად განჭვრიტა“, პრომეთეც ითვლება წინასწარმეტყველად, მან ამოკითხა, პირველმა შეიცნო, სამყაროს საიდუმლოებები („მე შემოვიღე ღვთაებრივი წინასწარმეტყველისა, ხერხი შეცნობა და მისწერათა სიზმართა ხსნა თუ რაა მათში ჭეშმარიტი და მოკორილი). მანამდის, მისივე სიტყვებით, „ყველაფერს უყურებდნენ უტონოდ კაცნი“<sup>3</sup> თუ გილგამეშია, რომელმაც „სიღრმეში იხილა სამყაროს კიდემდე“, ყოველივე შეიცნო და თავისი სიბრძნით „საუნჯე იხილა დაფარული გახსნა“, პრომეთემ პირველმა იხილა „მიწის წიაღში დამარხული რკინა, სპილენძი, ოქრო და ვერცხლი...“<sup>4</sup> თუ გილგამეშია „ქებაზე ამოკეთა ყოველივე განცდილი“<sup>5</sup>, პრომეთესმთა ასწავლა, მისცა, ხალხს „ყველა სიბრძნის სათავე — წიგნი“, მინეც „განაცხადა“ „გზის ნიშანთა სიმბოლოები“<sup>6</sup> „ამირანში“ ასე ამერად არ არის ხაზგასმული მისი სიბრძნე, მაგრამ ეპოსის ერთერთ ვარიანტში, მაინც გილგამეშია და პრომეთესადმი მიმართული ყველა შემოხსენებული ეპითეტები ფორმულირებულია მოკლე წინადადებაში: „ამირანს ცაში არა გამოგებარებოდა-რა და ქვესქენელში კიანჭველებს ხედავდა“.

3. სანამ ორივე ეპოსის თვით ცალკეულ ეპიზოდებს ურთიერთს შევადარებდეთ და პარალელურს მივუსადაგებდეთ, ორიოდ სიტყვით

1 გილგამეში, დასახ. გამოც. გვ. 17.  
 2 ესქილე, მიჯვეული პრომეთე, დასახ. გამოც. გვ. 32.  
 3 იქვე.  
 4 პროზაულ თარგმანში პირდაპირ იკითხება „ქვეს სიტლზე ამოკეთა“ და ა. შ.  
 5 ივულისხმება ქვეს სვეტებზე გამოსახული მანძილი მანქანებელი ნიშნები თუ გეოგრაფიული რუკები.

1 მიხ. ჩიქოვანი, დასახ. წიგნი, გვ. 366-368.  
 2 მიხ. შეგვლაძე, მედიციონის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, თბილისი, 1959, გვ. 159.

დანარჩენ პერსონაჟებს შევეხოთ, რომელთა შორის გარეგნული, მოქმედებითი თუ სხვა მსგავსების ნიშნები თუ ნიჟარსებია შეინიშნება.

1. ამირანის მამა, ეპოსის უმრავლეს ვარიანტებში, სულკალმახია. აქადემიკოს ვ. მელიქიშვილის მოსაზრებით ამირანის მამის სახელი ელამური „სუკალმახში“ პოელობს ახსნას, ელამის შფობელის, მმართველის უმაღლესი ტიტული სუკალმახად იწოდებოდა. ელამში კი ეს უმაღლესი ტიტული აღმნიშვნელ სიტყვადვე შემერებიდან ჰქონდათ მიღებული. ცნობილი სუმერის მეფე ლუგალზაგისი თავის თავს „სუკალმახს“ უწოდებდა, სხვა შემთხვევაში კი მეფის ქვეშევრდომი დიდი თანამდებობის პირები „სუკალმახად“ იწოდებოდნენ. მართალია, სულკალმახი გილგამეშისან პერსონაჟებს შორის არცაა ჰქვია სახელი, მაგრამ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სულკალმახი უმაღლეს ტიტულად სწორედ სუმერსა და ელამში იწოდებოდა, სადაც შეიქმნა გილგამეშისანი და ამიტომაც, ამირანის ეს პერსონაჟი მაინც ამ მხრივ გილგამეშისანიდან დამაკავშირებელ ძაფებს ქმნის. (შესაძლოა „გილგამეშისანი“ თავდაპირველ შემერულ ვარიანტში გილგამეშის მამა „სუკალმახად“ იწოდებოდა და შემდეგ აქადურში ვანიცადა გადახალისება). ამ მხრივ უადრესად საინტერესო მოვლენა შეინიშნება „ამირანის“ ზოგიერთ ვარიანტში: ამირანის მამად სულკალმახის ნაცვლად სულ სხვა „სახელებია“, მაგრამ ისინიც, ჩვეულებრივ სახელები როდია, უმაღლესი ტიტულის აღმნიშვნელი სახელებია. „ამირანის“ ერთ-ერთ ქართულ ვარიანტში<sup>1</sup> ამირანს მამის სულთან ჰქვია სახელი, რაც, როგორც ცნობილია, ოსმალური ქვეყნების მეფის ტიტულია, მეგრულ ვარიანტში ამირანი ზღაპრითის შვალადია, ერთ ქართულ ვარიანტში კი — ხორეშან ზღაპრითის შვილი.<sup>2</sup>

უნდა ვიფიქროთ, რომ „ამირანის“ მთქმელმა, ვინც პირველად სულკალმახი შესცვალა სულთანად (ალბათ აზროსაგანით თურქული საზღაპრითების გაჩენის შემდეგ), იცოდა, რომ სულკალმახი მეფის მნიშვნელობის სახელი იყო (მაგრამ იმეხად მიიწვებოდა, ნაკლებად გავრცელებული) და მსმენელისათვის უფრო გასაგებია, იმ დროისათვის პოპულარული იმეხ მნიშვნელობის სახელით შეცვალა.

2. ამირანის უმრავლეს ვარიანტებში ამირანის ცოლს — მზეთუნახავს, კამარი ჰქვია, რაც როგორც იგივე იმეხილი ფიქრობს, ელამური ქალღმერთი la-gamar-დან უნდა მომდებარებოდეს.

ამირანის კამარიც ზომ ღმერთების ასულია. la-gamar-იც ქალღმერთია, გილგამეშის „სამშობლოში“, ელამურ პანთეონში. la-gamar-თან და კამარის ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსება, მისი ელამური ჩამომავლობა კვლავ გილგამეშის დამაკავშირებელ ძაფებს ქმნის. ამირანის ერთ ქართულ ვარიანტში<sup>3</sup> კამარს — ქალ-გამა ჰქვია, რომლის დედამაც ზეცაში ცხოვრობს — ე. ი. ღმერთები არიან. ფიქრობთ, არანაკლები (კინეზი კამარს) ფონეტიკური მსგავსება აქვს ქალ-გამას la-gamar-თან, რაც მეტად დამაკავშირებელ ხდის კამარისა და ქალ-გამას la-gamar-იდან მომდინარეობის საკითხს.

3. ბაუბა-დევი, ვტიკრობთ ხუმბაბას „პროტოპია“ (ან პირიქით). უველაზე დიდი მტერი გილგამეშისათვის ხუმბაბაა, რომელსაც შეებრძოლება და დამარცხებს კიდევ ენქელდუსთან დამეგობრების შემდეგ, მასთან ერთად. „ამირანშიც იგივე ხდება. უსიბისთან და ბადრისთან ერთად ამირანი ამარცხებს ბაუბას. გილგამეშში — ბოროტების წარმომადგენელი ხუმბაბაა ამირანში — ბაუბაი, ორივეს თავთავიანთი სამფლობელო აქვს, ორივე დამობისპირებულია ეთიოპ სუფიციბთან, კეთილ რაინდებთან.

ბაუბაუთან და ხუმბაბასთან ამირანისა და გილგამეშის ბრძოლის ეპიზოდები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რომელსაც ქვემოთ შევეხებით. აქ კი ხაზი გვიწერა გავუსვით კვლავ ხუმბაბას და ბაუბაის ფონეტიკური მსგავსებას, მათს ფუნქციური იდენტურობასთან ერთად.

4. ენქიდუ — გილგამეშის მეგობარია და თანამებრძოლი, უსიბი — ამირანის. ენქიდუს შედარებულია ნისაბასთან. ენქიდუს „ვითარცა ნისაბას“ ვაღეროცა ვარჯები“ ან „თმები ვერბოლდა ვითარცა ნისაბას“ — ვკითხვოლობთ „გილგამეშში“.<sup>2</sup> ნისაბა კი — რომლის სახელიც, როგორც ვხედავთ, ფონეტიკურად აზლოს დგას უსიბის სახელთან — უანების ღმერთი იყო შემერულ პანთეონში. ნისაბას ამ ლეონების ფუნქციისათან აზლოს არის უსიბის ამირანისაზე უფრო წარმოდგენილი. აქ ბადრის მთავრის განსახიერებს, უსიბი კი — მზეს, როდესაც ამირანს ეკითხებიან, გამოიხიბოთ თუ არა მშენ „დახოცილ კაცებში“. ამირანი უპასუხებს კი „უსიბის ბეკებზეა მზის მსგავსი ნიშანი აქვს და ბადრის მთავრის მსგავსისაო“.<sup>3</sup> რადგან ლეონების მზის საშეაღებით (ფიქვლეს ქართულ პანთეონში მზე ზომ თვით იყო ლეონები) ამოცოცდებენ მოსავლიანობის, ნაყოფიერების სიუხვეს, ცხადია უანის ნაყოფიერებაც მზეზეა დამოკიდებული — აქედან ნისაბასა და უსიბის სემანტიკური სიახლოვეც ცხადი ხდება.

<sup>1</sup> Г. А. Меликишвили, Наирн—Урарту, Тбилиси 1954, გვ. 120—123.

<sup>2</sup> მის ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, გვ. 280-281.

<sup>3</sup> იქვე, 383.

<sup>4</sup> იქვე, 287.

<sup>1</sup> იქვე, 272-78.

<sup>2</sup> გილგამეში, დასახ. გამოცემა, გვ. 19, 32.

<sup>3</sup> მის ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, გვ. 362.

პერსონალების სახელებსა, ქვეყნებსა და ფუნქციური მსგავსებების გარდა, ეპოსის ტექსტში ცალკეული ეპიზოდების საოცარი დამახვევებით ვხვდებით, მაგრამ ხშირად ისინი, როგორც საერთოდ დამახასიათებელია ფოლკლორული ნაწარმოებებისათვის, სახეშეცვლილები არიან, მოქმედებები შენაცვლებულია, ხშირად გარკვეული ეპიზოდი, ერთი პერსონაჟის ქცევა მერონისათვის არის მიკეთვნილებული:

1. ხშირად, ის, რაც ენჭიდულე არის ნათქვამი, ვიღვამეშინაში, ქართულ ეპოსში ამირანსა აქვს მიკეთვნიებული. მაგალითად, როსკიების შამხათისა და ენჭიდულეს დამოკიდებულების ეპიზოდები რამოდენადმე გვაგონებს ამირანისა და კამარის ურთიერთობას. კამარი ამირანს მრჩეველი ხდება, მოტაცების შემდგომ მოქმედებებში, ისევე როგორც შამხათი — ენჭიდულესი. თუ შამხათი ეპოსში როსკიად არის აღწერილი, ქართული ეპოსიც ძალიან ხშირად უწოდებს კამარს „კახას“.

ენჭიდულე ქერციკის შვილია (ენჭიდულე გმობა დედამ ქერციკაჲ)1 ქართული ეპოსიც ამირანს დალის შვილად აღიარებს. დალი კი ნადირობის ქალღმერთია და მის ძალუმს გარდაიქმნას ლამაზ ცხოველად — ირმად, ქერციკად ამირანის მთიულერ ვარიანტში,2 დალი მონადირე ხელმწიფებს და მის ამაღს ქერციკის სახით მივლენება.

ენჭიდულესა და შამხათის დამოკიდებულების ერთი ეპიზოდის ანარეკლი უნდა იყოს ამირანის შამისა (სულთანის) და შიშველი ლამაზი ქალის ურთიერთობის მომენტები. ამირანის შამა ნადირობის დროს „მთლად დედამოზობა ტრეტეა“ მშვენიერ ქალს ნახავს ტყეში (მონადირე მიიყვანს მასთან), იცხოვრებს, მასთან ექვს თვეს გაატარებს, ქალს ამირანი ჩაცხაბება, მაგრამ მიღებული ქალური სიტყვობების საწინააღმდეგოდ მას სიცოცხლე უშოკლებს და ერთ წელიწადში ეკვდება.3 შამხათიც ასეთია: ენჭიდულეს წინაშე „შეიქნაჲ მკერდი, სარცხიანელი თაყინი გაიშვილა... ქალსჲ არ იმორცხვა... სიმოსი გაშალა, მიუწვა ენჭიდულე... ექვს დღეს და შვიდ ღამეს ეტრფოდა ენჭიდულე შამხათს და ოდეს დაუცხრა ენება...“4 ენჭიდულემ დაკარგა გრძნელის თვისებები, და ჩვეულებრივი მოკვადი გახდა, შემდეგ დასწულდა და მოკვდა.

2. ვიღვამეშინის ერთ-ერთი იდეა ადამიანური მეგობრობაა, მეგობრობის აუცილებლობის იდეა. ვიღვამეშინისათვის აუცილებელი იყო მეგობარი, ენჭიდულე სავანეებოდ ვაირჩინა ადამიანის გამჩენმა ღმერთმა არტურემ, რომ ვიღვამეშინს შესაფერი მეგობარი ჰყოლოდა. ვიღვამეშინი

დანართულია მეგობარს, ის დედის მიმართაც: „იქნებ დამეცეს ზედნიერი ხვედრი, იქნებ მოვიპოვო მსალერი მეგობარი, დან შენთან შევიყვანო იგი“. ვიღვამეშინი იპოვის მამის ცუდმეტაბრდება და ერთად იბრძვიან ბოროტების წინააღმდეგ. ისინი ერთვული, თავგანწირული მეგობრები არიან. ვიღვამეშინი უნახესი მეგობრული გრძნობებით არის განწყობილი ენჭიდულეს მიმართ, მეგობარს დაკარგვით მისი მწუხარება ღრმა ტრაგიზმად მიდის. მან საყოველთაო მათვა გამოაცხადა, სასოწარკვეთილი მიმართავს ენჭიდულეს ცხედარს:

მე თვით შენს შემდგომად ტანს აღარ განვიბან. ლომის ტყაყს ჩაეყვამ ველად გაიჭრები!

მაგრამ მათს მეგობრობაში იყო მომენტები (პირველად შეხვედრისას) ერთმანეთთან ბრძოლისა და წინააღმდეგობისა. ყოველივე ეს ძალიან წაგავს ბაძრას და უსბთან ამირანის მეგობრობას. მათთან ამირანის დამეგობრება აუცილებლობით არის ეპოსში ნაქარნახევი, ბაუბაუდევისა და გველუშაშის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა, ამირანისა და მშეშის კონფლიქტი. ამირანის წუხილი მშეშის დაღუბების გამო და თუნდაც მათი გაოცებება (ვიღვამეშინის მხრივ უყვარვით) ძენა ენჭიდულეს სიკვდილი იყო გამოწვეული, ყოველივე ეს „ამირანის“ თითქმის ყველა ვარიანტშია უკლებლივ და ამონაწერებს აღარ მოვიყვანთ.

3. როგორც ვიღვამეშინისა, ისე „ამირანის“ ერთ-ერთი მთავარი ეპიზოდია, ერთი მხრივ ვიღვამეშინისა და ენჭიდულეს ბრძოლა ხუმბაბას წინააღმდეგ, მეორე მხრივ — ამირანის, უსბისა და ბაძრას — ბაუბაუდევთან. საერთოდ ამირანმა თავის მშეშთან ერთად ძირითადად სამი ბრძოლა ვადაიხდა: 1. ბაუბაუდევთან, 2. ცეცხლისმფრტვეველ (პირცეცხლა) გველუშაშთან, ტახთან, ხარებთან, 3. ყამარის შამობლეთან (ღმერთებთან). ვიღვამეშინში კი, თუ არ ჩავთვლით თვით ვიღვამეშინისა და ენჭიდულეს მებრძოლებას — 1. ბრძოლა ხუმბაბასთან, 2. ბრძოლა ზეცოტორ ცეცხლისმფრტვეველ ხარებთან. ამ უკანასკნელშია გაერთიანებული ამირანის ორი უკანასკნელი ბრძოლა ე. ი. ზეცოტორ ცეცხლისმფრტვეველ ხარებთან ბრძოლაში ასახულია თვით ღმერთებთან ბრძოლა, რადგან ეს ხარები ღმერთების მიერ იყო გამოზავნილი ვიღვამეშინის დასაცხლად იშთარის შერეაცხუფისათვის. ხუმბაბასა და ბაუბაუდევის სახელთა ფუნქციური მსგავსება ზემოთაღნიშნულთა სინტერესოა, რომ თვით ბრძოლის ცალკეული ეპიზოდებშიც შეინიშნება ეს მსგავსება:

1 ვიღვამეშინი, დასახ. გამოცემა გვ. 62.  
2 მიყაქულე ამირანი, დასახ. წიგნი გვ. 347.  
3 იქვე, გვ. 280-281.  
4 ვიღვამეშინი, დასახ. გამოც. გვ. 22.

1 იქვე, გვ. 64.

ხეშაბა ბორცების განსახიერება: „კედროვანში ბინადრობს მძლავრი ხეშაბა, წვედით მოვაცდენოთ იგი და აღმოვფხვრათ ყოველი ბორცოტი“<sup>1</sup>, იგი აწუხებს ხალხს („ხალხის დაშინება მიანდო ენლილმა“) და ახლად დამეგობრებულმა გმირებმა, გადაწყვიტეს მისი „მოკვდინება“. წასვლის წინ შევდლები დასაქმეს და „დასხდნენ ხელოსნები საქმის აღსრულებად, ჩამოასხეს დიდი ჩუგუნეები“<sup>2</sup>, ნაფახები, სატყვეები და მახვილები. მაგრამ ხეშაბასთან ბრძოლის წინ, გილგამეშს ესიზმრება ხარებთან ბრძოლა:

ვეპოვებოდი გარეულ ხარებს  
მათ ხმაზე იძროდა ხმელეთი მთელი.

ხეშაბა უძლეველი მტერია მათი, ფიზიკურადაც იგი ძალიან წააგავს „ამირანის“ ბაყაყაღეს; შეიზნენ ხეშაბა და გილგამეში, ხეშაბა ატყობს, რომ დამძლურდა გილგამეშთან ბრძოლაში. ის ევედრება გილგამეშს შეუნარჩუნოს სიცოცხლე და ჰპირდება სანაცვლო ხარკსა და მორჩილებას. მაგრამ ენჭიდუ აფრთხილებს გილგამეშს: „ხეშაბას სიტყვას ნუ მოუსმენ, ხეშაბას ცოცხლად ნუ დასტოვებ, თუ არ მოაკვდინებ ხეშაბას ვეღარ დაბრუნდები ურქს“<sup>3</sup>. გილგამეში ისმენს მეგობრის რჩევას და ჰკლავს ხეშაბას.

მივყვით ბაყაყაღესთან ბრძოლის თანმიმდევრობას ქართულ ეპოსში: ბაყაყაღე ბორცების განსახიერება, ამირანის მეთაურობით მასთან საბრძოლველად მიდიან დამპყრობლებული გმირები. საბრძოლველად წასვლის წინ ამირანმა ცხრა ოჯა რკინა იშოვნა, „თავის ხელთ წაიღო შევდელთან და გააჭედვინა „რკინის შეილდ-სარგობი“, სპეციალურად მოსთვის დიდი ზომისა. დევებთან ბრძოლის წინ ხარებთან (ან აღისმფრქვეველ ტახებთან) ჰქილიო „ამირანის“ ზოგირით (ქართულურ, სვანურ) ვარიანტებშია შემონახული. ქართულურ ვარიანტში 300 ხარს შეებრძოლა. სვანურში კი — ტახს, რომელიც ბაყაყაღის სუფრას იცავდა, ამირანმა ხარებიც მოკლა და ტახიც ამის შემდეგ შეებრძოლება ბაყაყაღეს.

დღეი ბაყაყაღე გოლიათური ღონის პატრონია. იგი (ან მისი დედა) ხეშაბასავით პირველად: ბაყაყაღის დედამ გარბის და პირიდან ცეცხლსა ჰყრის“<sup>4</sup>.

დღეი პირიდან ცეცხლსა ჰყრის, კლდესაც რომ მოხვდეს ის ცეცხლი, დაწვევსო“<sup>1</sup>. ქართულ ვარიანტში კი ყამარის მამაც ჰყრის ცეცხლს<sup>2</sup>. ამირანი და დღეი — შეებრძოლებული ურთიერთს: „დღეი და ამირან შეიზნენ, მოწას გააჭონდა გრიალი.

დღეი შეშინდა, ღრიალი დაიწყო, შევედრა ნუ მომკლავო... ამირანს უნდოდა ისევ ცოცხალი გაეშვა ბაყაყაღეი, მაგრამ ძმებმა უთხრეს, თუ არ მოკლავ, ცუდს საქმეს გიხვამს, დღეი არ დაიზოგუებაო“<sup>3</sup>. ამირანი ისმენს თანამებრძოლების რჩევას და ჰკლავს ბაყაყაღეს.

ხეშაბასთან ბრძოლაში გილგამეში მის მფარველ ღმერთს შამაშს შევედრება (ამირანიც ევედრებოდა ხოლმე თავის ნათლია — ქრისტელმერთს ღონის, ძალის მომპარტყბას მტერების დასახლევად). „შამაშმა შეისმინა გილგამეშის ევედრება, ხეშაბას წინააღმდეგ აუშვა ისრები, რვა ქარი აუშვა ხეშაბას წინააღმდეგ“<sup>4</sup>. ქართულ ეპოსშიც გვაქვს ქარიშხლის „გაშვების“ მოტივი, თუმცა სხვა კონტექსტში: აქ ამირანის წინააღმდეგ არის ღმერთების მიერ გაშვებული სტიქიანი: წვიმა, საშინელი ქარი, ქარიშხალი, გრგვალნი, ვფოქრობთ, აქ კომენტარი არ არის საჭირო. აქ ამ ეპიზოდის ცალკეული მომენტების, გმირთა თვისებების, მათი ქცევის, დასაწყისისა და ფინალის სრული დამთხვევა ყოველგვარ ეპოსში ამირანის სხვადასხვა ვარიანტებში მეტ-ნაკლებად სიცხადით არის ასახული, მაგრამ ძირითადად მაინც თითქმის ყველა სრულ ვარიანტშია იგი მოცემული.

4. როგორც ზემოთ ვთქვით, გილგამეშის ღმერთების მიერ გამოგზავნილ ზეციურ ცეცხლისმფრქვეველ ხარებთან ბრძოლა ამირანის მიერ დამოუკიდებელ ეპიზოდად არის გავრცელებული. ხართან, პირველად დღევანდელ ცეცხლისმფრქვეველ ტახთან ბრძოლის სახით და ყამარის მამასთან (რაც ღმერთების განსახიერებაა ეპოსში) და მის „ქართან“ ბრძოლა, ქართულურ და ოსურ ვარიანტებში დღეი აფრქვევს პირიდან ცეცხლს, სვანურში — ტახი ცეცხლის მფრქვეველი, მხოლოდ ერთ ვარიანტში მ, ხარებთან ბრძოლის ორი ეპიზოდი აღწერილი, მაგრამ რატომღაც ამირანის ხარები პირიდან ცეცხლს არ აფრქვევენ. თქმულების უმრავლეს ვარიანტებში ცეცხლისმფრქვეველი ხარი ცეცხლისმფრქვეველი ვეშაპით, დღევით ან ტახით არის შეცვლილი. ერთი სა-

<sup>1</sup> გილგამეში, დასახ. გამოც. გვ. 33. აგრეთვე გვ. 44.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 47.

<sup>4</sup> მიჯაჭვული ამირანი, დასახ. გამოც. გვ. 358.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 288.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 369.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 274.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 392-276.

<sup>3</sup> მიჯაჭვული ამირანი, გვ. 315.

<sup>4</sup> გილგამეში, დასახ. წიგნი, გვ. 47.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 282.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 392.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 369.

<sup>8</sup> მიჯაჭვული ამირანი, დასახ. გამოც. გვ. 288.

ინტერესს დეტალით ემთხვევა კიდევ ეს ბრძოლები: როდესაც გიორგამეფი და ენქიდუ მოკლავენ ხარს, იშთარი გამოჩნდება ურუქის კედელზე. იგი გიორგამეფს სწყველის:

რა ესმა ენქიდუს იშთარის სიტყვები  
ხარს ბეჭე მომგლიჯა მისკენ ვადავლო<sup>1</sup>.

ამირანმა კი — დეეთან ბრძოლაში ერთ ბეზერ ღვეს მხარი მოაგდებინა, ბებერმა მოტეხილ მხარს დააელო, ესროლა ამირანს<sup>2</sup>, ოღონდ, აქ შეცვლილია პერსონაჟები, იქ — ენქიდუ ესვრის იშთარს. აქ — თვით ამირანს ესვრიან მოტეხილ მხარს. ზოლოს თვით ამ ბრძოლების ფინალი: გიორგამეფი ამარცხებს ღმერთებისაგან მოვლენილ ცეცხლისმფრქვეველ ხარს, ამირანი კი — თვით ღმერთების წარმომადგენელს (ყაპარის შამას) და ხარებს, ცეცხლისმფრქვეველ ღვეს და ტახს, რასაც ღმერთების ბეობა და დასჯა მოჰყვება.

5. გიორგამეფის და ენქიდუს გმირობით, იშთარის შეურაცხყოფით (რომ მათ ღმერთის (იშთარის) შიერ გამოგზავნილი ზეციური ხარის დამარცხეს) გაველისებულნი: „ბობენ დიდი ღმერთები... შეკრებილიყვნენ ანუ, ეა, ენლილნი და შამაში... რამეთუ მოკლეს ზეციური ხარი“<sup>3</sup>, ამიტომ „მოკლდეს ენქიდუ“ (და არა გიორგამეფი) და ღმერთების გადაწყვეტილებით ენქიდუ იქცევა ქვესკნელის, უფსკრულის მკვიდრად, მკვიდრების საშფოს მკვიდრად, ის ჩვეულებრივი მიცალაბული კი არ არის, მწფის ქვეშ დამარხული, არამედ ტყვეა ქვესკნელისა. ქვესკნელში მას ფსკენეჩი ჩიყვანს.

ბნელსახიანი გამოჩნდა ფსკენეჩი,  
სახით მსგავსი იყო ლომისა,  
ტანთ ესხა ფრთენი არწივისა,  
კლანჭებად არწივისვე კლანჭები<sup>4</sup>.

ქვესკნელში შეიპყრო იგი<sup>5</sup> და არა ასაქმს — სნეულების დემონმა, არა ნურგალის დემონმა. „ქვესკნელმა შეიპყრო იგი“ — რამდენჯერ არის ებოსში განმეორებული, ღმერთის ეს ნებართვით ქვესკნელის ზვრელი ერთხელ იხსნება, საიდანაც ენქიდუს სული ამოდის შეგობართან — გიორგამეფთან, სასაუბროდ: გაიხსნა „ზვრელი ქვესკნელისა.

ენქიდუს სული ეთი ნაბეა ქვესკნელით  
ამოეშვარ.

ამირანმა თვით ქრისტე ღმერთს მიაყენა შეუ-

რაცყოფა, დაეჭიდა მას. ზოგ ვარიანტში კი ამირანს ღმერთები სჯიან ზედმეტი „თავგასულობისათვის“, ურჩობისათვის<sup>6</sup>. თან ზენ შევა გახსნათოდ ვაზის ქვეშ „არ ვთვლიდა“ მოაგდახრილი, ღმერთს რომ თავის თავყინისცემად არ მიელო. „ამბობენ ცას შაბშია — ქვეყანა მადლიანად არ არის მორთულიო და იმზედ მიტბამთ“<sup>7</sup>. ამიტომ გადაწყვიტა ღმერთმა „შე-ბოჭვილ-შეოკვილი ჩავგლოთ ქვესკნელ შოი და სამინლად ეტანჯათ“<sup>2</sup> ებოსის ვარიანტებში, უმრავლესობაში და განსაკუთრებით შედარებით უმეველსად აღიარებულ ვარიანტებში (სეანური, აფხაზური) ამირანი, ენქიდუს მსგავსად კლდზე კი არ არის მიჭაჭველი, ქვესკნელის, უფსკრულის ან მღვიმის ტყვეა. ქართული ებოსის ვარიანტებში ხშირად გვხვდება არწივი ან ფსკენეჩი, ოღონდ, მათ სხვადასხვა დანიშნულება აქვთ.

თუ ერთ შემთხვევაში არწივი ამირანის დამხმარეა და უფსკრულის ტყვეობიდან ამოჰყავს (ენქიდუ კი პირიქით, — ჩაჰყავს უფსკრულში), უმეტეს შემთხვევაში იგი ამირანის მტერია და გულღვილს უყორბის.

თუ ენქიდუს დასჯას, ღმერთების ბრძანებით, ფსკენეჩი ასრულებს, ამირანიანში — ღმერთის შიერ მოგზავნილი ანგელოზები ან ქაჯება. ქვესკნელში, კლდზე ჩაჭვით დაბმულ ამირანს შეგობრად ყურშა ჰყავს, მაგრამ ის ჩვეულებრივი ძალის შვილი კი არ არის, „ორბის ლეკია“ და „ბეჭეზზე ორბის ფრთევი“<sup>8</sup> აქვს, ე. ი. ამირანის ყურშას საზე ძალისა ჰქონდა, ფრთები კი ორბისა (შეადარეთ ენქიდუს ფსკენეჩს: „სახით მსგავსი იყო ლომისა, ტანთ ესხა ფრთენი არწივისა“). იმავე სეანური ვარიანტის ლექსითურ დაბოლოებაში ყურშაზე ნათქვამია:

„ღმე ლომი ხარ, ლომი ხარ, ჩაღმა კაიები, კაიები“<sup>6</sup>. ამავეად ენქიდუს ფსკენეჩი და ამირანის ყურშა, გოშია, ურთიერთის სრული ანალოგია, ოღონდ — პირველი თავისი გმირის მიმართ (თუმც ქვესკნელში მისი თანამგზავრია) ბოროტი ძალაა, მეორის მიმართ კი — ქვესკნელშივე თანამგზავრი, მაგრამ კეთილი. ამირანის ქვესკნელი; მღვიმე, უფსკრული 7 წე-ლწადში ერთხელ იხსნება („შიდ წელიწადში ამირანს ერთხელ კარი ეღება“)<sup>7</sup>, როგორც ზემოთ ვნახეთ ერთხელ ენქიდუს ქვესკნელი ზვრელიც გაიღო.

6. იშთარის ცოლობა შესთავაზა გიორგამეფს.

1. მიჭაჭველი ამირანი, გვ. 387.
2. იქვე, გვ. 297.
3. იქვე, გვ. 277, 380, 384, 387.
4. მიჭაჭველი ამირანი, გვ. 384.
5. იქვე, გვ. 375.
6. მიჭაჭველი ამირანი, გვ. 363.
7. იქვე, გვ. 277, 299, 310 და სხვ.

1 გიორგამეფი, დასახ. გამოც. გვ. 54.

2 მიჭაჭველი ამირანი, გვ. 284.

3 გიორგამეფი, დასახ. წიგნი, გვ. 54-55.

4 იქვე, გვ. 59.

5 იქვე, გვ. 94.

6 იქვე, გვ. 95.



იშთარი ნაყოფიერების ლეოთაბაა. და თუ იგი ცოლი ვახდება მისი, მის ქვეყანაში სიმდიდრე და სიუხვე გამოფდება:

ხარკად მოვიძღვნიან ნაყოფს მთა ბარისას, სამშავად გიმობენ თხანი, მარჩვიად ცხოვარნი გიმობენ. კვიცინი დატვირთულნი ქორებს გაუსწრებენ და უღლოს ხარებს არ ეყოლებათ ტოლი<sup>1</sup>.

მაგრამ ვიღგამემისაგან უარით შეურაცხყოფილმა იშთარმა, მამის ანუს დახმარებით ზეციური ხარები უნდა მოუვლინოს ვიღგამემს, მამის: შეიდ წელიწადს ბზე მოვა ცარიელი, ხალხისათვის არც ხორბალი იქნება, ჭრავისათვის ბალახი არ აღმოცენდება და რომ შიმშილი არ გამოფდეს, იშთარი 7 წლის მარავს უქმნის ხალხსა და საქონელს: მამასადაძე, იშთარის, როგორც ლეოთაბის, ფუნქცია კონკრეტულად ყოფილა, მცენარეების აღმოცენება, თხების, ცხვრების, ხარებისა და ქორების შობადობის გაზამკვეცება, პურისა და სამოვარი ბალახის მოსავლიანობის გადიდება...

ამირანანის ერთ ვარიანტში ასეთივე ფუნქცია აქვს დაკისრებული თვით ამირანს. ამ თქმულების მიხედვითაც, ამირანი ლეთის შეილია, მისი ღედა „ზეგარდმო ძალით იყო ორსულა“ და, ამგვარად, მისთვის ნაყოფიერების ლეოთაბის ელემენტები გადმოუცია მის ზეციურ ჩამსახველს: „მის დალოცვილ დროში ძროხა და კამეჩი დღეში სამჭერ იწველებოდენ, თხა — კი დღეში ოთხ-ხუთჯერ, რადგანაც ყველა მინდვრები მშვენიერია შობიბინე ბალახით იყო. შემეყელი და არა გვიმრიბთა და საქონლისათვის ურგველი ბალახებითა“<sup>2</sup>.

7. ვიღგამემშიაში მჭედლები გვირების ღამნ-მარე კეთილი, ძალები არიან:

წამო, მშობილო, დავსაქმებ მჭედლებს, იარაღს ჩვენს წინ გამოსჭედენ, წავიდნენ დასაქმებს მჭედლებმა, დასხდნენ ხელოსანები საქმის აღსრულებად: <sup>4</sup>

ჩამოსახეს ჩუგლეგები, ნაქაბები, სატევრები, მახელიები, მეორედაც ვიღგამემშია, „ხელოსნებს უხმო, შეიარაღეთ, ყველას ვანურჩივლად“<sup>5</sup>. ამირანანის თითქმის ყველა სრულ ვარიანტში ამირანი მჭედლების პროფესიასა და შრომას იყენებს, მათთან კეთილმეგობრული დამოკიდებულება აქვს, მჭედლები ამირანანის სიუყვრტერ მთლიანობაში შემთხვევითი კი არა, თითქოს აუცილებელი, კომპონენტია. ისინი მას, სპეციალურ, გოლიათურ

იარაღს უმზადებენ მომავალი-ბრძოლებისათვის, რაც მხატვრული ფერებით არის ასახული ამირანანის პოეტური ვარიანტებში: [ტრავსკრიპტში, მაგრამ თქმულების ზოგ ვერტრანსკრიპტში] და მჭედლები მტრულ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან. მის ჩიქოვანის მოსაზრებით, იგი მხოლოდ თქმულების გავრცელებაში გვხვდება. სადაც ამირანის განთავისუფლების პოტივებაა შემონახული, ძირითადად კი „დასავლეთ საქართველოში ჩაწერილი ვარიანტება თითქმის არ იცნობენ ამირანთან მჭედლების მტრობის ეპიზოდს. პირიქით, ყველა ჩანაწერი იმას აღიარებს, რომ მჭედელი მასთან კეთილ განწყობილბანია“<sup>1</sup>.

8. სიმშიმის აწევა მტრად გავრცელებული მოტივია ყველა ხალხების ფოლკლორში. ყველა გვირის ღონე სიმშიმის აწევით გამოიხატება და ხშირად თქმულებებში რიანდი, რაც არ უნდა დიდი ღონე ქონდეს, ვერ სწევს სიმშიმეს, ეს იმდენად გავრცელებული მოტივია, რომ მას მნიშვნელობაც არ ექნებოდა ამ ორი ეპოსის ურთიერთობის საკითხისათვის, რომ სხვა აშკარა პარალელური ადგილები არ გვექონდეს. ვიღგამემში სიზმარს ნახულობს:

ჩემს წინ ეცემოდა ვარსკლავი, აწევა ვცადე, სიმშიმემ დამძალა, წიღება ვცადე, ვერ დაეძარი.

„ამირანის“ თითქმის ყველა სრულ ვარიანტში ამირანი ვერ სწევს მიცვალებულის მკლავს, ფეხს, მაგრამ ეს ეპიზოდი მაინც დამაინც ვერ არის საერთო სიუყვრთან მთლიანობაში. ეფექტობთ, რომ ამ ეპიზოდის საერთო შინაარსთან დაკავშირებული თვადამიკული მოტივები და-კარგულია. თვით ამბრის ამბავიც, რომელთანაც არის დაკავშირებული გოლიათური მიმე ფეხისა და მკლავის აწევა, ისე ფრამენტულად, არის თქმულებაში მოქცეული, რომ უსათუოდ გვაფიქრებინებს, ამბრის სახეც თავიდანვე უფრო სრულყოფილად უნდა ყოფილიყო ჩართული ეპოსის სიუყვრში.

9. ვიღგამემშია უკვდავების ძიებაში ზღე-უნდა განვლოს, რომელიც არავის გადაუღასავს ვერ მოკვდავთაგანს, მაგრამ მას ხომ „ხორცი ღმერთისა“ აქვს. მეღვინე სიღერი ასწავლის მას, როგორ მიადწიოს ზღვის გაღმა უთანადო-შთამდე, რომელმაც უნდა გუმედავოს მას უკვდავების საიდუმლოება. მაგრამ ამისათვის მას მეგზურად მეზღეაური სპირდება, რომელმაც უნდა იხსნას იგი გზაში მოსალოდნელი ხიფათებისაგან. ასეთი მეგზური ურ-შანაბია, ის გაიყვანს ვიღგამემში უთანადოშთისთან ზღვის გაღმა.

1 ვიღგამემში, დსახ. გამოც. გვ. 49.  
2 იქვე, გვ. 52.  
3 მიჯაჭვული ამირანი, დსახ. გამოც. გვ. 387.  
4 ვიღგამემში, დსახ. გამოც. გვ. 35.  
5 იქვე, გვ. 54.

1 მიჯაჭვული ამირანი, დსახ. გამოც. გვ. 194, 196, 361, 374.  
2 იქვე, გვ. 277, 309, 361, 374.

ამირანმა უამირის (თუ ქალგამას) საქმედ ზღა უნდა გაიაროს, ზღვის ვაღმა ცხოვრობს მისი მომავალი საცოლად. მართალია, ამირანი უკვდავების საჩივრად არ გადის ზღვის ვაღმა, მაგრამ უკვდავების რაღაც ელემენტები თვით ყამარშია განსაზღვრებული. ყამარში, ამ ზღვისგაღმეღმა მზეთუნახავმა, ვააცოცხლა იგი და მისი მშვიტი, შემდგომში, ბრძოლებში დაღლებულნი. ეფექტობთ, ვილაგამეონის უკვდავების ძიება, „ამირანში“ მკრთალად, მაგრამ მაინც არის ასახული ვააცოცხლების მოტივში, რომელიც მანც, ასე თუ ისე, ზღვის ვაღმიდან მოყვანილი „ნადავლით“ არის მიღებული, მაგრამ ამაზე ქვემოთ. ამირანმა ზღვის ვაღმა წასახველი გზები არ იცის. მას ამაში ბაუბაყდების მიერ მიცემული შიკრიკი შეუღის! (შეადარეთ ურ-შანანის), ამირანი ზღვას ზოგი ვარანტით რაშით ვადის, ზოგი — ქალის თმის ნაწინავით, ზღვაზე გადებული შოღტით და ა. შ. ვილაგამეონში ზღვის ვაღმა უკვდავების წამლი ვერ იშოვნა, მაგრამ უთანაფიშით გამახალგაზრდავებელი ბალახი ასწავლა და მისცა. არც ამირანს მოუბოვებია ზღვის ვაღმა უკვდავება, მაგრამ ყამარისა და თავის საშუალებით ვააცოცხლებელი ბალახის საიდუმლოებას დაუფლა. კიდევ ერთმა პატარა დეტალმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. ვილაგამეონში ზღვის ვაღმა ვასვლის წინ მელვინეს ხვდება და იგი ასწავლის გზებს. „ამირანში“ მსგავსი ეპიზოდი არ არის, მაგრამ ერთი დეტალი ღვინოსთან დაკავშირებული, რომელიც კონტექსტში ზედმეტად მოჩანს:

აცა, ამირან ნუ მოვლამ, მამაცო, მარდო,  
 ზღლიანო,  
 წყალვალმა ქალსა ვასწავლი, სახელათ ყამარ  
 ქვეიანო,  
 წადი და გამოიყენე, ამოძავალი მზე არის.  
 თან ღვინო გამოატანე, სასმელათ შარბათი  
 არის“<sup>1</sup>.

პროზაულ ვარიანტებშიც, არაბუნებრივად, სიუჟეტთან დაუკავშირებლად არის იგი ჩართული: „ამირან და ბადრი წაიღიდნენ. მიდიან, ბადრმა უთხრა: წყალში ვაიღიდეთ დგრევეთათო, გამოიყენათ ყამარითო; თან ღვინო გამოაყოლოთ თუთრი ღედის რძე ვითა.“ ეფექტობთ, აქ ნახსენები ღვინო ვილაგამეონის მელვინესთან უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ, ეტყობა, ქართულ ეპოსში ეს ფაბულა დაკარგულა, ჩვენამდე ვერ მოუღწევია, ზემოხსენებული „ღვინო“ ამ დაკარგული ფაბულის „ნამსხვრევი“

<sup>1</sup> მიჯაჭვული ამირანი, დასახ. გამოც. გვ. 298, 320, 361, 382.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 298.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 311.

უნდა იყოს. ვილაგამეონში კი მელვინე მდებრებით დასრულებული ფუნქციის პერსონაჟია.

**საქონისა და გილაგამეონისა**

ამირანიანში ცალკე გვინდა გამოვეყოთ სამედიცინო-ბიოლოგიური საკითხები, საქემოპრაქტიკული იდეები. ზოგი ამათგანი, როგორც ქვემოთ ვნახათ, კვლავ ვილაგამეონში პოულობს პარალელს, რითაც ამ იდეების დათარიღების საშუალებაც გვეძლევა, რაც ძველი ქართული მედიცინის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ამირანიანში მოცემულია ისეთი ბიოლოგიური იდეები, ისეთი საქემოპრაქტიკული მანიპულაციები, რომელთა არსებობა და ცოდნა ამ ეპოსის შექმნის პერიოდისათვის საინტერესო ფაქტად უნდა ჩითვალოს ჩვენი სამედიცინო-ბიოლოგიური აზროვნების ისტორიისათვის. ასეთ იდეათა რიცხეს ეუთუნის: უკვდავების (ვააცოცხლების) საკითხი, კრილობის მკურნალობა, კრილობის შეხორცების ხელოვნური შეფერხება, მინერალურ ნივთიერებათა გამოყენება სამედიცინოლოდ, სამკურნალო მკენარება (ბალახთა) გამოყენება, ემბრიონალური ზრდის (დღენაკულთა) ხელოვნური შეთოდები, საძილე წამლების გამოყენება, თვალის „ამოღება და ჩადგმა“, ყვავილისგან თვალის დაზიანება, საკეისრო ვაკუეთის მსგავსი მანიპულაცია, მინერალური წყლების სამკურნალო თვისებათა ცოდნა და ა. შ.

ძნელია დადგენა, თუ რომელი ამათგანი მიუკუთვნება ამირანიანის თავდაპირველ ვარიანტს, და რომელი შემდგომში, საუკუნეთა განმავლობაში ჩართული მოტივებია, მაგრამ ის, რომელიც ვილაგამეონთან ანალოგიასა და მსგავსებას ახსენებთ, ძველი წელთაღრიცხვის შერეულ ათასწლეულზე გვიანდელად არ უნდა ჩითვალოს:

10. ვილაგამეონის მთავარი, ძირითადი საკითხი სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაა, უკვდავების ძიების პრობლემა:

უთანაფიშითსყენ მივდივარ, ჩემი წინაპრისაყენ, ვინაც ღმერთების კრებულის წინამე წარდგა უკვდავების ძებნად. სიკვდილ-სიცოცხლის ამავეს გამოვიკითხე“<sup>1</sup>. „მარქვი, ვით წარდგე ღმერთების წინამე საძიებლად მარადიულ სიცოცხლისა“<sup>2</sup>.

ბევრი იბრძოლა ვილაგამეონში მიზნის მისაღწევად, ბევრი დაბრკოლებები გადალახა, მაგრამ მელვინე სიღურის ვაფრთხილება, საბოლოო განაჩენი გახდა მისთვის:

<sup>1</sup> ვილაგამეონი, დასახ. წიგნი, გვ. 66.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 80.

უკვდავებას შინ რომ ეძებ  
ვერასოდეს მიაგნებ  
ოდეს კაცთა მოღვაწე შექმნის ღმერთებმა,  
სიკვდილი კაცთა მოღვაწის დაუღვინეს,  
ხოლო სიოცხლე დატოვეს ხელში.

კაცთათვის კი ამ ქვეყნიურთა სიამოვნება და სიტკბოება დატოვეს; ლენა, ნადიმი, სიმღერა, ცეკვა, იზრუნე ჩვილზე, ხელთ რომ გეპირებმა, შინ მეკრძნებ ხარობდეს მეთლე შენი, — რამეთუ ესა ხედრის მოკვდავისა. ასე რომ, უკვდავების პრობლემა გილგამეშთან ძირითადი პრობლემაა. თითქოს ამირანიანი ძირითად საკითხად არა ჩანს უკვდავებისა და სიკვდილ სიოცხლის პრობლემა, მაგრამ ამ საკითხის ელემენტები, ანარეკლები, უსათუოდ იგრძნობა ამირანიანის ცალკეულ ფრაგმენტებში, რაც, ვფიქრობთ, უმთავრესად ბრძოლის ველზე დაღუპული ამირანიისა და ბადრი-უსიბის გაცოცხლებით აისახა. ეს დამახასიათებელია ამირანიანის თითქმის ყველა სრული ვარიანტისათვის, ჭრისტე ღმერთთა თვის ნათლულს, თქმულების თანახმად, პირველად უკვდავებს ანიჭებს. მამასაღამე, ამირანიის თქმულება არ არის უკვდავების პრობლემისადმი გულგრილი, მაგრამ ეს პრობლემა აქ ისე გავრცობილად არ არის მოცემული, როგორც გილგამეშთანში.

11. ადრევე ვწერდით, რომ „ამირანი“ უველზე ადრინდელი წყაროა, რომელშიც მოცემულია მეკრძნალობისა თუ საეპიქო სიმულაციების რაციონალური მეთოდები თუ მინიმალური, ნაცვლად მაგიურ-რელიგიური რიტუალებისა. მაგალითად, ზეციდან ჩამოყვანილი ღმერთული ყამარი პირველად თავისიგან (მიწის ამ უმწეო არსებისგან) გაიჯდებოდა ბაბილის სამეურნალო თვისებების არსებობას. თავგამ მკვდარი გაცოცხლა და მისი მიზანმიმართული აცოცხლებს ამირანს, ბადრსა და უსიბს, რასაკვირველია, აქ ეპოსისათვის დამახასიათებელი პიერბოლოზმია. მაგრამ მას აქვს რეალური საწყისი, რომელიც მცენარეთა სამეურნალო თვისებების ცოდნითა და გამოყენებით გამოიხატება<sup>1</sup>.

მცენარეთა სამეურნალო თვისებების ცოდნისა და მათი გამოყენების იდეა გილგამეშშიც ნათლად არის მოცემული: უთანაფიშთი, გილგამეშის შორეული წინაპარი, ეპოსის მიხედვით, რომელიც მარადიული სიოცხლის საიდუმლოებას ფლობს, ასე მიმართავს გილგამეშს:

განვიცხადებ, გილგამეშ, იღუმალ სიტყვას,  
და საიდუმლოს ბაბილისას გეტყვი:

ზღვის ფსკერზე იზრდება ეკლიანი ბალახი,  
ვით ვარდის ეკალი ხელს გავიყვარეს<sup>2</sup>  
და თუ ხელთ იგდებ ბალახი იგი,  
სიოცხლის განახლებას შესძლებს.

გილგამეში ჩამოწვება ზღვის ფსკერზე და მოსწვევს ამ ბალახს. ბაბილის სახელია „კაბუტე-დუბა მოხუცი“. გილგამეშს უნდა ეს ბალახი თავის მშობლიურ ქალაქში (ურტუში) წაიღოს და მისი სიძლიერე მიხედვებზე გამოცადოს. („მოხუტებს ვაჟმეც და ასე გამოვდი ბაბილის ძალას“, „მეც შევებამ, კაბუტეობას დაფუბრუნდები“<sup>3</sup> — ამბობს გილგამეში), მაგრამ საბანაოდ წყალში ჩასულმა გილგამეშმა ეს ბალახი ნაპირზე დატოვა. თურმე გველს — ამ „მიწის ლომს“ სცოდნია ბაბილის სამეურნალო თვისებები და „გველმა იყნოსა ბაბილის სურნელი.“ წყლიდან ამოვიდა, ბალახი წაიღო და მუსივე გადიძრო პერანგი<sup>4</sup> 3 „ამირანიში“ (ამირანიანის თითქმის ყველა ვარიანტში) ერთ-ერთი ბალახი მკვდრის გამაცოცხლებელია.

გილგამეში — „სიოცხლის განახლებელი“, ბაბილის ამ თვისებათა ცოდნა თითქოს ადამიანებამდე „ამირანი“ მინდობს (მიწის) თავს სცოდნია, გილგამეში კი — გველს — მიწის ლომს, ყამარმა ხომ თავისიგან ისწავლა ბაბილის მკვდრების გაცოცხლება, გილგამეშმა კი — უთანაფიშთისაგან, მაგრამ გილგამეშამდე ხომ გველს სცოდნია ბაბილის ეს თვისება და იმდენ იმდენ მოჰპარა იგი გილგამეშს. აღსანიშნავია, რომ ბევრი ქართული თქმულება და ლეგენდა არსებობს (მაგ. ხევსურელი) იმის შესახებ, რომ თითქოს პირველად გველმა ისწავლა ადამიანს ბაბილის სამეურნალო თვისებების გამოყენება და მხრივ საინტერესოა პლინიუსის (29-79 წ.წ. ახ. წ. აღ.) ცნობაც, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოში, კერძოდ, იბერიაში, პირველ საუკუნეში ყოფილა გავრცელებული თქმულება იმის შესახებ, რომ გველისაგან ისწავლეს ბაბილის (კერძოდ, კამის) სამეურნალო თვისება და რომ გველი „პერანგს“ იცვლიდა მისი მიღებისას (მეადრეთ გილგამეშის: „გველმა... ბალახი წაიღო და მუსივე გადიძრო პერანგი“) 4 კამის (მცენარეს, ბალახს) გველებმა გაუთქვეს სახელი — სწერს პლინიუსი — რადგან გველები სჭამენ მას, რომ მისი წვენით აღიღვიონ მხედველობის სიმახვილე და ადვილად გადიძრონ (მოიშორონ) ძველი პერანგი... უველაზე საუკეთესო წვეს მისგან იღებენ იბერიაში<sup>4</sup>.

<sup>1</sup> გილგამეში, დასახ. გამოცემა, გვ. 90.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 90.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 90.

<sup>4</sup> K. Gan, *известия древних греческих и римских писателей о Кавказе*, Тбилиси, 1884.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>2</sup> მის. შენგელია, მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, თბილისი, 1961, გვ. 35.

12. ჩვენს აღრიწდელ ნაშრომში — „ძველი ქართული მედიცინის ისტორიული ფესვები“ — ვწერდით ამირანიანში მინერალური წყლების სამკურნალო თვისებების კოდნის შესახებ: წყლების სიკვდილ-სიციცხლის საკითხთან თუ სიციცხლის განახლების, მკურნალობის საკითხთან დაკავშირების იდეა გიორგაშვილს არის მოცემული. უკვდავების მშენებელმა გიორგაშვილმა „სიკვდილის წყლები“ უნდა გაიაროს, ისე რომ ზელზე არ შეეხოს. ნიზბებიც ფისსა და კვებრში აქვს ამოვლებული:

განაგდო გიორგაშვილს, სველი ნიზბები,  
სიკვდილის წყლები ზელზე არ შეეგვოს

კუბრსა და ფისში გავაგდო ნიზბები,  
სიკვდილის წყლები არ შეშებოი.  
მეგრამ, ვტყობა ვარდა „სიკვდილის წყლებსა“, არსებობდა სამკურნალო თვისებების მქონე წყლებიც. უთანაფიშითი, ურ-შანაბის (მე-ზღვარს. რომელმაც მოიყვანა გულგამეში უთანაფიშითან წყლების მბრძანებელთან) ეძებნება: კაცი, რამ მოეძებლ, თემბს შეუბოჩია

წაიყვანე იგი, ურ-შანაბი,  
საბანელს მიიყვანე.  
თმა მისი წყალში განსაბერაქდეს.  
და წაიყვანა იგი ურ-შანაბში  
საბანელს მიიყვანა  
და თმები მისი წყალში განსაბერაქდა“2.

აქ ურ-შანაბის სახეში უმალ გვაგონდება ამირანიანის „იგრი ბატონი“, რომელიც სამკურნალო წყლის გამოყენებაში თავის მხრივ „წყლის მიუღვზე“, ხელმწიფეზეა დამოკიდებული. ურ-შანაბიც ხომ უთანაფიშითის ნებართვითა და ბრძანებით მოქმედებს. მისასადაძმე, სრული ანალოგია: ამირანს, როცა თმა ვაცკენილი აღმოჩნდება, იგრი ბატონი განკურნავს თავისი ჭადოსნური წყლებით, რომლის მფლობელი და მბრძანებელი ზელმწიფეა. როდესაც გიორგაშვილს „თმა შეუბოჩდა“ წაიყვანა იგი ურ-შანაბში „საბანელში“ და თმა წყალში განსაბერაქდა“, რომლის მფლობელი და მბრძანებელი უთანაფიშითია.

უთანაფიშითის წყლები მარტო თმას როდი ჰკურნავს, ის სხეულის კანის (ტყავის) განსაბლბელიც არის. როცა ურ-შანაბში გიორგაშვილს საბანელს მიიყვანა, მან „განაგდო ტყავები, ზღამ წალო, უმეტეს დამწვეუნდა სხეული მისი“3.

აღსანიშნავია, რომ ამირანიანის ერთ-ერთ (ოსტრ) ვარიანტში ამირანის გაციცხლება, მისი სიციცხლის განახლება ბალახით კარგად წყლებით ხდება1. სიტყვა „იგროს ეტიმოლოგია“ათვის აკად. შ. ნუცუბიძემ დამაჯერებელი მოსაზრება გამოთქვა. მისი აზრით „იგრი“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება „იგრისს“ — „(ნი)გრის“ მართლც, დასავლეთ საქართველო და კერძოდ „იგრისი“ ზასიათდება წყლების, განსაკუთრებით მიწისქვეშა მტკნარი და, კერძოდ, მინერალური წყლების სიუხვით. და ინგირი ხომ ეგრისის ერთერთი დედამდინარეა. იგრი-ს, როგორც წყალთა შეფუცის, სახელწოდება უნდა იყოს აგრეთვე დაკავშირებული ამრისის ძველ ქართული სახელწოდება იგრიცა, მით უმეტეს, თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ ამრისი განსაკუთრებული წყალდიდობითა და წყალსიუხვით ზასიათდება, სხვა ყველა დანარჩენ თევსთან შედარებით. შემთხვევითი არ უნდა იყოს და სწორედ ამ საკითხთან უშუალო დამოკიდებულებაში უნდა იყოს ის, რომ ძველი „იგრისის“ დედაქალაქს ეა ერქვა, ეა — ეი გიორგაშვიანში—მტკნარი (მიწის ქვეშა) წყლების ღმერთია, ღვთაებაა. „ამირანიში“ „იგრი ბატონის მფარველი, ხელმწიფე რომ გვხვდება, ღვთაება ეა ხომ არ იგულისხმება? ეა კეთილი ღვთაებაა. გიორგაშვიანში იგი უთანაფიშითის (წყლების გამგებლის) მფარველია: ეას რჩევით იგი ღმერთმა ენლილიმ აკურთხა:

აღრე უთანაფიშითი მოყვადე იყო,  
აჲ უთანაფიშითი და მისი შეუღლე  
ღე მსგავსრ იყენენ ჩენი, ღმერთებისა.  
იცხოვროს უთანაფიშითი შორეთში,  
წყლების დასაბამთან.

წაგვიყვანა დაგვასახლა შორეთში  
წყლების დასაბამთან2

მისასადაძმე, უთანაფიშითის სახელი დაკავშირებულია „წყლების დასაბამთან“, წყლის საწყისთან („შორეთში“): ამირანიანის იგრიც ღმერთია, წყლისა და სიციცხლის საწყისია... „საწყისი“ ყველაფერისა, რაც ცოცხალია და იზრდება“3

13. გიორგაშვიანში აშკარად შემონახულია „შვილის“ ღვთაებრიობის გაგება. მაგალითად:

ენქიდემ იგემა ჰამადი გაალომამდე,  
შესვა სასწული შვილიოდე კახა (გვ. 27)

1 მიქაქუელი ამირანი, დასაბ. გამოცემა, გვ. 394.

2 გიორგაშვილს, დასაბ. გამოც. გვ. 87.

3 შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, 1956, გვ. 47.

1 გიორგაშვილს, დასაბ. გამოც. გვ. 76, 79.

2 იქვე, გვ. 89.

3 იქვე, გვ. 89.

ხუმბაბა, რომლის წინააღმდეგაც იბრძვის გილაგამეში, და ეწოდო, თურმე „შვიდ პერანგში იმოსება“ (გვ. 44) და შვიდპერანგაქმული, როგორც ჩანს, ძნელი დასაძლევია. ანუ ეუბნება იშთარს:

თუ შევესრულე, რასაც შენ მოითხოვ,  
შვიდ წელიწადს მზე მოვა ცარიელი.  
ექვს ღღეს და შვიდ ღამეს  
მიმოდიოდა წარღვნის ქარიშხალი  
და გრივადი ხმელეთის დამქვცივი,  
ხოლო მეშვიდე დღის დადგომასას...  
ამოესვი და გაუშვი შტრადი.  
„შვიდი და შვიდი კურპელი დავდგა.“

გილაგამეშის ქალაქის ურუქისათვის 7 ბრძენს ჩაუყრია საძირკველი: „განა შეიძმა ბრძენმა არ ჩადო საძირკველი მისი“ (გვ. 9), რომელსაც „შვიდურდულიანი კიშკარი“ აქვს დატანებული (გვ. 35). ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესოა, აგრეთვე, გილაგამეშისა და ქვეყნების ტყვეობაში მყოფი ეწოდეს სულის დილოკი:

უნც ერთი ძე შობა, თუ ნახე? „უნახე.  
ქვეყნელში მხოლოდ პურს შეეძცევა“.

უნც შვიდი ძე შობა თუ ნახე? ენახე.  
ღმერთებთან საბალოვით ნეტარებს“ (გვ. 96)2

„შვიდი კახა“, „შვიდი წელიწადი“, „შვიდი პერანგი“, „მეშვიდე დღე“, „შვიდი ღამე“, „შვიდი კურპელი“, „მეშვიდე კვერი“, „შვიდი ბრძენი“, „შვიდი ძე“ და ა. შ. კონტექსტში მოცემულია, როგორც აზრობრივი ეტლმონაქვის ამსახველად, განსაკუთრებული სიმღერისა და მაგაურობის გამომხატველად. მაგრამ ის, „უნც შვიდი ძე“ შობა, ყველაზე დიდი პატავით სარგებლობს, „ღმერთებთან სიახლოვით ნეტარებს“. წმინდა ბარბარესაც ხომ „შვიდი შვილი ჰყავს („შვიდი და-ძმანი ბატონი“). აქი ამიტომაც „ბატონების დედასა“ (ე. ი. ბარბარეს) „უდგია ოქროს ავეანი“ — ამბობს ქართული ხალხური თქმულება. „შვიდის“ ღვთაებრიობის ნიშნები ამირანისავე შეინიშნება:

პატარა ამირანს დევებმა ბანგი დააღვეინეს  
„შვიდი კერისა და შვიდი დღისა“3.

როცა ამირანი დაქორწინდა: შვიდი დღე და  
ღამე ქორწილი იყო დევი ეუბნება ამირანს:

1 გილაგამეშის, დასახ. წიგნი, გვ. გვ. 50, 52, 59, 82, 84, 85, 88.

2 ეს ფრაგმენტი აღდგენილია მთარგმნელის (ზ. კიკნაძის) მიერ შემერტული ორიგინალიდან.

3 მიქაქუელი ამირანი, დასახ. გამოც. გვ. 288.  
4 იქვე, გვ. 290.

„ზღვას ვიღმა ქალი გასწავლო,  
სახელად — ყამარ ჰქვიანო...  
ყამარის კახას საწრობლად  
შვიდი დღე უნდა მზად  
შვიდმეტი კოცა წყლიანი“1  
„ის გორა საცა ამირანი იმყოფება,  
შვიდწელიწადში ერთხელ იღება“2.  
„ზედ გაეთდა ერთი მთა და შვიდ  
წელიწადში ერთხელ გვეღებოდა  
კარები“3.

მაგრამ „შვიდის“ ღვთაებრიობა იმდენად გაცრეცილებული მოტივია, როგორც აღმოსავლურ თქმულებაში (იშთარის მოგზაურობის ჰიმნი)4, ისე ქართულ ფოლკლორშიც, რომ გილაგამეშისა და ამირანის ურთიერთობის საკითხისათვის ის სპეციფიკურ ნიშნად მაინცდამაინც არ გამოგვადგება, მაგრამ მაინც უყრადსაღები ფაქტია სხვა ზემოხსენებული მოტივების ფონზე.

ამირანის ძველი ქართული მედიცინის ისტორიისათვის საინტერესო კიდევ ბევრი მოტივი ისახა, რომელთა პარალელები გილაგამეშისაში არა ჩანს, მაგრამ სრული ვარიანტების უმრავლესობაში მათი სიუვეტთან ორგანული კავშირი გვაფიქრებინებს, რომ ისინი ეპოსის თაღდაძირველი კომპონენტები უნდა იყოს და, ამგვარად, ჩვენი წინაპართა საეტიმო იდეების უძველეს (მითოლოგიურ) პერიოდს ასახავდეს. ამათგან აღსანიშნავია:

ჭრილობების მორჩენის მაგიური „ხერხი“: ამირანი თავის საყუთარ ხორცს მოიჭრის და არჩევს მისცემს ლუკმად. შემდეგში თვით არწივი მოურჩენს ჭრილობას. „არწივმა ერთი ფრთის ნაქერი მისცა ამირანს და უთხრა: ეს მოისვი ჭრილობაზე და გაგიმთელდება. ამი-

1 თ. ბეგიაშვილი, ქართული ფოლკლორი, თბილისი, 1941, გვ. 97.  
2 მიქაქუელი ამირანი, დასახ. გამოც. გვ. 299, 3 იქვე, გვ. 310.

4 იხ. ამის შესახებ ჩვენი „ქართული სამედიცინო ფოლკლორი და სუმერულ ხეთა-სუბარული სამყარო“ წიგნში, „ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან“, თბილისი, 1963, გვ. 3-15. „შვიდი“, ღვთაებრიობის გაგებით სჩანს აგრეთვე აბ. როდოსელის „არგონავტიკაში“ (შვიდ გზის განიზანა სხეული (შეღვა — მ. შ. დაუშრეტელ წყალში და შვიდგზის მოუწოდა ბეშეგების აღმზრდელ ბრემსს)“. „ვეფხისტყაოსანში“ („შვიდი მთიები“), იოანე პეტრიწის „განმარტებაში“ და სხვ. დოც. მ. გიგიტაშვილმა მოგვაწოდა მოსაზრება: სიტყვა „შვილობის“ (მ-შვიდ-ობა) ეტიმოლოგიაში ზემოხსენებული „შვიდის“ მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ.

რანი ასეც მოიქცა და მოურნა კრილობა<sup>1</sup>. კრილობის შეხორცების შემადგენლებელ საშუალებად აქვე ნაგულისხმევია მარილიანი წყალი. ამირანი რამდენჯერაც დღეს თავს მოსჭრიდა, იმდენჯერაც გაუმთელდებოდა. „ამ დროს მოფრინდა ერთი ჩიტი, რომელმაც ურჩია ამირანს მარილიანი წყალი დასახსი კრილობაზე და აღარ გამოეხმება თავით... ასეც მოიქცნენ, როცა დღეს ვესამედ მოსჭრეს თავი, მარილიანი წყალი გადასხეს“. ამავ ხერხს მიმართა ამირანმა, როცა ერთ შვევს ქალს მოსჭრა თავი<sup>2</sup>. კრილობაში არაორგანული ნივთიერების გამოყენება (თუნდაც შეხორცების შემადგენლებად) არც ის ამირანიანის თავდაპირველი თქმულებიდან მოყოლილი ფრაგმენტია, მანაც არ არის ინტერესსმოკლებული.

ამირანიანის უძველეს სვანურ ვარიანტში მოცემულია თვალის ამოღებისა და ჩადგმის იდეა<sup>3</sup>. ცნობილია, რომ ყვაელი (სენი, ართულებს თვალის დაავადებას. „იამნს ყვაელი სჭირდა და იმან გაუფუტა თვალი, სხვა თქვენი არ მომიცადა, იამანის თვალს არაფერი დამაროდნო“<sup>4</sup>. ყვაელითან და თვალთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გარემოება: იამანის ამოღებული თვალი შენახულია და მიკრულია სახლის სვეტზე, დევმა უჩვენა „სახლის სვეტი (ბოძი) და უთხრა, რომ შიგ სვეტში კოლოფი დგას, კოლოფში — კოლოფი და იმანია შენახული იამანის თვალი“<sup>5</sup>. მეორე, სვანურსავე ვარიანტებში, დღეს ოქროს სვეტზე აქვს მიკრული (მიჭაქველი) თვალი: „დევმა მიუთითა ერთ ოქროს სვეტზე: აქ არის თქვენი იამანის თვალი მიჭაქველი, აიღეთ ჩემი ცხვირსახოცი და ის თვალი და, როცა თვალი ჩადგათ, ცხვირსახოცი გაუსვით თვალზე იამანს და სინათლე დაუბრუნდებაო“<sup>6</sup>, ამირანმა „იამანს თვალი ჩაუხსია... ცხვირსახოცი გაუსვეს თვალზე, იამანს მხედველობა დაუბრუნდა“<sup>7</sup>. ამ ეპიზოდთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგახსენდეთ ერთი სვანური თქმულება: „ყვაელი და წითელა“<sup>8</sup>, სადაც აღწერილია მოარულ სენთა სადგომი. აქ „სახლის შუა გულს სვეტი იდგა, ეს სვეტი ირგვლივ კაცის თვალებით იყო მოქედნილი... რამდენ კაცსაც ჩემი შვილი ყვაელით თვალს გაუფუტებს, ყველა აქ მოაქვს და ამ

სვეტზე ვაქდევთო“ — ამნობს თქმულების პერსონაჟი მოარულ სენთა (ბატონების) დედა თავის მხრივ ეს თქმულება, შინაქანთისა და სრუტეებით, საოცრად ემთხვევა აქველ შექმერულ-ბაბილონურ გადმოცემას ბაბაარის შესახებ, რომელიც შემდეგში მოარულ სენთა (ბატონების) და თვალის სწეულებათა ლეთაზად ითულებოდა ქართულ ფოლკლორში წმინდა ბარბარეს სახით.<sup>1</sup>

ამირანიანში გავრცელებული მოტივია აგრეთვე ბანგის, საძილე საშუალების, გამოყენება. ოსურ ვარიანტში „წაიღო ღუდაკაცმა ერთი ჩარევა ბანგი“ და მივიდა ზღვისპირად ერთ ქალთან, დაადგინა მას და ქალს „მეცდარივით დაეძინა“<sup>2</sup>. ბატარა ამირანს დევმა ბანგს ასმე-ვინჯნ დასაძინებლად: „დევმა აღგნენ და ბანგი შეაპარნ შეიღო კვირისა და შეიღო დღისა“<sup>3</sup>. ეს მოტივი არ გვხვდება გილგამეშიანში, მაგრამ თუ ეს ამირანიანის თავდაპირველი თქმულებიდან, მითოლოგიური პერიოდიდან მომდინარეა, მერად მნიშვნელოვანია, გარდა თვით საძილე საშუალების არსებობის ფაქტის დადგენისა, ირკვევა იმდროისათვის მისი გამსაზღვრის, ტექნოლოგიური პროცესის ერთი, მნიშვნელოვანი შტრიხიც — მას შემზადებულს აჩერებდნენ. (ქიმიური პროცესების დასრულებისათვის) „შეიდკვირასა და შეიდ დღეს“. როგორც ჩანს, ტექნოლოგიური პროცესების ცოდნა შერწყმული იყო მაგიკრობასთან, „შეიდის“ ღვათებრიობასთან.

ამირანიანის სვანურ ვარიანტებში დღენაკლულ ბავშვთა ემბრიონალური ზრდისათვის ხელოვნური გარემოს შექმნის იდეა მოცემული. როდესაც მამა დაღის მუცლიდან 3 თვის ამირანს ამოყვანს, დაღი დაარბებს მას: „შვილი სამი თვე დევდელი დაშვი შეინახე, შემდეგ სამი თვე კეროს ფაშეში, რომ, რაც დედის მუცელში დააკლდა, ის შეივსოს და გამოიშუშოს“<sup>4</sup> სხვა ვარიანტებში „უხედნი ბუღას ტყავში. ან მოხვერის ტყავში“<sup>5</sup> ახვევენ. პროფ. მის. ჩიქოვანის მოსაზრებით, დევდელის ფაშეში მოთავსება „უბიწოდ ჩასახვის გახსენება შეიძლება იყოს“ კეროს ფაშეში, ბუღის, მოხვერის ტყავი კი წინათ საქართველოში არსებულ ხარის კულტზე უნდა მიუთითებდეს, ხარის მზის განსახიერება და დაღის ანდერაჟი გულისხმობს, „ამირანი დედა-მზის დახმარებით მოათა-

1 მიჭაქველი ამირანი, დასახ. გამოც. გვ. 380, და 385.  
 2 იქვე, გვ. 380, 385.  
 3 იქვე, გვ. 381.  
 4 იქვე, გვ. 382.  
 5 იქვე, გვ. 358, 378.  
 6 იქვე, გვ. 358, 360, 378.  
 7 ზეს. ნიყარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, 1962, გვ. 147.

1 დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ მ. შენგელია: ქართული სამედიცინო ფოლკლორი და სემერულ ხეთა-სემარული სამყარო, წიგნში: ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, 1963, გვ. 12-14.  
 2 მიჭაქველი ამირანი, დასახ. წიგნი, გვ. 391.  
 3 იქვე, გვ. 288.  
 4 მიჭაქველი ამირანი, დასახ. წიგნი, გვ. 357.  
 5 იქვე, გვ. 365, 376.

ვებს ზრდასა<sup>1</sup>. ეს ეპიზოდი, წარმართული რელიგიის რომელიც განებათ ადრინდელ რიტუალს არ უნდა დაეუკავშიროთ, შინა დღენაღწევის ემბრიონალური ზრდის დასრულებასა და ემბრიონალური მდგომარეობის მინაგვარი ხელოვნური გარემოს შექმნას ისახავს მიზნად. ამ რელიგიური რიტუალები შერწყმულია რაციონალურ იდეასთან.

ამირანიანის მეტად გავრცელებული მოტივებია აგრეთვე საეკისრო გაკვეთის მინაგვარი მანიპულაცია, რაც ბალახებისა და მინერალური წყლების სამყურნალო თვისებების ცოდნასთან ერთად განხილული გააქვს ჩვენს ადრინდელ შრომამში. ეს მოტივი ამირანიანს უკვლა ძველსა და სრულ პროზაულ ვარიანტებშიც არის ასახული და ამდენად, იქ მიღებული დასკვნებშიც სარწმუნოა. ჩვენს ზემოხსენებულ ადრინდელ ნაშრომში საკმაოდ დაწვრილებით, ძირითადად აკად. შ. ნუკუბიძის მოსაზრებათა საფუძველზე ვეხებით აგრეთვე ამირანიანში სამყაროს 4 ელემენტისაგან შედგენილობის თეორიის არსებობის ნიშნებს და ამ აღარ გავიმყოებო<sup>2</sup>.

<sup>1</sup> მთ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, გვ. 188.

<sup>2</sup> მთ. შენგელია, მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, თბილისი, 1961, გვ. 147, 165.

<sup>3</sup> მიჯაჭვული ამირანი, დასახ. გამოც. გვ. 302, 365, 376 და ა. შ.

<sup>4</sup> მთ. შენგელია, დასახ. წიგნი, გვ. 149-165.

თუმცა ამირანიანი და გოგამეში სიუჟეტურად და ფრაგმენტულად ემსგავსება ერთმანეთს, ისინი სრულიად დამოუკიდებელი მსატყურელი ქმნილებებია, რომელთაც პროტოპლაზმის ქსოვი საწყისები აქვთ. მათ განვითარების ერთ ინტელექტუალურ დონეზე მყოფი ტომების მიერ შექმნილი წარმოდგენებით, ინტერესებით, მსოფლმხედველობითა და აზრებით ჩამოყალიბებული თქმულებები, ცალკეული ლეგენდები ასაზრდოებდა, რითაც ამირანიანის ძვ. წ. აღრიცხვის მეორე ათასწლეულით დათარიღება არამცთუ უტყუარია, შესაძლოა ამ თარიღმა საუკუნეებით უფრო უკანაც გადაინაცვლოს. ორივე ეპოსის წყაროები ძველი შემერული თქმულებების ციკლი უნდა იყოს. ყოველივე ეს კი იმ ორიენტალისტთა სასარგებლოდ დამარჯობს რომელთა მოსაზრებები ქართველურ ტომებსა და მათს კულტურას გენეტიკურად აკავშირებს, ძველი შემერების ხალხებთან და მათს კულტურასთან, რომლის დამადასტურებელი ნიშნები ყველაზე უფრო ისევე ქართულ სამედიცინო ეთნოგრაფიასა და ფოლკლორს შემოუნახავს.<sup>1</sup>

კვლავ უფრო დამაჯერებელი ხდება აგრეთვე ამირანიანის პირველადობა, და პრომეთეს ქართული ეპოსიდან მომდინარეობის შესახებ არსებული მოსაზრებები.

<sup>1</sup> იხ. ამ საკითხზე მთ. შენგელია, ქართული სამედიცინო ფოლკლორი და სუპერულ-ხელოვნობრივი სამყარო, წიგნი — ეტიუდები ქართულ მედიცინის ისტორიიდან, 1963, გვ. 3-15.

## ალაშვილის მორჩილი გლეხი

11

„ცენტრალ სტატიონი“ — როტერდამის მთავარ სარკინიგზო სადგურს — სხვა სადგურებისაგან განმასხვავებელი ერთი ნიშანი აქვს. რკინა-ბეტონის ამ უზარმაზარ შენობაში სადგურის ყველა სათავსო, რამდენიმე მოსაცდელ დარბაზითურთ, პირველ სართულზეა, მატარებლები შენობის მეორე სართულზე შემოდიან. ბეტონის მაღალ საყრდენებზე შეყენებული რკინიგზა ქალაქს თავზე გადაეწვას და, როგორც კი მასის ტოლადისხარბიანი ხაზს უკან მოიტოვებს, ტულპანებისა და ქარხლის ყანებში გაიჭრება.

გადახურულ პლატფორმებზე ერთდროულად რამდენიმე მატარებელი დგას. როტერდამი დიდი სარკინიგზო ეკანია. აქედან ევროპის ყველა მიმართულებით დაიარებიან ჩვეულებრივი სავარეუბნო მატარებლის მსგავსი შემადგენლობები. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ მანძილები დიდი არ არის. ვიდრე ბილის დრო მოვიდოდეს, მატარებელი უკვე მიაღწევს დანიშნულების ადგილს. მითუმეტეს ისე მოყლე გზაზე. როგორც როტერდამი-ანტვერპენში.

მატარებლის დაძვრის წინ ევგონის ფანჯარასთან შევიდა გავმართე და რუკა მოვიმარჯვე. როტერდამიდან ანტვერპენამდე, საითაც ახლა გზა გვედო, ორასი კილომეტრი თუ იქნება. ამ გზის გაკლას მატარებელი სამ საათსა და რამდენიმე წუთს ანდომებს. თითქმის შუა გზაზე, ორი ქვეყნის საზღვარზე ბელგიის პატარა ქალაქი ესსენი, რომლის შემდეგაც ანტვერპენამდე საათნახევრის სავალიც აღარ რჩება.

ქვეყნის ეს ნაწილი ჩრდილო რაიონებისაგან თითქმის არაფრით განსხვავდება. კომუნა მოგ-

როს ეზოები, გზების ვასწვრივ გამჭკრივებულ აფურის მანსარდიანი სახლები, ერთმანეთისაგან არხებით გამოყოფილი ბალ-ბოსტნები, სათიბები და სამოყრები, ჭრელი ძროხები ზარმაყად მოყვან ლორთქო ბალახს, ხოლო მამინ, როცა მოახლოებული მატარებლის ხმა შემოესმით, თავა მალღა მწევენ და დიღხანს გაკვირვებულება გვიუფრებენ.

ნათრფერი ყვავილების ყვლები აქვთ შედარებით ნაკლებია. სამაგიეროდ, საქონლის საყვებ ქარხალსა და სათიბ-სამოყრებს თვალწვდენელი ფართობები უჭირავს.

სამოყრად გადანახული ნაკვეთი პოლანდიელ გლეხს მათთვის ღობით სამ ან ოთხ ნაკვეთად დაუყვია. ყველა ამ ნაკვეთში საქონელი ერთდროულად როდი მოეს ბალახს. პირტყვი, როგორც კი ფერღს ამოივებს, ფეხითა და ნაკელით ამინძერებს ბალახს, რომელსაც შემდეგ თვითონაც აღარ ეკარება. ეს რომ არ მოხდეს, აქედრო მომჭირნე მუტრნები ჯერ პირველ ნაკვეთს მისცემენ სამოყრად თავის საქონელს და მომდევნო ნაკვეთში მათ მანამ არ გადაიყვანენ ვიდრე აქედრობა ძირისძირობამდე არ მოიძოვება. შემდეგ, როცა პირტყვი უკანასკნელ ნაკვეთში ნებივრობს, პირველში უკვე ახლო ბალახია ამბინებული და უკვე ხელახლა შეიძლება მისი სამოყრად გამოყენება. ასე გრძელდება დაუსრულებლივ და ვიდრე თოვლს დასდებდეს, ხარ-ძროხასაც არასოდეს არ ელევა ცოცხალი და მსუყე ბალახი.

მიწის, კერძოდ კი სამოყრის მომჭირნელ გამოყენება პოლანდიაში იმის გამოც არის აუცილებელი, რომ აქ თავისუფალი, უმატრონოდ დაგდებულ ყამიას ვერსად შეხვდები, სადაც ბალახი თავისით იზრდებოდეს და შეიძლებოდეს საქონლის ნებაზე მიშვება, ამგვარი ფუფუნების უფლება პოლანდიელებს არ მისცა თავისი ქვეყ-



ნის ბუნებრივმა პირობებმა და მოსახლეობის სიმჭიდროვემ. სწორი უბრძანებიათ ჩვენს ძველებს: როგორც გვირდეს, ისე ვიღობდეს.

მატარებელი დიდხანს მიდიოდა ხიდზე. მდიდარ ისე განიერი იყო, ვალმა ნაპირი ძლივს უჩანდა. მოიზარებდა და დინჯად, მდობრედ, თითქოს არც იძვროდა. მაშინვე რუკას ვეკი, პოლანდში დიეები — მარცხალ-მარჯვალ ამოღვივით მდინარის ფლამანდიური სახელწოდება. უთუოდ ეს იყო, სხვა ასე დიდი მდინარე უკანაში არ შეგხვედრია. მღვდელმა მატარებელი ვახვილების ქალაქ როზენდალში გაიწვია. ამ გზაზე ეს მეორე მოზრდილი ქალაქი იყო, პოლანდში დიეების ვადალმა დარჩენილ დორტრეხტის შემადგებ.

როზენდალში აქ საექსტრისიოდ ნამყოფი ფრანგი სტუდენტები ამოკეივდნენ და მთელი ვაგონი ამ ქვეყნის მკვიდრობისთვის უცხო ტურქალია და მზარდი შეძახილებით ავესეს. აღტაცებულნი იყვნენ. ლოკებატეციკლი, ბუნდინი. ვერც კი არჩეოდნენ. მათ გარდა დედამიწის ზურგზე თუკი არსებობდა კიდევ ვინმე, ვამოველაპარაკეთ. უმაღლესი სერობუნდნი და საოცრად თავაზიანნი გახდნენ, რადგან ახალა დაგვიანეს. გუშინ დილას მოვედი, მთელი დღე როზენდალში გავატარეთ და ახლა შინ ვბრუნდებით, ანტეგრეპინიდან პარიზამდე თითქმის იმდენივე საეალია, რაც როკერდამიდან ანტეგრეპინამდე. ეს ასეი გოგრა-ბიჭები, ვისთვისაც ცხოვრება მოსაყრფად დაბრაწული ატმის ბალია, მზის ჩასვლის წინ უკვე შინ, პარიზში, იქნებიან. ფანჯრის ვადალმა კი ერთმანეთს ენაცვლებიან მწვანე მინდვრები, მინახამული ჩარჩოებით თედახურული სათბურები, ბაღები, სოფლები, სერებზე შემდგარი ქარის წისქვილები.

ნიდერლანდებისა და ბელგიის ცხოვრებაში ქარის წისქვილებს ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მთავარი იარაღი, რითაც ამ ორში გამარჯ ხალხმა ვერ კიდევ ორთქლის მინქლის გამოკვანამდე ზღვის უკან დაიხვეწა და ნაპირის ბატონ-პატრონი გახდა. სწორედ ქარის წისქვილებია. ისინი ყოველთვის წყალდიდობისათვის მოუწოდებელ ბორცვებზე დგანან, მაღალი და ფრთხილ თითქოს ცამდე აწვდნენ. დღეს ვიგანტრეფი ფრთები მძლავრი ტემპების დგემებს ამუშავებდა და წყლის ვეება ნაკადს, თითქმის მთელ მდინარეს, სასურველი მიმართულებით მიჰქანებენ. უამთოდ მთელი ნიდერლანდები ტბებითა და ვაუეალი ჭაობებით დაფარული ქვეყანა იქნებოდა, სადაც აღამიანი ფეხს ვერ მოიკიდებდა. ქარის წისქვილები რომ არ ყოფილიყო, ამა, როგორ ვაბეჭედა ვი-ლქელე ორანელი რაბების ვახსნას ქალაქ ლვიდენთან. იქ ზომ მომხედორიკა და დამხედორიკ ერთად დაიხიებოდა და ხელახლა ზღვის ფსკერაქციული მიწაც ზღვის ფსკერადვე დარჩებოდა!

დგანან ახლა ბევრჯერ გარჯილი ქარის წისქვილები მიმდებრებში და თავიანთ ვერს ეღიან. მათი ვერი კი ყოველი დიდი წვიმისა და წყალდიდობის დროს დგება.

ამ ოქტომბრის დეკემბრის, როცა ვაგონის კარი ხანშიშესულმა კონდუქტორმა შემოაღო და ბილეთები მოითხოვა. ვიდრე ის შემოვიდოდა, პოლანდში დიეების ხიდზე ვადამკლამდე კიდევ ერთხელ გასიწყეს ბილეთები. ასე ვეკრად რად ვეამოწმებდნენ? ვამოიკვია, რომ სადგური, რომელიც რამდენიმე წუთის წინ ვავიარეთ, ესენი ყოფილიყო და მატარებელი ამჟამად უკვე ბელგიის მიწაწყალზე მაქროდა.

ვერობის ამ პატარა და უძველესი კულტურის ქვეყანას, სადაც ახალი სარწმუნოების მიმდევრები პირველად ვერ კიდევ მეორე სუკუნეში იწერდნენ, ისტორიამ მზარდილი მოღსვენობა და ზრუნვა დაუბედა. ამა, როდის და როგორ უნდა მოესვენა შიგ კონტინენტის გულში და ვერობის უდიდესი გზების შესაყარზე მოსახლე ერთ მუკა ხალხსა და მათ პატარა ქვეყანას!

მართალია, ცვილიზებული დიდი ერების მებობობა იმთავითვე დიდი ბედნიერება იყო, რადგან მათთან ერთიერთობის შემვეობით ბელგია ყოველთვის მსოფლიო კულტურის ავანსცენაზე ტრიალებდა, მაგრამ ვასპირი მაშინ დგებოდა, როცა ვაუმადარი მებობლები ერთმანეთს ავშლებოდნენ და ერთმანეთზე საომრად მიიწვეოდნენ. ვინლა იყო მათი გამშველებელი? ამისთანა დროს ყოველთვის ბელგია იქცეოდა ზოლმე ანგარიშსწორების ასპარეზად და ხშირად მის მიწაზე წყდებოდა ვერობის ხალხთა ბედი.

მარტო ვატერლოოს ვახსენებდა რადა დროს. 1815 წლის 17 ივნისს ბელგიის ამ პატარა სოფლის მოსამკლე ყანებში ჩასვლამ მთელ ვერობასთან შერყინებული კორსიკელი იმპერატორის მზე, მისი ხელახალი აღზავების მეტად დღე აქ დაღამდა, აქ მოხდა ის ვალამწყვტი ბრძოლა, რომელიც ისტორიამ „ხალხთა ომის“ ვადალფარდოვანი სახელწოდებით ომის შესული. ნაპოლეონის ნამდიდლამმარცხებულს თითქოს ბედმა დასცინა. მოკავშირეებთან ერთად პარიზში შესულ რუსეთის არმიას ეს ბედი იმპერატორ ალექსანდრე პავლეს ძის ახირებული სურვილის სახით მოველინა. ალექსანდრემ, დამარცხებული ფრანგი იმპერატორთან აღტაცებას თვითონაც ერთი ვერ მალავდა. ომარ მოსურვა საფრანგეთში მებტ ხანს დარჩენა და არმიითურთ შორეული სამშობლოს გზას ვაუდგა. ამა, ან ის, ან ვინმე სხვა როგორ წარმოიდგენდა. თუ გუშინდელი კორსიკელი კაპრალი ორი წლის შემდეგ ვადასახლებიდან ვამოიბარებოდა, ბურბონებს ხელახლა ვანდენიდა ტიტურის სასახლიდან და ფრანგთა დიდძალი წარით

თავადვე მოუხტებოდა მოკავშირეებს ვატერ-ლოოს ველზე!

სანამ მეცბრე საუკუნეში ჩრდილოეთის ზღვის მთელ სანაპიროს, ფრისლანდის კუნძულებიდან, ვიდრე არდენის მთებამდე, ნორმანები მიაოხრებდნენ, ხოლო შემდეგ ფილიპე მეორე თავის ინკვიზიტორებსა და დამსჯელ რაზმებს გამოგზავნიდა მადრიდიდან აქაურობა თვით იუდეუს კეთსარმა დაარბია თავისი უძლეველი ლეგიონებით. მან სწორედ ამ მინდვრებში სძლია თანამედროვე ფრანგთა წინაპარ ვალეს და, ლაშქრობიდან შინ ძლევამოსილად დაბრუნებულა, რომში ტრიუმფატორის ეტლით შებრძანდა.

კიდევ ბევრი რამ იყო... ვანა შეიძლება ყველაფრის გახსენება; უკანასკნელად აქ გერმანელები და კონტინენტზე მყოფი ინგლისის ჯარი შეებმენ ერთმანეთს. ინგლისელ-ბუნდოვითა შეერთებულმა სამხედრო ძალამ ვერ გაუმლა ფაშისტური ურდოეების შემოტევას და ზღვის ნაპირ-ნაპირ დიდუნიკისაკენ უკან დახევა იწყო. ინგლისელთა ჯარის ნაშთებმა გემებზე ასელა მოასწრეს და მალე ლა-მანშის ნისლში დაიშალნენ, ბელგიელთა არმია კი, რომელსაც გასაქცევი ვა აღარსათი ჰქონდა, მკვიწრავ მტრის პირისპირ დარჩა...

ეს, ნამდვილად არა ღირს ისტორიის ვახსენება, არა ღირს იმის მოგონება, თუ როგორ თამაშობდნენ ძლიერნი უძლეურთა ბედობლით, როგორ ეპყრობდნენ. სულ ერთია, სამართალს ვერ იპოვებ, რადგან ძლიერნი და გამარჯვებულნი ყოველთვის მართალნი იყვნენ.

12

ანტვერპენის საჩინოზო სადგურში შესვლის წინ მატარებელი გადავიდის მდინარე შელდას, რომლის მარცხენა ნაპირზეც ვაშენებულია ბელგიის ეს უდადესი და უძველესი ქალაქი. მატარებლის ფანჯრიდანვე მოჩანს სხვადასხვა სიმაღლისა და სხვადასხვა დრის აშენებული დიდი და პატარა სახლების ციკაბო სახურავები, საერო და საეკლესიო ნაგებობათა ცაში აჭრილი კოშკები. ამთვან უველაზე მძალია და გამორჩეული ნოტრადამის ანუ ლეთისმშობლის ტაძრის კოშკია. თავისი სიმაღლით ის ქალაქის უმაღლეს კოშკებს თითქმის ორჯერ აღემატება და ყველა უბნიდან ჩანს, თითქოსდა ლეკვარდ ცაზე ჯადოსანი მხატვრის ფუნქცი მისატულა.

ანტვერპენი ძველთაგანვე ხელოსანთა, ვაჭართა და მეზღვეურთა ქალაქია. სიდიან არ მოდიან აქ თვით ბელგიისა და უცხო სახელმწიფოების ნედლეულით და სურსათით, ნავთობითა თუ ქვანახშირით დატვირთული გემები. შელდის ნავსადგურის უზარმაზარ საქ-

ვობებში დედამიწის ყოველი კუთხიდან მოტანილი საქონელი აწევია. სამდინარო ფლოტილიები და რკინიგზის ეშელონები განუწყვეტლივ ეზიდებიან ამ საქონელს კონტინენტის ყოველი მიმართულებით და იქიდან, სამაგიეროდ, ოკეანის გაღმა გასასტუმრებელი საქონელი მოაქვთ.

ანტვერპენის, როგორც საზღვაო ნავსადგურის, დაწინაურება მოგვიანებით დაიწყო. ვიდრე ის მსოფლიო ვაჭრობის ასპარეზზე გამოვიდოდა და გამდიდრებას დაიწყებდა, ბელგიის ქალაქ-ნავსადგურთაგან პირველობის პაღმა რიგრიგობით ჯერ გენტსა და შემდეგ ბრიუგეს ეკვა.

ანტვერპენის მსავსადა ეს ქალაქი-ნავსადგურებიც ზღვიდან შორს არიან და მათი ნაოსნობის ბედი ზღვამდე მისასული მდინარეების სიღრმეზე ჰკიდია. თუ წყალი დანა არ იქნა, დიდი საზღვაო გემების ნავსადგურამდე მოსვლა ყოველ შემთხვევაშია. ოდნულად გემებით სავსე გენტისა და ბრიუგეს ნავსადგურები დროთა განმავლობაში მოიხილა, წყალმა გათხვლედა იწყო და თუმცა კალაპოტების გასაღრმავებლად ყოველგვარი ზომა მიიღეს და ახლაც იღებენ, უკან და უკან წასულ საქმეს მიიღე არაფერი ეშველა. სპირთი ვაგდა ახალი საზღვაო კიშურის ძიება და ამიერდან ამ კიშურის მოვალეობის შესრულება ეპყართა და ხელოსანთა ანტვერპენმა იღო თავს.

შელდა, მართალია, ზღვასავით წყალზე მაას ვერანართად ვერ შეედრება, მაგრამ ბელგიის მდინარეთა შორის ის მიიღე ყველაზე უფრო მოხერხებულთა სანაოსნოდ. ნავსადგურის აუზებში წყლის სიღრმე თხუთმეტ მეტრამდე აღწევს. ეს, რასაკვირველია, საკმარისი არ არის დიდი საოკეანო გემების მისაღებად, რაც, თავის მხრივ, საბედისწეროდ ზღუდავს ტვირთბრუნვას, მაგრამ საშუალო წყალწყების ზომადღები აუზებში თავისუფლად შემოდებიან.

შელდაზე საზღვაო ნაოსნობის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი სულ სხვა რამ იყო. მისი ქვემოწელის მნიშვნელოვანი ნაწილი, შესართავითურთ, ნიდერლანდების ტერიტორიაზე მოქცეულია და, უკეთ თვინათ ჩრდილო მეზობელთა ბელგიელები შეთანხმება ვერ მიიღევენ, ანტვერპენის ნავსადგურის საზღვაო ნავსადგურად გამოყენებაზე ფიქრი ტვირის ამო კვეტა იქნებოდა. შეთანხმება მიღწეულ იქნა გასული სუკუნის შუა წლებში, როცა ბელგიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და თავისი საშინაო საქმეების მოგვარებას მიჰყო ხელი. ჰოლანდია არ გაქიოტებულა. ვანა ყველაფერი ანგარიშისა და ფულის საქმე არ იყო?! ამას ვარდა, მან თავი ისე დაიჭირა, თითქოს არც კი შეეჩინევიან ანტვერპენის ფარული ზრახვა — თნდათონობით, როგორც კი წილს წამოსწევდა, როტერდამისათვის კონკუ-

რენცია გაეწია. პოლანდიელებმა წინასწარვე გამოითვალეს, შესძლებდა თუ ვერა ანტივერპენი ამ თავისი სურვილის შესრულებას. ყველა წინასწარი მონაცემი როტერდამის სასარგებლოდ დაიდგება. მაშინ პოლანდიელები უყოფნაოდ დათანხმდნენ, იქართი გაეცათ შელდის შესართავი და თავიანთ ტერატორიულ წყლებში ანტივერპენისავე მომავალი გემები გამოეტარებინათ.

მაღალკაბრებიანი სარკინოგზო სადგურის შენობიდან გამოსულ უმაღლეს შუა ქალაქს თავებრუნდამხვევ ორომტრიალში ექცევი. ზედ სადგურს ებჯინება ქალაქის მთავარი მაგისტრალი — კაიზერის ქუჩა. იგი ანტივერპენს შუაზე ჰყოფს და სადგურის მოედნიდან ნავსადგურისავე მიემართება.

კაიზერი, ვისი სახელითაც ეს დიდებული პრინციპტი მოუნათლავთ, ფლამანდიელი მხატვარია. უცხო კაცს, ცოტა არ იყოს, ვაყვირებდა შევიპყრობს, როცა გაიგებ, რომ რუბენის მშობელ ქალაქში ყველაზე დიდსა და ლამაზ ქუჩას არა თვით რუბენისი, არამედ სხვა მხატვრის სახელი ჰქვია...

პირველი კი, რასაც მასპინძლები პირველსავე დღეს გაიყვანებენ და თავსა მოიწონებენ, მინც რუბენსია, რუბენისი სახელთან დაეკუთრებული შენობები და ნივთები, რუბენისი სწორუბოვარი ქმნილებები...

ყველა დროს ეს უდიდესი მხატვარი ანტივერპენში ცხოვრობდა. აქვე, მდინარე შელდის პარკი, ვატიარა მან თავისი ბავშვობა, უცხო ქვეყნებში მრავალი წლის ხეტიალის შემდეგ ისევე აქ დაბრუნდა და ცხოვრების ყველაზე უფრო ნაყოფიერი დღეები მშობლიურ ცისქვეშ დაიღამა.

სამოქალაქო მოსაქმეობით პიტერ ჰაულ რუბენსი დიპლომატი იყო და დიდხანს საგარეო საქმეთა კოლეგიაში მუშაობდა. ის ელჩად იყო იტალიაში, როცა შინიდან დედის მძიმე ავადმყოფობის ამბავი მოუვიდა, რუბენსმა დაუყოვნებლივ მიატოვა სამსახური და რამდენიმე დღის შემდეგ ანტივერპენში გაჩნდა. დედას, მართალია, ცოცხალ მოსწერო, მაგრამ ავადმყოფის დღეები დათვლილი იყო და სანატრელი შეიღის ნახეთ გულმკერდობულს ბევრა აღარ უცოცხლია.

რუბენსმა დედის ნეშტი მიწას მიაბარა და ამიერიდან უარი თქვა სახელმწიფო სამსახურზე. მან, უკვე ქალარაშერუელმა კაცმა, გააღწვივტა, სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი მთლიანად ფერწერისათვის მიეძღვნა.

იტალიაში მრავალი წლის მანძილზე ცხოვრება და იჭაურ ოსტატთა ქმნილებების ძირფესვიანი შესწავლა ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებულ ფლამანდიელისათვის, რომლის შთელი არსება რენესანსის ქუმანისტურ იდეებს დაეპყრო, უმნიშვნელოვანესი სკოლა აღმოჩნ-

და. მაგრამ გულზედაყრფილი არც ბელგია მკდარა. ამ დროისათვის ის უკვე ათეულობა თავისი მაღალნიჭიერი მხატვრებით განიცეს, დე ლა პასტურს, ვან დერ, ჰელს, მქმნილებს, ოლივერ დე ლა მარკს, შატლუნს, კომისს, გერარდ დავიდს, ბრაიველს და სხვათ, ფლამანდიური მხატვრობის მთელ სკოლას, უკვე მხოფლიო სახელი ჰქონდა მოხვეჭილი...

შემდეგ, როცა სამსახურიდან გადამდგარმა რუბენსმა ანტივერპენში სამოსახლო მიწა იყიდა და ქალაქის ერთ-ერთ მკუდრო უბანში დაიდგებოდა სახლი დადგა, მან ფლამანდიური მხატვრობის თეატლანთო ნიმუშები შეკრიბა და საგანგებო დარბაზში მოწიწებით მოათავსა.

ტიტანური შრომის შემდეგ ამ დარბაზში შემოსულა და საყვარელ მხატვართა ქმნილებების ბერტა დიდი შემოქმედის ყველაზე უფრო სანერტო დასვენება იყო. მას არ აღიზიანებდნენ წინამორბედები, არ შთაუნერგავდნენ ნიპილიზმისა და ურყოფის გრძნობას. პირიქით, ბრწყინვალე წინამორბედთა ყველაზე უფრო საუკეთესო ნაწარმოებებში რუბენსი შთაგონების წყაროს ჰპოვებდა და, მუშების სამსახურად აღტკინებული, ხელოვნების სიადრულმოებათა უვალ გზებზე მიაბიჯებდა.

ვერ იტყვი, რომ სახლი ძალიან დიდია, თუმცა არც სიბატარავე ეთქმის. ორ ურთიერთ პარალელურ ფლიველს, რომლებშიაც საოყახო ოთახები და მხატვრის სახელოსნოა მოთავსებული, ფასაღზე გამოშავალი მესამე ფლიველი აერთებს. სმიფე ფლიველი პატარა პატარა, ოდნავ მოგრანო ოთახებად დატეხილია. ყველა ამ ოთახში აღორძინების ხანის ხის მოხარატებული ავეჯი დგას: განჯინები, სკამები, სკიერები, ტახტები, საყარცხულები... ორ სხვადასხვა ადგილის მხატვრის ახალგაზრდა მკუდლის ორი ფერწერული სურათი ჰყიდა. ორივე სურათი მოწაფეებს შეუსრულებიათ. თავისი ყმაწვილი ცოლი რუბენსს გაგიყვით უყვარდა და მას პატარა ბავშვიით ანებიერებდა.

სახლის მარჯვენა ფლიველი, სივრცითა და სიმაღლით საშუალო მოცულობის ეკლესიას რომ ამ ჩამოუვარდებდა, მხატვრის სახელოსნო ყოფილა. აი, აქ იდგა ზეკაცი რუბენსი. აი, ამ უზარმაზარი ფანჯრებიდან იღვრებოდა დარბაზში სასწაულმოქმედი დღის სინათლე. აი, აქ იდგა შთაგონების მეტყვე ცაზე ატაცებული და მისი ხელთ თვით უკუდავება ქმნიდა გამოუმორებელ ფერებსა და სახეებს.

სახელოსნოს სახურეთ კედელზე რუბენისი სმი ქმნილება ჰყიდა.

ადამი და ევა", სიცოცხლით, ზორციელი და სულიერი სიჯანსაღით სავსე ქალისა და ვაჟის შიშველი ფიგურები. რუბენსისებურად ჩიშინ ვეას ოდნავ მოხრილი მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითით



ეახის კლერტო უქირავს და რძისა და ვარდის-ფერი სხეულის ფონზე მკაფიოდ მოხაზული კლერტო კიდევ უფრო შთაბეჭდვას ხდის ამ-ქვეყნიური სიმშვენიერით შემოვლი ქალის მო-მხიბლავ სიმშველეს.

დადნის ხის ტოტზე, სწორედ ქალის ყურთან, ხშირ ფოთლებში უნასი მიიკლავება. ეტყობა, მამ უკვე ატუნა უმანყო ევა — მას ცხოვრე-ბის დიდი საიდუმლო გაანდო.

წვერ-ულუამაშვანებული ჭაბუკი ადამის ფი-გურა განცვიფრებასა და უზუნაეს ნეტარებას გამოხატავს. მან ეს-ესა იხილა ქვეყანა და წე-რაც ვერ გამოჩვენა.

მეორე ტილოზე მიხილური სიუჟეტია ვაღ-მოცემული. ანგელოზები ღვთისშობელ მარი-ამს ამცნობენ, რომ მას შეეძინება ყრმა, ვინც მთელი კაცობრიობის ცოდვა-მადლი უნდა იტ-ვიროს.

სურათში მრავალი ფიგურაა, მრავალი ფერი და ხაზი. მთლად ადვილი არც კია ნაწარმოების დედაზრის გამოტანა. მას რუბენსისეულ ყოფი-თობასთან, რეალური ცხოვრების სიახლოვესთან საერთო არაფერია აქვს და ამიტომ მაყურებელ-საც ვერ არწმუნებს, ვერ იპყრობს ჩვეული ძა-ლით.

სამაგიეროდ, მესამე სურათი — „რომაული სათნოება“ მშაფრი დრამატიზმით არის და-მუხტული, ერთბაშად აღიქმება და რაც უფრო მეტ ხანს აკვირდები, მით უფრო ვიმორჩილებს განცდის სიწრფელით, უზრალეობითა და რუ-ბენსისათვის დამახასიათებელი შინაგანი ძა-ლით.

მიწის წყნით გამოკვებულ ხორცსაცხე ახლა-გაზრდა დედაცას, რომლის შვიდე სხეულის ყოველ უჭრედში დაუდგრომელი სიცოცხლე დღეს, რძით გატენილი ძუძუ ვაღიოუდვია და სათნოებად და ყურადღებადქცეული გარინდუ-ბელა. ეს თვითნებური ნაბიჯი შესაძლოა სიცოც-ხლედაც დაუტრდეს. ქალი შერიგებულია აზრს, რომ მოკვდება, მაგრამ შვისფერი ვნებით აღე-სილი სიცოცხლე მაინც არ ეთმობა. ძუძუს ხა-რბად დასცხროშია და გამგულბული სწოეს თმა-წვერამოშვებული ბერიკაცი. იმისი სიცოცხლის ვადასარჩენად მისივე ღვიძლი ქალიშვილი ცი-ხის საყანში შემობარულია და შიმშილისაგამ სი-სომიხილი, გამვალტყავებულ შიშას თავისი ძუ-ძუების რძით აპურებს.

ნახევრადბნელ კედელში გამოჭრილი სარკმ-ლის უკან მოჩანს ორი რომაელი ლეგიონერის განცვიფრებული სახე. მათ ყველაფერი დაინა-ხეს...

თქმულება გვეუბნება, რომ ქალის თავგანწი-რულმა საქციელმა იხსნა პატიმარი, ვისაც რომ-მაელ ზელოსუფალააჟან შიმშილით მოკვდინება ჰქონდა მისქილი. მამს, დანაშაული ეპატია და სიცოცხლე ებოძა.

ფულისა და მოგების მოყვარულ ანტიგონეს უმარჯვია და თავისი დიდი მოჭალაქის ბევრი ქმნილება დღემდე შეუნარჩუნებია. ალბათ ვე-რასად ვერ ნახავ იმდემ რუბენსს, რამდენსაც აქ. რუბენსის შწობელ ქალაქში. სამი მთაგანი ღვთისშობლის ტაძარში ჰყილია, დანარჩენები კი, ათი თუ თორმეტი დიდი და პატარა ტილო, ნატიფი ხელოვნების სამეფო მუხურეშშია გა-მოფენილი.

შეიძლება თამამად ითქვას: ღვთისშობლის ტაძარში დატული ქმნილებები საუკეთესოა იმ საუკეთესოთა შორის, რომლებიც კი რუბენსის ყალამს ოდესმე შეუქმნია. მაგრამ ღიდრე ამ ქმნილებებს მოინახულბდებ, ვერ თვით ტაძარი — ზერთომოდგრული ხელოვნების ეს საკვირს-ველი ნაწარმოები — უნდა იხილო. მისი შენება მეცამეტე საუკუნის ბოლოს დაუწყით და შემ-დგე შშენებულთა ახალ და ახალ თაობებს ამი თუ ასორმოცდაათი წელიწადი უშენებოთ.

ყველა უზარმაზარი ტაძარი, რომელთაც ბელ-გის ქალაქებსა თუ სოფლებში შეხვდები, ასე-ვე საუკუნეობით შენდებოდა და ზერთომოდ-ვრის ჩანადობრი თავის საბოლოო განხორციე-ლებას ამ უკანასკნელის სიკვდილიდან მრავალი ათეული წლის შემდეგ ჰპოვბდა. რას იზამ, ას-ეთი იყო შშენებლობის ტემპი. არავის არსად ეჩქარებოდა.

ამ მოედანზე ვასახველლად, სადაც ღვთის-შობლის ტაძარია აღმართული, რუბენსის სახ-ლის მხრიდან მიმავალი ერთხანს ისევ კაიზერის პროსპექტს უნდა გაყვე და საეპიტო ცენტრში მარჯვნივ გადაუხვიო.

აქ, ტაძრის მისახველლთან, ე. წ. „შეწანე მო-უდნის“ შუაგულში, დიდი ფლამანდიელის—მი-ტერ პულ რუბენსის ქანდაკება დგას ბრინჯა-ოსავე მაღალ პოსტამენტზე. მოედნიდან ტაძარი უკვე მთელი თავისი სიდიადით მოჩანს. ასი მე-ტრის სიმაღლე მოჭრეოელი კოშკის წვერზე ოქროსავე წყარი ბრწყინავს. მრავალწახნაგიანი კონუსისმაგვარი კოშკი ქვემოთ და ქვემოთ თა-ნდათანობით მსხვილდება და ძირში ტაძრის ეტ-თი უმთავრესი ნაგის კედლების ვაგრაკლებად იქცევა. სხვადასხვა მიმართულებით დაქანბულ-ლი, ზოგან ბრტყელი და ზოგან განსხვავებულ ეკუთხეობით დახრილი საბურავები ისეთ შთა-ბეჭდილებას ქმნიან, რომ ტაძარი შენობათა მთელი კომპლექსი გვეგონება. ეს შთაბეჭდილება მხოლოდ მაშინ ქარწყლდება, როცა კარიბჭეს გაივლი და ორღანოს იღვშალ გუგუნში შეინით შეიბიჭება.

ინტერიერს ვერის მოყვანილობა აქვს. მიწა-ზე დასვენებული ვერის მოყვანილობისა, ჯა-საკვირგელია, მთელი ტაძარი, მაგრამ ეს რომ გარედან შეამჩნიო, ალბათ, პერში დიდ სიმაღ-ლეზე აფრენა დაგვირდება.

მოლოცვლათვის რამდენიმე ურცელ დაბაზ-  
ში გაუმწკრივებიათ ზურგისანი სკამები. შემად-  
ლებულ ადგილზე განსაცდერებელი ოსტატო-  
ბით მოხარატებული ხის ძველისძველი კათედ-  
რა დგას. კათედრაზე თვით ეპისკოპოსი აბრძან-  
დება ხოლმე და მრევლს ქადაგებას უციობავს.

მაგრამ სკამები ზურგით რად მიუტყვევიათ კა-  
თედრისაკენ? ნუთუ აქაური მოლოცვლის თავი-  
ანთ მოძღვარს ზურგმეტყუელი უსმენენ?

საჭმე ის არის, რომ სხვა, მაგალითად, გერმა-  
ნული კათოლიკური ეკლესიისაგან განსხვავებით,  
ბელგიელები სკამზე არა სხედან ამბიონიდან ქა-  
დაგების მოსმენის, ანდა საეკლესიო მისტერი-  
ების წარმოდგენის დროს. ისინი მარჯვნივ მუხ-  
ლით სკამს გვერდობენ, ვითომდა დანოქილი,  
ნიდაყვით სკამის ზურგს და ქადაგებას ასე უს-  
მენენ. სწორედ ამით უმდა აიხსნას სკამებისა და  
კათედრის უცნაური ურთიერთმიმართება.

რუმუნის ორი ცინცხალი ტილო, ერთი ზო-  
მისა, ტაძრის ამბიონთან, მარცხნივ და მარჯვნივ  
ჰკადია, მძაღლ სატკმლებში შემთავალი დღის  
ჩვეულებრივი სინათლით განათებულ ყრუ კე-  
დელზე.

მირველ ტილოზე, რომელსაც „ჯვრის აღმარ-  
თვა“ უწოდებდათ, ფანტასტიკურსა და მი-  
სტიკურს ვერაფერს დაინახე. ჩანონიით სავ-  
სე უწყობდათბერილი და გონებაშეზღუდული  
ბოროტმოქმედნი შენს თვალწინ ვეძრებ აკრა-  
ვენ სიმართლისათვის წამებულ კვაკას. ქრის-  
ტეს უკვე გამოუვლია ჰურიათა მღვდელმთაფ-  
რების წინაშე დამცირებისა და ხელფხში სამ-  
სჯეალაუების გაყრის მთელი სატანველი. საკვი-  
რველი გუმლოდგინებით მოფხსფხს ბოროტ-  
მოქმედნი ჯვარს ახსა ზეზე აყენებენ, რათა იმ  
ორი ავაზაის ჯვრებს შორის აღმართონ...

ცისკენ თვალუბაყრობილ ქრისტეს უაღრესად  
შთაფრებელი სახე აქვს. ტანჯვას თითქოს და-  
უმწვდობდა. მან იცის, რისთვისაც კვდება და  
სახეს ღვთაებრივი ნათელი ადგას.

აქ კვდებოდა, აღბათ, ჰუმშიარტების საღალა-  
დებლად კოცონზე ასული ჯარდანი ბრუნო, აქ  
კვდებოდა ყველა ის, ვინც თავისი სიცოცხლე  
და მთელი ბირადი ბედმერება კაცობრიობის  
მძაღლ რწმენას შესწირა.

ამ სურათის შინაარსი შორს სცილდება რე-  
ლიგიის ფარგლებს და შიგ ჩაქსოვილი აზრის  
სიციოველი იგი ფართო ზეობრივ განზოგა-  
დებას იძენს.

მეორე ტილო „გარდაბოხსნა“ მნახველზე კი-  
დეე უფრო მეტ ემოციურ ზემოქმედებას ახ-  
დენს. ქრისტეს უსიცოცხლო სხეულს, რომე-  
ლიც თვით ზეწარზეა დასვენებული, მისი ერთ-  
გული აღმიაწებდა ჯვარიდან ხსნიან და უდიდესი  
სიფრთხილით მიწაზე უშვებენ. სურათის შე-  
აფული უღვლოდ ნაგვემ და ერთიანად მოსხლე-  
ტილ, თითქოს თავისივე სიმძიმისაგან ვასრესილ  
ქრისტეს სხეულს უკავია. მის უსიცოცხლო მ-

რცხენა ხელს ჯვრის ხარისხზე მეტადი გულმო-  
ყრდნობილი იოსები იჭერს მამრალი ადამიანის  
დაბაიწებულ მარჯვენა ხელზე. „ისწმენს“ ცო-  
რიან, გარეულ ხელთან შედარებით ქრისტეს  
მჭკრალ მკლავს სილურჯში გადამავალი ასკი-  
ლის ყვავილის ფერი დაქრავს. მიცვალებულის  
მარცხენა ფეხის ოღნავ გაფარებული თითები  
დაჩოქილ მარიამ კლოზაისს დაყრდნობის გამ-  
ჭვირებულ მარცხით დაფარულ შიშველ მხარზე.  
მარცხნივ მექ-ლურჯ სამოსელში გახვეული სა-  
სოწარკვეთილი ლეთისშობელი მარიაშია. ზე-  
მით აწვდილი მარცხენა ხელის თითებით ის  
ოღნავ ეხება შეილის უძლო მარჯვენას. იქვე  
მუხლებზე დაზობილი მარია მადალინელი,  
ნუთუ ეს მარიალია? საკუთარ თვალდასა-  
ვარ დაუჯეროს! მთელ სურათს ერთმანად აყო-  
ცხლებს ექსპრესიული წითელი ლაქა. ესაა წი-  
თელმოსასხამიანი „მოწაფე იგი, რომელი ეუუ-  
არდა“ და რომელზეც მომაკვდავმა ქრისტემ  
ღვთისშობელს სულის ამოღობის წინ ანიშნა.  
„ღედაკაცო, აჰა, ძე შენი!“ სიმძიმისაგან წელში  
გაღვერული კაბუცი ქრისტეს მარჯვნივ უდგას  
და ცდილობს მიცვალებული ფრთხილად დაუ-  
შვას მიწაზე.

თუ „ჯვარის აღმართვაში“ იესო ნაზარეტელი  
მინდობილი სულიერ წინასწარობის ინარჩუ-  
ნებს, აქ ის უერთფელეს ადამიანთა გარემოც-  
ვაში მოქცეულია, მაგრამ, ვაგლახ, რა გვიან —  
როცა სული ხორცს გაყავარა...

რუმუნის ხელოვნებელ ქმნილებებთან ერ-  
თად ტაძარში მყოფი იმასაც შეაძწნე, რომ  
ირგვლივ ბელგიურ სიფაქიზესთან შეურიგებე-  
ლი დაუდვარობა სუფუცხ. ტაძარი შიგნიდან  
მტრისაგან აკლბულ და უბატრონობით გაპარ-  
ტახებულ ქალაქს მიავგას. კედლებსა და თა-  
ლებს დიდი ხანია არ შეხებია მზრუნველი აღა-  
მიანის ხელი. აღარავინ ცდილა, ქალაქის მფარ-  
ველი ღვთისშობლის სახელობაზე აგებული ტა-  
ძრის შიგა სთავსებისათვის, რომელთა მძაღლ  
ბჭეების ქვეშ კვირაში ერთხელ მაინც მთელი  
ანტეერპენი იყრბებდა და უზენაესისადმი ლოც-  
ვის აღავლენს, აღარადგელი ბრწყინავლება დაე-  
ბრუნებინა.

რად ხდება ასე?

ამ არასასიამოვნო გარემოებას თვით ანტეერ-  
პენელები უზრალოდ ხსნიან ანტეერპენს სუ-  
ლის ამბევისათვის არა სცალია. ის ვაქრობით,  
ალებ-მიცემობით, ფულის ტრიალით არის შეპ-  
ყრობილი. სულის ამბევისათვის დაე გენტმა და  
ლიემა მოიცალონ!

მაგრამ ვანა შეიძლება, ანტეერპენელებს ყვე-  
ლაფერი დაეუქროთ, რასაც თავის თავზე იტ-  
ყვიან?

ანტეერპენი ძველთაგანვე საქვეყნოდ ცნობილ  
ხელოვანთა და ხელოვნების დამფასებელთა ქა-  
ლაქია. ის თვით ბროუსელსა და ლიევისაც კი

სქანის ფლამანდური მხატვრობის აქ დაკული კოლექციებით.

ნათიფ ხელოვნებათა სამეფო მუზეუმი — ანტვერპენის სიამაყე — ამ მხრივ ერთ-ერთი უპირატესესია დედამიწის ზურგზე. მამ, როგორ შეიძლება იმის თქმა, თუნდაც ხუმრობით, თითქოს ვაჟარ ანტვერპენს მართლაც არ ეცალოს სულის აშვებისათვის და მხოლოდ მოგება-წაგების ციებ-ცხელებით იყოს შეპყრობილი!

14

ნათიფ ხელოვნებათა მუზეუმს ჩენესანის სტილზე ამენებული უზარმაზარი სასახლე უპირატეს ქალაქის ცენტრში, ბანკების, საიუველირო მაღაზიებისა და ღამის კაბარების გვერდით. შინა ფართო, ნათელი დარბაზები რომ შემოიარო, ყველა კიბეზე რომ ახეიდე და ჩამოხედო, ყველა კეთხე-კუნძულში რომ შეიხედო, დრო თავზე საყრელი უნდა გქონდეს.

ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა დიდ სამხატვრო გალერეებში, შეხარბოშებულთ აქაც ეკრძალებათ მუზეუმის ზღურბლზე გადაბიჭება, დარბაზებში არ შეიძლება ცივი და ცხელი იარაღების შეტანა, ექსპონატებისათვის სურათების გადაღება და მელნით დამუხტული ავტოკალმების ხმაურმა ჩანაწერების გასაქეთებლად.

მუზეუმში საქვეყნოდ ვინიმელო შედევრების დედებია გამოფენილი და ნურაინ გააცივრების, თუ ამ დაუფასებელი სიმდიდრის პატრონები სიფთხოვლესა და წინდახედულებას იხევენ, სამხატვრო გამოფენების ისტორიას ქერლობის და ძარცვის მრავალი შემთხვევა ახსოვს. შერათების გამტაცებლეს სხეებზე ნაიღებ როდი მოგხსენებათ იმ ქმნილების ნომინალური ფასი, რომლის მოტაცებაც განურჩავთ. მოტაცებულო შედეგით, უპირატესად პატარა ზომისა, რათა გადატან-გადმოტანა არ გაწეულდეს, პირველ ხანებში ეყვალოდ ჭრება. შემდეგ პრესაში გაქონავს ვიღაც უცნობი პირებისაგან გამოგზავნილი სათუო ცნობა, რომ შედეგით ცოცხალია და მგონი ამა და ამ ქალაქში უნდა იყოს. ქვეყნის პოლიცია, მამებრები და შინაგანი უშიშროების ორგანოები ფეხზე დგებიან, მაგრამ დამნაშავეთა კვალს მიგნება ძალად უძნელდება. ბოროტმოქმედი გამომავლიან თანხას თხოვლობენ და სახელმწიფოს თუ საქვით დანტერესებულ კერძო პირებს სურათის უუნებლად დაბრუნების თავიანთ პირობებს სთავაზობენ.

ერთი ამგვარი ძარცვა ბოლო ხანს ბრიტანელის სამხატვრო მუზეუმში მოხდა. გამოცდილმა მმართველებმა გამოიყენეს თანამედროვე ტექნიკის ყველა საშუალება, ზემოდაჩნაზრხეს საგამოფენო დარბაზის ჭერი და რუბენისის პატარა პორტრეტი გაიტაცეს. პოლიციამ მალე იპოვნა დამნაშავეთა კვალი. ქერლებმა ვერ მოახერხეს გატაცებული შედეგის სანაცვლოდ იმ შთამა-

გონებელი თანხის მიღება, რომელსაც მუზეუმისაგან მოითხოვდნენ.

ამიტომაც ასე ფხიზლობს ანტვერპენი, ამიტომაც დგანან ყოველ ყურთამდე გაღებულ კართან ჩანდონათ სასურ ლივრებიანი მამაკაცები და თვალს აცაშორებენ.

თეთრი მარმარილოს განიერ კიბეებს სსასხლის მეორე სართულზე აყავებარ, სადაც ჩენესანისის წინა და ჩენესანისის დროის ფლამანდიელ მხატვართა ნაწარმოებებია გამოფენილი.

პირველი ორი დარბაზი ე. წ. პრიმიტივისტიზისათვის დღეთმოათ.

ამ მხატვართა წერის დახვეწილი მანერა და მენტყველი ფერები ავტოართა უმაღლეს პროფესიონალიზმზე მენტყველებს.

მამ, რა მოხდა? რად მოუნათლათ მხატვართა მთელი თაობა თუ მიმართულმა ხელოვნისათვის ეგვომ საწოთირო ეპითეტოთ?

ეს ინტერნაციონალური სიტყვა-ტერმინი, ამ შემთხვევაში რომ ასე შეუფერებლად ფლრს, აქ სულ სხვა გაგებით იხმარება. პრიმიტივისტის ფლამანდიური მხატვრობის წინა პერიოდს, ასე ეთქვათ, მისი მოზადების ხანას ეძახიან, თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ნამდვილი პროფესიონალური ისტატობა ამ სკოლის არცერთ წარმომადგენელს არ აქლია.

„პრიმიტივისტიზი“ მთავრდება იქ, სადაც ჩნდება პერსპექტივა — მეორე, მესამე, მეოთხე პლანია...

პრიმიტივისტიზმა სივრცე ჭერ კიდევ არ იცოდნენ და ხილულ სინამდვილეს, რომელსაც თავიანთ ტილოებზე ხატავდნენ, ერთადერთ სიბრტყეში წარმოადგენდნენ.

ამ დიდი და ვაგრცელებული სკოლის მიმდევრები უმთავრესად პორტრეტისტიები იყენენ. ნათიფ ხელოვნებათა მუზეუმის დარბაზებში პრიმიტივისტიზის მიერ შესრულებული უამრავი პორტრეტი მახვა შეიძლება.

ამევე სართულზე საგანგებოდ დათმობილი დარბაზები უჭირათ ფლამანდიური მხატვრობის ქემშარტ გოლიათებს: ბრიოველს, იორდამს, რუბენს... სამევე ეს სწორუპოვარი შემოქმედი სამყაროს ხილვისა და ტილოზე მისი მენტყველი მანერა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, მაგრამ სამევე მათგანს, ისევე როგორც ფლამანდიელ ფერმწერთა მთელ სკოლას, მთავარი ნიშანი აერთიანებს: მხატვრობის მოქალაქეობრივი მრწამსი, მებრძოლი სული, შრომელი ხალხის სასიოცხოლო ინტერესებისათვის შეუპოვარი ბრძოლა, მაცხოვრისებულის თემპროსომისობა სტანის წინაშე...

ბრიოველის მოღვაწეობა ესპანელი ტიარანის — ფილაბე მეორის მეფობის შავნელ ხანას დაემთხვა. პროტესტანტულმა მოძრაობამ და ინკვიზიციის დღესჯელმა თარეშმა სწორედ ბრიოველის თანამედროვე ფლანდრიაში მიიღო თავისი უსასტიკესი სახე. ამ დროს დაიბადა თქმუ-

ლება ფლანდრიის ლალ შეილზე, თავისუფლების მორტყილად ტილ ულენშმიდელზე. ქვეყანა ინკლუციის დაქირავებულს ქაშუშებით, პროკუატორებით და მთხალისე გაიყვანებულნი გაიყვნა.

ასეთ დროს ძნელი იყო სული გდგომოდა და საკუთარ ნაშუქში თავის ჩაყვება მოგებურებით. ან უყოყმანო ერთგულება კათოლიკური ეკლესიის, რომლის უკანაც ესპანელი ბატონი იდგა, და ან საშობლოს სამსახური. შესამე გზა არ იყო.

ბროიველმა, მხატვარმა და მოქალაქემ, ცხოვრების მეორე და ერთადერთი ჭეშმარიტი გზა აირჩია. ეს იყო ამჟვენიური ჯოჯოხეთის გზა, რომელსაც კოკონზე მიყავდით, მაგრამ, ყოველკვირის საშობოების მიუხედავად, ბროიველი გზის ფირამდე თავისი მოქალაქეობრივი მრწამსის ერთგული დარჩა.

ფიქტობ, დიდი გადაქარბება და უხუსტობა არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ აღორძინების დროის მთელი მხატვრობა საღმრთო წერილის ილუსტრირების და მისი ცალკეული მონაცემების თავისებურ ინტერპრეტაციის წარმოადგენს. ერთ მშვენიერ დღეს კაცობრიობამ რომ უარი თქვას თავის ქრისტიანულ წარსულზე, მან იქვე უნდა მისცეს ადვილყვებას აღორძინების ხანის მთელი მხატვრობა, ყოველივე დიდი და განუმეორებელი, რაც კი კაცობრიობის გენიის თავისი არსებობის მანძილზე შეუქმნია...

ამ უარყოფილ ქმნილებებს შორის მოკვებოდა ბროიველის მთელი შემოქმედება, რადგან თავისი დიდი თანამეუღლეების — რუბენსის, იორდანის, ვან ეიკის, მემლინგის და სხვათა ქმნილებების მსგავსად, მისი ქმნილებებიც ბიბლიურ სიუეტებზეა აფუძვლილი.

ბროიველის ნაწარმოებებში იესო ქრისტე კეთილი საწყისის მატარებელი პერსონაჟია. ყოველგვამ, რაც ეწინააღმდეგება ქრისტეს, ბოროტია, უხედა, მტერია სიყვითისა და ამიტომ შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

მაგრამ ვის გამოეცხადოს ბრძოლა, იუდეველთა გონებაზე მდებარე მღვდელმთავრებს და პილატე მეფის ასოსთავებს?

ბროიველმა ეს ალგორია არ იცხარა და თავისი სურათების პერსონაჟებად უშუალოდ გამოიყვანა ფლანდრიის ქალათის პერსონაჟები ესპანელთა. სურათებში ისინი განსაკუთრებულს არაფერს სჩადიან, მაგრამ ბიბლიური სიუეტებისათვის უცხო პერსონაჟების თვით სტილური გამოხატვაც კი მხატვრის სათქმელს დღესავით ნათელს ხდის.

„გზა გოლგათისაკენ“. სოფლიდან გამომავალი ბრბო მადლობისაგან მიემართება. იქ უკვე აღმართავთ ორი ჯვარი და ზედ ავაზაკები გაუფრავთ. მიძინე ტვირთით წელში გაბრუნებული ქრისტე თავის ჯვარს მიათრევს და ბრბოსთან ერთად აღმართს მიჰყვება. სოფელში, საიდანაც

ისინი გამოვიდნენ, ხალხი თავისთვის სკეპტონობს. სწორედ ისეა, როგორც ძველ ქართულ ანდამში: სტვისი ქირი ლიბეს ჩხარით...

ბროიველს რომ მხოლოდ ეს დაეხატა, ტრადიციას ერთი ნაბიჯითაც ვერ გასცდებოდა. მაგრამ აი, სოფლის განაპირის და სურათის მარჯვენა კუთხეში ჯავანში ჩამქდარი ესპანელები დგანან. ისინი მდებარედ ადევნებენ თვალს რელიგიური ომების დროისათვის ამ ჩვეულებრივ პროცესს.

მხატვარი გვეუბნება, რომ საზიზღარი ძალადობა სწორედ ესპანელების სურვილით და ძალდატანებით ხდება.

ამგვარი წყაობვა სურათს სრულიად განსხვავებულ აზრს სძენს და გოლგათის გზაზე შემდგარი ბროიველის ქრისტე სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილის განზოგადებულ სახედ იქცევა.

ანდა „ჯვარცმა“: გაყოფილი იუდეველები მაცხოვარს ჯვარზე აყრავენ და მოძალადე ესპანელებიც იქვე არიან. „ათ მცემბაში“ იესო ხალხს ქადაგებს უცხოების, ესპანელები კი ხეებს ამოფარებთან და ჩუმად უსმენენ, ჩვენს საწინააღმდეგოს ხომ არაფერს ამბობს.

ცნობილ ბიბლიურ სიუეტს — მეფე იროდის მიერ ყრმისა გვემს — ბროიველი თავისი ჩვეული მანერით წარმოსახავს. უდაბნოებო ბავშვების მგელთა ზურგს უკან ისეც და ისეც მოძალადე ესპანელები დგანან.

აქ მხოლოდ ერთი სურათი კვილია, რომელიც ესპანელები არ მონაწილეობენ, მაგრამ როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს ამის თქმა. ვიტყვი — ისინი შიშაც არიან სურათში, არიან თავიანთი არყოფნით. „დღესასწაული სოფლად“. მწიანზე, დიდრონი ხეების ქვეშ, რომელთა უკან, ფონზე, სოფელი მოჩანს, დიდი და მცირე, ერი და ბერი, მდიდარი და ღარიბი, მოხუცი და ახალგაზრდა, ლამაზი და მახინჯი გამოსულა და ცუკავს, ცუკავს და მზიარულობს, როგორც შექმლია. სურათს ჩაიციებით აკვირდები. ესპანელები ექება. არა, ისინი ნამდებად არ არიან. ამ კუთხედს გულტრევილი აღმანანებმა, ახლა რომ ფერხული ჩაუბამთ, უთუოდ ვარჯევს, ანდა უკანასკნელ კაცამდე ამოწყვიტეს და საყოველთაო სიხარულის მიზეზიც სწორედ ეს უნდა იყოს.

ბროიველის გაცნობის შემდეგ უმაღლეს გავსენდება რკინისუზარადიანი ესპანელი, რომელიც რუბენსის „ჯვარის აღმართვაში“ ქრისტეს წამებას ესწრება. ის ესპანელი სწორედ ბროიველის მეამბოხე შემოქმედების გზით არის შესული რუბენსის ქმნილებაში.

ბიბლიურ სიუეტებში ესპანელების ხატვა შემდეგ მოხდა იქცა, უფრო მეტიც: მთელი სკოლა შეიქმნა ბროიველის ეპიკონიებას. ისინი ათასგვარ ვარიანტში იმეორებდნენ ბროიველს, მაგრამ მათ შემოქმედებას ის საყველქმნილი

გელწიფელობა, უშეალობა და მოქალაქეობრივი პრიტესტის ძალა აღარ ჰქონდა.

15

დიდხანს ვერ მოწყვეტ 'თვალს იორდანისს ღვთაებრივ კმნილებას „საიდუმლო სერობას“. ვინ მოსთვლის, ეს ბიბლიური სიუჟეტი რამდენი მხატვრის შთაფრების წყარო გამხდარა. იორდანისს შემოქმედება თავისი დემოკრატიულობით გამოირჩევა მაშინაც კი, როცა ბიბლიურ სიუჟეტს მიმართავს, ის ხატავს უბრალო, შრომაში გამობრძმედილ, ძალღონით სავსე ადამიანებს. ეს ადამიანები ფლანდრიის შვილები არიან, ფლამანდიელი მებრძოლები, ფიქრები, ნაესადგურის მუშები. მხატვარმა თავი ქრისტეს მოციქულებშიც კი შეაფანდილე მებაღურებად წარმოგვიდგინა და ბიბლიურ ლეგენდას თითქმის მოქმედების ადგილი შეუცვალა.

„საიდუმლო სერობა“ დიდი ტილია. გრძელი მაგიდის წინ, რომელსაც ირგვლივ მოციქულები უსტდნან, მარცხენა კუთხეში, გამოდმებით წყალში დგომისაგან ტერფებდაარული და საზნარეთის თაყაა შისაგან დამწვარი თუდა ისკარიოტელი ზის. იქვე თეთრი ძაღლი დაყუნცულა. იუდა წამოფიცებულ კოტრიან ზელს თავზე უსეაშს ძაღლს და მაგიდის შუაგულისაგან სამახვევროდ შემბრუნებულ ცილიობს თვალი ააჩრათს ფეხზე წამოშდგარ ქრისტესს...

მაკცოვარს ესაა უთქვამს: „რომელი ჰამდა პურსა ჩემ თანა, აღიღო ჩემ ზედა ბრძალი მისი... მართლიად მართალს გეტყვი თქუენ, რამეთუ ერთი თქუენგანი მიმცემს მე.“

მოციქულები შემბრუნდნენ: ვიზე ამბობს ამას მოძღვარი; მხოლოდ სეიმონ-პეტრემ გაბედა წამოადგომა; და კითხვა: „უფალო, ვინ არს?“ „რომელსა მე დაეაწო პური და მიძსცე...“

წყვიდადში ანთებულ სანთელივით გასხვიონებულ იესო ქრისტე იუდას პურის ლუქმას აწედას...

„ხოლო მან, — მოგვითხრობს შემდეგ საზარება, — მიიღო პური იგი და შეუსუულად განცედა და იყო დამე.“

რუბენისი კოლექციაში თვალაჩინო ადგილი უჭირავს „ქვარცმას“. ვიწრო, მაღალ ტილოზე სამი ვეება ქვარი აწოწილა. ქვარზე გაკრული ქრისტე სულის საყვირევილი სიმტიკიით იტანს ჯოჯოხეთურ ტკივილს და მოყვასთა უმადურობას. მას, უკვე ქვარი გაკრულს და სასიკვდილობს განწირულს, სცემდმენ და სახეში აფურთხებდნენ თავისიანები. შეუღრკველი, კაცმოყვიარი ადამიანის ფიქრები კვლავ იმათ დასტრიალებს, ვისი გულისთვისაც გოლგოთაზე ამოვიდა და ქვარს ეცეა.

სამაგიეროდ, ერთ-ერთ ავზაქს, იმას, რომელიც მარცხენა ქვარზეა მიღურსმული, ადამი-

ნის სახე დავაზრავს და რაკი ჯალათებნ გერაფერს აკლებს, ყველასაგან მიტოვებულ ქრისტეს უყვირის, მასაც თავის თანაშრახველად და ავზაქად პრაცხს. აკი ტაბარს უკით შეხედვისი? დივანგრევე და მესამე დღეს ისევე ავანენებო? აკი მამა-ღმერთის ღვიძლი შვილი ვარო? ღმერთის შვილი... შარალატანი ხარ შენ, ღმერთის შვილი კი არა აბა, ჩამო, ჩამოდი გვარიდან, თუ მართლა რაიმე შეგიძლიას...

მეოჯე „პვირის მოქმედი“ აღაშფოთა სულმოყ. ლე ამხანავის საქციელმა. ვანა თავდაც არ იცი, რომ მე და შენ, ორივეს, სასჯელი ღამსახურებელი გვაქვსო? ამას უჭერო არაფერი ჩაუდგნია და ღმერთს რადა ჰგობო. ბოლოს მაცხოვარს მიმართა მოწიწებით: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვედრე სუფევითა შენითა.“ „მართლიად გეტყვი შენ, — მიუფო ქრისტემ, — დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა მას.“

მოშიზილია რუბენისისავე „გათოშილი ვენერა“ და კიდევ რამდენიმე კმნილება „ქვარცმის“ ცილიდან: „ქრისტეს დატრება“ და „ეკბოში ჩასვება“. „მოგვების თაყეანისცემაში“ თითქმის უდაბნოების მტერიან დვას, რომელიც მოგზაურებს შორი გზებიდან მოჰყოლიათ.

ერთ-ერთი დიდი ტილი „ნათლიდება“ რუბენისს უკვე სიციხლის მიწურულში დაუხატავს. ამ სურათზე გამოსახულია ქრისტეს მონათლა იოანე ნათლისმცემლის მიერ მდინარე იორდანის წყლით. ჭგუფის ცენტრში გამოყვეთილი იოანე წმინდა წყალს ასტურებს ქრისტესს. მთელი სურათი მკვეთრად განთებულია დღის სინათლით და, აგრეთვე, უზარმაზარი ფოთლოვანი ხის შტოებში გამომყრათი მზის შუქის ნაფლეთებით.

მუზეუმის პირველ სართულზე, მეტყრამეტე საუკუნის მხატვრობის გვერდით, რამდენიმე დიდი დარბაზი თანამედროვე აბსტრაქტულ ხელოვნებას — ფერწერასა და ქანდაკებას უჯავია. ამქვარად იტალიელი ოსტატებია გამოფენილი. ყოველი მომდევნო ექსპონატის ნახვა თავზარს გცემს. ეს ხომ ჩვენი დროის უბედურებაა. რა გვემართება? ნუთუ გარდასულ საუკუნეთა დიდბუნებოცმნა შემოქმედებმა მართლაც ამოსწურათ თავისი თავი და ჩვენე სინამდვილე? ნუთუ მართლა ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს?

მუზეუმის მესვეურები ამ უმახინჯესი და ყოველგვარ ლოგავას მოკლებული ტილოების გამოფენის აუცილებლობას იმით ამართლებენ, რომ საზვითი ხელოვნების მუზეუმმა, მიუხედავად ტენდენციისა, კეთილსინდისიერი გულმოდგინებით უნდა ასახოს ყველა ეპოქის მხატვრობის ფაქტიური მდგომარეობა. აბსტრაქტული ხელოვნება მეოცე საუკუნის სამოცაინა წლების ხელოვნებაა და მისი გვერდის ავლა თვალის დახუტვა იტნებოდა მისი წინაშე, რაც უკვე არ-



სებობს და იბრძვის შემდგომი არსებობის უფლებისათვის.

მაგრამ რა უფლებაა ეს? ესაა უფლება დეზერტირობისა, სიმბალისა, სინამდვილიდან გაქცევისა, ცინიზმისა და ყველაფერ იმაზე უარის თქმისა, რაც აქამდე კაცობრიობას წმინდელ და შეურყენებელ მიიჩნდა.

მეზუემი არ იძლევა შეფასებებს. ის მხოლოდ გაჩვენებს. კეთილი იმეზე და დასცნა შენ თვითონ გამოიტანე.

ანტერკანენში, დღიდან ბალაგრის პირველი ქვის ჩაფდებისა, მხატვრობის კულტი შეფხობს. თუ სხვა ქვეყნებსა და ქალაქებს პოეზიის შუბანათებს, აქ შივერკალეები მხატვრებს დაუპყრობით და თვით ყველაზე უფრო გაერკვლებული ლეგენდებიც კი მათ ცხოვრებისთან აჩის დაკავშირებული.

პატარა მოედანზე, ღვთისმშობლის ტაძრის უკან, რაღაც რკინის სამფეხი დგას. რას წარმოილგენ, თუ ვსუც რისამე ძველია და რაღაც საინტერესო ამბის ნივთიერ დადასტურებად დარჩენილა.

სამფეხს „სიყვარულის კა“ ჰქვია.

უბრალო მჭედელს, მოგვითხრობს ძველისძველი ლეგენდა, წარჩინებული მხატვრის ქალი შეპყვარებია. მხატვარი, ეს რომ შეუტყვია, აღშფოთებულა, დაუწუნებია სიმედ მჭედელი, ისიც კი უთქვამს, იმ პირდაუბაწყლმა ოტროველამ ეს როგორ მკადრა და გამოიბედაო.

საგონებელში ჩაეარდნილა საწყალი მჭედელი. ბევრი უფიქრია, მაგრამ ისეთი ვერაფერი მოუფიქრებია, რითაც შეიძლებოდა ჰირვეული სასიამბორო გული მოეგო. გულგატეხილი ერთ დამეგ მხატვრის სახელსწრში შეპარულა, შეუზავებია საღებავები და თითქმის დამთავრებულ სურათზე ბუზი მიუხატავს.

ღილით მხატვარს უნახავს ბუზი და ზელსახოცი აუქნებია. როცა ბუზი არ აფრენილა, მაშინ კი მიმხედარა, რომ ის დახატული იყო. განცვიფრებულსა და აღფრთოვანებულს უკითხავს, ენა ჰქნა ესაო. მჭედელი გამოიტყუარა.

ამ ამბის შემდეგ მხატვარს მჭედლისათვის მიუძღოდა თვისი ქალი და გახარებულ მჭედელსაც ეს „სიყვარულის კა“ გამოუტყვია თვისი და მხატვრის ქალის სამარადისო სიყვარულის ძველად.

ლუგენდა ცოცხლობს და, თუმცა ისტორიამ იმ მდიდური მხატვრის ქმნილებები არ შემოგვიინახა, მხატვარი, მჭედელი და მისი სატრფო თითქოს დღესაც თავიანთი მშობელი ქალაქის გაინერყავდა მკვიდრები არიან.

აქვე, ტაძრის უკანა კედლის ნიშში, ჩადგმულია ტაძრის ამშენებელთა გვეფერი სკულპტურული პორტრეტი. ტაძრის პოეტის ავტორს და მშენებლობის ხელმძღვანელ ხუროთმოძღვარ ანდრეასს, ხელში რომ ფარგალი უჭირავს, ირგვლივ წერაქვებით, ჩაუჩენებით, ქაფხებითა და

საქრთლებით შეიარაღებული ქვითხეროები და მოქანდაკეები შემორტყმან.

დღევნელი სანახავია რენესანსის სტილზე აგებული ქალაქის რატუმა. მასაქ ფრანკტელის გავლენით მერისადაც უწოდებენ. ეს საესებით ბუნებრივია. ბელგიაში ხომ ორი ენა სარგებლობს სახელმწიფო ენის უფლებით — გერმანული ენების გვეფის მონათესავე ფლამანდიური და ფრანგული.

რომანული წარმოშობის ტომი ვალონელები, რომელთაც ქვეყნის სამხრეთი ნახევარი, საფრანგეთისა და ლუქსემბურგის მოსახლერე რაიონები უჭირავთ, ფრანგულად შეტყველებენ, ხოლო, ერთის მხრივ, პოლანდიელებისა და, მეორეს მხრივ, გერმანიის მოსახლერე ფლამანდიელები კი თავიანთ მამა-პაპერ ენას ინარჩუნებენ.

ამიტომ ბელგიის ყველა სახელმწიფო მოღვაწე მოელეა ორივე ენა — ფლამანდიური და ფრანგული — ზედმიწევნით იცოდეს, ემიადან ყველა სახელმწიფო თუ სასამართლო საქმის წარმოება ამ ორ ენაზე მიმდინარეობს და ორივე ეს ენა სახელმწიფო და კულტურის სარბიელზე ერთნაირი უფლებით გამოდის.

რატუმს — ქალაქის საერო თვითმმართველობას — ეს მაღალმეიანი თვალწარმტაცი შენობა მეთხუთმეტე საუკუნის დამდეგს აუგია და თავიანთვე დაკისრებულ მოვალეობას იგი დღესაც პირნათლად ასრულებს.

კოშკის მაღალ ნიშში, მოკრეოვილი საათის ზემოთ, ქალაქის მფარველი ღვთისმშობელი დგას და ავერ ხუთი საუკუნეა, თავისი სახელობის ტაძარს გაყურებს.

ქალაქის მთავარი მოედანი, რომლის ერთი მხარე მთლიანად რატუმს უყავია, სამი მხრიდან კორპორაციების მრავალფანჯრებიან სახლებს შემოუფარგლავს. ეს სახლებიც მეთხუთმეტემეთექვსმეტე საუკუნეებშია აშენებული.

კორპორაციები — სხვადასხვა ზელობის მქონე ოსტატთა და ვაჭართა გაერთიანებები, ძველ თბილისში რომ ამქრების სახელწოდებით იყენენ ცნობილი, ავერ ზვეს დრომდე განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდნენ. მეტისმეტი გაძლიერების ხამში მათ ზელში თავი მოიყარა ქვეყნის უდიდესმა სიმდიდრემ, რაც მათ საშუალებას აძლევდა მეტოქეობა გაეწიათ თვით ეკლესიისთვისაც კი, ქვეყნის ორკესტრში ყოველთვის პირველი ეიოლინოს როლს რომ იმეზებდა.

ვარდისფერი ფილაქნით მოგებულ ოთხკუთხა მოედანს ბრინჯაოს თვალმუდგამი სკულპტურა „ბრაბოს შადრევანი“ ამშვენებს.

„სიყვარულის კისა“ არ იყოს, ამ ქმნილების დაბადებასაც ძველთაძველი ლეგენდა დასდებია საფუძვლად.

თერამე ქალაქს, მოგვითხრობს ლეგენდა, შავი დღე დუდგა. ანტერკანენის მესაღვერში გემბა

ველარ შემოდინდნენ. ვგ კიდევ რა. ყველა გე-  
მი, რომელიც კი ჩრდილოეთის ზღვიდან შელდის  
შემოქცეობდა, სწორედ ნავსადგურში შემო-  
სვლის წინ იღუპებოდა, ანდა გაქცეული შევლო-  
და თავს.

აგრე არ ივარგებსო, თქვეს ანტეკაპენელებმა.  
თუ არაფერი ვიღონეთ, წერალშეილს შიმშილი  
ამოგვიწყვეტსო და წაიბდნენ მიზეზის შესატ-  
ყობად. წაიბდნენ და თქვეს მტერს, რაც იმათ  
შეიბდა: შიგ ნავსადგურის ყელში სახარელი  
გოლიათი იწეა და ოხრავდა. თავხარდაცემული  
ანტეკაპენელები შიმ დაბრუნდნენ და სავონე-  
ბელს მიეცნენ.

მაშინ ქალაქის ერთ-ერთმა მესვეურმა თავის  
ეპიშეილებს უთხრა, ნავსადგურში შემოსული  
პირველზე გემი იმისი იქნება, ვინც გოლიათს  
მოკლავს და ჭხას გაათავისუფლებსო.

გმირმა ბრამბო, უმცროსმა ძმამ, მოკლა გო-  
ლიათი, მარჯვენა მოკვეთა, ხომალდის ვრდოზე  
შეაგდო, შემდეგ ხომალდი აიტაცა, გემს გადა-  
ატარა და ნავსადგურში შემოატურა.

მოქანდაკის სწორედ ეს წაბი დაუქვია. გმი-  
რის ფერხებით მკლავყავილი გოლიათი გან-  
რობხულა, თვით გმირს კი ხომალდი აუტაცინია...

ლუგენდა ნორმანების შემოსევის დროსა უნ-  
და იყოს, იმ დროსა, როცა დაუნდობელი  
მტრის ცეცხლმა და შახვილმა ბელგიელთა სა-  
ხელწიფოებრივი ერთიანობა დაარღვია და ქვე-  
ყანა პატარ-პატარა საგრაფო-საჰერცოგოებად  
დაქაქსა.

ლაფში ჩაფლულ ურემს დიდხანს ამაოდ ეწე-  
ოდნენ ლომა ხარები. ქვეყანა დღითიდღე სუს-  
ტდებოდა და სისხლისაგან იცლებოდა. თავისუფ-  
ლების სიყვარულმა ბოლოს მაინც თავისი გა-  
იტანა. შეერთდნენ ბელგიისა და ნიდერლანდ-  
ების უმთავრესი საგრაფო-საჰერცოგოებოები —  
ბრანბანი, პოლანდია, ფლანდრია, ლიეჟი, ნამი-  
ური და საერთო მტერზე ძლევაშილი იერიში  
მოიტანეს. ამ იერიშს ერთობაში გამარჯვება არ  
მოპოვოლია, მაგრამ ქვეყანამ მიაჩნე თანდათან  
იწყო მოდინიერება და სულ მალე ის მსოფლი-  
ოს ერთ-ერთ მძლავრ ზღვაოსან სახელწიფოედ  
იქცა.

16

ადრეული შუა საუკუნეები ევროპის მთელ  
კონტინენტზე მეცნიერებისა და კულტურის დი-  
დი აღმავლობით ხასიათდება. სწორედ ამ ხან-  
ებში ჩაღდება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები.  
სახლგო ექსპედიციებში სხვა ერების შეილებთან  
ერთად ბელგიელიც მგვირ მსახურობდა. ჯერ კო-  
დევ მეთხოვნიერე საუკუნის ბოლოს ვასკო დე  
გამას ვალუტაში უნახავს ბრიუგეს მყიდარნი,  
რომლებიც იქ აღგზმციემობას ეწეოდნენ. მავ-  
ლანს, მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს დედამი-  
წას რომ შემოიჭრა, ხომალდზე სამი ფლამანდი-  
ელი და ორი ვალონელი ჰყავდა.

მეთექვსმეტე საუკუნეში ბელგიაში საფრე-  
ული ეყრება კარტოგრაფიას, რომელიც შემდეგ  
მთელ მეცნიერებად იქცა. მან თანაქედროვე კარ-  
ტოგრაფიის მამა ეერარ შერკატარი უღდება  
სათავენი. კარტოგრაფიის შემდეგვე განითავრე-  
ბაში დაუფასებელი წესილი შეაქმნ ანტეკაპე-  
პენელ ორტელიუსს, ვისაც იმ დროსვე ზედმეტ-  
სახელად „მეთექვსმეტე საუკუნის ბტოლომეს“  
უწოდებდნენ.

რამდენიმე წლის შემდეგ ანტეკაპენის მტო-  
გრები ეან დე ლაბიე ლეიდენში სცემს ატლასს.  
ამ ატლასმა უდიდესი როლი შეასრულა სახლგო  
მოგზაურობებისა და დიდი გეოგრაფიული აღ-  
მოჩენების დროს.

მსუბუქმა და მოხდენილმა ზომალდებმა, რო-  
მელთა ანაზე ბელგიის ალამი ფრიალებდა, მსო-  
ფლიოს ყოველ კუთხეში შეადრწეს. მათრობის  
ეროვნულ მუზეუმში, დღეს რომ უძველესი ცი-  
ხე-სამაგრის კაზემატები უკავია მდინარე შელ-  
დის ნაპირას, თითქმის ყველა იმ ხომალდის მა-  
კეტი დგას, აქვე შეუნახავთ ათას გრგალსა და  
ქარიშხალში გამოტარებული დევეტები, მოგ-  
ზაურთა დღიერები, კაიუტაში რომ იწერებოდა,  
გემების ცალკეული ნაწილები, მოწიფობლობა,  
აფრები, მეთხოვნიერე და შემდგომი საუკუნე-  
ების სახლგო რუკები, კომპასები, დურბინდები,  
ზარბანდები, თუქის მრგვალ-მრგვალი ყუბბარე-  
ბი, კაიენი თუ ფილთა-თოფები და ტყვია-წი-  
მალი.

მუზეუმის უნიკალური ექსპონატები ათზე მეტ  
დაიწეს და მცირე დარბაზშია გამოფენილი.

პირქვე, მალაქონგურებიან, საკმაოდ ულა-  
მაზო შენობას, რომელშიაც მუზეუმი გაუხსნიათ,  
სტენი ჰქვია. იგი ძველი ფეოდალური ციხე-და-  
რბაზია და მეთერთმეტე საუკუნის საერთო არ-  
ქიტექტურის ძეგლად ითვლება.

ვიღერ მუზეუმად გადაიტკეოდა, მსგავსად  
ყველა ფეოდალური ციხე-დარბაზისა, სტენი  
ჭერ საყრობილე იყო. მის ჟურღმულეებში, ზინ  
იქის, რამდენი სიცოცხლე დაილია, ეზოში კი  
დამნაშვავთა და უღანაშულოთა რამდენი სი-  
სხლი დაათხიეს.

ნახევრადბნელ, ვიწრო ტალანებს საუკუნინდან  
საუკუნეში გადაყავხარ. არამითუ დიდრომ ვიტ-  
რინებში გამოფენილი ნივთები, ოდესღაც რომ  
იმ გაბედულ მებლავურებს ეცუთენოდა, მუზე-  
უმში თითქმის პერიცი კი იმდროინდელი შემო-  
ნახულა და დახშული თაღების ქვეშ შორეული  
ზღვებისა და ოკეანეების აწ გარდამული ოხე-  
რა ისმის.

სტენის ბურჯებს შელდის ტოტი ლოკაჟს, მო-  
ელანზე კი მეცამეტე-მეთოთმეტე საუკუნეების  
სამ-ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლების  
რიგია, რომლებშიაც, თითქმისა გუშინდელ აშკ-  
ნებულ ბინებში, მობინადრები ცხოვრობენ. ეს  
უკვე ნავსადგურის რაიონია, თუმცა სახლგო  
გემების დასაღგომი აუზები აქედან ჟერ კიდევ

შორსაა, ერთმანეთს ებმის უზარმაზარი საწყობები, პაკაუტები, ფარფლები. ამწყები, ისევე როგორც რატერდამში, აქაც გამალბული ტეროთავე ეშელონებს, სამდინარო ფლოტილინებს, ზემოლავრ ავტომატმათა კოლონებს, რომლებს ბებერი ევროპის კონტინენტს ყველა მიმართულებით სვრავენ.

აი, თვით ნავსადგურიც!

შელდა რამდენიმე ტოტად არის დაყოფილი. წყლის თვითიული ტოტი საგანგებოდ კედლებით ამოშენებულ აუზში მიაზღუნება. რატერდამთან შედარებით აუზები ძალიან ვიწროა. იგი საშუალო წყალწყვის საზღვარ გემების მისაღებად არის განსაზღვრული. მაგრამ იმის გამო, რომ წყალი თხელია, დანიშნულ ადგილზე მისასვლელად გემს ე. წ. კიბის გადაღება სჭირდება, რაც სავსებით დროსა და სახსრებს ნთქავს და ნავსადგურს ზედმეტ მარჯად თავზე აწევა.

მზე გადახრილი იყო. ბაქანზე თითქმის არავინ ჩანდა. ზღვის მხრიდან ქარი უბერავდა და წყლიც ოდნავ, სულ ოდნავ იქორწებოდა აუზში, რომელშიაც ნავთობით დატვირთული გემი იდგა. გემი, ვეტყობოდა, ახალი მოსული უნდა ყოფილიყო, რადგან მხოლოდ ახლა იწყებდა „კიბზე ასვლას“.

კიროდან ოციოდენ ნაბიჯის მოშორებით, აუზის მარცხენა კედლიდან აუტყარებლად გამოდიოდა კარგა მოზრდილი ხიდის სიფართო შლუზი და აუზის წყლისასვლელს თანდათან კეტავდა. ათიოდენ მეტის შემდეგ აუზი მთლიანად ჩაიკეტა. ზღვის მხარეს მდინარის დონე ერთბაშად დაეცა, შიგნით კი, სამაგიეროდ, დონემ აწევა იწყო. ნავსადგურის მოსამსახურებმა ნაპირზე გადმოსროლილი მსხვილი ბაგირის ბოლოები ახსნეს და ის ბაგირები გემმა ერთდრე აიკრიფა. წინ რკინის ხიდი აიწია. აუზის ორივე მხარეს, გზატკეცილზე, მანქანებმა იწყეს მოგროვება. გემმა გრძელად დაიბაღა და უეცრად ამუშავებულმა ხრახნმა აუზში წყალი აღვარაჭაჭა.

უზის კედელთან, ბეტონში ღრმად ჩასმულ კნებზე, რომელზედაც რამდენიმე წუთის წინ ბაგირის ბოლო იყო გამოშვებული, ლოფინისაგან გულაწყვალბული ქალიშვილი იყდა და მოუთმენლად ადევნებდა თვალს, როგორ ზოზონით დაიპრა გემი და ერთხელ კიდევ შეპბდალა.

შლუზის მოაქირს ვადავუვლედ და ქერ ერო მხარეს გადავიხედე, მერე შერეე მხარეს. აუზის შიგნით წყლის დონეს რამდენიმე მეტრის ავიწია. დამით, თუ ზღეზე ქარიშხალია მოსალოდნელი, შლუზებს დაეკრებლს სტაეებზე. საშიშია, წყალმა ნავსადგურში ქვიშა არ შემოიტანოს და გემების შესასვლელ-გამოსასვლელი გზა არ დაუჭვოს.

საშიშროება ისედაც დიდია. ბელგიის მდინარეებს, მათ შორის შელდას, მოსილვის საშიშროება ყოველთვის ემუქრება. ზღვის მოქცევას, რომელიც აქ ძალიან საგრძნობია. მდინარეთა

შესართავებში დიდძალი ქვიშა და შლამი შემოაქვს. თუ მდინარეს სათანადოდ არ მოუხარე, დროთა განმავლობაში ზღვა, თავისი რჩამს და ქერ კიდევ გუშინ გატხოვებული ნაოსნობით ცნობილი მდინარეს დღეს ნაოსნობისთვის გამოუსადეგარს გახდის. ამიტომაც ჩამდგარან შელდაში შლამის ამოსახაბი ექსკავატორები და დღე-ღამის ყოველ დროსა და ყოველგვარ ამინდში ფსკერს აღრმავებენ. ფსკერიდან ამოღებული ქვიშა და შლამი პოლდერებში ვაქვთ. სასუქად სწორედ მისწრებათ ირგვა ზედ ქარხალა და სხვა ბოსტნეული, ბალახს ხომ მღღარ იტყვი...

17

მდინარის ფსკერის გაღრმავებაზე მუდმივი ზრუნვა, შეიძლება თქვათ, ბელგიის ეროვნული უბედურებაა. იგი მოგზაურისათვის თვალნათლივი გახდება, თუ ფლანდრიის უძველეს ეკლტურულ ცენტრს, მდინარე ლისის ორივე ნაპირზე ვაშენებულ საუნევერსიტეტო ქალაქ გენტს მოინახულებს.

გენტიდან ჩრდილოეთის ზღვის სანაპირომდე 80 კილომეტრია. მთელი ეს გზა გემებმა მდინარე ლისის კალაპოტში უნდა გაიარონ. ლისის სამდინარო გზა ოდესღაც დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სანაოსნო გზა იყო. გენტის სახელი მთელი დედამიწის ზურგზე ტეხდა და მისი სიმდიდრე თვით პარიზსაც კი სანატრული გახდომოდა.

სიმდიდრე წყალმა მოიტანა და წყალმავე წაიყო. გენტილები ვერ გაუმკლავდნენ ზღვის შემოტევას. თუმცა ნავსადგური შესართავიდან ასე შორს იყო მოქცევამ აქამდეც მოაღწია და მთელი სანაოსნო გზა, თვით ნავსადგურის აუზებშითურთ, ერთიანად მოსილა.

გენტს ეუბენი მივდებდა და გაუდაბურება დაემუქრა. ქალაქი როდი დანებდა სტიქიას. ვაი-ბრძოლა. არც ფულს ზოგავდა, არც სხვა სახსრებს.

მალე გამოირკვა, რომ ძველი ნავსადგურის ბედი ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი იყო. მისი გაუცხოება თვით მამა-ღმერთსაც აღარ შეეძლო. გადაწყდა ახალი ნავსადგურის აშენება ქალაქსა და შესართავს შუა. ნავსადგური აშენდა. და განა ერთი—მეორე, მესამე... ზღვის მოქცევამ მალე ყველა რიგ-რიგობით იმსხვერპლა. ბოლოს, როცა საქმე გამწვავდა, გადაწყვიტეს, აუზები თვით შესართავშივე, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე, მოეწყით. შეთანხმებდა მიღწეული იყო, მაგრამ ქალაქის შერობამ, თავის საღაროში რომ ჩაიხედა, მშენებლობის დაწყებაზე უარი თქვა. ამოღენა ხარჯის გაღების ქალაქის ბიუჯეტი ვერ გაუძლედა.

ასე მიყრდნობა გენტი, ასე ჩამოსცილდა სახლვით გზებს და კონტინენტურ ქალაქად იქცა.

თუ გენტიმ ანტეგრანდინად მიიღობ, შელდის ქვეშ გაყვანილი გვირბიდან ამოსვლისთანავე სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაქიშულ გზატყეპის უნდა დაადგე. გზად ისევ წყლოვრად ქვეული ველები, საძოვრები, სათიფები, სერგებზე შემდგარი ქარის წისქვილები და წითელი აფროთ ნაკები ლამაზ-ლამაზი კოტეჯები შემოგვედება.

ეს, არცთუ ისე პატარა, მკვიდრი სახლები ამ ადგილებში პირველად მოხვედრილ კაცს, ერთი შეხედვით, იქნებ ერთნაირივე მოგატყნოს. დაუკვირდები და აღმოაჩენ: ყველას რაღაც თავისებური აქვს, ყველა სახლი რაღაცით განსხვავდება მეზობელი სახლისაგან. თუ საქმეში ცოტა ღრმად ჩიხებდავ, ეს ამბავი არც გაგაკვირვებს. ბელგიაში კანონით აკრძალულია სახლებისა და სხვადასხვა ნაშრობების პარტიზანული მშენებლობა. ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა კერძო თუ სახელმწიფო ნაგებობების მშენებლობას სათანადო უწყება განაგებს. უწყება იღებს შეკვეთის თქვენივის სასურველი სახლის პროექტზე და თქვენავე სურვილის შესაბამისად სწყევტს მის არქიტექტურულ ფორმებს. მშენებელი ფორმა, ვინც ზელმეტრულების თანახმად სახლის აგება იქნება, მოვალეა ზედმიწევნით ზუსტად დაიცავს პროექტს. ასე რომ, თვითველი ეს პატარა სახლი ქვეყნის მთლიანი არქიტექტურული პროფილის ერთი აუცილებელი და დამახასიათებელი დეტალია.

ბელგიაში კაცს, როგორც კი საცოლმეილო ასაკს მიაღწევს, საერთოა სახლის აშენებაზე და კარმიდამოს თავისებურად მოწყობაზე იწყებს ოცნებას. მიწის ნაკვეთს, სადაც სახლი უნდა დაიღვას, ის ან შემკვიდრეობით მიიღებს, ანდა სიციცხლის დიდ ნაწილს მის შესასყიდად საქირო ფულს დაგროვებას მოაზრდობს.

ქალაქების, მით უფრო დიდი ქალაქების, მეზობლად მიწა გაცილებით ძვირად ფასობს. ვიდრე პროვინციაში. ვარდა იმისა, საუაყე ან საზოსტნე მიწა უფრო იაფია, ვიდრე საეზოვე ან საბოლ ნაკვეთი. მაგრამ, ასეა თუ ისე, ცხოვრებასთან შეჭიდებული გამრჩე გლეხკაცისათვის ის მიწის ხელისაწყოლომა.

არც ერთი ბელგიალი თავის სახლს ინდივიდუალური წესით არ აშენებს. იმიტომ კი არა, თითქოს ამას არ ეადრულობდეს. ინდივიდუალური წესით მშენებლობა თითქმის ორჯერ უფრო ძვირი ჯდება და ასევე დიდხანს გრძელდება, ვიდრე ამავე სამუშაოს სპეციალური სააღმშენებლო ფირმის მიერ შესრულება. მშენებელი ფირმები აღქურცილი არიან ყოველგვარი სააღმშენებლო მანქანა-იარაღებით, მასალებით და, რაც არანაკლებ მთავარია, მაღალკვალიფიციური მუშახელით. სახლის პატრონს მასალების ძებნა არ სჭირდება და ამასთან დაკავშირებულ ყველა დავიდარაბისაგან ის თავისუფალია. მშენებლობა უმოკლეს დროში მიმდინარეობს. მისი დროულად დამთავრება თუთი ფირმისთვისაც ხელსა-

ყრელია. აქ ვერ ნახავ ვერცერთ უბრალო/სახლსაც კი, რომელსაც ოსტატის მადლიანი ხელი არ ეტყობოდა. სამუშაოს კეთილსინდისიერად შესრულებაზე დიდად არის დამოუდებელი ამ ავე ფირმისა და ამავე ხელისნების მიერ ახალი შეკვეთის მიღება. მარტივი ართიმეტყავა: რამდენადაც ცუდად იმუშავებ, იმდენად ნაკლებ მუშტარი გეყოლება და პირიქით.

მშენებ ველზე ნელ-ნელა ამოიწვერა ლურჯ ცაში შევულად ატორცნილი სადარაჯო კომპეები და თვალნათლე ზრდა იწყო. ეს ამას მოასწავებს, რომ ანტეგრანდინად წამოსვლის შემდეგ სამოცი კილომეტრი გამოიარეთ, გენტი უკვე რამდენიმე წუთის სავალზეა და სულ მალე მისი გაორქვნიები დაიწყება.

ქალაქის სახურავებს ზემოთ აზიდული ორი მალაქი კომპი, ორმლებიც შორიდან ნეჭივიც წერილი და გლევი ჩანს, ნელ-ნელა იყვებება და მალე მნახველის წინაშე მთელი თავისი მკაცრი სიმშვენიერით წაჩოსოსდგება.

ერთი მთავანი გენტი მერის სადარაჯო კომპია; მეორე კი მერის პირისპირ მდგომ კათოლიკურ კათედრალს, წმინდა ზონის სახელობის ეკლესიას ეუთვნის.

შუა საუკუნეების ეს ორივე დიდებული შენობა — მერაი და წმ. ზაფონის ტაძარიც, გეცამეტე საუკუნეშია აშენებული და ქალაქში გაბატონებული საზოგადოებრივი ძალების ზუსტ სურათს გამოხატავს.

გენტი, ოდესღაც დიდი სავაჯრო და სამრეწველო ქალაქი, ორი მალაქრი საზოგადოებრივი ძალის მძაფრ კონცურენციასა და ცილობას განიცდიდა. პირველი მთავანი ხელისანთა კორპორაციები იყო, რომლებზეც მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში თავიანთი აყვავების ხანის მიაღწიეს, ხოლო მეორე — კორპორაციებზე არანაკლებ მდიდარი და ძლევამოსილი კათოლიკური ეკლესია.

თუ იმ დროს ჯერ კიდევ ეკლესიასა და კორპორაციებს, ანუ, უფრო ზუსტად, საზოგადოების მთელ საერო ნაწილს შორის, სამოქალაქო მშვიდობა სუფევდა, სამავაჯროდ, ცივი ომი ყოველთვის მიმდინარეობდა და სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში ის მუდამ სხვადასხვა სახეს იღებდა.

ვარდა იმისა, რომ ორივე მხარე ცდილობდა რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე მოეგვეჭა და ამ სიმდიდრის წყალობით ქალაქში გაბატონებულ მდგომარეობა მოეპოებინა, წელეზე ჯეხს იღვამდნენ, საერთოი შენობებიც უცუთესი და მალად დაეღვათ და გაუთციებელი მერტოქე ამითაც დაეჩაგრათ.

იი, თუნდ მერისა და წმ. ზაფონის ტაძარი! ორივე ეს შენობა ერთსა და იმავე დროს შენდებოდა. მაგრამ რომელი აღმსი უდა უფრო მაღალ სადარაჯო კომქს? რომელი ძალა შესძ-

ლებდა მეტოქის დამდაბლებას, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებითაუ?

შენჩერება ვერცერთ მხარეს ვერ გაეხდებოდა. ვი-თუ მეტოქეს მშენებლობა განეგრძო და საბოლოოდ მისი კომეო უფრო მაღალი გამოსუ-ლიყო?

უაზრო შეგნებრი კარგა ხანს ვაგრძელება, ვი-დრე ორივე კომეო ზედმეტად მაღალი არ გამო-ვიდა და პარამორტივების დარღვევის გამო შენო-ბებსაც რაღაც არ დააკლო.

გენტის მერია დღესაც ძველ სამყოფელოშია და ქალაქის მაცხოცემს იქიდან ვანაგებს. მა-შინდებურად დიდებელი და გაბარწყინებულ-ნი. ბაუონის ტაძარი დღემოდ აღიდა. მწველ-თან ერთად ის ათასობით უცხოელ სტუმარს იღებს და უოველი მმხველი თავისი შიგა ხედის ვანუმეორებელი მშვენიერებით განცვიფრებამე მოჰყავს.

ტაძარი შეგნიდან მართლაც გრანდიოზულია. უთავალვი თაღები და კამარები თეთრი მარმარ-ილის წახნაგოვან სვეტებს დაპყრდნობია. სვე-ტების ორი მწკრივი შესასვლელიდან საკრთ-ხველსაკენ მიემართება და იქ მარმარილოს გა-მწვლიში კიბის წინ წყდება. რამდენიმე საფეხუ-რიან ნახევარკალისებურ კიბეს ამბიონზე აუ-ავხარ. ტაძრის ეს ნაწილი მთლიანად თეთრი, შვიი და ვარდისფერი მარმარილოა.

იმ კეთილშობილმა ვარდისფერმა ქვამ, რომ-ლის მსგავსი სამშობლოშიც ბევრი მინახავს, ბა-გრატის ტაძარი გამახსენა. ბაონის ტაძარზე სრული ორასი წლით უფროსი ბაგრატის ტაძ-რის იატაკი, სვეტები და კედლებიც ხომ ფერადი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული. ტაძრის მეორედ აოხრებს შემდეგ ის მარმარილო ვერ ახალციხეში მოხვდა, თავისი სამშობლოს შტრის ფანტიკურად ერთგული ბრიყვი ათაბაგის კა-რზე, ხოლო შემდეგ სულთანის რომელიღაც პა-რამხანის შესამკობად და დასამშვიდებლად კა-რნე-ქალაქის ველით სტამბოლის გზას გაუუე-ნეს. ახლა მიდი და იძიე, რა გქონდა და რა არა! სხვათა თვალში ამას ძალზე მცირე მნიშე-ნელობა აქვს, ვინაიდან მხოლოდ იმით გაფასე-ბენ, რაც შემოგრა და უმაღლე დასქენენ: რაც შემოგრა და რითაც თავს იწონებ, თავის დრო-ზე რაგორ აღიბეჭდა კაცობრიობის სულთა...

ორგულიე ყველაფერი ბრწყინავს და ქოქე-თებს. ანტიკარბენელებს მართალი უთქვამთ: გენტში, იტყობა, მართლაც გამსაკეთებელი სიფაქიზით უვლიან ერის ისტორიულ სიძე-ლეებს, წმ. ბაუონის ტაძარი კი მისი ერთ-ერთი მარგალიტი და სიამაყეა.

მაგრამ ამ ტაძარს კიდევ ერთი ღირსშესა-ნიშნობა აქვს, რითაც ტაძარიც ამჟამს და თვით გენტიც. საკურთხევის უკან, ერთ მომკრო სენაკში, რომელსაც ერთადერთი ეიფ-რო საკმელი ანათებს, კედელზე ფლამანდიფ-რი მხატვრობის ორი შესამჩნევი წარმომად-

გენლის ძმები ვან ეიკების ნაწარმოები „მის-ტიკური კრავი“ ჰკიდია.

სენაკში სიიწროვეა, მიბრუნ-მობრუნებაც კი ჰირს. ვანა მარტო დღესაც მკვეფლუვის ბეერი ხალხი იყრის თავს. ტაძარს გამოივლიან და უმაღ სენაკს მოაშურებენ. შეგზურებიან სხვა-დასხვა ენებზე ერთრელებიან თავიანთ მრევლს, თუ რა და რაგორ გამოსახეს ძმებმა ამ ლეთაებრივ ტილოზე.

ტილოზე კი ფერისა და გამოსახულების მექლისია. ყველა ფერს მწვანე ჰარბობს. ხახასა მწვანე ფერი ადევს ელემისებრ პაწია-ქალს, რომელიც პატარ-პატარა მწვანე ბორკ-ვებით არის შემოსაზღვრული. ბორკეებზე და პირაკების ძირებში ვერაც მწვანე, ნაყოფიერი ზეები გაბარდნილას უკან, ფონზე, სერებზე შეფენილი შუასატუნეობრივი ქალაქის კომ-კები მოჩანს, ხოლო უფრო შორს, ცის დას-ლიერზე, ცისფერი ნისლის მარამაში გახვეული ლურჯი თემისა ვაქვია.

წინა პლანზე, სურათის შუაგულში მოქცე-ული მწინდა შადრევნის მარჯნივ და მარცხნივ, სხვადასხვა წოდებისა და სხვადასხვანაირ სა-მოსელში გამოწყობილი, ქუდიანი და უძულო მოქალაქენი მოყარულან ორ მკიდრო ჩვეფად. ერთნი, ფეხმშველნი და თმა-წყარომოშეებლ-ნი, დამოქილან, სხვები დგანს და უხმოდ ლო-ცულობენ. თოწის მოსახამებში გახვეული და თავზე ოქროს თავსარქმელდადგმული სამღე-დელი პირები სახარებას კითხულობენ. უკან, მოხარატებულ კილობანზე ფუნეულა ბატკანი დგას. მისი ზემოთ აწეული თავი ოთხივე კუ-ბატე თვალს მომკრულ სხივებს აფრქვევს. ბატკის ვარს ფრთალურჯი ანგელობზე შე-მოხვევიან, ტუბილის ხმით უგალობენ და ოქ-როს საცეცხლურებით საკმეველს უქმევენ.

კიდევ უფრო უკან, მოქალაქეთა და სამღე-დელი პირთა იმ ორი მკიდრო ჩვეფის პირის-პირ, კვლავ ორი ჩვეფი მოჩანს. მარცხნივ, ზე-თისხილის ბუნქებთან, ძვირფასად მოყარულე წარჩინებულ მამაკაცებია, მარჯვნივ კი ნაირ-ფერმოსახამებიანი და თავსაბურავებიანი ულამაზესი ბანოვანი. ხელში ყველას გვირის შტო უქირავს, წინა რიგში მდგომ ორ ყმაწ-ვილ ქალს კი ახლადდაბადებული კრავი და მწიფე მარწყვითი სასვე წწელი კალათა.

მთელ ამ მწიფე რეიმს თავზე მზე დაწა-თის. ის თავისი ოქროსფერი სხივებით მთელ სურათს საოცრად რეალურსა და ამავე დროს მისტიკურად ზეაწეულს ხდის.

გენტი უძველესი ქალაქია. მის მშენებლობას საფუძველი მეორე საუკუნეში ჩიყვარა, ქრის-ტეს წინ. ისე რომ, გენტის წინაშე უფროსო-

ბას ევროპის ბევრი ქალაქი ვერ დაიკვებინს.

მაგრამ გენტილებმა ვანა მარტო თავისი ქალაქი ააშენეს. იმავე წლებში მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ჩრდილოეთის ზღვა გადალახა და დიდი ბრიტანეთის მიწაზე ქალაქი ვინჩესტერი დააარსა. ამ ამბავს ბელგელები სიამოვნათ იგონებენ და ვინჩესტერის მოქალაქეებს, რომლებიც იმ პირველ გენტელ მოქალაქეთა შთამომავალნი უნდა იყვნენ, თავიანთ თანამემამულეებად თვლიან.

ნორმანების შემოსევის შემდეგ გენტი ფლანდრიული გრაფების სატახტო ქალაქი გახდა. მდინარე ლისი ვარს უვლის სალ-სალამათად შენახულ გრაფების ციხე-დარბაზს. ანტვერპენის სტენისა არ იყოს, მისი მშენებლობაც მეფერთმეტე საუკუნეში დასრულებულა.

მდინარის სანაპირო ქუჩას გააყვები და წყალგაღმა ვითური სტილით ნაგები საცხოვრებელი სახლების მთელ მწყობრს დაინახავთ. სახლები კორპორაციებს ეკუთვნოდა და თითქმის ყველა მეცემეტე საუკუნეშია აშენებული. კორპორაციები ქალაქის ფაქტიური ბატონ-პატრონები იყვნენ და ვიდრე ბელგია ესპანეთის უღელქვეშ არ აღმოჩნდა და ის იმპერიის რუკებზე კარლოს მეხუთის მე-17 პროვინციად არ აღნიშნეს, ისინი კიდევაც ინარჩუნებდნენ თავიანთ გკონომიურ და უფლებებზე დამოუკიდებლობას.

ესპანელების მოსვლამ ფრთები შეასხა ეკლესიას. ამ დროიდან ბრძოლამ უკვე გაშიშვლებული ხასიათი მიიღო, ხოლო ფილიპე მეორის მეფობის ხანაში კი უმაღლეს წერტილსაც მიაღწია.

სადღებში იმპერატორმა გენტი თავისი სტუმრობით ვაბედნიერა. როგორც კი მისი მოახლოება ცნობილი გახდა, მერიის კომისიე სავანგაშო ზარი დაარსდეს. ამ ზარს მხოლოდ მაშინ რეკდნენ ხოლმე, როცა ქალაქის კედლებს მტერი მოუახლოვდებოდა და კომისიე მკლამ შორივ უმაღლე დღესა და პატარას იარაღსაყენ მოუწოდებდა.

ფილიპე მეფესთან სამკედრო-სასიციოცხო ბრძოლის ფაში ჭერაც არ დამდგარიყო, მაგრამ სავანგაშო, გულში შურისძიების ვამღვივებელი ზარი მაინც მრისხანედ გუგუნებდა მერიის კომისიეზე.

ფილიპემ იკითხა, რა ამბავიათ. მას ეგონა, რომ ქალაქი ზემოთ ხედებოდა თავის მტარვალს და ზარებსაც მის საპატივეოდ არის ხებდნენ. მოახსენეს, მერიის ზარის რეკვა რასაც მიშინავდა და ურჩიეს საომრად აღტურვილიყო. ამაყ და დაუმორჩილებელ გენტელებს კოველ წაშს შეეძლოთ დაუპატიველ სტუმრებისათვის რაიმე უსიამოვნება მიეყენებინათ. ნათ.

ქალაქის ჰიმნართან და ჭრებში არაიენ შეხ-

ვედრიათ. ეს ამოღენა ქალაქი-ვახიზურეს მიიგავდა. მეფეს მხოლოდ თავისი ერთგული კაცები ეახლნენ და მდაბალი ბოდიში მოხადდეს აქური მოსახლეობის ურჩობის გამო.

— ახლაც ვაღმოდებთ ეს უხამსი ზარი მეორის კომიდან და ნამსხრევებად აქციეთო — ბრძანა განარსებულმა ფილიპემ, წმ. ბავონის ტაძრის წინ ცხენიდან ჩამოვიდა და გულზე დატელობიან ლოდინი დაიწყო, როლის აღასრულებდნენ მის უმაღლეს ბრძანებას.

ფილიპემ იცოდა, რომ სავანგაშო ზარის ჩამოსხნა და კომიდან ვაღმოდება გენტის შეურაცხყოფა იქნებოდა და მოუთმენლობასაც სწორად ამიტომ იჩინდა. გენტს ბოლოსდაბოლოს უნდა ევრძინო მისი მეფური ძლიერება და ქელი მოეხარა.

ბრძანების ვაცემიდან ნახევარ საათსაც არ ვაველო, რომ ქალაქის წმინდა ზარი ზრიალით ვაღმოდებდა თითქმის ასი მეტრის სიმაღლე კომიდან, შემზარავად დაიგმინა ფილიპემ და ეკლესიის და მთელ მოედანზე წერილ ნამსხრევებად ვანიბნა. ერთი პატარა ნატეხი მეფის ცხენის წინ დაეცა, შემართალმა პირუტყვმა დააფრუტუნა და ყურები სცქვიტა.

მეფე მხოლოდ ამის შემდეგ შევიდა ტაძარში და პარაკლის ფეხზე მდგომმა მოისმინა. როცა ესპანელები ვარეთ ვამობრძანდნენ, მოედანზე უკვე კოცონი იყო ვამაღებული. ბატონების მოსვლით ვაღმოდებულ გენტელ მოლაღტეებს ზარის ჩამოქრელები უკვე შეეპურათ და დიდებულ მეფის ბრძანებასა ელოდებოდნენ.

გენტლებმა იმავე ღამეს მოაგროვეს სავანგაშო ზარის ნამსხრევები, ვაღამალეს და ამ ამბოდან დიდი ხნის ვასელის შემდეგ, მტრის ვინაზე, ხელახლა ჩამოსხნეს, რათა კვლავ მისთვის მიჩენილ კომეში დაევიდათ, სამწუხაროდ, ახლანდამოსხმულ ზარს ის ხმა აღარ ჰქონდა, რის ვაკონებაც გენტის მცხოვრებლებს შეჩვეული იყვნენ. მაშინ ვადაწყდა ვალ მოხდილი ზარი მოწიწებით დაეყენებინათ მაღალ კვარცხლბეკზე და ქალაქის ღირსშესანიშნობად ექციათ. თქმა და შესრულება ერთი იყო. მერიის ზარი, რომლის ვუგუნეში თვის ფილიპე მეფე ვანარსხა, დღესაც უენებლად დგას იმ ადგილზე, სადაც კომიდან ვაღმოდებარდნისა დაამსხვრა, დგას, როგორც მოგონება და ძველ ფლამანდიელთა სულთერი სიმტიციის ნიშანი.

თუ მდინარე ლისს ვადაპყვით და ისეთივე ფილიპით მოგებული ვხატკვილით, როგორითაც ანტვერპენიდან გენტს მოხვედით, გეხს ჩრდილო-დასავლეთისაკენ აიღებთ, დაახლოვ-

ბით ორმოციოდე წუთის მგზავრობის შემდეგ ფლანდრიის მესამე დიდი ქალაქი ბრიუჯე შემოგხედებათ. ეს თვალსაჩინო საეპარო და საბრწყველო ცენტრი, რომლის ნაესადგურ-შაივ ოდესღაც თავს იყრიდნენ დედამიწის ვველა კუთხიდან მომავალი საზღვაო გზები, უცხო ქვეყნების მატინეებში უხსოვარი დროიდან იხსენიება.

მწელია კაცმა დასახებლა ქვეყანა ან ხალხი, ვისთანაც ბრიუჯეს არ უფაქრია, სადაც ბრიუჯეს მეციღის არ დაუდგამს ფეხი. შეითათხმეტე საუბრუნაში ბრიუჯემ გაცხოვრებულთა ეპიკრამა გააჩალა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან — პოლონეთსა და რუსეთთან. ბრიუჯეს მესადგურის მეშვეობით რუსეთთანა და პოლონეთისაკენ მოედინებოდა ლიევისა და ფლანდრიის მხადი, ტოლო, ნოხები და იარალ-საქურველი. სმაფიეროდ, რუსეთი და პოლონეთი ფლანდრიის აწვიდნენ კუპრს, ფისა და ხე-ტყეს ბრიუჯესა და ანტვერპენის გემომხუნებელი ქარხნებისათვის. ძველი ფლანდრიის ქალაქები, მათ შორის ბრიუჯე, რუსეთისაგან ყიდულობდნენ აგრეთვე თაფლს, სამოელს და ბეწვეულს.

როს. აჯალღიური დაბა ბრიუსელის უნივერსი-  
ტეტის კორპუსებსა და სტუდენტთა და პროფე-  
სორ-მასწავლებელთა საცხოვრებელ სახლებს  
უპირავს. ცალკეული ფაქტობრივი სხვადასხვა  
მომართო შენობებშია გაბნეული.

ყოველი შენობის წინ, ვარდფიცილივან ვაზო-  
ნებში, სხვადასხვა სიმაღლის პოსტამენტებზე  
მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილ წარ-  
მომადგენელთა ბიუსტები დგას.

ბელგიურ ხელოვნებას მსოფლიო დიდების და-  
ფნის გვირგვინი მოუტანეს ყალმის ფლამანდიე-  
ლმა ოსტატებმა, მაგრამ ის, ამავე დროს, უდი-  
დესად განვითარებული მეცნიერებისა და დიდი  
ლიტერატურის ქვეყანაა. ამის დასტურად თუნ-  
დაც ემილ ვერჰარნია და მორის მეტერლინკის  
სახელების გახსენებაც კმარა. ერთგული მეცნი-  
ერების სხვა კარიფეებთან ერთად, აგრეთვე  
მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს ბელგიელმა მედი-  
კოსებმა. ორი მათგანა—ჟიულ ბორდე და კორ-  
ნელიუს ზეიმანია — მხბველის პრემიის ლაურე-  
ატია.

აი, ბრიუსელის უცანასკნელი სახლიც და თქვენ  
უკვე სვანის ტყეში ხართ. ტყე, რაღა თქმა უნდა,  
ხელოვნურია, მაგრამ მის მაინც არ აცლია ბუნებ-  
რივობა. მცხუნვარე მშენ, რომლის სიღვიძე ზმირ  
ტიტებში მტკნარებს ატანს, მიძინებულ მიწა გუ-  
ლიძებია და ირგვლივ დამპალი ნემოს გამაბრუ-  
ებელი სუნი დგას. გზაზე კანტიკუნტად გვხვდებ-  
იან მანქანები, მკვეთრ მოსახვევებში მძლოლი  
სვლას აწელებს და რადგან აღმართ-დაღმართი  
მალი-შალ ენაცვლება ერთმანეთს, ისიც წამდაუ-  
წყმე სვლის სიჩქარეს და გზას დაეინებით გა-  
ყურებს.

1815 წლის 16 ივნისს ამავე გზით ვატერლო-  
ოსაკენ მიდიოდა ინგლისელი მხედართმთავრის  
ლორდ ველინგტონის არმია. ველინგტონი ბრიუ-  
სელში იდგა, რაკა საფრანგეთის ტაბატზე ხელა-  
ხლა ასული ნაპოლეონის საომარი დაძვრა და  
ბელგიის ფარგლებში შემოჭრა შეიტყო. ბრიუ-  
სელში მყოფ 70 ათას ინგლისელ მეთომარს უუკ-  
ველი დაღუპვის საფრთხე დაემუქრა. მოკავშირე  
ავსტრიელები შორს იყვნენ, რეინს ვადანმა;  
შორს იყო რუსეთის არმია. სანამ ისინი აქ გახ-  
ნდებოდნენ, ნაპოლეონის მოწოდებას რა ძალა  
გაუძლებდა სსნის ერთადერთ იმედზე ახლა პრუ-  
სიელთა 50-ათასიანი არმია წარმოადგენდა,  
რომელსაც გამოცილილი და მამაკი მხედართუფ-  
როსი მარშალი ბლიუხერი უდგა სათავეში.

დაზვერვის უტყუარი ცნობების თანახმად, ნა-  
პოლეონს სულ ასი ათასი კაცისაგან შემდგარი  
არმია ჰყოფდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ  
ინგლისელები და პრუსიელები ფრანგებს რიცხ-  
ვით საგრძნობლად სჭარბობდნენ, რიცხვობრივი  
უპირატესობის იმედზე ყოფნა მაინც უაზრობა  
იყო. თავისი სათაყვანებელი იმპერატორის ფან-  
ტიკურად ერთგულ ასი ათას ფრანგს, ისიც

თვით ბონაპარტეს სარდლობით, ორჯერ და სამ-  
ჯერ უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე უკუქცევა  
და ხიშტზე აგება შეეძლო.

თავის მხრივ, ნაპოლეონმაც კარგად იცოდა,  
რომ ავსტრიის არმია მთელი სისწრაფით მოიწე-  
ვდა ველინგტონთან და ბლიუხერთან შეხვედრე-  
ბლად, აქეთვე მოისწრაფებოდა თითქმის 200 ათა-  
სი რუსულ. ბონაპარტეს ბედი ბეწვზე ეკიდა. მას  
გამარჯვებაზე ფიქრი მხოლოდ იმ შემთხვევაში  
შეეძლო, თუ თავის მოწინააღმდეგეებს შეერ-  
თების საშუალებას არ მისცემდა და ელვისებუ-  
რი დარტყმებით ნაწილ-ნაწილ გაანადგურებდა.  
ამ მიზნით ნაპოლეონი შაასის ნაპირებთან დაეცა  
ბლიუხერს, მარლბურგსა და ლიესს შუა. მარ-  
შალი ნეი, კვალერიის სარდალი, რომელსაც შე-  
მდეგ ბურბონებმა თავი მოკვეთეს, დილადრი-  
ან მთერალი ყოფილიყო. ნაპოლეონის სერვი-  
ლისა და მოთხოვნის წინააღმდეგ იერიში მოგვი-  
ანებით დაიწყო. პრუსიელები დამარცხდნენ, მა-  
გრამ ამ განადგურებულან. ამ გაერყეობამ შე-  
მდეგ გლამწვევრი ვავლენა იქონია ომის მსვლე-  
ლობაზე და მისი ბედი მოკავშირეების სასარგე-  
ბლოდ გადაწყვიტა.

ბლიუხერმა ბრძოლის ველზე დასტოვა თავისი  
ოცი ათასი მეომრის გვაში და უგზო-უკვლოდ  
უქან დაიხია. ნაპოლეონმა იცოდა, რომ არ შეი-  
ძლებოდა მისი ვაჟები, სასწრაფოდ გამოჰყო  
მდევრად 36 ათასი კაცი, მარშალ გრუვის ჩაბა-  
რა და უზრამმა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა.  
ეპოვნა ბლიუხერი და გაენადგურებინა, თვითონ  
კი ვატერლოს ველზე ვავიდა, სადაც რამდენიმე  
საათით ადრე დადგა ველინგტონი და ის შფო-  
თიანი ღამე ფერმა კეთილმე ვაათია.

უკლებიან მწვეანე მიწოდროს, კრამიტის ციკა-  
ბისაბურავებიათი ხეთი თუ ექვსი სახლის მილ-  
მა, მრგვალი, კონუსისებური ბორცვი აღმართუ-  
ლა. ბორცვის წვერზე შორიდანვე მოჩანს რაღაც  
თეთრი და მალაღ, რომელიც მიახლოებისას თა-  
ნდათან იკვეთება და სწორკუთხოვანი კვარცხლ-  
ბეკის სახეს იღებს. ხასხასა, ნორჩი ზალაბითა და  
გაფთოთლილი ბუნებებით დაფარული ეს ბორცვი  
არ იყო აქ ამ ასორმოცდაათი წლის წინათ. იგი  
ხილხთა ომში მოკავშირეთა ძლევამოსილი გამა-  
რჯევების აღსანიშნავად აღმართეს საფრანგეთის  
მოუსვენარი იმპერატორის მოძულე ბელგიე-  
ლებმა.

თეთრად მოქათათე, მალაღ კვარცხლბეზე  
ბრინჯაოს უზარმაზარი ლომი დგას, მარჯვენა  
ტორი დედამიწის სფეროზე უდევს და პირდაღ-  
რქენილი საფრანგეთისაკენ იყურება. იქიდან მო-  
უხბტა მოკავშირეებს ნაპოლეონ ბონაპარტე და  
იქითვე გაბრუნდა ვატერლოს ველზე ერთხელ  
და საშუალოდ დამარცხებული.

ბორცვის ძირასაა ფერმა კეთ. ყველაფერი  
ხელუხლებლივ არის დატოვებული, ზუსტად  
რე, როგორც იმ ღამეს იყო.

კელუზზეუელუსაე, კვამლისაგან კარგა შემე-

რულ ტაყვრანაში, ვეება ბუხრის წინ, სადაც დღეს, ისევე როგორც საუკუნუნაბუხრის წინათ, ვატერლოს სტუმარს გემრიელ საიღოს გაგვიღლიან და მაგნიტოფონზე ჩაწერილ მაშინდელ ხმებს მოგასმენინებენ, მოუსვენრად იჯდა ტანზე გაუხდელი იმპერატორი და თვალზე რული არ ეკარებოდა. გარეთ წვიმდა, ლეაროქივი სქელ-კედლებიანი სახლის საცემურში ასხამდა და იქიდან ჩამოყენილი წყალი ნაკვერცხლებში შეიშინებდა.

მეორე ოთახში, სადაც ახლა გარდერობია და ტაყვრანის თავიზიანი პატრონი, პალტოსა და შუდს მოწიწებთ ჩამოგარბივით, გაწიწული ადიუტანტები ისხდნენ და თვლემამორეულში იმპერატორის ბრძანებას ელოდნენ.

გრუმისაგან არავითარი ცნობა არ იყო. რა ქნა, იპოვნა მათის ნაპირებშიაქვე პანიკურად უკანდახეული ბლიუხერი თუ ვერა? იმპერატორს ნაბრძანები ჰქონდა, თუ გრუმისაგან გახინდეს ვინმე, მაშინვე ზეითან შემოულშვიოთ. მაგრამ არც გრუმი ჩანდა და არც მის მიერ გამოგზავნილი კეთილი მაცნე. ვაითუ ბლიუხერის საფარს წააწედა და მთელი არმია ძირისძირობაშიდგ ამოწყვტეს?

საფიქრალი და სათავცემო იმ დამეს კათს ფერმის ამ განიერ ბუხართან, ცეცხლს პირს მჭდომ ნაპოლეონს ბუერი ჰქონდა. კოკისპირტულმა წვიმამ ჭველა მით გვემა ჩაშალა. ატალახებულ მინდვრებსა და ყანებში ცხენი და კაცი ფეხს ვერ გაანარკვედა, არტილერიის სწრაფ მანევრიტებსაც ხომ დაპარაკიც აღარ შეიძლებოდა.

კათს ფერმიდან ბრინჯაოს ლომთან ასახვლელად რკინისმოაჭირებიანი ბეტონის კიბე აუშენებიათ. ასი თუ ასორმოდღიათი მეტრის სიმაღლე კიბეზე განუწყვეტლივ ადის და ჩამოდის ხალხი. ერთი უკვე ყოფილან ზემოთ, უნაპრომწვანე ველს, რომელზედაც კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უმაგალითო ზოცვა-ცდუბა გაიმართა, თავისი თვალთ დაუნახავთ, მეორენი კი მხოლოდ ახლა მიდიან მის კიდით კიდემდე დასახახავად და დადლილობისაგან სულს ძლივს იბრუნებენ.

ნაწაინა მოვაკებულ ადგილზე, სადაც ლომის კვარცხლები დგას, ნაპოლეონისდროინდელ საომარ კოკრიტში ოდახუთსანტიკიანს ჩააფდებ და მთელი ეს უზარმაზარი ვაკე თვალში გადგეშლდება. უჩინარი რეპროდუქტორიდან სახმედრო ორკესტრის ნაწყვეტ-ნაწყვეტი გუგუნო ისინი. ორკესტრი და გუნერლები ფიტხელ საბრძოლო ბრძანებებს სცემენ. ამ ძახილებში უცერად იჭრება ზარბაზნების გრგვიწვა და ბრძოლის ყვირინა.

კარგად რომ ინათლა, ნაპოლეონი თავისი მრავალრიცხოვანი შტაბით გარეთ გამოვიდა და

მომავალი ბრძოლის ველი დაათვალიერო. წვიმას გათუნების წინ გადაეღო, მაგრამ ფერმის ირგვლივ მოშრიალე ვაშლების ფოთლებიდან ჭერისევე წვეთვდა წყალი. მიწა სველი და ატალახებულ იყო. ვიდრე აქაურობას მზე არ დახდებოდა, მინდორში ფეხსაც ვერ გასდგამდი. დრო კი არ ითმენდა. ყოველი დაყარული წუთი ველინეტონს ავსტრიელებთან და რუსებთან შეერთებას უახლოვებდა და ბრძოლაში ნაპოლეონის გამარჯვებას უფრო მეტად და მეტად საეჭვოს ხდიდა. ღამის განმეკობაში, მიუხედავად თავსება წვიმისა, ველინეტონმა მოასწრო გამაგრება მონსენ-ჟანის სერზე, სოფელ ვატერლოს სამხრეთით. ბრიუსელისაკენ უკან დასახვეი გზა, რომელიც სუანის ტყეში გადიოდა, მას უკვე მოჭრილი ჰქონდა.

ვახლ დღის ცხრა საათი, ათი, თერთმეტი... ნაპოლეონი აყოვნებდა შეტვის დამწეებას. ვარდა იმისა, რომ ვთვლიო ტალახი მას განჩრევის საშუალებას არ აძლევდა, მარშალ გრუმის უამბობამ დამწეარზე მდღეარე გადასახა. დრო არ ითმენდა. ნაპოლეონმა მალეშარბოლი აფრინა და მარშალი გრუმი თავისი 36 ათასი მეომრით ვატერლოს ველზე დაიბარა.

ამსალაში არც მოწინააღმდეგეს ეძინა. ბრძოლაში მიხვრებულა და სამხედრო ეშმაკობაში გამოწრთნილი ბლიუხერი თავს ადვილად მოეფარა. შედარებით გამოუცდელმა და თავისი იმპერატორის ყურმოჭრილმა მონამ გრუმიმ, რომელსაც საკუთარი ვადაწყვეტილებს მიღების და ახალი ვითარების შესაბამისად მოქმედების გაბედულება არა ჰქონდა, გაქცეული მოწინააღმდეგე ერისანი მოიხედა, რომ მისთვის გენერალური ბრძოლა გაემართა. ბლიუხერმა ჩინებულად ისარგებლა ფრანგი სარდლის მოხერხებლობით და თავისი კაცების საშუალებით ველინეტონს აცნობა, როგორც კი მდევარს ჩამოვიშორებ, უმაღვე თქვენს გვერდით გავჩნდებიო.

გრუმის არმია მთელი დამე დახეტებლობდა თავსება წვიმაში და პრუსიელებს ეძებდა. არც დამთ და არც 17 ივნისის დილით ისინი არავის შეხვედრიან. ვარდა პატარ-პატარა ჭკუფებისა, რომლებმაც ბლიუხერის შესახებ არაფერი იცოდნენ. გალთნიისას ნაპოლეონის მიერ გაგზავნილი მალეშარბოლი ინგლისელებმა ივდეს ხელი და იქვე აკუწეს. დღის ოთხ საათზე, როცა მხემ საგრძობლად დააუცხუნა და სველ მიწას ობშვარი აუვიდა, მტრის უთავბოლო დევნით ქანცვაბოლულ მარშალ გრუმის და მის ჯარისკაცებს ზარბაზნების შორეული გრგვიწვა შემოესმათ, ხმის მიხედვით ძველი იყო გარკვევა. თუ ვინ ისროდა, მაგრამ ეჭვი არავის დაბადებია, რომ ბრძოლა დაიწყო. გრუმიმ პირჯვარი გადასახა და ერთხანს ვარინდებული იდგა.

ვატერლოს ველზე კი მართლაც დაიწყო მჭინვარე და უკანასკნელი ომი საფრანგეთის იმპერიასა და ევროპას შორის. ნაპოლეონმა

ბრძანა 84 ზარბაზნის ცეცხლი ინგლისელებს ბოზიციებისაკენ მიეშარათ. მისივე ბრძანების თანახმად მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგის მიმართულებით დაიძრნენ კავალერიის კორპუსები, რომელთაც წინ ხმალმოწყვდილი მარშალი ნეი მოედგოდა. ინგლისელების ყურბადღობის ვასაფაჩტავდა, იმისათვის, რომ მტრის ვერ შეეტყო, საით იყო მიმართული ნაპოლეონის მთავარი დარტემა, ფრანგების კავალერიის უმანაშენლო ნაწილმა ველინგტონის მარჯვენა ფლანგზეც განახორციელა მცირე შეტევა. მარცხენა ფლანგზე მდგომმა ინგლისელთა კორპუსებმა ვერ გაუძლეს მარშალ ნეის ვრიგალისებურ იერიშს, მართალია, ფრანგებშიც ბევრნი დაიხონდნენ, მაგრამ ინგლისელთა ზარალი გაცილებით უფრო შეტი იყო.

თუთრ ცხენზე მჯდომი ნაპოლეონი კაიუდან ზეთასიოდე ნაბიჯის მოშორებით იდგა შეთვალეულთა კვავის უანაში და იქიდან აღევნებდა თვალს ბრძოლის მსუელელობას. თავის მარცხენა ფრთაზე მას კავალერიის სამარჯვაფო კორპუსი ეყენა, თუ ვინცილობა, ნეის ვეუქირვებოდა, ამ კორპუსით მას ველინგტონის მარჯვენა ფლანგისათვის უნდა დაერტყა. მალე, როგორც მოსალოდნელი იყო, ნეის უბანზე ბრძოლის სიფაცზე შეწეულა. ინგლისელები ბოლისაბოლას გონს მოვიდნენ და შეუყვანი კარე მოაწყეს. ფრანგი ცხენოსანი ჯარის ამოდ აღყდებოდა ამ კარეს, რომლის უკან, დამბანის ვასროლის მანძილზე, ფვით ველინგტონი და ინგლისის გენერალიტეტი იდგა. დარეკა წუთში, როცა ველინგტონის თვალწინ მთელი თავისი საზარელი სახით წამოსდგა ბრძოლაში დამარცხების სურათი. მან თავისი უკანასკნელი რეზერვებიც კი ნეის წინააღმდეგ ვაგზავნა და ყველა ძალა იხმარა ვამჭვიმვარებელი მტრის შესახერებლად.

ნაპოლეონი ზედავდა, რომ ნეის უჭირდა, ახლა საჭირო იყო ისეთივე ძლიერი იერიშის მტრანა მტრის მარჯვენა ფლანგზე, როგორც ნაშუადღევს მარცხენა ფლანგზე დაიწყო მარშალმა ნეიმ, ინგლისელები ვეღარ მოასწრებდნენ კარეს ვილაფტეუბას, რადგან სამაშისოდ ძალეტი აღარ ეყოფოდათ. ამით ნეი ისარგებლებდა და, თუმცა მისი კავალერია ზმლის ქნეით, ყოყინითა და სისხლისღვრით საგრძნობლად მოჭანუელი იყო, არანაყლებ დაღლილი მტრის შეავეღში დაუბრკოლებლიე შეიჭრებოდა და ბრძოლას საფრანკეთის საბედნიეროდ დაავჯორვინებდა. მაგრამ ძალა არ იმპერატორის უყოფნიდა. სამარჯვაფო კორპუსის დამჯრას მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, თუ ბრძოლის ველზე მარშალი ვრუში მოვიდოდა. ვრუში არ ჩანდა. ნაპოლეონს თანდათან იპყრობდა შოუსგენრობა. მან რაჭერ უბრძანა შტაბის უფროსს, დანამდელებით შეეტყოთ, სად იყო ვრუში და რად აუოენებდა ბრძოლის ველზე

გამოსვლას. თავის ჯარისკაცურ ცხოვრებაში მან ახლა პირველად იგრძნო, რომ მღვეამოსილ ომებში, რომლებშიაც საფრანკეთის არმია ვამარჯვებდას ვამარჯვებამდე აღწევდა, თუნივე მთავარსარდალი მარტო არ ყოფილა. მას შედამ გვერდში უდგნენ უშიშარი მარშალი მორშატი, იმპერატორის უსაყვარლესი კაცი მარშალი დავუ, კვავალიტის ღმერთი მარშალი სენ-სირი და სხვანი და სხვანი. დღეს აქ არუკეთი მათვანი აღარ იყო. სენ-სირს საუკუნო ძილით ეძინა. მიორატი თავის სამეფო ტახტზე იჯდა ნეაბოლში. დავუ, საფრანკეთის იმპერიის სამხედრო მინისტრი, დარღვეულ წონასწორობას იცავდა სახელმწიფოს შიგნით...

ნაპოლეონმა დერბინდი მოირგო და ველინგტონის მარჯვენა ფრთაზე ვინლაგებულ სიმაგრეებს დააკერდა. ამ წამსვე ვამგზავნიდა იმ ოც-ოცდაათი ათასი კაციისაგან შემდგარ რაზმს, აქვე ზელთ რომ უყოლოდა. დააკერდა და უცებ დავუცა დერბინდი. მიწაზე თხლად ვაწოლილ ნისლში მამ ლავის მხრიდან აქვთ მთელი სისწრაფით მომავალი ცხენოსანი ჯარის კოლონები დაინახა. „მოიღია, მადლობა ღმერთს! — ვაიფიქრა, ვაგრამ ხმამაღლა კი არაუფერი უტყვამს. იქნებ ეთვეა კიდევ, დარწმუნებელი რომ ყოფილიყო. ვრუშის სწორედ ამ მხრიდან ელოდა. თუ ვრუშია, სულზე მოვინწრო, თუ ველინგტონის მოთვია მამველი ძალა, იმპერიის წუთები დათვლილია! — ფიქრობდა ნაპოლეონი.

აბა, მას როგორ შეეძლო წარმოედგინა, რომ თავისი იმპერატორობის მოწერად ვრთველი მარშალი ვრუში მას შემდეგაც კი ვანაგრძობდა უვეალილ დაკარგული პრუსიელების ძებნას, როცა ვატერლოას მხრიდან ზარბაზნების ვრიალი შეოერსმა და მიხვდა, რომ ბრძოლა დაიწყო. მას ვრთი წამითაც არ დაბადებია აზრი, მინდორ-მინდორ უსარგებლო წანწალისათვის თავი ვაენებებინა, ბირი ვატერლოასაკენ ექნა და ყველაზე უფრო ზელსაყრელ მომენტში სამეკდერო-სასიციაცილო ბრძოლაში ჩამოეჭო.

ვრუშიში ვაგვირად ესა ქნა ბლოუჩერმა, ვაგრამ არა ნაპოლეონის, არამედ საშინელ ვანსაციულეში ჩავარდნილი ველინგტონის მისამველებლად. ნაპოლეონმა რომ კავალერიის კოლონები დაინახა, ეს ბლოუჩეტი და მისი არმია იყო, რომელიც დამირებისამებრ მოვავსიერ ინგლისელებს დასახმარებლად ბრძოლის ველზე მოისწრაფოდა. პრუსიელებს თან ახლდა ბლეიფი და ნიდერლანდელ კავალერისტთა სამი კორპუსი, რომელთა შემოერთებამ ბლოუჩერის არმია მრისხანე ძალად აქცია.

თავისი იმპერატორობისა და სამშობლოს უსაზღვროდ ერთველი ფრანგები მიინე არ შემდრკალან, ვაგრამ მარტოოდენ სიმამაციო ომში, აბა, რას ვახდებთ!

„დავენებლით, მამაკო ფრანგებო!“ — რამ-



## ორი ქართველი ბავშვის თავგადასავალი

1812 წლის ოქტომბერში სოფელ ლანჩხუთში ერთი ადგილობრივი მოსახლის ლაზარე წილოსანის ოჯახს თავს დაესხნენ ოსმალეთის აგენტები—თანამემამულე ავაზაკები. მათ ააფორჩქეს მისი სახლ-კარი, მოიტაცეს რვა წლის ვაჟიშვილი, სახელად იოსები, და შორ გზას გაუყენეს...

თავზარდაცემულმა დედ-მამამ და ნათესავ-მეზობლებმა ვერასვხით ვერ მოაგნეს ბავშვის გზა-კეას; ან რას მოაგნებდნენ, როდესაც ავაზაკებმა პატარა იოსები ლამით ფოთისაკენ გააქანეს. იმ დროს ეს ქალაქი ოსმალთა ხელში იყო. ფოთში ჩაყვანისთანავე იოსები ფოთის ციხის უფროსს ალი-ბეგს ჩააბარეს.

ფოთის ციხის უფროსმა ოსებმა, სხვა ბავშვებთან ერთად, მიჰყიდა ხოფის მცხოვრებს, ამ შხრის განთქმულ მონათუქარს, ვინმე პასან-მსერ-ოღლის. იგი სწორედ ამ დროს სტამბოლიდან იყო ჩამოსული თათღელელობისა და ქსოვილების ადამიანებზე ვადასაცელებლად. მის მიერ შექმნილ ბავშუთა შორის იყო ერთი პატარა ბიჭი, სახელად სელიმი, რომელიც სამეგრელოდან მოეტაცათ. ტანითაც და სახითაც ის ძალიან ჰგავდა იოსებს. მისი მშობლიური სახელი და გვარი ჩვენთვის დღემდე უცნობია.

შემზარავი სურათი გადაიშალა ფოთის ნავსადგურში, როდესაც მტარელები ხომალტზე ტვირთბედნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოტაცებულ, ძალად დაობლებულ, გატანჯულ, ხელ-ფეხშეკრულ, მშვირ-მწყურვალ ბავშვებს.

იმ შეხებულ დროსა და გარემოცვაში ეს იშვიათი მოვლენა როდი იყო.

ორი ქართველი ბავშვის გარდა, სტამბოლში ჩასვლისას, ხომალტზე არცერთი ჩაყვანილი ტყვე არ დაუტოვებიათ; მათმა მყიდველმა მხო-

ლოდ იოსები და სელიმი დატოვა ხომალტზე და ეგვიპტისაკენ უკრა მათ თავი.

ბავშვების მყიდველმა პასან-მსერ-ოღლიმ ეგვიპტეს მისვლისთანავე ისინი ქალაქ კაიროში ჩაიყვანა.

პირობის თანახმად, ეს ორი ბავშვი პასან-მსერ-ოღლიმ მიჰყიდა ეგვიპტის ფაშას, ერთ დიდ მოხელეს, ვინმე მირახორ-მუჰამედ-აღას (კაბუჯი-ბაშობედიანი)<sup>1</sup>.

მირახორ-აღა განთქმული იყო სიმდიდრით მთელ კაიროში. მას დიდძალი უძრავ-მოძრავი ქონება მოეპოვებოდა, როგორც თვით ქალაქის ფარგლებში, ისე მის განაძარა უბნებსა და მხლობელ სოფლებში. პირადი განძეულობის, ოქრო-ვერცხლისა და თვალ-მარგალიტის დასაცავად და მოსაგულად მას დაქირავებული ჰყავდა ხაზინადარი, რომელსაც მთელი ეს ქონება ებარა.

მნიშვნელოვან გზაჯარედინზე მირახორ-აღას გაშენებული ჰქონდა ქარვასლები, სადაც გაცხოველებული აღებ-მიცემობა წარმოებდა, რამდენიმე ადგილზე აგებული ჰქონდა საგანგებო საიდგომები აქლემების ქარავნებისათვის. საკმარისი შემოსილიდა მას ქალაქ კაიროს საცხოვრებელი სახლებიდანაც.

ამ ქონების გარდა, მირახორს კაიროს შაბ-ლობლად, სოფ. მონიაში, შუბრაში და ბირჯათი-ლაჯამი მშვენივრად მოვლილი, უხემოსავლიანი ბაღ-ვენახები ჰქონდა გაშენებული.

<sup>1</sup> კაბუჯი-ბაში — კარის მოხელე (გენერალ-მაიორი). იხ. განმარტებანი წიგნიდან Академия наук СССР. Институт народов Востока, переводы IV; Египет под властью Мухамед Али. Москва, 1963 г. Изд-во Восточной литературы.

მირახორ-მუჰამედ-ალი შეხანის კაცი იყო. ვაგიშვილი არა ჰყავდა. მთელი ამ ქონების მემკვიდრედ მისი ერთადერთი ქალიშვილი სეთი-ზეინაბი ითვლებოდა, ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო. ქართველ ბავშვებს ბედმა გაუღიმა. სხვა-თან შედარებით, მირახორ-ალი უფრო გულკეთილი და სათნო ადამიანი აღმოჩნდა. ახლად შესუდილი ქართველი პატარა მონები მან ერთ-მანეთს არ დაამორა და ორივე თავის ოჯახში დატოვა.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც აღბანეთის კორპუსის სარდალმა აფი-მუჰამედ-ალიმ (1769-1840) ზელო იგლო ეგვიპტის მართვა-გამგეობა (1805), ხოლო 1812 წელს, ოსმალეთის ზონტქრის მხარდაჭერითა და დეზმარებით, მიიღო ეგვიპტის ნაცულობა.

მუჰამედ-ალიმ უღობველი ბრძოლა გამოუცხადა თავის პოლიტიკურ მტრებს, კონსერვატიული პარტიის სულისამაღვლებებს — ხუთას ბეის, რომლებმაც გადაწყვიტეს აფი-მუჰამედ-ალის ფაშის ტახტიდან გადაგდება და ეგვიპტეში ქველი წესების აღდგენა. ეს შეთქმულება მუჰამედ-ალიმ გამოამტყანა და მისი მონაწილენი სულ-ერთიანად ამოაწყვეტინა.

კონსერვატიულ პარტიაზე გამარჯვების შემდეგ მუჰამედ-ალი შეუდგა საურთაღდებო ღონისძიებების განხორციელებას, როგორც შინა-მმართველობაში, ისე ტექნიკისა და განათლების დარგებში, რათა მოკლე დროში გამოეყვანა ეგვიპტე ამ ჩამორჩენილობიდან, რომელშიაც იგი მანამდე იმყოფებოდა. 1813 წელს, მუჰამედ-ალის წინადადებით, გატარდა მიწის რეფორმა, რომლის მიხედვით თითოეულ ფელახს (გლეხს) გრძელადიანი იჯარით გადაეცა დასამუშავებლად მიწის ნაკვეთი სამი-ოთხი ფედანის (0,4 ჰექტ.) რაოდენობით. ამ რეფორმის ძირითადი მიზანი იყო ფეოდალური წესწყობილების განმტკიცება. მიწის ფაქტიური მფლობელი გახდა, ეკონომიურად დამოკიდებულ ხდებოდა თავის მპრძანებელზე და მისი ხაზინისათვის შრომობდა. ამ ღონისძიებასთან ერთად, ეგვიპტეში განხორციელდა ფინანსური სისტემის საფუძვლადი რეფორმა; გარდა ამისა, ფრანგების დახმარებით, ახლებურად, ევროპულ ყობაზე, გაიჭრათნა 170 ათასიანი რაშქარი.

სოფლის მეურნეობაში შემოიღეს ახალი კულტურები, მათ შორის, ბამბის თესვა; ბამბა მანამდე მხოლოდ ევლურად იზრდებოდა.

1812 წლიდან, მუჰამედ-ალი-ფაშას ბრძანებით, კაიროს ახლო-მახლო მიდამოებში შეუდგნენ ამ სამრეწველო მნიშვნელობის კულტურის მოშენებას. ცდამ სუეცის ნაყოფი გამოიღო, და ბამბამ მიწის საკმაოდ დიდი ფართობი დაიკავა.

1822-1824 წლებში ეგვიპტემ უკვე დაიწყო ბამბის ექსპორტი.

ამასთან ერთად, ეგვიპტის მართვა-გამგეობამ განახორციელა საირიგაციო ღონისძიებები,

ეკროდ, გაიყვანა არხები მდ. ნილოსის წყლის გამოსაყენებლად. ეს გრანდიოზული სამახო მშენებლობა დაიწყო 1835 წ. მუჰამედ-ალი-ფაშას ბრძანებით; პროექტს შედგენდა სერ ეგვიპტის ინჟინრის გუგელ-ბეის მიერ. მშენებლობა მხოლოდ 1901 წ. დამთავრდა.

ეგვიპტე ერთ დროს განთქმული იყო მევენახეობით, რომელიც არაბების ბატონობის დროს, ყურანის ძალით, აიკრძალა, და მიეღლი ევნახები ძირფესვიანად აიკაფა. მუჰამედ-ალი შეეცადა აღედგინა სოფლის მეურნეობის ეს რენტაბელური დარგიც, მაგრამ მისი ცდა მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა; ნევნახეობა-მეღენერობამ, სამრეწველობრივი დანახვების გამო, ვერ მოიკიდა ფეხი, ისე, როგორც ამას მისი ინიციატორი ფიქრობდა.

ეგვიპტეში განათლების დარგიც გარდაიქმნა. 1813 წლიდან კაიროში სწავლა ევროპული წესით შემოიღეს — სახელმწიფო ხარჯზე.

1820-იან წლებში მუჰამედ-ალიმ დაიპყრო სუდანი და უფრო მეტად განმტკიცდა ეგვიპტეში.

თანდათან ძლიერდებოდა ეგვიპტე, სამავიკროდ. სუსტდებოდა ოსმალეთი.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ეგვიპტე იმდენად მძლავრი სახელმწიფო შეიქმნა, რომ მუჰამედ-ალი-ფაშა მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა ოსმალთა იმპერიის ვასალად, ფაქტიურად კი ოსმალეთს არაფერს არ ეკითხებოდა.

ასეთი იყო ეგვიპტის მდგომარეობა და ვითარება 1812-1830 წლებს შორის.

სწორედ ეგვიპტის ცხოვრების ამ დიდი გარდაქმნის პერიოდის დასაწყისში მოხდნენ კაიროში საქართველოდან მოტაცებული ქართველი ბავშვები.

ბავშვების ზრდილობამ, თავაზიანობამ, სანდომიანმა გარეგნობამ მიიქცია მათი მყიდველ-მუხატორის ყურადღება, მან საბოლოოდ გადაწყვიტა სავანეებო პირობებში აღზარდა ისინი.

არ გასულა დიდი ხანი, რომ მირახორ-ალიმ იოსებს სასიძოდ გამოაცხადა და თავისი ერთადერთი ქალიშვილზე სეთი-ზეინაბზე დანაშნა. ცოლმეობა კი იმ დროისათვის აღუთქვა, როდესაც იოსებმა სრულწლოვანებას მიაღწევდა.

მირახორ-ალი, ეგვიპტეში არსებული წესების მიხედვით, ენერგიულად შეუდგა ბავშვების აღზრდას. პირველ ყოვლისა, ორივე ბავშვი მამამდიანობაზე მოაქცევს და სახლებიც შეუცვალავს, იოსებ წილოსანს დაერქვა აღიამედი, ხოლო მის ტრლს — ჰასან-სელიმი.

ორივეს მასწავლებლად მიუჩინეს ვინმე ჰასან-ალანი ეფენდი და ანაკოც თოფალ-სალიგ-ეფენდი, რომლებიც ბავშვებს არაბულ და თურქულ ენებს, მართლწერასა და ალყურანს ასწავლიდნენ.

ბავშვებმა სწავლის დიდი უნარი გამოიჩინეს და შედარებით მოკლე ხანში ათვისესს არაბული და თურქული ენები; შესწავლეს ძართლურა, და, მასთან, დაძლიეს მოსაბერებელი აღყურანიც.

სწავლების მებუთე-მეექვსე წლისათვის ორივე ქართველმა ბიჭმა მიიღო ხოთათის დიპლომი და ეფენდის (ე. ი. ნასწავლის ან სწავლობის) წოდება.

ამიერიდან იოსებ წილოსანს დაერქვა ალი-ამედი-ეფენდი, ხოლო მის ამხანაგს ჰასან-სელიმ-ეფენდი...

ეს 1817-1818 წლებში მოხდა. სწორედ ამ პერიოდში, დაწყებითი სწავლების დამთავრებისთანავე, ალი-ამედი-ეფენდი მისმა სასიძმარომ გააწვეს თავისი ზარათუხანის მმართველად, 1818 წელსვე საგანგებო სივლით მონობიდანაც გაათავისუფლა ორივე. ამჟვე დროს შეადგინა ანდერბი, რომლითაც მთელი უძრავ-მობრავი ქონება და ვანძეულობა, მისი ქალიშვილის სეთი-ზენაბის სიკვდილის შემდეგ, უანდერბა მონობიდან განათავისუფლებულეს ალი-ამედი-ეფენდის და ჰასან-სელიმ-ეფენდის. ეს წერილობითი ანდერბა მისმა შემდგენელმა დაამტკიცებინა „შემაქმეშ“ 1819 წელს.

მალე ამ ორი ქართველი ბავშვის ამბავი გაავრ მუჰამედ-ალი ფაშამ. იგი დაინტერესდა მოზარდების საღატობით, ვინაობითა და თავგადასავლით. ფაშას ისიც კი აცნობეს, იუ სწავლის როგორი უნარი შესწევდათ ამ ყმაწვილებს.

მუჰამედ-ალიმ ბრძანა ორივე მასთან გზოვობადებულიყო.

ალი-ამედი და ჰასან-სელიმი სასახლეში ეახლნენ ფაშას. ფაშამ თავზიანად მიიღო ყმაწვილები, გამოკითხა ბევრი რამ და ბოლოს უბრძანა კასრი-ანეს სამხედრო სასწავლებელში შესვლა.

1823 წელს ალი-ამედი და ჰასან-სელიმმა წარმატებით დამთავრეს კასრი-ანეს სამხედრო სასწავლებელი და ლიტენანტებად გამოწვეს ეფენდის არმიამ.

ამიერიდან ორივე ქართველი ყმაწვილი

1 წილოსანის პირად საბუთებში არის მის მიერვე შედგენილი ცნობა, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთი შესაძლოა, მოიძებნოს კაროს არქივში 1818-1823 წ.წ. შორის იხ. ივ. არქვანიძე, იოსებ წილოსანის (ალი-ამედი-ეფენდის) საბიოგრაფიო მასალა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელ. ისტორიის ინსტიტუტი, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბილისი, 1947, გვ. 32 და შენიშვნა.

ოფიცერთა კადრში ჩაირიცხა და უშუალოდ დაექვემდებარა სამხედრო სარდლობას.

მაგრამ მუჰამედ-ალი-ფაშას „მემატი“ დავა-მყოფიღა. არმიამი მას კესამტარქმირტაქე-როშულად განათლებული, ევროპული ენების მცოდნე ოფიცრები, ვინაიდან ამას მოითხოვედა იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება. მალე მათ ბრძანებულესა მიიღეს შესწავლათ იტალიური ენა. ფაშის ეს დავალებაც ალი-ამედი და ჰასან-სელიმმა ბრწყინვალედ შეასრულეს.

1825-1826 წლებში მუჰამედ-ალიმ საგანგებო ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც ეფენდიერა ახალგაზრდა ოფიცრები მათ შორის, ალი-ამედი და ჰასან-სელიმი, წარგზავნილ იქნენ ევროპის დიდ კულტურულ ცენტრში — პარიზში განათლების მისაღებად.

პარიზში ჩასვლისას ქართველი ახალგაზრდები მიიღეს ბუენოს პანსიონში და ბურბონთა კოლეგიურ სასწავლებელში, რომელიც იმდროინდელ საფრანგეთში უმაღლესი განათლების ყველად ითვლებოდა. პარიზში ცხოვრებამ და სწავლამ მათ ხელი შეუწყო სავსებით დაუფლებოდნენ ფრანგულ და სხვა ევროპულ ენებს. ახალგაზრდები დაეწინაურნენ ლიტერატურას, ამოსავლეთის ისტორიის, მათემატიკის და სხვა საგნების შესწავლას. სწავლების პერიოდში ახალგაზრდებს პირადად უნდა შეერჩიათ სპეციალობის მისაღებად შესაფერა დარგები. ალი-ამედი, ეფენდის სხვა ახალგაზრდების ერთ ჯგუფთან ერთად, აირჩია ფერწერის დარგი და ის იყო, სწავლა უნდა დეწყო, რომ კაიროდან საგანგებო პირადი ბრძანება მოუვიდა, აუცილებლად საინჟინრო დარგზე შესულიყო. „რა გეწყოზოდა, — წერს ალი-ამედი, — ზემი სურვილისა და მისწრაფების წინააღმდეგ, შეუღდევი საინჟინრო საქმის შესწავლას“.

ეს დროის ის მონაცემთა იყო, როდესაც „პარიზის საბიო საზოგადოების“ (დაარსდა 1822 წელს) დამაარსებლებმა მეცნიერ-მკვლევარებმა აზიური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს და სომხეთის ხალხთა თავგადასავლის და მათი კულტურული მეკვლარების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიჰქციეს და საზოგადოების ბეჭდვითს ორგანოში — „საბიო ყურნალში“ ამ ხალხთა შესახებ წერილებისა და ნარკვევების მიუქიანა შეუღდნენ. მკვლევართაგან თავი გამოიჩინა ახალგაზრდა მეცნიერმა მარი ბროსემ. იგი უკვე სახელგანთქმული ორიენტალი-სტი იყო ქართველოლოგიის დარგში. ქართული ენა პარიზში შესწავლა, ოცნებობდა ქართველებთან პირად ურთიერთობაზე, რათა ენის ცოდნა გავრცელებინა. პარიზში ალი-ამედი და სხვა უკვე ქართველებმა ცვაიქნეს ფრანგი მეცნიერი ბიუი ბროსე.

ამ ფაქტის შესახებ მარი ბროსემ პარიზ-



ღან თავის მეგობარს — საქართველოს მეფის ღის ბატონიშვილს თეიმურაზს მისწერა და ი. ი. ციციანიძის, დიდად მოხარული ვარ, რომ იოლი საშუალება მომეცა ქართველებთან ქართული ენის გასაწაფავადო.

საბასუხო წერილში თეიმურაზ ბატონიშვილს სწერდა მარი ბროსეს:

„გთხოვთ უსაყვოტრესად, ეგ ჩვენი მომწენი კაცნი, რომელნიცა მანდ მოსულან, რომელთათვისაც თქვენ მომწერეთ, ძმებრივის სიყვარულით მომიცინოთ და მაგათი ვითარებზეა მაცნობთ, როგორ არიან მიღებული და ან როგორ იქცევიან. ეცადენ, რომ კარგი და პატიოსანი ყოფაქცევა აჩვენონ მანდალურს საზოგადოებას და სწავლასაც ეცადენ, როგორითაც ენისას, აგრეთვე სხვათაცა სწავლათა, რომელიცა განაიათლებს გონებას, სამხედრონი განა სამოქალაქონი ზნენი, რომელიც დიდის კაცის შვილთ შეესაბამება“<sup>1</sup>.

მარი ბროსე და ალი-ამედი თითქმის ერთი ასაკისანი იყვნენ (პირველი დაიბადა 1802 წელს, ხოლო ალი-ამედი — 1804 წელს). ალი-ამედის და მარი ბროსეს ნაცნობობა, რომელიც შემდეგ მეგობრობაში გადაზარდა, მაშინაც გაგრძელდა, როდესაც მ. ბროსე საამუშაოდ რუსეთში გადავიდა, ხოლო ალი-ამედი შობლიურ ქვეყანას — საქართველოს დაუბრუნდა. მათი საქმიანი ურთიერთობა სიკვდილამდე არ შეწყვეტილა.

ალი-ამედი პარიზში სიციინრო საქმეს სიუკეთესოდ დაეუფლა და ბრწყინვალედ დაამთავრა ეს დარგი. ეს მოხდა 1831-32 სასწავლო წლის ბოლოს. ამგვარად, ალი-ამედის პარიზში 5-6 წელი დაყო, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეისწავლა, ევროპული წინსვლისა და პროგრესული ცხოვრების ცოცხალი მოწმე გახდა.

საქმიან მომზადებულ, მრავალი ენის მცოდნე, განათლებული ქართველი ახალგაზრდა ალი-ამედი, თუმცა ეგვიპტეში კარგი მომავალი და მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება მოელოდა, მაინც სულ სხვა ფიქრებში გაიტაცა. პარიზში ყოფნის პერიოდში ხშირად ზედმეოდა ქართველებს, საუბრობდა შობლიური ქვეყნის თავდასაჯვალზე. ამან დიდი გავლენა იქონია მის სულიერ განწყობილებაზე, ალი-ამედის დავიწყებული არ ჰქონდა ის უსაშინელესი ამბავი, ვარკად ბავშვობაში რომ გამოსცადა, ვარკად ახალგაზრდა ის ტანჯვა-ვაგება, რომელიც მას, მონობაში გაყიდულ ბავშვს გადახდა; აფონდებოდა დედამამისეული სახლი ლანჩხუთში, სადაც მას, როგორც ოქახის საყვარელ ვაჟიშვილს, მშობლები და ნათესავ-მეზობლები

თავს ევლებოდნენ, ახსოვდა დედის აღყრისა და მისი სიყვარული; ყველაფერი ეს საშობლოს უსაზღვრო სიყვარულსა და შობლიურ მხარეში დაბრუნების სურვილს უღვიძებდა. ასეთი ოცნებით შეპყრობილ ალი-ამედის საშობლოში წამოსვლის სურვილი უფრო განუღვივებია სასიამაორო და ღმობიერი აღმზრდელის უეცარმა სიკვდილმა. ეს ცნობა მის პარიზში მიუვიდა.

ამ ამბავმა ალი-ამედის საბოლოოდ გადაწყვეტიდა საქართველოში წამოსვლა. შემდეგში ეგვიპტის მთავრობისადმი გავზავლის ერთ-ერთ თავის განცხადებაში იგი წერს: „მორაობრ-აღას სიკვდილიან შემდეგ, არა თუ ეგვიპტეში დაბრუნება არ მომგონებია, არამედ თვალბში სინათლე დამიბნელდა, რადგანაც მე იმ კაცს, როგორც ჩემ აღმზრდელს, ჰატევის ეცემდი, მე ის მიყვარდა“. და, მართლაც, მორაობრ-აღას სიკვდილის შემდეგ, ალი-ამედის ეგვიპტეში ისეთი მახლობელი არაყინ დარჩენია, რომლის ხათრი, რიდი და პატივისცემა ჰქონოდა. თავისი საცოლე სითუზინებაი, რომელთან ბავშვობიდანვე იზრდებოდა, უფრო ეცოდნებოდა, ვიდრე ხიზღავდა; დიდი ქონება, რომლის მფლობელიც უნდა გამხდარიყო სითუზინების შერთვით, მის ახალგაზრდულ გულს აღარ იტაცებდა.

ამ დროისათვის ალი-ამედი საქმიან გამოცდილი იყო ცხოვრებაში. დიდი სიძნელეებით, მაგრამ მაინც გაიყვა ცხოვრების გზა, გამოიჩინა განსაკუთრებული უნარი, არ დაივიწყა დედაენა, არ დაკარგა საშობლოს სიყვარული, ალი-ამედის წინაშე მწვავედ წამოიჭრა ორი კითხვა: რომელი აირჩიოს — ეგვიპტეში მდიდრულად ცხოვრება და გაცივრული წინსვლის პერსპექტივა, თუ საშობლოში ცხოვრება და გაურკვეველი მომავალი?

საშობლოს სიყვარულმა დასძლია და საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება.

პარიზიდან ვასაქველად ბევრი რამ იყო საუკირო. მართოდენ სურვილი და მისწრაფება რიდი კმაროდა. ეს განზრახვა არცერთ ეგვიპტელ ახალგაზრდას არ უნდა გაეგო, თორემ სულ სხვანაირად შეტრიალდებოდა საქმე. პარიზიდან უფოოდ სტამბოლში უნდა ჩასულიყო, რომ იქიდან, შავი ზღვით, საქართველოში წამოსულიყო. სხვა გზა, სხვა ღონე არ ჰქონდა.

ამ ფიქრებით გატაცებულმა ალი-ამედი ეფენდომ მაინც გადაწყვიტა, რომ თავისი გეგმა მასან-სელიმისათვის გაემხილა. სხვანაირად მოქცევა არ ხერხდებოდა, შით უფრო, რომ პარიზში ეს ორი ქართველი ახალგაზრდა ერთ ბინაში ცხოვრობდა.

მასან-სელიმი აღტაცებამ შეიბყრო, ალი-

<sup>1</sup> თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი. გამოცემლობა „მეცნიერება“, 1964, გვ. 13.

ამედის განზრახვა რომ ვაიკო და თვითონაც საგონებელში ჩაეარდა.

ეს მოხდა 1832 წელს, ე. ი. იმის შემდეგ, რაც რუსეთ-ოსმალეთის ომი ადრიაანოპოლის ზავით დამთავრდა (1829). დადებული საზავო პირობების შესაბამისად, რუსეთის ქვეშევრდომებს, ოდესმე სამშობლოდან გატაცებულს, ტყვეებად ვაიყვარდნენ ან სამხედრო ტყვეებად წაყვანილებს, ნება მიეცათ ნთელი თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონება აღკვეთა ვაიყვარდათ და სამშობლოში დაბრუნებულეყვნენ.

ალი-ამედისა და ჰასან-სელიმის ვაგონილი ჰქონდათ, რომ დასავლეთ საქართველო და, კერძოდ, გურიის სამთავრო რუსეთს შეეუერთდა, რუსეთის ქვეშევრდომი გახდა.

ალი-ამედი ეფენდომ, ჰასან-სელიმის დაბმარებით, 1832 წლის ზაფხულში შიბოთვა პარიზი და ნავსადგურ მარსელით კონსტანტინოპოლისაკენ გამოსწია.

კონსტანტინოპოლში ჩასვლისას მან პირდაპირ რუსეთის საელჩოს მიაკითხა, გამოეცხადა რუსეთის საიმპერიო დესპანს გრაფ მედლის, მოახსენა თავისი ვინაობა და თავგადასავალი. დესპანი ძალიან დაინტერესდა გამოცხადებულის პიროვნებით, დააქაუფილა მისი შუამდგომლობა სადესპანოს ექსტერიტორიულ კართან დატოვების შესახებ იმ დრომდე, სანამ გადაწყუდებოდა რუსეთის ქვეშევრდომად მისი მიღების საკითხი.

დესპანმა მაშინვე მიაწოდა შესაფერისის საბუთები უმაღლეს მთავრობას და მოითხოვა ამ საკითხზე უმაღლესობის ბრძანებულება.

გავიდა რამდენიმე თვე და შემოდგომის მიწურულს, საგანგებო ბრძანებულების თანახმად, ალი-ამედი-ეფენდის ფიცო დაადგინეს რუსეთის ქვეშევრდომობასა და რუსეთის მეფის ნიკოლოზ I ერგულებამზე. წინასწარ თვით ალი-ამედის დააწერინეს ფიცის ტექსტი როგორც არაბულ, ისე ფრანგულ ენებზე. ფიცის პიროცდურა რუსეთის სადესპანოში მოხდა, რატომღაც მაშხადიანური სარწმუნოების წესით — ალფურანზე.

ამიერიდან ალი-ამედის აღუდგინეს შობილური სახელი და გვარი — იოსებ წილოსანი, უბოძეს სადესპანოს საგანგებო მოწმობა და ღია ფურცელი და რუსეთის გემით სამშობლოსაკენ გაემგზავრეს საქართველოს მთავარმართებლის ბარონ როზენის განკარგულებაში, რათა ამ უკანასკნელს შესაფერის თანამდებობაზე გამოეყენებინა.

რე ბედი ეწვია ჰასან-სელიმ-ეფენდის, რომელიც ი. წილოსანის გამოქცევის შემდეგ პარიზში დარჩა სხვა ევვიბტელ ახალგაზრდებთან ერთად?

პარიზიდან იგი მალე ევვიბტეში დაბრუნდა, ქ. კაიროში, წესისამებრ, სამხედრო სამსახურში.

რო განავრტო. მგერამ ეს სამსახური მას არ აკმარეს — ამავე დროს ახლად გარდაქმნილი ერთ-ერთი სასწავლებლის ადიუტანტად დაინიშნეს.

მუჰამედ-ალი ფაშა ჰასან-სელიმის სამხედრო სამსახურით დიდად კმაყოფილი იყო და აიკ ამირთაჟი მალე დააწინაურა. ჰასან-სელიმში მუჰამედ-ალი ფაშას გვარდიაში მოხვდა, საიდანაც დაუახლოვდა ეგვიპტის მუჰამედ-ალი ფაშას შვილს, იბრაჰიმ ფაშას, რომელიც ტახტზე ავიდა. სელიმ-ეფენდომ ცოლად მისი ქალიშვილი შეირთო. მოკლე ხანში ჰასან-სელიმი დაინიშნა ეგვიპტის არმიის გენერალური შტაბის უფროსად და დასახლდა, როგორც ი. წილოსანი წერს, „ნავსადგურ ბულაკში აჟ განსვენებულ ისმაილ-ფაშას სახლში“.

იოსებ წილოსანი სამშობლოში ჩამოვიდა. რუსეთის გემი ფოთს რომ უახლოვდებოდა, იოსებს უკვე ცხადად წარმოუდგა ამ ოცი წლის წინანდელი ტრაგედია, რომელიც თვითონ გადახდა.

ფოთი ახლა უკვე რუსეთს ეკუთვნოდა და იმდროინდელი იერი საკმაოდ შესცვლოდა. ფოთის ციხე კვლავაც იდგა, მგერამ რუსეთის გარნიზონი იცავდა. ქალაქში დიდძალი ხალხი ტრიალებდა, მათ შორის ბევრი გურული და მეგრული.

„ნეტავი რა დღეშია ლანჩხუთი?“ — გაიფიქრა წილოსანმა და სიხარულის ცრემლები მოერია.

სადესპანოდან მიემგულ ინსტრუქციის თანახმად, იოსები გამოცხადდა ფოთის ციხის კომენდანტთან, რომელსაც დეალებული ჰქონდა მისთვის დაბმარება აღმოეჩინა თბილისში წასახლელად.

ორი-სამი დღის შემდეგ იოსები თბილისისაკენ გაემგზავრა, მგერამ გულში ვერ მოუთმინა და გზად შობილიერ ლანჩხუთს მიაკითხა.

რე წელზე მეტი იყო, რაც არ ენახა თავის ოჯახი. შინ დედა და ღამა დახვდნენ. მამა, იოსების დაკარგვის შემდეგ, დარღს ვადაპეყოლია, და, იმედვადამწევეტილი, რომ შვილს ველარ ნახვდა, გარდაცვლილიყო.

ლანჩხუთში დიდხანს გაჩერება იოსებს არ შეეძლო. როგორც უცხო ქვეყნიდან ვადმოსუ-

! ი. წილოსანს ძალიან უყვარდა თავისი მშობლიური მხარე ლანჩხუთი. იგი რუსეთში დაბრუნებისას არ იფიქვებდა ამ კუთხეს და ბევრი რამით ეხმარებოდა. ლანჩხუთის რეგ. სადგურში ამ 30-34 წლის წინათ პირადად ჩვენ ენახეთ ზარი, რომელიც წილოსანს შეწირული ჰქონდა ლანჩხუთის ეკლესიისათვის, ამ ზარზე შესაფერი წარწერაც იყო ამოკვეთილი (ი. ა).

ლი, დაწესებულ ვადაში მთავარმართებელთან უნდა გამოცხადებულიყო.

საელჩოდან გაეყმულო საბუთებით იგი თბილისში ბარონ როზენს წარუდგა.

როზენმა წილოსანი იმავე დღეს, ე. ი. 1832 წლის 2 ნოემბერს საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიის თაჩიშნად დანიშნა. ეგვიპტესა და პარიზში მიღებულ სამხედრო და უმაღლეს განათლებას უყრადღება არ მიაქციეს და ამიტომაც არც სამხედრო წოდება მიაკეთენეს და არც სამოქალაქო წოდება.

წილისხვევის შემდეგ, როზენის წარდგენის შესაბამისად უმაღლესობის ბრძანებით, წილოსანს ოფიცრის პირველი ჩინი — პრაპორშჩიკობა მიანიჭეს და კავკასიის საგანგებო კორპუსის კავალერიის შემადგენლობაში ჩარიცხეს, ამავე დროს დატოვეს მთავარმართებლის კანცელარიაში თარჯიმნის თანამდებობაზე; იმავე წლის აპრილში იოსები ოსმალეთის წინააღმდეგ დაწვეულ ომში გაიწვიეს. ამით იგი, როგორც თვითონ აღნიშნავდა, კმაყოფილი დარჩა. სამხედრო მოქმედება აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოებდა. რუსეთის ჯარს უნდა დაეპრეტენებინა წაბალი და ადღერის კონცხი, რომლებიც შამინ ოსმალეთს ეპყრა.

წაბალს იმ პერიოდში ფეოდალი მ. მარშანიი ფლობდა. იგი მთელი ამ მხარის მთავარი იყო. როზენის სამხედრო ექსპედიციის შემდეგ, მ. მარშანიამ რუსეთს მორჩილება გამოუცხადა, მაგრამ წაბალი რუსეთმა კვლავ მარშანიის მფლობელობაში დატოვა.

დამთავრდა თუ არა ომი, იოსებ წილოსანი თბილისში თავის ძველ ადგილზე მთავარმართებელ როზენის განკარგულებაში დაბრუნდა.

დადგა 1839 წელი. იოსებმა განიზრახა ოჯახს მოკიდებოდა, მაგრამ საამისო პირობები არ ჰქონდა; მარტო ჭამაგირით ოჯახის მუთხოვილებას ვერ დაეკმაყოფილებდა, სხვა შემოსავალი კი არ გააჩნდა.

სწორედ ამ გაპირებაში მოაგონდა, რომ მის, როგორც მონობიდან განთავისუფლებულ ეფენდის და უკვე რუსეთის ქვეშევრდომს, უფლება ჰქონდა მოეთხოვა ქონების იმ ნაწილის ღირებულება, რომელიც თვითონ მას და მის ტოლამხანაგს მირაზორ-ადამ უნაღრესი ეგვიპტეში. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით წილოსანმა მიმართა ეგვიპტის მთავრობას შესაფერისი თხოვნით, ხოლო პარალელურად, ამავე საკითხზე, ოფიციალური შევითხვა მისწერა კაიროს მოლას.

თავის პრეტენზიას იოსები იმით ასაბუთებდა, რომ მირაზორ-ადამ ქალიშვილი და ყო-

ფილი მისი დანიშნული სეთ-ზეინაბა (ანუ ზეინაბ ხანუმი), რუსეთში იოსებთან დაბრუნების შემდეგ, ვიღაც ეგვიპტელს წაუყვანია ცოლად, შემდეგ კი დაუბრუნებია და, რადგან მირაზორ-ადამს ოჯახი ამომწურვარა, მისი მთელი უძრავ-მოძრავი ქონება, ანდერძის შესაბამისად, განთავისუფლებულ მონებზე — ალი-ამლი ეფენდისა და სელიმ ეფენდიზე უნდა გადასულიყო.

ი. წილოსანმა ქალაქ კაიროდან მიიღო ცნობა, რომ მირაზორ-ადამს ქალიშვილის სეთ-ზეინაბის სიკვდილის შემდეგ, პასან-სელიმი მთლიანად დაეპატრონა ნაანდერძე ქონებას, ხოლო კუთვნილი წილი, არა თუ არ გაღმორეკაზნა მას, არამედ ამაზე არც უფიქროსა და წერილზეც არ უპასუხნია.

ეგვიპტის მთავრობამაც პასუხი არ გასცემის თხოვნას. ამის შემდეგ წილოსანმა 1839 წლის 24 ივნისს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით კვლავ გაგზავნა ოფიციალური არხა ეგვიპტის მთავრობაში და ამავე დროს ბარათი მისწერა თავის ბედის მონახვევრე მეგობარს პასან-სელიმს.

ი. წილოსანი ამ ბარათში წერდა:

„ჩემო უძვირფასესო მეგობარო სელიმ-ეფენდი მას შემდეგ, რაც ჰყენ ერთმანეთს დაეშორდი, მე კეთილი გულით გამოგიგზავნე რამდენიმე წერილი. გწერდი, გეცნობებინა შენი ამბავი და კარგად ყოფნა, მაგრამ დღემდე შენგან არავითარი პასუხი არ მომსვლია.

უკვე ერთი წელიწადია, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ამაზე მომივიდა, რომ ჩვენი უბედური სეთი-ზეინაბი ქმარს დაუბრუნებია და უძრავი ქონება, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ, მისი მამის ანდერძის თანახმად, ჰყენ უნდა გაღმორეკეპოდა სამეშვეიდრყოლ მისი უდიდებულესობის ეგვიპტის ფაშის ბრძანებით, მთლიანად შენ მივიღია.

შენი უანგარო და ერთგული მეგობრობა იმელს მამლევს, რომ უსათუოდ გაღმომრეკაზნა საფასურს ქონების იმ ნაწილისას, რაც მე მეკუთვნის ჩემი კეთილისმყოფელის ანდერძის თანახმად, ჩასაკვირველია, თუ გეცოდნება ჩემი საცხოვრებელი ადგილი და ზუსტი მისამართი.

მე ამჟამად გადაწყვიტე გამოგიგზავნო ეს წერილი ეგვიპტეში, ჩვენი გენერალური სეკონსულოს მეშვეობით, და გთხოვო პირადად შენ, რათა კეთილ ინებო და გაყიდო ან თვით შეიძინო მთელი ის უძრავ-მოძრავი ქონება, რაც, ანდერძის თანახმად, მე მეკუთვნის, იმ პირობის დასწრებით, ვისაც რუსეთის საიმპერიო გენერალური კონსული გრათი მედელი დანიშნავს.

ამგვარად გთხოვ, ჩემო უძვირფასესო მეგობარო, ამ წერილის მიღებისთანავე მიპასუხო და მომწერო ყველაფერი შენს შესახებ.

1 როზენი ბარონი — გენერალ-ადიუტანტი. მთავარსარდალი საქართველოში (1831-1837 წ.წ.).

რათა საშუალება მომეცეს გაცნობო შენი დედ-მამისა და მახლობლების ამბავი.

შენი ერთგული მეგობარი ალი-ამედი ეფენდი. — კავკასიის არმიის კავალერიის ლეიტენანტი, მისი მალაღამებულების საქართველოს გენერალ-ანჭყვასი დიპლომატიური კანცელარის თარგმანი ი. წილოსანი<sup>2</sup>

ამავე დროს იოსებ წილოსანი საქართველოს მთავარმართებლის დიპლომატიურ კანცელარიას ასეთ განმარტებას სწერდა:

ეგვიბტემი რუსეთის საიმპერო გენერალურმა კონსულმა გამოიგზავნა მომართვა, ჩემი თხოვნის საპასუხოდ, მე ვითხოვდი ჩემთვის, ეგვიბტის ფაშის ბრძანებულებით, ვადმოგზავნათ მისი კარის დიდი მოხელის კაპუჩი-ბაშის მიერ ჩემთვის ნაანდერძევი შემცვიდრობა. პატივი მაქვს განვმარტო, რომ ყოფილი ჩემი ამხანაგი სელამ ეფენდი, თანამოზარე ზემოაღნიშნული ქონებისა, წარმოშობით არის საქართველოდან — სამეგრელოდან და არა ჩერქეზეთიდან, როგორც ეს შეეცდომით ეთომ გამოცვლევის შედეგად, უცნობებით ზემოხსენებული საკონსულსათვის. მხოლოდ მათ მიერ მოხსენიებული სელამ-ბეგი, რომელიც თავის სამშობლოში დაბრუნდა, იყო ეგვიბტის ფაშის მუქამედ-ალის ერთი მამულქათავანი. ჩემი ამხანაგი სელამ ეფენდი კი იყო ნაყიდი ეგვიბტის ფაშის მოხელის, ამჟამად გარდაცვლილ შირაზორ-მუხამედ-ალის მიერ; იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, ჩემთან და სხვა ეგვიბტელ ეფენდებთან ერთად (მე მამი უკვე 17 წლისა ვიყავი). ეგვიბტის ფაშამ მიავლინა ქალაქ პარიზს ფრანგულ და სხვა ევროპული ენების, აგრეთვე, საგნების შესასწავლად. უველადფერი ეს დაწვრილებით განმარტე ჩემს მომართვაში თურქულად და პირადად ეთარგმნე ფრანგულად. ამის დამხმარებელი ცნობები შეიძლება მოეთხოვოს ჩემთან პარიზში ნამყოფ მუსტაფა-მუხტარ ეფენდის და მის ამხანაგ სტეფან ეფენდის<sup>3</sup>, რომლებიც ამჟამად კაიროში სასწავლებლების უფროსებად მსახურობენ, აგრე-

თვე, სხვა ეფენდებს, რომლებიც მე დამამხანაგდნენ პარიზში.

ადგილობრივ მუსულმანურ მუფთისაგან გაცემულ მოწმობასთან ერთად გიფენდი ამ განმარტებას და დაბეჯითებით გახიზოთ აღნიშნული გადაუგზავნათ რუსეთის საიმპერო კონსულს ეგვიბტეში, რათა მას საშუალება მიეცეს შესაფერი ცნობა წარუდგინოს ფაშას, მექემესსადმი ბრძანების გასაცემად ჩემი ეფენდი (მირაზორ-ალის მიერ ნაანდერძევი) ნახევარი ქონების გამოგზავნის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ჩემი ამხანაგი და თანამოზარე სელიმ-ეფენდი ამჟამად ცოცხალი აღარ არის, მთელი ეს ქონება ვადმომეცეს მე, ჭირფასი განქულობისა და აგრეთვე, ხელმძღვანელ ქურაზე (მეჩეთისა და ეგვიბტის ფაშის ქაზხნის მახლობლად) მდებარე ქეთიკარის დიდი სახლის გამოუკლებლად; ვადმომეცეს ასეთვე სახლი, რომელიც ელმუშისა და არიის მოპირდაპირე მხარეზეა, ე. ი. ქარესლა, სადაც აბრეშუმისა და ნარშის ქსოვილები იყიდება; ვადმომეცეს, აგრეთვე, ვენახები ნაირნაირი ხეხილის ხეებით და შიგ ჩადგმული შენობებით, სოფელ მონიაში კაირის მახლობლად; აგრეთვე აჭურბაგელის მახლობლად ბიჭქეთილაში მდებარე, დიდი ბაღი, ოორის მიწის ნაკვეთი და სხვა მიწეები მომეცეს სრულ საყურთებაში.

აწ განსვენებულ მირაზორ-მუქამედ-ალის სოცხელში შედგენილი იყო აქტი, რომლის ნივთიერი, მისი უშვილო ქალიშვილის სიკვდილის შემთხვევაში, თავის მემკვიდრეებად აცხადებდა მონებს სელამ-ეფენდის, მე და კადიხნის წინათ გარდაცვლილ გამეტი-ეფენდის.

აღნიშნული აქტი 1818-1823 წლებში წარდგენილი იყო მექემეში დასამტკიცებლად. და იგი ამ წლების არქივებში მოიძებნება<sup>4</sup>.

ამ განმარტებით ბარათიდან ბეგერი რამ ირკვევა ალი-ამედი-ეფენდისა და მისი ბედის მონახვერე სელიმ-ეფენდის ცხოვრებიდან. ისიც ჩანს, რომ ალი-ამედი და სელიმის გარდა, იქ, როგორც კაიროში, ისე პარიზში, იჭურ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სხვა ქართველებიც ყოფილან.

შეორე, ფრიად საყურადღებო საბუთი, რომელშიც გარკვეულად არის მოხსენიებული იოსებ წილოსანის (ალი-ამედის) მადურობა, დამადების თარიღი, ოქაბური მდგომარეობა და სხვა ცნობები, გახლავთ პატივი, ი. წილოსანის მიერ 1863 წლის 20 ივნისს წარდგენილი კავკასიის არმიის შტაბის მთავარ სამრიგეოში. პატივი წილოსანი წერს:

ჩემი დამადების დროს, 1804 წელს იმერეთში მეტრიაელი წიგნები არ იყო შემო-

<sup>1</sup> საქართველოს გენერალ-ანჭყვასი ი. წილოსანი უწოდებს გენერალ-ადიუტანტ ე. ა. ვილოვინს, რომელიც იმ დროს იყო საქართველოში მთავარსადლად.

<sup>2</sup> ი. წილოსანის წერილის პირი, მისივე ხელით ნაწერი ფრანგულ ენაზე, დაცულია სენის პირად ბიბლიოთეკაში.

<sup>3</sup> როგორც ეტყობა, წილოსანის განმარტება შედეგი იყო შეითხებებისა, რომლებიც მის მთავრობის ორგანოებიდან წაუყენეს.

<sup>4</sup> მუსტაფა-მუხტარ ეფენდი და სტეფან ეფენდი, რომლებსაც წილოსანი მოწმებდალასხელებს, ჩვენი აზრით, ქართველები უნდა იყვნენ.

<sup>1</sup> განმარტების ტექსტის პირი დაცულია ჩუბაბლიოთეკაში.

ღებულის და ამიტომ არ ვიცო რომელ თვესა და რიცხვში დავიბადე.

წარმოშობით ვარ ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის სოფელ ლანჩხუთიდან, სარწმუნოებით — მართლმადიდებელი.

აღიზარდებ ეგვიპტეში და დაემთავრე კერსი<sup>1</sup> კასტიანეს სამხედრო სკოლაში პორტუგის ჩინით, შემდეგ ვსწავლობდი პარიზში, ბურბონთა კოლეჯიურ სასწავლებელში და ბუაზოს პანსიონში.

დავიღობებული ვარ სპარსეთის ლომის და შხის მეორე ხარისხის, აგრეთვე, წმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენებით.

შემდეგ წილოსანი იძლევა თავის დაქორწინების, ოჯახის შემადგენლობისა და ქონებრივი მდგომარეობის ცნობებს.

1839 წლის 24 ივნისს ეგვიპტეში გადავხვინლ არზაში ა. წილოსანი ორ დიპლომატიურ ზერხს მიმართავს: ერთი მხრივ, ზოტბას ასხამს ეგვიპტის ფაშას, მეორე მხრივ, აღიღებს რუსეთის მთავრობას, რომლის ქვეშევრდომიც ვახდა.

ამ საბუთში წილოსანი ამართლებს რუსეთში წამოსვლას და მადლობას უძღვნის ეგვიპტის მთავრობას ამ „ყოჩაღდებისა და სათნოებისათვის, რომელიც მისმა უმაღლესობამ ფაშამ მის მიმართ გამოიჩინა.

„...შე ვგვიყვ, — წერს იოსებ წილოსანი, — რომ ორმა უდიდესმა სახელმწიფომ — რუსეთმა და ოსმალეთმა პირობა შეკრეს, რომლის ძალით ოსმალეთთან წამოსულ რუსეთის ქვეშევრდომებს უფლება აქვთ დაიტოვონ ოსმალეთში თავიანთი ქონება, გააკიდონ იგი, აღებული თანხებით ისარგებლონ, და ამის განხორციელებისათვის პირველად დაწესდა თერაპეტი თვის ვიდა.

ეს პირადად ჩემთვის ხელსაყრელ გარემოებად მიიჩნეე და რაჟე პარიზში დარჩენა არ მსურდა, რათა ეგვიპტის ფაშის ნაშუსი (ე. ი. პრესტიჟი — ი. ა.) გაციხებული და შებღალული არ ყოფილიყო, საუკეთესოდ ვცანი ჩემს სამშობლოში დაბრუნება და ხელმწიფე იმპერატორის სამსახურში შესვლა, რაც შევასრულე ვიდეც; ჩემს ამ მოქმედებას სახელმწიფოთა შორის დადებული შეთანხმებული პირობიდან გამომდინარე აქვდა ეთვლი და, ამასთან ეგვიპტის ფაშისათვის არათუ უსიამოვნოდ, პირაქით, სასახლოდაც მიმაჩნია, რომ მისი წყალობით და სათნოებით ერთი ვაბედნიერებულთაგანი. ამებამდ საქართველოში იმყოფება და ამართლებს ფაშის სულტარებლობას.<sup>1</sup>“

წილოსანი სწორად და მართებულად თვლიდა სამშობლოში დაბრუნებას, სთხოვდა

<sup>1</sup> ამოწერილია წილოსანის არზიდან ეგვიპტის მთავრობისადმი (საბუთი ჩვენი ბიბლიოთეკაშია დაცული).

რუსეთის მთავრობას დახმარებას ეგვიპტის მთავრობის წინაშე, რათა, მირახობა-აღას ანდერძის შესაბამისად, მისცემოდა მას ფულადი კომპენსაცია კუთვნილი ქონებიდან, რომელიც ადგილზე უნდა გაყიდულიყო, მით უფრო, რომ ამ ანდერძის თანახმად, ეგვიპტის ფაშის საგანგებო განკარგულებით, მიეღო ქონება ჩაბარდა მის ამხანაგს სელიმ-ეფენდის, რაჟე კაპუჯი-ბაშის ქალიშვილის სეთი-ზენაბის სიკედილის შემდეგ, მას შემკვიდრებები არ დატანენა.

იოსებ წილოსანმა ყველა კანონიერ საშუალებას მიმართა, რომ როგორც მიეღო კუთვნილი ქონება ეგვიპტიდან, მაგრამ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა ძალიან გართულდა. წილოსანის ე. წ. მეგობარმა სელიმ-ეფენდომ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია იმას, რომ წილოსანს მიეღო თავისი კუთვნილი შემკვიდრების ფულადი კომპენსაცია.

წილოსანის მეორე ეგვიპტეში გადახვინლ არზის გარშემო ეგვიპტის ოფიციალურ წრეებში დიდი მიმოწერა გაიშარა. ამ მიმოწერიდან ჩანს, რომ ეგვიპტის მთავრობა და საზღვდელოება ყოველმხრივ ამართლებდნენ სელიმ-ეფენდის მოქმედებას და ამტყუნებდნენ აილა-ამედის.

1840-1841 წლებში იოსებ წილოსანი საბოლოოდ თბილისში დამკვიდრდა, ცოლად შეირთო ძველებური სომხური ოჯახის იზმიროეების დიდშვითიანი ქალიშვილი, შხითევი იოსებს ხვდა ორი საყარმიდაშო ადგილი შენობებით: ერთი — ყოფილი წყნეთის და ოლას ქუჩების კუთხეში (ახლანდელი ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხე, სადაც აღმართული იყო სამსართულიანი ქონგურებიანი სახლი, 1967 წლის რეკონსტრუქციაში მოყოლილი), მეორე — იმავე ქუჩაზე, № 44-ში, ფართოდ გაშლილი ბაღით.

ასე ვახდა ა. წილოსანი თბილისის მკვიდრი, რომელმაც შესაფერი ცენზიცი მიიღო, როგორც უძრავი ქონების პატრონი.

რამდენიმე წელიწადში იოსებს შვილები შეეჩინა.

წილოსანი, როგორც კულტურის მოღვაწე, მეტად საინტერესო პიროვნებაა; იგი თავისი დროის ლექსიკოლოგი და პედაგოგიც იყო; ა. წილოსანმა საუკეთესოდ იცოდა გეროპული და აღმოსავლური ენები: ფრანგული, იტალიური, გერმანული, რუსული (ეს უკანასკნელი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შეის-

<sup>1</sup> იოსებ წილოსანი სამი შვილი ჰყავდა. მათ შორის ორი ქალი — მარიამი, დაბადებული 1842 წელს (შემდეგში გათხოვილი თუ ინტელიგენტ ს. ცისკარიშვილზე); ნატალია, დაბადებული 1843 წ., შემდეგში გათხოვილი თბილისის მოქალაქე ვანო ფორაქიშვილზე (მათი ქალიშვილი ეკატერინე შემ-

წელს), არაბული, სპარსული, თურქული; ზედმიწევნით კარგად იცოდა ქართული, შვიდრო საქმიანი კავშირი ჰქონდა ქართველ მეცნიერებთან: პლ. ოსელიანთან, დ. ბაქრაძესთან, დ. ჩუბინაშვილთან და სხვებთან, აგრეთვე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან, პირადად აკადემიკოს მარი ბროსესთან, რომელთანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ პარიზში ჰქონდა დამყარებული მეგობრული კავშირი.

ი. წილოსანი XIX საუკუნის მე-2 ნახევრის საზოგადო და კულტურულ მოღვაწეთა იმ ქვეყნის უნდა მიეკუთვნოს, რომელიც ერთი თაობით წინ აქწარება „თერგდალეულებს“.

წილოსანი აქტიურად წაება მეცნიერულ საქმიანობაში; მან ბევრი კაპიტალური და ორიგინალური ნაშრომები შექმნა.

1845-1847 წლებში ი. წილოსანი, რომელიც განაგრძობდა სამხედრო სამსახურს კავკასიის არმიის გენერალურ შტაბში, ტრაპიზონის მთავრობის, დიპლომატიური კანცელარიის განკარგულებაში, გერულ დესპანთა საბუთების ოსმალურიდან რუსულად სათარგმნელად, ამ კომისიაში შედიოდა იმუშავა და დაკისრებული მოვალეობა ზედმიწევნით კარგად შეასრულა.

ამავე პერიოდში ი. წილოსანი შრომებს წერდა შედგა უმეტესწილად ნაწილი ამ ნაშრომებისა ლექსიკონოლოგიური ხასიათისა — არაბული, თურქული, სპარსული, ფრანგული, რუსული ენების თვითმასწავლებლებია.

სამხედრო სამსახურში ყოფნა, და ისიც შტაბის თარგმნად, ამასთან, მეფისნაცვლის დიპლომატიურ კანცელარიაში სამსახური ზომაზე მეტად ტვირთავდა, და მას დრო აღარ რჩებოდა სამეცნიერო მუშაობისათვის. ამიტომ 1848 წლის 18 ივნისს, ითხოვა სამხედრო სამსახურიდან განათავსდებოდა; მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და, უმაღლესობის ბრძანებით, მისცეს მიიღოს ჩინი. ი. წილოსანი გადადგა სამსახურიდან, შემდეგ 11 წლის განმავლობაში განუწყვეტდნად დევით სარაფიშვილის, ცნობილ კონიაკის მრეწველის, ქიმიის დოქტორის და მეცენატის, ცოლი იყო), და ვაჟიშვილი ნიკოლოზი (1847-1893), ცნობილი სამხედრო ტოპოგრაფი და არქეოლოგი, 1881 წელს არქეოლოგთა მე-5 ყრალობის ერთ-ერთი აქტიური დელეგატი, 1885 წელს გამოცემული ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ I ტომზე დართული ძველი საქართველოს რუკის ავტორი.

გერულ დესპანები კავკასიის სამეფისნაცვლოდან ოსმალეთის მთავრობასთან, ტრაპიზონში გაიგზავნენ, გურიასა და ქობულეთს შორის, ში. ჩოლოქსა და წარაქონას შუა საზღვრების დასაწყებლად და შესაფერი ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ვერტივ მეშობდა ლექსიკონების შედგენაზე. ი. წილოსანის პირველი ბეჭდვითი ნაშრომი 1856 წელს გამოვიდა შედგევი სახელწოდებით: «Новые разговоры на российском, французском, турецком и татарском языках с русским произношением и духом последних, разделенного на 130 частей»...

წიგნის ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ „აღმოსავლური ენების, განსაკუთრებით, მუსულმანური ენების შესასწავლი სახელმძღვანელოების შოვნა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ამიტომ მიმდინარე საუკუნის განმავლობაში მრავალი ევროპელი იძულებული გახდა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად გადამჭერი ზომები მიეღო; თუმცა გაძლიერებული მეცადინეობის შედეგად, ევროპელებმა მიაღწიეს მიზანს, მაგრამ მისი განხორციელება ძვირად დაუჯდათ. მართალია, მოსწავლე ახალგაზრდობამ ამ მიმართულებით ერთგვარი წარმატება მიიპოვა, მაგრამ ჯერ კიდევ საცხებით ვერ დაძლია აღმოსავლური ენების შესწავლის სიძნელე. ვარსავე ცანობილი თეორიულად და პრაქტიკულად იმუსულმანურ, ნაწილობრივ, რუსულ და ფრანგულ ენებს, მსურს რა ხელი შეუქმნო ევროპელებს, განსაკუთრებით კი, რუსების კეთილი სურვილების განხორციელებას, პირველ ყოვლისა, განვიზრახე უსაქიროესი სახელმძღვანელოების შედგენა გადავიღებული მეთოდის მიხედვით, მუსულმანური ენების შესასწავლად“.

ამ წიგნის რეალიზაციიდან განსაზღვრული პროცენტი ავტორმა რუსეთის დპტორილ და დასახიზრებულ მეომართა კომიტეტს გადასცა: „ვისახებ რა მიზნად, ხელი შეუქმნო რუსეთის მხედრობის წარმატებებს, მსურს ჩემი წვლილი ვავილო ამ დპტორილი და დასახიზრებული მეომრების დასახიზრებლად, რომელნიც სარწმუნოებისა და მშობლიური რუსეთისათვის იბრძვიან“.

ბოლოს ავტორი დასძენს: „თავს ბედნიერად ჩავთვლი, ხოლო შრომას — ანაზღაურებულად, თუ წინამდებარე სახელმძღვანელოებით განათლების მოყვარულთა გზას გავუკავებ აღმოსავლური (მუსულმანური) ენებისა და ლიტერატურის შესწავლაში. მადლობით მივიღებ ყოველგვარ სამართლიან შენიშვნასა და შესწორებას, რასაც მომავალ შრომაში გაეთვალისწინებ“.

1 ეს სქელი, ექვსსაგვერდიანი წიგნი დიდი ბეჭდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის სტამბაში 1856 წ. რუსული სათაურის ვარდა, ამ წიგნს აქვს ფრანგული და თურქული სათაურებიც.

2 სწორედ დროის ამ მონაკვეთში, ე. ი. 1853-56 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომი (ე. წ. ყირიმის ომი).

მაგრამ ამ მიმართებას შედეგი არ მოჰყოლია — მისი წიგნის გარშემო რაიმე კრიტიკული მიმოხილვა საქართველოს, კავკასიისა ან თბილისის იმდროინდელ პრესაში არა ჩანს. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ XIX საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში ქ. თბილისში, ალბათ, არ მოიპოვებოდა აღმოსავლური ენების მკვლევარ სპეციალისტი ლექსიკოლოგი, რომელსაც შეეძლო კრიტიკულად მიმოხილვა ეს ნაშრომი.

აღნიშნული წიგნის გამოცემამდე ი. წილოსანს შედგენილი ჰქონდა ანალოგიური ნაშრომი ფრანგულ და არაბულ ენებზე, რომელიც დღემდე ზენაწერის სახით არის დაცული. მისი შედგენის დრო უნდა დათარიღდეს არა უადრეს 1833 წლითა და არა უგვიანეს 1837 წლით, ე. ი. კავკასიის მთავარმართებლად ბარონ როზენის ყოფნის პერიოდით, რაც ნაშრომის სათაურზეც არის აღნიშნული.

1862 წელს გამოვიდა ი. წილოსანის ამავე რიგის მეორე შრომა<sup>1</sup>: არაბული, თურქული, სპარსული ენების თვითმასწავლებელი, — თარგმნილი რუსულ ენაზე. ამ წიგნში მოცემულია საინტერესო წინადადებები, სიტყვები, ანდაზები, რომლებიც შაჰინ ხშირად იხმარებოდა. წიგნში საპატარო ადგილი დაეთმო სათანადო გამოკითხვებს ადგილმდებარეობის, გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული ცნობების შესაყრებად, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ავტორს ამ დარგის ზედმიწევნით კარგი ცოდნა ჰქონდა. ნაშრომში ავტორმა, არაბულ-სპარსულ-თურქული ენების გარდა, მოგვცა დამხმარე ნიშნების წესი და, საზოგადოდ, გრამატიკის ყველა ის ნორმა, რაც კი ზემოთაღნიშნული ენების შესასწავლად არის საჭირო.

ი. წილოსანის მეცნიერულ-კულტურული მოღვაწეობა მართო ლექსიკოლოგიური / სახელმძღვანელობისა და თვითმასწავლებლების შედგენა-გამოცემით ქართულ ენებზე XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის საზოგადოება შას იცნობდა, როგორც უადრესად განათლებულს, კულტურულს, ზრდილობიანს, თავმდაბალს და მცოდნე ადამიანს.

ი. წილოსანი აქტიური მონაწილე იყო ქართული საეკლესიო სიგელ-გუჯრების მთარგმნელი კომისიისა (1852-53 წწ.) და, არაბულ-თურქული ენების ჩინებული ცოდნის წყალობით, შინაშენლოვანი წელიწადში შეიტანა ამ კომისიის საქმიანობაში.

ხელმოკლეობამ იოსები აიძულა შეეტანა პატარა სამხედრო სამსახურში დაბრუნების შესახებ. 1859 წელს, უმაღლესობის ბრძანებით, იგი დააბრუნეს ძველ ადგილზე, ე. ი. კავკასიის არმიის შტაბში არაბული, თურქული, სპარსული, ქართული, ფრანგული და რუსული ენების თარგმნად. მოკლე ხანში ზედზედ მიიღო წარჩინება: სამი ორდენით დააჯილდოვეს და, ამას გარდა, პოდპოლკოვნიკისა და პოლკოვნიკის ჩინი უბოძეს.

70 წელს მიღწეულმა ი. წილოსანმა საბოლოოდ გადაწყვიტა სამხედრო სამსახურიდან გასვლა, მაგრამ ვერ მოასწრო: ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის (სისხლის მოწამვლის) შედეგად გარდაიცვალა. დაკრძალეს ვერაზე, ლუჩი მონასტრის გალავანში<sup>1</sup>.

ასეთია მოკლედი XIX ს. პირველ ნახევარში გურიისა და სამეგრელოს სამთავროებიდან მოტაცებული და ეგვიპტეში მონებად გაყიდული ორი ქართველი ბავშვის საყურადღებო თავგადასავალი.

<sup>1</sup> საფლავი აღარა ჩანს, იმის გამო, რომ ამ ეკლესიის გალავანში, სადაც ერთ დროს სასაფლაო მდებარეობდა, ახლანდელ ოთხსართულიანი სახლი აშენდა და, ალბათ, ამ მოღვაწის საფლავის ქვას ყურადღება არ მიუქცევს.

<sup>1</sup> Самоучитель мусульманской азбуки, с переводом и произношением на русский язык, для употребления юношеством и всем начинающим учиться восточным языкам. Тифлис, 1862 г.

### იონა მეუნარგია

ვისაც დასავლეთ საქართველოში უმოგზაურობა და ზუგდიდის გზაზე გაუვლია, ალბათ, შეამჩნევდა მთის ფერდობზე გაშენებულ პატარა ლამაზ სოფელს. ეს არის სოფელი ცაიში, სადაც 1852 წელს დაიბადა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია. ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას, იონა მეუნარგიას 1873 წლის დღიურებში ასეთ სტრიქონებს ვხვდებით ამ სოფლის შესახებ:

„წიშს, მოწყენილი ეზივარ ჩვენი სახლის აივანზე და გადაეცქერი ჩვენი სოფლის მშვენიერ სახეს. რაივც მშვენიერია აქაური ბუნება, როგორ დაუსრულებლად მდიდარია ქვეყნის ეს მხარე. სტენლი სწორად ამბობს ჩვენს სამეგრელოზე, ეს ერთი უმშვენიერესი ქვეყანათაგანი არის მთელ ჩვენს პლანეტაზეო“.

იონა მეუნარგიას ცხოვრების შესახებ შემონახული ბევრი ცნობა ნათლად მოწმობს, რომ მას მთელი სიცოცხლის მანძილზე ასულდგმულედა ეს ტრფობა და სიყვარული. და სადაც უნდა ყოფილიყო იგი, ცაიშში თუ პეტერბურგში, პარიზსა თუ ენევაში, უველგან თავისი საშობლოს სიყვარული დაჰქონდა გულთ და ამ სიყვარულით აღსავსე ესაუბრებოდა პარიზში ექტორ პიუგოსა და ერნსტ რენანს. ასეთივე სიყვარულით თარგმნიდა ის „ეფთხისტყაოსანს“ ფრანგულ ენაზე, რომ უცხოელებისათვის გაეცნო თავისი ქვეყნის უძველესი კულტურა, ისტორია და ლიტერატურა.

იონა მეუნარგიას გვიან ვენალოგიაზე წერლობითი ცნობები არ მოგვემოგვება. სავაზაუდებელია მხოლოდ, რომ ეს გვარი, ისევე როგორც ბევრი სხვა ქართული გვარი, დაკავშირებულია წინაპართა ხელობასთან. მეუნარგიების წინაპრები უფროდ მეუნარგინი, ანუ უნაგირის მკერაენი იქნებოდნენ და ამ ხელობის მიხედვით შეერქმეოდათ გვარი შთამომავლებს. ამის ის ფაქტიც ადასტურებს, რომ

იონას ბაბუა პეტე მეუნარგია მე-19 საუკუნეში ცნობილი მოქანდაკე-ოქრომჭედელი ყოფილა დასავლეთ საქართველოში, უნაგირის კერავი სცოდნია, უმთავრესად კი უნაგირის ვერცხლითა და სპილოს ძვლით გაწყობის ოსტატი ყოფილა.

დაწყებითი განათლება იონას მარტვილის სამრევლო სკოლაში მიუღია. შემდეგ, როგორც თვითონ მოკრძალებით აღნიშნავს თავის დღიურებში, წარმატებით დაუმთავრებია ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა განუგრძოდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1874 წელს იონა, როგორც პოლიტიკურად საეჭვო პირი, თბილისის სასულიერო სემინარიის უკანასკნელი კურსიდან გაურიცხავთ. ეს ამბავი იონა მეუნარგიასათვის მოულოდნელი არ ყოფილა. 1874 წლის 14 მარტს იგი დღიურში წერს: „დღეს დარწმუნებით შევიტყვერომ ჩემი საქმე გადაწყვეტილია. ვიცოდი, რომ კ-სკი, ეს სულით გლახაკი, მიზირებდა გამორიცხვას სემინარიიდან, მაგრამ ასე უსაფუძვლოდ და უსინდესოდ თუ თავისას გაიტანდა ჩვენს საცოდვე „პრაგლენიეში“, არ შეგონა. საწყალი ჩვენი სემინარია! ამდენი ხალხის ბედი რა მაიმუნების ხელშია ჩავარდინილი! რა სიკეთე უნდა გამოვიდეს იმ „ზავედნიიდან“, რომელსაც ასეთი ვონებით გლახაკი რექტორი და სულით ღარიბი ინსპექტორი განაგებს? აფსუსს, ნიჭიერი ქართველის შეიღებო!“...

შემდეგ, როგორც სოლომონ ცაიშელი წერს, „იონა მეუნარგიას ბინა გაჩხრიკეს და უპოვეს „სოვრემენიკი“. „არუსკიე სლოვი“, „დელო“, „ოტჩენსტვენნიე ზაისკი“, ბელინსკის, მოლეშოვის, კანტის და სხვათა თხზულებანი... ამის გამო ინსპექტორ კუვშინსკის სემინარიის საბჭოსათვის მოუხსენებია, რომ მისწავლე ი. მეუნარგია შემჩნეულია არა მარტო მუღფერებელი წიგნების კითხვაში, არამედ შეძენაშიცო“.



თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხვის შემდეგ ნიჭიერი კაბუჯი სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება პეტერბურგში, მაგრამ მალე ვაიკავა, რომ იქაც უთვალთვალბდნენ ეანდარმჭობის აგენტებს. რუსეთშიც მოელოდა დევნისა და დაპატიმრების საფრთხე და ამიტომ ტოვებს რუსეთს, მიემგზავრება საზღვარგარეთ, შვეიცარიაში, და შედის ენენვის უნივერსიტეტში. ენენვში იონამ გაიცნო ნიკო ნიკოლაძე, ალ. სარაჯიშვილი, ალ. ჭუგონია და მათი რჩევითა და დახმარებით 1877 წელს გადადის პარიზში, სადაც განავრცობს სწავლას. საფრანგეთში იონა ეცნობა ლიტერატურულ ცხოვრებას, სწავლობს ფრანგულ ლიტერატურას, კერძოდ, ეან ეჯ რუსოს, ვოლტერის, იპოლიტ ტენისა და ბევრ სხვათა შემოქმედებას. ფრანგულმა ლიტერატურამ იონა მეუწარგაას მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და მოღვაწეობას ღრმა ეკალი დააჩინა.

იონა მეუწარგაას საზღვარგარეთ გამგზავრებაშივე ფართო განათლება ჰქონდა მიღებული, იცნობდა ძველი და ახალი დროის ფილოსოფიურ და ლიტერატურულ მიმდინარეობებს. აღრინდელი ინტერესების გასაცნობად მეტად საგულისხმაოა ეერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდის ჩანაწერები. 1873 წელს 20 წლის კაბუჯი დღიურში წერს:

„ამჟამად სპინოზას ვკითხულობ. ძლიერ გამოიტაცა ამ გენოსმა. ამ ახლო ხანში ჰეინე წავეითებ... ეუნო ფიშერის „ლეიბნიცი“ გავათავე...“

იხ, რა მიხარია, რომ ფილოსოფიის ისტორიაში ვიპოვე ისეთი პირი, რომელსაც ერთის მხრით მაინც ვეგვარ. მე ლეიბნიცზე ვამბობ და იმის უნივერსალურ ხასიათზე.

ჩემი სული მიმართულია ამ ეკებთან, რომელნიც პირველ კატეგორიას ეკუთვნიან. ვოლტერი, ლეიბნიცი, ჰეინე, ბერნე, ბელინსკი და სხვ.“

ამავე წელს 11 მაისს იონა წერდა: „იხ, გარემოება, გარემოება!!! ამ ახლო ხანში წავეითებ „*Метафизика нравов*“ კანტისა ეუნო ფიშერის, დიდი, დაუფასებელი და წმინდა ეაცის ქმნილება... კანტი სწორედ მე-19 საუკუნის ქრისტია, იმის კატეგორიული იმპერატივი, იმის მორალი, სინდისი სწორედ ქრისტეს მოძღვრების სწორია“. შემდეგ განავრცობს თავის დღიურს ატორი: „დღეს გავათავე „ფუსტის“ კითხვა. სტრუგოვიწიკოვისა და ვეკელიის თარგმანით... „ფუსტია“, გავიგონიათ თქვენ ეს სიტყვა? თუ გავიგონიათ, რა უნდა გითხრათ სხვა ამაზე. ჩემი ფიქრით, გოეთემ ი როგორი მხარე დახატა ეაკობობობისა თავის ქმნილებაში: ყოველი ადამიანის სიცოცხლეში არის ისეთი პერიოდი, როდესაც იმის მოსწივნდება თავისი ხელობა და ეითხაქ-

თავის თავს: რას ვაკეთებ მე ჩემის ხელობით ქვეყანაზე? რა სასარგებლოა სწავლა... ხელობა, სიყვარული და სხვა. ეს ნამეტურ მოხდება მაშინ, როდესაც ეკემა სრულიად შეიტყო თავისი ხელობის საიდუმლოება“.

და აი, კიდევ ერთი ამონაწერი მისი დღიურიდან:

„მე მოწყენილი ვარ ამ დროებით, „დროებამ“ პოლიტიკა სულ დაივიწყა. სხვა ვახუთებ მე არ ვლბებოდა. ე. სკანდელი თავისი მშვენიერი სტატიებით იმერეთის ბანკის საქმეს არჩევს. ეხ, სად მიუღვებთან სკანდელს ფერეცელაძე, წყალტუბოელი, ავალიშვილი, ქიქოძე და სხვები თავიანთი წერილებით. სკანდელით წერაში დახლოვებული, ჩემი ფიქრით, ახლა რუსეთშიაც არ არის ბევრი. სკანდელისთანა ეკე მე ძლიერ მომწონს. აი, ეკე, რომელიც მიყვარს. იმის მთელი ევრობა დაეკლია აქვს. დიდი ნაკითხი ეკეცა, მეტადრე ლაბუელსთან და ლუი ბლანთან და სხვა მწერლებთანაც ვაცნობილი, როგორც ამბობენ

„Современник“-ის თანამშრომელი იუო. დიდი ხმა აქვს, მეტი არ უნდა ეკეს. ამასთან ვაკლენდა დიდი აქვს... ასე, რომ იმაზე ვიტყვი, რაცა თქვა ნაოლონთან გოეთემე. „*Voilà c'est un homme!*“ — ეუნო ფიშერის ეითხვა ძლიერ მეშამეება თანდათან იმისათვის, რომ საზოგადოდ ახალ ფილოსოფოსებს (დეკარტეს, სპინოზას, ლეიბნიცს, კანტს, გუგელს, შელინგს) ძლიერ მოსწონთ უნაყოფო სპეკულაციური მსჯელობა... მაგარიანო, ლეიბნიცი თავისი მოხალეობით... ყველა იმათგანი, ფილოსოფოსები, თავიანთ თავს იმართლებენ და ყველა იმათში მომწონს თითო რამე... რასაკვირველია, სპინოზა ყველას უნდა სჯობდეს, რადგან მისი შეხედულება ბუნებაზე ეხლანდელი მეცნიერების შეხედულებაზე უკეთეს, მაგრამ ლეიბნიცი დიდი ეინმეა... მე ნამეტურ მომწონს ფილოსოფოსებიდან სპინოზა, ერთი იმისი შესანიშნავი მხარით. აი რაში მდგომარეობს ეს მხარე: ის არის ერთობა (*все единство*) და ცხოვრებაში გავანა თავისი ფილოსოფიური არჩევანის... ლეიბნიცში მომწონს მისი უნივერსალური ხასიათი, თავის დღეში ის წინააღმდეგ მხარეს ისე არ გაამტყუნებს და ისე არრად ვახდის, როგორც ზოგაერთებ... კანტში მომწონს მისი ზნეობითი სწავლა...“

ადგილები იონა მეუწარგაას დღიურებიდან ასე ვრცლად იმითურ ამოყვრეთ, რომ შეითხველმა გაიგოს, თუ რა საფუძვლიანი ცოდნა და მომზადება ჰქონდა ეამშელ კაბუჯს, როდესაც ის ევრობაში მიემგზავრებოდა სწავლის განავრცელებლად.

იონა მეუწარგაა პირველი თანამედვერული მეკლევარია ქართულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მეცნიერული ბიოგრაფიებისა.

ამ წინაშე მის ქართულ მწერლობაში წინამორბედები არ უყოლია, მაგრამ იონა მეუნარგიამ დიდებულად გაართვა საქმეს თავი და დაგვიტოვა ჩვენი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მეტად საინტერესო ბიოგრაფიები.

„მეცხრამეტე საუკუნის ქართული მოღვაწეთა პლუტარქე“<sup>1</sup> — ასე უწოდა 1939 წელს აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ იონა მეუნარგიას. ამ წიგნში გვლით ნათქვამი სიტყვებით ჩინებულად არის დახასიათებული იონა მეუნარგიას მთელი მოღვაწეობა, მაგრამ მკითხველმა ეს სიტყვები ისე არ უნდა გაიგოს, თითქოს აკადემიკოსი სიმონ ჯანაშიას იონა მეუნარგია პლუტარქისათვის შეედარებინოს. ამის პრეტენზიები დღემდე მსოფლიოში არცერთ მეცნიერს არ ჰქონია. ამ შედარებაში მხოლოდ ის იგულისხმება, რომ იონა მეუნარგიამ შექმნა ქართული მწერლების მეცნიერული და მხატვრული ბიოგრაფიები ისე, როგორც პლუტარქემ შექმნა ბერძენ და რომელ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა, მწერალთა, მეცნიერთა, მხედართმთავართა და სხვა გამოჩენილ ისტორიულ პირობა შესანიშნავი ბიოგრაფიები.

იონა მეუნარგიამდე ქართულ მწერლობაში ვხვდებოდით ცალკეულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიებს, მაგრამ ეს, შეიძლება ითქვას, დაბადებისა თუ გარდაცვალების თარიღებისა და სხვა ამგვარი ფაქტების აღნიშვნით განისაზღვრებოდა. ამით აიხსნება, რომ ბევრი ჩვენი შესანიშნავი ეროვნული მოღვაწის, მწერლის, ხელოვანის შესახებ თანამედროვე საზოგადოებამ, ახალმა თაობამ კანტიკენტად გაგონილი ამბები თუ იცის. მათს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ნამდვილი ცნობები არ მოგვეპოვება.

„ცხოვრების აღწერა ჯერ არ შედგენილა ჩვენში. სურათები, ლიტერატურული მოგონება, სილუეტი არც კი ვაგონილა. თითქოს იღბლად დაჰყოლია ჩვენს ლიტერატურას, რუსთაველიდან დაწყებული, შესანიშნავი მწერლებისა და ადამიანების ვინაობის უცოდინარობა.

ეს ნაკლოვანება ქართული მწერლობისა უნდა გასწორდეს იმ პირებზე მიანიც, რომელთაც ამ საუკუნეში გადმოთქვამთ ფეხი, ან ამ საუკუნესთან ერთად დაბადებულან და ოთხმოცი წლის საღმობა თავიანთი მავარი ზურავით უტარებიათ, ან კიდევ ამ საუკუნეში დაბადებულან, ამავე საუკუნეში უცხოვრიათ და უმოღვაწეიათ და უდროოდ დაკარგვიან ჩვენს ქვეყანას“, ასე იწყებს იონა მეუნარგია აღკვეყანის ბიოგრაფიას.

იონას ლიტერატურული მოღვაწეობა მოგვაგონებს აქტივობის მოღვაწეობას, რომელიც ძვირფას ისტორიულ ძეგლებს დედამიწის წიაღში ეძებს, რათა გარდასულ ეპოქებზე ახალი სიტყვა თქვას. იონა, პირთუნელი მემკვიდრე, გატაცებით ეძებს ამა თუ იმ მწერლის ბიოგრაფიის დიდ თუ პატარა შტრიხებს, დიდ თუ პატარა ეპიზოდებს, ცდილობს ჩასვდეს მწერლის სულიერ სამყაროს, არ დარჩეს არც ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი აღუნიშნული მწერლის ცხოვრებიდან. იონა წერდა: „ჩვენში კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, რაღაცეების სალიტერატურო ზრდილობის შტაბენიბი, შინაური ცხოვრების აღწერასი ერთობ ხელმოწყობილია. „ჩემს ოთახში ვის რა ეკითხება, რა ხდება“ — აი, საფუძველი ამგვარი დარბაისური საქციელისა... ჩვენ უნდა ვუღალატოთ ამ ზნეს, საყვარელი კაცისა უვლადფერი უნდა ვიცოდეთ“.

ეს სტრიქონები იონა მეუნარგიამ დაწერა, როდესაც გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების აღწერაზე მუშაობდა და, მართლაც, მას გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შრავლფეროვანი მოღვაწეობის შესახებ არაფერი დარჩენია უთქმელი და გამოუკვლიველი.

იონა მეუნარგიას ქართული მწერლების ბიოგრაფიები დაწერია, როგორც მხატვრული დოკუმენტური პროზა. ავტორი არასოდეს არ დალატებს მეცნიერულ სიზუსტებს და თანმიმდევრობას. მკვლევარი წლების განმავლობაში იწერდა უბის წიგნაკში გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა ეპიზოდს, რომლებიც იონასათვის უამბნიათ პოეტისა და მის ახლო ნათესაუ-მეგობრებს. ასეთი დეტალური და პატრიოტული შრომის შედეგია გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფია, რომელიც იონა მეუნარგიამ შექმნა, და მშრალი, ბიოგრაფიული ცნობების კრებულს კი არ ვგაგონებს, არამედ სათავგადასავლო რომანს. გარდა იმისა, რომ წიგნი „ცხოვრება და დეწილი გრიგოლ ორბელიანისა“ არის პოეტის სრულიყოფილი ბიოგრაფია, იგი მეცხრამეტე საუკუნის აზროვნების ისტორიაც არის, რომელსაც გვერდსვერ აუღლის ვერც ერთი კეთილსინდისიერი მკვლევარი. ამ წიგნში, მართო გრიგოლ ორბელიანი კი არ მოქმედებს, არამედ მეცხრამეტე საუკუნის ყველა ქართული მოღვაწე, მწერლებით დაწყებული, სამხედრო პირებამდე. თვით გრიგოლ ორბელიანს ერთ დროს ამიერკავკასიის მეფისნაცვალის ადგილი ეკავა, რომელსაც შრავალი შეხვედრა ჰქონდა დიდ სახელმწიფო მოღვაწეებთან, სადაც გამოთქვამდა თავის შეხედულებას სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე. იმ ჩანაწერების მიხედვით, რომლებიც მკვლევარს უშუალოდ უწარმოებია გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დასაწერად, ირკვევა, თუ რა დიდი

1. აკად. სიმონ ჯანაშია, „საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიისათვის“, გვ. 46, 1939 წ.

პატრიოტი და დიდი ბუნების ადამიანი ყოფი-  
ლა გრივოლ ორბელიანი. აი, რა უთქვამს პო-  
ეტს იონა მეუნარგიასათვის: „განა ცოტა სამ-  
სახური მიუძღოდა იმას მსოფლიო ისტორიის  
წინაშე? განა ქართველი არ ებრძოდა „შესვა  
ბედს“. არავის არ უნდა დაეწყვიბოდა ის გა-  
რემოება, რომ ქართველმა, მარტოღმარტო  
ღამღგარმან ზმალ-ამოღებულად, მოხარდაპი-  
რედ შთელი აზიისა, არ გადაღშეა კავკასიის  
იქით მაჰმადიანობა და დაცივა რუსეთი და  
თვით ვეროპაცა გაოხრებისაგან“. „საქართვე-  
ლოს ღვაწლი ჭერ ისტორიას ვერ აუწონია“-ო,  
იტყოდა ხშირად პოეტი“.

იონა მეუნარგიად პარიზში გაიქცო და დია-  
ხლოვა მუნაგალი ფრანგი მწერალი და საზო-  
გადო მოღვაწე, განსაკუთრებით კი ახლო ურ-  
თიერთობა დაამყარა დიდ მწერალ ვიქტორ  
ჰიუგოსთან. იონა მეუნარგიას ჰიუგოსთან ერთ-  
ერთი საუბარი, რომელსაც მაშინ პარიზში  
მყოფი ხალხისანი სანდრო მაცაშვილი დას-  
წერებია, ასე ჩაწერია უბის წიგნაკში:

„ჰიუგო — საქართველოდან ხარ? ქალების  
სილამაზით განთქმული ქვეყნიდან?

იონა — დიახ, მაგრამ არა მარტო ამით, სხვა  
განძითაც არის განთქმული ჩემი პატარა სამ-  
შობლო.

ჰიუგო — მგალითად?  
იონა — პოეზიითაც.

ჰიუგო — ვინა გყავთ გამოჩენილი პოეტი?  
იონა — რუსთაველი, რომელსაც ბევრი ვერ  
დაეხადღებდა მსოფლიოში.

— რა დაწერა?

იონა — სამებრო პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ჰიუგო — პო, გამაგონია. სიინტერესო უნ-  
და იყოს, მაგრამ, სააწუხაროდ, ვერ ვიციბო“.

როგორც ამ დიალოგიდან ირკვევა, საქარ-  
თველოს და მის კულტურას არც ვიქტორ  
ჰიუგო იცნობდა, და ამიტომ იყო, რომ იონა  
მეუნარგიად ხელი მოჰკიდა „ვეფხისტყაოს-  
ნის“ ფრანგულად თარგმნას.

საფრანგულიდან დაბრუნების შემდეგ იონა  
მეუნარგია უფრო აქტიურად შეუდგა საზოგა-  
დობრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობას და,  
როგორც ზემოთ ვთქვი, ხელი მოჰკიდა  
„ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე თარგმნას,  
ხოლო რუსულად მისი მინარსი დაბეჭდა.  
ფრანგულ ენაზე იონას მიერ ნათარგმნი „ვეფ-  
ხისტყაოსნის“ წინასიტყვიობის დაწერა მთარ-  
გმნელს დიდი ფრანგი მეცნიერის ერნსტ რე-  
ნანისათვის უთხოვია. ქვემოთ მოყვანილი მი-  
მოწერა ცხადყოფს, რა დაუცხროლად და იმა-  
ვე დროს ნაყოფიერად ემსახურებოდა მეუნა-  
რგია ქართულ კულტურას, ქართველ ხალხს.  
1884 წელს იგი ნიკო ნიკოლაძეს სწერს:  
„მამო ნიკო! ახალი ამბავი, დიდი, დიდი ამბავი  
ეს ვახლავს, რომ გუშინწინ მომივიდა რენანის  
წერილი. მწერს, გამომიგზავნე თარგმანი და

მე პარიზის ახიურ საზოგადოებას წარუდგე-  
ნო თარგმნას. რასაკერაველია, იმას არ გავუ-  
გზავნი, რადგანაც მარტში მე ვიქტორ ვი-  
არებ პარიზში წასვლას. მაგრამ ეს კარგად,  
მამ მეგრელი არ გყოფილვარ, თუ წინასიტყვი-  
ობა არ დავტყუე მას... ზინსაც უთხარი ეს ამ-  
ბავი.“

შენი იონა“.  
მართლაც, 1884 წელს ერნსტ რენანს პარი-  
ზიდან ცაიშში იონასთვის წერილი გამოუგ-  
ზავნია:

„ბატონო!  
უსახლეროდ მაამა იმ სიმპათიამ, ჩემდა  
მიბრძო რამე კეთილინებთ გამოგთქვამთ, —  
ქართული ენა სრულებით არ ვიცი. ასე რომ,  
ვერათერში გამოგადგებით, მაგრამ თუ გნე-  
ბავთ, გამომიგზანეთ, ასე თუ ისე, დაწერილ-  
ბით ცნობა იმ თხზულების შესახებ, რომელ-  
ზედაც მეღაპარაეებით, და მაშინ ამის საა-  
ზიო საზოგადოებას მოვახსენებ. ჩვენს თანა-  
მოამეთა შორის, აღბათ, ვინმე გამორჩედა  
ისეთი, რომ ხსენებულ სავნის შესახებ თა-  
ვისი აზრის გამოთქმა შეიძლოს. ამალელებე-  
ლი პატრიოტიზმის გრძნობა, რომლითაც გამ-  
სკვალულია თქვენი წერილი, თქვენდა საქმე-  
რად შეტყუებებს და მე დიდად ბედნიერად  
ეთელი ჩემს თავს, რომ შორით ასეთის საქმე-  
ბის აზრისანი არიან ჩემს შესახებ. მიიღეთ,  
ბატონო, რწმუნება ჩემის თქვენდამი უოვლი-  
დის პატივისცემისა და ერთგულებისა.  
ე. რენანი“.

იონა მეუნარგია დიდი მონდომებით განა-  
გრძობს „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე  
თარგმნას. 1885 წელს ცაიშიდან იგი ნიკო ნი-  
კოლაძეს სწერს:

„მამო ნიკო!  
ეს ორი კვირაა ქალაქიდან წამოსული ვარ  
და არ ვიცი, მოგიწერია თუ არა რაიმე პასუ-  
ხი ან ჩემთვის ან ილიასათვის შესახებ „ვეფ-  
ხისტყაოსნისა“ და ზინისა. ჩემი წერილი, უმე-  
ველია, მოგივიდოდეს.“

ამ წიგნს აი რატომ გწერ. როგორც გაცნო-  
ბე, ამას წინათ, მე სუტნიერები სოფელში ჩა-  
მოვიყვანე და აქ ხელშეორედ შევეუღმეთ თარ-  
გმნას, უფრო უმეტესის დაკვირვებით და სინ-  
დღისით. ჭერ უკანასკნელ რედაქციას ვაღვენთ  
ფრანგულად და მერე იქვე ნემუტურად ეთარ-  
გმნათ წიგნსა. ეს ორი კვირაა, დღე და ღამე  
ემუშაობთ და, როგორც იყო, ერთს მეოთხედს  
მოუღეთ ბოლო“.

იონა მეუნარგიას მიერ ნათარგმნი „ვეფხის-  
ტყაოსანი“, ნიკო ნიკოლაძის უშუალო დახ-  
მარებით და ხელის შეწყობით, ზინმა სრულიად  
უფასოდ გააფორმა. იონა მეუნარგიას ეს დი-  
დი პატრიოტული და ეროვნული მოღვაწეობა  
არ გამორჩენია დიდ ილია ქავკაძეს. 1884  
წელს „დროებაში“ იგი წერდა: „დღეს რო-

კორაღე წილად მზედა, საცა დიდს იხსენიებენ, იქ პატარაც მოვიხსენიო. როცა პირველყოფილი კაცობრიობა, შხის ბრწყინვალეობით განცვიფრებული, თაყუანს სცემდა მას, ვითარცა ღმერთს, იმავე დროს პატივსა სცემდა მთავარსაც, რომელსაც მხოლოდ შხის შუქი ანათებს. რაკი სამართლიანი თაყუანისცემით მოვიხსენიეთ რუსთაველი, მაშინ უსამართლობა და უმადურობა იქნება დაევიწყოთ მისი მთარგმნელი. რუსთაველი მზება და მთვარე მუენარგია იქნება, რადგანაც ვითა შხის შუქით ნათობს მთვარე, ისე რუსთაველის შუქით იმნათობებს მუენარგია დღეის იქით ჩვენი მოღვაწეთა შორის\*.

იონა მუენარგია ჩვენი კულტურის უანგარო და თავდადებული მოღვაწე იყო, აი რას წერს ცნობილი ისტორიკოსი თედო ქორდანიას თვის „ქრონიკების“ შესაბამე ტომში იონა მუენარგიაზე, როცა ეს უკანასკნელი 80-იან წლებში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი იყო: „ძლივს გვშველა ი. მუენარგიას მოხერხებამ (მდივანი იყო), ი. შიჩხიბელის თავგამოდებამ და თავაჯდომარის დ. ყიფიანის (წამებულის) მჭერმტყვევებამ და იონა მუენარგია როგორც იყო შევიძინეთ.“<sup>1</sup> იონა მუენარგია იხრატებოდა. საზოგადო მოღვაწეების იქ დიდ და პატიოტულ სკოლაში, რომელსაც სათავეში ედგნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე, და რომელიც შთაბრძნებდა საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულ ყველა ახალგაზრდას:

ერის წყლული მაინდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჭვით სული,  
მის ბედით და უბედობით  
დამედაგოს მტაცე გული.

იონა მუენარგია ფართოდ ჩაება ლიტერატურულ-საზოგადო მოღვაწეობაში და, ილიასთან, აკაკისთან, ნიკო ნიკოლაძესთან, გიორგი წერეთელთან და სერგი მესხთან ერთად დღელავდა საქმიანობას ეწეოდა ქართულ ენრნალ-ვახუთებში. როდესაც „ივერია“ 1886 წელს უოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, ილია მას იწვევს თანამშრომლად და პეტერბურგში წერაილს უგზავნის, სადაც მაშინ იონა ცხოვრობდა:

„დაგვიწებე, ჩემო იონა, თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირებების დღეს... მაგრამ რა ვაეწუბა? თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ეჩხირკედულობთ 1-ს იანერისათვის, ენახოთ, ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალს. გიგზავნი გამოცხადებულს, და ყველამ ვაგზავნილ უწყებს ჩვენი ახალი ვახუთის გამოცემის თაობაზედ. ზოგერთმა

ჩვენგან ახლად შემოდებულმა სიტყვემმა და ტერმინებმა მოწონების და დარწმუნების დალადი მოჰინეს ჩვენს სალიტერატურულ-არემაზუს. ჩვენ ვნუგეშობთ და ეგმბობთ: «Чужие свет нас заметил». უარბაობას კიდევ ესა სჯობია. ახ ნეტავი ეხლა ჩვენთან იყო, ყინვამ მგ უმაღურ და უსიხარულო ჭვეენისამ გულო არ ვაგვიერთოს და არ დაველუბოს, შენდამი მსასოებელი.

შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბაბი“, თუმცა გრძელია, მაგრამ შენზედ ზედგამოჭრილია; 2. „აბედი“, ვითომ ნაკვევსმა შენ ცუცქლი მოვიკიდა როგორც აბეღს და შენ ჩვენ ვადმოგვეცი. ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს საბუთის მისცემს ქართული აბედი რუსული ინტაად გადააქციოს; მაინც შენ სხვის სადილების მამებრას გვაძაბოდა და დაცინოდა. ორში ერთი ამითჩივ და ტელეგრაფით მაცნობე.

ასოებხისათვის ფული საჭირო არ არის, რადგანაც თვითონ ასოები აქ ჩამოვასხმევიენით და ძალიან ცოტა ვანსხავება აქვს მანდიურებთან, წიგნები, რაც საჭირო იყო დავიბარეთ, ვიღარ შენი წერაილი მომივიდოდა.

ნ. ნიკოლაძესა სობოვე და შეეხვეწე ჩემს მაგიერ, ჩვენი ვახუთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტყვეოს აქამად, რომ საკუთარ წერაილს არა ვსწერ, ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის ვამო ვაგვიწიბილდეს და გულიდან ამოიღოს ჩვენი ვახუთი, წერაილმანან წერაილმანს მოუკიდოს ცუცქლი.

ქალაღლის თაობაზე სერგებზიაკოვს წერაილი მივწერე და პასუხს ველი. ვერ-ხანად „Новое общество“-ს ქალაღლს ვიხპარო.

კაცი, რატომ არ ვაწერ, — ეგ ჩვენი მუხრან-ბატონი რას სჩადის და როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმეებია შენგან მიკერის და მეოცება. ღმერთსა ვთხოვ, რომ სამერმოსოდ არც ერთ შემემთხვას შენგან და არც მეორეს. ასე, ჩემო იონა, იყავ შშიდობით და დღევრძელობით და არ დაევიწყო, რომ შენ ერთადერთი მეგობარი ვაყავს და ის ერთადერთი — შენი ილია ჭავჭავაძე. P. S. მოთმენლად ველი შენს სტატიას. ოლიკომ მოგიკითხა. მოიკითხე ყველანი, ჩემი ნაცნობები.“

იონა მუენარგიას ყველა ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწესთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შემოქმედებით გვიგებს, თავიანთ სიხარულსა და შემოქმედებით გამარჯვებას.

აკაკი წერეთელი იონას 1900 წელს ცაიშში სწერდა:

„ძმომ იონა!  
თუ მეტად სამიმომ არ იქნება შენთვის, ვთხოვთ მაცნობო პასუხი ჩემის წერაილისა,

1 თედო ქორდანიას, „ქრონიკები“, გვ. 561, წიგნი მესამე, 1967 წ.

რომელიც გამოგვჩვენებდა ვასულის ოქტომბრის 12-ს. იმ წერილით მე ვახოვდი რამდენიმე მეგობრულ სახელების და სიტყვების განმარტებას. თუ აწ წერილი არ მიგონია და ან შეუძლებელია მოხსენებული სიტყვების განმარტება, ისიც მაინებ, შენი ერთგული აკაცი წერეთელი“.

აი კიდევ წერილი ივანე მაჩაბლისა:  
„ძმავო იონა!

მე ოტელი ვეთუთებელი შემექმნა, მაგრამ იმედა, მალე შევეტევე ჩემებურად. ილია ვხლა საგურამოშია და აპირებს თურმე შოთა რუსთაველზე ლექციების წაითხვას. შენი ივანე მაჩაბელი“.

მზავლია წერილი, რომლებიც ქართულ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს მიუწერიათ იონა მეუნარგიასათვის და რომელთა ნაწილი სოლომონ ცაიშვილმა გამოაქვეყნა 1939 წ. ზუგდიდის მუზეუმის შრომებში, ნათლად მოწმობს ყველა ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ღრმა პატივისცემასა და სიყვარულს იონა მეუნარგიასადმი.

იონა მეუნარგია იყო უნაგარო, კეთილშობილი მოღვაწე, სტულდა ყველა და ყველაფერი, ვინც და რაც მის სათაყვანებელ სამშობლოს ენებდა.

„ვინც თავის საცოცხლში ღრის იმაში ატარებს, რომ თავისთავი ადიდოს, რეპუტაცია ეკეთოს, სკამოს, სხვები ინტრიგებში გახვიოს, იშუროს, იშაროს, — ის კაცი ყოველად საბაველია, იმისი გონება ისეთი ეიფროა, როგორც იმათი კაბინეტი. როგორც ბეკონმა თქვა, კაცი ის არის, ვისაც შეუძლია ფაუსტიტით თქვას: «вселенную мысленно обьемялю».

იონა ხან ერთ მწერალთან იქნა თავისი კალმით, ხან მეორესთან და, როგორც თვითონ ამბობს, აქუჩებდა ბიოგრაფიისათვის მასალებს. უშუალოდ რომელ მწერალსაც ვერ მოეწრო, ესაუბრებოდა მის შვილებს, შვილიშვილებს, ნათესაებს, მეგობრებს. მაგალითად, როდესაც იონა წერდა ალექსანდრე ჰავეკაძის ბიოგრაფიას, საუბარი ჰქონდა ალექსანდრეს შვილთან — ეკატერინესთან. „მან სოკვილამდე სრულიად შეუნუსტებლად შეინარჩუნა თავისი შესანიშნავი შეხსიერება და ჭანსალი, ქალური საზრიალობა, წარსული წლის ამბოლის თავში მან უამბო ამ სტრიქონების დამწერს თავის მამის ბიოგრაფია და ზემორად წაუციხა ზოგიერთი მისი ლექსი, რომლებიც მას, ალბათ, აღარ წაუციხავს თავისი ახალგაზრდობის დღიდან“.

იონა მეუნარგიას ქართველი ხალხი და ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოსაყდნენ იმ უნაგარო შრომისათვის, რომლის შე-

სახებაც იონა მოკრძალებით წერდა: „მე რომ მეწერილობ ვარ ქართული მწერლობისა და ჩემგან შეგარებული წერილმანერის შემსწავლენ ილიას სურათი, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, თუ ნათლად დაგანახებ, ჩვენს ვალს მოხდილად მივიჩნევ“.

ფრანგულ ლიტერატურაზე აღზრდილმა მწერალმა და მეკლერაბმა იელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მწერლის შემოქმედებითი ანალიზისათვის იმ წერილმან ფაქტებს, რომელთაც იონა მეუნარგია წლების მანძილზე დიდი სიყვარულით იწერდა თავის უბის წიგნაკში და რომელმაც შემდეგ ორი დიდი ტომი შეადგინა,<sup>1</sup> სადაც მოთავსებულია ჩვენი დიდი მწერლები — ალექსანდრე ჰავეკაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, გრიგოლ დადიანის, შამია გურიელის, ილია ჰავეკაძის, აკაცი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვების ბიოგრაფიები. იონა მეუნარგიამ აგრეთვე დაეცოდა ბრწყინვალე ნაშრომები — „სამეგრელო“, „დავით დადიანი და მისი დრო“, „გრიგოლ დადიანის ცხოვრება“, „ეკატერინე ჰავეკაძე-დადიანი“, „არქეოლოგიური მოგზაურობა სვანეთში“, „აჭარა-ქობულეთში“ და „ფურცლები სემინარიელთა დღიურიდან“. მაგრამ ყველაზე ძვირფასი, რაც ჩვენ იონა მეუნარგიამ დავცოდა, ეს არის ქართველი მწერლების მეცნიერული ბიოგრაფიები, რომელიც არასოდეს არ დაკარგავს თავის მხატვრულ და მეცნიერულ ღირებულებას. ამიტომ, რაც უფრო ვშორდებით იმ მწერლების ეპოქას, რომელიც იონა მეუნარგიამ აღწერა თავისი მადლიანი კალმით, მით უფრო ძვირფასი ხდება მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

„როცა მე ხელი მივყავი ორბელიანის, ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის და სხვათა ცხოვრების აღწერას, ყოველს შევრახე ილიას ვუყურებდი და უესმენდი, როგორც მსხვერპლს, „მეშტრის თვალთა“ და როცა იმისგან მოვდიოდი შინ, მის ნალაპარაკებს ვწერდი ჩემს სამახსოვრო წიგნში“...

„საუფარელი კაცისა ყველაფერი უნდა ეცოდეთო“. ასე წერს იონა მეუნარგია და ჩვენც ამ მცირე ნარკვევით გვინდა ხელი შევეწყოთ იმას, რომ მარად დაუვიწყარი იყოს იონა მეუნარგიას სახელი და ღვაწლი, რომ „საყვარელი კაცისა ყველაფერი იცოდეს“ ახალმა თაობამ, ჩვენმა საზოგადოებამ.

<sup>1</sup> იონა მეუნარგიას „ქართველი მწერლები“-ს ორტომეული (1954 და 1957 წწ.) შეადგინა, წინასიტყვაობა და ვრცელი შენიშვნები დაურთო სოლომონ ცაიშვილმა.

## სამირო ნაშრომი

დ. ფანჭულიძის ხანგრძლივი, გულმოდგინე და ნაყოფიერი შრომა გაუწივია ქართულ-ფრანგულ ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიის შესახებ არსებული მასალების შესასწავლად და სისტემაში მოსაყვანად.

ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები მონოგრაფიულად დღემდე არავის უკვლევი. ამ მხრივ დ. ფანჭულიძის ეს გამოკვლევა პირველი მნიშვნელოვანი ცდაა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ავტორი მე-19 საუკუნის ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის მეცნიერულად დაღაგებულ და გაანალიზებულ ისტორიას გადმოგვცემს.

მე-19 საუკუნის ფრანგული კულტურისა და ლიტერატურის წარმომადგენლები გულდასმით აღვნიშნავთ თვალუფრის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობას განვითარებას. მოწინავე ქართულმა საზოგადოებამ მუდამ იცოდა, რაც ხდებოდა საფრანგეთის კულტურულ ცხოვრებაში. დ. ფანჭულიძე გამოკვლევს შესავალში ხანგასმით აღნიშნავს, რომ ქართველი მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწენი სხვისით, უცხოურით კი არ ცხოვრობდნენ, სხვას მონურად კი არ ბაძავდნენ, არამედ მუდამ საკუთარ ეროვნულ ნადავზე იდგნენ. დ. ფანჭულიძე ყურადღებას ამახვილებს ისტორიულ-კულტურულ პროცესებზე, იდეურ-მხატვრულ კავშირზე, ურთიერთდინამიკურების საფუძველზე და პარაბეზზე, მას გამოკვლეული აქვს, თუ რა დიდ როლს ასრულებდა ამ ურთიერთობაში ე. წ.

„შუამავალი ლიტერატურა“, რაშიც იგი გულანხმობს ქართული და ფრანგი მწერლების, მთარგმნელების, მეცნიერების, მოგზაურების მიერ შექმნილ პროდუქციას, საფრანგეთისა და საქართველოს ეტრანსლაციაში, გაზეთებსა და კრებულებში გამოქვეყნებულ მასალას.

პირველ თავში „აღქმანდრე ჰავეჯაჰე და ფრანგული ლიტერატურა“ მკვლევარი ნათლყოფს, რომ მე-19 საუკუნეში აღ. ჰავეჯაჰე იყო პირველი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიჩინა ფრანგული მწერლობისადმი და ფრანგულიდან ქართულად თარგმნა ფრანგ მწერალთა შესანიშნავი ნაწარმოებები. ამ თარგმანებს დ. ფანჭულიძე

ლამე სამართლიანად მიიხევეს ბრწყინვალე თარგმანებად, რითაც აღქმანდრე ჰავეჯაჰეს ჩვენს სახელთან მთარგმნელთა შორის აფენებს. ყველაფერი ეს ნაშრომში ქართული და ფრანგული პირველადი წყაროების მომარჩევებით არის გაშუქებული.

მკვლევარმა მეორე თავი ილია ჰავეჯაჰეს მიუძღვნა. აქ ფართოდ არის გაშუქებული ილია ჰავეჯაჰის დიდი როლი ქართულ-ფრანგულ ლიტერატურულ ურთიერთობაში. დ. ფანჭულიძე ამტკიცებს, რომ ილია ჰავეჯაჰემ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა პიუგოლოგიას, ილიას მღვდელს („გლახის ნამბობი“) ვ. პიუგოს მიჩილს („საბარაონი“) ადარებს და ბევრს საერთოს ხედავს ილია ჰავეჯაჰესა და ვიქტორ პიუგოს შორის, განსაკუთრებით, აღმინანის სიყვდილით დასჯის კანონის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საკითხი — ნიკო ნიკოლაძე ფრანგული ლიტერატურის შესახებ გაშუქებულია მეოთხე თავში. აქ მკვლევარი მკითხველს აცნობს ყველა ზღომიწყვად მასალას, რომელშიც ნიკო ნიკოლაძე ფრანგულ მწერლობას ეხება. მკვლევარის სამართლიანი შეხედულებით, ნიკო ნიკოლაძე არამც თუ საფუძელიანად იცნობდა ფრანგ მწერალთა ნაწარმოებებს და ოსტატურად იყენებდა ფრანგი მოღვაწეების მოხდენილ გამოჩინავენებს, არამედ თავის შეხედულებასაც გამოთქვამდა მათ შესახებ. ამ შეხედულებებს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ნაშრომის შემდეგი თავი ეძღვნება ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას ვიქტორ პიუგოს პიროვნებისა და შემოქმედებისადმი. აქ აღნიშნულია, რომ ვიქტორ პიუგოს მხატვრული ნაწარმოებები და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ადრიდანვე გასაუბრებლად ვახდა ქართველი ხალხისათვის. განსაკუთრებით ფართოდ არის ახსნილი და გაშუქებული ვიქტორ პიუგოსადმი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სიმამათისა და სიყვარულის მიზეზები.

ამ თავში ახალი და საგულისხმო მსჯელობებიდან ის აზრიც იქცევს ყურადღებას, რომ პარაონი ვიქტორ პიუგოსთან შეხვედრებმა იონა მენარეგას შთააგონა, რაც შეიძლება, მალე ეთარგმნა ფრანგულად „ვეფხისტყაოსანი“.

დ. ფანჭულიძე ნაშრომის მნიშვნელოვან ნაწილს მიუძღვნის ფრანგული ლიტერატურისადმი კიტა ანაშიძის დამოკიდებულებას.

დავით ფანჭულიძე, ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის. „ნაბუკოთა საქართველო“, 1969 წ.

ქართულ და ფრანგულ პარველ წყაროებზე დაყრდნობით დ. ფანჩულიძე აწვდის კ. აბაშიძის შეხედულებებს ფერდინანდ ბრიუნტიერის, მე-19 საუკუნის ფრანგული ლიტერატურის შესახებ და გამოაქვს თავის დასკვნები. ამ დასკვნებში შეიძლება ზოგიერთი რამ სადავო იყოს, მაგრამ ისინი იმდენად მარჯვედა წარმოდგენილი, რომ შეიძლება დიდ ინტერესს აღძვრავს. გამოკვლევის მომდევნო თავში გარჩეულია ალ. დიუმა-მამის წიგნი „კავკასია“. რომელშიც ფრანგი ავტორი გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს საქართველოში მოგზაურობის შესახებ.

ნაშრომის ბოლო თავებში, პირველად ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, კერძოდ და სათანადო მეცნიერული აპარატურით გარჩეულია და განხილული ბარონ დე ბაის წიგნები საქართველოზე.

ასეთია დ. ფანჩულიძის ნაშრომის ხასიათი და აღნიშვნა.

დ. ფანჩულიძის ნაშრომი სერიოზულ შენიშვნად უნდა ჩაითვალოს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

დ. ფანჩულიძის ნაშრომზე მაინც გეჰქვს ზოგიერთი შენიშვნა: თუმცა ჩვენ დიდ პატივს ვცემთ და ვეფასებთ კიბა აბაშიძეს, როგორც ახალი ქართული ლიტერატურის შესანიშნავ მკვლევარს, რომელსაც განსაკუთრებული ვერდიცია და კულტურა ჰქონდა, რომლის მრავალი მოსაზრება დღესაც ვასაზიარებელია, მაგრამ მის მეთოდოლოგიურ შეხედულებებში ეჭვდავთ სადავოსაც, საკამათოს. დ. ფანჩულიძე კი ამ სადავოს თითქმის გვერდს უვლის. კარგად არის ცნობილი, რომ კიბა აბაშიძე სალიტერატურო კრიტიკაში ფერდინანდ ბრიუნტიერის ევოლუციური მეთოდის მიმდევარი იყო. ამ მეთოდის ძირითადი პრინციპების გადმოცემას მან მიუძღვნა რამდენიმე წერილი, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: „მოდერნა ევოლუციისა კრიტიკაში“, „ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში XIX საუკუნეში“ და „ეტიუდების“ პირველი ტომის წინასიტყვაობა. მანვე მოგვცა „ეტიუდებში“ კონკრეტული ცდა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის მიმართ ევოლუციური მეთოდს გამოყენებისა.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ევოლუციის საფუძვრები კ. აბაშიძის შემდეგ ნაირად ესახება: „იწყება იგი სალირიკო რომანტიზმით, რომლის მეთაური ალ. ჭავჭავაძეა; განმავითარებელი გრ. ორბელიანი, უმადლეს წერტილამდის ამყვანი — ნ. ბარათაშვილი, ხოლო მისი დაცემის, დეკადენსის გამოშატეული ეხტ. ორბელიანია; რომანტიზმი გადადის, იცუ-

ბა რეალურ პოეზიად (1850-იან წლებში); რეალიზმის დამწყები გიორგი ერისთავია, მისი უდიდესი წარმატების გამოშატეული ილია ჭავჭავაძე (პოეზიის და პროზა) და აკაკი წერეთელი (სალირიკო ლექსები); რეალიზმის დაცემის, უფროსი ნატურალიზმის მწერალი გიორგი წერეთელია (1870-იან წ.); რეალიზმის გადაცურების შემდეგ ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ხზუნებანი დამკვიდრებენ ნეორომანტიზმს, რომელიც რეალიზმისა და რომანტიზმის საუკეთესო თვისებების შემრწყვია, ვაჟა ვახტანგ ჩვენ ლიტერატურაში სიმბოლიზმის მეთაურად, რომლის ნახაზი მოიპოვება უკვე ილიისა და აკაკის პოეზიაში“.

ამ შემთხვევაში კ. აბაშიძის მეთოდოლოგიურ შეხედულებებს იგივე სუსტი მხარეები ახასიათებს, რაც შესამჩნევია ბრიუნტიერის შეხედულებებში. ამიტომ არის მისთვის ეხტ. ორბელიანი რომანტიზმის დაცემის გამოშატეულ, გ. წერეთელი — უფროსი ნატურალიზმის წარმომადგენელი, ხოლო ვაჟა-ფშაველა — სიმბოლიტი. დასავლეთ ევროპის ლიტერატურულ ცხოვრებასთან გადაჭარბებულ ანალიზებით გატაცება კ. აბაშიძის აიძულებს ანალოგუად ეძიოს ქართულ ლიტერატურაში არარსებულა მოვლენები და პროცესები (სიმბოლიზმი XIX საუკუნის 80-90-იან წლებში და სხვ.).

ამ საკითხზე მკვლევარი მხოლოდ ორიოდ მცირე შენიშვნით კმაყოფილდება. ვანა კ. აბაშიძეს დაეამიერებთ, თუ მისი მეთოდოლოგიის სადავო მხარეებზე მიფუთითებთ? ეფიქრობთ, რომ არა.

ნაშრომში არა ჩანს, თუ რა კვლევა-ძიება ჩაატარა დ. ფანჩულიძემ, რათა დაედგინა „ახლოით განმხრეული ჯარის“ ავტორობის საკითხი. ცნობილია, რომ ეს უფლებად საინტერესო პოლიტიკური ტრაქტატი ფრანგულიდან ითარგმნა.

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში საკმაოდ გავრცელებულია არც თუ საესეებით მართებულა შეხედულება, რომ ი. ჭავჭავაძის „გლახიხა ნაამბობის“ პერსონაჟის — მღვდლის სახე ე. პიუგოს ნაწარმოებებიდან („საბარლონი“) მომდინარეობსო (ეს თვალსაზრისი ჩვენ მთლად მართებულად არ მიგვაჩნია), დ. ფანჩულიძე კი თითქოს იზიარებს და არც იზიარებს ამ გავრცელებულ შეხედულებას. ამ საკითხზე კი უფრო ნათელი, მკაფიო მსჯელობა იყო საჭირო.

ეს შენიშვნები ვერ ამცირებს დავით ფანჩულიძის ნაშრომის ღირსებას, იგი ფრთხილ მნიშვნელოვანი შენიშვნა ჩვენს სალიტერატურო მეცნიერებაში.





ოვიანს აბაგტა და ერიოპინის მონასტრებში ჭებდათ სხვადასხვა თანამდებობაზე. ზე. 1830 წლის 11 ივნისს აბოვიანი უმაღლესი განათლების მისაღებად ღერპტის უნივერსიტეტში გაემგზავრა. 1830 წლის 3 სექტემბერს ის უკვე ღერპტის უნივერსიტეტის სტუდენტია და სამშობლოსაგან მოკლებული ხუთი წლის განმავლობაში სწავლობს. ღერპტიდან მწერალი 1836 წლის დამდეგს წამოვიდა და თბილისში 1836 წლის ივლისში დაბრუნდა. 1837 წლის 12 თებერვალს აბოვიანი თბილისის სამაზრო სკოლის ზედამხედველად და მსწავლელად დანიშნეს. ამავე ხანებში, 1837-1838 წლებში, მან თბილისში გახსნა კერძო პანსიონი, რომელშიაც სომეხ და რუს ბავშვებთან ერთად ქართველ დიდგვაროვანთა, თბილისელ მოქალაქეთა შვილებიც სწავლობდნენ. 1843 წელს ღვაწლმოსილი მწერალი და პედაგოგი ერევანში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ის 1848 წლის 2 აპრილს უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ახლა ნ. ბარათაშვილის ცხოვრების ძირითადი თარიღებიც გავიხსენოთ. პოეტი, როგორც ცნობილია, 1817 წელს დაიბადა. 1827 წელს ის შიპარვს თბილისის კეთილშობილთა სსსწავლებელში, რომელიც 1829-1830 წლებში გიმნაზიად გადაკეთდა. თბილისის გიმნაზიაში პოეტმა რვა წელი ისწავლა და ის 1835 წელს დაამთავრა. 1835 წლის 6 ნოემბრიდან გარდაცვალებამდე ბარათაშვილს სახელმწიფო სამსახურში ვეხდავთ.

ყველა ამ მონაცემის შედარების საფუძველზე რა გამოდის? აბოვიანი რომ ღერპტიდან თბილისს დაბრუნებულა (1836 წ. ივლისი), ნ. ბარათაშვილს გიმნაზიაც დაამთავრებულა და სახელმწიფო სამსახურშიც შესული ყოფილა, სულ ცოტა, აბოვიანის ჩამოსვლამდე 8 თვით ადრე. 1837-1838 წლებში, როცა ნ. აბოვიანმა თავისი კერძო პანსიონი გახსნა, ნ. ბარათაშვილს სასამართლო პალატის „სტოლნაჰალნიკის“ თანამდებობა ეკავა და კანცელარიაში შრომით მიღებულ ფულს ავადმყოფ მამას და დიდ ვალებში ჩაფლულ ოჯახს ახმარდა. ოუ ეს ასე იყო, და ეს რომ ასე იყო, ეჭვიც არ შეიძლება შეგვეპაროს, გიმნაზიადამთავრებული სასამართლოს მოხელე ნ. ბარათაშვილი, რატომ და რა მიზნით შევიდოდა ხ. აბოვიანის კერძო პანსიონში? რას მისცემდა უკვე მოწიფულ, 20 წლის ვაჟკაცს მცირეწლოვანი ბავშვების აღსაზრდელად განკუთვნილი პანსიონი? ის ხომ სწავლის გავრთვებაზე, უმაღლესი განათლების მიღებაზე ოცნებობდა და არა სწავლის თავიდან დაწყებაზე!

თუ შორს არ წავიყვანს, საკითხის უფრო სარწმუნოდ გარკვევის მიზნით საარქივო მასალებს ვადავებდეთ. პროფესორ ლ. მელიქ-

სეთ-ბეგს თავის გამოკვლევაში ძირფსკერვამდე აქვს განხილული ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა საარქივო მონაცემი. „საბოლოო“ თბილისელ მოწაფეთა სიაში მოხსენიებული მწერან ეიმე გიორგი თუ გრიგოლ ბარათოვი და ილია ბარათოვი. ისინი 1840-1841 წლებში ხ. აბოვიანის მოწაფეები ყოფილან თბილისის სამაზრო სსსწავლებელში. ორივე ბარათოვი შემდეგ ეურნალ „სოსიკარში“ თანამშრომლობდა (ლ. მელიქსეთ-ბეგი, „სომეხი მწერლები და საქართველო“, ერევანი, 1964, გვ. 29-30 — სომხურ ენაზე). განსვენებული ლ. მელიქსეთ-ბეგი, ნ. ბარათაშვილისა და ხ. აბოვიანის ცხოვრების მთავარი თარიღების შედარების საფუძველზე მათ შორის უბრალო ნაცნობობის შესაძლებლობასაც შეუძლებლად თვლის (X. Абовян и Н. Бараташвили) თბილისის პეშეინის სახელობის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIII, 1959, გვ. 336).

ამრიგად, გ. ემინის განცხადება, რომელიც მისივე სიტყვით, ლიტერატურათმცოდნე პ. მურადიანის მეტყიერულ კვლევათებზეა ეყრდნობა, თითქოს პოეტი ნ. ბარათაშვილი ხ. აბოვიანის კერძო პანსიონის მოწაფეთა სიაში ირიცხებოდეს, მოკლებულია ყოველგვარ ისტორიულ საფუძველს და უფრო მონაგონია, ვიდრე ამბავილი «Научные изыскания» და სხვადასხვა.

შესაძლოა, აბოვიანის მოწაფეთა შორის მართლაც იყო ეიმე «князь Николай Баратов» როგორც ზემოთ დავინახეთ, ის არამც და არამც არ შეიძლება მივიჩნიოთ პოეტ ნ. ბარათაშვილად.

გ. ემინი თავის წერილში, ცოტა არ იყოს, უცნაურ მოსაზრებას გვაწვლის: «Характерно, что Бараташвили, как и Абовян, тоже является не только основоположителем новой Грузинской поэзии, но и глашатаям дружбы и союза с Россией».

აღბათ, პარტიკულ ეპტორს იმისი თქმა უნდოდა, რომ ხანატურ აბოვიანი იყო ახალი სომხური პოეზიის ფუძემდებელი და რუსეთთან მეგობრობის მქადაგებელი, ისევე როგორც ბარათაშვილი იყო ახალი ქართული პოეზიის ფუძემდებელი და რუსეთთან კავშირ-მეგობრობის მებზირალტრე და მოსურნე, მაგრამ დაწერილის მიხედვით გამოდის, რომ ნ. ბარათაშვილთან ერთად ხ. აბოვიანი ახალი ქართული პოეზიის ფუძემდებელი ყოფილა. ეს კი, რბილად რომ ვთქვათ, სუფთა წყლის გაუგებრობაა.

გ. ემინის წერილში გვხვდება სხვა უზუსტობანიც, მაგრამ, ეფექტობთ, ზემოთქმულიც კმარა ამ წერილის ხასიათისა და სულისკვეთების ნათელსაყოფად.

5560 80 453.

ИНДЕКС  
76128  
0120000000  
0020000000

# **«МНАТОБИ»**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**